ი. ს. იადგაროვი

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია

თბილისი 2014

ი. ს. იადგაროვი

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია

სახელმძღვანელო

აკადემიკოს ავთანდილ სილაგაძის

საერთო რედაქციით





გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი 2014

Я. С. ЯДГАРОВ

Моим родителям-Ядгаровым Семёну Михайловичу
И Софии Николаевне-посвящается

ИСТОРИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ УЧЕНИЙ

Учебник

Под общей редакции Академика Автандила Силагадзе


Тбилиси
2014

I. S. IADGAROV

History of Economic Thought

Textbook

Under the general editorship of Professor Avtandil Silagadze



UDC(უაკ) 33.01(09)
ი-14

ი. ს. იადგაროვი.
ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია: სახელმძღვანელო. მეოთხე გამოცემა, გადამუშავებული და შევსებული. მ.: ინფრა, 2009.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია სტუდენტების, პედაგოგების და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული სხვა მკითხველისთვის.

სახელმძღვანელოს მომზადებაში მონაწილეობდნენ: ე.მ.კ.: *მ.ა. ავერჩენკო, ე.გ. ლისოვსკაია, ვ.ა. შჩეგოლევსკი, ვ.რ. ცეხანოვიჩი, კ.რ. ცეხანოვიჩი , ა.ი. სტანკევიჩი და გ.ი. გროზინსკი.*

მთავარი რედაქტორი: აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე**

სარედაქციო კოლეგიის წევრები: ე.მ.დ.: **შოთა ვეშაპიძე, რევაზ კაკულია;** ე.მ.კ.: **ზინაიდა სოხაძე, ლუიზა ჭანუყვაძე, მამია ჭუმბურიძე, ჯემალ ხარიტონაშვილი, თამარ ათანელიშვილი.**

მთარგმნელები (გარკვეული შემოკლებებით): ე.მ.დ., პროფესორი **კარლო ღურწკაია;**

ე.მ.კ. **თათია ღურწკაია.**

თარგმნილ მასალასთან დაკავშირებით ყველა საქმიანი ნინადადება გათვალისწინებული იქნება მომავალ მუშაობაში.

© ავთანდილ სილაგაძე, 2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-403-4

შინაარსი

წინასიტყვაობა 11

განყოფილება პირველი
შესავალი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში

თავი 1. ეკონომიკური აზრის ისტორიის კურსის ძირითადი ამოცანები და სტრუქტურა 13
1.1. რატომ შეისწავლიან ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიას 13
1.2. ეკონომიკური აზრის განვითარების მიმართულებები და ეტაპები 19

თავი 2. მეთოდოლოგიის პრობლემები ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კურსში 25
2.1. ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია: პრობლემის დასმა 25
2.2. ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების და შესწავლის მეთოდების თავისებურებები ეკონომიკურ მეცნიერებაში 28
2.3. ეკონომიკური მეცნიერების საგანი და მეთოდი რეტროსპექტივაში 35

განყოფილება მეორე
საბაზრო ეკონომიკამდელი ეპოქის ეკონომიკური მოძღვრებები

თავი 3. უძველესი სამყაროს და შუასაუკუნეების ნატურალურ-სამეურნეო ეკონომიკური ზრი 40
3.1. უძველესი სამყაროს ეკონომიკური მოძღვრება 40
3.2. შუასაუკუნეების ეკონომიკური მოძღვრება 47

თავი 4. მერკანტილიზმი-საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების წარმოშობის პერიოდის პირველი თეორიული სკოლა 55
4.1. მერკანტილისტების სწავლების მეთოდი და საგანი 55
4.2. ადრეული და გვიანი მერკანტილიზმის სიმდიდრის კონცეფცია 59
4.3. მერკანტილიზმის ისტორიული მნიშვნელობა 62

14.3. „მარჟინალური რევოლუციის" ეტაპების თავისებურებები 229

თავი 15. ეკონომიკური აზრის სუბიექტური მიმართულების წარმოშობა, როგორც „მარჟინალური რევოლუციის" პირველი ეტაპი 235
15.1. კ. მენგერის ეკონომიკური მოძღვრება 235
15.2. ო. ბემ-ბავერკის და ფ. ვიზერის ეკონომიკური შეხედულებები..... 243
15.3. უ. ჯევონსის და ლ. ვალრასის მარჟინალური კონცეფციები..... 252

თავი 16. ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების ჩამოყალიბება , როგორც „მარჟინალური რევოლუციის" ეორე ეტაპი.....258
16.1. ა. მარშალის ეკონომიკური მოძღვრება 258
16.2. ჯ. ბ. კლარკის ეკონომიკური მოძღვრება 265
16.3. ვ. პარეტოს ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის კონცეფცია..... 273

განყოფილება მეოთხე
რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების ეპოქის ეკონომიკური მოძღვრებები

ნაწილი პირველი. ეკონომიკასა და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე საზოგადოების სოციალური კონტროლის თეორიების ჩასახვა

თავი 17. ეკონომიკური აზრის სოციალურ-ინსტიტუციონალური მიმართულებისწარმოშობა..... 279
17.1. ინსტიტუციონალიზმის წარმოშობის წანამძღვრები და ზოგადი ნიშნები..... 279
17.2. ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლების რეფორმების კონცეფციები..... 283

თავი 18. არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის თეორიები 291
18.1. ე. ჩემბერლინის მონოპოლისტური კონკურენციის თეორია 292
18.2. ჯ. რობინსონის არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია 301

ნაწილი მეორე. ეკონომიკის სახელმწიფოებრივირეგულირების თეორია 305

თავი 19. კეინზელობა 305
19.1. ჯ. მ. კეინზის ეკონომიკური მოძღვრება 306
19.2. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ნეოკეინზური დოქტრინები 314

თავი 20. ნეოლიბერალიზმი 318
20.1. სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია 320
20.2. მონეტარიზმის ჩიკაგოს სკოლა 323

ნაწილი მესამე. ეკონომიკური აზრის თანამედროვე დოქტრინების ევოლუცია

თავი 21. ნეოკლასიკური სინთეზის კონცეფცია 327
21.1. „ნეოკლასიკური სინთეზის“ კონცეფციის წარმოშობა 327
21.2. „ნეოკლასიკური სინთეზის“ კონცეფციის ახალი ვერსიები 328

თავი 22. თანამედროვე ეკონომიკური აზრის ოლიმპი 332
22.1. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების შესახებ 332

22.2. ეკონომიკური დოქტრინების ისტორიის მოკლე მიმოხილვა პ. სამუელსონის „ეკონომიკის“ სახელმძღვანელოში 339
22.3. პ. სამუელსონის „ცვლილებების ნიავი“ 341

შენიშვნები 345

1. დისციპლინის ტესტური საკითხები 386
2.ძირითადი ტერმინების და ცნებების ლექსიკონი 404

ეს სახელმძღვანელო, ისევე როგორც მისი სამი წინა გამოცემა (1996; 1997; 1999), გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისთვის, რომლებიც დაინტერესებულები არიან მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკური აზრის ისტორიით. იგი სასარგებლოა ყველასთვის, ვისაც კი სურს გაერკვეს თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბების თავისებურებებში. ცოდნა, რომელსაც თქვენ შეიძენთ ამ წიგნის ათვისებით, დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ ზერელე მსჯელობა ძირითადი თეორიული სკოლების, მიმდინარეობათა და მიმართულებათა წარმომადგენლების თეორიული მემკვიდრეობის ადგილისა და როლის შესახებ, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის მთელს მანძილზე, აამაღლოთ საკუთარი ეკონომიკური კულტურის დონე.

მოცემული კურსის შესწავლის მიზანია-წარმოდგენა შეგიქმნათ ეკონომიკური იდეების და შეხედულებათა სისტემატიზაციის ძირითადი ეტაპების თავისებურებების შესახებ ეკონომიკურ თეორიაში და გამოვავლინოთ სამეურნეო ცხოვრების პრაქტიკისთვის გამოჩენილი ეკონომისტების შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელობა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური აზრის სხვადასხვა თეორიული სკოლების, მიმდინარეობათა და მიმართულებების აღმოცენებას.

კურსის ძირითადი ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ *შემოვიტანოთ ცნებები*:

- „ქრემატისტიკა", „პოლიტიკური ეკონომია", „ეკონომიკსი";
- „ჰამურაბის კანონები", „სამართლიანი ფასი", „კონსტიტუირებული, შრომითი, ზედმეტი ღირებულება", „მარშალის ჯვარი";
- „მერკანტილიზმი", „კოლბერტიზმი", „პროტექციონიზმი", „ფიზიოკრატია", „ეკონომიკური ადამიანი", „უჩინარი ხელი", „laissez faire", „სმითის დოგმა", „სეის კანონი", „მალთუსელობა", „მესამე პირები", „სახალხო ბანკი";
- „მარჟინალიზმი", „გოსენის კანონები", „ზღვრული სარგებლიანობა", „რობინზონის მეურნეობა", „ლოზანას სკოლა", „კლარკის კანონი", „პარეტოს ოპტიმუმი";
- „ინსტიტუციონალიზმი", „ვებლენის ეფექტი", „პროდუქტის დიფერენციაცია", „მონოპსონია", „კეინზელობა", „ინვესტიციების მულტიპლიკატორი", „მონეტარიზმი", „ნეოლიბერალიზმი", „ლიპმანის კოლოქვიუმი", „ნეოკლასიკური სინთეზი"და სხვ.;

გავაცნოთ მეთოდებს:

ეკონომიკური სიტუაციის კლასობრივ-ფორმაციული, სუბიექტური, მარჟინალური, სოციალურ-ისტორიული და სოციალურ-ინსტიტუციონალური ანალიზი;

ჩამოვაყალიბოთ სიახლეები მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკური აზრის დამოუკიდებელი და არატენდენციური შეფასებებისთვის, სამეურნეო პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებისთვის.

კურსის დასრულებისათვის სტუდენტებს უნდა შეეძლოთ:

- ძირითადი კატეგორიებისა და ცნებების არსის განმარტება;
- ეკონომიკური აზრის სხვადასხვა სკოლების, მიმდინარეობების და მიმართულებათა წამყვანი წარმომადგენლების მეთოდოლოგიური მიდგომების და თეორიული პოზიციების განმასხვავებელი ნიშნების შედარება;
- მერკანტილიზმის, კლასიკოსების, ნეოკლასიკოსების და ინსტიტუციონალისტების და ასევე კეინზელებისა და ნეოლიბერალიზმის მიღწევების გაანალიზება;
- ეკონომიკური თეორიის და მისი განვითარების პერიოდიზაციის კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტების შედგენა;

სახელმძღვანელოს სტრუქტურას ქმნიან:

- ოთხი განყოფილების შემადგენლობაში არსებული 22 თავი;
- ძირითადი ტერმინების და ცნებების ლექსიკონი და სხვ.

პირველი განყოფილების თავებში საუბარი შეხება კურსის ამოცანებს, სტრუქტურას და მეთოდოლოგიის პრობლემებს. შემდგომი განყოფილებების თავები ასახავენ მსოფლიო ეკონომიკური აზრის ევოლუციას ისეთი ეპოქების გამოყოფით, როგორიცაა *საბაზრომდელი ეკონომიკა, არარეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა და რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა.*

სახელმძღვანელოში შენარჩუნებულია თეორიულ-მეთოლოგიური მიდგომების შეთანხმებულობა, მოცემული სახელმძღვანელოს წინა გამოცემათა 1996, 1997 და 1999 წწ. საერთო ჩანაფიქრის შესაბამისად, ამ ჩანაფიქრის არსია-ზეგავლენა მოვახდინოთ, დეიდეოლოგიზებული და არაკლასობრივ-ფორმაციული პოზიციებიდან ეკონომიკური აზრის ძირითადი ეტაპების, თეორიული მიმართულებების, მიმდინარეობებისა და სკოლების გაცნობაზე, ხელი შევუწყოთ ეკონომისტის მაღალი პროფესიული კულტურის ჩამოყალიბებას.

ვიმედოვნებთ, რომ ეს მე-4 გამოცემა, ისევე, როგორც ყველა წინა, მოთხოვნადი იქნება მკითხველთა ფართო აუდიტორიის მიერ.

განყოფილება პირველი

შესავალი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში

თავი 1. ეკონომიკური აზრის ისტორიის კურსის ძირითადი ამოცანები და სტრუქტურა

მოცემული თავი გამიზნულია იმისთვის, რომ გავარკვიოთ:

- რაში მდგომარეობს დისციპლინის „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია" საგნის არსი;
- როგორ გაიაზრება სასწავლო კურსის ძირითადი ამოცანები;
- რომ შესასწავლი კურსის სტრუქტურა განპირობებულია ეკონომიკური აზრის სხვადასხვა ეტაპზე დომინირებადი თეორიული მიმართულებებით, მიმდინარეობებით და სკოლებით.

1.1. რატომ შეისწავლიან ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიას

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია - ეს განუყოფელი რგოლია ზოგად-საგანმანათლებლო დისციპლინათა ციკლში „ეკონომიკის" მიმართულებით.

ამ დისციპლინის შესწავლის საგანია ეკონომიკური იდეების და შეხედულებების წარმოშობის, განვითარების და ცვლილების ისტორიული პროცესი, რომელიც ეკონომიკაში, ტექნიკასა და სოციალურ სფეროში მომხდარი ცვლილებების ზომით თავის ასახვას პოულობს ცალკეულ ეკონომისტთა თეორიებში, თეორიულ სკოლებში, მიმდინარეობებსა და მიმართულებებში.

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია თავის საწყისს იღებს უძველესი სამყაროს დროიდან, ე.ი. პირველ სახელმწიფოთა აღმოცენებიდან. იქედან მოყოლებული დღემდე ხდება მუდმივი მცდელობები ეკონომიკური შეხედულებების ეკონომიკურ თეორიაში სისტემატიზებისთვის, რომელსაც საზოგადოება იღებს მოქმედების სახელმძღვანელოს სახით, სამეურნეო პოლიტიკის განსახორციელებლად.

შეიძლება დარწმუნებით ამტკიცო, რომ დღეს, ისე, როგორც უძველეს დროში სწორედ ეკონომისტების მიერ რეკომენდებულ

თეორიულ გამოკვლევათა სარწმუნოობა განსაზღვრავს მოცემულ ქვეყანაში რეალიზებადი სოციალ-ეკონომიკური სტრატეგიის შედეგიანობის ხარისხს. მაგრამ, იმისთვის, რომ ამომწურავად ამტკიცო კანონზომიერებათა სრული გააზრება და თეორიული ეკონომიკის თავისებურებათა ფორმირება, და აღიარო საკმარისი მეცნიერული პოტენციალის არსებობა, რომელიც მის პრობლემებზე ორიენტირების საშუალებას იძლევა, ეკონომისტს სჭირდება სპეციალური ცოდნის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც შესაძლოა შეიძინო მხოლოდ ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ. ამასთან, მოცემული დისციპლინის შესწავლით ეკონომისტი, ყველაფერ სხვასთან ერთად, ზრდის თავის კვლევით ჩვევებს, რომელიც აუცილებელია მსოფლიო და სამამულო ეკონომიკის განვითარების ობიექტური კანონების გამოსავლენად, შემოქმედებითი მიდგომის შესამუშავებლად ალტერნატიულ სამეურნეო გადაწყვეტილებათა შემდგომი დასაბუთების და რეალიზებისთვის.

მაშასადამე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, როგორც ერთ-ერთი სავალდებულო დისციპლინის შესწავლა ეკონომიკურო პროფილის სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების პროცესში აუცილებელია, ერთი მხრივ, მათში ზოგადსაკაცობრიო და პროფესიული კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, მათ მიერ სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურთან ერთად კიდევ ისტორიულ-ეკონომიკურ შემეცნებათა დაუფლებისთვის, კონკრეტული ქვეყნის ახლო წარსულისთვის ასე გავრცელებული, მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების მიღწევათა „დაჯამების“ გამარტივებული ვარიანტებისა და სქემების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ნარმოდგენილია ეკონომიკური აზრის სხვადასხვა თეორიული სკოლების, მიმდინარეობების, და მიმართულებების შემოქმედებით მემკვიდრეობაში. ამასთან, ამ დისციპლინის შესწავლისას, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის, მილტონ ფრიდმანის სიტყვებით თუ ვიტყვით, უნდა მივმართოთ კიდევ „ავტობიოგრაფიებს და ბიოგრაფიებს... სტიმული მივცეთ მას აფორიზმებისა და მაგალითების და არა სილოგიზმების (დედუქციური დასკვნა-ი.ი.) ან თეორემების დახმარებით“.[1]

უკანასკნელი წლების მეცნიერულმა თეორიულ-მეთოდოლოგიურმა დისკუსიებმა, რომლებიც მიმართულია უძრაობის მიზეზების გამოვლენაზე, რომელშიც აღმოჩნდა არა მხოლოდ ჩვენი საზოგადოება, არამედ ეკონომიკური თეორიაც, დამაჯერებლად ცხადჰყო ამ ფენომენის მთავარი მიზეზი, „მარქსისტული მეცნიერების“ დამკვიდრებული უალტერნატივო კანონებისადმი ერთგულება. უკანასკნელების შესაბამისად, ნებისმიერი მეცნიერული და სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალის გადმოცემა უნდა ემყარე-

ბოდეს ეგრეთ წოდებულ მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შესახებ და კლასების ანტაგონიზმს, მოძღვრებას ბაზისისა და ზედნაშენის, და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ, პროგრესის დასავლური, ე.ი. ბურჟუაზიული ტიპის მიუღებლობას და ა.შ.

მსგავსი სახის აქტუალური დისკუსიების გარეგნული მსგავსება ახასიათებს კბილის-მომჭრელ მოწოდებებს კონსერვატიზმისა და დოგმატურობის დაუშვებლობის შესახებ იმ თვალსაზრისით, რომ ალმოიფხვრას „მრავალი პედაგოგის ჩამორჩენილობა და უცოდინარობა"... სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა საყოველთაო განვითარების, როგორც ჩვენ ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის ერთადერთი შესაძლო გზაზე უარისთქმა.[2] მაგრამ, სინამდვილეში, ეკონომიკური აზრის ევოლუციის კლასობრივ ანალიზს, თუკი ამ სფეროში რიგ ამასწინანდელ ცალკეულ პუბლიკაციებს გავითვალისწინებთ, თუმცა არა აშკარად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი.

ცხადია, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ რუსეთში 1917-1990 წლებში გაბატონებული იდეები არ შეიძლებოდა ძვალ-რბილში არ გამჯდარიყო საზოგადოების ფსიქოლოგიაში და საეჭვოა დადგენილი ჭეშმარიტების ხასიათი არ მიეღო. სხვათა შორის, როგორც 60-ზე მეტი წლის წინათ თავის ცნობილ წიგნში „გზა მონობისკენ", ნობელის პრემიის ლაურეატი ფრიდრიხ ჰაიეკი გვაფრთხილებდა, როდესაც მეცნიერება ჩაყენებულია არა ჭეშმარიტების სამსახურში, არამედ კლასის ინტერესებში, თვითონ სიტყვა „ჭეშმარიტება" კარგავს თავის ადრინდელ მნიშვნელობას, რამდენადაც „თუკი ადრე მას იყენებდნენ იმის აღსაწერად, თუ რისი გამოძებნა იყო საჭირო", ხოლო კრიტერიუმები ინდივიდუალური ცნობიერების სფეროში იმყოფებოდნენ, მაშინ ახლა საქმე ეხება რაღაცას, რასაც ხელისუფლები ანესებენ, რაც უნდა გჯეროდეს საერთო საქმის ინტერესთა ერთიანობისთვის და რაც შეიძლება შეიცვალოს, როდესაც ამას ეს ინტერესები მოითხოვენ".[3] ამიტომ, ფ. ჰაიეკი, უდაოდ, მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ „ადამიანთა არც ერთ ჯგუფს არ შეუძლია მიითვისოს ძალაუფლება აზროვნებაზე და სხვების შეხედულებებზე... და სანამ საზოგადოებაში არ ითრგუნება განსხვავებული აზროვნება, ყოველთვის მოიძებნება ვიღაცა, ვინც დაეჭვდება იდეებში, რომლებიც ფლობენ მის თანამედროვეთა გონებას, და პროპაგანდას გაუწევს ახალ იდეებს, მათი სხვების სამსჯავროზე გატანით".[4]

ჰაიეკისეულ „გზა მონობისკენ"-ში საეჭვოა არაკლასიკური მნიშვნელობა შეიძინა შემდეგმა მისმა კრიტიკულმა მსჯელობამ კლასობრივი პოზიციის თაობაზე ეკონომიკურ მეცნიერებაში, ისეთმა, როგორიცაა: „საბოლოო ანგარიშში არც ისე მნიშვნელოვანია, "უარიყოფა თუ არა ფარდობითობის თეორია იმიტომ, რომ იგი

მიეკუთვნება სემიტური ხრიკების რიცხვს, რომელიც ძირს უთხრის ქრისტიანული და „ნორდიკული" ფიზიკის საფუძვლებს ან იმიტომ, რომ „ენინაალმდეგება მარქსიზმის საფუძვლებს და დიალექტიკურ მატერიალიზმს". ასევე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ნაკარნახევია თუ არა თავდასხმები ზოგიერთ თეორიაზე მათემატიკური სტატისტიკის სფეროდან იმით, რომ ისინი „წარმოადგენენ კლასობრივი ბრძოლის ნაწილს იდეოლოგიური ფრონტის წინა მხარეს და მათი გამოჩენა განპირობებულია მათემატიკის ისტორიული როლით, როგორც ბურჟუაზიის მსახურისა", ან მთელი ეს სფერო მთლიანად უარიყოფა იმ საფუძველზე, რომ „მასში არ არის გარანტიები, რომ იგი მოემსახურება ხალხის ინტერესებს".[5]

ამასთან დაკავშირებით დროულია მივუთითოთ ასევე ცნობილი ფრანგი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მორის ალეს პრინციპულ პოზიციებზე, რომელიც მიიჩნევს, რომ *ნებისმიერ თეორიას მეცნიერული ფასეულობა გააჩნია მაშინ, როდესაც იგი „დასტურდება გამოცდილების მონაცემებით" და თუკი „იგი წარმოადგენს რეალობის შენადედს";*[6] ხოლო მტკიცებულებები, რომლებიც მეცნიერებაში ყველაზე უფრო დამაჯერებლად ითვლება, ყოველთვის „ფაქტების ზენოლით" ადგილს უთმობს სხვებს, ვინაიდან „ასეთია ერთ-ერთი" ის კანონზომიერებათაგანი, რომელიც შეიძლება სრული გულდაჯერებულობით „მომავალზე გადავიტანოთ".[7] იგი შემდეგშია დარწმუნებული: *„ეჭვი საკუთარი მოსაზრების თვალსაზრისით, პატივისცემა სხვების მოსაზრებისადმი-აი მეცნიერების ყოველგვარი რეალური პროგრესის აუცილებელი პირობა. საყოველთაო თანხმობა ანუ უმრავლესობის თანხმობა არ შეიძლება განხილულ იქნეს ჭეშმარიტების კრიტერიუმის სახით".*[8]

შემდგომ, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლისას აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას. თითქმის შვიდი ათწლეულის მანძილზე საბაზრო ეკონომიკა საბჭოთა მოქალაქის მიერ აღქმული უნდა ყოფილიყო, როგორც „კაპიტალიზმის" განუყოფელი ნაწილი, რომლის დროსაც ბატონობს „ვულგარული ბურჟუაზიული" ეკონომიკური თეორია. ამიტომ „ჩვენს" მკითხველში თვით ცნება „კაპიტალიზმი", როგორ-ღაც ინერციით „ექსპლუატატორულ წყობილებაში" ასოცირდება, რომლის ალტერნატივა - „ჰუმანური სოციალისტური საზოგადოებაა".

ამ საფუძველზე თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში უახლოეს წლებში, ცხადია, მიზანშეუწონილია ოდიოზური იდეოლოგიზებული პოზიციის „არსებობა", რომელშიც მეცნიერება და ეკონომიკა დაყოფილია „კაპიტალისტურად" და „სოციალისტურად". კერძოდ, გავიხსენოთ ფ. ჰაიეკის ერთ-ერთი დარიგება, რომელშიც იგი ხაზს უსვამს: „და თუმცა ტერმინები „კაპიტალიზმი" და „სოციალიზმი" ჯერ კიდევ ფართოდ

გამოიყენება საზოგადოების წარსული და მომავალი მდგომარეობის აღსანიშნავად, მაგრამ ისინი არა თუ არ არკვევენ, არამედ, მეტადრე ბუნდოვანს ხდიან ჩვენს მიერ გამოვლილი პერიოდის არსს.[9]

აქედან, როგორც ჩანს, დღეს ქვეყნის სწავლული ეკონომისტებისა და პრაქტიკოსებისთვის სამეურნეო ცხოვრების სფეროში ყველაზე უფრო პრიორიტეტული შეიძლება ყოფილიყო ტერმინი „საბაზრო ეკონომიკა“ ან „საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები“, როგორც „მბრძანებლური ეკონომიკის“ ან „ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის“ ცნებათა ანტიპოდები. ამასთან, „საბაზრო ეკონომიკის“ მრავალ განმარტებათა შორის, ვფიქრობთ, შეცდომა არ იქნება მხარი დავუჭიროთ შემდეგ ორს. ერთ-ერთი მათგანი მოცემულია ი. შუმპეტერის წიგნში „ეკონომიკური განვითარების თეორია“(1912), რომელშიც იგი წერდა, რომ, თუკი ჩვენ „წარმოვიდგენთ საბაზრო პრინციპებზე ორგანიზებულ სახალხო მეურნეობას“, მაშინ ასეთი იქნება „ისეთი სახალხო მეურნეობა, სადაც ბატონობს კერძო საკუთრება, შრომის დანაწილება და თავისუფალი კონკურენცია“.[10] ი. შუმპეტერის მიხედვით, სწორედ საბაზრო სისტემა ქმნის ნიადაგს მეწარმეობისთვის, ინოვაციების განხორციელებისთვის.

საბაზრო ეკონომიკის, მეორე, უფრო ვრცელი განმარტება ეკუთვნის კ. პოლანის. მისი განმარტების თანახმად, საბაზრო ეკონომიკა - ესაა ეკონომიკური სისტემა, რომელშიც წარმოების ორგანიზაცია და დოვლათის განაწილების წესი „ეკისრება“ „თვითრეგულირების მექანიზმს“, და თვით სისტემა „კონტროლდება, რეგულირდება და იმართება მხოლოდ საბაზრო კანონებით“. ამ სისტემაში „ადამიანისეული ქცევა მიმართულია ფულადი შემოსავლის მაქსიმიზებაზე“, „დოვლათის (მომსახურების ჩათვლით) არსებულ მინოდებაზე განსაზღვრული ფასით, რომელიც მოთხოვნის ტოლია ამავე ფასით“, „საქონელთა წარმოებისა და განაწილების სისტემაში წესრიგი უზრუნველყოფილია მხოლოდ ფასებით“[11].

ამასთან ერთად, თანამედროვე ეკონომიკური აზრის სფეროში ავტორიტეტებს შორის *არ არსებობს ერთიანი მოსაზრება კაცობრიობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროის შესახებ.* მაგალითად, მაქს ვებერი თავის წიგნში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ (1905), ტერმინი „კაპიტალიზმის“ გამოყენებით, საბაზრო ეკონომიკის თავისებურებათა დახასიათებისას, ასე ვარაუდობს: „ჩვენ მხედველობაში გვაქვს... კაპიტალიზმი, როგორც სპეციფიკურად დასავლური თანამედროვე რაციონალური მეწარმეობა, და არა მთელს მსოფლიოში სამი ათასწლეულის მანძილზე არსებული-ჩინეთში, ინდოეთში, ბაბილონში, ძველ საბერძნეთში, რომში, ფლორენციაში და ჩვენს დროში-მევახშეთა, თანამდებობების მყიდველთა და გადასახადების, მსხვილ სა-

ვაჭრო მეწარმეთა და ფინანსური მაგნატების კაპიტალიზმი"[12]. ამ განმარტებიდან „რაციონალური მეწარმეობის", როგორც საბაზრო ეკონომიკის ატრიბუტის შესახებ დებულების მიღებისას, როგორც ჩანს, არ შეიძლება დავეთანხმოთ მაქს ვებერს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა („კაპიტალიზმის") არსებობის შესახებ მთელ მსოფლიოში სამი ათასწლეულის მანძილზე და ჩვენს დროში.

უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა პერიოდისთვის „ბურჟუაზიული დასავლური" ან „თანამედროვე დასავლური ეკონომიკური თეორიის" მახასიათებლების თაობაზე უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი უდაოდ უსაფუძვლოა. ჯერ ერთი, საეჭვოა საერთოდ თუ ვინმესთვის ცნობილია, ვთქვათ, *„ჩრდილოეთის"* ან *„სამხრეთის"* ეკონომიკური მეცნიერება ან თეორია. მეორე, თუკი ვივარაუდებთ, რომ „არადასავლური" ეკონომიკური აზრი „დისლოცირდება" პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მაშინ საეჭვოა მოვახერხოთ თუნდაც რაიმე კრიტერიუმის აღნიშვნა *„აღმოსავლური" ეკონომიკური თეორიის* საზღვრების ასეთი აღნიშვნის სასარგებლოდ. და მესამე, თუნდაც თუ დავუშვებთ, რომ „აღმოსავლური" ეკონომიკური აზრი-ეს მაინც ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების თეორიებია, მაშინ სამართლიანი იქნება შეპასუხება იმის შესახებ, რომ პრაქტიკულად ყველა „პირველი ვარსკვლავი" ეკონომიკური თეორიის სფეროში და განსაკუთრებით ისინი, ვის სახელებსაც უკავშირებენ მეცნიერების ჩამოყალიბებას და განვითარებას საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, აინთო, სამწუხაროდ, არა „აღმოსავლურ", არამედ „დასავლურ" ცისკიდეზე.

დასასრულს მოვიტანოთ XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ავტორიტეტების-მარკ ბლაუგის, და ჯოან ვიოლეტ რობინსონის გამონათქვამები მეცნიერულ სამყაროში ეკონომიკური აზრის ისტორიის და ეკონომიკური თეორიის სფეროში.

მათგან პირველმა ოთხი ათწლეულის წინათ -1961 წელს-გამოაქვეყნა ცნობილი წიგნი „ეკონომიკური აზრი რეტროსპექტივაში", რომელმაც შემდგომში მრავალ გამოცემას გაუძლო. მისი შინაარსიდან გამოვყოთ ორი დასკვნა. პირველის შესაბამისად მტკიცდება შემდეგი: „წარსულსა და ახლანდელ ეკონომიკურ აზროვნებას შორის არსებობს ურთიერთქმედება, იმიტომ რომ დამოუკიდებლად იმისა, რომ ჩვენ მას გადმოვცემთ მოკლედ თუ მრავალსიტყვაობით, ყოველი თაობის მიერ ეკონომიკური აზრის ისტორია გადაინერება ხელახლა"[13]. მეორის შესაბამისად, გადმოცემულია დებულება იმის შესახებ, რომ „ეკონომიკური აზრის ისტორია-სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი მცდელობების ისტორია გავიგოთ ეკონომიკის მოქმედება, რომელიც ემყარება საბაზრო ურთიერთობებს"[14].

რაც შეეხება ჯ. რობინსონს-„არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორიის“ ავტორს (1933),-მის ერთობ სხარტ და ახლა გავრცელებულ ამონარიდს ამერიკელი ეკონომისტი ჯონ გელბრეითი იყენებდა თავისი წიგნის „ეკონომიკური თეორიები და საზოგადოების მიზნები“, მეორე თავის ეპიგრაფადაც კი (1973), სახელდობრ: „ეკონომიკური თეორიის შესწავლის არსი არა ისაა, რომ მივიღოთ მზა პასუხების ანაკრები ეკონომიკურ კითხვებზე, არამედ ის, რომ ვისწავლოთ არ მოვხვდეთ ეკონომისტების ანკესზე“[15].

1.2. ეკონომიკური აზრის განვითარების მიმართულებები და ეტაპები

ეკონომიკური დოქტრინების ევოლუციის ანალიზისადმი ტენდენციური მიდგომის დაძლევა ნიშნავს, რომ, უწინარეს ყოვლისა, მცდარად ვაღიაროთ ეკონომიკური თეორიის კლასიფიკაციის იდეები კლასობრივ-ფორმაციული პრინციპის მიხედვით („ბურჟუაზიული“, „წვრილბურჟუაზიული“, „პროლეტარული“, ან „კაპიტალისტური“ და „სოციალისტური“ თეორია), მათ შორის ეკონომიკური თეორიის დაპირისპირების მოგონილი იდეა გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით („სამამულო თეორია“ და „დასავლური თეორია“). მოცემულ კონტექსტში საქმე ეხება იმას, რომ ეკონომიკური აზრის სტრუქტურიზება მისი ევოლუციის ძირითადი მიმართულებებისა და ეტაპების მიხედვით მიზანშეწონილია განვახორციელოთ მსოფლიო ცივილიზაციის საუკეთესო სოციალურ-ეკონომიკურ მიღწევათა გათვალისწინებით და მთლიანობაში, რომელიც განაპირობებს ეკონომიკური თეორიის ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური თვისების ფაქტორების განახლებას და შეცვლას.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის შემოთავაზებული კურსის სტრუქტურა შედგება შესავალისა და კიდევ სამი განყოფილებისგან. მისი სიახლე, განსხვავებით საბჭოთა პერიოდის გამოცემებისგან და უკანასკნელი წლების რიგი ნაშრომებისგანაც კი მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, კლასობრივ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებზე უარისთქმაში (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური) და პირველ ადგილზე კონკრეტულ თვისებრივ გარდაქმნებში ეკონომიკასა და ეკონომიკურ თეორიაში, საბაზრომდელი ეკონომიკის დროიდან ლიბერალური (არარეგულირებადი), ხოლო შემდგომ სოციალურად ორიენტირებულ ანუ, როგორც კიდევ არაიშვიათად ამბობენ, რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ეპოქამდე.

შესაბამისად ეს კურსის შემდეგი სტრუქტურული ერთეულებია:

1) საბაზრომდელი ეკონომიკის ეპოქის ეკონომიკურ მოძღვრებათა განყოფილება;
2) არარეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის ეპოქის ეკონომიკურ მოძღვრებათა განყოფილება;
3) რეგულირებადი (სოციალურად ორიენტირებული) საბაზრო ეკონომიკის ეპოქის ეკონომიკურ მოძღვრებათა განყოფილება.

მაგრამ, აქ უნდა განვმარტოთ ორი გარემოება. ჯერ-ერთი, საბაზრომდელი და საბაზრო ეკონომიკები უნდა განვასხვავოთ საზოგადოებაში ნატურალურ-სამეურნეო ან სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა ჭარბობის ნიშნით. და მეორე, არარეგულირებადი და რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკები აუცილებელია განვასხვავოთ არა იმის მიხედვით, არსებობს თუ არა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში, არამედ იმით, უზრუნველყოფს თუ არა სახელმწიფო პირობებს მეურნეობის დემონოპოლიზებისთვის და ეკონომიკაზე სოციალური კონტროლისთვის.

ახლა მოკლედ დავახასიათოთ ეკონომიკური აზრის მიმართულებათა და განვითარების ეტაპების თანმიმდევრულობა და არსი კურსის ზემოთდასახელებულ განყოფილებათა ჩარჩოებში.

1.საბაზრომდელი ეპოქის ეკონომიკური მოძღვრება. ეს ეპოქა მოიცავს *უძველესი სამყაროს და შუასაუკუნეების პერიოდებს*, რომლის განმავლობაშიც ჭარბობდა ნატურალურ-სამეურნეო საზოგადოებრივი ურთიერთობები და კვლავწარმოება უპირატესად ექსტენსიური იყო. ეკონომიკურ აზრს ამ ეპოქაში გამოხატავდნენ, როგორც წესი, ფილოსოფოსები და რელიგიური მოღვაწეები. ეკონომიკური იდეების და კონცეფციების სისტემატიზების მათ მიერ მიღწეული დონე ვერ უზრუნველყოფდა საკმაო ნანამძღვრებს იმ დროის თეორიული მსჯელობების მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად განცალკევებისთვის, რომელიც მხოლოდ ეკონომიკის პრობლემებზე დასპეციალდებოდა.

მოცემულ ეპოქას დაასრულებს ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ევოლუციის განსაკუთრებული ეტაპი. ეკონომიკის ისტორიის თვალსაზრისით, ამ ეტაპს მარქსისტულ ეკონომიკურ ლიტერატურაში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისა და კაპიტალიზმის წარმოშობის პერიოდს უწოდებენ; არაკლასობრივ-ფორმაციული პოზიციებიდან-ესაა მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმზე გადასვლის პერიოდი. ეკონომიკური აზრის ისტორიის თვალსაზრისით, ამ ეტაპს *მერკანტილიზმს* უწოდებენ და ორნაირად განიმარტება; მარქსისტულ ვარიანტში-როგორც კაპიტალიზმის ეკონომიკური თეორიის (ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის) წარმოშობის პერიოდი, ხოლო არაკლასობრივ-ფორმაციული ვარი-

ანტით - როგორც საბაზრო ეკონომიკის პირველი თეორიული კონცეფციის პერიოდი.

ნატურალური მეურნეობის წიაღში წარმოშობილი მერკანტილიზმი ფართომასშტაბიანი (ზოგადეროვნული) აპრობაციის პროტექციონისტულ ღონისძიებათა ეტაპი გახდა მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის სფეროში და ეკონომიკის განვითარების გააზრებისთვის ჩამოყალიბებადი სამენარმეო საქმიანობის პირობებში და რამდენადაც თავისი დროის აღრიცხვას მერკანტილისტური კონცეფცია ფაქტობრივად XVI საუკუნიდან იწყებს, ეკონომიკური თეორიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად გამოცალკევების დასაწყისს უფრო ხშირად მოცემულ პერიოდს მიაკუთვნებენ.

კერძოდ, თავისი ისტორიული აღმასვლის გარიჟრაჟზე ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც მერკანტილისტურ პოსტულატებს ემყარებოდა, პროპაგანდას უწევდა სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედების მიზანშეწონილებას ეკონომიკური მოტივების და გარიგებათა მეშვეობით, რათა „ახალი" ურთიერთობები, რომელთაც შემდგომში ხან „საბაზრო", ხან „კაპიტალისტური" სახელწოდება მიიღეს, გავრცელებულიყვნენ სახელმწიფოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა ასპექტებზე.[18].

2.არარეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების ეპოქის ეკონომიკური მოძღვრება. ამ ეპოქის დროითი ჩარჩოები მოიცავს დადხლოებით XVII ს.-ის ბოლოდან XX ს. 30-იან წლებამდელ პერიოდს, რომლის განმავლობაში ეკონომიკური აზრის წამყვანი სკოლებისა და მიმართულებების თეორიებში დომინირებდა „laissez faire"-ს *სრული დევი*ზი-რომლის სიტყვათწყობა ნიშნავს სახელმწიფოს აბსოლუტურ ჩაურევლობას საქმიან ცხოვრებაში, ანუ, რაც ერთი და იგივეა, ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპს.

მოცემულ ეპოქაში, ეკონომიკა, სამრეწველო გადატრიალების წყალობით, გადავიდა მანუფაქტურული სტადიიდან თავისი ევოლუციის ეგრეთ წოდებულ ინდუსტრიულ სტადიაზე. თავისი აპოგეის მიღწევით XIX ს. ბოლოს და XX ს. 30-იანი წლების დასაწყისში, მეურნეობრიობის ინდუსტრიული ტიპი ასევე დაემდებარა თვისებრივ მოდიფიკაციას და მეურნეობის მონოპოლიზებული ტიპის ნიშნები შეიძინა.

მაგრამ სწორედ მეურნეობის აღნიშნულმა ტიპებმა, რომლებიც განპირობებული იყო თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკის თვითრეგულირების იდეის სიჭარბით, გან-საზღვრეს პოსტულატების თავისებურება და მოცემული ეპოქის ეკონომიკურ მეცნიერებაში თავდაპირველად *კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის*,

ხოლო შემდგომ *ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის* ბატონობის ჩამოყალიბებული თანმიმდევრულობა.

კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას „მბრძანებლური სიმაღლეები" ეკავა ეკონომიკურ თეორიაში პრაქტიკულად დაახლოებით 200 წელი - XVIIს. ბოლოდან XIX ს. მეორე ნახევ-რამდე და არსებითად საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას.[17]. მისი ლიდერები, დიდწილად სამართლიანად გმობდნენ მერკანტილისტების პროტექციონიზმს და საფუძვლიანად ენინააღმდეგებოდნენ XIX ს.-ის პირველი ნახევრის ანტისაბაზრო რეფორმატორულ კონცეფციებს თავიანთ თანამედროვეთა ნაშრომებში, როგორც სოციალური სამართლიანობის საზოგადოებაზე გადასვლის მომხრეთა რიცხვიდან, წვრილ-სასაქონლო ნარმოებაში, ისე უტოპიური სოციალიზმის იდეოლოგებშიც ნამყვანი როლის აღდგენის ბაზაზე, რომლებიც მოუწოდებდნენ კაცობრიობის მიერ საზოგადოების ისეთი სოციალ-ეკონომიკური მოწყობის უპირატესობათა საყოველთაო მოწონებისკენ, რომლის დროსაც არ იქნებოდა ფული, კერძო საკუთრება, ექსპლოატაცია და თანამედროვე კაპიტალიზმის სხვა დღევანდელი „უბედურებები".

ამასთან ერთად, კლასიკოსები სრულიად გაუმართლებლად უშვებდნენ თვალთახედვის არიდან ეკონომიკური გარემოს ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის ფაქტორთა ძიების მნიშვნელობას ეროვნულ-ისტორიული და სოციალური თვისების ფაქტორებთან.

XIX ს. ბოლოს *ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია*, რომელმაც კლასიკური პოლიტი-კური ეკონომია შეცვალა, მისი მემკვიდრე გახდა უპირველეს ყოვლისა, „წმინდა" ეკონომიკური მეცნიერების იდეალებისადმი „ერთგულების" შენარჩუნების წყალობით. ამასთან, მან აშკარად გადააჭარბა თავის წინამორბედს მრავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტში. ამასთან დაკავშირებით კი მთავარი გახდა ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტარიუმში მათემატიკურ „ენაზე" დამყარებული მარჟინალური (ზღვრული) პრინციპების დანერგვა, რომელმაც ახალ (ნეოკლასიკურ) ეკონომიკურ თეორიას სარწმუნოობის მაღალი ხარისხი მიანიჭა და ხელს უწყობს მის შემადგენლობაში ცალკე განყოფილების-*მიკროეკონომიკის* გამოცალკევებას.

3. რეგულირებადი (სოციალურად ორიენტირებული) საბაზრო ეკონომიკის ეპოქის ეკონომიკური მოძღვრება. მოცემული ეპოქა-ეკონომიკურ მოძღვრებათა უახლესი ისტორია სათავეს იღებს XX ს. 20-30-იანი წლებიდან, ე.ი. მას შემდეგ, რაც საკუთარი თავი სრულად დააფიქსირეს ანტიმონოპოლიურმა კონცეფციებმა და ეკონომიკაზე საზოგადოების სოციალური კონტროლის იდეებ-

მა, რომელმაც ნათელი მოჰფინა laissez faire-ს პრინციპის უსაფუძვლობას და მიმართულია მეურნეობის დემონოპოლიზაციის მრავალმხრივ ღონისძიებებზე, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მეშვეობით. ამ ღონისძიებათა საფუძველია მნიშვნელოვნად უფრო სრულყოფილი ანალიტიკური მსჯელობები, რომლებიც გათვალისწინებულია ეკონომიკური თეორიების ფაქტორთა მთელი ერთობლიობის სინთეზის ბაზაზე განახლებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

ამასთან დაკავშირებით მხედველობაში გვაქვს, ჯერ-ერთი, ეკონომიკური თეორიის ახალი, XX ს. 30-იანი წლებისთვის ჩამოყალიბებული სოციალ-ეკონომიკური მიმართულება, რომელსაც მის სამ სამეცნიერო მიმართულებებში აღნიშნულს მარტივად *ამერიკულ ინსტიტუციონალიზმს* უწოდებენ, მეორე, საბაზრო სამეურნეო სტრუქტურების ფუნქციონირების დამადასტურებელი თეორიული დასაბუთებები, რომლებიც 1933 წელს გამოჩნდა, *არასრულყოფილი (მონოპოლისტური) კონკურენციის პირობებში*, და ბოლოს, მესამე, ასევე 30-იან წლებში წარმოშობილი, *ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების* ორი ერთმანეთის ალტერნატიული *მიმართულება* (*კეინზური და ნეოლიბერალური*), რომელმაც დამოუკიდებლობის სტატუსი მისცა ეკონომიკური თეორიის კიდევ ერთ განყოფილებას-*მაკროეკონომიკას*.

საბოლოოდ XX საუკუნის უკანასკნელი შვიდი-რვა ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკურმა თეორიამ შეძლო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოეტანა სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკის ზრდის რიგი პრინციპულად ახალი არაორდინარული სცენარების შესაძლო ვარიანტები (მოდელები), რომლებიც გამოიწვიეს მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებმა. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება როგორც არასდროს, ახლოსაა ყველაზე უფრო სარწმუნო „რეცეპტების“ გამომუშავებასთან სოციალური კონტრასტების ნაშლის გზაზე ცივილიზებულ საზოგადოებაში და მასში ცხოვრების მართლაც ახალი წესის და აზროვნების ჩამოყალიბებაში.

მაგალითისთვის, ახლა მრავალი ქვეყნის სწავლული ეკონომისტები საზოგადოების წარსული და მომავალი მდგომარეობის აღსანიშნავად მეტს არ მიმართავენ ეკონომიკური თეორიის ყოფილი ანტიპოდების - „კაპიტალიზმისა“ და „სოციალიზმის“ ერთმანეთისადმი (ყოველ შემთხვევაში, აშკარა), და შესაბამისად „კაპიტალისტური“ და „სოციალისტური“ თეორიის დაპირისპირებას. მათ ნაცვლად, ეკონომიკურ ლიტერატურაში საყოველთაო გავრცელებას პოულობენ თეორიული გამოკვლევები „საბაზრო ეკონომიკის“ ან „საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების“ შესახებ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოში შემოთავაზებული კურსის *არაკლასობრივი სტრუქტურის* მეშვეობით ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია მისდევს ორერთიანი ამოცანის გადაჭრას, სახელდობრ - ასაბუთებს, რომ აუცილებელია ეკონომიკური აზრის მიმართულებათა და ეტაპების ევოლუციის პერიოდიზაციის დეიდეოლოგიზებული პრინციპები, როგორც საბაზრო ეკონომიკის და საბაზრო ეკონომიკური თეორიის წინაისტორიის პერიოდების, ისე დღევანდელი რეალობებისა, რეგულირებადი (სოციალურად ორიენტირებული) ბაზრის თეორიასა და პრაქტიკაში და, რომ მეცნიერებისა და ჭეშმარიტების პროგრესის კრიტერიუმი არასოდეს არ უნდა იყოს არც „საყოველთაო თანხმობა", არც „უმრავლესობის თანხმობა".

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რა წარმოადგენს ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის საგანს?
2. დახასიათეთ წანამძღვრები, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის მიზანშეწონილებას?
3. როგორი იყო ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის თავისებურებები ადრინდელ პერიოდში.
4. გახსენით „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის" კურსის განყოფილებების, ეტაპების, თეორიული მიმართულებების და სკოლების არაკლასობრივ-ფორმაციული სტრუქტურიზაციის ლოგიკა.

თავი 2. მეთოდოლოგიის პრობლემები ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კურსში

ამ თავის მასალა თქვენ გაგაცნობთ:

- დებულებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის თავისებურებებთან დაკავშირებით ცოდნის ამ დარგისთვის დამახასიათებელი არ არის „ჭეშმარიტებისკენ ერთმიმართულებიანი წინსვლა “;
- პრიორიტეტებს ეკონომიკური აზრის სხვადასხვა მიმართულებების, მიმდინარეობების და სკოლების წარმომადგენელთა მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტარიუმში;
- ეკონომიკურ მეცნიერებაში მეთოდოლოგიური პრინციპების ნარმოშობის, განახლებისა და დივერსიფიკაციის მოკლე ისტორიას.

2.1. ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია: პრობლემის დასმა

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ისე, როგორც ეკონომიკური მეცნიერების სხვა დარგებიც, ეკონომიკური ანალიზის პროგრესული მეთოდების ერთობლიობას ემყარება. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ მეთოდები: ისტორიული, ინდუქციური, ლოგიკური აბსტრაქციის, კაუზალური, ფუნქციონალური, მათემატიკური მოდელირების და სხვ.

ეკონომიკური აზრის მთელი მსვლელობა იმის შესახებ მოწმობს, რომ ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია, მიუხედავად ანალიზის მეთოდების განახლებისა და გაფარ-თოების არაერთგზის მცდელობისა, და მის ისტორიაში „რევოლუციების“ შედეგების გათვალისწინებითაც კი (იქნება იგი „მარჟინალური“, „კეინზური“, „ინსტიტუციონალური“, „ჩემბერლინური“ და ა.შ.), რაციონალური განვითარების გზაზე აღმასვლის გარანტიას არ იძლევა, ე.ი. მისთვის „ერთმიმართულებიან მოძრაობას ჭეშმარიტებისკენ“ ვერ უზრუნველყოფს. და ამასთან დაკავშირებით, როგორც ეკონომიკური აზრის თანამედროვე ცნობილი ისტორიკოსი თ. ნეგიში ვარაუდობს, „ამჟამად გავლენიანი თეორია აუცილებლად ყველა როდი აღემატება წინას, რომელიც უარყოფილია მოცემულ მომენტში...ასე რომ...ძველი იდეების დაბრუნების შესაძლებლობა არ შეიძლება გავიგოთ, მხოლოდ ახლის შესწავლა“[1].

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, თუ ვისაუბრებთ ეკონომიკური მეცნიერების, „სოციალურ მეცნიერებათა დედოფლად"[2] გადაქცევის შესახებ, ამით ხაზს გავუსვამთ, უწინარეს ყოვლისა, მის განსხვავებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან, რომელიც განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი შემეცნებითი შესაძლებლობებით და სპეციფიკური მიდგომებით ადამიანთა საქმიანობის და მთლიანად საზოგადოების ანალიზისადმი. მაგრამ სწორედ ამ გარემოებათა ძალით ეკონომიკური მეცნიერება თავის განვითარებაში „განწირულია", ერთი მხრივ, „მუდმივ დაბრუნებაზე უკან, მიღწეულისკენ (მოცემულ პარადიგმაში საერთო ნიშნადისადმი)", ხოლო მეორე მხრივ, - „ინფორმაციის ნაწილის გარდაუვალი მიღების აუცილებლობით აქსიომის სახით, რწმენის საფუძველზე".[3]

გადაჭარბებული არ იქნება აღვნიშნოთ ეკონომიკური მეცნიერების შედარებითი უპირატესობები მის გამოკვლევათა შედეგების გაცვლის პროცესში სოციალური სფეროს მეცნიერების სხვა დარგებთან. კერძოდ, როგორც ჯერ კიდევ ა. მარშალმა თავის „ეკონომიკის პრინციპებში"(1890) შენიშნა, „ეკონომიკურმა მეცნიერებამ უფრო დიდ წინსვლას მიაღწია, ვიდრე საზოგადოებრივ მეცნიერებათა რომელიმე სხვა დარგმა, რამდენადაც იგი უფრო განსაზღვრული და ზუსტი აღმოჩნდა, ვიდრე ყველა სხვა დარგი."[4] თუმცა, იმავდროულად მან აბსნა შემდეგი: „არსებობს ფართო სადაო ტერიტორია, რომელზეც ეკონომიკურ მოსაზრებებს მნიშვნელოვანი, მაგრამ არა დომინირებადი ზეგავლენა გააჩნიათ, და ყოველ ეკონომისტს შეუძლია თავისთვის შეგნებულად გადაწყვიტოს, რამდენად შორს გაავრცელებს იგი თავის საქმიანობას ამ ტერიტორიაზე. იგი შეძლებს მასთან საუბარს ნაკლები და ნაკლები დამაჯერებულობით, რაც უფრო დაშორდება იგი ცხოვრების პირობებს და საქმიანობის მოტივებს, რომლებიც უკიდურეს შემთხვევაში ნაწილობრივ არ შეიძლება მოცული იქნენ მეცნიერული მეთოდებით."[5]

ამასთან ერთად, როგორ ავხსნათ თანამედროვე ეკონომისტების შეხედულებათა დაუმთხვევლობა ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგიის პრობლემებზე, მათ შორის ეკონომიკური აზრის ისტორიისა, მისი ეტაპების დროითი საზღვრების, თეორიული მიმართულებებისა და სკოლებისა?

ამ კითხვებზე აწონ-დაწონილად და დამაჯერებლად რომ ვუპასუხოთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ამოვიდეთ ეკონომიკური აზრის სხვადასხვა მიმართულებათა და თეორიული ეკონომიკური სკოლების ევოლუციის თავისებურებათა სიღრმისეული გააზრების აუცილებლობიდან. მაგრამ საჭირო „გააზრება" ყოველთვის გარდაუვლად დაიყვანებოდა და, ცხადია, მომავალშიც დაიყვანება მკვლევართა საკუთარ მეცნიერულ პარადიგმებამდე, ე.ი. ალტერ-

ნატიულ მიმართულებათა და სკოლების ეკონომისტთა მცდელობებზე დაასაბუთონ სამეურნეო ცხოვრების ანალიზის მეთოდებისა და წანამძღვრების მთელი ერთობლიობის საკუთარი ხედვა და შესთავაზოს საკუთარი წარმოდგენა მსგავსი სახის სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის ხერხების შესახებ.

ეკონომიკური მეცნიერების არა მხოლოდ საგნის, არამედ ასევე მეთოდის შესახებ შეხედულებათა დაშორიშორების ალბათ ყველაზე კაშკაშა მაგალითია ამ პრობლემისადმი მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა მიდგომა, ერთი მხრივ, და საბაზრო ეკონომიკის მომხრე ეკონომისტებისა - მეორე მხრივ.

მარქსისტები, როგორც ცნობილია, თავიანთ შემოქმედებას სმითი-რიკარდოს ეკონომიკური მოძღვრების განახლებულ გაგრძელებად მიიჩნევენ, ამტკიცებენ წარმოების სფეროს (შესწავლის საგანი) და მიზეზ-შედეგობრივი ანალიტიკური კონსტრუქციების (ანალიზის კაუზალური მეთოდი) პრიმატის შესახებ.

მაგრამ ამ საქმეზე ს. ბ. ბრაგინსკის და ი. ა. პევზნერის სანინააღმდეგო აზრის მიღებით, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ქვემოთ მოტანილ მსჯელობათა დამაჯერებელ ლოგიკას: „წარმოების პირველადობა" მარქსიზმში ყოველთვის განიმარტებოდა, როგორც პოლიტიკური ეკონომიისა და მთელი საზოგადოებრივი მეცნიერების საწყისთა საწყისი. ასეთი მიდგომა რამდენად დასაბუთებულია? თუკი მხედველობაში მივიღებთ, რომ სანამ გავცვლიდეთ, გავანაწილებდეთ, მოვიხმარდეთ, უნდა ვაწარმოოთ, მაშინ ასეთი მტკიცება ბანალურია, რომელიც მეცნიერების მიღმაა. ეკონომიკური მეცნიერება, როგორც მეცნიერება, იწყება არა წარმოებიდან, არამედ გაცვლიდან, ვაჭრობიდან, ბაზრიდან..."[6]

საბაზრო ეკონომიკური თეორიის მომხრეებს თანამედროვე პერიოდში დომინირებადი მდგომარეობა უკავიათ ეკონომიკურ მეცნიერებაში. საგნისა და მეთოდის მათეული ვერსია ახლა საფუძვლად უდევს ეკონომიკური თეორიის სტანდარტულ სასწავლო კურსს მრავალი ქვეყნის უმაღლესი ეკონომიკური განათლების სისტემაში.

თუმცა, ეს ვერსიაც გარკვეულ შეუსაბამობას როდია მოკლებული განცხადებულ დებულებებსა და მკვლევართა რეალურ პოზიციებს შორის. მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, რ. კოუზი ამის თაობაზე ასე წერდა: „თანამედროვე პერიოდში ბატონობს ეკონომიკური მეცნიერების გაგება, რომელიც გამოხატულია ლ. რობინსის განსაზღვრებაში: „ეკონომიკა - ესაა მეცნიერება რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევას მის მიზნებსა და შეზღუდულ საშუალებებს შორის ურთიერთობათა თვალსაზრისით, რომელიც უშვებს ალტერნატიულ გამოყენებას". ეს განმარ-

ტება ეკონომიკას არჩევანის შესახებ მეცნიერებად გადააქცევს. სინამდვილეში, ეკონომისტთა უმეტესობა თვით რობინსის ჩათვლით, თავის სამუშაოს ზღუდავს არჩევანის ნაირსახეობათა გაცილებით უფრო ვინრო წრით, ვიდრე ეს განმარტება გულისხმობს"[7].

2.2. ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების და მეთოდების შესწავლის თავისებურებები ეკონომიკურ მეცნიერებაში

მეთოდოლოგია, როგორც ცნობილია, მეცნიერებაა მეთოდების შესახებ. ეკონომიკურ მეცნიერებასთან მიმართებაში მისი როლი სამეურნეო ცხოვრების და ეკონომიკური მოვლენების შესწავლის მეთოდების გამოვლენასა და შესაბამისად ამ სფეროში ცოდნის საშუალებათა (ინსტრუმენტების) და გზების (ხერხების) მიღწევაში მდგომარეობს, ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმის რეალური გაშუქების და შემდგომი განვითარების მიზნით, მისთვის დამახასიათებელი კატეგორიების და კანონების გათვალისწინებით.

თუმცა, ვიდრე მეცნიერული შემეცნების მეთოდების არსს განვიხილავდეთ ეკონომიკურ მეცნიერებაში, მიზანშეწონილია მოკლედ დავახასიათოთ სტრუქტურიზების ზოგადი პრინციპები, და ასევე ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების შინაარსი, რომელთაც იგი ემყარება, როგორც მეცნიერების ნებისმიერი სხვა დარგიც[8].

ისტორიულად ისე ხდება, რომ მკვლევარები, როგორც წესი, მიდრეკილები არიან პოზიტიური ხასიათის დასკვნების და განზოგადებებისკენ, ამასთან, უფრო ხშირად, ნორმატიული თვისების მქონე მრწამსით ხელმძღვანელობდნენ და გამომდინარე (აშკარად და არააშკარად) სასურველი ან იდეალიზებული პრინციპებიდან და საქმის სრულყოფილი მდგომარეობიდან, ხელოვნურად დაშორდნენ სინამდვილის რეალურ ასახვას. ასევე, ეკონომიკური მეცნიერების სტრუქტურაში მისი ეს შემადგენელი ნაწილი, რომელსაც *პოზიტიური მეცნიერება* ეწოდება, პრეტენზიას აცხადებს ობიექტურის წოდებაზე, ვინაიდან საკუთარ თავს სავსებით თავისუფლად მიიჩნევს ეთიკურ და ნორმატიულ მსჯელობაზე დამოკიდებულებისგან.

ამიტომ, მიუხედავად ამისა, რეალურ სინამდვილეში ეკონომიკურ მეცნიერებას ქმნის კიდევ ისეთი ნაწილიც, რომელსაც *ნორმატიულს (რეგულაციურს)* უწოდებენ. ამასთან, *თანფარდობა ეკონომიკური მეცნიერების პოზიტიურ და ნორმატიულ ნაწილებს*

შორის უნდა განვიხილოთ ცვალებად დონეთა პოზიციებიდან, რამდენადაც წარმოადგენს რა საფუძველს ნორმატიულ დებულებათა ფორმულირებისთვის, ე.წ. პოზიტიური დასკვნები, თავის მხრივ, თვითონ არც თუ იშვიათად აღმოჩნდებიან ნორმატიული თვისების განსაზღვრული დებულების შედეგი.

დაბოლოს, ეკონომიკური მეცნიერების სტრუქტურაში მესამე ნაწილი მიღებულია დაეთმოს თეორიებს, რომლებიც წარმოიშვა „ეკონომიკური ხელოვნების" შედეგად, ე.ი. ეგრეთ წოდებული შინაარსიანი ჰიპოთეზების ბაზაზე. სხვა სიტყვებით, უკანასკნელები განიხილებიან არა, როგორც დადასტურებული დებულებები და დასკვნები (როგორც ეს გამომდინარეობს კატეგორია „ჰიპოთეზის" განმარტებიდან), არამედ პირიქით, როგორც დადასტურების, და შესაბამისად „წესების სისტემაში მოცემული მიზნის მისაღწევად"- ჩაწერის მსურველები.

სტრუქტურიზების ზემოთ აღნიშნული პრინციპები, და შესაბამისად, ეკონომიკური მეცნიერების სამი შემადგენელი ნაწილი პირველად დასაბუთებული და გამოკვლეულ იქნა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის, ჯონ ნევილ კეინზის მიერ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის საგანი და მეთოდი" (1891). ხოლო თითოეული ამ ნაწილის არსი მის მიერ ჩამოყალიბდეა შემდეგნაირად: „პოზიტიური მეცნიერება...სისტემატურ ცოდნათა ერთობლიობაა, რომელიც მიეკუთვნება იმას, რაც არის; ნორმატიული ან რეგულირებული მეცნიერება...სისტემურ ცოდნათა ერთობლიობაა, რომელიც მიეკუთვნება იმას, რაც უნდა იყოს...ხელოვნება... წესების სისტემაა მოცემული მიზნის მისაღწევად"[9].

მეცნიერების, მათ შორის ეკონომიკურის, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრინციპებად უნდა გამოვყოთ ისეთები, როგორიცაა ირაციონალიზმი, რელატივიზმი, ევოლუციონიზმი, ორგანიციზმი, პოლიფუნქციონალიზმი.

ირაციონალიზმი, როგორც მეთოდოლოგიური პრინციპი, გულისხმობს გონების შემეცნებითი მნიშვნელობის უარყოფას ან გონებას დამხმარე როლს აკისრებს და ამიტომ უშვებს იმის მტკიცებას, რომ, როგორც ადამიანი და მისი გარემომცველი სამყარო, ისე ისტორია ირაციონალურები არიან თავიანთი ბუნებით, და ასევე პირველ ადგილზე წამოსწევს სასულიერო ცხოვრების ასპექტებს, რომელიც აზროვნების ფარგლებს გარეთ გამოდის, როგორც: ნებისყოფა, გრძნობა, ინტუიცია, წარმოდგენა, მისტიკური გაბრწყინება და ა.შ.

რელატივიზმი - მეთოდოლოგიის პრინციპი, რომელიც ემყარება დებულებათა აბსოლუტიზაციას სინამდვილის ცვალებადობის შესახებ და ჩვენი ცოდნის პირობითობას მის შესახებ, რის შედეგადაც შემეცნების განვითარების ფაქტები, რომელსაც თან ახ-

ლავს წინათ მიღწეული დონის გადალახვა, განიხილება როგორც მისი (შემეცნების) არაჭეშმარიტობის დამამტკიცებელი არგუმენტები, როგორც საფუძველი ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფისთვის.

ევოლუციონიზმი - მეთოდოლოგიური პრინციპი, რომლის შესაბამისად სისტემის განვითარების პროცესი განიხილება, როგორც რაოდენობრივი მახასიათებლების ნელი ცვლილება, რომელიც მიმდინარე თანდათანობითი და სიღრმისეული ცვლილებების კონსტატირების, ბუნებაში და საზოგადოებრივ პროცესებში ამ ცვლილებათა თავისებურებების დახასიათების საშუალებას იძლევა, ეკონომიკის, კულტურის და სხვა სისტემების ჩათვლით.

ორგანიციზმი - ეს ისეთი მეთოდოლოგიური პრინციპია, რომელიც უშვებს მხოლოდ ერთიან (სისტემურ) მიდგომას ობიექტების შესწავლისადმი, ხოლო მათი შემადგენელი ელემენტები და მათ შორის დამოკიდებულებები ხასიათდებიან, როგორც შინაგანი, ე.ი. როგორც გამოსაკვლევი ობიექტის კომპონენტები (ნაწილები).

პოლიფუნქციონალიზმი - მეთოდოლოგიის პრინციპი, რომელიც უშვებს ინდივიდის საქმიანობის შესწავლის აუცილებლობას ყველაზე მრავალფეროვან გამოვლინებებში, რათა თავიდან ავიცილოთ მრავალი სოციალური ფუნქციის დაყვანა მხოლოდ ერთის განსაზღვრამდე, რომლის შესაბამისად ადამიანი ძირითადად ხასიათდება, როგორც სარგებლიანობის ფუნქციის მაქსიმიზატორი.

ეკონომიკურ მეცნიერებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეურნეო მოვლენების შესწავლის (შემეცნების) მეთოდების საკმაოდ ფართო სპექტრი გააჩნია. მათ რიცხვში ყველაზე უფრო პოპულარული და ცნობილია ლოგიკური (მეცნიერული) აბსტრაქცია, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, ისტორიული და ლოგიკური მეთოდები, ანალოგია, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, ეკონომიკური ექსპერიმენტი და სხვ.

ლოგიკური (მეცნიერული) აბსტრაქციის მეთოდი (ლათინურად - „abstractio" ნიშნავს განყენებას, განრიდებას), გულისხმობს მკვლევარის წინასწარმოფიქრებულ განრიდებას კერძო, ან როგორც იტყვიან განსაზღვრული მოვლენის, მეორეხარისხოვანი მომენტების და მხარეებისგან მასში იმის გამოსავლენად, რასაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნია და მუდმივად მეორდება და ეკონომიკური მოვლენის არსის გახსნის საშუალებას იძლევა ისეთ ყველაზე უფრო ზოგად ცნებებში (კატეგორიებში), როგორიცაა წარმოება, ფული, გაცვლა, მოთხოვნილება, განაწილება და სხვ.

ანალიზი, როგორც შემეცნების ერთ-ერთი მეთოდი, შესასწავლი მოვლენის აზრობრივი დანაწევრების მრავალსაფეხურიან, მრავალსვლიან პროცესს ემყარება, ე.ი. მთელისა, შემადგენელ ელემენტებად, თითოეული ამ ნაწილის შემდგომი ცალკე გამოკ-

ვლევისთვის. თავის მხრივ, *სინთეზი* - შემეცნების ისეთი მეთოდია, რომლის დახმარებითაც ხდება ერთიანი (მთლიანი) სურათის ხელახალი შექმნა, ცალკეული ნანილების მთლიანში შეერთება.

მაგრამ, თუკი ეკონომიკური სისტემის გამოკვლევის პროცესში ანალიზის მეთოდი გამოიყენება სინთეზის მეთოდის შესაძლებლობებისგან მოწყვეტით, ელემენტების ურთიერთდამოკიდებულების და ამ სისტემის შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირის გამოსავლენად, მაშინ მართლზომიერია საუბარი ანალიზის უკვე *კაუზალური* - ე.ი. *მიზეზ-შედეგობრივი მეთოდის* შესახებ. მსგავსი სახის სიტუაცია საკმაოდ ცხადი იყო ეკონომიკური აზრის ევოლუციის ადრეულ პერიოდებში (მერკანტილიზმი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომია), როდესაც მკვლევარები მეთოდების მთელი მრავალფეროვნებიდან უპირატესობას კაუზალურს ანიჭებდნენ, თავიანთი გამოკვლევების უნაყოფო სენტენციამდე დაყვანით იმის შესახებ, რომ თუ რა არის პირველადი და რა მეორადი და რომელი კატეგორია და სფერო წარმოადგენს ფუძემდებლურს და ა.შ.

ამიტომ სინამდვილეში *ანალიზი და სინთეზი* - ერთი და იგივე პროცესის ორი მხარეა და ეკონომიკურმა მეცნიერებამ ერთობლიობაში უნდა გამოიყენოს.

სხვათა შორის საბაზრო მეურნეობის ორგანიზაციის პრინციპების გამოკვლევას ანალიზის შედეგების გაერთიანების საფუძველზე შედარებით არახანგრძლივი ისტორია გააჩნია. კერძოდ, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გერმანული ისტორიული სკოლის წყალობით, პირველად დასაბუთდა, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ფაქტორების და ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება (ფუნქციონალური კავშირი) ეკონომიკურ სისტემაზე მათი ზეგავლენის გათვალისწინებით. და მხოლოდ XIX საუკუნეში მარჟინალური რევოლუციის დასრულებით და ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების წარმოშობით, *ფუნქციონალური ანალიზი* წარმოების სფეროსა და მიმოქცევის სფეროს და ეკონომიკურ სისტემაში წონასწორობის დახასიათების ნაწილში განმტკიცდა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ფუნქციონალური მეთოდის ჩამოყალიბება, ე.ი. ანალიზისა და სინთეზის ერთიანობისა, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ა. მარშალის შემო-ქმედებასთან. ასე, მაგალითად, „ეკონომიკის პრინციპების" აღნიშნულ სახელმძღვანელოში, სპეციალურ დანართში „ეკონომიკური მეცნიერების საგანი და მეთოდი" იგი წერდა: თუკი ეკონომისტი სწრაფად და დაუფიქრებლად აკეთებს დასკვნებს, იგი არასწორად გამოავლენს ურთიერთკავშირებს თავისი მუშაობის ყოველ ეტაპზე", რამდენა-

დაც „წარსულის ახსნა და მომავლის განჭვრეტა - ეს არა განსხვავებული ოპერაციები, არამედ ერთიდაიგივე საქმია-ნობაა, რომელიც საპირისპირო მიმართულებებში ხორციელდება; ერთ შემთხვევაში - შედეგიდან მიზეზისკენ, მეორეში - მიზეზიდან შედეგისკენ"[10].

ამ მეცნიერის აზრით, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დაკვირვებას ან ისტორიას ზუსტად არ შეუძლიათ გვითხრას, თუ ორი მოვლენიდან რომელია პირველი, და რომელი გამოდის მეორის მიზეზად, და „არანაირი ორი ეკონომიკური მოვლენა ყველა ასპექტში იდენტური როდია". იგი ასევე გვაფრთხილებს, რომ „როგორი მჭიდროც არ უნდა იყოს ანალოგია ორ შემთხვევას შორის, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ მათ შორის განსხვავებები, როგორც არაარსებითი, ეს შესაძლოა ადვილი საქმე არ აღმოჩნდეს, მაშინაც კი, როდესაც ორივე შემთხვევა ერთი და იგივე ადგილს და დროს მიეკუთვნება"[11].

აქედან სავსებით გასაგები ხდება ა. მარშალის ცნობილი დარიგება მომავალი მკვლევარებისადმი: „და როგორც ეს ეკონომიკურ მეცნიერებაში ხდება, ცნობილი მიზეზების არა ის შედეგები, ცნობილი შედეგების არა ის მიზეზები, რომლებიც ყველაზე უფრო შესამჩნევია, არ წარმოადგენს მთლიანად ყველაზე მნიშვნელოვანს. „ის რაც უხილავია", ხშირ შემთხვევაში შესწავლის უფრო ღირსია, ვიდრე ის, „რაც ხილულია"[12].

ინდუქციის მეთოდი როგორც ცნობილია, ემყარება დასკვნას კერძოდან ზოგადისკენ, რომელიც უზრუნველყოფს გადასვლას ერთეული ფაქტების შესწავლიდან ზოგად დებუ-ლებებზე და დასკვნებზე გადასვლას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, *დედუქციის მეთოდი*, პირიქით, ემყარება დასკვნას ზოგადიდან-კერძოსკენ, რომელიც გადასვლის საშუალებას იძლევა ყველაზე ზოგადი დასკვნებიდან კერძომდე. ორივე ეს მეთოდი ისე, როგორც ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, *გამოყენებადია მხოლოდ ერთიანობაში*, რამდენადაც ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს აქსიომების მუდმივი მოგროვება, რომელიც ეჭვს არ ექვემდებარება. აკი, როგორც მისი ისტორია გვიჩვენებს, „დებულებები, რომლებიც ფუნდამენტურად და აქსიომატურად ითვლება... მუდმივად ეჭვებს ექვემდებარებიან"[13].

მაგალითად, კლასიკოსების, მათ შორის ჯ. ს. მილის ერთგულებას დედუქციური მეთოდისადმი, ლიბერალური ეკონომიკის ისეთ მონინააღმდეგებთან ერთად, როგორიცაა ს. სისმონდი და პ. პრუდონი, მიუთითებდნენ მათი მემკვიდრეებიც, ე.ი. ნეოკლასიკოსები და განსაკუთრებით ა. მარშალი. უკანასკნელი, კერძოდ წერდა: „... როდესაც ჩვენ ვიცით ორ ეკონომიკურ ძალთა ცალკეულ ზემოქმედებაზე - როგორც მაგალითად, ხელფასის გადიდება და

შრომის სიმძიმის შემცირება დარგში ცალ-ცალკე მოახდენს ზეგავლენას სამუშაო ძალის მიწოდებაზე ამ დარგში,- ჩვენ საკმაოდ ზუსტად უნდა განვჭვრიტოთ მათი ერთობლივი ზეგავლენის შედეგები, სპეციფიკური გამოცდილების შეძენამდე... მილი (ჯონ სტიუარტი) აზვიადებდა მასშტაბებს, რომლებშიც ეს შეიძლება გაკეთებულიყო, და ამიტომ იგი გადაჭარბებით აფასებდა დედუქციური მეთოდების როლს ეკონომიკურ მეცნიერებაში."[14]

შესწავლის მეთოდების ფართო სპექტრში, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებას გააჩნია, არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია *ისტორიულ და ლოგიკურ მეთოდებს*. ეს მეთოდები, ისე როგორც ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, *ერთიანობაში გამოიყენებიან* და ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან.

ისტორიული მეთოდი საშუალებას იძლევა ეკონომიკური მოვლენები და პროცესები, ეკონომიკური იდეები და კონცეფციები გამოვიკვლიოთ იმ თანამიმდევრობით, რომელშიც ისინი წარმოიშვნენ, ვითარდებოდნენ და ერთი მეორეთი იცვლებოდნენ. გარდა ამისა, ამ მეთოდის დახმარებით მკვლევარი შესაძლებლობას იღებს გამოავლინოს და შეადაროს სხვადასხვა ეკონომიკური სისტემების თავისებურებები, რომლებიც ემყარებიან შესაბამის მიმართულებათა, მიმდინარეობების და სკოლების ეკონომიკური აზრის თეორიებს, სამეურნეო ცხოვრებისა და ეკონომიკური თეორიის მრავალფეროვანი მოვლენების რიცხვში გამოვყოფთ ისეთებს, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან შესწავლილნი, განისაზღვროს მარტივიდან რთულისკენ აღმასვლის ლოგიკური ორიენტირები.

მოცემულ კონტექსტში ისტორიული მეთოდი მჭიდროდ გადაეხლართება ლოგიკურ მეთოდს, რომლის დახმარებითაც, კერძოდ, ეკონომიკური თეორიის სასწავლო ლიტერა-ტურის სხვადასხვა წყაროებში მოცემულია იმისი დასაბუთება, რომელი მისი განყოფილება უნდა იქნეს შესწავლილი თავდაპირველად - მიკროეკონომიკა თუ მაკროეკონომიკა და ა.შ. ამასთან, როგორც ა. მარშალი ვარაუდობს, ეკონომიკური მეცნიერების შორეული წარსულის ფაქტებისადმი ურთიერთდამოკიდებულების განხილვისას, „ეკონომიკური ისტორიის სპეციალისტს შეძლია გააფართოვოს ჩვენი ცოდნის საზღვრები და წამოაყენოს ახალი ფასეული იდეები, მაშინაც კი, თუ იგი კმაყოფილდება იმ დამთხვევათა და მიზეზობრივი კავშირების დაკვირვებით, რომლებიც ზედაპირთან ახლოს ძევს"[15].

სამეურნეო ცხოვრების შემეცნების მეთოდის სახით, ეკონომიკურ მეცნიერებაში *ანალოგია* გამოიყენება მისი ევოლუციის ყველა მთავარ ეტაპებზე. ამ მეთოდის წყალობით ცნობილ მოვლენათა თვისებები ადამიანის შემეცნების სხვადასხვა სფეროებში უცნობ მოვლენებზე გადაიტანება და მათ შორის ეკონომიკის ფუნ-

ქციონირების სფეროში. მაგალითად, უმნიშვნელოვანეს დებულებათა დასაბუთებისას ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი ცენტრალურია ცნება „თეორია“, რომელიც ანალოგიის პრინციპით ფიზიკიდან იქნა ნასესხები. ფიზიკიდან ანალოგიის სხვა მაგალითს შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკურ მეცნიერებაში დღეს გავრცელებული ისეთი ცნებები, როგორიცაა „ელასტიკურობა“, „ნონასნორობა“ და სხვ. ეკონომიკურ მეცნიერებაში ცოტა როდია ანალოგიები მედიცინის სფეროდან, რომელთა დახმარებით ტრადიცია გახდა ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერების ახსნა მაკროდონეზე, თითქოსდა საქმე ეხება ადამიანისეული ორგანიზმის ფუნქციონირებას და ა.შ.

ეკონომიკურ-მატემატიკური მოდელირების მეთოდი, როგორც გამოკვლევის ერთ-ერთი სისტემური მეთოდი, ემყარება ხერხებსა და საშუალებას, რომელიც სამეურნეო ცხოვრების მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარის გამოვლენის და მათი თვისობრივი განახლების საშუალებას იძლევა ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებათა მიზეზების ფორმალიზებული ასახვის მეშვეობით, რაც რეალურს ხდის ეკონომიკური პროცესების პროგნოზირებას. ეს მეთოდი, როგორც ცნობილია, წარმოიშვა ე.წ. „მარჟინალური რევოლუციის“ შედეგად, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებაში მოხდა XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ ფართოდ გავრცელდა XX საუკუნეში. მისი საფუძველია დიფერენციული და ინტეგრალური გამოთვლები, რომლის დასანყისი ეკონომიკური თეორიის სფეროში განახორციელეს ისეთმა ცნობილმა ეკონომისტებმა, როგორიცაა ო. კურნო, უ. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ვ. პარეტო, ა. მარშალი და სხვ.

მაგრამ, თავისთავად მათემატიკური ხერხები, ისინი რა ფორმითაც არ უნდა იქნენ წარმოდგენილნი, თვითმიზანი არ უნდა იყოს ეკონომიკურ ანალიზში, სადაც მ. ალეს სიტყვებით თუ ვიტყვით, სინამდვილეში არსებობს „ლავირების პრობლემა „ლიტერატურის თეორიასა“ და „მათემატიკურ თაღლითობას შორის“[16]. და, სამწუხაროდ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ რ. კოუზსაც იმაში, რომ „თუკი სისულელე ძალზედ დიდია, იგი შეიძლება ხმამაღლა დაამღერო.“ თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში კი იგი შეიძლება მათემატიკური ფორმით შემოსო.“[17].

ამასთან ერთად, დღეს არავისში ეჭვს არ იწვევს ა. მარშალის აზრი იმის შესახებ, რომ „მომზადება მათემატიკის სფეროში სასარგებლოა იმით, რომ იგი საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად შეკუმშულ და ზუსტ ენას დავეუფლოთ ეკონომიკური მსჯელობების ზოგიერთ ზოგად ურთიერთობათა და ზოგიერთი მოკლე პროცესების მკაფიოდ გამოსახატავად, რომლებიც მართლაც შეიძლე-

ბა გამოითქვას ჩვეულებრივი ენით, მაგრამ სქემის თანაბარფასოვანი მკაფიოობის გარეშე"[18].

დაბოლოს, ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა შესწავლის ისეთ მეთოდს, როგორიცაა *ეკონომიკური ექსპერიმენტი*, თუმცა, უკანასკნელის შესაძლო შედეგები ყოველთვის როდია განჭვრეტადი. ეს მეთოდი გულისხმობს ეკონომიკური მოვლენისა ან პროცესის მიზანმიმართულ ხელოვნურ კვლავწარმოებას (იმიტაციას), მისი შესწავლისა და დადასტურების მიზნით და (ან) ადრე ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზათა შესაცვლელად. ეკონომიკური აზრის ისტორიაში შეგნებული მასობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტირების მცდელობები დაკავშირებულია ისეთ პიროვნებათა სახელებთან, როგორებიცაა რ. ოუენი, პ. პრუდონი, და სხვ. XIX საუკუნეში, ფ. ტეილორი, ჰ. ფორდი, ჯ. მ. კეინზი, მ. ფრიდმანი და სხვ. XX საუკუნეში.

2.3. ეკონომიკური მეცნიერების საგანი და მეთოდი რეტროსპექტივაში

ეკონომიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის შესახებ წარმოდგენათა ჩანასახები გამოჩნდა უძველესი სამყაროს და შუასაუკუნეების გამოჩენილ მოაზროვნეთა ნაშრომებში, ე.ი. ჯერ კიდევ მისი, მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად გამოყოფამდე დიდი ხნით ადრე. მათში აშკარაა დაუფარავი ზიზღი კომერციისადმი და მდაბიოთა გამდიდრებაზე გატაცებისადმი მტრობა, აქედან, მათი ვერსიით ეკონომიკური მეცნიერების საგანი ძირითადად უნდა დაეყვანათ პირადი საოჯახო მეურნეობის ორგანიზაციის პრობლემატიკის შესწავლაზე, მეურნეობის საზოგადოებრივი სექტორის იმ ნანილშიც, რომელსაც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროფილი გააჩნია, ხოლო მეთოდი - ისეთი „წესებისა" და „ნორმების" დასაბუთებამდე, რომლებიც საზოგადოებაში ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის მართლზომიერებას „ახსნიდნენ".

მერკანტილიზმი ჩამოყალიბებადი ეკონომიკური მეცნიერების პირველი სკოლა გახდა შეხედულებებისა და შეფასებების ჩამოყალიბებული სისტემით მისი საგნის არსის განმარტების ნაწილში (მიმოქცევის სფეროს პრობლემატიკა), ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპების (ანალიზის კაუზალური მეთოდისა და ემპირიზმისადმი ერთგულება) და ეკონომიკური პოლიტიკის სამეურნეო ცხოვრების მაკოორდინირებელი (უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს პროტექციონისტული ღონისძიებების მეშვეობით). მერკანტილისტები, როგორც ეკონომიკური მეცნიერების პიონერები,

შემდგომში ორიენტირები გახდნენ სწავლულ ეკონომისტთა მრავალი თაობისთვის, რომლებიც ცდილობდნენ მათ კვალდაკვალ გაეაზრებინათ პრობლემების კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებული იყო მისი შესწავლის საგანთან და მეთოდთან.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომელმაც გამოდევნა მერკანტილისტური მოძღვრება, ყურადღება გაამახვილა ეკონომიკურ ანალიზზე, უწინარეს ყოვლისა, წარმოების სფეროში (შესწავლის საგანი), ტენდენციურად ვერ შეაფასა რა მიმოქცევის სფეროს პრობლემატიკის საპირისპირო ზეგავლენა მასზე. მაგრამ, მიუხედავად შესწავლის საგნის საზღვრების სივიწროვისა, კლასიკოსები მიმართულები იყვნენ იმ ეპოქის მეცნიერული მეთოდოლოგიის ყველაზე ახალ მიღწევებზე, დედუქციის, ინდუქციის, ლოგიკური აბსტრაქციის და სხვათა ჩათვლით, რომელთა შორის, მართლაც პირველ ადგილზე აყენებდნენ იგივე კაუზალური ანალიზის მეთოდს.

სწორედ კაუზალური მეთოდის უპირატესობამ, კვლევის სხვა მეთოდების წინაშე, განაპირობა კლასიკოსების მრავალი გამარტივებები და დაუდევრობები თეორიული კვლევების სფეროში და კერძოდ ღირებულების თეორიის შემუშავებისას. უკანასკნელი, როგორც ცნობილია, განიხილება პოლიტიკური ეკონომიის მიერ ერთფაქტორიანი (ხარჯვითი) მახასიათებლით, რომელიც ან წარმოების ხარჯებს ემყარება, ან დახარჯული შრომის რაოდენობას. გარდა ამისა, კაუზალური მეთოდი კლასიკოსთა შემოქმედებაში აშკარაა მათ გატაცებაში საზოგადოების კლასებად და საზოგადოებრივი შრომისა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომად დაყოფისადმი; ეკონომიკაში **laissez faire**-სა და კერძო საკუთრების პრინციპების უსიტყვო პრიორიტეტის პოზიციაში.

ეკონომიკური აზრის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისადმი ალტერნატიულმა მიმართულებებმა სათავე დაუდეს არსებით პოზიტიურ ძვრებს შეხედულებებსა და შეფასებებში ეკონომიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის თაობაზე. კერძოდ, ეკონომისტრომანტიკოსთა მეცნიერული კვლევების წყალობით აღმოცენდა საკმაოდ არგუმენტირებული დამუშავებები, ერთი მხრივ, ეკონომიკური მეცნიერების საზღვრების გაფართოების მიზანშეწონილების შესახებ (მორალურ-ეთიკური და ზნეობრივი თვისების პრობლემატიკით), ხოლო მეორე მხრივ - ანალიზის დედუქციური და ინდუქციური მეთოდების აბსოლუტიზებაზე და ეკონომიკის ავტომატიური თვითრეგულირების იდეაზე უარისთქმის და ეკონომიკის დელიბერალიზაციის რეფორმების განხორციელებით, ამასთან ეკონომიკური ექსპერიმენტირების პრინციპებით ხელმძღვანელობით.

თავის მხრივ, უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებმა, რომლებიც, ისე როგორც კლასიკოსები, სამეცნიერო-ტექნიკური

პროგრესის და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდებისთვის იბრძოდნენ, მათ დაუპირისპირეს ეკონომიკურ პოლიტიკაში სოციალური სამართლიანობის პრინციპების იდეების პრიორიტეტული როლი, რომელთა მიღწევას უკავშირებდნენ რეფორმისტული დოქტრინების მეცნიერულ-მეთოდურ დამუ-შავებას და დასაბუთებას, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკის უკრიზისო განვითარებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო საკუთრების ინსტიტუტის მონოპოლიური მდგომარეობის ლიკვიდაციას.

დაბოლოს, გერმანიის ისტორიულმა სკოლამ უზრუნველყო ყველა აუცილებელი ნანამძღვრები ეკონომიკური მეცნიერების ანალიტიკური არეალის (შესწავლის საგანი) მნიშვნელოვანი გაფართოებისთვის, მასში ეკონომიკური და არაეკონომიკური პრობლემატიკის თვისების ისტორიული კონტექსტის, ე.ი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობის ჩათვლით. ამ სკოლამ დაადასტურა კლასიკოსების მიერ სინამდვილის ასახვის მოჩვენებითი ხასიათი, რომლებიც ეკონომიკურ ანალიზში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დედუქციის, ინდუქციის და ლოგიკური აბსტრაქციის მეთოდებს. მისი ავტორები აუცილებლად მიიჩნევდნენ ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის სფეროში პირველ პლანზე წამოეწიათ „ადამიანისეული ფაქტორი", ეკონომიკური და არაეკონომიკური გარემოს ურთიერთკავშირის გამოვლენა, საზოგადოების განვითარების ფაზებისა და განვითარების ეტაპების გამოკვლევაში არაკლასობრივი კრიტერიუმების ადგილისა და როლის განსაზ-ღვრა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის „მარჟინალური რევოლუციის" პირველ ეტაპზე ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ეკონომიკური აზრის ე.წ. სუბიექტურ მიმართულების წარმომადგენლები. სუბიექტივისტები თავიანთ შემოქმედებაში ეკონომიკური მეცნიერების საგანს ზღუდავდნენ მოხმარების სფეროს (გაცვლის) პრობლემატიკით და ღირებულების წარმოშობის მიზეზს ზღვრულ სარგებლიანობასთან (მოთხოვნასთან) აკავშირებდნენ. მაგრამ კვლევის მეთოდოლოგიის სფეროში მათ შეძლეს გაცილებით მეტი ნახტომის მიღწევა და განსაკუთრებით მიკროეკონომიკური და მათემატიკური ანალიზის მეთოდურ დამუშავებათა ნაწილში.

„მარჟინალური რევოლუციის" მეორე ეტაპის ლიდერებმა, რომელთაც სათავე დაუდეს ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკურ მიმართულებას, დაასაბუთეს „კანონების" გამოვლენისა და იმავდროულად ორივე სფეროს - წარმოებისა და მოხმარების პრობლემათა შემეცნების აუცილებლობა. მაგრამ ეკონომიკური მეცნიერების „საზღვრების" ასეთი სახის გაფართოებასთან ერთად მათ მოახერხეს მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების არსებითი განახლე-

ბა და განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭება ფუნქციონალური ანალიზის კაუზალური მეთოდისადმი, მათემატიკური ანალიზის საყოველთაო გავრცელებისადმი, მათ შორის მათემატიკური მოდელირებისადმი მიკრო- და მაკროდონეებზე.

ნეოკლასიკოსთა მეთოდოლოგიაში შესამჩნევი ადგილი უკავია ასევე ეკონომიკის სტატიკური და დინამიური მდგომარეობის ანალიზის მეთოდებს, საბაზრო ფასის არსის დახასიათების ორკრიტერიუმიან მეთოდს, ფირმების და წარმოებრივ სიმძლავრეთა სიდიდის ოპტიმიზაციის მეთოდებს.

მარჟინალური ეკონომიკური თეორიის მიღწევებმა ეკონომიკურ მეცნიერებაში „მარჟინალური რევოლუციის" განხორციელების პერიოდში გარკვეული თეორიულ-მეთოდოლოგიური „ვაკუუმი" განაპირობეს, რომელიც გარკვეული ზომით შეავსო ეკონომიკური აზრის სოციალ-ეკონომიკური მიმართულების ალტერნატიული, ნეოკლასიკური მიმართულების ნარმომადგენლებმა. ინსტიტუციონალისტებმა ეკონომიკური ანალიზის საგნის სახით განსაზღვრეს (გერმანული ისტორიული სკოლის ავტორთა მსგავსად) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობა, რომელიც ისტორიულ კონტექსტში განიხილება. მეთოდოლოგიური პრინციპების სფეროში კი ინსტიტუციონალისტებმა რამდენადმე შორს წაინიეს მათთვის სულიერად ახლობელი გერმანული ისტორიული სკოლის ავტორებთან შედარებით, პირველ ადგილზე ანტიმონოპოლიური ღონისძიებების დაყენების მიზანშეწონილებით და მათთან დაკავშირებული დანვრილებითი რაოდენობრივი გამოკვლევებით.

1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ გამოკვლევებმა, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის პრობლემატიკას შეეხებიან, სულ უფრო დივერსიფიკაციული (ურთიერთშეღწევის) ნიშანთვისებები შეიძინეს და ხელი შეუნყვეს მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიულ-მეთოდოლოგიური კვლევების თვისებრივ განახლებას.

მსგავსი თვისების მაგალითი გახდა სრულყოფილი კონკურენციის უარყოფის დასაბუთება და მისგან გამომდინარე „სეის ბაზრების კანონი", და ასევე ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინზური და ნეოლიბერალური თეორიები, რომლებიც ნიშნავ-და laissez faire-ს ორთოდოქსული დოქტრინის დასასრულს.

ამრიგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერებისთვის დამახასიათებელია ცოდნის საკუთარი სფერო (შესწავლის საგანი) და ძიების სპეციალიზებული ტექნიკა და ობიექტური სინამდვილის ფაქტების ინტერპრეტაცია (მეთოდოლოგიური პრინციპები და ანალიზის მეთოდები), მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის და კონცეფციების განვითარების მსვლე-

ლობაში, რომელიც დაკავშირებულია მისი პრობლემატიკის საგნისა და მეთოდის სპეციფიკასთან. იგი „გაცივებული" და მით უმეტეს „მკვდარი" თეორია როდია, ვინაიდან მისი შესწავლის საგანი აღწევს საზოგადოების ცხოვრების სულ უფრო ახალ სფეროებში, თვისებრივად ახალი დონის მიღწევით, ხოლო მეთოდი არ იზღუდება ეკონომიკური ფაქტორების, იდეების და კონცეფციების მხოლოდ კაუზალური (მიზეზ-შედეგობრივი) განხილვით, მოცემული პრობლემატიკის არაეკონომიკური ასპექტებისგან მონყვეტით. აქედან, უეჭველია უდაოდ დიდი მნიშვნელობა, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებას გააჩნია პრაქტიკულ საქმიანობაში. ამიტომ დამწყები და გამოცდილებით დაბრძენებული სწავლული ეკონომისტის „მოვალეობაა" მუდმივად განაგრძოს დაუღალავი ძიებები (იმისათვის, რომ „მოგვცეთ შეძლებისდაგვარად ეკონომიკური თეორიის საგნისა და მეთოდის პრობლემათა მარტივი და იმავდროულად განმაზოგადებელი გადმოცემა, რომელთაც განხილვის დიდი ხნის ისტორია გააჩნიათ"[19].)

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რაში მდგომარეობს ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის თავისებურებები?
2. გახსენით შემადგენელი ნაწილების არსი, რომლებიც ქმნიან ეკონომიკურ მეცნიერებას.
3. რომელ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარება ეკონომიკური მეცნიერება? კომენტარი გაუკეთეთ მათ.
4. დაახასიათეთ სამეურნეო მოვლენათა შესწავლის (შემეცნების) ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდების შინაარსი.
5. როგორია ეკონომიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის თავისებურებები ეკონომიკური აზრის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპებზე?

განყოფილება მეორე. საბაზრო ეკონომიკამდელი ეპოქის ეკონომიკური მოძღვრება

თავი 3. ძველი სამყაროს და შუასაუკუნეების ნატურალურ-სამეურნო ეკონომიკური აზრი

ამ თავის შესწავლის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

- რომ ეკონომიკური მეცნიერების სათავეები უნდა ვეძებოთ ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური მონობის ცივილიზაციების ეკონომიკური აზრის ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში;
- ძველი სამყაროს და შუასაუკუნეების ეკონომიკური იდეებისა და შეხედულებების გამომხატველები რატომ გმობდნენ მსხვილ სავაჭრო და მევახშურ ოპერაციებს;
- როგორი იყო ნატურალური მეურნეობის ბატონობის ეპოქაში ფულის და მისი ფუნქციების, შრომის და სიმდიდრის დანაწილების, სესხის სარგებლის და სავაჭრო მოგების, გაცვლის კანონების და „სამართლიანი ფასების" განმარტებები.

3.1. ძველი სამყაროს ეკონომიკური მოძღვრება

პირველი სახელმწიფო წარმონაქმნების და სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის წარმოშობით, ე.ი. უძველესი ცივილიზაციის დროიდან, საზოგადოების წინაშე წარმოიშვა მრავალი საარსებო პრობლემა, რომელთა აქტუალობა და მნიშვნელობა დღემდე შენარჩუნებულია და საეჭვოა ოდესმე დაიკარგოს. მათ რიცხვში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო და, ცხადია, ყოველთვის იქნება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის იდეალური მოდელის განმარტების პრობლემა, ეკონომიკური იდეებისა და კონცეფციების ლოგიკურად შემოწმებული სისტემატიზაციის საფუძველზე ეკონომიკურ თეორიაში, რომელიც მიიღება საყოველთაო მონონების შედეგად მოქმედების სახელმძღვანელოს სახით, სამეურნეო პოლიტიკის განხორციელების დროს.

მაინც, როგორ ხორციელდებოდა ეს პრობლემა ძველ სამყაროში? ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულიდან და ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულამდე ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური მონობის ქვეყნებში შენარჩუნდებული იყო მონათმფლო-

ბელობის და ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობათა პრიორიტეტის სისტემა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების წინაშე?

ამ კითხვებზე პასუხები შეიძლება დაყვანილ იქნენ შემდეგზე:

1) ძველი სამყაროს ეკონომიკური აზრის გამომხატველები - დიდი მოაზროვნეები (ფილოსოფოსები) და მონათმლობელურ სახელმწიფოთა ცალკეული გამგებლები - ცდილობდნენ მონათმფლობელობისა და ნატურალური მეურნეობის იდეალიზებას და მარადიულად შენარჩუნებას;

2) ძველი სამყაროს იდეოლოგების მტკიცებები უპირატესად მორალის, ეთიკის, ზნეობრიობის კატეგორიებს ემყარებოდა და მიმართული იყო მსხვილი სავაჭრო-მევახშეობითი ოპერაციების წინააღმდეგ, ე.ი. ფულადი და სავაჭრი კაპიტალის თავისუფალი ფუნქციონირების წინააღმდეგ, რომლებშიც თვალს მიადევნებდნენ ხელოვნურ არსს, რომელიც ბაზარზე, ღირებულების მიხედვით, საქონელთა გაცვლის პროცესის ექვივა-ლენტურობის და პროპორციულობის პრინციპს არღვევს.

მაგრამ ძველი სამყაროს ეკონომიკური აზრის ევოლუციის უფრო საფუძვლიანი და სრული დახასიათებისთვის აუცილებელია აღმოსავლური და კლასიკური (ანტიკური) მონობის სამეურნეო ცხოვრების თავისებურებათა და ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის და ანტიკურ სახელმწიფოთა ეკონომიკური აზროვნების ჩვენამდე მოღწეული ძეგლების ძირითადი იდეების და შეხედულებათა განცალკევებული განხილვა.

ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციების ეკონომიკური აზრი

აღმოსავლური მონობის მთავარი თავისებურება როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მასშტაბურ სამეურნეო ფუნქციებში მდგომარეობს, რომელიც ნაწილობრივ განპირობებულია ობიექტური წანამძღვრებით. ასე, მაგალითად, იმიგრაციული სისტემის შექმნა და მასზე კონტროლი მოითხოვდა სახელმწიფო ორგანოების უსიტყვო მონაწილეობას ამ საქმია-ნობაში, მათ შორის სამართლებრივ ღონისძიებათა ნაწილში. მაგრამ თავისი არსით ნატურალური მეურნეობის ზომაგადასული სახელმწიფო მეურვეობა (რეგულირება) სასესხო ოპერაციათა, ვაჭრობის და სასესხო კაბალის რეგლამენტირების მეშვეობით, და სახელმწიფო საკუთრების წამყვანი როლი ეროვნულ ეკონომიკაში ის კრიტერიუმი გახდა, რო-

მელთა შესაბამისად აღმოსავლური ცივილიზაციების მეურნეობას არაიშვიათად *წარმოების აზიურ წესს* უწოდებენ.

შევჩერდეთ ყველაზე უფრო პოპულარულ წყაროებზე - ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის ეკონომიკური აზრის ძეგლებზე.

ძველი ეგვიპტე. ამ ქვეყნის მაგალითზე კაცობრიობას გააჩნია ეკონომიკური აზრის ყველაზე ადრეული ძეგლი სახელმწიფო წარმონაქმნთა ფარგლებში თვითორგანიზაციის მთელი ისტორიის მანძილზე. ერთ-ერთი მათგანი დათარიღებულია ძვ. წ. XXII საუკუნით და მას წარმოადგენს რაღაც გზავნილი, რომელმაც „ჰერაკლეოპოლის მეფის შვილისადმი დარიგების“ სახელწოდება მიიღო. ამ „დარიგებაში“ მოტანილია მეურნეობის სახელმწიფოებრივი მართვის და ხელმძღვანელობის „წესები“, რომელთა დაუფლება მმართველისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ხელოვნების ნებისმიერი სხვა სფერო. მეორე ძეგლი დათარიღებულია ძვ.წ. XVIII საუკუნის დასაწყისით და ეწოდება „იპუვერის ქადაგებანი “, ხოლო მისი მთავარი იდეაა - სასესხო ოპერაციათა და სავალო მონობის უკონტროლო ზრდის დაუშვებლობა „უბრალო ადამიანთა“ გამდიდრებისა და ქვეყანაში სამოქალაქო ომის დაწყების თავიდან ასაცილებლად.

ბაბილონი. მესოპოტამიის ამ ძველაღმოსავლურმა სახელმწიფომ, რომელიც ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთში მდებარეობს, შთამომავლებს თავისი მეფე ჰამურაბის (ძვ.წ. 1792-1750 წწ.) ქმნილებები დაუტოვა, რომელსაც ხშირად კანონების კოდექსს უწოდებენ, რომელიც ამ ქვეყანაში ძვ.წ. XVIII საუკუნეში მოქმედებდა. მის შესაბამისად ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობათა ნგრევის თავიდან ასაცილებლად და ქვეყნის სუვერენიტეტის საფრთხისთვის სახელმწიფო სტრუქტურების და ჯარის შესუსტების გამო, ხაზინაში შემცირებული გადასახადების მიღების გამო ადგენდნენ მეტისმეტად მკაცრ სამართლებრივ ნორმებს. მათი დარღვევა იწვევდა ყველაზე უფრო მკაცრ, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, სიკვდილით დასჯამდეც კი. აი ზოგიერთ კანონმდებლურ მიზანდასახულობათა მაგალითები ჰამურაბის კოდექსში.

- სხვისი (კერძო) საკუთრების, მათ შორის მონის ხელმყოფი ისჯება მონობისადმი მიბრუნებით ან სიკვდილით;
- ვალის დროულად გადაუხდელობისთვის არც სამეფო მეომრები, არც სხვა ბაბილონელი-მოქალაქეები მეტი არ კარგავენ მინის ნაკვეთებს;
- სავალო მონობის ვადა ვინც არ უნდა იყოს იგი (ცოლი, შვილი, ქალიშვილი ან ოჯახის მამა) არ უნდა აღემატებო-

დეს სამ წელს, ხოლო თვით ვალი უქმდება სასჯელის ვადის გასვლისთანავე;

- ფულადი სარგებლის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს საწყისი თანხის 20%-ს, ნატურალურის-33%-ს.

ძველი ჩინეთი. ძველჩინური ეკონომიკური აზრის თავისებურება, როგორც წესი, კონფუცის (ძვ.წ. 551-579 წწ.) სახელთან და მის კრებულთან („საუბრები და მსჯელობები") და ასევე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში პოპულარულ, კოლექტიური ტრაქტატის „გუან-ძის" იდეებთან ასოცირდება.

რეგლამენტირებული პატრიარქალური ურთიერთობების და სახელმწიფოს მიერ დიდგვაროვანთა და ყველა „ზემდგომთა" ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვის მომხრე კონფუცი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მხოლოდ „ხალხის მამას" და „სწორი მოქმედების" გარანტს - განათლებულ მმართველს შეუძლია რეალური ზეგავლენის მოხდენა საზოგადოების მიერ შექმნილი სიმდიდრის თანაბარზომიერ განაწილებაზე. ეს ფილოსოფოსი, თუმცა კი აღიარებდა ადამიანთა წოდებების მიხედვით დაყოფის ღვთისეულ და ბუნებრივ საწყისს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველი ადამიანის მოვალეობად თვლიდა, მისწრაფებას ზნეობრივი სრულყოფისკენ, ასაკით უფროსთა, შვილებთან და ძმებთან პატივისცემის მიღწევას. მისი მოსაზრებით, „ხალხს მაშინ ექნება შეძლება", როდესაც მეურნეობრიობა იქნება უნარიანი, ხოლო შრომა, რომელიც ამრავლებს ხალხისა და ხელმწიფის სიმდიდრეს, ერთნაირად ხელსაყრელი გახდება, როგორც „დიდი ერთობის პირობებში" (გლეხური თემის კოლექტიური საკუთრების დროს), ისე საგვარეულო არისტოკრატიის და არასგვარეულო მონათმფლობელთა კერძო მფლობელობისთვის.

„გუან-ძის" ავტორები, კონფუცის მსგავსად, მთავარის სახით აყენებდნენ ამოცანას „სახელმწიფო მდიდარი გაეხადათ და ხალხი კმაყოფილი" (სიმდიდრის თანაბარზომიერი განაწილების მეშვეობით, ვაჭრებისა და მევახშეთა „გამდიდრების" გარეშე) და ასევე, როგორც იგი იბრძოდა საზოგადოების წოდებრივი დაყოფის ურყეობისთვის (იმ ვარაუდით, რომ ღვთით შერჩეულ დიდგვაროვანთა და უმაღლეს წოდებათა გარეშე ქვეყანას არ ექნებოდა შემოსავლები და რომ არ შეიძლება „ყველა იყოს დიდგვაროვანი". რამდენადაც მაშინ არავინ იშრომებდა). ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობათა სტაბილიზების ღონისძიებებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ისინი სახელმწიფოს მიერ პურის ფასის რეგულირებას მიიჩნევდნენ (რამდენადაც „სოფლებში მეფობდა სიმშვიდე"), პურის სახელმწიფო მარაგების შექმნა, მიწათმფლობელებისთვის შეღავათიანი კრედიტის შემოღება, რკინასა და მარილზე

პირდაპირი გადასახადების შეცვლა არაპირდაპირით და სხვ. უინტერესო არ იქნება აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ სიმდიდრის ცნების ძირითად შემადგენლებად ტრაქტატში, ოქროსთან და მარგალიტთან ერთად, დასახელებულია სხვა მატერიალური დოვლათი, რომელთა საქონლური არსი ბაზარზე ეჭვს არ იწვევს. ამასთან, ოქროს, როგორც საქონლის სახელმწიფოს რესურსების გაანგარიშების როლი, უნინარეს ყოვლისა, „აიხსნებოდა" მისი ბუნებრივი დანიშნულებით, გამოსულიყო ფულის სახით და ხელი შეეწყო ისეთი გაცვლისთვის, რომლის შედეგადაც „სარგებელი ზოგიერთებს" „მეტი ექნებოდათ, ვიდრე სხვებს."

ძველი ინდოეთი. ძველინდური ეკონომიკური აზრის ყველაზე ნათელ დასტურს ძვ.წ. IV-III სს. ტრაქტატი „არტჰაშასტრა" წარმოადგენს, რომელიც თარგმანში ნიშნავს მოძღვრებას („არტჰა") შემოსავლების („შასტრა") შესახებ. მისი ავტორი იყო ვინმე კაუტილია (მეფე ჩანდრაგუპტი I-ის მრჩეველი ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს), რომელმაც თავის ხალხს წარუდგინა მოსაზრებები სიმდიდრის შრომითი წარმომავლობის და სავაჭრო მოგების ვაჭრებსა და სახელმწიფოს შორის განაწილების პროცესების რეგულირების აუცილებლობის შესახებ. მისი შეხედულებით, სწორედ სახელმწიფო უზრუნველყოფს საირიგაციო ნაგებობათა დაცვას, შეღავათიან მიწათსარგებლობას, წიაღისეულის წყაროების ათვისებას, გზების მშენებლობას, სარეწების განვითარებას, ბრძოლას ქორვაჭრეებთან და ა.შ. ტრაქტატის თანახმად, „სიმდიდრის დაგროვება" ბუნებრივად გულისხმობს საზოგადოების დაყოფას მონებად და თავისუფალ მოქალაქეებად - რომელთათვის „არ უნდა იყოს მონობა", და თითოეული, ვინც არ დააბრუნებს მიწის სარგებლობისთვის კუთვნილ ვალს, ვალდებულია ამისთვის დაბალი წოდების ხვედრი დროებით ან სამუდამოდ გაინანილოს. სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი მექანიზმის მხარდაჭერისას, კაუტილიამ წამოაყენა საქონლის ფასში მწარმოებელთა და ვაჭრების დანახარჯთა დიფერენციაციის განსაკუთრებით ემპირიული ვარიანტი; მათ, წინასწარ დადგენილი ნორმატივებით, ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის საქონელთა ფასიდან სთავაზობდნენენ შესაბამისად 5 და 10%-ს.

ძველი საბერძნეთის ეკონომიკური აზრი. მონობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ საბერძნეთში და რომში ძვ.წ. I ათასწლეულში, კლასიკურს და ანტიკურს უწოდებენ. ამასთან, ანტიკური მონობის საუკეთესო მიღწევას ძვ.წ. V-VI საუკუნეებში ძველბერძნული ფილოსოფოსების ქსენოფონტის, პლატონის და არისტოტელეს ნაშრომები წარმოადგენდა. ამიტომ შემდგომში საუბარი იქნება ნატურალური მეურნეობის „ღირსებების" ხედვაზე და მო-

ნათმფლობელობის „ბუნებრივ" ხასიათზე მხოლოდ დასახელებულ ავტორთა მაგალითზე.

ქსენოფონტე (ძვ.წ. 430-354 წწ.) ამ ფილოსოფოსის ეკონომიკურმა შეხედულებებმა თავისი ასახვა ჰპოვეს მის ტრაქტატში „ოიკონომიკოსი", რომელშიც მოტანილია შემდეგი დებულებები:

- შრომის დაყოფას გონებრივ და ფიზიკურ სახეებად, ხოლო ადამიანებისას - თავისუფალ ადამიანებად და მონებად ბუნებრივი წარმომავლობა გააჩნია;
- ბუნებრივ წარმომავლობას პასუხობს მინათმოქმედების უპირატესი განვითარება, ხელოსნობის და ვაჭრობის განვითარებასთან შედარებით;
- მწარმოებლურად „ყველაზე უფრო მარტივი სამუშაოს" შესრულებაც შესაძლებელია;
- შრომის დანაწილების ხარისხი, როგორც წესი, განპირობებულია გასაღების ბაზრების სიდიდით;
- ყოველი საქონლისთვის დამახასიათებელია სასარგებლო თვისებები (სამომხმარებლო ღირებულება) და სხვა საქონელზე გაცვლის უნარი (საცვლელი ღირებულება);
- ფული ადამიანების მიერ გამოგონილია იმისთვის, რომ მისი დახმარებით განხორციელდეს საქონელთა მიმოქცევა და სიმდიდრის დაგროვება, მაგრამ არა მევახშური გამდიდრება.

პლატონი (ძვ.წ. 428-327 წწ.). ეს ფილოსოფოსი, რომელმაც განჭვრიტა სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ე.წ. კომუნისტური მოდელის შემდგომში აღმოცენებული რიგი ელემენტები, იცავდა უწინარეს ყოვლისა მონათმფლობელური საზოგადოების ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობებს, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა იდეალური სახელმწიფოს ორ პროექტში, შესაბამისად მის ნაწარმოებებში „სახელმწიფო" და „კანონები".

პირველ თხზულებაში საქმე ეხება, პლატონის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველყოფაში, რომლის შესასრულებლად ერთობლივად მოწოდებულები არიან არისტოკრატიული ფენები (ფილოსოფოსები) და მეომართა (ჯარი) ფენები. ეს ფენები, იდეალური მართვის აპარატის განსახიერებით, მეცნიერის აზრით, არ უნდა ფლობდნენ საკუთრებას და არ დაიმძიმონ თავი მეურნეობით, რამდენადაც მათი მატერიალური უზრუნველყოფა (გათანაბრებითი პრინციპით) საზოგადოებრივი უნდა გახდეს. საზოგადოების დანარჩენი ნაწილი პროექტში მიეკუთვნება, საკუთრების მფლობელ და განმკარგავ მესამე წოდებას, რომელსაც პლატონმა ბრბო (მდაბიო) უწოდა (მინათმოქმედები, ხელოსნები, ვაჭრები), და მონებს,

რომლებიც გათანაბრებულია თავისუფალ მოქალაქეთა საკუთრებასთან.

მეორე ნანარმოებში ფილოსოფოსი წარმოადგენს იდეალური სახელმწიფოს განახლებულ მოდელს, თავისი არგუმენტაციის განვითარებითა და დაკონკრეტებით მევახშეობის დაგმობის ნაწილში, მეურნეობაში მინათმოქმედების ნამყვანი როლის დასაბუთებით ხელოსნობასა და ვაჭრობასთან შედარებით. ამასთან, ძირითადი ყურადღება ისევ საზოგადოების მართვის აპარატს ეთმობა, ე.ი. უმაღლეს წოდებათა „მოქალაქეებს", რომლებიც, კერძოდ, მფლობელობისა და განკარგვის უფლებას (საკუთრების არასრული უფლება) აძლევენ მათ სახელმწიფოს მიერ სახლისა და მიწის ნაკვეთის კენჭისყრით შეთავაზებით. გარდა ამისა, პროექტით დათქმულია მიწის შემდგომში მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა იგივე პირობებით ერთ-ერთ შვილზე და მოთხოვნა, რომ მოქალაქეთა საერთო ქონების ფასეულობა არ განსხვავდებოდეს ოთხჯერადზე უფრო მეტად.

არისტოტელე (ძვ.წ. 384-322 წწ.). ამ ფილოსოფოსის იდეალური სახელმწიფოს პროექტი გადმოცემულია მის ნაშრომებში „ნიკომაქეს ეთიკა", „პოლიტიკა" და სხვ. მათში იგი, ქსენოფონტისა და პლატონის მსგავსად, დაჟინებით მოითხოვს საზოგადოების დაყოფის განპირობებულობას თავისუფლებად და მონებად და მათი შრომისას გონებრივ და ფიზიკურ შრომად, განსაკუთრებით „ბუნების კანონებით"[1] და მიუთითებს მინათმოქმედების უფრო მნიშვნელოვან როლზე მეურნეობაში, და არა ხელოსნობისა და ვაჭრობისა. მაგრამ ნატურალური მეურნეობის პრინციპებისადმი ერთგულება სწავლულმა განსაკუთრებით აშკარად გამოხატა მის მიერ ნამოყენებულ ორიგინალურ **კონცეფციაში ეკონომიკისა და ქრემატისტიკის შესახებ.**

ეს კონცეფცია როგორლაც საკვალიფიკაციო ხასიათს ატარებს. ამის შესახებ მოწმობს ის, რომ მეურნეობის და ადამიანთა საქმიანობის ყველა სახეობას მინათმოქმედებისა და მეცხოველეობიდან დაწყებული სახელოსნო წარმოებამდე და ვაჭრობამდე, იგი მიაკუთვნებს ორიდან ერთ-ერთ სფეროს - ბუნებრივს (ეკონომიკა) და არაბუნებრივს (ქრემატისტიკა). პირველი მათგანი წარმოდგენილია მინათმოქმედებით, ხელოსნობით და ნვრილი ვაჭრობით და მას მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწიფომ, რამდენადაც მისი რგოლები ხელს უწყობენ მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მეორე კი ემყარება არაპატიოსან მსხვილ სავაჭრო, საშუამავლო და სავახშო ოპერაციებს, რომლებიც ტარდება უსაზღვრო და ანგარებიანი მიზნების მისაღწევად, რომლის არსი - ქონების დაგროვების ხელოვნებაა, ე.ი. სულ უფრო „მეტი ფულის დაუფლება."

თავისი კონცეფციის ფარგლებში არისტოტელე, მონათმფლობელური საზოგადოების სახელმწიფოებრივი მონყობის იდეალიზებით, როგორლაც ხელოვნურად „ამარტივებს“ სამეურნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ელემენტებს. მაგალითად, არისტოტელეს მიხედვით *5 სანოლი = 1 სახლს იმიტომ, რომ მათი თანაზომადობა როგორლაც მხოლოდ ფულის წყალობით მიიღწევა.* ამავე კონცეფციის პოზიციებიდან იგი ტენდენციურად აანალიზებს ვაჭრობისა და ფულადი მიმოქცევის ფორმების ევოლუციის ეტაპებს. კერძოდ, ვაჭრობის ისეთი ადრინდელი ფორმები, როგორიცაა პირდაპირი და ფულის მეშვეობით საქონელგაცვლა მან ეკონომიკას მიაკუთვნა, ხოლო სავაჭრო კაპიტალის მოძრაობა ქრემატისტიკის სფეროს. ანალოგიურად განმარტავს ფილოსოფოსი ფულადი მიმოქცევის ფორმებსაც, ფულის ფუნქციების ღირებულების საზომის და მიმოქცევის საშუალების ეკონომიკის სფეროსადმი მიკუთვნებით, ხოლო მის გამოყენებას, როგორც მოგების დაგროვების საშუალების, ე.ი. სავახშო კაპიტალის სახით, - ქრესტომატიკის სფეროსადმი.

ამრიგად, არისტოტელეს განსახილველი კონცეფციის მიხედვით, ყველაფერი, რასაც ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობათა საფუძვლების ძირის გამოთხრა შეუძლია (ეს, უნინარეს ყოვლისა, შრომის დანაწილებით განპირობებული სავაჭრო და ფულადი კაპიტალის მოძრაობაა), ქრემატისტიკის „დანახარჯებს“ მიეკუთვნება. ხოლო უკანასკნელები, მისი შეხედულებით, განპირობებულია იმისი გაუგებრობით, რაც „სინამდვილეში იმდენად განსხვავებული საგნებია, რომ არ შეიძლება თანაზომადნი იყვნენ“, ვინაიდან ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგად წარმოშობილი ფული, ფილოსოფოსის მოსაზრებით, არაუმეტეს მოხერხებული საქონელია ყოველდღიურობაში და „ჩვენს ხელისუფლებაშიც“ რათა იგი (ფული) „მოუხმარებელი გახდეს“. ამიტომ იგი გადაჭრით გმობს ფულის გამოყენებას არა ჭეშმარიტი დანიშნულებით, ე.ი. ყოველდღიურობაში მოხერხებულობის უზრუნველყოფის მიზნით „გასაცვლელი ვაჭრობის წყალობით“ და გულახდილად აღიარებს იმას, რომ მევახშეობა მასში „ სრულიად დამსახურებულად იწვევს ზიზღს“[2].

3.2. შუასაუკუნეების ეკონომიკური მოძღვრება

თანამედროვე წარმოდგენები შუასუკუნეების (ფეოდალური საზოგადოების) ეკონომიკური აზრის თავისებურებათა შესახებ, ისე როგორც ძველი სამყაროს პერიოდისა, ემყარება ძირითადში ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული წყაროების მასალებს. მაგ-

რამ განსახილველი პერიოდის იდეოლოგიის, მათ შორის სამეურნეო ცხოვრების სფეროში, არსებით თავისებურებას წარმოადგენს მისი განსაკუთრებით საღვთისმეტყველო ხასიათი. მოცემული მიზეზით, შუასაუკუნეობრივი ეკონომიკური დოქტრინებისთვის დამახასიათებელია სქოლასტიკურ და სოფისტიკურ მსჯელობათა მრავალფეროვანი მზაკვრობები, რელიგიურ, ეთიკურ და ავტორიტარულ თვისებათა უცნაური ნორმები, რომელთა დახმარებით იგულისხმებოდა არ დაეშვათ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა და საზოგადოებრივი მონყობის მომავალი განმტკიცება.

როგორც ცნობილია, ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობათა შუასაუკუნეობრივი ტიპი, ანუ ფეოდალიზმი, წარმოიშვა აღმოსავლეთის რიგ სახელმწიფოებში III-VIII სს. და V-XI სს. ევროპის ქვეყნებში. და დასაწყისიდანვე, პოლიტიკური ხელისუფლებისა და ეკონომიკური სიძლიერის მთელი სისრულე მათში მაღალი წრის და საეკლესიო ფეოდალების ავლადიდებას წარმოადგენდა, რომლებიც ამკარად, ისე არააშკარად გმობდნენ ეკონომიკის საქონლიანობის და მევახშეობის მასშტაბების გაფართოების ტენდენციებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში შუასაუკუნეობრივი აღმოსავლური ეკონომიკური აზრის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წარმომადგენლად, როგორც წესი, ნახსენებია არაბული ქვეყნების გამოჩენილი იდეოლოგი, იბნ-ჰალდუნი, ხოლო ევროპაში - კანონიზმის ე.წ. გვიანდელი სკოლის ლიდერი თომა აქვინელი. მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

იბნ-ჰალდუნი (1332-1406). მისი ცხოვრება და შემოქმედება დაკავშირებულია არაბულ ქვეყნებთან აფრიკის ჩრდილოეთში სადაც, როგორც, ცნობილია, მიღებულია საუბარი, წარმოების აზიური წესის სულისკვეთებით, სახელმწიფო თავისთვის ტრადიციულად ინარჩუნებდა მიწის მნიშვნელოვანი სავარგულების ფლობისა და, ხაზინის საჭიროებებისთვის დამძიმებული გადასახადების აკრეფის უფლებას. ამასთან, მას შემდეგ, რაც VII ს. დასაწყისიდან დედამიწა შეინყალა ღმერთის გამოცხადებამ და მისმა გამგონე მექელმა სოვდაგარმა მუჰამედმა - ყურანის პირველმა მქადაგებელმა მუსულმანურ სამყაროს ამცნო ახალი (ისლამური) რელიგიური იდეოლოგიის შესახებ, დაასუსტოს ანტისაბაზრო პოსტულატების „ყოვლისშემძლეობა“, თითქოსდა უფრო მეტი არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

რნმენა საზოგადოების წოდებრივი დიფერენციაციის ურყეობაში, ე.ი. რნმენა იმაში, რომ „ალაჰმა უპირატესობა მიანიჭა ზოგიერთ ადამიანს სხვებთან შედარებით“, და ასევე თავისი არსით ბარტერული ვაჭრობის სამართლიანობისთვის, საზოგადოების ევოლუციის ყველა ეტაპზე „პრიმიტიულიდან“ „ცივილიზაციამდე“,

შეეცადა განემტკიცებინა ყველა მართლმორწმუნეთა სულებში სულებში იბნ-ჰალდუნიც და ამ მიზნით წამოაყენა *რაღაც „სოციალური ფიზიკის“ კონცეფცია*. ამასთან, უკანასკნელი მოკლებული როდია ცალკეულ ჭკუისასწავლ იდეებს და ისტორიულ-ეკონომიკურ განზოგადებებს, ისეთებს, მაგალითად, როგორიცაა ამაღლებული დამოკიდებულების აუცილებლობა შრომისადმი, სიძუნწის, სიხარბის, და მფლანგელობის გაკიცხვა, ეკონომიკის სფეროებში პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების ობიექტური ხასიათის გაგება, რომელთა წყალობით ადამიანთა ძველ სამეურნეო საზრუნავს მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში დაემატა შედარებით ახალი საქმეები სახელოსნო წარმოებასა და ვაჭრობაში.

ცივილიზაციაზე და შესაბამისად, მატერიალური დოვლათის ჭარბწარმოებაზე გადასვლა, იბნ-ჰალდუნის მოსაზრებით, შესაძლებელს გახდის ეროვნული სიმდიდრის მრავალჯერად გამრავლებას და დროთა განმავლობაში ყოველი ადამიანის მიერ დიდი ქონების დაგროვებას, ფუფუნების საგნების ჩათვლით, მაგრამ ამასთან არასოდეს არ დადგება საყოველთაო სოციალური და ქონებრივი თანასწორობა და არ გაქრება საზოგადობის დაყოფა „ფენებად“ (წოდებებად), ქონებრივი ნიშნით და „წინამძღოლობის“ პრინციპით.

საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის საკმარისობის და უკმარისობის პრობლემის შესახებ თეზისის განვითარებით, მოაზროვნე მიუთითებს მის განპირობებულობაზე, უწინარეს ყოვლისა, ქალაქების სიდიდით, უფრო ზუსტად, მათი დასახლების ხარისხით და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

- ქალაქის ზრდით, იზრდება „აუცილებელის“ საკმარისობა და „აუცილებლობის ნაკლებობა“, რომელსაც ფასების შემცირებამდე მივყავართ პირველზე და ფასების გადიდებამდე მეორეზე და ერთდროულად ქალაქის აყვავებით;
- ქალაქის მოსახლეობის მცირერიცხოვნობა მოსახლეობისთვის საჭირო მატერიალური დოვლათის დეფიციტისა და სიძვირის მიზეზია;
- ქალაქის აყვავება (ისე როგორც საზოგადოებისა მთლიანად) რეალურია გადასახადების შემცირების პირობებში, მათ შორის ბაჟის და მთავრობის მძიმე გადასახადების ჩათვლით ქალაქის ბაზრებზე.
- დაბოლოს, იბნ-ჰალდუნის აზრით, სამეურნეო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტია ფული, რომლის როლს ასრულებდნენ ღმერთის მიერ შექმნილი სრულფასოვანი ორი ლითონი - ოქრო და ვერცხლი. მისი აზრით,

ფული ასახავს ადამიანისეული შრომის რაოდენობრივ შემცველობას „ყველაფერ შეძენილზე“, „ყოველგვარი მოძრავი ქონების“ ფასეულობას და მათშია „შეძენის, დაგროვებისა და განძის საფუძველი“. იგი სრულიად არატენდენციურია „შრომის ღირებულების“, ე.ი. ხელფასის დახასიათებისას, იმისი მტკიცებით, რომ მისი სიდიდე დამოკიდებულია, ჯერ-ერთი, „ადამიანის შრომის რაოდენობაზე“, მეორე, „მის ადგილზე შრომის სხვა სახეობებს შორის“ და, მესამე, „მასზე ადამიანთა მოთხოვნილებისგან.“

თომა აქვინელი (აქვინატი) (1225-1274). დომინიკალური წარმოშობის ეს იტალიელი მონარქი ითვლება ზემოთ ნახსენები კანონისტების სკოლის ყველაზე უფრო ავტორიტეტულ ფიგურად მისი განვითარების გვიანდელ ეტაპზე. მისი შეხედულებები საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის სფეროში არსებითად განსხვავებულია კანონიზმის დამაარსებლის დებულებებისგან, ანუ, როგორც კიდევ აღნიშნავენ, კანონისტების ადრეული სკოლის დამაარსებლის, ნეტარი ავგუსტინესგან (353-430). ამასთან, ერთი შეხედვით აქვინატი, ავგუსტინეს მსგავსად, რელიგიურ-ეთიკური თვისების პრინციპებს ემყარება, რომელთა საფუძველზე, სკოლა რიგი ასწლეულების მანძილზე განმარტავდა სამეურნეო ცხოვრების „წესებს“, „სამართლიანი ფასების“ დაწესებით და ექვივალენტური და პროპორციული გაცვლის მიღწევით.

სინამდვილეში კი თომას აქვინელი, ითვალისწინებდა რა თავისი დროის რეალიებს, იკვლევდა სოციალური უთანასწორობის შედარებით ახალ „ახსნებს“, ვიდრე საზოგადოების წოდებრივი დაყოფის ადრინდელ პირობებში. კერძოდ, ნაშრომში „თეოლოგიის სუმა“ იგი ოპერირებს უკვე არა ერთეული, არამედ იმ ნიშნების მასობრივი გამოვლინებებით, რომელიც საკუთარ თავს დღითიდღე ამტკიცებს მასშტაბური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაზრდილი რაოდენობით და თავისი სიძლიერით ქალაქებში. სხვა სიტყვებით, განსხვავებით ადრეული კანონისტებისგან, საქალაქო ხელოსნური წარმოების, მსხვილი სავაჭრო და მევახშური ოპერაციების პროგრესირებად ზრდას, თომა აქვინელი ამიერიდან არ ახასიათებს, როგორც განსაკუთრებით ცოდვილიან მოვლენებს და არ მოითხოვს მათ აკრძალვას[3].

მეთოდოლოგიური პოზიციების თვალსაზრისით, გარეგნულად „თეოლოგიის სუმას“ ავტორი თითქმის არ შორდება ადრეულ კანონისტებს. მაგრამ თუკი უკანასკნელები საღვთო წერილის ტექსტების და საეკლესიო თეორეტიკოსების ნაშრომების უცილობელი ავტორიტარულობის პრინციპს და ასევე ეკონომიკური კატეგორიებისა და მოვლენების ეკონომიკურ-ეთიკური მეთოდის არსის დასაბუთებას ემხრობოდნენ, მაშინ თომა აქვინელი გამოკვლევის და-

სახელებულ „ინსტრუმენტებთან“ ერთად აქტიურად იყენებენ შეფასებათა ე.წ. გაორების პრინციპს, რომელიც სოფისტიკის საშუალებებით შესაძლებლობას იძლევა დიამეტრალურად შეიცვალოს სამეურნეო მოვლენის ანუ ეკონომიკური კატეგორიის თავდაპირველი განმარტების არსი.

მაგალითად, თუკი ადრეული კანონისტები, *შრომის გონებრივ და ფიზიკურ სახეობებად დაყოფით,* გამოდიოდნენ ღვთაებრივი (ბუნებრივი) დანიშნულებიდან, მაგრამ ამ სახეობებს ერთმანეთისგან არ მიჯნავდნენ ადამიანის ღირსებაზე მათი ზეგავლენის გათვალისწინებით, საზოგადოებაში დაკავებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაშინ თომა აქვინელი „აზუსტებს“ ამ „მტკიცებას“ საზოგადოების წოდებრივი დაყოფის სასარგებლოდ. ამასთან, იგი წერს: ადამიანთა დაყოფა სხვადასხვა პროფესიების მიხედვით განპირობებულია, ჯერ-ერთი, *სალვთო ბედისწერით, რომელმაც ადამიანები დაყო წოდებების მიხედვით*...მეორე, ბუნებრივი მიზეზებით, რომლებმაც განსაზღვრეს, ის, რომ *სხვადასხვა ადამიანები მიდრეკილები არიან სხვადასხვა პროფესიებისადმი...*[4]

ორადი და კომპრომისული პოზიცია, ადრეულ კანონისტებთან შედარებით, „თეოლოგიის სუმას“ ავტორს ასევე უკავია ისეთი ეკონომიკური კატეგორიების თაობაზე, როგორიცაა მონობა, გაცვლა, ღირებულება (ფასეულობა), ფული, სავაჭრო მოგება, სავახშო სარგებელი. მოკლედ განვიხილოთ სწავლულის ეს პოზიციაც, ყოველი დასახელებული კატეგორიის თვალსაზრისით.

სიმდიდრე ავგუსტინის დროიდან კანონისტების მიერ განიხილებოდა, როგორც მატერიალური დოვლათის ერთობლიობა, ე.ი. ნატურალური ფორმით, და ცოდვად ითვლებოდა თუკი იგი შექმნილია სხვა საშუალებებით, ვიდრე ამისთვის დახარჯული შრომით. ამ პოსტულატის შესაბამისად, ოქროს და ვერცხლის არაპატიოსანი გამრავლება (დაგროვება), რომელიც თავისი ბუნებით „ხელოვნურ სიმდიდრედ“ითვლება, არ შეიძლება შეესაბამებოდეს საზოგადოების ზნეობრივ და სხვა ნორმებს. მაგრამ აქვინელის მიხედვით, *სამართლიანი ფასები (მათ შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი) შეიძლება იყოს კერძო საკუთრების ზრდის და „ზომიერი“ სიმდიდრის შექმნის უდაო წყარო,* რაც ცოდვა არაა.

გაცვლა ძველ სამყაროში და შუასაუკუნეებში მკვლევარების მიერ აღიქმებოდა, როგორც ადამიანთა ნებასურვილის აქტი, რომლის შედეგი პროპორციული და ექვივალენტურია. მოცემული პრინციპის გაუქმების გარეშე, თომა აქვინელი ყურადღებას აქცევს მრავალრიცხოვან მაგალითებს, რომელიც გაცვლას სუბიექტურ პროცესად აქცევს და უზრ-უნველყოფს ამოსაღები სარგებლის ტოლობას, როგორც ჩანს საგნების არაექვივალენტური გაცვლის დროს. სხვა სიტყვებით, გაცვლის პირობები მხოლოდ მაშინ

ირღვევა, როდესაც ნივთი „შემოდის ერთის სასარგებლოდ და მეორის საზიანოდ."

„სამართლიანი ფასი" - ესაა კატეგორია, რომელმაც კანონისტების მოძღვრებაში შეცვალა კატეგორიები „ღირებულება" (ფასეულობა), „საბაზრო ფასი". იგი წესდებოდა და მკვიდ-რდებოდა ფეოდალურ დიდგვაროვანთა მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. მის დონეს კანონისტები „ხსნიდნენ", როგორც წესი, შრომით და მატერიალურ დანახარჯებზე მითითებით ნარმოების პროცესში. მაგრამ თომა აქვინელი *„სამართლიანი ფასის" დაწესების ხარჯვით მიდგომას* თვლის არასაკმარისად ამომწურავ მახასიათებლად. მისი აზრით, ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ *გამყიდველს შეუძლია „საქონელი სამართლიანად გაყიდოს უფრო ძვირად, ვიდრე იგი თავისთავად ღირს, და ამასთან იგი „ძვირად არ იქნება გაყიდული, ვიდრე მფლობელს ულირს", წინააღმდეგ შემთხვევაში* და ზარალდება *გამყიდველიც, რომელიც საზოგადოებაში მისი მდგომარეობის შესაფერის ფულის რაოდენობას ვერ მიიღებს.*

ფული (მონეტები) თ. აქვინელის მიერ განიმარტება ძველი სამყაროს ავტორების და ადრეული კანონისტების მსგავსად. იგი მიუთითებს, რომ მისი წარმოშობის მიზეზი გახდა „ვაჭრობასა და ბრუნვაში" ადამიანთა ნების გამოვლინება „ყველაზე უტყუარ საზომად". თავისი ერთგულების გამოხატვით ფულის ნომინალისტური კონცეფციისადმი, „თეოლოგიის სუმის" ავტორი აღიარებს, რომ თუმცა მონეტებს შინაგანი „ფასეულობა გააჩნიათ", მაგრამ სახელმწიფოს, მიუხედავად ამისა, სამართლიანად შეუძლია დაუშვას მონეტის გარკვეული გადახრა მისი „შინაგანი ფასეულობისგან". აქ სწავლული ისევ ერთგულია გაორებისა, ერთი მხრივ, იმის აღიარებით, რომ მონეტის გაყალბებას შეუძლია უაზრო გახადოს ფულის ღირსების გაზომვა საგარეო ბაზარზე, ხოლო მეორე მხრივ - სახელმწიფოსადმი „ნომინალური ფასეულობის" დაწესების უფლების მინდობა, რომელიც ფულის თავისი შეხედულებისამებრ გამოშვებას შეეხება.

სავაჭრო მოგება და სავახშო სარგებელი კანონისტების მიერ განისჯებოდა, როგორც არაღვთიური, ცოდვილი მოვლენები. განსაზღვრული დათქმებით და დაზუსტებებით მას „გმობდა" ასევე თომა აქვინელიც[5]. ამიტომ შედეგად, მისი აზრით, სავაჭრო მოგება და სესხის სარგებელი შესაბამისად მაინც მითვისებულ უნდა იქნეს ვაჭრის და მევახშის მიერ, თუკი ამასთან ცხადია, რომ ისინი ახორციელებენ სრულიად მართებულ ქმედებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია, რომ ასეთი სახის შემოსავლები გახდნენ არა თვითმიზანი, არამედ დამსახურებული გადასახდელი და შრომის ანაზღაურება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სავაჭრო და სასეს-

ხო ოპერაციებში, სატრანსპორტო და სხვა მატერიალური დანახარჯებისა და რისკისთვისაც კი.

როგორც ვხედავთ „თეოლოგიის სუმა“ უხვად იძლევა გაორებულ მახასიათებლებს და სქოლასტიკურ მსჯელობებს, რომელთაც მისი ავტორი მიმართავდა შერიგების გზების და კომპრომისის ძიებისას მრავალი ურთიერთგამომრიცხავი თეორიული დებულებების მიხედვით. აღნიშნულს თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ადრინდელი და გვიანდელი კაპიტალიზმის ეკონომიკურ შეხედულებებს მიაკუთვნებენ.

ადრეული კონონისტები (წმინდა ავგუსტინი)	გვიანდელი კონონისტები (აქვინატი)
შრომის დანაწილება	
შრომის გაიაფებული და ფიზიკური სახეობები ტოლფასნი არიან და ზეგავლენა არ უნდა მოახდინონ ადამიანის მეგობრობაზე სახოგადოებაში.	ადამიანების დაყოფა პროფესიების და ფენების მიხედვით განპირობებული ღვთის განგებით და ადამიანთა მოღვაწეობებით.
ბიმეტალიზმი	
ადამიანთა შორის ქმნის სიმდიდრეს მატერიალური ფიქტიური სახით, ოქროსა და ვერცხლის ჩათვლით. ეკონომიკური ცოდნა არაფრით დაბრკოლდება (ბიმეტალური სიმდიდრე) ცოდვაა.	ოქრო და ვერცხლი განპირობებულან, როგორც კეთილი საქმეების და „ზომიერი“ სიმდიდრის გამოხატების წყარო.
ვაჭრობა	
ვაჭრობა ხორციელდება პროფესიონალების პრივილეგიით და ადამიანთა თავისუფალი ნების გამოვლენის აქტს წარმოადგენს.	ვაჭრობა, როგორც სუბიექტური პროცესი არ ეწინააღმდეგება მისაღები სარგებლის თანაბრობას, რამდენადაც ის აქტის შედეგად ნივთი „უმჯობეს ერთის სასარგებლოდ და მეორის საზიანოდ“.
ბანკირული ფასი	
საქონლის ფასეულობა უნდა დადგინდეს მისი წარმოების პროცესიმიერთობით და მატერიალური დანახარჯების შესაბამისად „სამართლიანი ფასის“ პრინციპით.	„სამართლიანი ფასის“ დადგენის ხარისხი პრინციპი ეზუსტად იღება, რამდენადაც მან შესაძლებელია გამოიყენოს ვერ შეეგნოს საზოგადოებაში მისი მეგობრობის შესაბამისი ფულის რაოდენობა და ამასთან, მოგების ზომა.
ფული	
ფული ადამიანთა ხელოვნური გამოგონებაა და აუცილებელია ბაზარზე გაცვლითი ოპერაციების შესრულების და დაჩქარების თვის მოწვეტის „შიდა ფასეულობის“ წყალობით.	ფულის (მოწვეტების) ფასეულობა შიდა ბაზარზე უნდა დადგინდეს არა მისი ლითონის შემცველობის მიხედვით, არამედ სახელმწიფოს შეხედულებისამებრ.
სავაჭრო სარგებელი და სავაჭრო პროცენტი	
სავაჭრო მოგება და სავაჭრო სარგებელი, რომელიც ამოიღება მსხვილი სავაჭრო და სასესხო ოპერაციებიდან, გადაიქცევა თვითმიზნად და ამიტომ უნდა შეფასდეს, როგორც არაღვთიური და ცოდვიანი მოღვაწეობა.	მოვაჭრეთა და მეკასბეთა მსხვილი შემოსავალი მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ისინი მიიღება შრომით, დაკავშირებულია სატრანსპორტო და სხვა დანახარჯებთან, ანდა რისკთან, რომელსაც ადგილი აქვს წესრიგის საქმიანობის დროს.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. მოიტანეთ ძველი სამყაროს და შუასაუკუნეების ეკონომიკური იდეების და კონცეფციების ავტორთა არგუმენტები, რომელთა მეშვეობით იცავდნენ ნატურალური მეურნეობის პრიორიტეტს და გმობდნენ საქონლურ-ფულად ურთიერთობათა მასშტაბების გაფართოებას. შეიძლება თუ არა დათანხმდე იმას, რომ ფული წარმოიშვა არა სტიქიურად, არამედ ერთმანეთს შორის ადამიანთა შეთანხმების შედეგად?
2. რაში მდგომარეობს იდეალური სახელმწიფოს თავისებურებები არისტოტელესა და პლატონის შრომებში?ახსენით ეკონომიკისა და ქრემატისტიკის შესახებ არისტოტელესეული კონცეფციის არსი.
3. როგორია შუასაუკუნეების ეკონომიკური აზრის ძირითადი ნიშნები არაბულ აღმოსავლეთში? გადმოეცით იბნ-ჰალდუნის „სოციალური ფიზიკის" კონცეფციის არსი.
4. როგორ მეთოდოლოგიურ პრინციპებს იყენებდნენ თავიანთ ეკონომიკურ შეხედულებებში ადრეული და გვიანდელი კანონისტები? მოიტანეთ ისტორიული ანალოგიის მაგალითები მე-20 საუკუნის ტოტალიტარულ სახელმწიფოებში.
5. შეადარეთ ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების განმარტებები ადრეული და გვიანდელი კანონიზმის პერიოდებში. როგორ ყალიბდებიან ისინი თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში?

თავი 4. მერკანტილიზმი-საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა წარმოშობის პერიოდის პირველი თეორიული სკოლა

ამ თავის მასალებიდან თქვენ გაიგებთ:

- რომ სწორედ მერკანტილიზმის იდეების პერიოდში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები ჭარბობდნენ, გამოდევნა რა ოდესღაც წამყვანი როლის მოთამაშე ნატურალური მეურნეობა;
- რაში მდგომარეობს მერკანტილისტური კონცეფცია სიმდიდრის შესახებ, და რატომ იყო მიღებული ჩაეთვალათ, რომ აქტიური სავაჭრო ბალანსის მიღწევა შეუძლებელია - „გააღარიბე მეზობელი"-ის ეროვნული პოლიტიკის გარეშე;
- როგორია მერკანტილისტების პროტექციონისტული განწყობილების თავისებურებები მერკანტილიზმის განვითარების ადრეულ და გვიანდელ ეტაპებზე;
- მერკანტილისტური ეკონომიკური კონცეფცია რატომ წარმოადგენს „სიყრმისეულ ეკონომიკურ თეორიას" (მ. ბლაუგი) და „იყო პრაქტიკული პოლიტიკის სისტემა" (ნ. კონდრატიევი), რომელიც ცდილობდა „საბაზრო სისტემის განვითარებას სრულიად არასაბაზრო ხერხებით "(კ. პოლანი);
- რა დროიდან იწოდება ეკონომიკური მეცნიერება პოლიტიკურ ეკონომიად.

4.1. მერკანტილისტების სწავლების მეთოდი და საგანი

ნატურალური მეურნეობის გამოდევნა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებით მოხდა დროის მნიშვნელოვანი პერიოდის განმავლობაში, რომელსაც ისტორიკოს-ეკონომისტების მიერ ეწოდება მერკანტილიზმის პერიოდი (ეპოქა). ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული კ. მარქსის მიერ ამ დროის დახასიათება, რომელმაც მას „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება უწოდა". გარდა ამისა, მარქსისტული განმარტებით, მერკანტილიზმი - ეს, უპირველეს ყოვლისა, არის დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ არსებული ერთ-ერთი მომენტი, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის პროცესში[1].

სხვათა შორის, პრაქტიკულად თანამედროვეობის ყველა ეკონომისტი ერთსულოვანია როგორც იმაში, რომ მერკანტილიზმმა აღნიშნა გარდამავალი პერიოდი ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობაში ადამიანისეული ცოდნის დამოუკიდებელი დარგის სახით სოციალ-ეკონომიკურ სფეროში, ისე იმაშიც, რომ მერკანტილიზმის წყალობით მოვიდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემაფერხებელი ნიშნების გაგება ინდუსტრიალურამდელ ეკონომიკაში. სიტყვა „მერკანტილიზმის“ ლათინურ (*„mercari“*-ვაჭრობა), ფრანგულ (*„mercantile“*-სავაჭრო) და იტალიურ (*„merkante“*-ვაჭარი, სოვდაგარი) ფუძეში, ცხადია, სრულ წარმოდგენას არ იძლევიან მერკანტილისტური სისტემის არსის შესახებ, რომლის მეცნიერული მსოფლმხედველობის პრინციპები ბატონობდა XVI-XVIII საუკუნეების მანძილზე.

კერძოდ, მერკანტილიზმის იდეოლოგები დარწმუნებულები იყვნენ, რომ *მხოლოდ ფული* (ოქროს და ვერცხლის) და *განძი განასახიერებს ერის, სახელმწიფოს სიმდიდრეს.* მათი ვარაუდით, სიმდიდრის გამრავლება *პროტექციონისტულ ღონისძიებებს* მოითხოვს საგარეო ვაჭრობის რეგულირებისთვის, ექსპორტის წახალისებისთვის, იმპორტის შეფერხებისთვის და ეროვნული მრეწველობის ყოველმხრივ მხარდაჭერისთვის. ამასთან ერთად, ჯეროვანი თეორიული შემეცნების არარსებობის გამო, ხალხთმოსახლეობის სფეროში მერკანტილისტები შესაძლოდ თვლიდნენ ხელფასის დაბალი დონის შენარჩუნებას, მოსახლეობის ზრდის (სამუშაო ძალის მიწოდების) წყალობით.

მერკანტილისტური კონცეფციის მიხედვით, აქტიური სავაჭრო ბალანსის მიღწევა უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო ჩარევის ღონისძიებებს, ხოლო სიმდიდრის ნყაროდ ითვლება არაექვივალენტური გაცვლა სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულებათა შედეგად სხვა სახელმწიფოებთან. ამასთან, არა მხოლოდ მერკანტილისტებს, არამედ ასევე შემდგომში მათ გამომდევნელ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა დიდი ნაწილს, უდაოდ, სჯეროდა განათლებული დესპოტიზმის აბსოლუტური ძალაუფლებისა, ე.ი. მონარქიისა, და ერთობ შორს იყვნენ დემოკრატიის ჭეშმარიტი პრინციპებისგან.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ 100 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი, როდესაც დღის სინათლეზე 1664 წელს ინგლისელი მერკანტილისტის თომას მენის წიგნის („ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში, ანუ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც ჩვენი სიმდიდრის რეგულატორი“) გამოსვლის შემდეგ, ე.ი. როდესაც უკვე გამოჩნდა დიდი ადამ სმითის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“(1776) და დაიბეჭდა გამოჩენილი ფიზიოკრატების ფ. კენესა და ა. ტიურგოს ნანარმოებები - ჯერ კიდევ მაშინ საფრანგეთში, მაგალითად, შენარჩუნდა ისეთი შუასაუკუნეობრივი

„ტრადიციები", როგორიცაა სახელოსნო საამქროები და ფეოდალური პრივილეგიები (გაუქმებული 1790 წელს), ხოლო ინგლისში - სტატუტი ხელოსნების შესახებ და ელისაბედის კანონი ღარიბების შესახებ (გაუქმდა 1813-1814 და 1834 წწ.). სხვა სიტყვებით, მერკანტილისტები, რომლებიც ეროვნული მეურნეობის საყოველთაო კომერციალიზაციისთვის იბრძოდნენ, მაინც შეინარჩუნეს ეს პროცესი წარმოების ისეთი ფაქტორების თვალსაზრისით, როგორიცაა შრომა და მიწა, ურომლისოდაც საეჭვოა საერთოდ შესაძლებელი იყოს დამოუკიდებელი საბაზრო ეკონომიკური სისტემა[2].

მერკანტილისტების სისტემის, როგორც პრაქტიკული პოლიტიკის სისტემის დახასიათებისას, ნ. კონდრატიევს[3] და სხვა თანამედროვე ეკონომისტებს, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ სამრეწველო წარმოება იმ პერიოდში ძირითადად სავაჭრო კაპიტალის, ე.ი. სოვდაგრების მიერ კონტროლდებოდა. უკანასკნელთა წყალობით ამ სფერომ განვითარება იწყო კომერციულ საფუძველზე, და მისი მასშტაბები ქალაქების საზღვრებს მიღმა შორს გავიდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მე-18 საუკუნის ბოლომდე უპირატესად შინაწარმოებას ძვირადღირებული მონყობილობა არ გააჩნდა და ამიტომ, ბაზრის კონიუნქტურის კარგად მცოდნე სოვდაგრები სამრეწველო საქმიანობაში ჩართვით, ცოტა რამით თუ რისკავდნენ, საბოლოო ანგარიშში ვაჭრობის რაღაც დანამატად მისი გადაქცევით.

როგორც ცნობილია, მერკანტილისტებმა თუმცა კი ვერ შეათანხმეს ერთმანეთს შორის ვერც *პრინციპები* და ვერც ზოგადი ანალიტიკური ინსტრუმენტარიუმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამი ასწლეულის მანძილზე ემხრობოდნენ მეცნიერული მსოფლმხედველობის ზოგად „პრინციპებს". მ. ბლაუგმა, ექვს თეზისში აი, როგორ ლაკონურად ჩამოაყალიბა ისინი (პრინციპები)[4]:

1) ოქრო და ნებისმიერი სახის განძი, როგორც სიმდიდრის არსის გამოხატვა;
2) საგარეო ვაჭრობის რეგულირება ქვეყანაში ოქროს და ვერცხლის მოდინების უზრუნველსაყოფად;
3) მრეწველობის მხარდაჭერა იაფი ნედლეულის იმპორტის გზით;
4) პროტექციონისტული ტარიფები იმპორტირებულ სამრეწველო საქონელზე;
5) ექსპორტის წახალისება, განსაკუთრებით მზა პროდუქციისა;
6) მოსახლეობის ზრდა ხელფასის დაბალი დონის შენაჩუნებისთვის.

ამრიგად, ეკონომიკის ინდუსტრიალურამდელ სიტუაციაში მერკანტილისტებს არ უხდებოდათ შეჯახებოდნენ სამუშაო ძალის რეგულარული დასაქმების პრობლემებს, მაშინ ჯერ კიდევ უცნობი

საფაბრიკო-საქარხნო წარმოების ორგანიზაციას. მათ ძირითად მოთხოვნებად უცვლელად რჩებოდა ექსპორტის გადამეტება იმპორტისადმი, ქვეყნიდან კაპიტალის გატანის სტიმულირება და მასში ოქროს და ფუფუნების საგნების შეტანა უცხოეთიდან, ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დაუშვებლობა.

მაგრამ მსგავსი სახის თეორიულ მიზანდასახულობებს, რომელებიც ემყარებიან პროტექციონისტულ განწყობებს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების სფეროში, ფულის და სიმდიდრის გულუბრყვილო გაიგივებას, საზოგადოებრივ სამუშაოთა საყოველთაო მოწონებას და მერკანტილისტების სხვა პოსტულატებს, სინამდვილეში, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების დასკვნებისადმი მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის სახელმწიფოს „ვალდებულება“ „გააჩნიათ“ მხარი დაუჭირონ „გააღარიბე მეზობელი“-ის პოლიტიკას საკუთარი ხალხის გამდიდრებისთვის და ა.შ.

მაშასადამე, მერკანტილიზმს, როგორც საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა პერიოდის ეკონომიკური აზრის პირველ სკოლას, მთელი რიგი თეორიულ-მეთოდოლოგიური თავისებურებები გააჩნია. მათი არსი იმაზე დაიყვანება, რომ მერკანტილისტები:

- *შესწავლის საგნის* (ეკონომიკური ანალიზის) სახით უპირატესობას ანიჭებენ მიმოქცევის სფეროს პრობლემათა განხილვას, ამასთან წარმოების სფეროს პრობლემატიკისგან მონყვეტით;
- *შესწავლის მეთოდის* სახით ძირითადად ემპირიზმს იყენებენ, რომელიც კაუზალურ საფუძველზე ეკონომიკურ მოვლენათა გარე გამოვლინებებს აღწერს და ეკონომიკის ყველა სფეროს სისტემური ანალიზის შესაძლებლობას გამორიცხავს;.
- *ფულის წარმოშობას* ადამიანთა ხელოვნური გამოგონების შედეგად მიიჩნევენ, ხოლო თვით ფულს სიმდიდრესთან აიგივებენ;
- ფულის *ღირებულების (ფასეულობის) წარმოშობას* ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის ფულის „ „ბუნებრივ თავისებურებებთან“ და მათ რაოდენობასთან კავშირში განმარტავენ;
- *შრომის მიწოდების გადიდებას* უკავშირებენ უფრო დაბალი და არა მაღალი ხელფასის აუცილებლობასთან;
- *ეკონომიკურ ზრდას* განიხილავენ, როგორც ქვეყნის ფულადი სიმდიდრის გამრავლების შედეგს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების და სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდოს მიღწევის წყალობით და ა.შ.

4.2. ადრეული და გვიანი მერკანტილიზმის სიმდიდრის კონცეფცია

ეკონომიკურ ლიტერატურაში მერკანტილიზმის განვითარებაში ჩვეულებრივ განასხვავებენ ორ ეტაპს - ადრინდელს და გვიანდელს. ასეთი დაყოფის ძირითადი კრიტერიუმია აქტიური სავაჭრო ბალანსის მიღწევის გზების (საშუალებების), ე.ი. დადებითი სალდოს „დასაბუთება" საგარეო ვაჭრობაში.

ადრინდელი მერკანტილიზმი წარმოიშვა ჯერ კიდევ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე და *აქტუალური იყო მე-16 საუკუნის შუა ხანებამდე.* ამ ეტაპზე ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირები სუსტად იყო განვითარებული და ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. საგარეო ვაჭრობაში დადებითი სალდოს მისაღწევად ადრინდელი მერკანტილისტები მოზანშეწონილად მიიჩნევდნენ:

- ექსპორტირებულ საქონელზე *მაქსიმალურად მაღალი ფასების დაწესებას;*
- *საქონელთა იმპორტის ყოველმხრივ შეზღუდვას;*
- *ქვეყნიდან ოქროს და ვერცხლის* (მათთან გაიგივებული იყო ფულადი სიმდიდრე) *გატანის არ დაშვებას.*

მაშასადამე, ადრინდელ მერკანტილისტთა თეორია შეიძლება შეფასდეს, როგორც *„ფულადი ბალანსის" თეორია.*

ადრინდელი მერკანტილიზმისთვის დამახასიათებელი იყო ფულის ნომინალისტური თეორიის მცდარი კონცეფციის გაგება, რომელიც ძველ დროებამდე, მათ შორის ძველი-ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს (ძვ.წ. IVს.) ნაშრომებამდე მიდიოდა. ასე მსჯელობით ნომინალისტები უარყოფდნენ არა მხოლოდ ფულის საქონლურ ბუნებას, არამედ მის კავშირს კეთილშობილ ლითონებთანაც.

მაგრამ ადრინდელი მერკანტილიზმის პერიოდში, ისე როგორც შუა საუკუნეებში, მთავრობა დაკავებული იყო ეროვნული მონეტის გაფუჭებით, მისი წონისა და ფასეულობის შემცირებით, იმ იმედით, რომ უცხოელი ვაჭრები დაინტერესდებოდნენ და ამ ფულში თავიანთ სხვა ქვეყნის ფულს გადაცვლიდნენ და მეტ საქონელს იყიდიდნენ. ფულის პირობით ნიშანზე გადაყვანით, მიმოქცევაში არსებული ოქროს და ვერცხლის ფულის (ბიმეტალური სისტემა) ფიქსირებული თანაფარდობები მართლდებოდა, როგორც არასრულფასოვანი ფულის მომოქცევის ფაქტებით, ისე იმისი მცდარი კონსტატაციით, რომ *ოქრო და ვერცხლი ფულია თავის ბუნებრივ თვისებათა ძალით,* ღირებულების საზომის, განძის შექმნის და მსოფლიო ფულის ფუნქციის შესრულებით.

გვიანდელი მერკანტილიზმი მოიცავს პერიოდს XVI ს. მეორე ნახევრიდან XVII ს. მეორე ნახევრამდე, თუმცა მისი ცალკეული ელემენტები საკუთარი თავის გამოვლენას განაგრძობდნენ XVIII საუკუნეშიც. ამ ეტაპზე სავაჭრო კავშირები ქვეყნებს შორის განვითარებული და რეგულარული ხდება, რაც დიდწილად იყო განპირობებული სახელმწიფოს მიერ ეროვნული მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების ნახალისებით. აქტიური სავაჭრო ბალანსის მისაღწევად წამოყენებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- დავეუფლოთ საგარეო ბაზრებს შედარებით იაფი საქონლის წყალობით (*ე.ი. არამაღალი ფასებით*), და ასევე, რომელიმე ქვეყნის საქონელთა გაყიდვით სხვა ქვეყნებში;
- *საქონელთა იმპორტის დაშვებით* (გარდა ფუფუნების საგნებისა), ქვეყანაში აქტიური სავაჭრო ბალანსის შენარჩუნებით;
- *ოქრო და ვერცხლი გატანილ იქნეს* ხელსაყრელ სავაჭრო გარიგებათა, შუამავლობის განსახორციელებლად, ე.ი. მათი მასის გასადიდებლად ქვეყანაში და აქტიური სავაჭრო ბალანსის შესანარჩუნებლად.

გვიანდელმა მერკანტილისტებმა, ადრინდელი მერკანტილისტების „ფულადი ბალანსის“ იდეისადმი „სავაჭრო ბალანსის“ იდეის დაპირისპირებით, აქცენტი მონეტარიზმის თეორიაზე გადაიტანეს.

ფულის საქონლური *არსის* აღიარებით, *მის ფასეულობას* გვიანდელი მერკანტილისტები *ოქროსა და ვერცხლის ბუნებრივ თვისებებში ხედავდნენ*. მაგრამ სწორედ მან *განაპირობა ფულის მეტალისტურიდან, ფულის რაოდენობრივ თეორიაზე და მონომეტალიზმის სისტემაზე გადასვლა*. და თუკი ადრინდელი მერკანტილისტები ფულის *განმსაზღვრელ ფუნქციად თვლიდნენ* დაგროვების ფუნქციას, გვიანდელები კი - *მიმოქცევის საშუალების ფუნქციას*.

ფულის რაოდენობრივი თეორიის აღმოცენება როგორლაც ბუნებრივი რეაქცია გახდა *„ფასების რევოლუციაზე“* XVI საუკუნეში, რომელმაც ახალი სამყაროდან ევროპაში ოქროსა და ვერცხლის დიდი შემოდინება გამოინვია და ფულის რაოდენობისა და საქონელთა ფასების მიზეზობრივი ურთიერთკავშირი აჩვენა. გვიანდელი მერკანტილისტების რწმენით, ფულის ფასეულობა უკუდამოკიდებულებაშია მის რაოდენობასთან, ხოლო საქონელთა ფასების დონე ფულის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია. ისინი *ტენდენციურად ვარაუდობდნენ, რომ ფულის მიწოდების ზრდა, მასზე მოთხოვნის ზრდით, ასტიმულირებს ვაჭრობას.*

ამრიგად, ადრინდელი მერკანტილიზმის აპოგეა დაახლოებით XVI საუკუნის შუახანებს შეესაბამება, ხოლო გვიანდელისა - თითქმის

მთლიანად XVII საუკუნეს მოიცავს. ამ ეტაპების თავისებურებები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ.

ადრინდელი მერკანტილიზმი	გვიანდელი მერკანტილიზმი
საგარეო ვაჭრობის დონე	
საგაჭრო კავშირები ქვეყნებს შორის განვითარებულია სუსტად, ეპიზოდურ ხასიათს ატარებს.	ვაჭრობა ქვეყნებს შორის საკმაოდ განვითარებულია და რეგულარულ ხასიათს ატარებს.
აქტიური საგაჭრო ბალანსის მიღწევის რეკომენდებული გზები	
საქონელთა ექსპორტზე მაქსიმალურად მაღალი ფასის დაწესება;	დასაშვებია შედარებით დაბალი ფასები ექსპორტზე, მათ შორის უხეთში სხვა ქვეყნის საქონელთა გადაყიდვისას. დროს;
საქონლის იმპორტის ყოველმხრივი შეზღუდვა;	დასაშვებია საქონელთა იმპორტი (გარდა ფუფუნების საგნებისა) საგარეო ვაჭრობაში დადებითი სალდოს პირობებში;
ქვეყნიდან ოქროსა და ვერცხლის გატანის, როგორც ფულადი სიმდიდრის აკრძალვა.	ფულის გატანა დასაშვებია მომგებიანი საგაჭრო გარიგებების და შეღავათების და აქტიური საგაჭრო ბალანსის შენარჩუნების მიზნით.
პოზიციები ფულის თეორიის სფეროში	
ჭარბობს ფულის ნომინალისტური აღქმა; მთავრობა, როგორც წესი, მუშაობს ეროვნული ვალუტის გაფუჭებაზე მისი ფასეულობის და წონის შემცირებით;	„ფასების რევოლუციამ" XVI საუკუნეში განაპირობა ფულის რაოდენობრივ თეორიაზე გადასვლა (ფულის ფასეულობა მისი რაოდენობის უკუპროპორციულია; ფასების დონე ფულის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია; ფულის მიწოდების ზრდა, მასზე მოთხოვნის გადიდებით, ეკონომიკის სტიმულირებას ახდენს);
წესდება ფიქსირებული თანაფარდობა ოქროსა და ვერცხლის ფულის მიმოქცევაში (ბიმეტალიზმის სისტემა);	წესდება მონომეტალიზმის სისტემა;
ოქროსა და ვერცხლის ფულადი არსის კონსტატაცია მათ ბუნებრივ თვისებათა ძალით.	ფულის საქონლური არსის კონსტატაცია, მაგრამ ისევ ოქროსა და ვერცხლის თითქოსდა ბუნებრივ თვისებათა ძალით;
ფულის ფუნქციის სახით აღიარებულები არიან ისეთები, როგორებიცაა ღირებულების საზომი, განძის შექმნა და მსოფლიო ფული.	ფულის ცნობილი ფუნქციებიდან განსაზღვრელად მიიჩნევა უკვე არა დაგროვების ფუნქცია, არამედ მიმოქცევის საშუალების ფუნქცია.
მონეტარისტული პოზიციები	
დომინირებს „ფულადი ბალანსის" იდეა.	ბატონობს დებულება „საგაჭრო ბალანსის" შესახებ.

მერკანტილისტების პრინციპული მიზანდასახულობებით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ადრინდელში, ისე გვიანდელში, ადვილად შეიძლება დავინახოთ მათი ზედაპირული და უსაფუძვლო არსი. მაგალითისთვის, არანაკლებ ცნობილი, ვიდრე ზემოთ ნახსენები თ. მენი, მერკანტილისტები ჯ. ლოკი, და რ. კანტილიონი, სავსებით დარწმუნებულები იყვნენ ოქროსა და ვერცხლის შესაძლოდ მეტი რაოდენობის მიზანშეწონილებაში მოცემულ ქვეყანაში სხვებთან შედარებით და სწორედ ამაში იხილავდნენ „სიმდიდრის" მის მიერ მიღწეულ დონეს. მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით მოჰქონდათ არც თუ საკმაოდ დასაბუთებულები, რაზედაც მოწმობს, კერძოდ, თ. მენის შემდეგი რწმუნება: თუკი იაფად გავყიდით, მაშინ არ დავკარგავთ გასაღებას, და თუკი ქვეყანას საქონელი ნაღდ ფულზე შემოაქვს, მაშინ ამ საქონელთა უცხოეთში მხოლოდ შემდგომი გატანის ინტერესებისთვის და მათ გადასაქცევად „გაცილებით დიდი რაოდენობის ფულის შემომტანად"

თავისებური იყო ასევე ქაღალდის ფულის მერკანტილისტის ჯონ ლოს იდეის ზეგავლენა, რომელიც ნაშრომში „ფულისა და ვაჭრობის ანალიზი" (1705) თავის თანამედროვეებს იმაში არწმუნებდა, რომ ფასების უმნიშვნელო ზრდა ყოველთვის ხელს უწყობს საქონლის მიწოდების ზრდას. და მხოლოდ ამისი ჩანაფიქრის შემდგარმა აპრობირებამ, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ავანტიურისტს საშუალება მისცა დარწმუნებულიყო მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გადიდების გზით წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის მოლოდინის მცდარობაში.

4.3. მერკანტილიზმის ისტორიული მნიშვნელობა

მერკანტილისტური სისტემის პრაქტიკული მიმართულობა სავაჭრო და სასესხო ოპერაციებისა და ფულადი მიმოქცევის სფეროში და მისი ზეგავლენა ეკონომიკური მეცნიერების ევოლუციის შემდგომ ეტაპებზე,[3] არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს შეუფასებული. იმ დროის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში-ინგლისსა და საფრანგეთში-მერკანტილიზმის იდეების რეალიზაციის თავისებურებებმა XVII-XVIIIსს. მანძილზე განსაზღვრეს, არსებითად, მათი ისტორიისა და ეკონომიკის და ეკონომიკური აზრის ისტორიის თავისებურების მთავარი მიზეზები XX საუკუნემდე. ეს ჩანს შემდეგი შედარებითი დებულებებიდან, რომლების ამ ქვეყნებში მერკანტილიზმის პერიოდში აღინიშნა.

მერკანტილიზმის თავისებურები	
ინგლისში	საფრანგეთში
საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები პარლამენტულად ვალიდდება სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის ჩათვლით;	ფრანსუა მარიუს ჯ. ბ. კოლბერის დროიდან (XVIII ს.) მანუფაქტურული წარმოება ვითარდება ფერმერობის ჩამოყალიბების მეშვეობის პირობებში, ე.ი. შიგა ბაზრის („კოლბერტიზმი") „სივიწროვის" პირობებში; ეკონომიკა არ არის თავისუფალი, რეგლამენტირებულია სახელმწიფოს მიერ.
ვალიდდება ურიტრედერობის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის წანამძღვრები;	წარმოიშობა ეკონომიკური აზრის სპეციფიკური მიმდინარეობა-„ფიზიოკრატია", რომელმაც მრწა წარმოების და „ბუნებრივი პროდუქტის" წყაროდ გამოაცხადა.
ინგლისურ ეკონომიკურ აზრს წამყვანი პოზიცია უკავია მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში	

უნდა ავხსნათ, რომ საფრანგეთში, სადაც პროტექციონიზმის ყველაზე უფრო აქტიურ გამტარებლად XVII საუკუნეში ფინანსების გენერალურ კონტროლიორს (მინისტრს) ჟან ბაპტისტ კოლბერს მიიჩნევენ, იქმნებოდა მანუფაქტურათა მძლავრი ქსელი მრეწველობაში. მაგრამ, იმავდროულად აქ, მათ შორის პურის გატანის აკრძალვის და მისი თავისუფლად შემოტანის მეშვეობით, *ფერხდებოდა ფერმერობის ჩამოყალიბება*, რაც საბოლოო ჯამში საფრანგეთის შიგა ბაზრის „სივიწროვის" ფაქტორი გახდა, მის ძველ მეტოქესთან-ინგლისთან შედარებით. შემდგომში ფრანგული მერკანტილიზმი მოცემული მიზეზით *კოლბერტიზმად* იწოდება.

ინგლისში კი მერკანტილიზმი, როგორც აშკარაა ეკონომიკის ისტორიიდან, მნიშვნელოვნად უფრო „ნაყოფიერი" აღმოჩნდა, ვიდრე საფრანგეთში. ამ ქვეყნის პროტექციონისტული პოლიტიკის მთავარ წარმატებებს ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში XVII საუკუნეში ჩვეულებრივ თომას მენის - ოსტ-ინდური კომპანიის ერთ-ერთი ლიდერის სახელს უკავშირებენ. ცნობილია ასევე, რომ მერკანტილიზმთან იდეოლოგიური ბრძოლის შედეგად სწორედ ინგლისში იქნა მიღწეული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფასეულობათა საუკეთესო თეორიული განზოგადებები, რომელმაც ასახვა ჰპოვა ა. სმითის, დ. რიკარდოს, თ. მალთუსის, ჯ. ს. მილის და სხვათა ნაშრომებში. გარდა ამისა, ინგლისმა, როგორც მე-19 საუკუნის მსოფლიოს ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებულმა ქვეყანამ, სათავე დაუდო უმნიშვნელოვანესი ანტიმერკანტილისტური პოზიციის პრაქტიკულ რეალიზაციას, მე-19 საუკუნის შუახანებში თავისი უსიტყვო ერთგულების გამოცხადებით ფრიტრედერობის პოლიტიკისადმი, ე.ი. საშინაო და საგარეო ვაჭრობის სრული თავისუფლების გამოცხადებით.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ მერკანტილიზმმა გაამდიდრა ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია არა მხოლოდ სამეურნეო ცხოვრების საყოველთაო კომერციალიზაციის კონცეფციით და მასში სახელმწიფო სტრუქტურების მასშტაბური მონაწილეობით, არამედ იმითაც, რომ მან ი. შუმპეტერის სიტყვებით, მართლაც აღნიშნა „მეცნიერების წარმოშობა". საქმე ეხება, ცხადია, ეკონომიკურ მეცნიერებას, რომელიც 1615 წელს ფრანგი მერკანტილისტის, ანტუან მონკრეტიენის მიერ „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატის" გამოქვეყნების შემდეგ, თითქმის ოთხი საუკუნე ღირსეულად ინოდებოდა პოლიტიკურ ეკონომიად.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რა არის მერკანტილიზმი? რომელმა ისტორიულმა წანამძღვრებმა განაპირობეს მისი აღმოცენება?
2. გახსენით ეროვნული სიმდიდრის კონცეფციის არსი და მისი გამრავლების გზები ადრეული და გვიანდელი მერკანტილისტების შეხედულებებში.
3. რაში მდგომარეობს ეროვნული ვალუტის გაფუჭების არსი და რა შედეგები შეიძლება მან გამოიწვიოს ქვეყნის ეკონომიკაში?
4. შეადარეთ ფულის განმარტებები და მათი ფუნქციები ადრეული და გვიანდელი მერკანტილიზმის პერიოდებში.
5. გადმოეცით მერკანტილიზმის ისტორიული თავისებურებები ინგლისსა და საფრანგეთში.

განყოფილება მესამე
არარეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების ეპოქის ეკონომიკური მოძღვრება

ნაწილი პირველი.
კლასიკური პოლიტიკური ეკონომია

თავი 5. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ევოლუციის საერთო ნიშნები და ეტაპები

ამ თავის შესწავლით თქვენ გაიგებთ:

- რამ განაპირობა მერკანტილიზმის კონცეფციის გამოდევნა და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ორასწლიანი ბატონობა;
- ეკონომიკურ მეცნიერებაში როგორ განმარტავენ ტერმინს „კლასიკური პოლიტიკური ეკონომია";
- რა ეტაპებს მოიცავს თავის განვითარებაში კლასიკური პოლიტიკური ეკონომია და როგორია მისი ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები, შესასწავლი საგნისა და მეთოდის ჩათვლით.

5.1. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის არსი და მისი საგნისა და მეთოდის თავისებურებები

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდგომი ჩამოყალიბების კვალდაკვალ სულ უფრო ცხადი ხდებოდა ის გარემოება, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ საქმიანობაში პანაცეა როდია დაბრკოლებათა დაძლევის საქმეში და ეროვნული სიმდიდრის გამრავლებაში და შეთანხმებულობის მიღწევაში მეურნე სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულებაში, როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. ამიტომ, როგორც პ. სამუელსონმა აღნიშნა, „ინდუსტრიამდელი პირობების" გამოდევნა „თავისუფალი კერძო მეწარმეობის სისტემით", ხელს უწყობს რა მერკანტილიზმის დაშლას, იმავდროულად „სრული laissez faire"-ს პირობების შეტევის ამოსავალი პუნქტი გახდა.

უკანასკნელი სიტყვათწყობა ნიშნავს სახელმწიფოს სრულ ჩაურევლობას ეკონომიკაში, საქმიან ცხოვრებაში ან, სხვაგვარად თუ ვიტყვით, - *ეკონომიკურ ლიბერალიზმს*. ამასთან, XVII ს. ბოლო

- XVIII ს. დასაწყისიდან ეს იდეა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურ დევიზად გადაიქცა. და სწორედ ამ დროიდან ყალიბდება ეკონომიკური აზრის ახალი თეორიული სკოლა, რომელსაც მოგვიანებით *კლასიკური პოლიტიკური ეკონომია* უწოდეს.

„კლასიკურმა სკოლამ" გადამწყვეტი ბრძოლა გამართა მერკანტილისტების პროტექციონისტულ იდეოლოგიასთან, რომელმაც ამა თუ იმ ეპოქის მეცნიერების ყველაზე ახალ მეთოდოლოგიურ მიღწევებს მიმართა და ჭეშმარიტად ფუნდამენტური თეორიული გამოკვლევები გაიშალა. მისმა წარმომადგენლებმა მერკანტილისტური სისტემის ემპირიზმს პროფესიონალიზმი დაუპირისპირეს, რომელიც, იგივე პ. სამუელსონის სიტყვებით, საშუალებას არ აძლევდა „მეფის მრჩევლებს" თავიანთი მონარქები იმაში დაერწმუნებინათ, რომ ქვეყნის სიმდიდრის გადიდება დაკავშირებულია სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწესებასთან ეკონომიკაზე, მათ შორის იმპორტის შეფერხებასთან და ექსპორტის ნახალისებასთან და ათასობით სხვა „დეტალურ წვრილმანებთან".

„კლასიკოსებმა", მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, არსებითად, ხელახლა ჩამოაყალიბეს ეკონომიკური თეორიის შესწავლის საგანიც და მეთოდიც. ასე, მაგალითად, ეკონომიკის მანუფაქტურიზაციის მზარდმა ხარისხმა (შემდეგ მისმა ინდუსტრიალიზაციამაც) განაპირობა სამრეწველო წარმოებაში დასაქმებული მეწარმეების წამყვან პოზიციაზე ნამოწევა და ვაჭრობაში, ფულად მიმოქცევაში და სასესხო ოპერაციებში დაბანდებული კაპიტალის უკანა პოზიციებზე გადანევა. ამ მიზეზით, *„კლასიკოსები" შესწავლის საგნის სახით,* ძირითადად უპირატესობას ანიჭებდნენ წარმოების სფეროს.

რაც შეეხება *შესწავლის მეთოდს და ეკონომიკურ ანალიზს,* მისი სიახლე „კლასიკურ სკოლაში", როგორც ნახსენები იყო,დაკავშირებულია *უახლესი მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენებასთან,* რომლებიც საკმაოდ სიღრმისეულ ანალიტიკურ შედეგებს უზრუნველყოფდნენ, ნაკლები ხარისხის ემპირიულობას და აღწერილობითობას, ე.ი. სამეურნეო (საქმიანი) ცხოვრების ზედაპირულ გააზრებას. ამის შესახებ მოწმობს ასევე ლ. მიზესის და მ. ბლაუგის - თანამედროვეობის უდიდესი ავტორიტეტების გამოთქმები ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის სფეროში.

მათ შორის პირველი, კერძოდ, ვარაუდობს, რომ „ეკონომისტ-კლასიკოსების მრავალი მიმდევარი ეკონომიკური მეცნიერების ამოცანას ხედავდა არა რეალურად მიმდინარე მოვლენების შესწავლაში, არამედ მხოლოდ იმ ძალებში, რომლებმაც ზოგიერთებს, არასრული სახით განუსაზღვრეს რეალურ მოვლენათა აღ-

მოცენება"[1]. მეორის მტკიცებით, „ეკონომისტი-კლასიკოსები ხაზს უსვამდნენ, რომ ეკონომიკური მეცნიერების დასკვნები საბოლოო ანგარიშში ემყარება პოსტულატებს, რომლებიც თანაბრად არიან ამოკრეფილნი დასაკვირვებელი „წარმოების კანონებიდან" და სუბიექტური ინტროსპექციიდან (თვითდაკვირვებიდან)"[2].

ამრიგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მერკანტილიზმის შეცვლა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიით კიდევ ერთი ისტორიული მეტამორფოზის განხორციელება გახდა, ეკონომიკური მეცნიერების სახელწოდების და დანიშნულების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მოღვაწეობის დროს ტერმინი *„ეკონომია"* ან *„ეკონომიკა"* აღიქმებოდა სიტყვების „ოიკოს" (საოჯახო მეურნეობა) და „ნომოს" (წესი, კანონი) პირდაპირი თარგმანის სახით და *საოჯახო მეურნეობის პროცესების, ოჯახის ან პირადი მეურნეობის მართვის* აზრობრივი დატვირთვა ჰქონდა. მერკანტილისტური სისტემის პერიოდში ეკონომიკურმა მეცნიერებამ, რომელმაც ა. მონკრეტიენის წყალობით სახელწოდება „პოლიტიკური ეკონომია" მიიღო, აღიქმებოდა, როგორც *მეცნიერება სახელმწიფო მეურნეობის ანუ ეროვნულ სახელმწიფოთა ეკონომიკის შესახებ, რომელთაც მონარქები მართავდნენ.* დაბოლოს, „კლასიკური სკოლის" პერიოდში, *პოლიტიკურმა ეკონომიამ ჭეშმარიტად მეცნიერული დისციპლინის ნიშნები შეიძინა, რომელიც შეისწავლის თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკის პრობლემებს.*

სხვათა შორის კ. მარქსი, ვის სახელთანაც დაკავშირებულია მეცნიერულ ბრუნვაში ტერმინი „კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის" შემოღება, უწინარეს ყოვლისა, იქედან გამომდინოდა, რომ „კლასიკოსები", თავიანთი საუკეთესო ავტორებით, როგორც იგი ვარაუდობდა, ა. სმითით და დ. რიკარდოთი სრულიად არ უშვებდნენ არც აპოლოგეტიკას და არც ეკონომიკური მოვლენების ზედაპირზე ცურვას. მაგრამ, მისი აზრით, „კლასიკური სკოლა" მისთვის დამახასიათებელი კლასობრივი მიმართულობით „იკვლევდა ბურჟუაზიული საზოგადოების წარმოებრივ ურთიერთობებს". მოცემულ დებულებას, როგორც ჩანს, არ აკრიტიკებდა ნ. კონდრატიევიც, რომელიც თვლიდა, რომ „კლასიკოსების" მოძღვრებაში საქმე ეხებოდა „მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების" თავისუფალი სამეურნეო საქმიანობის პირობების ანალიზს[3].

5.2. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი ნიშნები

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თითქმის ორასწლოვანი ისტორიის ზოგადი დახასიათების გაგრძელებისას, აუცილე-

ბელია გამოვყოთ მის ზოგადი ნიშნები, მიდგომები და ტენდენციები და მივცეთ მათ შესაბამისი შეფასება. ისინი შეიძლება დაყვანილ იქნენ შემდეგ განზოგადებამდე.

ჯერ-ერთი, პროტექციონიზმის მიუღებლობა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში და წარმოების სფეროს პრობლემების უპირატესი ანალიზი მიმოქცევის სფეროსგან მოწყვეტით, გამოკვლევის პროგრესული მეთოდოლოგიური ხერხების გამომუშავება და გამოყენება, მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური), დედუქციური და ინდუქციური, ლოგიკური აბსტრაქციის ჩათვლით. კერძოდ, წარმოების „დასაკვირვებელ კანონებზე" დამოწმება ხსნიდა ნებისმიერ ეჭვებს იმის თაობაზე, რომ ლოგიკური აბსტრაქციის და დედუქციის დახმარებით მიღებული პროგნოზები უნდა დაქვემდებარებოდა საცდელ შემოწმებას. ამის შედეგად, კლასიკოსებისთვის დამახასიათებელი წარმოებისა და მიმოქცევის სფეროთა ერთმანეთისადმი დაპირისპირება გახდა ამ სფეროთა მეურნე სუბიექტების კანონზომიერი ურთიერთკავშირის ფულადი, საკრედიტო და ფინანსური ფაქტორების და მიმოქცევის სფეროს სხვა ელემენტების უკუზეგავლენის შეუფასებლობის მიზეზი.

უფრო მეტიც, კლასიკოსები პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას *პასუხებს ძირითად კითხვებზე იძლეოდნენ, როგორც ნ. კონდრატიევმა გამობატა,* „შეფასებით". ამ მიზეზით, როგორც იგი ვარაუდობს, მიიღებოდა „პასუხები, რომლებსაც შეფასებითი მაქსიმუმის ან წესების ხასიათი გააჩნიათ, და სახელდობრ: წყობილება, რომელიც ემყარება სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას, არის ყველაზე უფრო სრულყოფილი, ვაჭრობის თავისუფლება ყველაზე უფრო მეტად უწყობს ხელს ერის აყვავებას და ა.შ."[4]. ეს გარემოება ასევე *ხელს არ უწყობდა ეკონომიკური ანალიზის ობიექტურობას და თანამიმდევრულობას* და პოლიტიკური ეკონომიის „კლასიკური სკოლის" *თეორიულ განზოგადებას.*

მეორე, ეკონომიკურ მაჩვენებელთა კაუზალურ ანალიზზე, საშუალო და ჯამურ სიდიდეთა გაანგარიშებებზე დაყრდნობით, კლასიკოსები (განსხვავებით მერკანტილისტებისგან) ცდილობდნენ გამოეკვლიათ საქონელთა ღირებულების ფორმირების და ბაზარზე ფასების მერყეობის მექანიზმი არა ფულის „ბუნებრივ თვისებასთან" და მათ რაოდენობასთან დაკავშირებით ქვეყანაში, არამედ წარმოების დანახარჯებთან ან სხვა განმარტებასთან, დახარჯული შრომის რაოდენობასთან დაკავშირებით. უდაოდ, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დროიდან წარსულში არ ყოფილა სხვა ეკონომიკური პრობლემა, და ამაზე ასევე მიუთითებდა ნ. კონდრატიევი, რომელიც მოიზიდავდა „ეკონომისტების ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელთა განხილვა გამოიწვევდა იმდენ გონებრივ დაძაბვას, ლოგიკურ ხრიკებს და პოლემიკურ გატა-

ცებებს, როგორც ფასეულობის პრობლემა. და ამასთან ერთად, როგორც ჩანს, ძნელია დაასახელო სხვა პრობლემა, რომლის გადაჭრის ძირითადი მიმართულებები იმდენად შეურიგებლები დარჩენილიყვნენ, როგორც ფასეულობის პრობლემის შემთხვევაში"[5].

მაგრამ *„კლასიკური სკოლის მიერ" ფასების დონის განსაზღვრის ხარჯვითი პრინციპი* ვერ უკავშირდებოდა საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვა მნიშვნელოვან ასპექტს - პროდუქტის (მომსახურების) მოხმარებას ამა თუ იმ დოვლათზე ცვალებადი მოთხოვნილების დროს, მისადმი ამ დოვლათის ერთეულის დამატებით. ამიტომ სავსებით სამართლიანია ნ. კონდრატიევის მოსაზრება, რომელიც წერდა: „წარსული ექსკურსი ჩვენ იმაში გვარწმუნებს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე სოციალურ ეკონომიკაში არ არსებობს ფასეულობათა თეორიული და პრაქტიკული მსჯელობების მკაფიო დაყოფა და განსხვავება. როგორც წესი, ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ის მსჯელობები, რომლებიც ფაქტობრივად მსჯელობები და ფასეულობებია, იმდენადვე მეცნიერული და დასაბუთებულებია, როგორც თეორიული მსჯელობები[6]. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ (1962), მსგავსი მოსაზრებები გამოთქვა ლუდვიგ ფონ მიზესმა. „საზოგადოებრივი აზრი, - წერს იგი, - დღემდე იმყოფება კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენელთა მეცნიერული მცდელობის შთაბეჭდილების ქვეშ, გაუმკლავდეს ფასეულობის პრობლემას. ფასწარმოქმნის აშკარა პარადოქსის გადაჭრის მდგომარეობაში ყოფნის გარეშე, კლასიკოსებმა ვერ შეძლეს თვალყური მიედევნებინათ საბაზრო გარიგებათა თანამიმდევრულობისთვის საბოლოო მომხმარებლის დონემდე, მაგრამ იძულებულები იყვნენ თავიანთი მსჯელობა დაეწყოთ ბიზნესმენის მოქმედებიდან, რომლისთვისაც სარგებლიანობის სამომხმარებლო შეფასებები მოცემულს წარმოადგენენ"[7].

მესამე, კატეგორია „ღირებულება" კლასიკური სკოლის ავტორების მიერ აღიარებული იყო ეკონომიკური ანალიზის ამოსავალ კატეგორიად, რომლისგანაც, ისე, როგორც გენეალოგიური ხის სქემაზე იზრდება სხვა წარმოებულები კატეგორიის არსის მიხედვით. ფასეულობის პრობლემის გაანალიზებისას, კლასიკოსებმა გვიჩვენეს, რომ „ეს თავისთავში მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ სიღრმისეულად განსხვავებულ რიგ საკითხებს. მათ შორის ძირითადია შემდეგი: 1. რა არის ფასეულობა, როგორც ფენომენი და როგორია მისი სახეები (ხარისხობრივი პრობლემა)? 2. როგორია ფასეულობის არსებობის საფუძვლები, წყაროები ან მიზეზები? 3. არის თუ არა ფასეულობა სიდიდე და თუკი დიახ, მაშინ სახელდობრ როგორი, და მისი სიდიდე რით განისაზღვრება (რაოდენობრივი პრობლემა)? 4. რა ემსახურება ფასეულობის გა-

ზომვას? 5. რა ფუნქციას ასრულებს ფასეულობის კატეგორია თეორიული ეკონომიის სისტემაში?"[3]. *გარდა ამისა, ანალიზისა და სისტემატიზაციის მსგავსმა გამარტივებამ, კლასიკური სკოლა იქამდე მიიყვანა, რომ თვით ეკონომიკური გამოკვლევა როგორღაც ინვევდა ფიზიკის კანონებისადმი მიდევნების იმიტირებას, ე.ი. სამეურნეო კეთილდღეობის განსაკუთრებით შინაგანი მიზეზების ძიებას საზოგადოებაში, სოციალური გარემოს ფსიქოლოგიური, მორალური, სამართლებრივი და სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.*

აღნიშნული ნაკლოვანებები, თუკი მ. ბლაუგს დავიმოწმებთ, ნაწილობრივ საზოგადოებრივ მეცნიერებებში მთლიანად კონტროლირებადი ექსპერიმენტის ჩატარების შეუძლებლობით აიხსნება, რის შედეგადაც, „ეკონომისტებს რომელიმე თეორიის უკუსაგდებად, გაცილებით მეტი ფაქტი სჭირდებათ, ვიდრე, ვთქვათ, ფიზიკოსებს"[9]. თვით მ. ბლაუგი, ამასთან, აზუსტებს: თუკი დასკვნები ეკონომიკური თეორიის თეორემებიდან ცალსახა შემოწმებას დაექვემდებარებოდნენ, მაშინ არავინ არასოდეს არ გაიგონებდა წანამძღვრების არარეალურობის შესახებ. მაგრამ ეკონომიკური თეორიის თეორემები შეუძლებელია ცალსახად შემოწმდეს, რამდენადაც, ყველა წინასწარმეტყველებას აქ ალბათური ხასიათი გააჩნია"[10].

მეოთხე, ეკონომიკური ზრდის და ხალხის კეთილდღეობის გადიდების პრობლემატიკის გამოკვლევისას კლასიკოსები (ისევ მერკანტილისტებისგან განსხვავებით) არა მხოლოდ აქტიური სავაჭრო ბალანსის მიღწევის პრინციპიდან გამოდიოდნენ (დადებითი სალდო), *არამედ ცდილობდნენ დაესაბუთებინათ დინამიზმი და ქვეყნის ეკონომიკის მგომარეობის წონასწორობითობა.* მაგრამ ამასთან, როგორც ცნობილია, ისინი სერიოზული მათემატიკური ანალიზის, ეკონომიკური პრობლემების მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენების გარეშე „გადიოდნენ" იოლად, რომელიც სამეურნეო სიტუაციის განსაზღვრული მდგომარეობიდან ყველაზე საუკეთესო (ალტერნატიული) ვარიანტის არჩევის საშუალებას იძლეოდა. უფრო მეტიც, კლასიკური სკოლა ეკონომიკაში წონასწორობის მიღწევას ავტომატურად შესაძლებლად მიიჩნევდა, ჟ. ბ. სეის „ბაზრების კანონის" გაზიარებით.

დაბოლოს, *მეხუთე, ფული*, რომელიც ოდითგანვე და ტრადიციულად ადამიანთა ხელოვნურ გამოგონებად ითვლება, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პერიოდში აღიარებულ იქნა *საქონელთა სამყაროში სტიქიურად გამოყოფილ საქონლად, რომელიც ვერ „გაუქმდება" ვერანაირი შეთანხმებით ადამიანებს შორის.* კლასიკოსებს შორის ერთადერთი, ვინც ითხოვდა ფულის გაუქმე-

ბას, პ. ბუაგილბერი იყო. *იმავდროულად კლასიკური სკოლის მრავალი ავტორი, XIX ს. შუახანებამდე, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ფულის სხვადასხვა ფუნქციებს, ძირითადად ერთის - მიმოქცევის საშუალების ფუნქციის გამოყოფით, ე.ი. ფულადი საქონლის, როგორც ნივთის, როგორც ტექნიკური საშუალების განმარტებით, რომელიც მოხერხებულია გაცვლისთვის.* ფულის სხვა ფუნქციების შეუფასებლობა განპირობებული იყო წარმოების სფეროზე ფულად-საკრედიტო ფაქტორთა უკუზეგავლენის აღნიშნული გაუგებრობით.

XX საუკუნის ერთ-ერთი პოპულარული წიგნის „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის" ავტორები, შ. ჟიდი და შ. რისტი აღნიშნავდნენ, რომ ძირითადად ა. სმითის ავტორიტეტმა ფული საქონლად გადააქცია, კიდევ უფრო ნაკლებად აუცილებელ საქონლად, ვიდრე ყოველგვარი სხვა, დამამძიმებელი საქონელი, რომელსაც ძეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდო. მერკანტილიზმთან ბრძოლაში ა. სმითის მიერ გამოვლენილ ფულის დისკრედიტების ამ ტენდენციას შემდგომში ხელს ჩასჭიდებენ მისი მიმდევრები და, მისი გაზვიადებით, მხედველობიდან გაუშვებენ ფულადი მიმოქცევის ზოგიერთ თავისებურებებს[11].

რაღაც მსგავსს ამტკიცებს ი. შუმპეტერი, იმის შესახებ საუბრისას, რომ ა. სმითი და მისი მიმდევრები „ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ფულს არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა, მაგრამ იმავე დროს თვითონ არ შეუძლიათ თანამიმდევრულად მისდიონ ამ თეზისს"[12]. და მხოლოდ გარკვეულ შეწყნარებას კლასიკოსების ამ დაუდევრობისადმი (უწინარეს ყოვლისა ა. სმითისა და დ.რიკარდოსი) აკეთებს მ. ბლაუგი, თუ ვივარაუდებთ, რომ *„მათი სკეპტიციზმი ფულადი პანაცეისადმი სავსებით დროული იყო ეკონომიკის პირობებში, რომელიც კაპიტალის ნაკლებობას და ქრონიკულ სტრუქტურულ უმუშევრობას განიცდის"*[13].

აქ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ მ. ვებერის ერთ-ერთი ბრძნული დარიგება მისი უკვე დასახელებული ნაშრომიდან, „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება". „გახსოვდეს,- ნათქვამია მასში,- რომ ფული თავისი ბუნებით ნაყოფიერია, და შეუძლია ახალი ფულის მოტანა. ფულს შეუძლია ფულის მოტანა, მის „ამონაყარს" შეუძლია კიდევ უფრო მეტის მოტანა და ა.შ. ის, ვინც დახარჯავს ერთ მონეტას ხუთ შილინგში, ანადგურებს (!) ყველაფერს, რისი წარმოებაც მას შეუძლია: ფუნტების მთელ გროვას."[14].

თუკი გამოვრიცხავთ კლასობრივ იდეოლოგიზებულ ტენდენციებს და ყურადღებას მივაქცევთ „კლასიკური სკოლისთვის" ერთიანი თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციების კონსტატაცი-

ზომვას? 5. რა ფუნქციას ასრულებს ფასეულობის კატეგორია თეორიული ეკონომიის სისტემაში?"[3]. *გარდა ამისა, ანალიზისა და სისტემატიზაციის მსგავსმა გამარტივებამ, კლასიკური სკოლა იქამდე მიიყვანა, რომ თვით ეკონომიკური გამოკვლევა როგორღაც იწვევდა ფიზიკის კანონებისადმი მიდევნების იმიტირებას, ე.ი. სამეურნეო კეთილდღეობის განსაკუთრებით შინაგანი მიზეზების ძიებას საზოგადოებაში, სოციალური გარემოს ფსიქოლოგიური, მორალური, სამართლებრივი და სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.*

აღნიშნული ნაკლოვანებები, თუკი მ. ბლაუგს დავიმოწმებთ, ნაწილობრივ საზოგადოებრივ მეცნიერებებში მთლიანად კონტროლირებადი ექსპერიმენტის ჩატარების შეუძლებლობით აიხსნება, რის შედეგადაც, „ეკონომისტებს რომელიმე თეორიის უკუსაგდებად, გაცილებით მეტი ფაქტი სჭირდებათ, ვიდრე, ვთქვათ, ფიზიკოსებს"[9]. თვით მ. ბლაუგი, ამასთან, აზუსტებს: თუკი დასკვნები ეკონომიკური თეორიის თეორემებიდან ცალსახა შემოწმებას დაექვემდებარებოდნენ, მაშინ არავინ არასოდეს არ გაიგონებდა წანამძღვრების არარეალურობის შესახებ. მაგრამ ეკონომიკური თეორიის თეორემები შეუძლებელია ცალსახად შემოწმდეს, რამდენადაც, ყველა წინასწარმეტყველებას აქ ალბათური ხასიათი გააჩნია"[10].

მეოთხე, ეკონომიკური ზრდის და ხალხის კეთილდღეობის გადიდების პრობლემატიკის გამოკვლევისას კლასიკოსები (ისევ მერკანტილისტებისგან განსხვავებით) არა მხოლოდ აქტიური სავაჭრო ბალანსის მიღწევის პრინციპიდან გამოდიოდნენ (დადებითი სალდო), *არამედ ცდილობდნენ დაესაბუთებინათ დინამიზმი და ქვეყნის ეკონომიკის მგომარეობის წონასწორობითობა.* მაგრამ ამასთან, როგორც ცნობილია, ისინი სერიოზული მათემატიკური ანალიზის, ეკონომიკური პრობლემების მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენების გარეშე „გადიოდნენ" იოლად, რომელიც სამეურნეო სიტუაციის განსაზღვრული მდგომარეობიდან ყველაზე საუკეთესო (ალტერნატიული) ვარიანტის არჩევის საშუალებას იძლეოდა. უფრო მეტიც, კლასიკური სკოლა ეკონომიკაში წონასწორობის მიღწევას ავტომატურად შესაძლებლად მიიჩნევდა, ჟ. ბ. სეის „ბაზრების კანონის" გაზიარებით.

დაბოლოს, *მეხუთე,* ფული, რომელიც ოდითგანვე და ტრადიციულად ადამიანთა ხელოვნურ გამოგონებად ითვლება, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პერიოდში აღიარებულ იქნა *საქონელთა სამყაროში სტიქიურად გამოყოფილ* საქონლად, *რომელიც ვერ „გაუქმდება" ვერანაირი შეთანხმებით ადამიანებს შორის.* კლასიკოსებს შორის ერთადერთი, ვინც ითხოვდა ფულის გაუქმე-

ბას, პ. ბუაგილბერი იყო. *იმავდროულად კლასიკური სკოლის მრავალი ავტორი, XIX ს. შუახანებამდე, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ფულის სხვადასხვა ფუნქციებს, ძირითადად ერთის - მიმოქცევის საშუალების ფუნქციის გამოყოფით, ე.ი. ფულადი საქონლის, როგორც ნივთის, როგორც ტექნიკური საშუალების განმარტებით, რომელიც მოხერხებულია გაცვლისთვის.* ფულის სხვა ფუნქციების შეუფასებლობა განპირობებული იყო წარმოების სფეროზე ფულად-საკრედიტო ფაქტორთა უკუზეგავლენის აღნიშნული გაუგებრობით.

XX საუკუნის ერთ-ერთი პოპულარული წიგნის „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის" ავტორები, შ. ჟიდი და შ. რისტი აღნიშნავდნენ, რომ ძირითადად ა. სმითის ავტორიტეტმა ფული საქონლად გადააქცია, კიდევ უფრო ნაკლებად აუცილებელ საქონლად, ვიდრე ყოველგვარი სხვა, დამამძიმებელი საქონელი, რომელსაც შეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდო. მერკანტილიზმთან ბრძოლაში ა. სმითის მიერ გამოვლენილ ფულის დისკრედიტების ამ ტენდენციას შემდგომში ხელს ჩასჭიდებენ მისი მიმდევრები და, მისი გაზვიადებით, მხედველობიდან გაუშვებენ ფულადი მიმოქცევის ზოგიერთ თავისებურებებს[11].

რაღაც მსგავსს ამტკიცებს ი. შუმპეტერი, იმის შესახებ საუბრისას, რომ ა. სმითი და მისი მიმდევრები „ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ფულს არ გააჩნია დიდი მნიშვნელობა, მაგრამ იმავე დროს თვითონ არ შეუძლიათ თანამიმდევრულად მისდიონ ამ თეზისს"[12]. და მხოლოდ გარკვეულ შეწყნარებას კლასიკოსების ამ დაუდევრობისადმი (უნინარეს ყოვლისა ა. სმითისა და დ.რიკარდოსი) აკეთებს მ. ბლაუგი, თუ ვივარაუდებთ, რომ *„მათი სკეპტიციზმი ფულადი პანაცეისადმი სავსებით დროული იყო ეკონომიკის პირობებში, რომელიც კაპიტალის ნაკლებობას და ქრონიკულ სტრუქტურულ უმუშევრობას განიცდის"*[13].

აქ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ მ. ვებერის ერთ-ერთი ბრძნული დარიგება მისი უკვე დასახელებული ნაშრომიდან, „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება". „გახსოვდეს,- ნათქვამია მასში,- რომ ფული თავისი ბუნებით ნაყოფიერია, და შეუძლია ახალი ფულის მოტანა. ფულს შეუძლია ფულის მოტანა, მის „ამონაყარს" შეუძლია კიდევ უფრო მეტის მოტანა და ა.შ. ის, ვინც დახარჯავს ერთ მონეტას ხუთ შილინგში, ანადგურებს (!) ყველაფერს, რისი წარმოებაც მას შეუძლია: ფუნტების მთელ გროვას."[14].

თუკი გამოვრიცხავთ კლასობრივ იდეოლოგიზებულ ტენდენციებს და ყურადღებას მივაქცევთ „კლასიკური სკოლისთვის" ერთიანი თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციების კონსტატაცი-

ას, მაშინ მისი ზოგადი ნიშნები და მერკანტილიზმისგან განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ.

თეორიულ-მეთოდოლოგიური მახასიათებლები

მერკანტილისტური სისტემა	კლასიკური პოლიტიკური ეკონომია

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრინციპი

პროტექციონიზმი; თავისუფალი კონკურენციის პოლიტიკა ობიექტურად შეუძლებელია.

ეკონომიკური ლიბერალიზმი ანუ სრული „laissez faire".

ეკონომიკური ანალიზის საგანი

მიმოქცევის სფეროს პრობლემების უპირატესი შესწავლა წარმოების სფეროსაგან მოწყვეტით.

წარმოების სფეროს პრობლემების უპირატესი შესწავლა მიმოქცევის სფეროსაგან მოწყვეტით.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდი

ემპირიზმი; კაუზალურ საფუძველზე ეკონომიკური პროცესების გარეგნული გამოცალკევების აღწერა. ეკონომიკის ყველა სფეროს სისტემური შესწავლის არარსებობა.

ანალიზის კაუზალური (მიზეზ-შედეგობრივი) დედუქციური, ინდუქციური მეთოდები, და ასევე ლოგიკური აბსტრაქციის მეთოდი. წარმოების სფეროზე მიმოქცევის სფეროს ფაქტორების უკუზეგავლენის შეუფასებლობა.

საჭიროსა და მოთხოვნილების ღირებულების (ფასეულობის) წარმოშობის განმარტება

ოქროსა და ვერცხლის ფულის „ბუნებრივ" წარმომადგენლობასთან დაკავშირებით და მათი რაოდენობით ქვეყანაში.

ერთფაქტორიანი-ხარჯვითი მახასიათებლის მიხედვით, ან წარმოების ხარჯების ან დახარჯული შრომის რაოდენობის გათვალისწინებით.

ეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტული პრინციპები

ეკონომიკური მოვლენებისა და კატეგორიების მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირის გამოვლენა.

კაუზალური ანალიზის პრინციპი „გენიალურობის ხის შემდგომი აგებით, რომლის საფუძველია კატეგორია „ღირებულება".

ეკონომიკური ზრდის კონცეფცია

ქვეყნის ფულადი სიმდიდრის გამრავლებით –ექსპორტი იმპორტზე მეტი ბალანსის მიღწევის წყალობით (საგარეოვაჭრობაში დადებითი სალდოთი).

ეროვნული სიმდიდრის გადიდებით,რომელიც პროდუქტიული შრომით იქმნება მატერიალური წარმოების სფეროში.



შემდგომ უნდა მივმართოთ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ქრონოლოგიური საზღვრების პრობლემის განხილვას. ეს მომენტი მართლაც პრობლემურია, იმიტომ, რომ უკვე ზედიზედ მეორე საუკუნეა, თითქმის კამათის გარეშე მიღებულ იქნა საკითხი „კლასიკური სკოლის" წარმოშობის პერიოდის შესახებ და როგორც კ. მარქსმა პირველმა გამოხატა, მისი „მამების" შესახებ, სწავლული-ეკონომისტები ჯერ კიდევ ვერ მივიდნენ საერთო დასკვნამდე მისი დასრულების დროისა და ეკონომიკური აზრის მოცემული მიმართულების უკანასკნელი ავტორების შესახებ.

საქმე ისაა, რომ ისტორიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა იმისი განმარტების ორი პოზიცია, როდესაც საკუთარი თავი ამონურა „კლასიკურმა სკოლამ",-შემზღუდველი (მარქსისტული) და გამაფართოებელი. უკანასკნელი, დღევანდელ პერიოდში, არსებითად, გარდაიქმნება დაინტერესებულთა უმეტესობისთვის ეკონომიკური დოქტრინების საზოგადოდ მიღებულ ევოლუციად.

მოკლედ ამ პოზიციების არსი ასეთია. მარქსისტულის თანახმად-კლასიკური პოლიტიკური ეკონომია დასრულდა XIX საუკუნის დასაწყისში ა. სმითისა და დ. რიკარდოს ნაშრომებით და შემდგომ დაიწყო ე.წ. *ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის* ეპოქა, რომლის ფუძემდებლებმა, ჟ. ბ.სეიმ და თ. მალთუსმა, კ. მარქსის სიტყვებით, ხელი ჩასჭიდეს „მოვლენათა გარეგნულ შეხედულებას და კანონსაწინააღმდეგო მოვლენებს". ამასთან, შერჩეული პოზიციის დამასაბუთებელ ძირითად არგუმენტად „კაპიტალის" ავტორი მიიჩნევს მის მიერ „აღმოჩენილ" „ზედმეტი ღირებულების კანონს". ეს „კანონი", მისი აზრით, გამომდინარეობს ა. სმითისა და დ. რიკარდოს მოძღვრების ცენტრალური რგოლიდან შრომითი ღირებულების თეორიიდან, რომლის უარისმთქმელი „ვულგარული

ეკონომისტი"[15] განწირულია გახდეს ბურჟუაზიის აპოლოგეტი, რომელიც ცდილობს დაფაროს მუშათა კლასის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების კაპიტალისტების მიერ მითვისების ურთიერთობების ექსპლუატატორული არსი. კ. მარქსის დასკვნა ცალსახაა: „კლასიკური სკოლა" დამაჯერებლად ხსნიდა კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, და უკლასო სოციალისტური მომავლის კონცეფციამდე მიყავდა იგი.

გაფართოებადი პოზიციის შესაბამისად, რომელიც ეკონომიკური ლიტერატურის უმეტესი უცხოური წყაროებისთვის უდაო გახდა, ეკონომიკური აზრის ეტაპების კლასიფიკაციის ვერსია, როგორც კლასიკურის და ვულგარული პოლიტიკური ეკონომიისა საერთოდ გამორიცხულია, თუმცა, ა. სმითის და დ. რიკარდოს მეცნიერულ მიღწევებს ისევე მაღალი შეფასება ეძლევა, როგორც კ. მარქსისას. მაგრამ სმითი-რიკარდოს მოძღვრების გამგრძელებელთა სახელებს და შესაბამისად, „კლასიკური სკოლის" დროით საზღვრებს უმატებენ არა მხოლოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეკონომისტების მთელ პლეადას, ჟ. ბ. სეის, თ. მალთუსს, ნ. სენიორს, ფ. ბასტიას და სხვ., მაგრამ ასევე XIX საუკუნის მეორე ნახევრის უდიდეს მეცნიერს, ჯ. ს. მილს.

მაგალითად, თანამედროვეობის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. კ. გელბრეითი ამტკიცებს: „ა. სმითის იდეები შემდგომ განავითარა დ. რიკარდომ, თ. მალთუსმა, და განსაკუთრებით ჯ. ს. მილმა და კლასიკური სისტემის სახელწოდება მიიღო. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ავსტრიელმა, ინგლისელმა და ამერიკელმა ეკონომისტებმა თეორია შეავსეს ე.წ. მარჟინალური ანალიზით და ამან ბოლოს და ბოლოს გამოიწვია ტერმინი „კლასიკური ეკონომიკური თეორიის" შეცვლა ტერმინით „ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია"[16]. ეკონომიკური აზრის სხვა ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, ბენ სელიგმენი მიუთითებს ასევე XIX საუკუნის მეორე ნახევარზე, იმისი აღნიშვნით, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში „გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენლებმა ამბოხება მოაწყვეს მათი აზრით, მკაცრი კლასიკური დოქტრინის წინააღმდეგ და დაეჭვდნენ იმაში, საკმარისია თუ არა ფიზიკის უბრალო იმიტაცია, პრაქტიკულად სასარგებლო საზოგადოებრივი მეცნიერების შესამუშავებლად"[17]. მსგავს მსჯელობებს ადგილი აქვს პ. სამუელსონთანაც, რომლის მოსაზრებითაც დ. რიკარდო და ჯ. ს. მილი არიან რა „კლასიკური სკოლის ძირითადი წარმომადგენლები, განავითარეს და სრულყვეს სმითის იდეები"[18]. დაბოლოს, ანალოგიურ რწმენას გამოთქვამს ასევე მ. ბლაუგიც: „ჩვენ ვიყენებთ ამ ტერმინს (კლასიკური პოლიტიკური ეკონომია) ჩამოყალიბებული აზრით, მხედვე-

ლობაში ადამ სმითის ყველა მიმდევართა მიღებით ჯ.ს. მილისა და ჯ. ე. კერნსამდე"[19]. ამასთან, მ. ბლაუგი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ჯ. მ. კეინზთან ტერმინი „კლასიკური ეკონომიკური მეცნიერება" ნიშნავს „ორთოდოქსული ეკონომისტების ფართო პლეადას სმითიდან პიგუმდე, რომლებიც სეის კანონის მსხვერპლნი გახდნენ"[20]. ამას მხოლოდ უნდა დავუმატოთ, რომ განსხვავებით კ. მარქსის შემლუდველი პოზიციისგან, ჯ. მ. კეინზის პოზიციას გამაფართოებელი ხასიათი გააჩნია, თუმცა, უკანასკნელის არგუმენტები ასევე უდაო როდია.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზემოთ აღნიშნული ზოგადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების მხედველობაში მიღებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კ. მარქსი, ისევე როგორც ჯ. ს. მილი „კლასიკური სკოლის" ერთ-ერთი დამასრულებელნი არიან, რაშიც მკითხველს მის ეკონომიკურ მოძღვრებასთან გაცნობა დაეხმარება ამ სახელმძღვანელოს მე-11-ე თავის მე-2 პარაგრაფში.

5. 3. კლასიკური სკოლის განვითარების ძირითადი ეტაპები

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში განსაზღვრული პირობითობით შეიძლება გამოვყოთ ოთხი ეტაპი.

პირველი ეტაპი. მისი საწყისი ეტაპი XVII ს. დასასრულსა და XVIII ს. დასაწყისზე მოდის, როდესაც ინგლისში უ. პეტის მოძღვრების წყალობით და საფრანგეთში პ. ბუაგილბერის ნაშრომების გამოჩენით, ყალიბდება მერკანტილიზმის ალტერნატიული ახალი ნარმოშობადი მოძღვრების ნიშნები, რომელსაც შემდგომში კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას უწოდებენ. ეს ავტორები მკვეთრად კიცხავდნენ პროტექციონისტული სისტემის მენარმეობის შემაფერხებელ თავისუფლებას. მათ ნაშრომებში გაკეთდა საქონელთა და მომსახურების ღირებულების ხარჯვითი განმარტებების პირველი მცდელობები (წარმოების პროცესში დახარჯული სამუშაო დროისა და შრომის რაოდენობის აღრიცხვის მეშვეობით). ისინი ხაზს უსვამდნენ, მეურნეობრიობის ლიბერალური პრინციპების პრიორიტეტულ მნიშვნელობას ეროვნული მატერიალური (არაფულადი) ნარმოების სიმდიდრის შექმნაში.

ამ ეტაპის შემდგომი სტადია დაკავშირებულია XVIII ს. შუახანებისა და მეორე ნახევრის დასაწყისთან, როდესაც ე.წ. ფიზიოკრატიზმის - სპეციფიკური მიმდინარეობის დაწყებით კლასიკური სკოლის ფარგლებში - მერკამტილისტური სისტემა უფრო სიღრმისეულ და არგუმენტირებულ კრიტიკას დაექვემდებარა. ფიზიოკ-

რატებმა (განსაკუთრებით ფ. კენემ და ა. ტიურგომ) მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ეკონომიკური მეცნიერება განსაკუთრებით რიგი მიკრო- და მაკროეკონომიკური კატეგორიების განმარტებებით, თუმცა, მათი ყურადღება თითქმის მთლიანად გამახვილებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემებზე ეკონომიკის სხვა სფეროების და განსაკუთრებით მიმოქცევის სფეროს საზიანოდ.

ამრიგად, პირველ ეტაპზე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ვერც ერთმა წარმომადგენელმა, როგორც არაპროფესიონალმა ეკონომისტმა, ვერ შეძლო, როგორც სამრეწველო წარმოების, ისე ფერმერული მეურნეობის თეორიული პრობლემების სიღრმისეული დამუშავება.

მეორე ეტაპი. „კლასიკური სკოლის" განვითარების ამ პერიოდის დროის მონაკვეთი მთლიანად დაკავშირებულია დიდი მეცნიერ-ეკონომისტის, ა. სმითის სახელთან და შემოქმედებასთან, ვისი გენიალური ნაწარმოები „ხალხთა სიმდიდრე" (1776) მთელი XVIII საუკუნის უკანასკნელი მესამედის ეკონომიკური მეცნიერების განსაკუთრებული და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევა გახდა.

მისმა „ეკონომიკურმა ადამიანმა" და „ უჩინარი ხელის" განჭვრეტამ შეძლეს ეკონომ-ისტთა არაერთი თაობის დარწმუნება ადამიანთა სურვილისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად ბუნებრივი წესრიგის და ობიექტური კანონების სტიქიური მოქმედების გარდაუვლობაში. დიდწილად მისი წყალობით, XX ს. 30-იან წლებამდე, როგორც „კლასიკოსები", ასევე შემდგომში „ნეოკლასიკოსებიც" დარწმუნებულნი იყვნენ „laissez faire"-ის დებულებების უცილობლობაში-თავისუფალ კონკურენციაში სამთავრობო რეცეპტების სრული ჩაურევლობის შესახებ[21].

სამართლიანად კლასიკურად ითვლება ა. სმითის მიერ (ქინძისთავების მანუფაქტურის მასალების მიხედვით) შრომის დანაწილების და მისი მწარმოებლურობის ზრდის კანონების აღმოჩენა. მის თეორიულ გამოკვლევებს მნიშვნელოვანწილად ემყარებიან ასევე თანამედროვე კონცეფციები საქონლისა და მისი თვისებების, ფულის, ხელფასის, მოგების, კაპიტალის, მწარმოებლური შრომის და სხვ. შესახებ.

მესამე ეტაპი. ამ ეტაპის ქრონოლოგიური ჩარჩოები პრაქტიკულად XIX სუკუნის მთელ პირველ ნახევარს მოიცავს, როდესაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში (უწინარეს ყოვლისა ინგლისსა და საფრანგეთში) განხორციელდა გადასვლა მანუფაქტურული წარმოებიდან ქარხნებსა და ფაბრიკებზე, ე.ი. მანქანურზე, ანუ როგორც ამბობენ ინდუსტრიულ წარმოებაზე, რომელიც სამ-

რეწველო გადატრიალებას ნიშნავდა. ამ პერიოდში „კლასიკური სკოლის“ საგანძურში უდიდესი წვლილი შეიტანეს ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ თავს ა. სმითის მოწაფეებს და მიმდევრებს უწოდებდნენ, ინგლისელებმა დ. რიკარდომ, თ. მალთუსმა და ნ. სენიორმა, ფრანგებმა, ჟ. ბ. სეიმ, ფ. ბასტიამ, და სხვ. და თუმცა ეს ავტორები თავიანთ კერპს მისდევდნენ, მაგრამ ძირითადად ეკონომიკურ მეცნიერებაში ღირებულების თეორიას მიიჩნევდნენ და ისევე როგორც იგი, ხარჯვით კონცეფციას ემხრობოდნენ (რომლის შესაბამისად საქონელთა და მომსახურების ღირებულების საფუძველს - ან დახარჯული შრომის რაოდენობაში ან წარმოების დანახარჯებში ხედავდნენ), მიუხედავად ამისა, თითოეულმა მათგანმა ეკონომიკური აზრის ისტორიაში და ლიბერალური საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში შესამჩნევი კვალი დატოვა.

მაგალითად, ჟ. ბ. სეი იყო ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური კონცეფციის ავტორი „კლასიკურ სკოლაში“, რომელმაც სეის „ბაზრების კანონის“ ანუ უბრალოდ „სეის კანონის“ სახელწოდება მიიღო. ამ კანონს 100 წელზე მეტი ხნის მანძილზე იზიარებდნენ ჯერ „კლასიკოსები“, ხოლო შემდგომ „ნეოკლასიკოსები“ იმიტომ, რომ მისი დახმარებით ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის განსახილველი წონასწორობის პრობლემატიკის საფუძველია საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის ესა თუ ის დონე, რომელიც უზრუნველყოფილია ბაზრის კონიუნქტურის მერყეობის პირობებში და ჟ. ბ. სეი და მისი თანამოაზრეები, არსებითად ამაში სმითისეულ შემდეგ დებულებას დებდნენ: *მოქნილი ხელფასისა და ცვალებადი ფასების დროს სარგებლის განაკვეთი გააწონასწორებს მოთხოვნას და მიწოდებას, დანაზოგებს და ინვესტიციებს სრული დასაქმების დროს.*

მეორე მკვლევარმა დ. რიკარდომ, რომელიც სხვა მის თანამედროვეებთან შედარებით მეტ პოლემიკას ეწეოდა ა. სმითთან და ამასთან, მთლიანად იზიარებდა უკანასკნელის შეხედულებებს „საზოგადოების ძირითადი კლასების“ შემოსავლების წარმომავლობის ბუნების შესახებ, პირველად გამოავლინა *თავისუფალი კონკურენციის პირობებში კანონზომიერი ტენდენცია მოგების ნორმის შემცირებისა*, შეიმუშავა დასრულებული *თეორია მიწის რენტის ფორმების შესახებ.* მას ასევე დიდი დამსახურება მიუძღვის იმ დროისთვის ფულის, როგორც საქონლის ღირებულების შეცვლის ერთ-ერთი საუკეთესო კანონზომიერების დასაბუთებისთვის, მიმოქცევაში მათ რაოდენობაზე დამოკიდებულობით.

თ. მალთუსის ნაშრომებში ა. სმითის არასრულყოფილი კონკურენციის განვითარებაში საზოგადოებრივი კვლავწარმოების მექანიზმის შესახებ (მარქსის მიხედვით „სმითის დოგმა“) წამოყენებულია (იმ პერიოდში გაბატონებული თვალსაზრისის საპირისპი-

როდ „კლასების" სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ) ორიგინალური თეორიული დებულება „მესამე პირების" შესახებ, რომლის შესაბამისად ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში საზოგადოების არა მხოლოდ „მწარმოებლური", არამედ ასევე „არამწარმოებლური" ფენების სავალდებულო მონაწილეობა საბუთდება. გარდა ამისა, ამ მეცნიერს ეკუთვნის ასევე იდეა საზოგადოების კეთილდღეობაზე მოსახლეობის რაოდენობისა და მისი ზრდის ტემპების ზეგავლენის შესახებ, რომელსაც ამჟამადაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა - თვით ის იდეა, რომელიც *ეკონომიკური აზრის ისტორიაში ხალხთმოსახლეობის პირველ* თეორიას დაედო საფუძვლად.

მეოთხე ეტაპი. ამ დამამთავრებელ ეტაპზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში დომინირებდა ჯ. ს. მილის, და კ. მარქსის ნაშრომები, რომლებმაც ყოველმხრივ განაზოგადეს „კლასიკური სკოლის" საუკეთესო მიღწევები. როგორც ცნობილია, მოცემულ პერიოდში უკვე დაიწყო ეკონომიკური აზრის ახალი, უფრო პროგრესული მიმართულების ჩამოყალიბება, რომელმაც შემდგომში „ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის" სახელწოდება მიიღო. მაგრამ „კლასიკოსების" თეორიულ შეხედულებათა პოპულარობა ერთობ შთამბეჭდავი რჩებოდა. ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად ის იყო, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის უკანასკნელი ლიდერები, როგორც კონკურენციის პირობებში ფასწარმოქმნის ეფექტიანობის შესახებ დებულების ერთგული მიმდევრები და, რომლებიც კიცხავდნენ ეკონომიკურ აზრში კლასობრივ ტენდენციურობას და ვულგარულ პოლოგეტიკას, პ. სამუელსონის სიტყვებით, მაინც სიმპატიებს უცხადებენ მუშათა კლასს და მიმართულები იყვნენ „სოციალიზმისა და რეფორმებისკენ".

კითხვები და დავალებები კონტროლისათვის

1. როგორია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები? დაახასიათეთ პროტექციონიზმისა და „laissez faire"-ის პრინციპების საპირისპირი არსი და მიმართულება.
2. რაში მდგომარეობს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ეკონომიკური ანალიზის შესწავლის საგნისა და მეთოდოლოგიის უპირატესობები და ნაკლოვანებები მერკანტილიზმთან შედარებით? ახსენით, რატომ არ შეიძლება განვიხილოთ ეროვნული სიმდიდრის წყარო მიმოქცევის ან წარმოების სფეროში.
3. გამოყავით „კლასიკური სკოლის" ევოლუციის პერიოდიზაციის ეტაპების კრიტერიუმები. მოიტანეთ კ. მარქსის არგუმენტები

„ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის“ დასრულების დროის შესახებ.

4. რაში მდგომარეობს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი ნიშნების არსი? „კლასიკოსები“ რატომ არ აფასებენ პრინციპს „ფულს აქვს მნიშვნელობა“ ეროვნული სიმდიდრის შექმნაში და გამოდიოდნენ პრინციპიდან ეკონომიკის თვითრეგულირებისა და ავტომატური წონასწორობის შესახებ?
5. ახსენით საქონლისა და მომსახურების ღირებულების „კლასიკოსების“ მიერ განსაზღვრის ხარჯვითი პრინციპის უსაფუძვლობა, შრომითი ღირებულების თეორიის ან წარმოების ხარჯების თეორიის მიხედვით.

თავი 6. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩასახვა

ამ თავის შესწავლა თქვენ საშუალებას მოგცემთ გაიგოთ:

- რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომია სათავეს უ. პეტის (ინგლისი) და ფრანგი პ. ბულგილბერის ნაშრომებიდან იღებს;
- „კლასიკოსებიდან" მართლზომიერად ვისი მიკუთვნება შეიძლება შრომითი ღირებულების თეორიის ფუძემდებლებისადმი;
- რომელი ალტერნატიული თეორიულ-მეთოდოლოგიური იდეები დაუპირისპირეს მერკანტილისტებს უ. პეტიმ და პ. ბუაგილბერმა, სიმდიდრის, ფულის და შემოსავლების შესახებ მსჯელობასთან დაკავშირებით.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პირველი ავტორების შემოქმედებასთან გაცნობა უ. პეტის (ინგლისი) და პ. ბუაგილბერის (საფრანგეთი) სახით მიზანშეწონილია დავიწყოთ ცნობილი სწავლული-ეკონომისტების ორი გამონათქვამით, რომელიც ნათელს ჰფენს წინამდებარე სახელმძღვანელოს და მის რიგ შემდგომ სტრუქტურულ ქვეგანყოფილებებსაც.

ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნის შ. ჟიდს დ შ. რისტს და მისი არსი შემდეგზე დაიყვანება: *ისინი, ვისაც „კლასიკურ სკოლას" მიაკუთვნებენ, იმ პრინციპების ერთგულნი უნდა დარჩნენ, რომლებიც ეკონომიკური მეცნიერების პირველმა მასწავლებლებმა უანდერძეს, ეცადონ, საუკეთესო სახით დაადასტურონ, განავითარონ და გამოასწორონ კიდევაც მათი პრინციპები, მაგრამ „მათში არა იმის შეცელით, რაც მათ არსებას შეადგენს".*

მეორე გამონათქვამი, რომელიც მ. ფრიდმანს ეკუთვნის, ეკონომისტებს იმაზე მიუთითებს, რომ *ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესი განხილულ უნდა იქნეს არა ლოგიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ კატეგორიებში და არა „ტრაქტატების მიხედვით მეცნიერული მეთოდების შესახებ"*, არამედ *„ავტობიოგრაფიებისა და ბიოგრაფიების მიხედვით"*, რომელიც *ამ პროცესს „აფორიზმებისა და მაგალითების დახმარებით"* ასტიმულირებს.

6.1. უ. პეტის ეკონომიკური მოძღვრება

უილიამ პეტი (1623-1687)-ინგლისში კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი, რომელმაც თავისი ეკონომიკური შე-

ხელნაწერები გადმოსცა XVII ს. 60-80-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში. კ. მარქსის სიტყვებით, უ. პეტი - „პოლიტიკური ეკონომიის მამა, უგენიალურესი და უორიგინალესი მკვლევარი-ეკონომისტია[1].

იგი დაიბადა ქ. რომში, ინგლისის სამხრეთით, ფეიქარის ოჯახში. ბავშვობაში, სწავლის პერიოდში ქალაქის სკოლაში შესასწავლ დისციპლინებს და განსაკუთრებით ლათინურს შესამჩნევი სიმსუბუქით ასწრებდა. 14 წლისამ ვერ მიიღო რა მამის სარეწი, ნავიდა სახლიდან და იუნგად დაექირავა გემზე. უკვე ერთი წლის შემდეგ შემთხვევით ფეხის გადატეხის გამო, გემიდან უახლოეს ნაპირზე გადასვეს, რომელიც საფრანგეთის ჩრდილოეთი აღმოჩნდა. უცხო ქვეყანაში ლათინურის ცოდნის წყალობით, ახალგაზრდა უ. პეტი მიიღეს კანის კოლეჯში, რომელიც მსმენელებს მატერიალურად უზრუნველყოფდა. კოლეჯში იგი დაეუფლა ბერძნულ და ფრანგულ ენებს, მათემატიკას და ასტრონომიას.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ, 1640 წელს ინგლისში დაბრუნებული უ. პეტი თავისი განათლების გაგრძელების იმედს არ კარგავდა. ცხოვრებისთვის საჭირო სახსრებს გამოიმუშავებდა ზღვის რუქების დახაზვით, ხოლო შემდგომ სამხედრო ფლოტში მუშაობით, სამი წლის შემდგომ 20 წლის უ. პეტიმ დატოვა ინგლისი უცხოეთში მედიცინის შესწავლის მიზნით. ამსტერდამსა და პარიზში გაილია სწავლის პირველი ოთხი წელიწადი, რომელიც აუცილებელი იყო შეეხამებინა სხვადასხვა დამხმარე გამომუშავებებთან. სამედიცინო განათლება უ. პეტიმ მაინც სამშობლოში დაასრულა, კიდევ სამი წელიწადი ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლით.

1650 წელს 27 წლის უ. პეტიმ მიიღო ფიზიკის დოქტორის ხარისხი, გახდა ანატომიის პროფესორი ერთ-ერთ ინგლისურ კოლეჯში. მაგრამ ერთ წელიწადში ბევრისთვის მოულოდნელად მიიღო წინადადება, დაეკავებინა ექიმის თანამდებობა ინგლისური ჯარის მთავარსარდალთან ირლანდიაში და ამ დროიდან მოკრძალებული ექიმის ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა. შესაშური გერგილიანობის გამოვლენით, თვით უ. პეტის გაანგარიშებით მან მოახერხა 9 ათ. ფ. სტ.-ის „გამომუშავება“ ჩვეულებრივი სამთავრობო დაკვეთის მეშვეობით, პირადად მის მიერ მინის ნაკვეთების გეგმების მომზადებით, შემდგომი აზომვებისთვის და დაპყრობილი ირლანდიის რუქების შესადგენად. როგორც აღმოჩნდა, უ. პეტიმ თავის სახელზე გააფორმა მინის შესყიდვა კუნძულის სხვადასხვა ბოლოში, ყველა იმ ოფიცრებისა და ჯარისკაცებისავის, ვინც ვერ შეძლო ან არ სურდა დალოდებოდა თავისი მინის ნაკვეთის მიღებას.

სულ 10 წლის შემდეგ, 1661 წელს 38 წლის უ. პეტი, ინტილიგენტი-რაზნოჩინელი ამაღლებულ იქნა რაინდის წოდებამდე, დაიმსახურა უფლება ეწოდებინათ სერ უ. პეტი. შემდგომში მდიდარი და პრაქტიკოსი მიწათმოქმედის მდგომარეობა აისახა უ. პეტის ახალ სამუშაოში, რომელიც დაკავშირებული იყო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების საკუთარი ხედვის აღწერასთან, შედეგად გამოჩნდა მისი ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ (1662), „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია“ (1672), „ზოგი რამ ფულის შესახებ“ (1682) და სხვ., რომლებშიც წითელი ძაფით გასდევს აზრი მერკანტილისტების პროტექციონისტული იდეების არასასურველობის შესახებ.

სიმდიდრის და ფულის თეორია

მერკანტილისტებისგან განსხვავებით *სიმდიდრეს*, უ. პეტის აზრით, ქმნის არა მხოლოდ ძვირფასი ლითონები და ქვები, ფულის ჩათვლით, არამედ ქვეყნის მიწებიც, სახლებიც, გემებიც, საქონელიც და საოჯახო გარემოც კი. სწორედ მოცემული მიზეზით, მსჯელობებში მან ამჟამადაც კი ერთობ პოპულარული რწმენა გამოთქვა: „შრომა სიმდიდრის მამაა და სიმდიდრის აქტიური პრინციპი, ხოლო მიწა მისი დედა“.

ქვეყნის სიმდიდრის გასადიდებლად უ. პეტი ვარაუდობდა, რომ ნაცვლად ციხეში ჩასმით დასჯისა, აუცილებელია შემოღებულ იქნეს ფულადი ჯარიმები, ხოლო „უსუსური ქურდები“ მისცენ „მონობაში“, იძულებით ამუშაონ. ეს მერკანტილისტების საპირისპიროდ ნიშნავდა, რომ *სიმდიდრე, უწინარეს ყოვლისა, იქმნება შრომით და მისი შედეგებით*, ე.ი. უარყოფილი იყო ფულის „განსაკუთრებული“ როლი სამეურნეო ცხოვრებაში. ამიტომ, აზუსტებდა უ. პეტი, თუკი რომელიმე სახელმწიფო მიმართავს მონეტების გაფუჭებას, მაშინ ეს ახასიათებს მის დაცემას, ხელმწიფის უსინდისო მდგომარეობას, ფულისადმი საზოგადოებრივი ნდობის შეცვლას.

მოცემული აზრის განვითარებაში უ. პეტი ყურადღებას აქცევს ფულის გატანის აკრძალვის უაზრობას და შეუძლებლობას. სახელმწიფოს მსგავსი ქმედება, მისი სიტყვებით, ქვეყანაში იმპორტულ საქონელთა შემოტანის აკრძალვის ტოლფასია. ამ და სხვა მსჯელობებში უ. პეტი თავს ავლენს, როგორც *ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრე*, რომელსაც ესმის კანონზომიერებები მიმოქცევისთვის საჭირო ფულის რაოდენობის შესახებ. მაგრამ იმავდროულად, ცხადია მისი გამარტივებული პოზიცია ფულის როლის თაობაზე ეკონომიკაში. ერთი მხრივ, ფულის რაოდენობრივმა თეორიამ მართლაც უჩვენა, რომ „ფული თავისთავად არ განსაზღვრავს სიმდიდრეს, მეორე მხრივ კი - უ. პეტიმ, ხოლო შემ-

დგომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა ავტორებმა ვერ გაიგეს, რომ ამ თეორიას, მ. ბლაუგის სიტყვებით თუ ვიტყვით, „სასაქონლო და ფულად ბაზრებს შორის ურთიერთკავშირის იგნორირებამდე მივყავართ, რომელიც ფულის, როგორც ფასეულობის შენარჩუნების საშუალების ფუნქციებიდან გამომდინარეობს".

აი მერკანტილიზმის ბევრად სამართლიან კრიტიკას უ. პეტის ნაშრომებში რატომ ახლავს ზოგიერთი ტენდენციური მოსაზრებები. იგი, მაგალითად, სავსებით ნინასწარაკვიატებულად უარყოფს *ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის მონაწილეობას ეროვნული სიმდიდრის შექმნაში*, ვაჭრების მნიშვნელოვანი ნაწილის შემცირების დაჟინებული მოთხოვნითაც კი. დაბოლოს უ. პეტი სახელმწიფოს ადარებს „მოთამაშეებთან", რომლებიც დასაქმებულები არიან სახელმწიფოს „სისხლის" და „მკვებავი ნვენების" განანილებით, რომელშიც გულისხმობდა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის პროდუქციას.

ღირებულების თეორია

მერკანტილისტური იდეის მიუღებლობა აისახა უ. პეტის შემოქმედებაში არა მხოლოდ სიმდიდრის არსის დახასიათებასთან და მისი გამრავლების გზებთან დაკავშირებით, არამედ, ასევე საქონელთა ღირებულების წარმომავლობის ბუნების და მათი ფასეულობის დონეზე ზემოქმედი მიზეზების გამოვლენის მცდელობებში. ამ საკითხებზე მისმა განმარტებებმა, შემდგომში შესაძლებელი გახადა *ელიარებინათ იგი შრომითი ღირებულების თეორიის პირველ ავტორად*, რომელიც მთლიანად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი გახდა.

ერთ-ერთ მათგანში ლაპარაკია, რომ საქონლის ღირებულება იქმნება ვერცხლის მოსაპოვებელი შრომით და იგი მისი „ბუნებრივ ფასია". საქონლის ფასი განპირობებულია მის შექმნაში შრომისა და მინის მონანილეობით[2]. როგორც ვხედავთ, უ. პეტისთან *საქონლის ღირებულების საფუძველი, მისი არსის ყოველი განმარტების დროს არის ხარჯვითი, ე.ი. ჩიბური მიდგომა.*

შემოსავლების თეორია

ახლა განვიხილოთ დებულებები, რომლებიც მითითებულია უ. პეტის მიერ მუშათა შემოსავლების, ფულადი კაპიტალის მესაკუთრეთა და მიწათმფლობელების თაობაზე. მრავალი მათგანი თეორიული კვლევების საფუძველი იყო „კლასიკური სკოლის" შემდეგი წარმომადგენლების მიერ. მაგალითად, უ. პეტის მსგავსად, *ბელფასი*, როგორც დ. რიკარდოს, ისე თ. მალთუსის მიერ ხასიათ-

დებოდა როგორც მუშის შრომის ფასი, რომელიც წარმოადგენს სახსრების მინიმუმს მისი და მისი ოჯახის არსებობისთვის.

უ. პეტი, კერძოდ, ამტკიცებდა: *„კანონს მუშისთვის უნდა უზრუნველეყო მხოლოდ საარსებო საშუალებები, იმიტომ, რომ თუკი მას ორჯერ მეტის მიღების საშუალებას მისცემენ, მაშინ იგი ორჯერ ნაკლებს მუშაობს, ვიდრე შეეძლო ემუშავა და იმუშავებდა, ხოლო ეს საზოგადოებისთვის ნიშნავს იგივე რაოდენობის შრომის დაკარგვას“* [3]. მაგრამ აქ დროულია მოვიტანოთ ვ. ლეონტიევის შემდეგი შენიშვნა: „იმისი დამოწმება, რომ არც ერთი მუშა არ ვაჭრობდა რეალური ხელფასის გამო - მაშინაც კი თუ ეს ასეცაა, - სრულიად არაფერს არ ადასტურებს, რამდენადაც, ფულადი სახით თავის ხელფასზე ვაჭრობით, მომუშავეს შეუძლია თავის ქმედებებში სინამდვილეში იხელმძღვანელოს შემოსავლის რეალური ყიდვითი უნარით“ [4].

მეწარმეთა და მიწათმფლობელთა შემოსავლები უ. პეტის მიერ დახასიათებულია მის მიერ არსებითად უნიფიცირებული ცნება „რენტის“ მეშვეობით. კერძოდ, მიწის რენტას უწოდებდა რა განსხვავებას პურის ღირებულებასა და მისი წარმოების დანახარჯებს შორის, მან შეცვალა ისეთი ცნება, როგორიცაა ფერმერის მოგება. მეორე მაგალითში, იხილავდა რა სასესხო სარგებლის წარმოშობის არსს, უ. პეტი ისევ მიმართავდა გამარტივებას და აცხადებდა, რომ ეს მაჩვენებელი ტოლი უნდა იყოს „რენტისა მიწის ისეთი რაოდენობიდან, რომელიც შეიძლება შეძენილ იქნეს სესხად გაცემული იგივე ფულისგან, სრული საზოგადოებრივი უსაფრთხოების პირობით“.

კიდევ ერთ მაგალითში უ. პეტის საქმე მიყავს მიწის რენტის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმასთან, რომელიც განპირობებულია მიწის ნაკვეთების და ბაზრის ადგილმდებარეობით. ამასთან, იგი დაასკვნის, რომ ახლომახლო დასახლებული ადგილებში, რომლის მოსახლეობის გამოსაკვებად საჭიროა დიდი რაოდენობა, მიწები არა მხოლოდ უფრო მაღალ რენტას იძლევა, არამედ ასევე წლიური რენტის მეტი თანხა ღირს, ვიდრე სრულიად ისეთივე ხარისხის მიწები, რომლებიც უფრო მოშორებულ ადგილებში მდებარეობენ. ამით უ. პეტი კიდევ ერთ პრობლემას შეეხო, რომელიც დაკავშირებულია მიწის ფასის განსაზღვრასთან. მაგრამ აქაც მეცნიერი კმაყოფილდება მხოლოდ ზედაპირული დახასიათებით, შემდეგის მტკიცებით: „თითქმის ყოველთვის ერთდროულად ცხოვრობენ დამავალი შთამომავლების უწყვეტი რიგის მხოლოდ სამი ნევრი (ბაბუა, მამა და შვილი)“. ამიტომ, - დაასკვნის უ. პეტი,- მე ვიღებ, რომ წლიური რენტის ჯამი, რომელიც მიწის მოცემული ნაკვეთის ღირებულებას შეადგენს, ასეთი სამი პირის სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობის ტოლია. ჩვენთან ინგლისში ეს ხანგრძლივობა 21

წლის ტოლად ითვლება. ამიტომ, მიწის ღირებულებაც დაახლოებით იგივე წლიური რენტების თანხის ტოლია"[5].

იმავდროულად უ. პეტის მიდგომას მიწის ფასის განსაზღვრისადმი ცალკეული ღირსებები გააჩნია, რომელიც ჩადებულია მის იდეაში სესხის სარგებლის და მიწის წლიური რენტის ურთიერთკავშირის შესახებ. ამაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ კ. მარქსი. გარკვეული აზრით, მსგავს მსჯელობებს ჩვენ ვხვდებით ი. შუმპეტერთანაც, რომელიც წერდა: „არც ერთ კაპიტალისტს, თუკი იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ საქმიანი მოსაზრებებით, არ შეუძლია მიწის ნაკვეთის შეფასება ფულის იმ თანხაზე მეტად ან ნაკლებად, რომლის მოტანა მისთვის შეუძლია სარგებელს, რომელიც რენტის ტოლია მოცემული ნაკვეთიდან. თუკი მიწა უფრო ძვირი იქნებოდა, მისი გაყიდვა შეუძლებელი იქნებოდა. თუკი მიწა უფრო იაფი იქნებოდა, მაშინ ჭარბი შემოსავლით მოზიდულ კაპიტალისტებს შორის წარმოიშობოდა კონკურენცია, რომელიც ფასს ადრინდელ დონემდე ასწევდა. ამასთან, მიწის არც ერთი მესაკუთრე, თუკი იგი მხოლოდ ბუნებრივ გარემოებებში არ იმყოფება, არ დათმობს თავის ნაკვეთს ფულის იმ თანხაზე იაფად, რომლის სარგებელი მისგან წმინდა რენტის ტოლია. მაგრამ მას არ შეუძლია ამ თანხაზე მეტის მიღება, რამდენადაც კაპიტალისტს, რომელმაც თანხმობა განაცხადა ასეთი თანხის გადახდაზე, მაშინვე მიეწოდება მიწის მრავალი ნაკვეთი"[6].

6.2. პ. ბუაგილბერის ეკონომიკური მოძღვრება

პიერ ბუაგილბერი (1646-1714) - პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელია საფრანგეთში. ისე, როგორც ეკონომიკური აზრის მსგავსი სკოლის დამაარსებელი ინგლისში უ. პეტი, იგი არ იყო პროფესიონალი სწავლული-ეკონომისტი.

ნორმანდიელი აზნაურის, იურისტის შვილმა პ. ბუაგილბერმა, მამის მსგავსად, იურიდიული განათლება მიიღო. 31 წლისას მოსამართლის ადმინისტრაციული თანამდებობა უბოძეს ნორმანდიაში. 12 წლის შემდეგ, პროფესიულმა წარმატებებმა საშუალება მისცეს მას დაეკავებინა რუანას სასამართლო ოლქის გენერალური უფროსის შემოსავლიანი და გავლენიანი თანამდებობა. ქალაქის მთავარი მოსამართლის თანამდებობაზე, რომლის ფუნქციაში იმ დროს საერთომუნიციპალური სამმართველო შედიოდა, პოლიციური სამმართველოს ჩათვლით, პ. ბუაგილბერი 25 წლის მანძილზე რჩებოდა, ე.ი. თითქმის სიცოცხლის ბოლომდე, და მხოლოდ გარ-

დაცვალებამდე ორი თვით ადრე, ეს თანამდებობა უფროს შვილს გადასცა.

მაძიებლურმა გონებამ, მაღალმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ პ. ბუაგილბერის ინტერესი გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკური პრობლემებისადმი, შეაგულიანეს გარკვეულიყო ცხოვრების დაბალი დონის მიზეზებში საფრანგეთის პროვინციებში XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. თავისი პირველი რეფორმატორული (ანტიმერკანტილისტური) შეხედულებები მან გამოაქვეყნა 50 წლის ასაკში, ანონიმურად გამოსცა რა 1695-1696 წლებში წიგნი ერთობ თავსატეხი სათაურით „საფრანგეთის მდგომარეობის დაწვრილებითი აღწერა, მისი კეთილდღეობის დაცემის მიზეზები და აღდგენის მარტივი ხერხები, ანუ ერთ თვეში როგორ მივუტანოთ მეფეს მთელი ფული, რომელიც მას სჭირდება და გავამდიდროთ მთელი მოსახლეობა“.

პ. ბუაგილბერის პირველი წიგნი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, მიუხედავად მასში მერკანტილიზმის ეკონომიკური პოლიტიკის მკვეთრი კრიტიკისა, რომლის გამტარებელი იმ პერიოდში იყო მეფე ლუდოვიკო XIV-ის ფინანსთა მინისტრი ჟ. ბ. კოლბერი. უკანასკნელმა, როგორც მე-4-ე თავში აღინიშნა, სახელმწიფო პროტექტორობა გაუწია მანუფაქტურების ქსელის გაფართოებას (მათ შორის პრივილეგირებული სამეფო მანუფაქტურებისას, რომლებიც სამთავრობო სუბსიდიებს იღებდნენ), დააკანონა დებულებები, რომლებიც ასტიმულებდა ფრანგული საქონელის ექსპორტს, ქვეყანაში იმპორტულ საქონელთა შემოტანის შეზღუდვის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის უზომოდ მაღალი გადასახადებით დაბეგვრით, რაც უარყოფითად აისახებოდა, როგორც სამრეწველო პროდუქციის დონეზე, ისე ეროვნულ მეურნეობაზე მთლიანად.

ეკონომიკაში ნეგატიურ გარემოებათა დაძლევის გზების ძიება პ. ბუაგილბერის შემდგომ ნაწარმოებებშიც მთავარ ამოცანად რჩება, რომლებიც XVIII ს. დასაწყისში გამოქვეყნდა. მათში, ისე როგორც ადრე, იგი მერკანტილიზმის კრიტიკას განაგრძობდა, ასაბუთებდა რეფორმების აუცილებლობას, ყურადღების ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დათმობით, რომელშიც ეკონომიკური ზრდისა და სახელმწიფოს სიმდიდრის საფუძველს ხედავდა. შევნიშნავთ, რომ ანალოგიური ტენდენციური მიდგომა შენარჩუნდა – საფრანგეთის ეკონომიკურ აზრში XVIII ს. მეორე ნახევრამდე, როდესაც აქ აღორძინდა ფიზიოკრატიზმი, რომელიც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში პროპაგანდას უნევდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფერმერულ წყობას.

თავისი განახლებული რეფორმატორული თხზულება სახელწოდებით *„საფრანგეთის ბრალდება“* პ. ბუალილბერმა ორ ტომად გამოსცა 1707 წელს. მთავრობის მკვეთრი კრიტიკისთვის ნიგნი აიკრძალა. მაგრამ არაჭკვიანმა პროვინციულმა მოსამართლემ ხელახლა სამჯერ გამოსცა იგი, თითქმის მთლიანად ამოიღო რა შინაარსიდან გამოხტომები მთავრობის წინააღმდეგ და დატოვა არსებითად არა იმდენად დასაბუთებები, რამდენადაც რჩევა-დარიგებები და დაფიცებები ეკონომიკური რეფორმების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, არც აღიარებები, არც მხარდაჭერები ან საკუთარი იდეების გაგებები მთავრობის მინისტრების მიერ, რომელთა იმედი მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჰქონდა, მაინც არ მიუღია.

შესწავლის საგანი

პ. ბუაგილბერი, უ. პეტის მსგავსად, მერკანტილისტებისთვის სიმდიდრის არსის საკუთარი ხედვის დაპირისპირებით, ე.წ. საზოგადოებრივი სიმდიდრის კონცეფციამდე მივიდა. უკანასკნელი, მისი შეხედულებით, საკუთარ თავს ავლენს არა ფულის ფიზიკურ მასაში, არამედ სასარგებლო დოვლათის და საგნების მთელ მრავალფეროვნებაში ან როგორც იგი გამოხატავს, „პურის, ღვინის, ხორცის, ტანსაცმლის, საკმარისზე მეტი ყველაფერი საუკეთესოთი“. ამასთან იგი ხაზს უსვამს, რომ არც მიწის, არც ფულადი სიმდიდრის ფლობა, ვერ უზრუნველყოფს ისეთ სიუხვეს, რომ „უფლება არ მისცე მათ მფლობელს მოკვდეს სიღარიბეში, როდესაც პირველები სრულიად არ მუშავდება, ხოლო მეორეები არ იცვლებიან სასიცოცხლოდ აუცილებელ საგნებზე, როგორც საკვები და ტანსაცმელი, რომელთა გარეშე იოლად ვერავინ ვერ გავა. მხოლოდ ისინი უნდა ჩავთვალოთ სიმდიდრედ“.

ამრიგად, ბუაგილბერის მიხედვით, არა ფულის გამრავლება, არამედ, პირიქით, „საკვებისა და ტანსაცმლის“ წარმოების ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების მთავარ ამოცანას. სხვა სიტყვებით, იგი, ისე, როგორც უ. პეტი პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგნად თვლის წარმოების სფეროს პრობლემების ანალიზს, მიიჩნევს რა ამ სფეროს ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად და პრიორიტეტულად, მიმოქცევის სფეროსთან შედარებით.

შესწავლის მეთოდი

წარმოებისა და მოხმარების (მიმოქცევის) სფეროთა განხილვაში, ტენდენციურ პოზიციებთან ერთად, პ. ბუაგილბერის შემოქ-

მედებითი მემკვიდრეობის მეთოდოლოგიურ თავისებურებებზე მონმობს ასევე:

- ეკონომიკის ავტომატურ წონასწორობაში დარწმუნებულობა შეუზღუდავი თავისუფალი კონკურენციის პირობებში;
- საქონელთა და მომსახურების ღირებულების (ფასეულობის) ხარჯვითი დახასიათებისადმი ერთგულება;
- ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისთვის პირადი ინტერესის აღიარება საზოგადო-ებრივზე მეტად;
- ფულის დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი როლის შეუფასებლობა სამეურნეო ცხოვრებაში და სხვ.
- გარდა ამისა, ჯერ კიდევ ა. სმითის ცნობილი კონცეფციის „ეკონომიკური ადამიანის“ და „უჩინარი ხელის“ გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე პ. ბუაგილბერმა განჭვრიტა ერთ-ერთი მისი საკვანძო იდეა, განაცხადა რა, რომ „დღე და ღამე ყველა ემხრობა ამ სიმდიდრეს, განსაკუთრებით საკუთარი ინტერესებისთვის და ქმნიან ამით, თუმცა ეს ისაა, რის შესახებ ისინი ყველაზე ნაკლებს ზრუნავენ, საყოველთაო დოვლათი“[8].

თეორიული დებულებების თავისებურებები

პ. ბუაგილბერის მნიშვნელოვანი მიღწევად, უ. პეტის მსგავსად, *შრომითი ღირებულების თეორიის „დასაბუთება“* გვევლინება, რომლის გაგებამდე იგი მივიდა ბაზარზე საქონელთა შორის გაცვლითი ურთიერთობის მექანიზმის გაანალიზებით დახარჯული შრომის რაოდენობის ან სამუშაო დროის გათვალისწინებით. მიუხედავად ასეთი კონცეფციის ცნობილი არასრულყოფილებისა (მისი საფუძველია ხარჯვითი პრინციპი), იგი თავისი დროისათვის უდაოდ პროგრესული იყო, რამდენადაც, მერკანტილისტურისგან განსხვავებით, ფასწარმოქმნაში ფულის თითქოსდა ბუნებრივი როლისგან არ გამოდიოდა.

ამასთან, მერკანტილიზმის ბევრად სამართლიანად განსჯით, პ. ბუაგილბერი *ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში*, ფულის, როგორც საქონლის როლის შეუფასებლად, *სოფლის მეურნეობის როლის განზრახ აბსოლუტიზებას ახდენდა*, უარყოფდა ქონებრივი სიმდიდრის გამრავლებაში მრენველობისა და ვაჭრობის რეალურ მნიშვნელობას. იგი ერთადერთია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ყველა წარმომადგენელს შორის, ვინც შესაძლებლად და აუცილებლად თვლიდა ფულის გაუქმებას, რომელიც მისი შეხედულებით, არღვევდა საქონელთა გაცვლას „ჭეშმარიტი ღირებულების“ მიხედვით.

დამახასიათებელია, რომ 100-ზე მეტი წლის შემდეგ, ფრანგმა ეკონომისტმა-რომანტიკოსებმა ს. სისმონდიმ და პ. პრუდონმა, რომლებმაც უარყვეს პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის მრავალი დებულება, თავიანთ რეფორმატორულ პროგრამებში სოლიდარობა გამოუცხადეს პ. ბუაგილბერის რიგ იდეებს. ასე, მაგალითად, ს. სისმონდის, რომელიც ასევე თანაუგრძნობდა ღარიბებს და საზოგადოების მცირექონებიან ფენებს, განსაკუთრებით სამთავრობო საკანონმდებლო გადაწყვეტილებების იმედი ჰქონდა, მან ვერანაირად ვერ შეახამა თავისი უტოპიური პროექტები რეალობებთან და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გარდუალობასთან. ხოლო პ. პრუდონი იბრძოდა, როგორც ფულის გაუქმებაზე, ისე სხვა რეფორმატული იდეებისთვის, რომელთა შინაარსი უტოპიასა და ანარქიას შორის მიჯნაზეა.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. მოიტანეთ უ. პეტის და პ. ბუაგილბერის ანტიმერკანტილისტური შეხედულებების მაგალითები. შეესაბამება თუ არა სიმდიდრის მათეული განმარტება მოცემული ეკონომიკური კატეგორიის თანამედროვე განმარტებას?
2. საიდან გამოდიოდა უ. პეტი, როდესაც ვარაუდობდა, რომ მუშათა ხელფასის დონეს მინიმალური სიდიდე გააჩნია? რამდენად შეესაბამებიან მისი განმარტებები კატეგორია „რენტის" თაობაზე თანამედროვე ეკონომიკურ თეორიას?
3. უ. პეტი და პ. ბუაგილბერი უარყოფითად რატომ განიხილავდნენ ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის როლს ეროვნული სიმდიდრის შექმნაში? მათ მიერ როგორ განიმარტება ღირებულების თეორია?

თავი 7. ფიზიოკრატია - კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სპეციფიკური მიმდინარეობა

მოცემული თავის შესწავლა თქვენ გაგაცნობთ :

- რომ, ფიზიოკრატების მოძღვრების გამოჩენით „კლასიკოსები“, შემდგომი ნინსვლით, როგორ „მოხვდნენ სტატიკური წარმოდგენის კალაპოტში“ (ი. შუმპეტერი), მაგრამ იმავდროულად აღნიშნეს „უკვე თეორიული ეკონომიკური შეხედულებების სისტემა“ (ნ.კონდრატიევი);
- თუ ფიზიოკრატებმა „ბურჟუაზიული თვალსაწიერის ფარგლებში, როგორ მოგვცეს კაპიტალის ანალიზი“ და როგორ გახდნენ „თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ნამდვილი მამები“ (კ.მარქსი) ;
- თუ ფიზიოკრატიზმის იდეოლოგები რა აზრს დებდნენ მათ მიერ შემოღებულ ცნებაში „წმინდა პროდუქტი“;
- თუ საზოგადოების კლასებად დაყოფის რომელი პირველი ვარიანტები იყო შემოთავაზებული ფიზიოკრატების მიერ;
- რას წარმოადგენდა სამეურნეო ცხოვრების წრებრუნვის პირველი ანალიტიკური კონცეფცია ფ.კენეს მიერ წამოყენებულ კვლავწარმოების თეორიაში;

7.1. ფ. კენეს ეკონომიკური მოძღვრება

ფრანსუა კენე (1694-1774) ფიზიოკრატების აღიარებული ლიდერი და ფიზიოკრატების მოძღვრების ფუძემდებელი-სპეციფიკური მიმდინარეობისა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩარჩოებში. სიტყვა „ფიზიოკრატიას“ ბერძნული წარმომავლობა გააჩნია და თარგმანში ნიშნავს „ბუნების ძალაუფლებას“. ამ გაგებით, ფიზიოკრატიის წარმომადგენლები ეკონომიკაში მიწის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განმსაზღვრელი როლიდან გამომდინოდნენ.

ფ. კენეს სიტყვებით, სწორედ სოფლის მეურნეობის მუდმივად კვლავწარმოებადი სიმდიდრე ემსახურება ყველა პროფესიის საფუძველს, ხელს უწყობს ვაჭრობის აღორძინებას, მოსახლეობის კეთილდღეობას, მოძრაობაში მოყავს მრეწველობა და მხარს უჭერს ერის აყვავებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიწათმოქმედებას იგი მიიჩნევს სახელმწიფოს, მთელი ეკონომიკის საფუძვლად.

ფ. კენე, ისე, როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარების პირველი ეტაპის სხვა ავტორები არ წარმოადგენენ

პროფესიონალ ეკონომისტებს. ვერსალში (პარიზთან ახლოს) დაბადებულმა, გლეხის, წვრილი ვაჭრის ცამეტიდან მერვე შვილმა, ფ. კენემ მხოლოდ თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით მიაღწია ექიმის პროფესიას, რომელიც მისთვის ყოველთვის რჩებოდა ძირითადად. 17 წლისა წავიდა პარიზში, სადაც ერთდროულად პრაქტიკას გადიოდა ჰოსპიტალში და ფულს გამოიმუშავებდა საგრავიორო სახელოსნოში. 6 წლის შემდეგ მიიღო ქირურგის დიპლომი და შეუდგა საექიმო პრაქტიკას პარიზთან ახლოს, ქალაქ მანტში.

1734 წელს, ამ დროისთვის ექიმ კენეს მედიკოსის მუდმივი სამუშაო შესთავაზა თავის სახლში, პარიზში პერცოგმა ვილერუამ. 1749 წელს საკმაოდ ცნობილი მარკიზა პომპადურის ანალოგიური „თხოვნის" შემდეგ, ფ. კენე იღებს კიდევ უფრო საპატიო „სამსახურს" და ბოლოს 1752 წლიდან იგი თავად მეფე ლუდოვიკო XV-ის ექიმი გახდა. უკანასკნელმა, მისდამი კეთილგანწყობილმა, მას აზნაურობა უბოძა; მისდამი მიმართვისას იგი ამბობდა „ჩემო მოაზროვნე", ისმენდა თავისი ექიმის რჩევებს. *ერთ-ერთი მათგანის თვალყურის მიდევნებისას მეფე ლუდოვიკო XV-მ ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ფიზიკური ვარჯიშებისთვის საკუთარი ხელით ფ. კენეს საბეჭდ დაზგაზე გააკეთა პირველი ამონაბეჭდი, „ეკონომიკური ცხრილები", რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვა, საზოგადოებრივი კვლავწარმოების მეცნიერული ანალიზის პირველი მცდელობა გახდა.*

თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განმტკიცების კვალობაზე (ცხოვრების პარიზული პერიოდი) ფ. კენეს სულ უფრო იზიდავს პრობლემები, რომლებიც ცდებოდა მედიცინის ფარგლებს. თავისუფალ დროს იგი უთმობს ფილოსოფიურ მეცნიერებას, შემდეგ კი მთლიანად ეკონომიკურ თეორიას. 1756 წელს, მან თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიეღო „ენციკლოპედიაში", რომელიც გამოიცემოდა დიდროსა და დ' ლამბერის მიერ და დაიბეჭდა მისი ძირითადი ეკონომიკური ნაწარმოებები (სტატიები): „მოსახლეობა" (1756), „ფერმერები", „მარცვლეული", „გადასახადები" (1757), „ეკონომიკური ცხრილი" (1758) და სხვ.

მეთოდოლოგიის პრინციპები

ფ. კენეს თხზულებებში მკვეთრად არის დაგმობილი მერკანტილისტების შეხედულებები ეკონომიკურ პრობლემებზე, რაც არსებითად, ქვეყანაში რიგი ათწლეულების განმავლობაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობით მზარდი უკმაყოფილების ასახვა გახდა, რომელამდეც იგი მიიყვანა მეფე ლუდოვიკო X1V დროინდელმა კოლბერტიზმმა (ეს აღნიშნა ა. სმითმა, ფიზიოკრატიის, როგორც უ.ბ. კოლბერის მერკანტილისტურ პოლიტიკაზე რეაქციის დახასიათებისას). მათში ასახულია მისი *რწმენა ფერმერულ მეურნეობაზე გადასვლის*

აუცილებლობის შესახებ, როგორც მეურნეობრიობის თავისუფალ (საბაზრო) მექანიზმზე გადასვლის საფუძველი, ქვეყანაში ფასნარმოქმნის სრული თავისუფლების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უცხოეთში გატანის პრინციპებზე.

ფ. კენეს ეკონომიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიური პლატფორმა გახდა მის მიერ შემუშავებული *კონცეფცია ბუნებრივი წესრიგის* შესახებ, რომლის იურიდიული საფუძველი, მისი შეხედულებით, არის სახელმწიფოს ფიზიკური და ზნეობრივი კანონები, რომლებიც იცავენ კერძო საკუთრებას, კერძო ინტერესებს და უზრუნველყოფენ კვლავწარმოებას და დოვლათის სწორად განაწილებას. როგორც მეცნიერი ამტკიცებს, *ერთის კერძო ინტერესი არასოდეს არ შეიძლება გამოიყოს ყველას საერთო ინტერესებიდან*, ხოლო ეს არსებობს თავისუფლების ბატონობის დროს. სამყარო, მაშინ თავისთავად მიდის. ამიტომ, მისი აზრით, სიამოვნების სურვილი საზოგადოებას ატყობინებს მოძრაობას, რომელიც მუდმივი ტენდენცია ხდება შესაძლო უკეთესი მდგომარეობისკენ.

იმავდროულად ფ. კენე გვაფრთხილებს, რომ უმაღლესი ხელისუფლება არ უნდა იყოს არისტოკრატიული ან მიწის მსხვილი მესაკუთრეებისადმი გადაცემული; უკანასკნელებს, ერთად გაერთიანებულებს, შეეძლოთ უფრო მძლავრი ძალაუფლების შექმნა, ვიდრე თვით კანონებს, დაემონებინა ერი, თავისი პატივმოყვარე და მკაცრი ბოღმით გაკოტრება და მოუწყობლობა, უსამართლობა, ყველაზე უფრო მხეცური ძალადობა მიეყენებინა და შეექმნა ყველაზე აღვირახსნილი ანარქია. *იგი მიზანშეწონილად თვლის, რომ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება თავმოყრილი იყოს ერთ განათლებულ პიროვნებაში, რომელსაც კანონების ცოდნა,- ბუნებრივი წესრიგი,-გააჩნია, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად.*

აფასებდა რა ფ. კენეს გამოკვლევის მეთოდოლოგიას, და მის მიმდევრებს, ნ. კონდრატიევი აღნიშნავდა, რომ ფიზიოკრატებმა არ გააველეს მეთოდოლოგიური ზღვარი ნმინდა თეორიულ და პრაქტიკულ (ეკონომიკურ-პოლიტიკურ) მსჯელობებს შორის. ფიზიოკრატების მიერ გამოცხადებული ეკონომიკური მეცნიერება, მისი მოსაზრებით, შეისნავლის „ყველაზე უფრო სრულყოფილი წყობილების" ფიზიკურ და ზნეობრივ კანონებს, რომელიც იწვევს მათში შთაგონებას და ენთუზიაზმს, ცნობილ დონემდე მთელი მათი მიმდინარეობის სექტანტურ ხასიათს და მესიანიზმს თავისი როლისადმი შეხედულებებში.

მოძღვრება წმინდა პროდუქტსა და კლასებზე

ფ. კენეს თეორიულ მემკვიდრეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს *მოძღვრებას წმინდა პროდუქტის* შესახებ, რომელსაც ახლა ეროვ-

ნულ შემოსავალს უწოდებენ. მისი მოსაზრებით, წმინდა პროდუქტის წყაროა მიწა და მასზე ადამიანთა დახარჯული შრომა, რომლებიც დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ხოლო მრენველობასა და ეკონომიკის სხვა დარგებში შემოსავლისადმი წმინდა დამატება არ ხდება და იცვლება პროდუქტის მხოლოდ თავდაპირველი ფორმა. ასეთი მსჯელობით, ფ. კენე მრენველობას უსარგებლოდ არ მიიჩნევდა. იგი გამოდიოდა მის მიერვე ნამოყენებული დებულებიდან საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების-კლასების მწარმოებლური არსის შესახებ. ამასთან, ფ. კენე ამტკიცებდა, რომ *ერი შედგება მოქალაქეთა სამი კლასისგან: მწარმოებლური კლასის, მესაკუთრეთა კლასის და უნაყოფო კლასისაგან;* მწარმოებლურ კლასს მიაკუთვნებდა ყველა ადამიანს, რომელიც დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, გლეხობისა და ფერმერთა ჩათვლით; მესაკუთრეთა კლასს - მინათმფლობელებს, მეფეების და სასულიერო პირების ჩათვლით; უნაყოფო კლასს - ყველა მოქალაქეს მინათმოქმედების გარეთ, ე.ი. მრენველობაში, ვაჭრობაში და მომსახურების სფეროს სხვა დარგებში.

ამასთან, ფ. კენე სავსებით არ არის ტენდენციური, საზოგადოების კლასებად დაყოფისას, რამდენადაც იგი ვარაუდობდა, რომ „დაბალი კლასების შრომისმყვარე წარმომადგენლებს" უფლება აქვთ იმუშაონ მოგებით. შეძლებულობა შრომისმყვარეობას აღაგზნებს იმიტომ, რომ ადამიანები სარგებლობენ კეთილდღეობით, რომელიც მას მოაქვს, ეჩვევიან ცხოვრების მოხერხებულობებს, კარგ ნიშას და ტანსაცმელს და ეშინიათ სიღარიბის და როგორც შედეგი, თავიანთ ბავშვებში აყალიბებენ ისეთსავე ჩვევებს შრომისა და კეთილდღეობისადმი, ხოლო წარმატება კმაყოფილებას ანიჭებს მათ მშობლიურ გრძნობებს და თავმოყვარეობას.

კაპიტალის თეორია

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ფ. კენეს მიეკუთვნება *პირველად დებულებათა საკმაოდ სიღრმისეული თეორიული დასაბუთება კაპიტალის შესახებ.* თუკი მერკანტილისტები, კაპიტალს, როგორც ნესი, ფულთან აიგივებდნენ, ფ. კენე თვლიდა, „რომ ფული თავისთავად უნაყოფო სიმდიდრეს წარმოადგენს, რომელიც არაფერს არ ანარმოებს". მისი ტერმინოლოგიით, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ნაგებობები, პირუტყვი და ყველაფერი ის, რაც მინათმოქმედებაში გამოიყენება რამდენიმე წარმოებრივი ციკლის მანძილზე, *„თავდაპირველ ავანსებს"* წარმოადგენს (თანამედროვე ტერმინოლოგიით-ძირითადი კაპიტალი). თესლის, საკვების, მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც ერთი წარმოებრივი ციკლის განმავლობაში ხორციელდება (ჩვეულებრივ ერთ წლამდე) იგი *„ყოველწლიურ ავანსებს"* მიაკუთვნებდა (თანამედროვე ტერმი-

ნოლოგიით-საბრუნავი კაპიტალი). მაგრამ ფ. კენეს დამსახურება არა მხოლოდ მნარმოებლური ნიშნის მიხედვით, კაპიტალის, ძირითად და საბრუნავ კაპიტალად დაყოფაში მდგომარეობს. გარდა ამისა, მან შეძლო დამაჯერებლად დაემტკიცებინა, რომ *მოძრაობაში იმყოფება საბრუნავთან ერთად ძირითადი კაპიტალიც.*

ვაჭრობისადმი ორადი დამოკიდებულება

ფ. კენემ ვაჭრობის შესახებ რიგი საინტერესო და არაორდინარული მოსაზრებები გამოთქვა. ასე, მაგალითად, ვაჭრობის „საზოგადოებრივ საქმიანობად" აღიარებით იგი იმავდროულად გვაფრთხილებდა მცდარი შთაბეჭდილებისგან, რომ მსოფლიო კონკურენციის წყალობით იგი საზიანო ხდება და, რომ უცხოელ ვაჭრებს მიაქვთ და თავიანთ ქვეყანაში ხარჯავენ იმ ანაზღაურებას, რომელსაც მათ უხდიან მოცემულ ქვეყანაში განეული მომსახურებისთვის, და, ამრიგად, ამ ანაზღაურებით მდიდრდებიან სხვა ერები. მაგრამ ასეთ შეცდომაზე დათანხმებით ფ. კენე ამტკიცებდა, რომ *აუცილებელია მხოლოდ „ვაჭრობის აბსოლუტური თავისუფლება", როგორც ვაჭრობის გაფართოების, მონოპოლიების განდევნის და სავაჭრო ხარჯების შემცირების პირობა.*

კვლავწარმოების თეორია

თავის ცნობილ „ეკონომიკურ ცხრილში" ფ. კენემ განახორციელა *სამეურნეო ცხოვრების წრებრუნვის, ე.ი. საზოგადოებრივი კვლავწარმოებითი პროცესის პირველი მეცნიერული ანალიზი.* ამ მუშაობის იდეები მოწმობენ ეკონომიკის სტრუქტურაში გარკვეული სახალხომეურნეობრივი პროპორციების დაცვისა და დასაბუთებული პროგნოზირების აუცილებლობის შესახებ. მის მიერ გარკვეულ იქნა ურთიერთკავშირი, რომელსაც შემდეგნაირად ახასიათებდა: *„კვლავწარმოება მუდმივად განაბლდება დანახარჯებით, ხოლო დანახარჯები განაბლდება კვლავწარმოებით".*

ფ. კენეს „ეკონომიკური ცხრილის", როგორც მაკროეკონომიკური გამოკვლევის პირველი მცდელობის განხილვისას ძნელი როდია შევნიშნოთ ფორმალური ნაკლოვანებები, როგორიც მაგალითად: დარგების ურთიერთდამოკიდებულების მარტივი ილუსტრაცია; ე.წ. არამნარმოებლური სექტორის ნიშანი, რომელსაც ძირითადი კაპიტალი გააჩნია; მინაზე ეკონომიკური საქმიანობის აღიარება წმინდა შემოსავლის წყაროდ, მინის ფასეულობის წყაროდ გადაქცევის მექანიზმის გარკვევის გარეშე და ა.შ.

ფ. კენეს წრებრუნვის პროცესის ილუსტრირებაში ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოებული 5 მლრდ ლივრი მთლიანი პროდუქტიდან, 3 მლრდ დანახარჯები მოდის მინის დამუშავებაზე. შემდგომ ნატურალური გამოხატულებით პროცესი შემდეგ-

ნაირად მიმდინარეობს[1]: ფერმერები წარმოებული პროდუქციის 2/5-იყენებენ საბრუნავ კაპიტალზე, 1/5 იყიდება „უნაყოფო" ხელოსნებზე იმ ნაკეთობების სანაცვლოდ, რომელიც საჭიროა გაცვეთილი ძირითადი კაპიტალის შესაცვლელად, ხოლო დანარჩენი მიდის მიწათმფლობელებზე რენტის სახით; მიწათმფლობელები თავიანთი მხრივ, ორმილიარდიანი შემოსავლის ½-ს ცვლიან სამრეწველო საქონელზე და „უნაყოფო" ხელოსნები (მათი შემოსავლები უკვე გაორმაგდა) 2 მილიარდად იძენენ ნედლეულს და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.

ეს პროცესი წარმოდგენილია ფ. კენეს მიერ ფულადი გამოსახულებითაც[2]: ფერმერები, ხელში უჭირავთ რა მთელი ფულადი მასა (2 მლრდ ლივრი), მას კვების პროდუქტებზე და სამრეწველო საქონელზე ხარჯავენ; ხელახლა მიღებულ თანხას (1 მლრდ) ფერმერები ძირითადი კაპიტალის ანაზღაურებაზე ხარჯავენ; ხელოსნები თავიანთ თანხას (1 მლრდ-ს მიწათმფლობელებისგან პლუს 1 მლრდ ფერმერებისგან) ხარჯავენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ამრიგად, ფერმერებს ისევ ექნებათ თავიანთი საწყისი თანხა, რამდენადაც 3 მლრდ-ს მიღებით, მათ 1 მლრდ დახარჯეს. და რამდენადაც არამწარმოებლური სექტორი, ფ. კენეს მიხედვით, არ ქმნის წმინდა პროდუქტს, დარჩენილი ფულადი თანხა (2 მლრდ) ახალი საწარმოო ციკლის დასაწყისისთვის ისევ გადაიხდება მიწათმფლობელის მიერ.

გადმოცემულთან დაკავშირებით შეიძლება მივიღოთ მ. ბლაუგის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ფ. კენეს „ცხრილში" **ფული** - *მიმოქცევის საშუალებაზე მეტი როდია, რომ ვაჭრობა არსებითად ბარტერულ გაცვლაზე დაიყვანება და რომ პროდუქციის წარმოება ავტომატურად იწვევს შემოსავლის გენერირებას, რომლის გადახდა შემდეგ საწარმოო ციკლზე გადასვლის საშუალებას იძლევა*[3].

7.2. ა. ტიურგოს ეკონომიკური მოძღვრება

ანრი რობერტ ჟაკ ტიურგო (1727-1781) წარმოშობით აზნაური იყო. მისი წინაპრები ტრადიციულად სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ პარიზში. ოჯახური ტრადიციის თანახმად, იგი, როგორც მესამე შვილი იძულებული იყო სასულიერო განათლება მიეღო. მაგრამ სორბონის სემინარიის და თეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე 23 წლის აბატმა (კათოლიკური ეკლესიის ტიტული - მთარგმნ.) ა. ტიურგომ მოულოდნელად გადაწყვიტა უარი ეთქვა თავის მოწოდებაზე ეკლესიისთვის, რომ მისი სიტყვებით არ სურს „მთელი ცხოვრება ნიღაბი ატაროს სახეზე" და სახელმწიფო სამსახურში

გადავიდა. იმ დროისთვის ეს ახალგაზრდა ადამიანი კარგად ფლობდა ექვს ენას, მისი ინტერესების წრე შეადგენდა ფილოსოფიას, იურისპრუდენციას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკას, მხატვრულ ლიტერატურას, პოეზიას.

თავისი სამსახურებრივი კარიერის დასაწყისშივე პარიზში ა. ტიურგო ყველაზე მეტად ინტერესდებოდა საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობით, რომელიც აღელვებდა მას. 25 წლისას მას უკვე ეკავა სასამართლო თანამდებობა პარიზის პარლამენტში, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ-სასამართლო პალატის მომხსენებლისა და საფრანგეთის დედაქალაქის შესამჩნევი საერო და ფილოსოფიური ფიგურა გახდა. ამ წლებში ა. ტიურგო დაუახლოვდა ერთ-ერთ კოლეგას - ვაჭრობის ინტენდანტს ვენსან გურნეს, რომელთან მეგობრობას, მათ შორის, როგორც ეკონომიკურ მრჩეველთან განაგრძობდა ვ. გურნეს სიცოცხლის დასასრულამდე 1759 წელს. მასთან ერთად იგი იმყოფებოდა ფ. კენეს მეგობართა წრეში, რომელიც, როგორც ცნობილია, ცხოვრობდა ვერსალის სასახლის ერთ-ერთ ბინაში ანტრისოლზე.

მორიგი სამსახურებრივი დანიშვნით ფ. კენე 1761 წელს დამტკიცდა ინტენდანტის (გუბერნატორის) თანამდებობაზე ლიმოჟეში (ლიმუზენის პროვინციის ცენტრი), რომელიც თითქმის 13 წელი ეკავა. წარმოადგენდა რა ცენტრალურ ხელისუფლებას მოშორებულ პროვინციაში, იგი განაგებდა სამეურნეო საკითხებს, მათ შორის გადასახადების ამოღების სისტემას. სწორედ ცხოვრების ლიმოჟურ პერიოდში დაწერა ა. ტიურგომ თავისი მთავარი ეკონომიკური თხზულება „ფიქრები სიმდიდრის შექმნისა და განაწილების შესახებ" (1766), დაუმთავრებელი ნაშრომი „ფასეულობები და ფული" (1769) და სხვა ნაწარმოებები. ყველა ისინი, როგორც ნათელია, ემყარებოდნენ ფიზიოკრატულ შეხედულებებს, და ასევე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პრინციპებს და, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალ კონკურენციას და თავისუფალ ვაჭრობას.

1774 წელს ა. ტიურგომ თავის სასამსახურო კარიერაში უკანასკნელი დანიშვნა მიიღო, როდესაც მეფე ლუდოვიკო XVI ტახტზე ავიდა, მას საზღვაო მინისტრის თანამდებობა შესთავაზა, ხოლო რამდენიმე კვირის შემდეგ - ფინანსების გენერალური მაკონტროლებლის თანამდებობაზე გადაიყვანა, რაც ფინანსთა მინისტრის თანამდებობის ტოლფასია-იმ დროისთვის უმნიშვნელოვანესი თანამდებობისა - სამეფოს საშინაო საქმეებში.

ფინანსების გენერალური მაკონტროლებლის თანამდებობაზე 18 თვე მუშაობის შემდეგ, ა. ტიურგომ თუმცა ვერ მიაღწია სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, მაგრამ შეძლო რიგი ბრძანებების და კანონპროექტების (ედიქტების) გატარება, რომელმაც გახსნა შესაძლებლობები ქვეყნის ეკონომიკის საყოველთაო ლიბერალიზაციისკენ.

მაგრამ მისი ყოველი რეფორმატორული სიახლე პარლამენტის გააფთრებულ წინააღმდეგობებს ანყდებოდა, რომელიც სამეფო კარის გარემოცვის, აზნაურების, სასულიერო პირების და მეწარმეთა გარკვეული ნაწილის აშკარა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომლებიც ცდილობენ თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებას. ამიტომ ედიქტების დებულებათა რეალიზაცია ა. ტიურგოს და მის თანამოაზრეთა მოკლევადიანი გამარჯვება იყო. 1776 წ. მაისში სამეფო მოციქულმა მას გადასცა ბრძანება საქმეთა გადაცემის შესახებ გადადგომასთან დაკავშირებით, ხოლო სამი თვის შემდეგ მეფემ გააუქმა მინისტრი-რეფორმატორის ყველა კანონპროექტი (ედიქტი).

ტიურგო - მინისტრის მთავარი მიღწევები რეფორმების პერიოდში იყო: მარცვლეულისა და ფქვილის თავისუფალი ვაჭრობის შემოღება ქვეყნის შიგნით; მარცვლეულის თავისუფალი შემოტანა და სამეფოდან მარცვლეულის უბაჟო გატანა; ნატურალური საგზაო ბეგარის შეცვლა საადგილმამულო გამოსაღებით; სახელოსნო საამქროებისა და გილდიების გაუქმება, რომელიც მეწარმეობას ამუხრუჭებდა მრეწველობის სფეროში და სხვ.

შესწავლის საგანი და მეთოდი

ა. ტიურგო საკუთარ თავს არ თვლიდა ფ. კენეს არც მოსწავლედ და არც მიმდევრად, უარყოფდა რა თავის რაიმე თანამონაწილეობას „სექტისადმი", როგორც მან გამოხატა, ფიზიოკრატებისადმი. მიუხედავად ამისა, შემოქმედებითი მემკვიდრეობა და პრაქტიკული საქმეები მოწმობენ მისი *ერთგულების შესახებ ფიზიოკრატიული მოძღვრების საფუძვლებისა და ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებისადმი.*

მაგალითად, ფიზიოკრატების მსგავსად, ა. ტიურგო ამტკიცებდა: „მიწათმოქმედი პირველი მამოძრავებელი ძალაა სამუშაოთა მსვლელობაში; იგი თავის მინაზე ანარმოებს ყველა ხელოსნის ჯამაგირს. მიწათმოქმედის შრომა - ერთადერთი შრომაა, რომელიც იმაზე მეტს ანარმოებს, რაც შრომის ანაზღაურებას შეადგენს. ამიტომ იგი ყოველგვარი სიმდიდრის ერთადერთი წყაროა"[4].

თავისი მეგობრის, ვ. გურნეს გარდაცვალების შემდეგ, ა. ტიურგომ დაბეჭდა თხზულება „საქებარი სიტყვა ვენსან დე გურნეს", რომელშიც გახსნა ეკონომიკაში პროტექციონისტული პოლიტიკის ნეგატიური მნიშვნელობა, რწმენა გამოთქვა იმაში, რომ „ყიდვისა და გაყიდვის საერთო თავისუფლება წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას უზრუნველყოს, ერთი მხრივ, „გამყიდველისთვის-ფასი, რომელსაც შეუძლია წაახალისოს ნარმოება, მეორე -მყიდველისთვის-საუკეთესო საქონელი უმცირესი ფასით"[5].

ფულის თეორია

ჯერ კიდევ 1749 წელს, 22 წლის ასაკში დაბეჭდა რა „წერილი აბატ დე სისეს ქალალდის ფულის შესახებ", ა. ტიურგომ განჭვრიტა ფულის რაოდენობრივი თეორიის იდეები, რომელიც „კლასიკურად" გადმოსცა თითქმის 30 წლის შემდეგ თვით ადამ სმითმა. კერძოდ, „წერილში..." იგი ეკითხება ჯონ ლოს სიტყვებით: „მაგრამ დასაშვებია თუ არა რომ ლოს არ სცოდნოდა ის, რომ ოქრო, ისე, როგორც ყველა დანარჩენი, ფასს კარგავს, თუკი მისი რაოდენობა იზრდება?"[6] გარდა ამისა, იგი პრობლემის არსის გაგებით ქალალდის ფულის მოუხერხებლობის შესახებ დებულების არგუმენტირებასაც ახდენდა, როდესაც მისი რაოდენობა არ შეესაბამება წარმოებულ საქონელთა და მომსახურების რაოდენობას.

ფული ძვირადღირებული ლითონებიდან ა. ტიურგოს მიერ არსებითად განიხილება ერთ-ერთი საქონლის სახით საქონელთა სამყაროში, იმის ხაზგასმით, რომ „განსაკუთრებით ოქრო და ვერცხლი უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი სხვა მასალა, გამოსადეგია მონეტის სახით გვემსახურებოდეს", *ვინაიდან იგი „თვით მოვლენათა ბუნებით გახდა მონეტა", და ამასთან საყოველთაო მონეტა და დამოუკიდებლად ყოველგვარი შეთანხმებისა და ყოველგვარი კანონისა"*. მისი რწმენით ფული, ე.ი. ოქრო და ვერცხლი, ფასში იცვლება არა მხოლოდ ყველა სხვა საქონელთან შედარებით, არამედ ასევე ერთმანეთისადმი შეფარდებით, მათი მეტი ან ნაკლები სიუხვის მიხედვით"[8].

დაბოლოს, მერკანტილისტების გაკრიტიკებით, „ერის სიმდიდრეს" ა. ტიურგო მიაკუთვნებს, უწინარეს ყოვლისა, მინას და მისგან მიღებულ „წმინდა შემოსავალს" რამდენადაც, მისი შეხედულებით „თუმცა ფული შეადგენს დანაზოგების უშუალო საგანს, და წარმოადგენს, ასე ვთქვათ, კაპიტალების ძირითად მასალას მათი შექმნის დროს, მაგრამ ფული, როგორც ასეთი, წარმოადგენს კაპიტალების მთლიანი თანხის თითქმის შეუმჩნეველ ნაწილს"[9], ხოლო „ფუფუნება განუწყვეტლივ იწვევს მის განადგურებას"[10].

ღირებულების თეორია

ა. ტიურგო, ისევე როგორც ფ. კენე, მხარს უჭერს *ღირებულების წარმოშობის ხარჯვით მეთოდს*, მისი არსის ცოცხალი და განვითებული (წარსული) შრომის დანახარჯებზე დაყვანით. იმავდროულად, ბაზარზე ფასების ფორმირების მექანიზმის დასაბუთებით, ა. ტიურგო გამოყოფს მიმდინარე და ძირითად ფასებს. პირველები, როგორც იგი ვარაუდობს, წესდება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით, მეორენი, „საქონლისადმი გამოყენებით არის ის, რაც მოცემული ნივთი უღირს მომუშავეს, ეს ის მინიმუმია, რომლის ქვემოთ

მას (ფასს) არ შეუძლია დაწევა“[11]. ამასთან, ა. ტიურგოს აზრით, საქონელთა შეძენისას იშვიათობაც „შეფასების ერთ-ერთი ელემენტია.“[12]

კლასების თეორია

ა. ტიურგო, ფ. კენეს შეხედულებების გაზიარებისას, *საზოგადოებაში გამოყოფს სამ კლასს*: ნაყოფიერს (ადამიანები, რომლებიც დასაქმებულები არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში); უნაყოფოს (ადამიანები, რომლებიც დასაქმებულები არიან მრეწველობასა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში და მომსახურების სფეროში); მინის მესაკუთრეებს. მაგრამ პირველ ორ კლასს იგი უწოდებს *„მომუშავე ანუ დასაქმებულ კლასებს“*, იმ ვარაუდით, რომ თითოეული მათგანი „იყოფა ადამიანთა ორ თანრიგად: მეწარმეებად, ან *კაპიტალისტებად*, რომელიც ავანსს იძლევა, და უბრალო *მუშებად*, რომლებიც ხელფასს იღებენ“[13]. ამასთან, როგორც მეცნიერი აზუსტებს, სწორედ უნაყოფო კლასი მოიცავს საკუთარ თავში „საზოგადოების წევრებს, რომლებიც ხელფასს იღებენ“[14].

შემოსავლების თეორია

მუშათა ხელფასის არსისა და სიდიდის განსაზღვრისას ა. ტიურგო არ შორდება არც უ. პეტის, არც ფ. კენეს, როგორც ისინიც, თვლიან რა მას „თავისი შრომის სხვებზე გაყიდვის“ შედეგს და ვარაუდობს რა, რომ იგი „შეზღუდულია მისი არსებობისთვის აუცილებელი მინიმუმით, იმით, რაც მისთვის უდაოდ აუცილებელია სიცოცხლის შენარჩუნებისთვის“[15]. მაგრამ თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ა. ტიურგო ხელფასს იმ ელემენტების რიცხვს მიაკუთვნებდა, რომელიც მის მიერ წამოყენებული ცნების „ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის“ საფუძველია. უკანასკნელი, მისი სიტყვებით, დგინდება „მინის მიერ მთლიანად წარმოებულ, სხვადასხვა სახის საქონელთა მოხმარების, ნაკეთობათა სხვადასხვა სახეების და დასაქმებულ ადამიანთა რიცხოვნობისა და მათი ანაზღაურების ფასეულობებს შორის“[16].

ა. ტიურგომ სერიოზული ყურადღება დაუთმო ისეთი შემოსავლის წარმომავლობის ბუნების გამოკვლევას, როგორიცაა *სასესხო (ფულადი) სარგებელი*, გმობდა რა ამასთან მორალისტების ცრურწმენებს, რომლებიც „ზრდაში უკუგებას, როგორც დანაშაულს“ ისე იხილავენ და იყენებენ სახარების სიტყვებს: „სესხები გაეცით, მაგრამ ნუ დაელოდებით ნურაფერს“. იგი ამტკიცებს, რომ გასესხების დროში გამსესხებელი კარგავს შესაძლო შემოსავალს, იმიტომ, რომ რისკავს საკუთარი კაპიტალით, ხოლო სესხის ამღებს ფულის გამოყენება შეუძლია ხელსაყრელი შეძენებისთვის, რომელთაც შეუძლიათ მას დიდი მოგება მოუტანონ. ამიტომ დაასკვნის ა. ტიურგო, გამსესხებელი „არანაირ ზიანს არ აყენებს მსესხებელს, ვინაიდან ეს უკანასკნე-

ლი თანხმდება მის პირობებს და არანაირი უფლება არა აქვს აღებულ თანხაზე. მოგება, რომლის მიღება შეიძლება, თუკი ფული გაქვს, უდაოდ, ერთ-ერთი ყველაზე კერძო შემაგულიანებელია, რომელიც მსესხებელს დაიყოლიებს სესხი აიღოს სარგებლით; ეს ერთ-ერთი წყაროა, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა გადაეხადა ეს სარგებელი"[17]. რაც შეეხება მიმდინარე სარგებელს, იგი ა. ტიურგოს მოსაზრებით, ბაზარზე თერმომეტრს წარმოადგენს, რომლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ კაპიტალის სიჭარბეზე ან უკმარისობაზე, კერძოდ იმის დაზუსტებით, *რომ დაბალი ფულადი სარგებელი - ეს ჭარბი კაპიტალების შედეგიც და მაჩვენებელიცაა*[18].

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რა არის ფიზიოკრატია? რა თავისებურებები ახასიათებს ფიზიოკრატების მოძღვრებას?
2. რაში მდგომარეობს ფ. კენეს ბუნებრივი წესრიგის არსი? გახსენით მისი მოძღვრების არსი „წმინდა პროდუქტის" შესახებ.
3. როგორია ფ. კენეს თეორიულ შეხედულებათა თავისებურებები კლასებისა და კაპიტალის, მწარმოებლური შრომის შესახებ?
4. როგორ წარმოიდგენდა ფ. კენე სამეურნეო ცხოვრების წრებრუნვის მექანიზმს? რაში
მდგომარეობს კვლავწარმოების მისი თეორიის ისტორიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა?
5. ა. ტიურგოს რომელი ეკონომიკური იდეები გვიჩვენებენ მის ერთგულებას ფიზიოკრატიული მოძღვრებისადმი? რაში მდგომარეობს ამ მეცნიერის თეორიის სიახლე?
6. ახსენით, რამდენად შეესაბამებიან თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ა. ტიურგოსეულ განმარტებებს კატეგორიები: „სიმდიდრე", „ხელფასი", „ზოგადი ეკონომიკური წონასწორობა", „ფული", „სასესხო კაპიტალი", „ფასი".

თავი 8. ადამ სმითი - კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ცენტრალური ფიგურა

ამ თავიდან თქვენ გაიგებთ:

- „სისულელეთა რა უსასრულო რაოდენობა " შეიძლება გამოწვეული იყოს ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო „ხელმძღვანელობით" (პ. სამუელსონი);
- სმითისეული „ხალხთა სიმდიდრის" „ცენტრალური მოტივი და სული და გული რატომ არის „უჩინარი ხელის" მოქმედება(მ.ბლაუგი);
- „ადამ სმითის აზროვნების" შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა მათში დავინახოთ „სტატიკური ხასიათის არსებითად მხოლოდ ეკონომიკური ჭეშმარიტებები" (ი. შუმპეტერი);
- რაში მდგომარეობს ა. სმითის პოზიციის ორადობა მის მიერ წამოყენებულ ღირებულების თეორიაში;
- აქტუალურია თუ არა ეხლა სმითისეული თეორია მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესახებ.

ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ თითქმის ყველგან ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბება უფრო ხშირად, ადამ სმითის(1723-1790)-XVIII საუკუნის უდიდესი ინგლისელი სწავლული ეკონომისტის-სახელს და შემოქმედებას უკავშირდება. ეს „ადამიანური სისუსტე" ცხადია, უცებ არ დაიძლევა, ვინაიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც წესი, ცოდნის თანამედროვე დონის შესახებ წარმოდგენას მოითხოვს, ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩაწვდომა საეჭვოა შესაძლებელი იყოს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის გამოჩენილ ეკონომისტთა თეორიული შეხედულებების გაცნობის გარეშე. მათ რიცხვში ადამ სმითი უდაოდ ცენტრალური ფიგურაა. და თუმცა, ეკონომიკური მეცნიერება მართლაც ამ ავტორიდან არ იწყება, მაგრამ სწორედ იგი, როგორც მ.ბლაუგმა აღნიშნა, გახდა ის, ვინც *შექმნა „ეკონომიკურ მეცნიერებაში პირველი სრულფასოვანი ნაშრომი, რომელიც გადმოსცემს მეცნიერების ზოგად საფუძვლს".*

ადამ სმითი დაიბადა 1723 წლის 5 ივნისს, შოტლანდიაში ქალაქ კერკოლდში, რომელიც ედინბურგიდან ახლოს მდებარეობს, საბაჟო ჩინოვნიკის ოჯახში. ბავშვობიდან სწავლის უნარი გამოავლინა და 14 წლისა ჩაირიცხა გლაზგოს უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა სამი წლის შემდეგ, 1740 წელს საუკეთესო სტუდენტებს

შორის მას დაენიშნა სტიპენდია თავისი განათლების დასასრულებლად ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა 1746 წლის ბოლომდე. სწავლების დონე აქ არ აწყობდა მას, მათ შორის იმ მიზეზით, რომ პროფესორთა უმრავლესობა თავის ლექციებსაც კი არ კითხულობდა. ოქსფორდიდან სმითი ედინბურგში დაბრუნდა თვითგანათლების და ინგლისურ ლიტერატურასა და პოლიტიკურ ეკონომიაში საჯარო ლექციების წაკითხვის განზრახვით. უკვე მაშინ, მისი ლექციებით თუ ვიმსჯელებთ, იგი ემხრობოდა ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებს, და განსაკუთრებით ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს. 1751 წელს სმითი დაინიშნა ლოგიკის პროფესორად გლაზგოს უნივერსიტეტში, ხოლო იმავე წლის ბოლოს გადავიდა ფილოსოფიის კათედრაზე, სადაც 1764 წლის ბოლომდე მუშაობდა. მსხვილმა სამეცნიერო ნაშრომმა, „ზნეობრივი გრძნობების თეორია", რომელიც მან 1759 წელს გამოსცა, დიდი სახელი მოუტანა. მაგრამ შემდგომში, ა. სმითის მეცნიერულმა ინტერესებმა ეკონომიკური მეცნიერებისკენ გადაინაცვლა, რაც ნაწილობრივ დაკავშირებული იყო მის აქტიურ მონაწილეობათან პოლიტიკური ეკონომიის გლაზგოს კლუბში, ხოლო ნაწილობრივ-მეგობრობასთან ფილოსოფოს და ეკონომისტ დეივიდ იუმთან.

1764 წელს ა.სმითის ცხოვრებაში მოხდა გარდამტეხი მოვლენა: მან დატოვა კათედრა (როგორც ჩანს სამუდამოდ) და მიიღო წინადადება თან ხლებოდა უცხოური მოგზაურობის დროს ახალგაზრდა ლორდს-ჰერცოგ ბაკლიუსს. ა. სმითისთვის, ამ მოგზაურობიდან, მატერიალურ ინტერესს ცოტა მნიშვნელობა როდი ჰქონდა; მოგზაურობა მას 800 ფუნტი სტერლინგის გარანტიას აძლევდა ყოველწლიურად, სიცოცხლის ბოლომდე, რაც აშკარად მეტი იყო მის საპროფესორო ჰონორარზე. მოგზაურობა გაგრძელდა 1764-იდან-1766 წლამდე, ე.ი. ორ წელიწადზე მეტ ხანს, რომელთაგან ნილიწადნახევარი მან ტულუზაში გაატარა, ორი თვე-ჟენევაში, სადაც მას შეხვედრამ მოუწია ვოლტერთან, და ცხრა თვე პარიზში. მჭიდრო ნაცნობობა, მოგზაურობის დროს ფრანგ ფილოსოფოსთან დ'ალამბერთან, ჰელვეციუსთან, ჰოლბახთან, და ასევე ფიზიოკრატებთან, მათ შორის ფ. კენესთან და ა. ტიურგოსთან, შემდგომში აისახა მის *მთავარ ნაშრომში* „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ", რომელზეც მუშაობა მან ჯერ კიდევ ტულუზაში დაიწყო.

შოტლანდიაში დაბრუნების შემდეგ, ა. სმითმა დედასთან ცხოვრება გადაწყვიტა, სადაც 1767 წლიდან განმარტოვდა „ხალხთა სიმდიდრეზე" მუშაობის დასამთავრებლად. წიგნი დღის სინათლეზე 1776 წელს გამოვიდა და განამტკიცა ავტორის ისედაც დიდი ავტორიტეტი. იგი ოთხჯერ გამოიცა ა. სმითის სიცოცხლეში-

ვე და კიდევ სამჯერ მისი გარდაცვალების(1790) შემდეგ, იმავე საუკუნეში.

ა. სმითის ზეგავლენა თავის თანამედროვეებზე იმდენად დიდი იყო, რომ *ინგლისის პრემიერ-მინისტრი უ. პიტი-უმცროსიც კი საკუთარ თავს მის მოწაფედ აცხადებდა*. ისინი არაერთჯერ ხვდებოდნენ და ერთად განიხილავდნენ რიგ ფინანსურ პროექტებს. მეცნიერთან ამ კონტაქტების ერთ-ერთი შედეგი იყო უ. პეტის მიერ 1786 წელს საფრანგეთთან - ედენის ლიბერალური სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელმაც არსებითად შეცვალა საბაჟო ტარიფები. „ხალხთა სიმდიდრის" ავტორის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ზეგავლენით, მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ დუგალ სტიუარტმა 1801 წელს ედინბურგის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის დამოუკიდებელი კურსის ნაკითხვა დაიწყო, რომელიც ნინათ ზნეობრივი ფილოსოფიის კურსის დისციპლინის შემადგენლობაში შედიოდა. 1778 წლის იანვარში ა. სმითი ედინბურგში საბაჟო კომისრად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე გარდაცვალებამდე (1790) დარჩა.

ა.სმითის ხასიათის თავისებურებებიდან ცნობილია, რომ მას ახასიათებდა ხაზგასმით დელიკატური ქცევა და იმავდროულად ლეგენდარული დაბნეულობა.

8.1. შესწავლის საგანი და მეთოდი

ა.სმითის შემოქმედებასთან გაცნობა დავიწყოთ იმით, თუ რა ესმოდა მას *ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის საგანში*.

თავის წიგნში, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1776), ამ მიზნით, მან გამოყო მისი ცენტრალური პრობლემა, სახელდობრ, საზოგადოების ეკონომიკური განვითარება და მისი კეთილდღეობის ამაღლება.

როგორც ნ. კონდრატიევი ვარაუდობს, „სმითის მთელი კლასიკური ნაშრომი ხალხთა სიმდიდრის შესახებ დაწერილია იმ თვალთახედვით, რა პირობებს და როგორ მიჰყავთ ადამიანები ყველაზე დიდ კეთილდღეობამდე, როგორც იგი მას ესმოდა "[1].

უკვე პირველი სიტყვები, რითაც წიგნი იწყება: „ყოველი ხალხის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას არსებობისა და კომფორტისთვის ყველა საჭირო პროდუქტს"-შესაძლებლობას აძლევს გაიგოს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა, სმითის მიხედვით, განვითარებაში, ამრავლებს ხალხთა სიმდიდრეს არა იმიტომ, რომ ეს სიმდიდრე ფულია, არამედ იმიტომ, რომ იგი უნდა დაინახო მატერიალურ (ფიზიკურ) რე-

სურსებში, რომელიც მოაქვს „ყოველი ხალხის ყოველწლიურ შრომას“.

ამრიგად, ა. სმითი თავისი წიგნის პირველივე ფრაზიდან გმობს მერკანტილისტურ აზროვნებას, ამისთვის სრულებით არახალი არგუმენტის ნამოყენებით იმის შესახებ, რომ *სიმდიდრის არსი და ბუნება მხოლოდ შრომაა*. შემდგომ, მოცემულ აზრს იგი ანვითარებს შრომის დანაწილების ზრდის ერთობ საინტერესო კონცეფციით, ხოლო არსებითად, ტექნიკური პროგრესის, როგორც „ყველა დროში ნებისმიერი ქვეყნის“ სიმდიდრის ზრდის ძირითადი საშუალების დოქტრინით.

მაგრამ კითხვაზე იმის შესახებ, თუ ეკონომიკის რომელ სფეროში იზრდება სიმდიდრე უფრო სწრაფად, ა. სმითის მოსაზრებები არც თუ სადაო აღმოჩნდა. ერთი მხრივ, თავის თეორიაში მწარმოებლური შრომის შესახებ (ამის შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ) იგი არწმუნებს მკითხველს იმაში, რომ არა ვაჭრობა და მიმოქცევის სფეროს სხვა დარგები, არამედ წარმოების სფერო არის სიმდიდრის ძირითადი წყარო, ხოლო მეორე მხრივ - განსაკუთრებით ეს ჩანს მისი ხუთტომეულის მეორე წიგნში, - რომ *სიმდიდრის გასადიდებლად უმჯობესია სოფლის მეურნეობის განვითარება და არა მრეწველობისა*, ვინაიდან, მეცნიერის მოსაზრებით, მიწათმოქმედებაში დაბანდებული კაპიტალი არსებულ სიმდიდრესა და შემოსავალს გაცილებით მეტ ღირებულებას უმატებს. ამასთან, სმითის ვარაუდით, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, სამრეწველო საქონელის ფასებს კლებადი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასებს ზრდადი ტენდენცია გააჩნიათ, ამიტომ, მისი აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობა კაპიტალის დასაბანდებლად ყველაზე ხელსაყრელია, ცალკეულ პირთა კაპიტალები მთელი საზოგადოებისთვის ყველაზე ხელსაყრელი სახით დაბანდდება. „ხალხთა სიმდიდრის“ ავტორის ამ დაუდევრობის გაგება მით უფრო ძნელია, რომ იმ დროს ინგლისში აყვავებას განიცდიდა მანუფაქტურული მრეწველობა და ჩნდებოდნენ წყლის ბორბლით მომუშავე პირველი მაღალმწარმოებლური ფაბრიკები. ამიტომ საეჭვოა სმითი ითვლებოდეს „ბურჟუაზიულ მეცნიერად ანუ „ბურჟუაზიის აპოლოგეტად“, თუკი იგი მიწათმოქმედების როლის შესახებ ამტკიცებდა ასე: „ამ სამი კლასიდან პირველის (მიწათმოქმედის) ინტერესები მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია საზოგადოების საერთო ინტერესებთან. ყველაფერი, რაც ხელსაყრელი ან საზიანოა პირველის ინტერესებისთვის, აუცილებლად ხელს უწყობს ან აზიანებს საზოგადოების ინტერესებს“[2].

სხვათა შორის ა. სმითის, როგორც მეცნიერის სიდიადე, მის ეკონომიკურ პროგნოზებსა და ფუნდამენტურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პოზიციებში მდგომარეობს, რომლებმაც 100 წელზე

მეტი ხნის მანძილზე განსაზღვრეს მრავალ სახელმწიფოთა შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკაც და სწავლულ ეკონომისტთა უდიდესი კოჰორტის მეცნიერული ძიების მიმართულება. ა. სმითის წარმატების ფენომენის ასახსნელად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მივმართოთ მისი მეთოდოლოგიის თავისებურებებს.

ა. სმითის *კვლევის მეთოდოლოგიაში* ცენტრალური ადგილი უკავია *ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციას*, რომლის საფუძველში, ისე როგორც ფიზიოკრატებმაც, მან ბუნებრივი წესრიგის, ე.ი. საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა იდეა ჩადო. იმავდროულად განსხვავებით, ვთქვათ, ფ.კენესგან ა.სმითის გაგებაში, და იგი ამას მუდმივად ხაზს უსვამს, *საბაზრო კანონებს საუკეთესოდ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე, როდესაც კერძო ინტერესი საზოგადოებრივზე მალლა დგას, ე.ი. როდესაც მთლიანად საზოგადოების ინტერესები განიხილებიან, როგორც მის შემადგენელ პირთა ინტერესების ჯამი.* ამ იდეის განვითარებაში „ხალხთა სიმდიდრის“ავტორს შემოაქვს „ეკონომიკური ადამიანის“ და „უჩინარი ხელის“ ცნებები, რომლებიც შემდგომში ცნობილი გახდნენ.

„ეკონომიკური ადამიანის“ არსი საკმაოდ რელიეფურად ნაჩვენებია უკვე „ხალხთა სიმდიდრის“, წიგნი I-ის მე-2 თავში, სადაც განსაკუთრებით შთამბეჭდავია დებულება იმის შესახებ, რომ შრომის დანაწილება-ვაჭრობისა და გაცვლისადმი ადამიანისეული ბუნების განსაზღვრული მიდრეკილების შედეგია. დასაწყისში მკითხველისდმი შეხსენებით, რომ ძაღლები შეგნებულად ერთმანეთს შორის ძვალს არ ცვლიან, ა. სმითი „ეკონომიკურ ადამიანს“ ახასიათებს, როგორც პირადი გამდიდრებისადმი მისწრაფებად სრულყოფილ ეგოისტს, სახელდობრ: „იგი მეტადრე მიაღწევს თავის მიზნებს, თუკი მიმართავს მათ (თავის ახლობლებს) ეგოიზმს და შეძლებს უჩვენოს მათ, რომ მათ საკუთარ ინტერესებშია გააკეთოს მისთვის ის, რასაც იგი მათგან მოითხოვს. მომეცი მე ის, რაც მე მინდა და შენ მიიღებ იმას, რა შენ გინდა, ასეთია ყოველგვარი ასეთი მიწოდების არსი. არა ყასბის, ლუდის მხარშავის ან მეფუნთუშის კეთილგანწყობისგან ველოდებით ჩვენ საკუთარი სადილის მიღებას, არამედ მათ მიერ საკუთარი ინტერესების დაცვიდან. ჩვენ მივმართავთ არა მათ ჰუმანურობას, არამედ მათ ეგოიზმს, და არასდროს არ ვეუბნებით მათ ჩვენი საჭიროებების შესახებ, არამედ მათი სარგებლობის შესახებ“[3].

სმითისეული ცნებას „ეკონომიკური ადამიანის“ ტენდენციურობის შესახებ თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად იხსენებენ. მაგალითად, ლ. მიზესის შეფასებით, ა. სმითის შემდეგ ეკონომიკური ლიტერატურა დღემდე არსებითად „შეისწავლის არა ცოცხალ ადამიანებს, არამედ ე.წ. „ეკონომიკურ ადა-

მიანს", ფანტომს, რომელსაც რეალურ ადამიანებთან ცოტა რამ საერთო გააჩნია. ამ კონცეფციის აბსურდულობა, -განაგრძობს იგი,- სავსებით ცხადი ხდება, როგორც კი რეალურ და ეკონომიკურ ადამიანს შორის განსხვავებების შესახებ კითხვა წარმოიშობა. უკანასკნელი განიხილება, როგორც სრულყოფილი ეგოისტი, ამ სამყაროში ყველაფრის შესახებ საქმეში ჩახედული და სულ უფრო მეტი სიმდიდრის დაგროვებაზე კონცენტრირებული"[4].

განსაკუთრებული კომენტარების გარეშე ა. სმითი მკითხველს უძღვნის დებულებასაც „უჩინარი ხელის" შესახებ. ამასთან, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ იდეა მის შესახებ „ხალხთა სიმდიდრის" ავტორმა ისესხა XVII საუკუნის მერკანტილისტების პამფლეტებიდან, სადაც გატარებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ქცევა, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავს მოგებას, ხოლო ამის გამო, *სახელმწიფოსთვის აუცილებელია დაიცვას თავისუფალი კონკურენცია სამამულო მენარმეთა ეგოისტური ინტერესებისთვის.*

მაგრამ ა. სმითი სავსებით არ იმეორებს მერკანტილისტებს. მის წიგნში „უჩინარი ხელის" აზრი ისეთი საზოგადოებრივი პირობების და წესების პროპაგანდაში მდგომარეობს, რომლის დროსაც მენარმეთა თავისუფალი კონკურენციის წყალობით და მათი კერძო ინტერესებით საბაზრო ეკონომიკა საუკეთესოდ გადაჭრის საზოგადოებრივ ამოცანებს და ჰარმონიამდე მიიყვანს პირად და კოლექტიურ თავისუფლებას, მაქსიმალური ხელსაყრელობით ყველასა და თითოეულისთვის. იგი საუბრობს მის შესახებ თითქოსდა სხვათა შორის, მკითხველის ყურადღების მიქცევით იმაზე, რომ „ყოველ ცალკეულ ადამიანს მხედველობაში აქვს თავისი საკუთარი სარგებელი და სრულებით არა საზოგადოების სარგებლიანობა, ამასთან ამ შემთხვევაში, ისე როგორც მრავალ სხვაში, იგი უჩინარი ხელით წარიმართება მიზნისკენ, რომელიც სრულებით არ შედიოდა მის გამზრახვაში, და რომ, „თავისი საკუთარი ინტერესებისადმი მიდევნებით, იგი ხშირად უფრო ქმედითად ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როდესაც შეგნებულად ცდილობს ამის გაკეთებას"[5].

სხვა სიტყვებით, *„უჩინარი ხელი" ინდივიდის ნებისა და განზრახვისგან დამოუკიდებლად -„ეკონომიკურ ადამიანს" - მას და ყველა ადამიანს მიმართავს საუკეთესო შედეგისკენ, ხელსაყრელობისა და საზოგადოების უფრო მაღალი მიზნებისკენ, როგორღაც ამით ადამიანი-ეგოისტის მცდელობა პირად ინტერესს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს.* ამრიგად, სმითისეული „უჩინარი ხელი" ეკონომიკურ ადამიანსა" და საზოგადოებას, ე.ი. სახელმწიფო მართვის „ხილულ ხელს" შორის ისეთ თანაფარდობას გულისხმობს, როდესაც უკანასკნელი არ შეეწინააღმდეგება ეკონომიკის

ობიექტურ კანონებს და შეწყვეტს ექსპორტის და იმპორტის და „ბუნებრივი" საბაზრო წესრიგის ხელოვნურად შეზღუდვას. მაშასადამე, მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმი, ხოლო ა. სმითის მიხედვით-„ბუნებრივი თავისუფლების აშკარა და უბრალო სისტემა", „უჩინარი ხელის" წყალობით ყოველთვის ავტომატურად განსწორდება. სახელმწიფოს კი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიების მისაღწევად და თავისი ჩაურევლობის ფარგლების აღსანიშნავად, ა. სმითს აღნიშვნით, რჩება „სამი ერთობ მნიშვნელოვანი მოვალეობა". მათ მიეკუთვნება: საზოგადოებრივ სამუშაოთა დანახარჯები (განსაზღვრული საზოგადოებრივი ნაგებობების და საზოგადოებრივი დაწესებულებების შექმნისა და შენახვის ხარჯები, მასწავლებლების, მოსამართლეების, ჩინოვნიკების, მღვდლების და სხვ. ანაზღაურების უზრუნველყოფა, ვინც ემსახურება ხელმწიფეს ან სახელმწიფოს"); დანახარჯები სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად; დანახარჯები მართლსაჯულების აღსრულებისთვის, საკუთრების უფლების დაცვის ჩათვლით, ე.ი. ნ. კონდრატიევის სიტყვებით, სმითისეული „საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობილება, სამართლის დაცვის ფარგლებში", კერძო ინტერესების თამაშს ემყარება".

ამრიგად, *„ყოველ ცივილიზებულ საზოგადოებაში" მოქმედებს ყოელის შემძლე და გარდაუვალი ეკონომიკური კანონები - ამაშია ა. სმითის გამოკვლევის მეთოდოლოგიური ლეიტმოტივი.* ამ იდეისადმი ერთგულება შემდგომში ცხადი იყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ყველა საუკეთესო წარმომადგენელთა, მათ შორის დ. რიკარდოს ნაშრომებში, რომელმაც ეკონომიკური მეცნიერების მთავარ ამოცანად გამოაცხადა „კანონების შესწავლა, რომლებიც მართავენ" ყველაფერს, რაც წარმოებულია მიწაზე, და ასევე კ. მარქსისა, რომელმაც ამოცანად დაისახა „კაპიტალიზმის მოძრაობის კანონების" შესწავლა.

ეკონომიკური კანონების მოქმედების აუცილებელი პირობა, ა. სმითის რწმენით, ესაა *თავისუფალი კონკურენცია.* მხოლოდ მას, თვლის იგი, შეუძლია ბაზრის მონანილეებს წაართვას ძალაუფლება ფასზე, და რაც მეტია გამყიდველი, მით ნაკლებად მოსალოდნელია მონოპოლიზმი, ვინაიდან მეცნიერის სიტყვებით, მონოპოლისტები პროდუქტების მუდმივი უკმარი-სობის შენარჩუნებით ბაზარზე და ნამდვილი მოთხოვნის მთლიანად დაუკმაყოფილებლობით, თავიანთ საქონელს ყიდიან ბუნებრივ ფასზე ბევრად უფრო ძვირად და ადიდებენ თავიანთ შემოსავლებს. თავისუფალი კონკურენციის იდეის დასაცავად, ა. სმითი გმობს სავაჭრო კომპანიების განსაკუთრებულ კანონებს შეგირდობის, საამქრო დადგენილებების, ღარიბების შესახებ, იმ ვარაუდით, რომ ისინი (კანონები) ზღუდავენ შრომის ბაზარს, სამუშაო ძალის მობილურობას და კონკუ-

რენტული ბრძოლის მასშტაბებს. იგი ასევე დარწმუნებულია, რომ როგორც კი ვაჭრობისა და ხელოსნობის ერთიდაიგივე სახეობის წარმომადგენლები ერთად შეიკრიბებიან, მათი საუბარი იშვიათად არ მთავრდება შეთქმულებით ხალხის წინააღმდეგ ან რაიმე შეთანხმებით ფასების გადიდების შესახებ.

ზემოთ უკვე აღინიშნა ა. სმითის პოზიცია, რომლის თანახმადაც სიმდიდრის უპირველესი წყაროა სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მხოლოდ შემდგომ მრეწველობა. ეს ალბათ დაკავშირებულია მის რეაქციასთან მერკანტილისტების სენტენციაზე, რომლებიც პირველ ადგილზე აყენებდნენ საგარეო ვაჭრობას, ხოლო შემდგომ ეროვნულ მრეწველობას. მაგრამ რაც შეეხება თვით *ვაჭრობის სტრუქტურას*, აქაც „ხალხთა სიმდიდრის" ავტორი მერკანტილიზმის პრინციპების საწინააღმდეგო აქცენტებს აკეთებს, სადაც *პირველ ადგილზე საშინაო ვაჭრობა, მეორეზე საგარეო, მესამეზე კი სატრანზიტო ვაჭრობაა*. უკანასკნელის შესახებ ა. სმითის არგუმენტები ასეთია: „ქვეყნის საშინაო ვაჭრობაში დაბანდებული კაპიტალი ჩვეულებრივ წაახალისებს და მწარმოებლური შრომის დიდ რაოდენობას შეიცავს ამ ქვეყანაში და უფრო მეტად ადიდებს მისი წლიური პროდუქტის ღირებულებას, ვიდრე ასეთივე სიდიდის საგარეო ვაჭრობაში მოხმარების საგნების წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი, ხოლო ამ უკანასკნელში დაბანდებულ კაპიტალს ორივე ამ ურთიერთობაში კიდევ უფრო მეტი უპირატესობა გააჩნია კაპიტალის თანაბარ სიდიდესთან შედარებით, რომელიც ტრანზიტულ ვაჭრობაშია დაბანდებული"[6]. ამასთან დაკავშირებით, ა. სმითი დროულად მიიჩნევდა *პოლიტიკური ეკონომიის მთავარი ამოცანა* შემდეგნაირად ჩამოეყალიბებინა: „და ყოველი ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიის მთავარი ამოცანა მისი სიმდიდრის და სიძლიერის გადიდებაში მდგომარეობს; ამიტომ მან უპირატესობები არ უნდა მისცეს ან განსაკუთრებული წახალისება არ აღმოუჩინოს მოხმარების საგნებით საგარეო ვაჭრობას ან ტრანზიტულ ვაჭრობას ერთის და მეორის უპირატესობით"[7].

8.2. თეორიულ დამუშავებათა თავისებურებები

ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრე" შემთხვევით როდი იწყება შრომის დანაწილების პრობლემატიკით. ქრესტომათიურ მაგალითად გამხდარ ქინძისთავის მანუფაქტურაში, რომელიც გვიჩვენებს თუ *შრომის დანაწილება* არანაკლებ სამმაგად, როგორ ადიდებს შრომის მწარმოებლურობას, მან თითქმის მოამზადა „ნიადა-

გი“ მომავალი მსჯელობებისა და დავებისთვის, პოლიტიკური ეკონომიის მრავალი საკვანძო თეორიული პრობლემების მიხედვით.

ერთ-ერთი ასეთი თეორია, რომელსაც არაერთმნიშვნელოვანი განმარტება ჰქონდა ჯერ კიდევ ა. სმითამდე, იყო *საქონელთა და მომსახურების ღირებულების (ფასეულობის) თეორია.*

გავეცნოთ ა. სმითის ღირებულების თეორიას, რომლის გარშემო სულ უფრო მეტ პოლემიკას ეწეოდნენ მისი მიმდევრები და მონინააღმდეგეები. აღნიშნა რა, რომ ყოველ საქონელს გააჩნია სამომხმარებლო და საცვლელი ღირებულება, პირველს ა. სმითი იცავდა განხილვის გარეშე. მიზეზი აქ იმაშია, რომ ცნებაში „სამომხმარებლო *ღირებულება*“ ა. სმითი დებდა არა ზღვრული სარგებლიანობის არსს, არამედ სრულისას, ე.ი. ცალკეული საგნის, დოვლათის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ადამიანის მოთხოვნილება, ამასთან, არა კონკრეტული, არამედ საერთო. ამიტომ მისთვის სამომხმარებლო ღირებულება საქონლის საცვლელი ღირებულების პირობა არ შეიძლება იყოს.

ამასთან დაკავშირებით, როგორც მ. ბლაუგმა შენიშნა, „სმითის დროს უარყოფდნენ ფასეულობათა (ღირებულების- ი.ი.)“ თეორიას, რომელიც სარგებლიანობის ცნებას ემყარებოდა, რამდენადაც შეუძლებელი ჩანდა რაოდენობრივი კავშირის დამყარება სარგებლიანობასა და ფასს (ღირებულებას-ი.ი.) შორის - ამ სიმძიმის შესახებ მაშინ უბრალოდ არ დაფიქრებულან. მეტადრე, იმ დროს უბრალოდ ვერ ხედავდნენ კავშირს სარგებლიანობასა და ფასს (ღირებულებას-ი.ი.) შორის, იმ აზრით, როგორითაც ჩვენ იგი გვესმის“[8].

გაემიჯნა რა სამომხმარებლო ღირებულების განხილვას, ა. სმითი მიმართავს გაცვლის მიზეზებისა და მექანიზმის, *საცვლელი ღირებულების არსის* ახსნას. იგი აღნიშნავს, რომ რამდენადაც საქონლები უფრო ხშირად იცვლებიან, მაშინ „უფრო ბუნებრივია შევაფასოთ მათი საცვლელი ღირებულება რომელიმე საქონლის რაოდენობით, და არა შრომის რაოდენობით, რომელიც შეიძლება მათით შევიძინოთ“. მაგრამ უკვე შემდეგ გვერდზე „ხალხთა სიმდიდრის“ ავტორმა უარყო ღირებულების „რომელიმე საქონლის რაოდენობით“ განსაზღვრის ვერსიაც, ხაზი გაუსვა რა, რომ „საქონელი, რომელიც თვითონ მუდმივად ექვემდებარება მერყეობას თავის ღირებულებაში (მხედველობაში ჰქონდა რა ოქრო და ვერცხლი-ი.ი.), არანაირად არ შეიძლება სხვა საქონელთა ღირებულების ზუსტი საზომი იყოს“. შემდეგ ა. სმითი აცხადებს, რომ მუშის შრომის ერთნაირი რაოდენობის ღირებულება „ყველა დროში და ყველა ადგილზე“ ერთნაირია და ამიტომ „სწორედ შრომა წარმოადგენს მათ (საქონლის) ნამდვილ ფასს, ხოლო ფული მხოლოდ მათ ნომინალურ ფასს“.

რაც შეეხება სმითისეულ სენტენციას, *შრომის ღირებულების მუდმივობის შესახებ*, რომელიც არსებითად ნიშნავს საქონლის ყოველი ერთეულის წარმოების პირობას მუდმივი დანახარჯების პირობებში, მაშინ, იგი, ცხადია, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას, რამდენადაც წარმოების მოცულობისგან დამოკიდებულებით ხვედრითი დანახარჯები, როგორც ცნობილია, ცვლილებას ექვემდებარება. ხოლო მეორე *თავისი თეზისი, რომლის თანახმადაც შრომა „საქონლის ნამდვილ ფასს შეადგენს"*, ა. სმითი *ავითარებს ორად პოზიციას*, რომლისადმი მიყოლით შემდგომში სმითიანელთა ნაწილმა დაინახა საქონელთა ღირებულების წარმოშობის „შრომითი" ბუნება, ხოლო სხვებმა დანახარჯების მეშვეობით. თვით პოზიციის ორადობა შემდეგში მდგომარეობს.

ხალხთა სიმდიდრის" ავტორმა თითქოსდა საბოლოო დასკვნა გააკეთა, იმის აღნიშვნით, რომ *„შრომა წარმოადგენს ღირებულების ერთადერთ საყოველთაო, და ერთადერთ ზუსტ საზომს, რომლის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა საქონელთა ღირებულებები ყველა დროში და ყველა ადგილზე"*. მაგრამ ზუსტად რამდენიმე გვერდის შემდეგ ხდება დაზუსტებები. პირველი მათგანის შესაბამისად - მხოლოდ *„პირველყოფილ და ნაკლებგანვითარებულ საზოგადოებაში*, რომელიც ნინ უძღოდა კაპიტალის დაგროვებას და მინის გადაცემას კერძო საკუთრებაში, *თანაფარდობა შრომის რაოდენობებს შორის, როგორც ჩანს ერთადერთი საფუძველი იყო მათ გასაცვლელად ერთმანეთზე"*. მეორე დაზუსტების შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემოსავლების ჯამი (ხელფასი, მოგება და რენტა), რამდენადაც, როგორც მეცნიერი წერს, *„ყოველ განვითარებულ საზოგადოებაში ყველა ეს სამი შემადგენელი ნაწილი, მეტი ან ნაკლები ზომით შედის საქონელთა უზარმაზარი უმეტესობის ფასში"*.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი დაზუსტების მიხედვით, რომელიც დაკავშირებულია ღირებულების (ფასეულობის) თეორიასთან, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ა.სმითი ემხრობოდა არა შრომით თეორიას, არამედ დანახარჯების თეორიას. მაგრამ მისი პოზიციის ორადობაში ეჭვი არ რჩება, როდესაც წიგნის პირველი ტომის მე-8 თავში იგი ადასტურებს *ყველა შემოსავლის შრომით წარმომავლობას, რომლებისგანაც ყალიბდება ფასი*, და არა დანახარჯების ჯამის შესახებ, რომლებიც განაპირობებენ ამ შემოსავლებს, როგორც ფასის შემადგენლებს. აკი „ხალხთა სიმდიდრის" ავტორის სიტყვებით, რენტა - ეს „პირველი გამონაქვითია შრომის პროდუქტიდან, რომელიც დახარჯულია მინის დამუშავებაზე"; მოგება-„მეორე გამონაქვითია შრომის პროდუქტიდან, რომელიც იხარ-

ჯება მიწის დამუშავებაზე"; ხელფასი-„შრომის პროდუქტია", რომელიც „შეადგენს შრომის ბუნებრივ ანაზღაურებას"[10].

ა. სმითის მიერ მოცულ თეორიულ პრობლემებს შორის, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის *კონცეფციას მწარმოებლური შრომის შესახებ.* ეს მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისაც კი, რომ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება უარყოფს მის ძირითად პოსტულატებს. საქმე ისაა, რომ „ხალხთა სიმდიდრის" ავტორს წიგნის მეორე ტომის მე-3 თავში შემოაქვს მწარმოებლური შრომის ცნება, ჩამოაყალიბა რა იგი, როგორც შრომა, რომელიც „ადიდებს მასალების ღირებულებას, რომლებსაც იგი გადაამუშავებს", და ასევე *„განმტკიცდება და რეალიზდება რომელიმე ცალკეულ საგანში ან საქონელში,* რომელიც შეიძლება გაიყიდოს და რომელიც *არსებობს,* უკიდურეს შემთხვევაში, *გარკვეული პერიოდი მას შემდეგ, რაც შრომა დასრულებულია,* სმითის მიხედვით - ეს მომსახურებებია, რომლებიც „უჩინარდებიან" მათი გაწევის მომენტში", ხოლო შრომა, რომლის შესასრულებლად (გასაწევად) „არაფერს უმატებს ღირებულებას, აქვს თავისი ღირებულება, და იმსახურებს ანაზღაურებას, არ მაგრდება და არ რეალიზდება რომელიმე ცალკეულ საგანში ან საქონელში, რომელიც გამოსადეგია გაყიდვისთვის"[11].

სამწუხაროდ, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თითქმის ყველა ეკონომისტმა (გარდა ჯ. მაკ-კულოხისა, ნ. სენიორისა და ზოგიერთი სხვებისა) უსიტყვოდ მიიღო შრომის სმითისეული გამიჯვნა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ სახეობებად, რომელიც შემდგომ კ. მარქსიდან გადავიდა ე.წ. მარქსისტულ-ლენინურ პოლიტიკურ ეკონომიაში. ამაშია იმისი მთავარი მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირში „ეროვნული შემოსავლის შექმნის წყაროდ თვლიდნენ შრომას, გაწეულს მატერიალური წარმოების სფეროში"[12].

სხვათა შორის მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის განსხვავებას პრინციპით: ქმნის ან არ ქმნის შრომის მოცემული სახეობა ხელშესახებ მატერიალურ პროდუქტს (ობიექტს) - არა უბრალოდ იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია. ამაში, კერძოდ, განსაკუთრებით გვარწმუნებს ინგლისელი ეკონომისტის, ლაიონელ რობინსის მოსაზრებები წიგნში „ესეები ეკონომიკური მეცნიერების ბუნებისა და მნიშვნელობის შესახებ"(1935).

აღნიშნული ნაშრომის თავში „ეკონომიკური მეცნიერების საგანი" ლ. რობინსი წერს, მაგალითად, რომ „თანამედროვე ეკონომიკური თეორია იმდენად დაშორდა ა. სმითის და ფიზიოკრატების თვალსაზრისს", რომ არ აღიარებს მწარმოებლურად იმ შრომას, რომელიც ქმნის მატერიალურ ობიექტებს, თუკი უკანასკნელებს ფასეულობა არ გააჩნიათ. მისი შეხედულებით, „ოპერის მომღერლის ან ბალეტის მოცეკვავის შრომაც" კი განხილული უნდა

იქნეს, როგორც „მწარმოებლური" იმიტომ, რომ იგი ფასობს, იმიტომ, რომ მას სპეციფიკური ფასეულობა გააჩნია სხვადასხვა „ეკონომიკური სუბიექტებისთვის", ვინაიდან, განაგრძობს მეცნიერი, „ბალეტის მოცეკვავის მომსახურება შეადგენს სიმდიდრის ნაწილს და ეკონომიკური მეცნიერება მათზე ფასების წარმოქმნას ზუსტად ისევე იკვლევს, როგორც, მაგალითად, მზარეულის მომსახურებაზე"[13].

აი, ალბათ, მ. ბლაუგმა რატომ გააკეთა ერთობ მიუკერძოებელი დასკვნა „ხალხთა სიმდიდრის" ავტორის მწარმოებლური შრომის თეორიის თაობაზე შემდეგის განცხადებით: *„მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის სმითისეული გამიჯვნა - ეს გამიჯვნა, ალბათ, ერთ-ერთი დამლუპველი კონცეფციაა ეკონომიკური აზრის ისტორიაში. მაგრამ, მიუხედავად ა. სმითის ამ იდეის გადმოცემისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა, არ შეძლება არ ვაღიაროთ, რომ იგი არც ერთ შემთხვევაში არც ორაზროვანია და არც აბდაუბდა"*[14].

ა. სმითის ფულის თეორია არ გამოირჩევა არანაირი ახალი დებულებებით. მაგრამ, როგორც მისი სხვა თეორიებიც, იგი მიმზიდველია ანალიზის მასშტაბურობით და სიღრმით, ლოგიკურად არგუმენტირებული განზოგადებებით. პირველი ტომის მე-5 თავში იგი აღნიშნავს, რომ ფული ვაჭრობის საყოველთაოდ მიღებული საშუალება იმ დროიდან გახდა, „როგორც კი შეწყდა გასაცვლელი ვაჭრობა", მაგრამ, „ყველა სხვა საქონელთა მსგავსად, ოქრო და ვერცხლი თავიანთი ღირებულებით იცვლებიან". შემდგომში, პირველი ტომის (წიგნის) მე-11 თავში ჩვენ ვხედავთ ისტორიულ-ეკონომიკურ ექსკურსს ფულის რაოდენობრივი თეორიის სასარგებლოდ. აქ, კერძოდ, ლაპარაკია, რომ „შრომა და არა რაიმე განსაკუთრებული საქონელი ან საქონელთა ჯგუფი წარმოადგენს ვერცხლის (ფულის-ი.ი.) ღირებულების ნამდვილ საზომს"; დაგმობილია შეხედულებათა მერკანტილისტური სისტემა, რომლის თანახმად „ეროვნული სიმდიდრე ოქროსა და ვერცხლის სიუხვეში მდგომარეობს, ხოლო ეროვნული სიღარიბე - მათ არასაკმარის რაოდენობაში"[15].

მაგრამ ფულის სპეციალურ პრობლემატიკას ა. სმითმა მეორე ტომის (წიგნის) მეორე თავი მიუძღვნა. სწორედ მასშია მოცემული მისი ერთ-ერთი ფრთიანი ფრაზა: *„ფული-ეს მიმოქცევის დიდი ბორბალია"*. ხოლო ამ თავში გამოთქმული დებულება იმის შესახებ, რომ „ოქროს და ვერცხლის მონეტის ღირებულებაზე დაბლა ქაღალდის ფულის კურსის დაცემა, სულაც არ იწვევს ამ ლითონების ღირებულების დაცემას"[16], ცხადია, უინტერესო როდია მკითხველისთვის ჩვენს დროშიც. დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას, რომ „ხალხთა სიმდიდრის" ავტორი, *ფულს*, როგორც ყველა კლასიკოსი,

განიხილავს არა სხვაგვარად, ვიდრე გაცვლის, ვაჭრობის ტექნიკური იარალი, პირველ ადგილზე მისი მიმოქცევის ფუნქციის დაყენებით.

თუკი ვისაუბრებთ შემოსავლების თეორიის შესახებ, მაშინ ცხადია, რომ ა. სმითთან *იგი განსაკუთრებით კლასობრივ მიდგომას ემყარება.* სმითის მიხედვით, წლიური პროდუქტი სამ კლასს (მუშები, კაპიტალისტები, მიწათმფლობელები) შორის ნაწილდება. ამასთან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას იგი ძირითადად მიწათმფლობელების საქმიანობაზე და არა მრენველებზე დამოკიდებულად მიიჩნევდა.

მუშათა შემოსავალი, ხელფასი, სმითისეულ განხილვაში, ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრესთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია. ხელფასის მისეული თეორიის ღირსება, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებით, ვთქვათ, უ. პეტისგან, ფიზიოკრატებისგან, ხოლო შემდგომში დ. რიკარდოსგანაც, იგი უარყოფდა სასიცოცხლო მინიმუმის დონემდე შრომის ანაზღაურების სიდიდის შემცირების ე.წ. კანონზომიერებას. უფრო მეტიც, მისი რწმენით, „მაღალი ხელფასის არსებობის დროს ჩვენ ყოველთვის ნავაწყდებით უფრო ქმედით, ბეჯით, საზრიან მუშებს, ვიდრე დაბალი ხელფასის დროს". იქნებ, გვაფრთხილებს „ხალხთა სიმდიდრის" ავტორი, „მეპატრონეები ყოველთვის და ყველგან თავისებური სახის უსიტყვო, მაგრამ მუდმივ და ერთსახოვან გაფიცვაში იმყოფებიან, მუშათა ხელფასის არმომატების მიზნით მის არსებულ სიდიდეზე ზევით"[17].

მოგება, როგორც კაპიტალის შემოსავალი, განისაზღვრება, წერს ა. სმითი, პირველი ტომის მე-9 თავში, „საქმეში გამოყენებული კაპიტალის ღირებულებით და მეტი ან ნაკლებია ამ კაპიტალის სიდიდეზე დამოკიდებულებით" და ის არ უნდა ავურიოთ ხელფასში, რომელიც წესდება „ზედამხედველობისა და მართვისთვის სავარაუდო შრომის რაოდენობის, სიმძიმის ან სირთულის შესაბამისად". მისი მოსაზრებით, „თავისი კაპიტალის გამრისკავი მეწარმის" მოგების თანხა - ეს მუშათა მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილია, რომელიც წარიმართება „მათი მეწარმის მოგების ანაზღაურებაზე მთელ კაპიტალზე, რომელიც მან ავანსად გაიღო მასალების და ხელფასის სახით"[18].

შემოსავლების კიდევ ერთ სახეობას - რენტას, სპეციალურად ეძღვნება პირველი ტომის (წიგნის) ბოლო, 11-ე თავი. იგი, ცხადია, გაცილებით სუსტად არის გამოკვლეული, ვიდრე, ვთქვათ, დ. რიკარდოსთან, მაგრამ ცალკეული დებულებები მაინც ყურადღებას იმსახურებს. კერძოდ, სმითის მიხედვით, კვების პროდუქტები წარმოადგენენ „ერთადერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს, რომელიც ყოველთვის და აუცილებლად აძლევს გარკვეულ რენ-

ტას მინათმფლობელს". ორიგინალურია აქ მისი კარნახიც მკითხველისთვის: „საკვებისადმი მისწრაფება ყოველ ადამიანს ეზღუდება ადამიანისეული კუჭის მცირე ტევადობით"[19].

ა.სმითის კაპიტალის თეორიაში (მეორე ტომის პირველი თავი) ცხადია, მისი უფრო პროგრესული ხასიათი ფიზიოკრატებთან შედარებით. *კაპიტალი მათ მიერ ხასიათდება, როგორც მარაგების ორიდან ერთი ნაწილი,* „რომლისგანაც შემოსავლის მიღებას მოელიან", ხოლო „მეორე ნაწილი, -აღნიშნავს იგი, - ეს ისაა, რომელიც უშუალო მოხმარებაზე მიდის". ფიზიოკრატებისგან განსხვავებით, სმითის მიხედვით, *მწარმოებლურია კაპიტალი, რომელიც არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაშია დაბანდებული, არამედ, ასევე მატერიალური წარმოების ყველა სფეროში. გარდა ამისა, მის მიერ შემოტანილია კაპიტალის დაყოფა ძირითად და საბრუნავ კაპიტალად,* ნაჩვენებია განსხვავება კაპიტალის ამ ნაწილებს შორის თანაფარდობაში, მეურნეობის დარგისგან დამოკიდებულებით. ძირითადი კაპიტალი, - და ეს ზედმეტი როდია აღვნიშნოთ, - „ხალხთა სიმდიდრის" ავტორის მოსაზრებით, სხვებთან ერთად შედგება „საზოგადოების ყველა წევრთა და მაცხოვრებლების შეძენილ და სასარგებლო უნარისგან", ე.ი. როგორღაც საკუთარ თავში მოიცავს „ადამიანისეულ კაპიტალს"[20].

ა. სმითის მიერ შეუხებელი არ დარჩენილა კვლავწარმოების თეორიაც, რომელიც პირველად მანამდე ბრწყინვალედ იქნა შემოტანილი მეცნიერულ ბრუნვაში ფ. კენეს მიერ. ცნობილია, რომ ა. სმითის პოზიცია ამ პრობლე-მატიკის მიხედვით, კ. მარქსმა კრიტიკულად შეაფასა და მას „სმითის ზღაპრული დოგმა" უწოდა. კ. მარქსის კრიტიკა ამ თვალსაზრისით, მართლაც მნიშვნელოვანია, რამდენადაც „ხალხთა სიმდიდრის" ავტორი, ახასიათებდა რა იმას, თუ რისგან შედგება განაწილებას დაქვემდებარებული „შრომის წლიური პროდუქტის მთელი ფასი", უკანასკნელი მთლიანად შემოსავლებამდე დაყავს, რომლებისგანაც ყალიბდება, როგორც იგი ვარაუდობს, საქონლის ფასი. ამასთან, იგი აცხადებს შემდეგნაირად: „ყოველგვარი საქონლის ფასი საბოლოო ანგარიშში მაინც უნდა იქნეს დაყვანილი ყველა ამ ნაწილზე, რამდენადაც ფასის ყოველი ხვედრი ნილი აუცილებლად უნდა აღმოჩნდეს ვიღაცის მოგება"[21]. სხვა სიტყვებით, სმითის მიხედვით, საქმე ეხება არა გაფართოებულ, არამედ მარტივ კვლავწარმოებას, რომლის დროსაც მოხმარება გამორიცხავს დაგროვებას წარმოების საშუალებათა ღირებულების (ამორტიზაციის) ანაზღაურებაში.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1.გახსენით ა.სმითის შესწავლის საგნის თავისებურებები.

2.რაში მდგომარეობს ა. სმითის კონცეფციის არსი „ეკონომიკური ადამიანის“ და „უჩინარი ხელის“ შესახებ?
3.რა დებულებებს ასაბუთებს ა. სმითი შრომის დანაწილების თავის თეორიაში?
4.რომელ კლასებს გამოყოფდა ა. სმითი საზოგადოებაში? შეადარეთ მისი პოზიცია ამ პრობლემის მიხედვით ფიზიოკრატებთან.
5.უჩვენეთ ა. სმითის განმარტებათა წინააღმდეგობრიობა კატეგორია „ღირებულების“ თაობაზე.
6.როგორ აყალიბებს ა. სმითი მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის არსს? როგორია ამ თეორიის როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში?
7.კომენტარი გაუკეთეთ ა. სმითის გამოთქმას იმის შესახებ, რომ „ფული - ეს მიმოქცევის დიდი ბორბალია“.
8.დაახასიათეთ ა. სმითის თეორიული პოზიციები ხელფასის, მოგების, რენტისა და კაპიტალის შესახებ.
9.შეადარეთ ფ. კენეს და ა. სმითის კვლავწარმოების თეორიები და გახსენით „სმითის ზღაპრული დოგმის“ არსი“.

თავი 9. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია პოსტმანუფაქტურული პერიოდის სმითიანელთა ნაშრომებში

ამ თავის შესწავლის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

- როგორ ვითარდებოდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია წარმოების ინდუსტრიალიზაციის და ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის პირობებში;
- რაში მდგომარეობს კატეგორია „ღირებულების", „ხელფასის", „მოგების", და „რენტის" თეორიული გააზრების სიახლე პოსტმანუფაქტურული პერიოდის კლასიკოს-სმითიანელთა ნაშრომებში;
- „დ. რიკარდოს მიერ დასმული ცენტრალური პრობლემა, სახელდობრ: მინის, შრომის და კაპიტალის პროდუქტში შეფარდებითი წილის ცვლილებები როგორ არიან დაკავშირებული კაპიტალის დაგროვების ნორმასთან და რატომ რჩება ინტერესის ერთ-ერთ არაწარმავალ საგნად თანამედროვე ეკონომისტებისთვის"(მ. ბლაუგი);
- „ბაზრების სეისეული კანონი" რამდენად ეხმიანება „უჩინარი ხელის" სმითისეულ პოსტულატს.
- სინამდვილეში, „თუკი მხოლოდ მალთუსის და არა რიკარდოს ნაშრომები იქნებოდა ამოსავალი პუნქტი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისთვის XIX საუკუნეში, რამდენად უფრო ბრძნული და მდიდარი იქნებოდა სამყარო დღეს" (ჯ.მ.კეინზი), ან მაინც დ.რიკარდოს შემდეგ „ყველა თეორეტიკოსი ზღვრული მწარმოებლურობის თეორიის გამოჩენამდე, მართლაც „შკოლიარებს" წარმოადგენენ" (ი. შუმპეტერი).

XVIII საუკუნის დასასრულიდან XIX საუკუნის შუახანებამდე მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში მოხდა არსებითი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია ინდუსტრიული წარმოების ჩამოყალიბებასთან, რომლის აუცილებელი ნანამძღვარი იყო *სამრეწველო გადატრიალება*. ეს მოვლენა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში დროის ამა თუ იმ პერიოდში მოხდა, მოასწავებდა ხელის შრომის მანქანურით შეცვლას, *მანუფაქტურიდან ქარხნებსა და ფაბრიკებზე გადასვლას, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას*. თვისებრივ-

მა ცვლილებებმა ეკონომიკაში განაპირობეს ეკონომიკური განვითარების არნახული ტემპები და კიდევ უფრო განამტკიცეს უკვე ახალი პოსტმანუფაქტურული ეპოქის ეკონომისტების რწმენა ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეების ყოვლისშემძლეობაზე, რომელსაც ხოტბა შეასხა მათმა კერპმა - ადამ სმითმა. გარდა ამისა, მის ქვეყანაში, ინგლისში ინდუსტრიულ სისტემაზე გადასვლა, რომელთაც თან ახლდა მრავალრიცხოვანი „გამარჯვებები" მერკანტილისტურ იდეებზე და პროტექციონიზმზე, და ასევე ეკონომიკის სულ უფრო მეტ ლიბერალიზაციაზე, თითქოსდა სმითის მოძღვრების ჭეშმარიტების დადასტურებას ემსახურებოდა.

სმითის მოძღვრების მიმდევრებს შორის პოსტმანუფაქტურულ პერიოდში, ე.ი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ეკონომიკური აზრის ისტორიაში პირველ რიგში იხსენებენ დ. რიკარდოს, ჟ.ბ.სეის, თ.მალთუსის, ნ.სენიორის, ფ. ბასტიას და ზოგიერთი სხვა ეკონომისტების სახელებს. მათი შემოქმედება საკუთარ თავში „ახალი" დროის ანაბეჭდს ატარებს, რომელმაც უჩვენა, რომ ეკონომიკური მეცნიერება ისევ უნდა დაკავდეს „ხალხთა სიმდიდრეში" მიღწეულის გააზრებით მრავალი ეკონომიკური კატეგორიის და თეორიის მიხედვით. მივმართოთ ზოგიერთი მათგანის გამოკვლევებს და ამით განვაგრძოთ *ნაცნობობა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიასთან მისი განვითარების მესამე ეტაპზე.*

9.1. დ. რიკარდოს ეკონომიკური მოძღვრება

დეივიდ რიკარდო (1772-1823) - ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი კაშკაშა სახეა, დიდი ადამ სმითის მიმდევარი და იმავდროულად ცალკეული თეორიული მემკვიდრეობის დებულებების აქტიური ოპონენტი.

იგი წარმოშობით ესპანურ-ჰოლანდიური ებრაული ოჯახიდან იყო, რომელიც ინგლისში ჩამოვიდა. დაიბადა ლონდონში, ბირჟის მაკლერის 17-იდან მესამე შვილი გახდა. მას არასოდეს უსწავლია კოლეჯში ან უნივერსიტეტში, რამდენადაც მამის ზეგავლენით ბავშვობიდან დაიწყო კომერციის საფუძვლებში - მისი დახმარებით სავაჭრო და საბირჟო ოპერაციებში ჩანვდომა. სამაგიეროდ, 16 წლისთვის დ.რიკარდოს *თუმცა კი არ ჰქონდა სისტემატური განათლება*, მაგრამ უკვე დამოუკიდებლად შეეძლო თავის გართმევა მამის მრავალი საქმიანი დავალებებისთვის ბირჟასა და კანტორაში.

21 წლის ასაკში, მშობლების ლოცვა-კურთხევის გარეშე, დაქორწინება შეიძლება რიკარდოსთვის სიღარიბის მძიმე გამოცდით

დამთავრებულიყო. აკი ქორწინებაში შესვლის პერიოდში მან უარი თქვა თავის რელიგიაზე და მამის მიერ გაგდებულმა, კავშირი გაწყვიტა ოჯახთან, სულ 800 ფ.სტ.-ის იმედად. დ. რიკარდოს მხოლოდ ბირჟაზე მაკლერის პროფესიის წარმატების იმედი ჰქონდა. მაგრამ, პირიქით, 5-6 წლის შემდეგ, როდესაც მას უკვე სამი ბავშვი (სულ რვა შვილიდან) ჰყავდა, ბუნებრივი უნარი და ნიჭი დაეხმარა წარმატება ჰქონოდა საბირჟო ოპერაციებში მამის მეურვეობის გარეშე და საკმარისი ფინანსური კეთილდღეობისთვის მიეღწია, რათა საკუთარი თავისთვის შესაძლებლობა მიეცა ბიზნესმენის საქმიანობა შეეხამებინა მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და სხვა მეცნიერებათა ჯეროვან შესწავლასთან. 12 წლის შემდეგ, დ. რიკარდომ მიატოვა საბირჟო ბროკერის საქმიანობა და სათავე დაუდო თავის მილიონებს, რომლებიც რიგი შეფასებებით 40 მლნ ფრანკს შეადგენდა[1]. 38 წლის ასაკში დ. რიკარდო ხდება მსხვილი ფინანსური ფიგურა, ლონდონის არისტოკრატიულ კვარტალში საკუთარი სახლის და პირადი ქალაქგარეთა რეზიდენციის მფლობელი. ამასთან დაკავშირებით, ლ. მიზესი, კერძოდ, ადასტურებს: „ცხადია, არ შეიძლება არ აღიარო ისტორიული ფაქტი: მრავალმა ბიზნესმენმა, და უწინარეს ყოვლისა, დეივიდ რიკარდომ, უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში"[2].

რიკარდოს სიტყვებით, 1799 წელს ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრის" საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ, ეკონომიკურმა მეცნიერებამ მასში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ამ დროიდან შეძლებული ადამიანი დ. რიკარდო, მინერალოგიაში მეცადინეობებს სულ უფრო ამჯობინებდა პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც, როგორც იგი ფიქრობდა, პასუხებს ეძებდა საზოგადოების მატერიალური სიმდიდრის მიზეზების შესახებ.

მრავალ მკვლევართა ცნობით, დ. რიკარდოს მრავალწლიანი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა იმ დროის მრავალ სწავლულ-ეკონომისტთან. მაგრამ, განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, მიმნდობი ურთიერთობები მას ჰქონდა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანთან - ჯეიმზ მილთან. როგორც პ. სამუელსონი წერს, „რიკარდო გახდებოდა არაუმეტეს პამფლეტისტი ან პარლამენტის ნევრი რომელიმე მივარდნილი ადგილიდან. უფროსმა მილმა (ჯ. ს. მილის მამა)" ზუსტად დაშინებით აიძულა რიკარდო დაეწერა მას „პოლიტეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები" (1817) და ამან რიკარდოს დიდება განაპირობა"[3]. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არა ჯეიმზ მილმა, არამედ წარმატებული ბიზნესმენის ნიჭი და პრაქტიკული გამოცდილება დაეხმარა დ. რიკარდოს, „გაეგო" ა. სმითის მოძღვრება და თავის თანამედროვეთა თ. მალთუსის, ჟ.ბ. სეის და „კლასიკური სკოლის" სხვა ეკონომისტების ეკონომიკური შეხედულებები, შეეტანა მასში ღირსეული პირადი წვლილი. ამასთან,

მას როგორც მეცნიერს, მის მიერ დანერილი თხზულებებით და განსაკუთრებით მათ შორის ძირითადით - ნიგნით *„პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“* (1917) - მას განასხვავებენ ხელოვნური პოლემიკით და მეცნიერული ეთიკის მაღალი პრინციპებით, რომლებიც ამჟამადაც პატივისცემას იმსახურებენ.

დ.რიკარდოს ბიოგრაფიაზე საუბრისას, ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გარდაცვალებამდე ოთხი წლით ადრე მან დატოვა თავისი პირველი, რომელიც ძირითადად ითვლება, საქმიანობა ბიზნესის სფეროში. ეს გადაწყვეტილება მის მიერ მიღებულ იქნა არა იმდენად იმისთვის, რომ თავისი საკმაოდ სერიოზული მატერიალური და ფინანსური მდგომარეობის გამოყენებით, გაგრძელდეს შემდგომი მეცნიერული გამოკვლევები ეკონომიკური თეორიის სფეროში, რომლისგანაც იგი პრინციპში თავად არ ჩამოცილებულა, რამდენადაც სურვილიდან სახელმწიფო დონეზე ცხოვრებაში საკუთარი ეკონომიკური იდეების დანერგვით. სწორედ ამ მიზნით, დ. რიკარდომ 1819 წელს განახორციელა რა იმ დროისათვის აუცილებელი „ფულადი დანახარჯები“, თავის არჩევას მიაღწია ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში ირლანდიის ერთ-ერთი საარჩევნო ოლქიდან. ოფიციალურად ვერ მიემხრო რა პარლამენტის ვერც ერთ ფრაქციას, დ. რიკარდო ემხრობა დამოუკიდებელ პოზიციას ყველა პრობლემის მიხედვით. საპარლამენტო სიტყვებში იგი გადაჭრით გამოდიოდა „პურის კანონების“ გაუქმებისთვის, მხარს უჭერდა ეკონომიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნას, ვაჭრობის და ბეჭდვის თავისუფლებას, შეკრებების უფლების შეზღუდვის დაუშვებლობას და სხვ.

დაბოლოს, დ. რიკარდოს ბიოგრაფიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი არის. როგორც ჩანს 1821 წელი, როდესაც მან, როგორც ამ მეცნიერის შემოქმედებითი გზის მკვლევარები ადასტურებენ, ინგლისში პოლიტეკონომიის პირველი კლუბი დააარსა.

მეთოდოლოგიის პრინციპები

დ. რიკარდოს შემოქმედებაში ამოსავალი პოზიცია გახდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ყველი ავტორისთვის დამახასიათებელი *ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფციისადმი ერთგულება*, რომელიც ეკონომიკაში არანაირ სახელმწიფო ჩარევას არ უშვებს და, რომელიც გულისხმობს თავისუფალ მეწარმეობას, თავისუფალ ვაჭრობას და სხვა „ეკონომიკურ თავისუფლებებს“[4]. ამ პოზიციას იგი თანამიმდევრულად იცავდა თავის სამეცნიერო ნაშრომებში. იგი 1815 წელს მის მიერ გამოცემული მცირე პამფლეტის „გამოცდილება პურის დაბალი ფასის ზეგავლენის შესახებ კაპიტალიდან მოგებაზე“, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა იმ დროის ინგლისის პროგრესულ საზოგადოებრივ წრეებში.

როგორც ცნობილია, ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული „პურის კანონები" მკვეთრად ზღუდავდნენ ქვეყანაში უცხოური მარცვლის შემოტანას, რაც ხელს უწყობდა პურზე მაღალი ფასების შენარჩუნებას და პასუხობდა ჯერ კიდევ გავლენიანი მიწათმფლობელების ინტერესებს. აღნიშნულ პამფლეტში, დ. რიკარდო ამტკიცებდა რა პურის კანონების ნეგატიურ მნიშვნელობას ინგლისის მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის, ჩამოყალიბებული მდგომარეობიდან გამოსავალს სწორედ მარცვლეულით შეუზღუდავ თავისუფალ ვაჭრობაში ხედავდა, მათ შორის იაფი პურის იმპორტის გზით სხვა ქვეყნებიდან.

დ. რიკარდოს საუკეთესო თხზულების - „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლების" გაცნობის დაწყებისას (ხოლო იგი თავისი პირველი გამოცემის დროიდან 1817 წელი, ხელახლა კიდევ ორჯერ გამოიცა) - ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ უკვე წიგნის წინასიტყვაობაში მან მისთვის დამახასიათებელ ლაკონურ ფორმაში გამოთქვა მისი აზრით, საკუთარი შეხედულება ეკონომიკური თეორიის საკვანძო პრობლემის შესახებ. ჯერ-ერთი, ა. სმითთან სოლიდარობით იგი საზოგადოებაში ასევე გამოყოფს *სამ ძირითად კლასს* (მიწის მფლობელებს; ფულისა და კაპიტალის მფლობელებს, რომელიც აუცილებელია მისი დამუშავებისთვის; მუშებს, რომელთა შრომით იგი დამუშავდება) და *შემოსავლების სამ სახეობას* (რენტა, მოგება, ხელფასი). და მეორე, მოგვცა პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი ამოცანის მისეული განმარტება, რომელიც, მისი სიტყვებით, იმაში მდგომარეობს, რომ განისაზღვროს კანონები, რომლებიც შემოსავლების განაწილებას მართავენ.

მოგვიანებით (XIX საუკუნის შუახანებში) დიდწილად ამ მიზეზით, აშშ-ის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ლიდერმა ჰ. ჩ. კერიმ, დ. რიკარდოს მოძღვრება დაასახელა *კლასებს შორის განბეთქილებისა და შუღლის სისტემად*. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, დ. რიკარდოს შემოქმედებაში სწორედ კლასობრივი ურთიერთობები უდევს საფუძვლად შემოსავლების განაწილების პროცესებს საზოგადოებაში, რანდენადაც იგი დარწმუნებული იყო, *რომ კაპიტალისტების შემოსავლების (მოგება) ზრდა აუცილებლად შეამცირებს მუშათა შემოსავალს (ხელფასი), და, პირიქით, ამაში* ხედავდა მკაცრ კანონზომიერ უკუკავშირს.

ა. სმითის ბუნებრივი წესრიგის კონცეფციის ანალოგიურად, ქვეყნის სიმდიდრის გასადიდებლად, რომელიც განიხილება, როგორც წარმოების ფიზიკური მოცულობის შესაბამისი სიდიდე, დ. რიკარდო მთავარ პირობად თვლის თავისუფალ კონკურენციას და ეკონომიკური ლიბერალიზმის სხვა პრინციპებს. ეს, კერძოდ, ჩანს მისი არაორაზროვანი განცხადებიდან იმის შესახებ, რომ მხოლოდ

ნაყოფიერ ქვეყანას, განსაკუთრებით თუკი იგი უშვებს კვების პროდუქტების თავისუფალ იმპორტს, მოგების ნორმის მნიშვნელოვანი შემცირების, ან მიწის რენტის მნიშვნელოვანი გადიდების გარეშე, კაპიტალის დაგროვება უხვად შეუძლია.

ამიტომ, კლასიკოსების მეთოდოლოგიური პოზიციის დახასიათებისას, ნ. კონდრატიევი მიუთითებდა: „მაგრამ იგიც (დ. რიკარდო) სმითთან და ბუნებრივი უფლების დოქტრინასთან ერთად, მეცნიერული ჭეშმარიტების სახით, შესაძლებლად თვლიდა დაემტკიცებინა, რომ თავისუფალი კონკურენციის დროს ინდივიდის და მთელის ინტერესები ერთმანეთს არ ეჯახებიან, რომ თავისუფალი კონკურენციის რეჟიმი საერთოდ, ამა თუ იმ გადახრებით, *ყველაზე უფრო მიზანშეწონილია და ყველაზე კარგად პასუხობს ერის ინტერესებს*“[6].

შემდეგ განვიხილოთ დ. რიკარდოს თეორიულ დამუშავებათა ზოგიერთი ძირითადი მომენტები, მათი სიახლის, სადაო დებულებების და ცალკეულ დაუდევრობათა გათვალისწინებით, რომლებიც ცხადია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის პოზიციებიდან.

ღირებულების თეორია

ნახსენები „დაბეგვრის საფუძვლების“ სტრუქტურით თუ ვიმსჯელებთ, *ღირებულების თეორიას*, რომელსაც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ა. სმითის გამოკვლევებში, დ.რიკარდომ თავისი წიგნის პირველი თავი მიუძღვნა. მასში თავის კერპთან პაექრობისას იგი უარყოფს ამ კატეგორიის სმითისეულ ორმაგ შეფასებას, უაპელაციოდ დაჟინებით მოითხოვდა მხოლოდ ერთს-ერთფაქტორიან შეფასებას, რომელიც მან შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „რომელიმე საქონლის ღირებულება ან რომელიმე სხვა საქონლის რაოდენობა, რომელზეც იგი იცვლება, დამოკიდებულია შრომის შეფარდებით რაოდენობაზე, რომელიც აუცილებელია მისი წარმოებისთვის, და არა მეტ ან ნაკლებ ანაზღაურებაზე, რომელიც გადაიხდება ამ შრომისთვის“[7]. ამით, დ. რიკარდომ პირველად უწევნა თავისი *ერთგულება შრომითი ღირებულების თეორიისადმი*, ვინაიდან მის მიერ ორი წლის წინათ გამოცემულ „გამოცდილებაში...“ ამ პრობლემას იგი არ შეხებია.

საქონელთა ღირებულების მსგავსი განმარტების ტენდენციურობა და ხარჯვითი პრინციპი, ზემოთ უკვე აღინიშნა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი დახასიათებისას. მაგრამ, ამასთან, ერთობ არსებითი და ყურადსაღებია დ. რიკარდოს მიერ აქ გაკეთებული დათქმები და კომენტარები, მაგალითად, იმის შესახებ, რომ „საცვლელი ღირებულება შრომის რაოდენობასა და თვისებასთან ერთად განპირობებულია საქონლის იშვიათობით და, რომ

საქონელთა შედარებითი ფასების შესახებ უნდა ვისაუბროთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ადამიანისეული შრომით და რომელთა წარმოებაში კონკურენციის მოქმედება არანაირ შეზღუდვებს არ ექვემდებარება[8]. ან მეორე მაგალითი: „მაგრამ თუკი მე ვამბობ, რომ შრომა ყოველგვარი ღირებულების საფუძველია, და, რომ მისი შედარებითი რაოდენობა განსაზღვრავს (თითქმის გამონაკლისის გარეშე) საქონელთა შედარებით ღირებულებას,-წერს დ. რიკარდო,- აქედან არ გამომდინარეობს, რომ მე მხედველობიდან ვუშვებ განსხვავებას შრომის ხარისხში და შედარების სიძნელეს შრომით საათსა ან დღეს შორის მრენველობის ერთ დარგში, იგივე ხანგრძლივობის შრომასთან სხვაში. სხვადასხვა ხარისხის შრომის შეფასება მალე დადგინდება ბაზარზე ყველა პრაქტიკული მიზნისთვის საკმარისი სიზუსტით და დიდწილად დამოკიდებულია მუშის შედარებით ხელოვნებაზე და მათ მიერ შესრულებული შრომის დაძაბულობაზე"[9].

იმავდროულად, წიგნის ტექსტის გადმოცენისას დ. რიკარდოს (სხვათა შორის, როგორც ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრეშიც") კ. მარქსის ნაშრომებისგან განსხვავებით, *„ღირებულებისა" და „ფასის" კატეგორიები ფაქტობრივად მოტანილია, როგორც სინონიმები.* კერძოდ, „ბუნებრივ" და „საბაზრო ფასებზე" საუბრისას დ. რიკარდო წერდა: „მაგრამ თუკი ჩვენ შრომას საქონლის ღირებულების საფუძვლად ვიღებთ, მაშინ ამისგან არ გამომდინარეობს, რომ უარვყოფთ საქონელთა *ნამდვილი და საბაზრო ფასის შემთხვევით და დროით გადახრებს, მათი ამ პირველადი და ბუნებრივი ფასისგან*"[10].

რაც შეეხება დ.რიკარდოს მტკიცებას იმის შესახებ, რომ *საქონელთა ფასების დონეზე დახარჯულ ციცხალ შრომასთან ერთად, ზეგავლენას ახდენს განივთებული შრომაც,* ე.ი. „იარაღებზე, ინსტრუმენტებზე და შენობებზე დახარჯული შრომა, რომლებიც ხელს უწყობენ ამ შრომას", მაშინ არ შეიძლება მას არ დაეთანხმო. მაგრამ უდაოა მისი თეზისი იმის შესახებ, რომ „საქონელთა შედარებითი ღირებულება" დამოკიდებული არაა მუშათა ხელფასის ცვლილებებზე. და საეჭვოა დასაბუთებულად ჩავთვალოთ დ. რიკარდოს ისეთი თეზისი, რომ შრომის ღირებულების (ხელფასის) გადიდება შეუძლებელია მოგების შესაბამისი დაცემის გარეშე[11].

მაგრამ აქ ალბათ, მართლზომიერია დავუმატოთ მ. ბლაუგის შენიშვნები, რომელიც ვარაუდობდა, რომ „რიკარდო, მილი და მარქსი საქონელთა შესახებ მსჯელობდნენ ისე, თითქოსდა ყველა ისინი ინარმოებოდნენ მუდმივი დანახარჯებით, ფიქსირებული ტექნოლოგიური კოეფიციენტების დროს. რიკარდო უშვებდა ფაქტორული პროპორციების ცვალებადობას „მანქანების" შესახებ თავში, მაგრამ ამასთან დათმობა არასოდეს არ გადადიოდა კლასიკუ-

რი თეორიის ძირითადი მიმდინარეობის კალაპოტში. უფრო მეტად, ერთობას მსხვერპლად გაიღებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კერძო შემთხვევისთვის, სადაც წარმოების ზღვრული ხარჯები საშუალოსაგან გადაიხრებოდნენ. კლასიკური ეკონომიკური მეცნიერება, მაშასადამე, იძულებული იყო ოპერირება მოეხდინა ფასეულობათა ორი თეორიით. სამრეწველო პროდუქციის ფასი დამოკიდებულია მხოლოდ მიწოდების პირობებისგან, მაშინ, როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასი იცვლება წარმოების მასშტაბით და ამიტომ დამოკიდებულია მოთხოვნის ხასიათზე"[12].

დ. რიკარდოს მიერ გამოთქმული დებულებებიდან, კატეგორია „ღირ-ებულების" მახასიათებელთან დაკავშირებით, გამოვყოთ კიდევ ორი, რომლებიც სამართლიანად შედიან კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის „ოქროს ფონდში". მათი არსი შემდეგში მდგომარეობს. პირველი: *ფული, როგორც საქონელი თავისი ღირებულების შემცირებისას განაპირობებს ხელფასის ზრდის აუცილებლობას*, რასაც თავის მხრივ, „უცვლელად თან ახლავს საქონელთა ფასების ზრდა". და მეორე, *ფული, როგორც გაცვლის საყოველთაო საშუალება ყველა ცივილიზებულ ქვეყნებს შორის „მათ შორის ნაწილდება პროპორციებში, რომლებიც იცვლებიან ყოველი სრულყოფილების შედეგად ვაჭრობასა და მანქანებში, საკვებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი სხვა საგნების მოპოვების სიძნელის ყოველი გადიდებით მზარდი მოსახლეობისთვის"*[13].

დაბოლოს, „საფუძვლების" ავტორი სრულიად მართალი იყო თავის რწმენაში *საქონელთა საცვლელი ღირებულების დონის შემცირებაში, მათ წარმოებაზე გამოყენებული მზარდი ძირითადი კაპიტალის პირდაპირი დამოკიდებულების შესახებ*, იმაზე მითითებით, რომ „რაც უფრო მეტ წილს შეადგენს ძირითადი კაპიტალი, მით მეტი იქნება ეს დაცემა."[14]

კაპიტალის თეორია

კატეგორია *კაპიტალის* ისტორიას დ. რიკარდო ახასიათებდა, როგორც „ქვეყნის სიმდიდრის ნაწილს, რომელიც მოიხმარება ნარმოებაში და შედგება საკვების, ტანსაცმლის, ინსტრუმენტების, ნედლი მასალების, მანქანების და სხვ., აუცილებელით, რომ მოძრაობაში იქნეს მოყვანილი შრომა"[15]. აქ მისი პოზიცია პრინციპში ეხმიანება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმომადგენლებს, რომლებმაც კაპიტალის თეორიას მიმართეს, მაგრამ მათგან განსხვავებით, დ. რიკარდომ შეძლო ეჩვენებინა, რომ *მოგების უთანაბრობის გამო დაბანდებულ კაპიტალზე, უკანასკნელი „გადაადგილდება ერთი საქმიანობიდან მეორეში"*[16]. მ. ბლაუგი,

რომელმაც თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი „ეკონომიკური აზრის რეტროსპექტივა“ სწორედ დ. რიკარდოს მიუძღვნა, ასე ვარაუდობს: „ძირითადი პრობლემა, რომელიც რიკარდომ დასვა, სახელდობრ კი: როგორც მიწის, შრომის და კაპიტალის პროდუქტში შეფარდებითი წილის ცვლილებები დაკავშირებულია კაპიტალის დაგროვების ნორმასთან, ინტერესის ერთ-ერთი გარდაუვალი საგანი რჩება თანამედროვე ეკონომისტებისთვის. ამ თვალსაზრისით, რიკარდოსეული ეკონომიკური თეორია ჯერ კიდევ ცოცხალია“[17].

რენტის თეორია

რენტის შესახებ რიკარდოს კონცეფცია თავის აქტუალურობას ინარჩუნებს ჩვენს დროშიც. მისი მთავარი იდეები იმაში მდგომარეობს, რომ *რენტა ყოველთვის გადაიხდება მიწის სარგებლობისთვის,* რამდენადაც მისი(მიწის-მთარგ.) რაოდენობა უსაზღვრო როდია, ხარისხიც-არაერთნაირია, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის გამო, დამუშავებას დაექვემდებარება მიწის ახალი ნაკვეთები, თავისი ხარისხით და ადგილმდებარეობით უფრო ცუდები, რომლებზეც შრომის დანახარჯებით განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულება. როგორც დ. რიკარდო ხსნიდა, „პური იმიტომ არ არის ძვირი, რომ რენტას იხდიან, არამედ რენტას იხდიან იმიტომ, რომ პური ძვირია“, ხოლო თვით „რენტა არ არის საქონელთა შემადგენელი ნაწილი“[18]. დამაჯერებელია მის მიერ დასახელებული *რენტის წარმომქმნელი ფაქტორები*: ნაკვეთების არაერთნაირი ბუნებრივი პოტენციალი (მოსავლიანობა) და ამ ნაკვეთების სხვადასხვანაირი დაშორება ბაზრებიდან, მათგან მიღებული სასაქონლო პროდუქციის რეალიზება შეიძლება.

ცხადია, რომ დ. რიკარდოსთვის, ისე, როგორც სხვა კლასიკოსებისთვის, მიწა არაკვლავწარმოებადია და განიხილება, როგორც ფიზიკური და არაეკონომიკური რესურსი. ამიტომ *მის გაგებაში არა მხოლოდ მიწა, არამედ რენტაც გამოდის „მიწის თავისუფალი საჩუქრის სახით“.* და რამდენადაც მიწის შეზღუდული ფონდი გამოიყენება მხოლოდ ერთი საშუალებით (მაგალითად, როგორც სახნავი ან საძოვარი), და კიდევ მისგან (მიწისგან) კლებადი უკუგების კანონზომიერების გამო, დ. რიკარდო გამოხატავს სიფრთხილეს: „ბუნების შრომა ანაზღაურდება არა იმიტომ, რომ იგი ბევრს აკეთებს, არამედ იმიტომ, რომ იგი ცოტას აკეთებს. რაც უფრო ძუნწი ხდება იგი თავის საჩუქრებზე, მით მეტ ფასს ითხოვს იგი თავის ნამუშევარზე“[19].

ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესოა აღინიშნოს რომ დ. რიკარდოს დროს არსებობდა მოსაზრება (იგი პირველმა გამოთქვა ჯეიმზ მილმა) იმის შესახებ, რომ რენტა, როგორც შემო-

სავალი, სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადის სახით უნდა ამოგველო. მაგრამ როგორც მ. ბლაუგმა შენიშნა, „თუკი რენტის თანხები მინათმფლობელებიდან მიოჯარეებზე გადავიდოდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები და მოგების საშუალო ნორმა სოფლის მეურნეობაში ზუსტად ისეთივე დარჩებოდა, რამდენადაც შემოსავლის გადატანა არ აისახება მარცვლეულის წარმოების ზღვრულ დანახარჯებზე". ამიტომ დ. რიკარდოსთვის, წერს იგი, დებულება რენტის შესახებ „არ სცილდებოდა წმინდა სამეცნიერო პრობლემების ფარგლებს", ხოლო მისი „დიფერენციალური რენტის თეორია ეკონომიკურ თეორიაში მარჟინალური სანყისის პირველ გამოჩენას მოასწავებს"[20].

ხელფასის თეორია

დ. რიკარდოს შეხედულებები *ხელფასზე,* ან, როგორც იგი წერდა, „შრომის „ბუნებრივ" და „საბაზრო ფასზე", ალბათ ყველაზე მეტად ჩამოყალიბდა მისი მეგობრის, თ. მალთუსის თეორიულ შეხედულებათა ზეგავლენით, რომელმაც კატასტროფული შედეგებისაგან, თუკი მოსახლეობის ზრდის ტემპები გაუსწრებს ადამიანთა არსებობისთვის აუცილებელ საშუალებათა ზრდას. ყოველ შემთხვევაში, ახასიათებდა რა *„შრომის ბუნებრივ ფასს",* როგორც მუშის შესაძლებლობები თავისი შრომით შეენახა საკუთარი თავი და ოჯახი, კვების პროდუქტების და აუცილებელი მოთხოვნილების საგნების ანაზღაურებით, ხოლო *შრომის საბაზრო ფასი,* როგორც საზღაური, რომელიც ყალიბდება შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების რეალური თანაფარდობის გათვალისწინებით, დ. რიკარდომ, საზოგადოებაში ხალხთმოსახლეობის ტემპებთან დაკავშირებით, ხელფასის პერსპექტიული დონის თაობაზე, ერთობ საეჭვო პროგნოზი (თითქმის მალთუსური) გააკეთა. იგი წერდა: „საზოგადოების ბუნებრივი მოძრაობის დროს ხელფასს დაცემის ტენდენცია გააჩნია, რამდენადაც იგი მოთხოვნით და მიწოდებით რეგულირდება, იმიტომ, რომ მუშათა ნაკადი მუდამ ერთი და იგივე ხარისხით გაიზრდება, მაშინ, როდესაც მათზე მოთხოვნა ნელ-ნელა მოიმატებს[21]. თავისი პესიმისტური პროგნოზის დასადასტურებლად, დ. რიკარდო ასევე უმატებდა, რომ ხელფასის გადიდება ყოველთვის იმ სიდიდით არ იქნება „რომ მუშას შესაძლებლობა ჰქონდეს კომფორტის და აუცილებლობის იმდენადვე ბევრი საგანი იყიდოს, რამდენსაც იგი ამ საქონლებზე ფასების მომატებამდე შეიძენდა". თუმცა, „ხელფასის მარეგულირებელი კანონების" გამოკვლევისას იგი პრინციპულ დათქმას აკეთებდა, რომ მის მიერ ხელფასის დამტკიცებადი *დაცემის ტენდენციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ „კერძო და*

თავისუფალი საბაზრო კონკურენციის" პირობებში და, როდესაც ხელფასი არ „გაკონტროლდება კანონმდებლობის ჩარევით"[22].

მოგების თეორია

არაერთმნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვა დ. რიკარდომ მეწარმეთა მოგების ჩამოყალიბებასთან, დინამიკასთან, და ზრდის პერსპექტივებთან დაკავშირებით. ამის თაობაზე იგი ისევ გამოდიოდა საეჭვო დებულებიდან იმის შესახებ, რომ „მოგება დამოკიდებულია მაღალ ან დაბალ ხელფასზე, ხოლო ხელფასი-სასიცოცხლოდ აუცილებელი საგნების ფასზე, იმიტომ, რომ ყველა სხვა მოთხოვნილი საგნების რაოდენობა შეიძლება თითქმის უსაზღვროდ გაიზარდოს". ისე როგორც ხელფასის შემთხვევაში, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, დ. რიკარდოს მოსაზრებით, *„მოგებას დაცემის ბუნებრივი ტენდენცია გააჩნია, იმიტომ, რომ საზოგადოების და სიმდიდრის პროგრესით საკვების საჭირო დამატებითი რაოდენობა, შრომის უფრო და უფრო მეტი დახარჯვის დროს მიიღება"*. მაგრამ აქვე მან სრულიად სამართლიანად დაუმატა შემდეგი: „საბედნიეროდ, ეს ტენდენცია, ეს, ასე ვთქვათ, მოგების მისწრაფება ჩერდება დროის განმეორებითი ხანგრძლივობით, მანქანებში სრულყოფის წყალობით, რომელიც გამოიყენება სასიცოცხლოდ აუცილებელი საგნების წარმოებაში და ასევე აღმოჩენებით აგრარულ მეცნიერებაში, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ დავზოგოთ შრომის ნაწილი, რომელიც ადრე გვჭირდებოდა, და ამრიგად შევამციროთ მუშის პირველადი აუცილებლობის საგნების ფასი"[23].

ფულის თეორია

ცნობილია, რომ *მონომეტალიზმის სისტემა*, ანუ, როგორც კიდევ ამბობენ, *ოქროს სტანდარტის სისტემა*, რომელიც ნიშნავს ოქროზე ფულის მონოპოლიური როლის მიბმას, ინგლისში XVIII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, ხოლო 1816 წელს კანონმდებლობით განმტკიცდა. ამიტომ დ. რიკარდოს თეორიული პოზიციები, *ფულის თეორიის* თვალსაზრისით, ემყარებოდა დებულებებს, რომლებიც დამახასიათებელია ოქრომონეტური სტანდარტის ფორმისთვის, რომლის თანახმად, კანონით დათქმული ოქროს რაოდენობა, რომელიც მონეტებად მოიჭრა მიმოქცევისთვის და ქაღალდის ფულზე თავისუფალ და გარანტირებულ გაცვლას ექვემდებარებოდა. ამასთან, შრომითი ღირებულების თეორიის ერთგულად დარჩენით, „საფუძვლების" ავტორი წერდა, რომ *„არც ოქრო, არც რომელიმე სხვა საქონელი არ შეიძლება ემსახურებოდეს ღირებულების სრულყოფის საზომს ყველა საგნისათვის"*[24]. გარდა ამისა, დ.

რიკარდო იყო ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრე, მიუთითებდა რა მისი (ფულის) ღირებულების ცვლილებაზე, როგორც საქონლისა(ფულის) მისი რაოდენობით მიმოქცევაში.

კვლავწარმოების თეორია

საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა გამოკვლევით, რომელშიც ბატონობს მეწარმეთა შეუზღუდავი თავისუფალი კონკურენციის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპები, დ. რიკარდომ ალბათ ვერ განჭვრიტა ის, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის პირობებში (და ეს დაადასტურა მსოფლიო ცივილიზაციის პრაქტიკულმა გამოცდილებამ) გარდაუვალია მისი შემზღუდველი ტენდენციები და როგორც შედეგი *წარმოებული საქონლური პროდუქციის და მომსახურების შეუსაბამობის კრიზისი გადახდისუნარიან მოთხოვნასთან ამ საქონელსა და მომსახურებაზე*, ე.ი ეგრეთ წოდებული ჭარბწარმოების კრიზისები (ანუ სხვა განმარტებით, ნაკლმოხმარების კრიზისები). მსგავსი *კრიზისი მოხდა 1825 წელს მეცნიერის სამშობლოში, მისი გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ.*

ნათქვამი მოწმობს იმის შესახებ, რომ დ. რიკარდო *აღიარებდა „ბაზრების სეისეულ კანონს“ (ამ კანონთან გაცნობა ქვემოთ შედგება), ე.ი. დოგმას ეკონომიკის უკრიზისო და წონასწორობითი მდგომარეობის შესახებ სრული დასაქმების დროს.* კერძოდ, როგორღაც „სეის კანონის“ აღიარებისთვის იგი წერდა: „პროდუქტები ყოველთვის იყიდება პროდუქტებზე და მომსახურებებზე; ფული მხოლოდ საზომს წარმოადგენს, რომლის დახმარებით ხორციელდება ეს გაცვლა. რაიმე საქონელი შეიძლება წარმოებულ იქნეს ჭარბი რაოდენობით, და ბაზარი იქამდე იქნება გაჯერებული, რომ არ ანაზღაურდება ამ საქონელზე დახარჯული კაპიტალიც კი. მაგრამ ეს არ შეიძლება ერთდროულად მოხდეს ყველა საქონელთან“[25].

ამასთან, როგორც სამართლიანად ამტკიცებს მ.ბლაუგი, ეკონომისტმა- კლასიკოსებმა - დ. რიკარდოს მიმდევრებმა „იცოდნენ პერიოდული ეკონომიკური კრიზისების შესახებ, მოწმენი იყვნენ 1825, 1836 და 1847 წლების კრიზისებისა და ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ თავისუფალი მეწარმეობის ეკონომიკა საქმიანი აქტიურობის პერიოდულ მერყეობებს ემყარება.“ მაგრამ მეცნიერის დასკვნით, „მეტადრე ისინი ავითარებდნენ აზრს, რომ სრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკა ყოველთვის მიისწრაფვის სრული დასაქმებისკენ. დეპრესია არ შეიძლება მუდმივად გაიწელოს, რამდენადაც მიწოდება აყალიბებს მოთხოვნას მიკრო- და მაკროდონეებზე, ფასისა და სარგებლის განაკვეთის ავტომატური კორექციის მეშვეობით“[26].

თავისუფალი საბაზრო კონკურენციის" პირობებში და, როდესაც ხელფასი არ „გაკონტროლდება კანონმდებლობის ჩარევით"[22].

მოგების თეორია

არაერთმნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვა დ. რიკარდომ მეწარმეთა მოგების ჩამოყალიბებასთან, დინამიკასთან, და ზრდის პერსპექტივებთან დაკავშირებით. ამის თაობაზე იგი ისევ გამოდიოდა საეჭვო დებულებიდან იმის შესახებ, რომ „მოგება დამოკიდებულია მაღალ ან დაბალ ხელფასზე, ხოლო ხელფასი-სასიცოცხლოდ აუცილებელი საგნების ფასზე, იმიტომ, რომ ყველა სხვა მოთხოვნილი საგნების რაოდენობა შეიძლება თითქმის უსაზღვროდ გაიზარდოს". ისე როგორც ხელფასის შემთხვევაში, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, დ. რიკარდოს მოსაზრებით, *„მოგებას დაცემის ბუნებრივი ტენდენცია გააჩნია, იმიტომ, რომ საზოგადოების და სიმდიდრის პროგრესით საკვების საჭირო დამატებითი რაოდენობა, შრომის უფრო და უფრო მეტი დახარჯვის დროს მიიღება"*. მაგრამ აქვე მან სრულიად სამართლიანად დაუმატა შემდეგი: „საბედნიეროდ, ეს ტენდენცია, ეს, ასე ვთქვათ, მოგების მისწრაფება ჩერდება დროის განმეორებითი ხანგრძლივობით, მანქანებში სრულყოფის წყალობით, რომელიც გამოიყენება სასიცოცხლოდ აუცილებელი საგნების წარმოებაში და ასევე აღმოჩენებით აგრარულ მეცნიერებაში, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ დავზოგოთ შრომის ნანილი, რომელიც ადრე გვჭირდებოდა, და ამრიგად შევამციროთ მუშის პირველადი აუცილებლობის საგნების ფასი"[23].

ფულის თეორია

ცნობილია, რომ *მონომეტალიზმის სისტემა*, ანუ, როგორც კიდევ ამბობენ, *ოქროს სტანდარტის სისტემა*, რომელიც ნიშნავს ოქროზე ფულის მონოპოლიური როლის მიბმას, ინგლისში XVIII საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა, ხოლო 1816 წელს კანონმდებლობით განმტკიცდა. ამიტომ დ. რიკარდოს თეორიული პოზიციები, *ფულის თეორიის* თვალსაზრისით, ემყარებოდა დებულებებს, რომლებიც დამახასიათებელია ოქრომონეტური სტანდარტის ფორმისთვის, რომლის თანახმად, კანონით დათქმული ოქროს რაოდენობა, რომელიც მონეტებად მოიჭრა მიმოქცევისთვის და ქაღალდის ფულზე თავისუფალ და გარანტირებულ გაცვლას ექვემდებარებოდა. ამასთან, შრომითი ღირებულების თეორიის ერთგულად დარჩენით, „საფუძვლების" ავტორი ნერდა, რომ *„არც ოქრო, არც რომელიმე სხვა საქონელი არ შეიძლება ემსახურებოდეს ღირებულების სრულყოფის საზომს ყველა საგნისათვის"*[24]. გარდა ამისა, დ.

რიკარდო იყო *ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრე*, მიუთითებდა რა მისი (ფულის) ღირებულების ცვლილებაზე, როგორც საქონლისა(ფულის) მისი რაოდენობით მიმოქცევაში.

კვლავწარმოების თეორია

საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა გამოკვლევით, რომელშიც ბატონობს მენარმეთა შეუზღუდავი თავისუფალი კონკურენციის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპები, დ. რიკარდომ ალბათ ვერ განჭვრიტა ის, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის პირობებში (და ეს დაადასტურა მსოფლიო ცივილიზაციის პრაქტიკულმა გამოცდილებამ) გარდაუვალია მისი შემზღუდველი ტენდენციები და როგორც შედეგი *წარმოებული საქონლური პროდუქციის და მომსახურების შეუსაბამობის კრიზისი გადაბდისუნარიან მოთხოვნასთან ამ საქონელსა და მომსახურებაზე*, ე.ი ეგრეთ წოდებული ჭარბწარმოების კრიზისები (ანუ სხვა განმარტებით, ნაკლმოხმარების კრიზისები). მსგავსი *კრიზისი მოხდა 1825 წელს მეცნიერის სამშობლოში, მისი გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ*.

ნათქვამი მოწმობს იმის შესახებ, რომ დ. რიკარდო აღიარებდა „*ბაზრების სეისეულ კანონს*" *(ამ კანონთან გაცნობა ქვემოთ შედგება), ე.ი. დოგმას ეკონომიკის უკრიზისო და წონასწორობითი მდგომარეობის შესახებ სრული დასაქმების დროს*. კერძოდ, როგორლაც „სეის კანონის" აღიარებისთვის იგი წერდა: „პროდუქტები ყოველთვის იყიდება პროდუქტებზე და მომსახურებებზე; ფული მხოლოდ საზომს წარმოადგენს, რომლის დახმარებით ხორციელდება ეს გაცვლა. რაიმე საქონელი შეიძლება წარმოებულ იქნეს ჭარბი რაოდენობით, და ბაზარი იქამდე იქნება გაჯერებული, რომ არ ანაზღაურდება ამ საქონელზე დახარჯული კაპიტალიც კი. მაგრამ ეს არ შეიძლება ერთდროულად მოხდეს ყველა საქონელთან"[25].

ამასთან, როგორც სამართლიანად ამტკიცებს მ.ბლაუგი, ეკონომისტმა- კლასიკოსებმა - დ. რიკარდოს მიმდევრებმა „იცოდნენ პერიოდული ეკონომიკური კრიზისების შესახებ, მოწმენი იყვნენ 1825, 1836 და 1847 წლების კრიზისებისა და ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ თავისუფალი მენარმეობის ეკონომიკა საქმიანი აქტიურობის პერიოდულ მერყეობებს ემყარება." მაგრამ მეცნიერის დასკვნით, „მეტადრე ისინი ავითარებდნენ აზრს, რომ სრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკა ყოველთვის მიისწრაფვის სრული დასაქმებისკენ. დეპრესია არ შეიძლება მუდმივად გაიწელოს, რამდენადაც მინოდება აყალიბებს მოთხოვნას მიკრო- და მაკროდონეებზე, ფასისა და სარგებლის განაკვეთის ავტომატური კორექციის მეშვეობით"[26].

დასასრულს კიდევ ორი განზოგადების შესახებ, რომელიც მ. ბლაუგმა გააკეთა დ. რიკარდოს შემოქმედების შესახებ. მისი მოსაზრებით, ერთი მხრივ, ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრე" „მეტ არსებით განზოგადებებს შეიცავს, რომელიც ეხება ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებას, ვიდრე რიკარდოს „საფუძვლები..." და შეიძლება, ვიდრე XVIII ან XIX სს. ეკონომიკური თეორიის ნებისმიერი სხვა ტრაქტატი". მაგრამ მეორე მხრივ, წერს იგი, „წამყვანი პერიოდული გამოცემები და თვით ბრიტანული ენციკლოპედიაც კი მოხვდა რიკარდოს მიმდევრების ხელში; პოპულარული ლიტერატურა ბანს აძლევდა რიკარდოს იდეებს, და პარლამენტი სულ უფრო მეტს უთმობდა რიკარდოს წინადადებებს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში, რიკარდოს ნაშრომები დაეხმარა თავისუფალი ვაჭრობის ბრიტანული პოლიტიკის პოპულარულ მიზნად გადაქცევაში."[27].

9.2. ჟ. ბ. სეის ეკონომიკური მოძღვრება

ჟან ბატისტ სეი (1767-1832)-ა. *სმითის შემოქმედებითი მემკვიდრეობის* თანამიმდევრული და მნიშვნელოვანი გამგრძელებელი XIX ს. პირველ მესამედში საფრანგეთში, რომელმაც მეურნეობრიობის სტიქიურ საბაზრო მექანიზმში ეკონომიკური ლიბერალიზმის შესახებ, თავისი კერპის იდეების აბსოლუტიზება მოახდინა[28].

იგი დაიბადა 1767 წლის 5 იანვარს, ლიონში, სოვდაგრის ოჯახში. იმ დროისთვის საკმარისი განათლების მიღების შემდეგ, ოჯახური სამეწარმეო ტრადიციის გასაგრძელებლად, ჟ. ბ. სეიმ გადაწყვიტა თვითგანათლებით, განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის შესწავლით დასაქმება. უკანასკნელის შემეცნებისთვის, როგორც შემდგომში გაირკვა, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრეს", რომლის იდეები, მისი შეხედულებით, პოპულარიზაციას იმსახურებდა, როგორც საფრანგეთის, ისე მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ჟ. ბ. სეის, როგორც სწავლული ეკონომისტის, და არა მენარმის, ცხოვრებისეული გზა, გარკვეულწილად პოლიტიკური მოვლენების ზეგავლენით ჩამოყალიბდა, რომლებიც მოხდა საფრანგეთში XVIII საუკუნის ბოლოს-XIX ს. დასაწყისში და ნაწილობრივ 1789 წელს ინგლისში გამგზავრებით, სადაც მისი ქვეყნისგან განსხვავებით, მეურნეობასა და პოლიტიკურ ეკონომიაში პირველ ადგილზე გამოდიოდა უკვე ინდუსტრიული, და არა აგრარული პრობლემები.

ამრიგად, ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ იმავე 1789 წელს ჟ.ბ. სეი ერთ-ერთ სადაზღვევო საზოგადოებაში შევიდა და ადმინისტრატორ კლავიერის - მომავალი ფინანსთა მინისტრის (1792)-

მდივანი გახდა, რომელმაც სახელგანთქმული „ხალხთა სიმდიდრე" შეისწავლა (იმით თუ ვიმსჯელებთ, რომ მან იპოვა მასთან წიგნის სმითისეული ეგზემპლიარი). სამი წლის შემდეგ, 1792 წელს ჟ. ბ. სეი, მოხალისედ წავიდა რევოლუციურ არმიაში, შემდეგ, 1794 წელს დატოვა იგი, რათა საკუთარი თავი პარიზული ჟურნალის რედაქტორის პოსტზე და თავისი ქვეყნის მწვავე სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში გამოეცადა და ამ პოსტზე იგი 1799 წლამდე დარჩა. ახალგაზრდა ჟ. ბ. სეის პოზიციების დამოუკიდებლობამ და არაორდინარულობამ, მთავრობის საქმიანობის კრიტიკულმა შეფასებამ ზემოქმედება მოახდინეს მის ჩინოვნიკურ კარიერაზე ტრიბუნალის წევრის პოსტზე ფინანსების კომიტეტში, რომელზეც იგი 1799 წელს დაინიშნა. ამოტომ უდაოა, რომ პრაქტიკული გამოცდილება სახელმწიფო ეკონომიკური სამსახურის სფეროში და თეორიულ დამუშავებათა სიღრმისეული შემეცნებები ეკონომიკური აზრის სფეროში და ეკონომიკური ლიბერალიზმის სმითისეული კონცეფციის რწმენით აღზრდა დაეხმარა ჟ. ბ. სეის საკუთარი ნაშრომების დაწერაში საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების თეორიული საფუძვლების შესახებ.

ჟ. ბ. სეის ერთ-ერთ პირველ თეორიულ დამსახურებას ამ ასპარეზზე უპირატესად ეროვნული მნიშვნელობა გააჩნია. როგორც ცნობილია, საფ-რანგეთში XVIII საუკუნის შუახანებში აღმოცენდა და ფართო პოპულარობა მოიპოვა *ფიზიოკრატულმა ეკონომიკურმა თეორიებმა*, რომლებიც *დომინირებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ აზრში*, მიუხედავად 1802 წელს ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრის" ფრანგული თარგმანის გამოჩენისა. თანამემამულეთა ფიზიოკრატიზმის ჩამოყალიბებული სტერეოტიპის დაძლევა შეძლო სწორედ ჟ. ბ. სეიმ თავისი ერთ-ერთი ადრინდელი, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაშრომით: „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი, ანუ იმ საშუალების მარტივად გადმოცემა, რომლითაც იქმნება, ნაწილდება და მოიხმარება სიმდიდრე"(1803).

ეს იყო წიგნი, რომელიც მხოლოდ პირველი შეხედვით იმეორებდა ა. სმითის იდეებს და მათ ინტერპრეტირებას ახდენდა. მისი გამოცემის შემდეგ, ჟ. ბ. სეი, ისე, როგორც მისი ინგლისელი კოლეგები, განაგრძობდა მუშაობას საკუთარი ნაშრომის სრულყოფაზე, განახლებული გამოცემებისთვის არაერთხელ შევსებისა და გადაკეთების გზით, რომელთაც მის სიცოცხლეში ხუთჯერ ჰქონდა ადგილი და ის თხზულება, ყველა დანარჩენთან შედარებით, საუკეთესოდ მიიჩნიეს[29].

ცვლილებებმა, რომელიც საფრანგეთში ნაპოლეონის რეჟიმის დაცემის შემდეგ განხორციელდა, ჟ. ბ. სეის, როგორც სწავლული ეკონომისტისა და საზოგადოებრივი მოღვაწის, სახელის რეაბილიტაცია მოახდინა. იგი აღფროვანებით განაგრძობდა მუშაო-

ბას თავის თხზულებებზე პოლიტიკურ ეკონომიაში, გამოდოდა მრავალრიცხოვანი ლექციებით, რომელიც ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულებების სისტემატიზებასა და პოპულარიზებაში საუკეთესო ხელოვნების დემონსტრირებას ახდენდა. უკვე 1816 წელს, ატენში ჟ. ბ. სეიმ გახსნა ლექციების კურსი პოლიტიკურ ეკონომიაში, ხოლო 1817 წელს გამოსცა „პოლიტიკური ეკონომიის კატეხიზისი". 1819 წლიდან ხელოვნებისა და ხელოსნობის კონსერვატორიაში მან ლექციების კითხვა დაიწყო „ინდუსტრიული ეკონომიის კურსში".

სიცოცხლის უკანასკნელი წლებში 1830 წლიდან ჟ. ბ. სეი *სათავეში ჩაუდგა პოლიტიკური ეკონომიის* მისთვის სპეციალურად შექმნილ *კათედრას კოლეჯ დე ფრანსში*, გახდა რა ეკონომიკური აზრის საკუთარი სკოლის დამფუძნებელი, რომელსაც შემდგომში ფრედერიკ ბასტია, მიშელ შევალიე, შარლ დიუნუაიე და სხვ. წარმოადგენენ. გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, ჟ. ბ. სეიმ გამოსცა თავის ცხოვრებაში შემაჯამებელი ნაშრომი „პრაქტიკული პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსი (1828-1829)". მასში იგი შეეცადა, უნინარეს ყოვლისა, აესახა ეკონომიკური თეორიის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელიც ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებს, ეკონომიკაში გარედან ჩაურევლობას ემყარება.

ჟ. ბ. სეის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კ. მარქსის სიტყვებით, მან თითქოსდა მოახდინა სმითისეული მოძღვრების და პოლიტიკური ეკონომიის ვულგარიზება. მაგრამ, თუკი უტოპიურმა სოციალიზმმა, ხოლო შემდგომში მარქსიზმმა, ა. სმითის მოძღვრებიდან უწინარეს ყოვლისა „ამოიღეს" დებულება მუშათა კლასის ექსპლოატაციის შესახებ კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელების მიერ (თავის სასარგებლოდ შრომის სრული პროდუქტიდან და მისი ღირებულებიდან გამოქვითვის მეშვეობით), მაშინ საფრანგეთში „სეის სკოლამ", რომელიც საკუთარ „აზროვნებას" ასევე ა. სმითის ნაშრომებზე აგებდა, ერთ-ერთ მთავარ „ამოღებად" გახადა *დებულება შრომის, კაპიტალისა და მიწის ურთიერთკავშირისა და ურთი-ერთგანპირობებულობის შესახებ, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ძირითადი ფაქტორებისა და საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების შექმნისა.*

ჟ.ბ. სეის პატივისცემით და სიმპათიებით ეკიდებოდა მისი თანამედროვე დ. რიკარდო, რომელიც მასთან ინტენსიურ მიმოწერას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე განაგრძობდა. თავისი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებში" დ. რიკარდო ხაზს უსვამდა, რომ პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება ინგლისელ მკვლევარებიდან გაამდიდრეს ჯ. ს. მილმა და ა. სმითმა, ხოლო ფრანგებიდან - ა. ტიურგომ, ს. სისმონდიმ და ჟ. ბ. სეიმ. ამასთან,

დ. რიკარდო, მიუხედავად ამისა, თამამად და ღიად გამოთქვამდა კრიტიკულ შენიშვნებს არა მხოლოდ მისი ცოცხალი კოლეგების, თ. მალთუსის, ჟ. ბ. სეის და სხვათა მისამართით, არამედ თავისი კერპის, ა. სმითის მიმართაც.

მეთოდოლოგიის პრინციპები

უნდა აღინიშნოს, რომ ჟ. ბ. სეი, ისე, როგორც სხვა კლასიკოსები, პოლიტიკური ეკონომიის კონსტრუირებას ახდენდა ზუსტ მეცნიერებათა მაგალითის მიხედვით, ისეთის, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკა. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს *კანონების, კატეგორიების და თეორიების აღიარებას, რომელთაც უნივერსალური და პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნიათ.* მაგრამ არ შეიძლება ასევე არ ითქვას იმის შესახებ, რომ სეის მიხედვით, *პოლიტიკური ეკონომიის დანიშნულება მხოლოდ თეორიული და აღწერილობითია*[30].

ჟ.ბ. სეიმ *სმითიანელის უდაოდ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა,* უსიტყვოდ მიიღო ბაზრების თავისუფლების, ფასწარმოქმნის, საშინაო და საგარეო ვაჭრობის (ფრიტრედერობის), მენარმეთა შეუზღუდავი თავისუფალი კონკურენციის და პროტექციონიზმის გამოვლინების დაუშვებლობის პრინციპები და ამ პრინციპების მარადიულობის რანგში აყვანა. მათი მიღების შემთხვევაში, იგი კაცობრიობას უნინასწარმეტყველებდა საზოგადოებრივი პროდუქტის ჭარბწარმოებისა და ნაკლმოხმარების, ე.ი. ეკონომიკური კრიზისების ობიექტურ შეუძლებლობასაც. ჟ. ბ. სეის დებულებამ საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის შესახებ, მოგვიანებით *„ბაზრების კანონის“*, ანუ უბრალოდ *„სეის კანონის“* სახელწოდება მიიღო და ამ კანონს იზიარებდნენ არა მხოლოდ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ბურჯები დ. რიკარდო, თ. მალთუსი და სხვ., არამედ ასევე ეკონომიკური აზრის სხვა სკოლების ეკონომისტები XX ს. დასაწყისამდე. როგორც მოცემულთან დაკავშირებით ხატოვნად გამოხატა ჯ. კ. გელბრეითმა, *ადამიანის მიერ „სეის კანონის“ მიღება ან არმიღება XX საუკუნის 30-იან წლებამდე ძირითადი ნიშანი იყო, რომლითაც ეკონომისტები სულელებისგან განსხვავდებოდნენ.*

ჟ.ბ. სეის ნაშრომები საკმაოდ ადვილად აღიქმებოდა საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-ის და რიგი სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის მიერ იმიტომ, რომ, როგორც მარჟინალიზმის ერთ-ერთმა წინამორბედმა ო. კურნომ შენიშნა, ჟ. ბ. სეის პოლიტეკონომიის თხზულებებში გადმოცემის სტილი ლიტერატურულად იმდენად ნუნდაუდებელი იყო, როგორც ა. სმითისა. გარდა ამისა, იმავე ო. კურნოს სიტყვებით, ა. სმითიც და ჟ. ბ. სეიც, თავიანთი არგუმენ-

ტების ყველაზე მეტი სიზუსტის მისაღწევად (დ. რიკარდოსგან განსხვავებით) „დამღლელი მოცულობის“ არითმეტიკულ და ალგებრულ გამოთვლებს არ მიმართავდნენ.

კვლავწარმოების თეორია

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ჟ. ბ. სეის სახელი, როგორც წესი, მეცნიერის სახესთან ასოცირდება, რომელსაც უანგაროდ სჯერა საზოგადოების კლასების ჰარმონია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში და მათი განმტკიცებისთვის ეკონომიკური ლიბერალიზმის, ეკონომიკის თვითრეგულირების სმითისეულ კონცეფციას ქადაგებს. *ჟ. ბ. სეის ძირითადი იდეების კრიტიკა*, მათ შორის იმისი, რასაც „სეის კანონს“ უწოდებენ, რომლის მიხედვითაც *ეკონომიკური კრიზისები კანონზომიერნი არ არიან*, მიუხედავად ამასთან დაკავშირებით ეკონომისტ-რომანტიკოსების, სოციალისტ-უტოპისტების და მარქსისტების მიერ მრავალრიცხოვანი უარყოფის მცდელობისა, *100 წელზე მეტი ხნის მანძილზე (ე.ი. ჯ. მ. კეინზის მოძღვრების წარმოშობამდე), მსოფლიო მეურნეობის თეორიისა და პრაქტიკისთვის არასაკმარისად დამაჯერებლად რჩებოდა.*

მაგრამ რით შეიძლება აიხსნას *ჟ. ბ. სეის კონცეფციის „ხანგრძლივი სიცოცხლე“ საზოგადოებრივი პროდუქტის შეუფერხებელი და სრული რეალიზაციის შესახებ და უკრიზისო ეკონომიკური ზრდის შესახებ*, რომელიც განსახიერდება ე.წ. ბაზრების კანონში? აქ ალბათ შეიძლება სამ გარემოებაზე მივუთითოთ, რომელიც თავისი ფესვებით ა. სმითის მემკვიდრეობისკენ მიდის. ჯერ-ერთი, სმითისეული „ბუნებრივი წესრიგი“ გულისხმობს ფასების და ხელფასის მოქნილობას, ფულის პასიური როლის დროს ურთიერთხელსაყრელ გაცვლას შრომასა და საკუთარი შრომის შედეგებით ბაზრის ყველა სუბიექტს შორის. ამის გთვალისწინებით, „სეის კანონის“ მიხედვით, მოვლენათა სხვა მსვლელობა სავსებით მიუღებელია. მეორე, ასევე ა. სმითის „წყალობით“ „სეის კანონი“ გამორიცხავს ეკონომიკაში გარედან ყოველგვარ ჩარევას. მასში შენარჩუნებულია მოთხოვნა თავისი ბუნებით ბიუროკრატული სახელმწიფო აპარატის მინიმიზების, პროტექციონიზმის დაუშვებლობის შესახებ. და მესამე, „სეის კანონი“ განაპირობებს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას საზოგადოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ბაზაზე. განუხორციელებელი კატაკლიზმები კი, რომლებსაც ს. სისმონდი „დაპირდა“, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების პრიორიტეტული როლის დაცემის შემთხვევაში წარსულში გადასული ნატურალური მეურნეობის მონა-

წილეებს-„მესამე პირებს"(ხელოსნებს, გლეხებს და კუსტარებს), ასევე უარყვეს არგუმენტები ამ „კანონის წინააღმდეგ".

ამრიგად, *„სეის კანონის" კვინტესენცია* იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების მიერ ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპების მიღწევისა და დაცვის პირობებში, *წარმოება (მინოდება) წარმოშობს ადექვატურ მოხმარებას (მოთხოვნას), ე.ი. საქონლისა და მომსახურების წარმოება სპეციალური „ბუნებრივი წესრიგის" პირობებში, აუცილებლად წარმოშობს შემოსავლებს, რომლებზეც ეს საქონელი და მომსახურება თავისუფლად რეალიზდება.* მსგავსი სახით „სეის კანონი" ეკონომიკური ლიბერალიზმის ყველა მომხრის მიერ, რომლებიც ვარაუდობდნენ, *რომ მოქნილი და თავისუფალი ფასწარმოქმნა ბაზარზე გამოიწვევს თითქმის მყისიერ რეაქციას მეურნეობის კონიუნქტურის ცვლილებაზე, იქნება ეკონომიკის თვითრეგულირების გარანტი. სინამდვილეში, თუკი დავუშვებთ, ბარტერული ეკონომიკის შესაძლებლობებს, სადაც ფული მხოლოდ საანგარიშო ერთეულია, და მათზე ერთობლივი მოთხოვნა, ფულზე გაცვლას დაქვემდებარებული ყველა ფასეულობის ტოლია, მაშინ საერთო ჭარბწარმოება სინამდვილეში შეუძლებელი იქნებოდა.* აქედან გასაგებია მ. ბლაუგის დასკვნაც: „პროდუქტები გადაიხდება პროდუქტებისათვის" საშინაო ვაჭრობაში ისევე, როგორც საგარეო ვაჭრობაში-აი სეის ბაზრების კანონის არსი. ამდენად უბრალო აზრმა ფურორი მოახდინა, რომელიც სავსებით დღემდეც არ არის დაწყნარებული[31].

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით ჟ. ბ. სეი ფრაზას *„მიწოდება ქმნის მის შესაბამის მოთხოვნას"* არასოდეს არ იყენებდა, *ხოლო იგი გამოგონილი იყო ჯ. მ. კეინზის მიერ.* უკანასკნელმა, ცხადია, მიმართა მას, რათა უარეყო ჟ. ბ. სეის მთავარი აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ ესა თუ ის საქონელი ცალ-ცალკე შეიძლება ჭარბად იქნეს წარმოებული, მაგრამ არასდროს ყველა საქონელი მყისიერად. ამასთან, *კლასიკოსი, კეინზის მიხედვით, არის ნებისმიერი ავტორი, ვინც იზიარებს „სეის ბაზრების კანონს".*

კ. მარქსი , რომელიც საკუთარ თავს არა მხოლოდ ა. სმითის, არამედ ასევე დ. რიკარდოს მოძღვრების გამგრძელებლად თვლიდა, განსაკუთრებით მკვეთრად აკრიტიკებდა უკანასკნელს და ყველა იმათ, ვინც ჟ. ბ. სეის *დებულებას იზიარებდა ეკონომიკური კრიზისების შეუძლებლობის შესახებ.* საზოგადოებრივი კვლავწარმოების მისეულ თეორიაში კ. მარქსი, როგორც ცნობილია, ასაბუთებდა კვლავწარმოების პერიოდული (ციკლური) ეკონომიკური კრიზისების გარდუვალობას. იგი გარდა ამისა, მიუღებლად თვლიდა ეკონომიკური კრიზისებს, როგორც ნაკლმოხმარების კრიზისებს, როგორც ეს გამომდინარეობდა თ. მალთუსის, სოციალ-უტოპისტების, და ასევე ს. სისმონდის, პ. პრუდონის და ზოგიერთი სხვა

ეკონომისტების ნაშრომებიდან. სხვათა შორის, თანამედროვე კონცეფტუალური დებულებების შესაბამისად, ეკონომიკური კრიზისები განპირობებულია არა მხოლოდ და არა იმდენად „სეის კანონის" არასარწმუნოობით (ვინაიდან აბსოლუტურად წმინდა, ანუ, როგორც მიღებულია ვისაუბროთ, სრულყოფილი კონკურენცია ობიექტურად შეუძლებელია), რამდენადაც კანონზომიერი წანამძღვრებით პირობების აღმოცენებისთვის არასრულყოფილი კონკურენციის და მონოპოლიზმის სიჭარბისთვის. ეს დებულებები საფუძვლად უდევს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თანამედროვე თეორიებს, საზოგადოების სოციალურ კონტროლს მისი განვითარების მსვლელობაზე. ისინი არსებითად გამორიცხავენ მარქსისტულ პოსტულატებს კლასებს შორის ანტაგონიზმის და კაპიტალისტური „ექსპლოატატორული" საზოგადოებრივი წყობილების თვითდანგრევის შესახებ.

ღირებულებისა და შემოსავლების წარმოების სამი ძირითადი ფაქტორის თეორია

დ. რიკარდოსთან ერთად, ჟ. ბ. სეის ეკონომიკურმა შეხედულებებმა განსაზღვრული მოწონება და ასახვა ჰპოვეს თ. მალთუსის ნაშრომებში. კერძოდ, პოპულარული XIX საუკუნის მნიშვნელოვან მანძილზე *თ. მალთუსის წარმოების ხარჯების თეორია*, პრაქტიკულად მთლიანად ემყარება მასზე ცოტათი ადრე ჟ. ბ. სეის მიერ ნამოყენებულ დებულებებს *წარმოების სამი ძირითადი ფაქტორის*: შრომის, კაპიტალის და მიწის შესახებ. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს „ამოლებათა" პოლარულობის შესახებ, რომლებიც გაკეთდა ა. სმითის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიმდევრების მიერ. ასე, მაგალითად, თუკი დ. რიკარდო, სოციალისტ-უტოპისტები, ს. სისმონდი, კ. მარქსი და ზოგიერთი სხვა ეკონომისტები მისდევდნენ რა ა. სმითის „ანდერძს", საქონლის (მომსახურების) ღირებულების ერთადერთ წყაროდ თვლიდნენ შრომას, მაშინ ეკონომიკური აზრის სხვადასხვა სკოლების და მიმდინარეობების ეკონომისტთა მეორე და ასევე მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ამოსავალი არგუმენტაციის სახით მიიღო სეი-მალთუსის არგუმენტაცია, რომლის შესაბამისად, *საქონლის ღირებულება წარმოების პროცესში წარმოების საშუალებებზე (ფაქტორი „კაპიტალი"), ხელფასზე (ფაქტორი „შრომა") და რენტაზე (ფაქტორი „მიწა") მესაკუთრე-მენარმის დანახარჯებისგან ყალიბდება.*

შედეგად, სმითი-რიკარდოს მიმდევრებმა მოგებისა და რენტის წარმო-მავლობაში მუშათა შრომის ღირებულებიდან გამონაქვითი, კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაცია და კლასების ანტაგონიზმი დაინახეს. ხოლო სეი-მალთუსის მიმდევრებმა, რომლებიც

ასევე საკუთარ თავს სმითიანელებად მიიჩნევდნენ, საქონლის ღირებულებაც და საზოგადოების კლასების შემოსავლებიც ამ კლასების ერთობლივ შრომაში და მშვიდობიან თანამშრომლობაში დაინახეს. მაგრამ მხოლოდ XIX ს. ბოლოს მეორე ტალღის მარჟინალისტებმა ა. მარშალის სახით და სხვა მეცნიერებმა *დაადასტურეს, როგორც შრომითი ღირებულების თეორიის, ისე წარმოების ხარჯების თეორიის ჩიხური არსი, რამდენადაც მათი საფუძველია დანახარჯების პრინციპი.*

მაგრამ რაც შეეხება ჟ.ბ. სეის ღირებულების თეორიას, ზემოაღნიშნულს უნდა დავუმატოთ, რომ მას ამ სახით, ისე როგორც მის მასწავლებელს ა. სმითს, რამდენიმე განმარტება გააჩნდა. ამასთან, ჟ.ბ. სეი აქაც არა იმდენად იმეორებდა თავის კერპს, რამდენადაც იმპროვიზაციას ახდენდა ახალ „აღმოჩენათა“ ძიებაში. მაგალითად, სმითის დებულების დამახსოვრებით, რომ ნებისმიერ საქონელს ორი განუხრელი თვისება გააჩნია-საცვლელი ღირებულება და სამომხმარებლო ღირებულება, ჟ. ბ. სეიმ წარმოაჩინა საქონელთა სარგებლიანობის და ფასეულობის ურთიერთკავშირის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამასთან დაკავშირებით იგი, კერძოდ, წერდა, რომ *„ფასეულობა საგნის სარგებლიანობის საზომია“*[32]. ამით, ჟ.ბ. სეი უშვებდა ღირებულების ცვლილების შესაძლებლობას არა მხოლოდ დახარჯული შრომის რაოდენობით, არამედ ასევე შრომის პროდუქტის სარგებლიანობის ხარისხით. აქ, ცხადია, სავსებით დროულია მ. ბლაუგის გამოთქმა, რომლის შესაბამისად „ფასეულობის კონცეფცია, რომელიც სარგებლიანობას ემყარება, საეჭვოა ფასწარმოქმნის დამაკმაყოფილებელ თეორიად ითვლებოდეს კლებადი ნაყოფიერების ცნების გამოყენების გარეშე მოთხოვნის გაჯერების ახსნისათვის ფასის მოცემული დონის დროს“[33].

ჟ. ბ. სეი, საქონლის ღირებულების შექმნაში, ერთდროულად და გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა *მის მიერ შემოთავაზებულ წარმოების სამი ფაქტორის თეორიას.* შრომა, მინა და კაპიტალი, მისი შეხედულებით, წარმოების პროცესში მონაწილეობით, მომსახურებას უწევენ ღირებულების შექმნას. *სამერთიანი ფორმულა, რომელიც სეის წარმოების სამი ფაქტორიის თეორიიდან გამომდინარეობს,* რომლის შესაბამისად, *ფაქტორი „შრომა“ წარმოშობს ხელფასს,* როგორც მუშათა შემოსავალს, *ფაქტორი „კაპიტალი“ წარმოშობს მოგებას,* როგორც კაპიტალისტთა შემოსავალს, *ხოლო ფაქტორი „მიწა“ წარმოშობს რენტას,* როგორც მიწათმფლობელთა შემოსავალს, თავისი არსით ა. სმითის შეხედულებათა თავისებური ინტერპრეტაცია გახდა. საქმე ეხება იმას, რომ, ისესხა რა სმითისგან იდეა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ზეგავლენის შესახებ სხვადასხვა სახის შემოსავლების წარმო-

შობასა და განაწილებაზე, ჟ. ბ. სეიმ როგორღაც დააზუსტა, რომ ზემოთ დასახელებულ ფაქტორებს („შრომა", „კაპიტალი", „მიწა") დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნიათ მუშათა, კაპიტალისტების და მინათმფლობელების შემოსავლების შექმნაში.

მაშასადამე, ჟ. ბ. სეისთან *უარყოფილია ყოველგვარი აზრი* მეწარმეთა შეუზღუდავი თავისუფალი კონკურენციის პირობებში, *წარმოების ფაქტორთა და საზოგადოების კლასების ექსპლოატაციის შესაძლებლობის შესახებ.* ჟ. ბ. სეი და მისი მოწაფეები ამრიგად ცდილობდნენ მიეღოთ ერთობ გამარტივებული დებულება საზოგადოების ყველა ფენის ეკონომიკური ინტერესების ჰარმონიის შესახებ, თავიანთი მსჯელობების ცნობილ სმითისეულ იდეაზე აგებით იმის შესახებ, რომ „ეკონომიკური ადამიანის" პირადი ინტერესი, რომელიც „უჩინარი ხელით" ნარიმართება, საზოგადოებრივ ინტერესებს აუცილებლად დაემთხვევა.

საკითხს პროპორციების შესახებ, თუკი შეიძლება ასე გამოვხატოთ, რომლებშიც საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება შექმნილია წარმოების ძირითადი ფაქტორებით, ნაწილდება საზოგადოების კლასების ამ ფაქტორების მფლობელთა შემოსავლებად, ჟ. ბ. სეის მოსაზრებით, დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. კერძოდ, მეწარმის შემოსავლები, ჟ. ბ. სეის განმარტებით, *წარმოადგენს „ჯილდოს მისი სამრეწველო უნარისთვის, ტალანტისთვის, საქმიანობისთვის, წესრიგის და ხელმძღვანელობის სულისკვეთებისთვის.* ისე როგორც თ. მალთუსი, იგიც დარწმუნებული იყო, რომ „დაბალი კლასების" მდგომარეობა დაუყოვნებლივ გაუმჯობესდება, და ამიტომ „მაღალი კლასების" შესავსებად თვით *„მუშათა კლასი ყველა სხვებზე მეტად დაინტერესებულია წარმოების ტექნიკური წარმატებით".* რაც შეეხება „მწარმოებლებს", მათ შორისაც *თითოეული დაინტერესებულია სხვისი კეთილდღეობით*[34].

დაბოლოს, *ცნება „ვულგარული პოლიტიკური ეკონომია"* რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში ძირითადად კ. მარქსმა შემოიტანა, დიდწილად დაკავშირებულია *ჟ. ბ. სეის წარმოების ფაქტორთა თეორიასთან.* ეს თეორია, ისე, როგორც თ. მალთუსის დანახარჯების თეორია, *კ. მარქსმა კაპიტალისტური საზოგადოების ექსპლოატატორული ფენების ინტერესების აპოლოგეტურ, წინასწარმოფიქრებულ და ვულგარულ დაცვად ჩათვალა.* კ. მარქსის არა ყველა მოსაზრების უდაოდ ჩათვლით, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მათგანი შ. ჟიდის და შ. რისტის ინტერპრეტაციაში სავსებით მართლზომიერია, ხოლო სახელდობრ: „უდაოდ, სიცხადის აუცილებლობა გადმოცემაში ხანდახან აიძულებდა მას (ჟ. ბ. სეის) *ესრიალა მნიშვნელოვან პრობლემათა ზედაპირზე, ნაცვლად იმისა, რომ შეეღწია მათ სიღრმეში".* მის ხელში პოლიტეკონომია ხშირად ხდება ძალ-

ზედ მარტივი. სმითის არასიცხადე ხშირად ნაყოფიერია გონებისთვის, ხოლო სეის სიცხადე მას არანაირად არ ასტიმულირებს "[35].

რაღაც მსგავსს აღნიშნავს მ. ბლაუგი ე.წ. სეის კანონის თაობაზე. „კეინზის კრიტიკის შედეგად,-წერს იგი,-სეის კანონს იმ მნიშვნელობის მინიჭება დაუწყეს, რომელიც კლასიკურ და ნეოკლასიკურ თეორიაში მის ნამდვილ როლს არ ეთანაზომება"[36].

9.3. თ. მალთუსის ეკონომიკური მოძღვრება

თომას რობერტ მალთუსი (1766-1834)-ინგლისის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სახელოვანი წარმომადგენელი. ამ მეცნიერის შემოქმედება ძირითადად XIX ს. პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი მეცნიერული კვლევების შედეგები, თანამედროვე ეკონომიკური თეორიისთვისაც ფასეულია.

თ. მალთუსი დაიბადა სოფელში, ლონდონთან ახლოს, მემამულის ოჯახში. მისი მამა, როგორც განათლებული ადამიანი, იცნობდა თავისი დროის ფილოსოფოსებს და ეკონომისტებს, მათ შორის დ. იუმს და სხვ.

ჩვეულების მიხედვით, თ. მალთუსს, როგორც უმცროს შვილს, სასულიერო კარიერა ელოდა. კემბრიჯის უნივერსიტეტის კოლეჯის დამთავრების შემდეგ, მან სასულიერო წოდება მიიღო და სოფლის შესასვლელში მეორე მღვდლის ადგილი მიიღო. თუმცა, ახალგაზრდა მალთუსი ყოველთვის მეცნიერებისაენ მიისწრაფოდა, 1793 წლიდან (27 წელი) იმავდროულად კოლეჯში ლექციებს კითხულობდა. ამასთან, იგი, მთელ თავისუფალ დროს, მის მიერ ჯერ კიდევ მამასთან ახალგაზრდულ საუბრებსა და დისკუსიებში მოსმენილ ეკონომიკური პროცესებისა და ბუნების მოვლენების ურთიერთკავშირის პრობლემებს უძღვნიდა.

თ. მალთუსის ბიოგრაფიაში მთავარი ეტაპებიდან ნაკლებმნიშ-ვნელოვანი როდია ასევე მივუთითოთ იმ ფაქტზე, რომ იგი საკმაოდ გვიან, 39 წლის ასაკში დაქორწინდა და ჰყავდა სამი ვაჟი და ერთი გოგო.

1798 წელს გამოჩნდა ანონიმურად დაბეჭდილი წიგნი სახელწოდებით „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ". მისი ავტორი აღმოჩნდა არადაქორწინებული ახალგაზრდა პასტორი-მომავალი მეცნიერ-ეკონომისტი თ. მალთუსი, რომელმაც საკუთარ თავზე მრავალრიცხოვანი თავდასხმები მიიღო. დიდწილად ამ მიზეზით, ხოლო უფრო ზუსტად, თავისი ნაწარმოების გასაუმჯობესებლად იგი 1799-1802 წლებში ევროპის რიგ ქვეყნებში მოგზაურობს. და ხუთი წლის შემდეგ, 1803 წელს, ამჯერად თავისი სა-

ხელით, ამ წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში (სულ მის სიცოცხლეში ექვსჯერ გამოიცა მზარდი ტირაჟებით) გულახდილად აღიარებდა რა ზოგიერთი დამამწუხრებელი პროგნოზის აღქმის სიმძიმეს, რომელსაც ნაშრომი შეიცავს და „შეცდომების დაშვების გარდუვალობას ფაქტების და მათი გადმოცემის ხარჯზე", იგი წერდა: „რაც შეეხება ჩემს შეხედულებებს, ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით, მე არ ვიქნები უარყოფილი წარსულის გამოცდილებით". ასეთ მოსაზრებაზე მხარდაჭერით, აუცილებელია იმავდროულად ვალიაროთ, რომ მოსახლეობის დაბალი კლასების სილარიბე და უბედურება გამოუსწორებელ ბოროტებას წარმოადგენს. მაგრამ თუკი რაიმე შეცდომები ჩემი ნების გარეშე ამ სამუშაოშიც შეიპარა, მათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ექნებათ ჩემი გაგების არსზე"[37].

წარმატება, რომელიც თ. მალთუსს მისი პირველი წიგნის პუბლიკაციამ მოუტანა, „გამოცდილების" ავტორი შეაგულიანა ეს თხზულება უფრო სრულყოფილი გაეხადა. ამიტომ არა მხოლოდ მეორე, არამედ ასევე შემდგომი გამოცემებიც არსებითად განახლდა და გაფართოვდა, მათ შორის ისტორიული ექსკურსებით, და სხვა ავტორების ნაშრომთა კრიტიკული ანალიზით. საბოლოო ჯამში, პირველ გამოცემაში მოკლე პამფლეტის ფორმისგან განსხვავებით, ყველა დანარჩენში წიგნი წარმოადგენდა ვრცელ ტრაქტატს. აი, კერძოდ, როგორ გამოეხმაურა „გამოცდილების..." მეორე გამოცემას ა. მარშალი: „მეორე გამოცემაში (1803) მალთუსი თავის გამოკვლევას აგებს ფაქტორების ისეთ დიდ რაოდენობაზე და ისეთ გულდასმით შერჩევაზე, რომ მან შეიძლება პრეტენზია განაცხადოს ისტორიულ-ეკონომიკური მეცნიერების დამფუძნებლებს შორის ადგილზე; მან შეარბილა და აღმოფხვრა თავისი ადრინდელი დოქტრინის მრავალი „მახვილი კუთხე", თუმცა უარი არ უთქვამს თავისი „არითმეტიკული პროპორციის" გამოყენებაზე. ყურადსაღებია, რომ იგი უფრო მოსაწყენ თვალსაზრისზე დადგა ადამიანთა მოდგმის მომავლის თვალსაზრისით და იმედი გამოთქვა მოსახლეობის ზრდის შეზღუდვის შესაძლებლობაზე ზნეობრივი პრინციპების დაცვის საფუძველზე და იმაზე, რომ „ავადობისა და უბედურებების"-ძველი შემაფერხებელი ფაქტორების-მოქმედებები შეიძლება არ იქნეს დაშვებული"[38].

თ. მალთუსის ნიჭი, როგორც მეცნიერ-მკვლევარისა და მასწავლებლისა 20 წელზე მეტი სტაჟით, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1805 წელს მან მიიღო მისთვის შეთავაზებული თანამედროვე ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის პროფესორის კათედრა ოსტ-ინდური კამპანიის ახლადშექმნილ კოლეჯში, სადაც აგრეთვე მღვდლის მოვალეობებსაც ასრულებდა.

მეცნიერული კვლევების გაგრძელებით, 1815 წელს თ. მალთუსმა გამოსცა კიდევ ერთი ნაწარმოები, რომლის სახელწოდების პირველი სიტყვები იმეორებენ ა.სმითის ცნობილი „ხალხთა სიმდიდრის“ სათაურს. ეს გახდა წიგნი „გამოკვლევა მინის რენტის ბუნებისა და გადიდების შესახებ“. მოცემულ თხზულებაში თ. მალთუსი, რენტის ბუნებიდან გამომდინარე, ცდილობდა გაეხსნა მისი ფორმირებისა და ზრდის მექანიზმი, დაესაბუთებინა ამ სახის შემოსავლების მნიშვნელობა საზოგადოებაში წარმოებული ერთობლივი პროდუქტის რეალიზაციაში. მაგრამ საბოლოო დასკვნა რენტის და ეკონომიკის ზოგიერთი სხვა პრობლემის შესახებ, მან მოგვიანებით, 1820 წელს გამოთქვა. იმავე წელს თ. მალთუსმა გამოსცა შემოქმედებითი თვალსაზრისით თავისი მთავარი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, რომელსაც თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არსებითი განსხვავება არ გააჩნია სამი წლის წინათ მისი მეგობრის, დ. რიკარდოს მიერ გამოცემულ „პოლ-იტიკური ეკონომიის საფუძვლებთან“.

ხალხთმოსახლეობის თეორია

თ. მალთუსის მეცნიერული განჭვრეტის სისწორე ცხადი გახდა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ხალხთმოსახლეობის მის მიერ დასაბუთებული თეორია, რომლის პოპულარობას ხელს უწყობდა ნაშრომის „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“ მრავალჯერადი ხელახლა გამოცემა, მეთოდოლოგიური ბაზის განუყოფელი ნაწილი გახდა, როგორც ამას თვითონვე ჩარლზ დარვინი, და დეივიდ რიკარდო და მსოფლიო მნიშვნელობის სხვა მეცნიერები აღიარებდნენ.

მაინც რაში მდგომარეობს თ. მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიის სიახლე და ორიგინალობა, რომელმაც მას, მ. ბლაუგის სიტყვებით, *სრულიად ღრმოუდგენელი წარმატება მოუტანა, რომელიც არაფერს არ ედრება ეკონომიკური აზრის ისტორიაში?* თვით მ. ბლაუგის მოსაზრებები ამის შესახებ შემდეგზე დაიყვანება - *თ. მალთუსი ხალხთმოსახლეობის თეორიის შემქმნელი გახდა, რომლიდანაც გამომდინარეობს განსაზღვრული ანალოგიური დასკვნები, რომლებიც მან კლასიკური ეკონომიკური აზრის განუყოფელ ნაწილად გადააქცია.* ეს თეორია რაღაც სტანდარტი გახდა კლასიკოსების მსჯელობებში ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, *სიღარიბის მიზეზის მოსახლეობის ზრდის ტემპისა და სასიცოცხლო დოვლათის ზრდის ტემპის მარტივ თანაფარდობამდე დაყვანით, რომელიც განსაზღვრავს სასიცოცხლო მინიმუმს.* მალთუსის მიხედვით, ადამიანთა საზოგადოების სრულყოფის ყოველი შეგნებული მცდელობა სოციალური კანონმდებლობის დახმარებით, შე-

უძლებული იქნება გადაულახავი ადამიანური მასით, და *ამიტომ ყოველი ადამიანისთვის აუცილებელია იზრუნოს საკუთარ თავზე და სრული პასუხისმგებლობაც აიღოს თავისი წინდაუხედაობისთვის.* მაგრამ „გამოცდილების...“ ავტორის ყველა ეს მოსაზრებები, დაასკვნის მ. ბლაუგი, მხოლოდ იდეოლოგიური ხაფანგი გახდა და ამიტომ რიგმა ავტორებმა, მათ შორის „ჯონ სტიუარტ მილმაც, რამდენადმე განსხვავებულად შეხედა რა პრობლემას და აღიარა რა, რომ მშობიარობაზე კონტროლი მისაღებია ზნეობრივი თვალსაზრისით, შეძლეს მალთუსიანური დოქტრინის, როგორც სოციალური რეფორმების პროგრამების დროშის გამოყენება“[39].

თ. მალთუსის „გამოცდილება...“ მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა ძირითადად ვერ აღიქვეს. ამ თხუზულების გაკრიტიკებისას ისინი, მასში, ტრადიციულად მხოლოდ „სისულელეს“ და „აპოლოგეტიკას“ ხედავდნენ, მისი ავტორის, როგორც მეცნიერის უვარგისობის დადასტურების იმედით. განსაკუთრებულ თავდასხმას დაექვემდებარა ნიგნის *ცენტრალური იდეა, საზოგადოების კეთილდღეობაზე მოსახლეობის რაოდენობისა და მისი ზრდის ტემპების ზეგავლენის შესახებ.* და თუმცა იგი (იდეა) პრინციპში სწორი და აქტუალურია, უნდა ვაღიაროთ, რომ თ. მალთუსის გათვლები, რომლებსაც უნდა დაედასტურებინათ მისგან გამომდინარე პროგნოზები, საბედნიეროდ, არარეალურნი აღმოჩნდნენ. აკი იგი ცდილობდა კანონის რანგში აეყვანა დებულება იმის შესახებ, რომ *ხელსაყრელ პირობებში* (თუკი აღმოიფხვრება ომები, დაავადებები და საზოგადოების დაბალი ფენების სიღარიბე) *მოსახლეობა, გეომეტრიული პროგრესიით გადიდებით, გაორმაგდება ყოველ 20-25 წელიწადში, ხოლო საკვების და არსებობის სხვა აუცილებელი საგნების წარმოება, მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით გადიდებით, იმავე ტემპებით ზრდას ვერ შეძლებს. და მაშინ, ჭარბი მოსახლეობის გამო, სიღარიბე მთელი საზოგადოების საცოდავი ხვედრი შეიძლება გახდეს.*

სინამდვილეში, თ. მალთუსი *ადამიანის შთამომავლობის მოდგმის გაგრძელების ბიოლოგიურ უნარს, ცხოველების მსგავსად,* მისი ბუნებრივი ინსტინქტებით ახასიათებს. ამასთან ეს უნარი, მისი ვარაუდით, *მიუხედავად მუდმივმოქმედი იძულებითი და გამაფრთხილებელი შეზღუდვებისა, აღემატება ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს სასურსათო რესურსების ზრდაში.* ამდენად, მარტივი და დამატებითი არგუმენტებისა და ფაქტების არ მომთხოვნი იდეები მრავალრიცხოვანი და არაერთმნიშვნელოვანი გამოძახილების ჭეშმარიჭი მიზეზი გახდა მალთუსის თეორიაზე.

ა. მარშალი, მაგალითად, მიუთითებდა, რომ „გამოცდილების...“ ავტორი უჩვენებს, რომ იმ დრომდე ჩათვლით, როდესაც იგი თავის წიგნს წერდა, არც ერთ ქვეყანას არ შეეძლო უზრუნველეყო

საკუთარი თავი არსებობის საშუალებების საკმარისი მოცულობით მას შემდეგ, რაც მისი ტერიტორია მეტად მჭიდროდ დასახლებული აღმოჩნდა და, რომ მოსახლეობის ზრდა, თუკი იგი არ შეიზღუდება ნებაყოფლობითი თავშეკავებით, სილარიბით ან დამღუპველი მიზეზებით შეფერხდება"[40]. მისი აზრით, თ. მალთუსი იმიტომ „მოუწოდებს ადამიანებს მიმართონ ნებაყოფლობით თვითრეგულირებას და, ზნეობრივი სიწმინდის შენარჩუნებას ცხოვრების საკუთარ წესში, თავი შეიკავონ ადრეული ქორწინებისგან, რომ მან ვერ შეძლო განეჭვრიტა ორთქლის ტრანსპორტის სწრაფი განვითარება ხმელეთსა და ზღვაში, რომელიც დღევანდელი თაობის ინგლისელებს პლანეტის უმდიდრესი მინების პროდუქტების შედარებით დაბალ ფასებში შეძენის საშუალებას აძლევს."[41].

მ. ბლაუგი კი განაზოგადებს ასე: „თუკი ჩვენ დავეთანხმებით თ. მალთუსს იმაში, რომ შობადობის კონტროლი - ზნეობრივად საძრახისი საქმეა, მის მხარეზეა ხალხთმოსახლეობის ზრდის ისტორია უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე: მოსახლეობის რიცხოვნობა „სილარიბისა და მანკიერების" გარდა, არაფრით არ მუხრუჭდებოდა. თუკი ჩვენ, პირიქით, შობადობაზე კონტროლს ზნეობრივ გამართლებას ვუპოვით, მალთუსი ისევ და ისევ მართალია: „ზნეობრივი ალაგმვა" სიტყვის ფართო გაგებით - ეს მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი შეზღუდვაა სასურსათო რესურსების ზევით. მალთუსის თეორიის უარყოფაც შეუძლებელია, რამდენადაც იგი გამოუსადეგარია ყველა შესაძლო ან მოქმედი დემოგრაფიული ტენდენციებისადმი: იგი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ აღნეროს რეალური სამყარო, მაგრამ მისი აღწერა სამართლიანია მისი საკუთარი ტერმინოლოგიის განმარტების მიხედვით"[42].

თუმცა მალთუსი, *სურსათის წარმოების გადიდების შეუძლებლობას*, არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში ნელი ტექნიკური გაუმჯობესებებით და *მინის რესურსების შეზღუდულობით ხსნიდა*, არამედ უწინარეს ყოვლისა, იმ დროს მოგონილი და *პოპულარული „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონით"*. გარდა ამისა, მათ მიერ გამოყენებული სტატისტიკა მოსახლეობის რაოდენობის „გეომეტრიული პროგრესიით" ზრდის შესახებ საეჭვოზე მეტია, ვინაიდან იგი აშშ-ში იმიგრანტების რაოდენობასა და ამ ქვეყანაში დაბადებულებებს შორის განსხვავებას არ ასახავს. მაგრამ იმავდროულად არ შეიძლება, როგორც ჩანს, დავივიწყოთ თ. მალთუსის დათქმა იმის შესახებ, რომ მისი ნაშრომის გაცნობით „ყოველმა მკითხველმა უნდა აღიაროს, რომ მიუხედავად შესაძლო შეცდომებისა, ამ თხზულების ავტორის პრაქტიკული მიზანი, საზოგადოების დაბალი კლასების ხვედრის გაუმჯობესებასა და ბედნიერების გადიდებაში მდგომარეობს"[43].

თ.მალთუსის „გამოცდილებასთან..." დაკავშირებით ყველა „მომხრე" და „მოწინააღმდეგის" რეზიუმირებით მ. ბლაუგი ამტკიცებს: „ეტყობა ხალხთმოსახლეობის მალთუსიანური თეორიის პროგნოზები იმით აიხსნება, რომ შობადობის შეზღუდვის მოტივები სრულებითაც არ იყო დამოუკიდებელი მოსახლეობის სიდიდესა და არსებობის საშუალებათა მოცულობას შორის დამოკიდებულების შედეგზე". ამიტომ იგი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ 100 წლიანი დისკუსიის შედეგადაც კი ამ ავტორის ხალხთმოსახლეობის თეორიის თაობაზე „მისი თეორიის ინტერპრეტირება ისე შეიძლება, რომ იგი შეესაბამებოდეს უარყოფის კრიტერიუმს (ამ სახით იგი უარყოფილ იქნა)"[4].

ღირებულებისა და შემოსავლების თეორია

საკუთარ თავზე ყურადღებას იპყრობს ის, რომ თ. მალთუსის შემოქმედების კრიტიკოსები, როგორც წესი, წაუყრუებენ ან გაკვრით გაიხსენებენ მასსა და დ. რიკარდოს შორის მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობების და მეცნიერული კონტაქტების თვით ფაქტს. საუკეთესო შემთხვევაში მათი მეგობრობა და თანამშრომლობა შემოთავაზებულია, როგორც რაღაც შემთხვევითი, რაც განპირობებულია, მოწოდებით „სხვადასხვა" კოლეგებს შორის იდეური დავებით და უთანხმოებებით.

სხვათა შორის თ. მალთუსს და დ. რიკარდოს ბევრი საერთო მსჯელობა და სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი პრობლემები გააჩნდათ. მაგალითად, დ. რიკარდო იზიარებდა *თ. მალთუსის „ხელფასის რკინის კანონს"*, რომელიც ხალხთმოსახლეობის მისეული კანონიდან გამომდინარეობდა და რომლის შესაბამისად, ხელფასი საზოგადოებაში თითქოსდა არ შეიძლება იზრდებოდეს, უცვლელად დაბალ დონეზე დატოვებით. ამის თაობაზე მ. ბლაუგი წერს: „სავსებით ცხადია, რომ ხელფასის სასიცოცხლო მინიმუმის თეორია-ეს არანაირი თეორია არ არის: სასიცოცხლო მინიმუმი აიღება, როგორც რაღაც მოცემული, განპირობებული იმით, თუ შრომითი მოსახლეობა როგორ ეკიდება მოდგმის გაგრძელებას, და ასევე, როგორც ჩანს, სამედიცინო შემეცნებათა ზოგად დონეს. ეს ანალიზის გამარტივებისკენ მიდრეკილების მხოლოდ ერთ-ერთი კლასიკური მაგალითია, განმარტების ქვემდებარე ცვლადების რაოდენობის შემცირებით. სასიცოცხლო მინიმუმის თეორია აშკარად უვარგისია რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში ხელფასის განსაზღვრად უიმედო არაერთმნიშვნელობის გამო: ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ დროის რომელ მონაკვეთზეა საუბარი.

არსებითად თითქმის იდენტური იყო თ. მალთუსის და დ. რიკარდოს ღირებულების თეორია, მხედველობაში ჰქონდა რა არა მხოლოდ ხარჯვითი პრინციპი, რომელიც მათი საფუძველია, არა-

მედ ასევე მათზე გაკეთებული კომენტარები. კერძოდ, თავის მორიგ გამოცემაში „ღირებულების შესახებ" მიძღვნილ თავში „დაიწყო...", დ. რიკარდომ დაუმატა შენიშვნა შრომითი თეორიის და ხარჯების მალთუსიანური თეორიის თავშეკავებული შედარებით „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებში", რომელზეც უპასუხა: „ბატონი მალთუსი, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ ჩემი თეორიის თანახმად, რაიმე ნივთის წარმოების ხარჯები და მისი ღირებულება იდენტურია; ეს ასეა, თუკი იგი ხარჯებში გულისხმობს „წარმოების ხარჯებს", რომელიც მოგებას მოიცავს" [45].

ნათქვამს დავუმატოთ ასევე, რომ თ. მალთუსი *მოგების თეორიის* განხილვისას, ფაქტობრივად, დ. რიკარდოს იმეორებდა. უკანასკნელს (მოგებას-მთარგმნ.), ორთავე ავტორი ფასის შემადგენელ ნაწილად წარმოადგენდა. ამასთან, თ. მალთუსის ფორმულირებით, *საქონლის ღირებულებიდან (ფასიდან)* მის გამოსავლენად, *წარმოების პროცესში უნდა გამოვქვითოთ შრომისა და კაპიტალის ხარჯები.*

კვლავწარმოების თეორია

თ. მალთუსის პირადი წვლილი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა კონცეფციის შემუშავებაში სრულებითაც არ იზღუდება ეკონომიკური პროცესებისა და ბუნების ურთიერკავშირის გამოვლენით ან დ. რიკარდოსთან პოლემიკით, რომელიც ორივე მეცნიერს ეხმარებოდა კორექტივი შეეტანა თავის თეორიულ და მეთოდოლოგიურ პოზიციებში. მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელშიც თ. მალთუსი დ. რიკარდოზე და იმ დროის სხვა ეკონომისტებზე შორს წავიდა და რომელიც დარჩა ეკონომიკური აზრის ისტორიაში - ესაა მისი გამოკვლევა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის პრობლემების შესახებ. საქმე ისაა, რომ XIX ს. დასაწყისისთვის ეკონომიკური თეორიის „კლასიკური სკოლის" მიერ მიღწეული დონის შესაბამისად (განსაკუთრებით ა. სმითისა და დ. რიკარდოს ნყალობით), ეკონომიკაში საკვანძო პრობლემად ითვლებოდა დაგროვება, რომელიც წარმოების შემდგომი ზრდის ინვესტირებას უზრუნველყოფდა. შესაძლო სიძნელეები მოხმარებაში, ე.ი. წარმოებული სასაქონლო მასის რეაალიზაციაში, მხედველობაში არ მიიღებოდა და ფასდებოდა, როგორც კერძო წარმავალი მოვლენა. და ეს, მიუხედავად იმ დროისთვის ევროპის განვითარებულ ქვეყნებში დამთავრებული სამრეწველო გადატრიალებისა, რომელსაც თან ახლდა ისეთი ახალი სოციალური უბედურებები, როგორიცაა კონკურენტულ ბრძოლაში წვრილ მესაკუთრე-მეწარმეთა გაღატაკება და უმუშევრობა.

საზოგადოების სხვადასხვა „კლასების" შრომის მწარმოებლური და არამწარმოებლური ხასიათის შესახებ „სკოლის" წინამორბედთა და თანამედროვეთა მოსაზრების ტენდენციურობის გათვალისწინებით, თ. მალთუსმა „პრინციპებში..." იმ დროისთვის მოულოდნელი *დებულება წამოაყენა საკმარისი მოთხოვნის და წარმოებული საზოგადოებრივი პროდუქტის სრული რეალიზაციის მიუღწევლობის შესახებ, ამაში მწარმოებლურ კლასებთან ერთად, „არამწარმოებლური კლასების" შესაძლო და ამდენადვე აუცილებელი მონაწილეობის გარეშე.* ამით, თ. მალთუსმა თამამად *გამოიწვია ისინი, ვინც აბსურდულ მოსაზრებას უშვებდა ადამიანთა უზარმაზარი მასების პარაზიტიზმის შესახებ, რომლებიც არამწარმოებლურ კლასებს მიეკუთვნება* მათი საქმიანობის გამო, ვთქვათ, მეიარაღებულ ძალებში (ჯარში) ან რელიგიურ და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში და ა.შ. თ. მალთუსის აზრით, *ჩინოვნიკები და საზოგადოების სხვა არამწარმოებლური ფენები „მესამე პირთა" ერთობლიობაა, რომლებიც ეხმარებიან, ქმნიან საზოგადოებრივ პროდუქტს და ახდენენ მის რეალიზაციას.* კერძოდ, „მალთუსის მიხედვით, მინათმფლობელთა ინტერესები სრულიად არ ეწინააღმდეგებიან დანარჩენი საზოგადოების ინტერესებს - პირიქით, ეკონომიკური გამოცოცხლება დამოკიდებულია ლენდლორდების კლასის აყვავებაზე"[47].

სხვათა შორის, კერძო მიმოწერაში თ. მალთუსმა და დ. რიკარდომ გვერდი ვერ აუარეს *რეალიზაციის თეორიის პრობლემებს.* ისინი სილიდარულები იყვნენ იმასთან დაკავშირებით, რაც შეეხებოდა უმუშევრობის ტვირთის შემსუბუქების შესაძლებლობებს საზოგადოებრივი პროგრამების რეალიზაციის გზით, როგორც, მაგალითად, საგზაო მშენებლობას. მაგრამ თ. მალთუსი თუკი „პრინციპებში..." მისი გამონათქვამებით ვიმსჯელებთ, დარწმუნებული იყო იმაში, რომ „მუშათა კლასის მხოლოდ ერთ ყიდვით უნარს არ შეუძლია კაპიტალის სრული გამოყენებისთვის სტიმულების უზრუნველყოფა" და რომ კაპიტალისტებმა, „სავარაუდოდ საკუთარი თავი მომჭირნეობისთვის განირეს, რათა საკუთარი თავისთვის ჩვეულებრივი მოხერხებულობისა და სიამოვნების წართმევით, საკუთარი შემოსავლის ნაწილი დაზოგონ და ფუფუნების საგნები დააგროვონ"[48].

ამ დაბნეულობიდან გამომდინარე, „თვითგანადგურებადი დანაზოგების" შესახებ, თ. მალთუსი, ისე, როგორც დ. რიკარდო, თვლის, რომ ზღვარი წარმოების გაფართოებისთვის არ არსებობს. ხოლო კითხვაზე ჭარბწარმოების შესახებ, პასუხობს: „საკითხი ჭარბწარმოების შესახებ განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, შეიძლება თუ არა იგი საყოველთაო იყოს, ისევე, როგორც მოიცვას ეკონომიკის ცალკეული სფეროები, და არა იმაში, შეუძლია თუ არა

მას იყოს პერმანენტული, ისე, როგორც დროებითიც"[49]. მაშასადამე, *მალთუსის მიხედვით, განსხვავებით დ. რიკარდოსგან, შესაძლებელია არა მხოლოდ კერძო, არამედ საყოველთაო კრიზისებიც.* მაგრამ ამასთან ერთად, ორივენი ერთსულოვანნი არიან იმაში, *რომ ნებისმიერი კრიზისები - დროებითი მოვლენაა, და ამ თვალსაზრისით, მოსაზრებები „სეის კანონის" პოსტულატებისგან მათი განდგომის შესახებ გამორიცხულია.*

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორიის სიმაღლეებიდან თ. მალთუსის კონცეფცია სრული რეალიზაციის შესაძლებლობის შესახებ (ხოლო არსებითად კრიზისების თავიდან აცილების) „მესამე პირთა" წარმოდგენილი მოთხოვნის მეშვეობით, სინამდვილეში, მსგავსის მიღწევის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ მისი მნიშვნელობა, მიუხედავად ამისა დიდია. როგორც 100 წლის წინათ ჯ.მ. კეინზმა აღიარა, სწორედ თ. მალთუსი გახდა მისთვის ის ავტორი, ვინც იგი ანტიკრიზისული იდეებით შეაიარაღა *„ეფექტიანი მოთხოვნის"* ფაქტორების, წარმოებული პროდუქტის მოხმარებაში საზოგადოების შუალედური ფენების როლის შესახებ და ა.შ.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. როგორ აყალიბებს დ. რიკარდო პოლიტიკური ეკონომიის ძირითად ამოცანას?
2. იმსჯელეთ დ. რიკარდოს კატეგორია „ღირებულების" და „კაპიტალის", საზოგადოების ძირითადი კლასების შემოსავლების და ფულის შესახებ.
3. შეაფასეთ დ. რიკარდოს გამონათქვამები „კერძო და საბაზრო კონკურენციის" პირობებში ხელფასის და მოგების დაცემის ტენდენციის შესახებ.
4. რით არის განპირობებული დ. რიკარდოს დებულება იმის შესახებ, რომ „რენტა არ არის საქონელთა ფასის შემადგენელი ნაწილი".
5. რაში მდგომარეობს „სეის კანონის" არსი და ძირითადი დებულება? რა მოწმობს ამ „კანონისადმი" კლასიკური სკოლის სხვა ავტორების ერთგულებას?
6. გახსენით ჟ.ბ.სეის სამი ფაქტორის თეორიის და თ. მალთუსის წარმოების ხარჯების თეორიის ზოგადი დებულებები.
7. რაში მდგომარეობს ჟ.ბ. სეის ღირებულების თეორიის განსხვავება შრომითი ღირებულების თეორიისგან?
8. მართლზომიერია თუ არა ჟ.ბ. სეის განმარტება მეწარმეთა შემოსავლების წარმომავლობის შესახებ?

9. როგორია თ. მალთუსის წიგნის „გამოცდილება ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“ ძირითადი იდეები და რაში მდგომარეობს მათი მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერებისთვის?
10. როგორია ურთიერთკავშირი „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონსა“ და თ. მალთუსის „ხელფასის რკინის კანონს შორის“?
11. გახსენით თ. მალთუსის „მესამე პირთა თეორიის“ არსი.
12. ჯ.მ.კეინზი რატომ თვლიდა თ. მალთუსს უკრიზისო ეკონომიკური განვითარების მისეული კონცეფციის ერთ-ერთ წინამორბედად?

თავი 10. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დასასრული

ამ თავის შესწავლის შემდეგ თქვენ გაიგებთ:

- რომ, სახელდობრ ჯ. ს. მილთან „კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მიაღ-წევს, ასე ვთქვათ, თავის სრულყოფილებას და ამასთანავე იგი დაიწყებს დაცემას“ (შ.ჟიდი და შ.რისტი);
- თუ რა ინსტიტუციონალურ რეფორმებს მოითხოვდა ჯ. ს. მილი, „თუმცა იგი არასოდეს უარს არ ამბობდა თავისი რწმენისგან ფასწარმოქმნის ეფექტიანობაში კონკურენციის პირობებში“ (პ. სამუელსონი);
- რომ „ეკონომიკური არგუმენტაციის თავის ლოგიკურ დასასრულამდე მისაყ ვანად კ. მარქსს ტოლი უდაოდ არ გააჩნდა თავის თანამედროვეებს შორის (მ. ბლაუგი)“.
- რომ, თეორიულად რა გარემოებათა ძალით „დადგა კ.მარქსი მთლიანად კლასიკოსების მდგომარეობაში, განავითარა ისინი, და განვითარებით ტრანსფორმირება მოახდინა“(ნ. კონდრატიევი);
- რომ „კ.მარქსის მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკური თეორიისთვის იმაში მდგომარეობს, რომ მისი ნაშრომები - ეს სინამდვილის პირდაპირი, უშუალო დაკვირვების ამოუწურავი წყაროა“(ვ. ლეონტიევი);

10.1. ჯ. ს. მილის ეკონომიკური მოძღვრება

ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) - კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი დამასრულებელი და „აღიარებული ავტორიტეტი მეცნიერულ წრეებში, ვისი გამოკვლევებიც ტექნიკური ეკონომიკის საზღვრებს ცდება“[1].

მისი მამა ჯეიმზ მილი-ეკონომისტი და დ. რიკარდოს უახლოესი მეგობარი-მკაცრად მისდევდა შვილის აღზრდას. ამიტომ უმცროს მილს უკვე 10 წლისას უხდებოდა მსოფლიო ისტორიის და ბერძნული და ლათინური ლიტერატურის მიმოხილვის გაკეთება, ხოლო 13 წლისამ მან დაწერა კიდეც რომის ისტორია, ერთდროუ-

ლად ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სხვ., მეცნიერებათა შესწავლის გაგრძელებით.

თავისი პირველი „გამოცდილებები...“ პოლიტიკურ ეკონომიაში ჯ. ს. მილმა გამოაქვეყნა 23 წლის ასაკში, ე.ი. 1829 წელს. 1843 წელს გამოჩნდა მისი ფილოსოფიური ნაშრომი „ლოგიკის სისტემა“, რომელმაც მას აღიარება მოუტანა. მთავარი ნაშრომი კი (ხუთ ნიგნად, ისევე როგორც ა. სმითმა) სახელწოდებით „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები“ გამოიცა 1848 წელს[2].

ჯ. ს. მილის პრაქტიკული საქმიანობა დაკავშირებული იყო ოსტ-ინდურ კომპანიასთან, რომელშიც მას მაღალი პოსტი ეკავა მის დახურვამდე 1858 წელს. 1865-1868 წლებში ის იყო პარლამენტის წევრი.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მას მრავალი ნაშრომის მომზადებაში ეხმარებოდა, ჯ. ს. მილი საფრანგეთში გადავიდა, სადაც ავინიონში გაატარა თავისი ცხოვრების უკანასკნელი 14 წელიწადი (1859-1873), პარლამენტში მისი წევრობის ჩაუთვლელად.

თვით ჯ. ს. მილის აღიარებით, თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, იგი ბევრად ახლოა მის კერპთან, დ. რიკარდოსთან. სხვათა შორის პოზიციები, რომლებსაც დ. რიკარდოს მოძღვრებიდან იღებდა, როგორც „ლოგიკურ დასკვნას“ და პოზიციები, რომლებიც უჩვენებენ უშუალოდ ჯ. ს. მილის შემოქმედებით მიღწევებს, თავმოყრილია მის საუკეთესო ნაშრომში, რომლის სრული დასახელებაა „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები და მათი გამოყენების ზოგიერთი ასპექტები სოციალურ ფილოსოფიაში“ და რომლის შესახებაც საუბარი იქნება ქვემოთ.

შესწავლის მეთოდი და საგანი

როგორც ხუთტომეულის პირველი წიგნიდან ჩანს, ჯ. ს. მილმა მიიღო რიკარდოსეული შეხედულება პოლიტიკური ეკონომიის საგნის შესახებ, პირველ ადგილზე „ნარმოების კანონების“ და „განაწილების კანონების“ წამოყენებით. ამასთან, III ტომის უკანასკნელ თავში „საფუძვლების...“ ავტორი თითქმის იმეორებს თავის წინაპრებს „სკოლიდან“, იმის მითითებით, რომ „ეკონომიკურ განვითარებაში არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ სოფლის მეურნეობის შესაძლებლობებს“.

გამოკვლევის მეთოდოლოგიის სფეროში ჯ. ს. მილისთვის ცხადია, როგორც კლასიკოსების მიერ მიღწეულის გამეორება, ისე არსებითი წინსვლითი დაწინაურება. ასე, მაგალითად, III ტომის მე-7 თავში იგი სოლიდარობას უცხადებს ფულის „ნეიტრალურობის“ ჩამოყალიბებულ კონცეფციას და ამ წიგნის რიგ შემდგომ ავებში უდაოა მისი ერთგულება ფულის რაოდენობრივი თეორიი-

სადმი. აქედან, ფულის ფუნქციის, როგორც სასაქონლო მარაგის ფასეულობის საზომის შეუფასებლობას, ჯ. ს. მილი იძლევა სიმდიდრის გამარტივებულ დახასიათებას. უკანასკნელი, მისი შეხედულებით განისაზღვრება, როგორც ბაზარზე შესაძენ და გასაყიდ საქონელთა ჯამი.

იმავდროულად „საფუძვლების...“ ავტორის მეთოდოლოგიისთვის სპეციფიკურია ნარმოების კანონებისა და განაწილების კანონების დაპირისპირება. *პირველები*, მისი ვარაუდით, *უცვლელია და მოცემულია ტექნიკური პირობებით*, ე.ი. „ფიზიკურ ჭეშმარიტებათა“ მსგავსად, მათ გააჩნიათ ხასიათი, „რომლებიც დამახასიათებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის“, „მათში არაფერია ნებისგან დამოკიდებული“. ხოლო *მეორენი*, რამდენადაც მათ მართავს „*ადამიანისეული ინტუიცია*“, *ისეთებია, „როგორსაც მათ ხდის საზოგადოების მმართველი ნაწილის მოსაზრებები და სურვილები“, და ერთობ განსხვავებულია სხვადასხვა საუკუნეში და სხვადასხვა ქვეყანაში*“[3]. სწორედ განაწილების კანონები, რომლებზედაც ზემოქმედებს „*მოცემული საზოგადოების კანონები და ნესჩვეულებები*“, განსაზღვრავენ საკუთრების პერსონალურ განაწილებას შემოსავლების განაწილების მეშვეობით „საზოგადოების სამ ძირითად კლასს“ შორის. განაწილების კანონების ადამიანისეული გადაწყვეტილებებით ჩამოყალიბების ამ მეთოდოლოგიური ნანამძღვრების საფუძველზე ჯ. ს. მილი საზოგადოების სოციალური რეფორმირების საკუთარ რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

მეორე ახალი მომენტი ჯ. ს. მილის კვლევის მეთოდოლოგიაში არის – მის მიერ ო. კონტისგან ნასესხებ *სტატიკისა და დინამიკის* ცნებებში განსხვავებათა გამოვლენის მცდელობა. წიგნის IV ტომის პირველ თავში იგი აღნიშნავს, რომ ყველა ეკონომისტისთვის დამახასიათებელი იყო მისწრაფება შეეცნოთ „სტაციონარული და უცვლელი საზოგადოების“ ეკონომიკის კანონები და, რომ ახლა უნდა დავუმატოთ „პოლიტიკური ეკონომიის დინამიკა მის სტატიკას“[4].

მწარმოებლური შრომის თეორია

მრავალრიცხოვანი თეორიული პრობლემებიდან, რომელთაც ჯ.ს. მილი შეხებია, რთულია რომელიმე პირველ ადგილზე დავაყენოთ. მიუხედავად ამისა, დავიწყოთ, მწარმოებლური შრომის თეორიით (წიგნის პირველი ტომის 1 და 2-ე თავები). არსებითად ამ თეორიით იგი მთლიანად სოლიდარულია ა. სმითთან. მის დასაცავად „საფუძვლების...“ ავტორი ამტკიცებს, რომ *მხოლოდ მწარმოებული შრომა* (შრომა, რომლის შედეგები ხელშესახებია) *ქმნის „სიმდიდრეს“, ე.ი. „მატერიალურ დოვლათს“*. მისი პოზიციის სიახლე აქ

მხოლოდ იმაშია, რომ მწარმოებლურად იგი რეკომენდაციას აძლევს ასევე აღიარონ შრომა საკუთრების დასაცავად და კვალიფიკაციის შესაძენად, რომელიც დაგროვების გადიდების საშუალებას იძლევა. ჯ. ს. მილის მტკიცებით, შემოსავლებს მწარმოებლური შრომისგან მწარმოებლური მოხმარება გააჩნია, თუკი ეს მოხმარება „იცავს და ადიდებს საზოგადოების მწარმოებლურ ძალებს". ხოლო *ნებისმიერი შემოსავლები არამწარმოებლური შრომისგან*, - მიიჩნევდა იგი, *-ეს მხოლოდ შემოსავლის მარტივი გადანაწილებაა, რომელიც შექმნილია მწარმოებლური შრომით.* ხელფასის მოხმარებაც კი მუშის მიერ, სმითის მიხედვით, მწარმოებლურია, თუკი მას სახსრების მინიმუმი მოაქვს, რომელიც აუცილებელია მუშისა და მისი ოჯახის შესანახად, და არამწარმოებლურია იმ ნაწილში, რომელშიც მას „ფუფუნების საგნები" მოაქვს.

შემოსავლების თეორია

ჯ. ს. მილი *ხელფასის* თვალსაზრისით, ძირითადად დ. რიკარდოსა და თ. მალთუსის შეხედულებებს ემხრობა. ახასიათებდა რა მას, როგორც *შრომის საზღაურს* და ვარაუდობდა რა, რომ იგი დამოკიდებულია სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდებისგან, „საფუძვლების..." ავტორმა გაიმეორა მათი დასკვნა მუშათა შრომის ანაზღაურების მინიმალური სიდიდის გარდუვალობის შესახებ, რაც „მუშათა ფონდის" მისეული *დოქტრინის* საფუძველი გახდა. უკანასკნელის შესაბამისად, არც კლასობრივ ბრძოლას, არც პროფკავშირებს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ ხელფასის ფორმირება სასიცოცხლო მინიმუმის დონეზე. მაგრამ 1869 წელს ერთერთ თავის სტატიაში ჯ. ს. მილმა ოფიციალურად უარი თქვა „მუშათა ფონდის" დოქტრინის დებულებებაზე, აღიარა რა, რომ პროფკავშირები ნამდვილად ზეგავლენას ახდენენ მოქმედებებზე ხელფასის შესაზღუდავად, რომელთა განხორციელება შეუძლია „კონკურენციას შრომის ბაზარზე". გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მილის მიხედვით, ხელფასი, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო დაბალია, თუკი შრომა ნაკლებად მიმზიდველია. დაბოლოს, როგორც წიგნის I ტომის მე-4 თავიდან ჩანს, ჯ. ს. მილი, ისე, როგორც დ. რიკარდო, ცნება *ხელფასის მინიმუმს* არ აიგივებს *„ფიზიოლოგიური მინიმუმის"* ცნებასთან, იმის ახსნით, რომ პირველი აჭარბებს მეორეს. ამასთან, ხელფასის ანაზღაურების წყაროდ „საფუძვლების..." ავტორი რაღაც კაპიტალურ მარაგს ასახელებს.

წიგნის I ტომის მე-4-6 თავებს ჯ. ს. მილი ულვნის კაპიტალის თეორიებს, რომელსაც ახასიათებს, როგორც „ნარსული შრომის პროდუქტების ადრე დაგროვილ მარაგს"[5]. მე-5 თავში, კერძოდ, ვითარდება დებულება იმის შესახებ, რომ კაპიტალწარმოქმნა, რო-

გორც ინვესტიციების საფუძველი, დასაქმების მასშტაბების გაფართოების საშუალებას იძლევა და შეუძლია თავიდან აგვაცილოს უმუშევრობა, თუკი, მართალია, მხედველობაში არაა მიღებული „მდიდრების არამწარმოებული ხარჯები“.

ჯ. ს. მილის და დ. რიკარდოს კიდევ ერთ საერთო პოზიციას წარმოადგენს *რენტის თეორიის* გააზრება. „საფუძვლების...“ ავტორი დ. რიკარდოს დებულებებს იღებს რენტისშემქმნელი ფაქტორების შესახებ, ხედავს რა რენტაში *„კომპენსაციას, გადაბდილს მინით სარგებლობისათვის“*. მაგრამ, როგორც ჯ. ს. მილი აზუსტებს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მინის ნაკვეთის გამოყენების ფორმისგან დამოკიდებულებით მას შეუძლია ან უზრუნველყოს რენტა, ან პირიქით, მოითხოვს დანახარჯებს, რომელიც გამორიცხავს ამ შემოსავალს.

ჯ. ს. მილის შემოსავლების განაწილების თეორიის სხვა ნვრილმანებზე, ე.ი. ხელფასის, რენტის და მოგების განაწილებაზე გამოდევნების გარეშე აღვნიშნავთ, რომ „საფუძვლების...“ ავტორი ამის თაობაზე ძირითად დასკვნებში მთლიანად მიემხრო მალთუსიანელთა „ბანაკს“. წიგნის I ტომის მე-10 თავის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თ. მალთუსის ხალხთმოსახლეობს თეორია მისთვის უბრალო აქსიომა იყო, განსაკუთრებით, როდესაც ამ თავის მესამე განყოფილებაში იგი კონსტატაციას ახდენს, რომ ინგლისში 1821 წელს მოსახლეობის აღწერის შემდეგ 40 წლის განმავლობაში, არსებობის საშუალებების ზრდის ტემპები, მოსახლეობის ზრდის ტემპებს არ უსწრებდნენ. შემდეგ II ტომის მე-12 და მე-13 თავებში ჩვენ ვხედავთ ზომების მრავალფეროვან არგუმენტაციას ოჯახის შეზღუდვის მიმართულებით, შობადობის ნებაყოფლობითი შემცირებით, ქალთა ემანსიპაციით და ა.შ.[7].

ღირებულების თეორია

ღირებულების თეორიას ჯ. ს. მილმა მიმართა წიგნის III ტომში. მის პირველ თავში, განხილულია რა *საცვლელი ღირებულება, სამომხმარებლო ღირებულება, ღირებულება* და ზოგიერთი სხვები, იგი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ღირებულება (ფასეულობა) არ შეიძლება გაიზარდოს ყველა საქონლის მიხედვით ერთდროულად, რამდენადაც ღირებულება წარმოადგენს შეფარდებით ცნებას. ხოლო III ტომის მე-4 თავში „საფუძვლების...“ ავტორი იმეორებს დ. რიკარდოს თეზისს *ღირებულების შრომით შექმნის შესახებ*, რომელიც საჭიროა საქონელთა დოვლათის წარმოებისთვის, განაცხადა რა ამასთან, რომ *სწორედ შრომის რაოდენობას „აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ღირებულების შეცვლის შემთხვევაში“*.

ფულის თეორია

წიგნის III ტომში განიხილება *ფულის თეორია*. აქ ჯ. ს. მილი გვიჩვენებს თავის ერთგულებას ფულის რაოდენობრივი თეორიისადმი, რომლის შესაბამისად, ფულის რაოდენობის გადიდება ან შემცირება ზეგავლებას ახდენს საქონელთა შედარებით ფასებზე. მისი სიტყვებით, სხვა თანაბარ პირობებში *„თვით ფულის ღირებულება იცვლება ფულის რაოდენობის უკუპროპორციულად: რაოდენობის ყოველი გადიდება ამცირებს მის ღირებულებას, ხოლო ყოველი შემცირება ადიდებს მას სრულიად ერთნაირი პროპორციით“*. შემდგომ, როგორც მე-9 თავიდან ჩანს, საქონელთა ფასები რეგულირდება, უწინარეს ყოვლისა, მოცემული მომენტისთვის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით, რამდენადაც ოქროს მარაგი იმდენად დიდია, აღნიშნავს იგი, რომ ამა თუ იმ წელს ოქროს მოპოვებაზე დანახარჯების ცვლილებებს ამა თუ იმ წელს ფასების კორექტირებაზე მყისიერი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. ამასთან, „საფუძვლების...“ ავტორის ზემოთხსენებული თეზისი ფულის „ნეიტრალურობის“ შესახებ შემდეგ გამოთქმამდე დაიყვანება, რომლის თანახმად, „საზოგადოებრივ ეკონომიკაში არაფერია უფრო არაარსებითი თავისი ბუნებით, ვიდრე ფული, იგი საჭიროა მხოლოდ როგორც ეშმაკური საშუალება, რომელიც დროის და შრომის ეკონომიას ემსახურება. ეს ის მექანიზმია, რომელიც სწრაფად და მოხერხებულად იძლევა იმის განხორციელების საშუალებას, რომელიც მის გარეშეც გაკეთდებოდა, თუმცა არც ისე სწრაფად და მოხერხებულად, და, ისე, როგორც მრავალ სხვა მექანიზმებში, მისი აშკარა და დამოუკიდებელი ზეგავლენა აღმოჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მწყობრიდან გამოდის“[10].

რეფორმების თეორია

პირველი მსჯელობები სოციალიზმისა და საზოგადოების სოცია-ლისტური მოწყობის შესახებ, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებს შორის ჯ. ს. მილს ეკუთვნის. ამ საკითხებს იგი II ტომის პირველ თავში საკუთრების პრობლემასთან დაკავშირებით შეეხო. მაგრამ მიუხედავად „სოციალიზმისადმი“ მთელი კეთილმოსურნეობისა, „საფუძვლების...“ ავტორი პრინციპულად გაეშიჯნა სოციალისტებს იმაში, რომ სოციალური უსამართლობა თითქოსდა დაკავშირებულია კერძო საკუთრების, როგორც ასეთის უფლებასთან. მისი მოსაზრებით, ამოცანა მხოლოდ *ინდივიდუალიზმისა და ბოროტქმედებათა დაძლევაში მდგომარეობს, რომელიც შესაძლებელია საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით.* წიგნის IV ტომის მე-6 თავში იგი აცხადებს კიდევაც, რომ ცხოვრებისეული იდეალი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც

„ბრძოლა წარმატების მიღწევისთვის", ვინაიდან *„მსოფლიოს მხოლოდ ჩამორჩენილ ქვეყნებში" წარმოების გადიდება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა - უფრო განვითარებულ ქვეყნებში კი ეკონომიკურად უფრო აუცილებლად განაწილების სრულყოფა ითვლება"*. დაბოლოს, ამავე წიგნის მეშვიდე თავში ჯ. ს. მილი უშვებს აზრს, რომ „საზოგადოების ტრანსფორმაცია" დაგროვილი კაპიტალის თვითნებური გადაქცევის მხარეს იმათ საკუთრებად, „ვინც მათ წარმოებისთვის იყენებს", შეეძლო უზრუნველეყო „კომბინაცია, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება მრეწველობის ორგანიზაციას". ამასთან ერთად, მისი ძირითადი დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: თუმცა პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა მოითხოვს „სოციალისტური მსოფლმხედველობის გაფართოებას", მაგრამ *„ზოგადი საფუძველი უნდა იყოს laissez faire," მისგან ყოველი უკანდახევა, რომელიც ნაკარნახევი არ არის რაიმე უმაღლესი დოვლათის გათვალისწინებით, აშკარად ბოროტებაა"*[11].

სახელმწიფოს მონაწილეობის იდეების გააქტიურება საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში და მასთან დაკავშირებული ეს რეფორმები ჯ. ს. მილის ნაშრომში მრავალ პრობლემას მოიცავს. ასე, მაგალითად, წიგნის III ტომის 20-ე და 21-ე თავებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოსთვის *მიზანშეწონილია ცენტრალური ბანკის ორიენტაცია საბანკო სარგებლის ზრდაზე (გადიდებაზე)*, რამდენადაც ამას მოჰყვება ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვა და ეროვნული სავალუტო კურსის გაძლიერება, და უცხოეთში ოქროს გადინების შეჩერება. შემდგომ, წიგნის V ტომის მე-7-11 თავებში საუბარი ბრიტანული სახელმწიფოს ფუნქციების შესახებ გაცილებით უფრო შინაარსიანი ხდება. დასანყისში (თავი მე-7) „საფუძვლების..." ავტორი ასაბუთებს *დიდი სახელმწიფო ბარჯების არასასურველობას*, შემდეგ (მე-8-9 თავები) იმის არგუმენტირებას ახდენს, თუ ინგლისში კანონიერი სახელმწიფო ფუნქციები რატომ სრულდება არაეფექტიანად, და ამის შემდეგ (თავები მე-10-11) გადადის სახელმწიფო ჩარევის საკითხებზე.

როგორც იმაში დარწმუნებული, რომ *ზოგადი პრინციპი უნდა იყოს laissez faire,* ჯ. ს. მილმა, განსაკუთრებით წიგნის V ტომის მე-11 თავით თუ ვიმსჯელებთ, იცის, რომ არსებობს საზოგადოებრივი საქმიანობის ორი სხვადასხვა სფერო, *„ბაზრის უძლურობის"* სფერო, სადაც საბაზრო მექანიზმი მიუღებელია. და იმისთვის, რომ *„კერძო საკუთრების სისტემის" დამხობის გარეშე* უზრუნველყოფილ იქნეს „მისი გაუმჯობესება და სრული უფლების მინიჭება საზოგადოების ყოველი წევრისადმი მონაწილეობდეს მისთვის სარგებლიან საქმიანობაში"[12] და რომ ნესრიგი განმტკიცდეს, რომლის დროსაც „არავინ არ იქნება ღარიბი, არავინ მიისწრაფის

გამდიდრებისკენ, და არ არსებობს არანაირი მიზეზი გეშინოდეს უკან გადაგდების, სხვების წინ გაძრომის ძალისხმევის გამო"[13], „საფუძვლების..." ავტორი მიმართავს სახელმწიფოს შესაძლებლობებს ინფრასტრუქტურის შექმნის, მეცნიერების განვითარების, კანონების გაუქმების ნაწილში, რომელიც კრძალავს პროფკავშირების საქმიანობას ან ზღუდავს მას და ა.შ.

ჯ.ს. მილის სოციალური რეფორმების დოქტრინა, თავისი ნარმოშობით, „ვალშია" აზრის დაშვებისთვის იმის შესახებ, რომ არ შეიძლება მხოლოდ შეიცვალოს წარმოების კანონები და არა განაწილების კანონები"[14]. ამაშია იმისი აშკარა გაუგებრობა, რომ „წარმოება და განაწილება არ შეადგენენ განცალკევებულ სფეროებს; ისინი თითქმის ყოველმხრივ აღწევენ ერთმანეთში"[15]. ამიტომ ტენდენციურია მისი რეფორმების ძირითადი დებულებებიც, რომლებიც შ. ჟიდმა და შ. რისტმა სამ ქვემოთმოჩამოთვლილ პოზიციებზე დაიყვანეს[16]:

1) დაქირავებული შრომის მოსპობა კოოპერაციული მწარმოებლური ასოციაციის დახმარებით;
2) მიწის რენტის სოციალიზაცია მიწის გადასახადის დახმარებით;
3) სიმდიდრის უთანაბრობის შეზღუდვა მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვით.

განათლების ხარისხი, მილის მიხედვით, მაშინვე როდი ვლინდება, და, მთავრობას საშუალება რომ არ მივცეთ „რომ ძერნოს ადამიანთა მოსაზრებები და გრძნობები, ახალგაზრდობიდან დანყებული"; მათ რეკომენდაცია ეძლევათ განათლებაზე, არა საერთოდ ხელმისაწვდომ, არამედ *კერძო სკოლების სისტემაზე და საკალდებულო განათლებაზე განსაზღვრულ ასაკამდე.* სახელმწიფო სკოლები, მისი მოსაზრებით, შეიძლება გამონაკლისი იყოს მხოლოდ დაშორებული რაიონებისთვის. საზოგადოებრივი საგანმანათლებლო მინიმუმი, რომელიც დასმულია კერძო საფუძველზე, ვარაუდობს „საფუძვლების..." ავტორი, აუცილებელია შეხამდეს სახელმწიფო გამოცდების სისტემასთან (გამოცდაზე წარუმატებლობისთვის მშობლებიდან ამოღებული გადასახადი კომპენსაცია იქნება განათლების გასაგრძელებლად), სახელმწიფოსთვის *„დანყებითი კლასების ფულადი მხარდაჭერის დაკისრებით"*.

10.2. კ. მარქსის ეკონომიკური მოძღვრება

კარლ მარქსმა (1818-1883), როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთმა დამამთავრებელმა, შესამჩნევი კვალი დატო-

ვა ეკონომიკური აზრის ისტორიაში[17]. მისი იდეები ხშირ შემთხვევაში უშუალოდ ეკონომიკურ პრობლემათა ფარგლებს სცილდება და ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და პოლიტიკურს ეხამება[18].

კ. მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს, გერმანიის ქალაქ ტრირში. იგი მეორე იყო ჰენრიხ მარქსის ცხრა შვილს შორის, რომელიც 1816 წელს იუდეიზმიდან პროტესტანტიზმში გადავიდა.

1839-1835 წწ. სწავლობდა ქ. ტრირის გიმნაზიაში. 1835 წლიდან იგი სწავლობდა სამართლის განყოფილებაში ბონის უნივერსიტეტში, ხოლო 1836 წლიდან 1841 წლამდე სწავლობდა სამართალს, ფილოსოფიას, ისტორიას და ხელოვნებას ბერლინის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებისთანავე (1841) დოქტორის ხარისხი მიიღო იენის უნივერ-სიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

კ. მარქსმი მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება (1850-1883) თავშესაფარს ლონდონში პოულობს.

ცხოვრების ლონდონისეულ პერიოდში, კ. მარქსი მრავალ ნაშრომთა შორის „კაპიტალსაც“ წერს, რომელსაც განიხილავდა, როგორც მთელი ცხოვრების ნაშრომს[19]. რაც შეეხება მისი ცხოვრების ფინანსურ მხარეს, იგი ერთობ არამარტივად ყალიბდებოდა. ასე, მაგალითად, 1851 წლიდან და ათი წლის განმავლობაში კ. მარქსი არის გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ტრიბუნის“ თანამშრომელი, მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო, 1852-1857 წლებში ის იძულებული იყო ძირითადად ჟურნალისტიკით დაკავებულიყო ჯამაგირის გამო, რაც თითქმის არ ტოვებდა დროს ეკონომიკურ გამოკვლევათა გასაგრძელებლად. თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი ახერხებს ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ მომზადებას და ფ. ლასალის დახმარებით მოელაპარაკა ერთ-ერთ ბერლინელ გამომცემელს მიეღო იგი და 1859 წელს იგი დაიბეჭდა.

მაგრამ 1862 წელს განხეთქილებამ ფ. ლასალთან, აშშ-ში სამოქალაქო ომის დაწყებით თანამშრომლობის შეწვეტამ „ნიუ-იორკ დეილი ტრიბუნთან“ მნიშვნელოვანი *ფინანსური სიძნელეები* გამოიწვია, რომელიც 1869 წლამდე გაგრძელდა, როდესაც განუყრელმა მეგობარმა და თანამებრძოლმა *ფ. ენგელსმა გადაწყვიტა ეს პრობლემა, უზრუნველყო რა კ. მარქსი ყოველწლიური რენტით.* სწორედ ამ პერიოდში, წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასად და სრულიად ჯანმრთელმა[20], -1867 წელს მან საბოლოოდ შეძლო რედაქტირება და იმავე წელს ჰამბურგში გამოსცა „კაპიტალის“ I ტომი. ორი სხვა ტომი (თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო „კაპიტალის“ სამ ტომად გამოცემა) პირველის გამოცემის დროისთვის მზად არ იყო გამოსაცემად, როგორც ავადმყოფობის და ფინანსური სიძნელეების, ისე და, მეტადრე, ავტორის მიერ ამ ნაშრომის დაუმთავრებლობის გაცნობიერების გამო.

სიცოცხლის წლებში კ. მარქსმა ვერ მოახერხა „კაპიტალის" II და III ტომების დამთავრება. ჯერ კიდევ 1878 წლის ნოემბერში წერილში ნ. დანიელსონისადმი იგი ნერდა, რომ 1879 წლის ბოლოსთვის გამოსაცემად მოამზადებდა „კაპიტალის" II ტომს, მაგრამ 1879 წლის 10 აპრილს მასვე შეატყობინა, რომ ამ ტომს მანამ არ გამოსცემს, სანამ არ შეისწავლის ინგლისის მრეწველობის კრიზისის განვითარებას და დამთავრებას.

კ. მარქსი გარდაიცვალა 1883 წლის 14 მარტს-თავისი მეუღლის, ჟენი მარქსის გარდაცვალებიდან (1881) ორი წლის შემდეგ. „კაპიტალის" II (დღის სინათლეზე გამოვიდა 1885 წ.) და III (გამოიცა 1894 წ.) ტომების მასალების მოგროვებისა და გამოსაცემად მომზადების მთელი შრომა საკუთარ თავზე აიღო ფ. ენგელსმა[21]. როგორც ჩანს, სინამდვილეში „საკმაოდ ძნელია დაადგინო რა ნაწილი მოდის ენგელსის წილად კ. მარქსის ნაწარმოებებში, მაგრამ, ცხადია, იგი უმნიშვნელო როდია"[22]. მაგრამ რაც შეეხება „კაპიტალს" უდაოა მეორეც: „II და III ტომები - გარდაცვალებისშემდგომია. მათი შინაარსი ამოღებულ იქნა ენგელსის მიერ კ. მარქსის დიდი მოცულობის დაუმთავრებელი ხელნაწერებიდან"[23].

მეთოდოლოგიის თავისებურებები

კ. მარქსის შემოქმედებით მემკვიდრეობას მრავალი საერთო აქვს მისი წინამორბედების მიღწევებთან ეკონომიკური აზრის კლასიკური სკოლიდან, განსაკუთრებით ა. სმითთან და დ. რიკარდოსთან. მაგრამ, მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციები, როგორც „კაპიტალის" ავტორი ვარაუდობდა, *„ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიის* საფ-უძვლების მხოლოდ მწვერვალი გახდა და მათი ნაშრომების შემდეგ, კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ საკუთარი თავი ამოწურა. „კაპიტალის I ტომის უკვე პირველ თავში კ. მარქსი აცხადებს, რომ *„ვულგარული ეკონომისტი" განზე გადგა ა. სმითის და დ. რიკარდოს პრინციპებიდან,* „რეალური" და „განმსაზღვრელი ფაქტორების" უგულ-ებელყოფით, ეკონომიკურ მოვლენათა ზედაპირზე სრიალებს და საქმე აქვს ეკონომიკური აგენტების ფულადი დანახარჯების სუბიექტურ ურთიერთობებთან. ამასთან, კ. მარქსის მიხედვით, „ვულგარული ეკონომისტი" ბურჟუაზიული (კლასობრივი) იდეოლოგიის გამომხატველია და ამ მიზეზით (თუნდაც არ ჰქონდეს არასწორი მიზანდასახულობა) შეესაძლებლობა არ გააჩნია ობიექტურად განსაჯოს რეალობა.

ა) მეთოდოლოგიური წყაროები

თვით კ. მარქსი მოწოდებით, როგორც მეცნიერი, მეთოდოლოგი-ურად ერთდროულად სამი მეცნიერული წყაროდან გამოდიოდა: სმითისა და რიკარდოს ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონო-

მიიდან, ჰეგელისა და ფოიერბახის გერმანული კლასიკური ფილოსოფიიდან და ფრანგული უტოპიური სოციალიზმიდან. პირველთა წარმომადგენლებისგან, მის მიერ, მრავალთან ერთად, ნასესხებია შრომითი ღირებულების თეორია, მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონის დებულებები, მწარმოებლური შრომის დებულებები და სხვ., მეორეებისგან-დიალექტიკისა[24] და მატერიალიზმის იდეები, მესამეებისგან- კლასობრივი ბრძოლის ცნება, საზოგადოების სოციალური მოწყობის ელემენტები და სხვ. ამიტომ „კაპიტალის" ავტორი ერთადერთი როდია XIX ს. დასაწყისისა და შუახანების მკვლევარებს შორის, რომლებიც პოლიტიკას და სახელმწიფოს განიხილავდნენ, როგორც მეორეულ მოვლენებს სოციალურ-ეკონომიკურთან შედარებით, რომლებიც, კაუზალური მეთოდისადმი მიდევნებით ამჯობინებდნენ ეკონომიკური კატეგორიების კლასიფიცირებას, როგორც პირველად და მეორეულ კატეგორიებად, რომლებიც ეკონომიკურ კანონებს, კაპიტალიზმს და, შესაბამისად, მეურნეობრიობის მექანიზმს გარდამავლად თვლიდნენ და ა.შ.

ბაზისისა და ზედნაშენის კონცეფცია

მაგრამ კ. მარქსის გამოკვლევის მეთოდოლოგიაში ცენტრალური ადგილი უკავია მის კონცეფციას ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ, რომელთა შესახებ მან განაცხადა ჯერ კიდევ 1859 წელს ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის". ძირითადი იდეა ამ ნაშრომში ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „საზოგადოებრივ წარმოებაში თავისი ცხოვრების მანძილზე ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისგან დამოუკიდებელ ურთიერთობებში-წარმოებრივ ურთიერთობებში, რომლებიც მათი მატერიალური მწარმოებლური ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამებიან. ამ მწარმოებლური ურთიერთობების ერთობლიობა საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, *რეალურ ბაზისს* შეადგენს, რომლებზეც აღიმართება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამებიან. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ პროც-ესებს საერთოდ. *არა ადამიანთა ცნობიერება განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას*"[25].

სხვათა შორის, დიდწილად ბაზისისა და ზედნაშენის კონცეფციაში მიღებულია მცდელობა, ეკონომიკური ინტერპრეტაცია მიეცეს ისტორიას მწარმოებლურ ძალთა და წარმოებრივ ურთიერთობათა დიალექტიკის გათვალისწინებით, რომელიც კ. მარქსის ჩანაფიქრის მიხედვით, გვკარნახობს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პროცესი, ვინაიდან „ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ფორმაციით, -წერს იგი,- მთავრდება ადამიანთა საზო-

გადოების პრეისტორია"[26]. მარქსის მიხედვით, *არადიალექტიკურმა მიდგომამ და კაპიტალისტური ეკონომიკის კანონების დაუსაბუთებელმა აღიარებამ* უნივერსალურებად, საშუალება არ მისცეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებს, რომლებმაც საკუთრივ აღმოაჩინეს ეს კანონები, გაეგოთ, რომ მათ *სპეციფიკური და გარდამავალი ხასიათი გააჩნიათ*".

კ. მარქსის განსახილველი კონცეფციის არსისადმი მიმართვით, უნდა აღვნიშნოთ, რომ *საზოგადოებრივი განვითარების ანალიზის იდეა, როგორც ბაზისისა და ზედნაშენის მონაცვლეობა* მარტივი როდია გამოყენებაში. მაგალითად, მწარმოებლური ძალები ერთდროულად დამოკიდებულები არიან ტექნიკური შეიარაღებისაგან და ერთობლივი შრომის ორგანიზაციისგან, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია საკუთრების კანონებისაგან. უკანასკნელები იურიდიულ სფეროს მიეკუთვნებიან. მაგრამ... სამართალი-ეს სახელმწიფოს ნაწილია, ხოლო უკანასკნელი ზედნაშენს მიეკუთვნება. ჩვენ ისევ ვაწყდებით ბაზისისა და ზედნაშენის განცალკავების სიძნელეებს[28]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქედან მოყოლებული და დღესაც „მარქსისტისთვის ეკონომიკური მიდგომა ნიშნავს, რომ წარმოების ორგანიზაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის ნინასწარი განსაზღვრით და ძირითად მახვილს ის აკეთებს მატერიალურ სიკეთეებზე, მიზნებსა და პროც-ესებზე, კონფლიქტზე მუშებსა და კაპიტალისტებს შორის და ერთი კლასის საყოველთაო დაქვემდებარებაზე მეორისადმი"[29].

გ)იდეალური საზოგადოების მოდელი

კ. მარქსის რწმენით, კაპიტალიზმი, რომლის ერა „XVI საუკუნეში იღებს სათავეს", გამორიცხავს *საზოგადოების ჰუმანიზაციას და დემოკრატიას* წარმოების *საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და ბაზარზე ანარქიის გამო*. ამ სისტემაში მუშაობენ მოგებისთვის, ადგილი აქვს ერთი კლასის მიერ მეორის ექსპლოატაციას, ხოლო ადამიანი (მეწარმეც და მუშაც) უცხო ხდება საკუთარი თავის მიმართ, რამდენადაც მას არ შეუძლია თვითრეალიზება შრომაში, რომელიც დეგრადირებულია მხოლოდ არსებობის საშუალებებში განუჭვრეტელი ბაზრის პირობებში და მკაცრი კონკურენტული ბრძოლის პირობებში. ხოლო რაც შეეხება ჭეშმარიტ თავისუფლებას შრომის გარეშე, ე.ი. თავისუფალ დროს, იგი მარქსის მიხედვით, „სიმდიდრის საზომი" გახდება არა კაპიტალიზმის დროს, არამედ კომუნიზმის დროს. მაგრამ „კაპიტალის" ავტორს მართლაც „არ გააჩნია არანაირი დამაჯერებელი მონაცემები არც იმ მომენტის შესახებ, როდესაც კაპიტალიზმი შეწყვეტს ფუნქციონირებას, და არც იმის შესახებ, რომ მოცემულ კონკრეტულ მომენტში მან ფუნქციონირება უნდა შეწყვიტოს. მარქსმა მოსაზრებათა განსაზღვრული რაოდენობა წარმოადგინა,

რომლებიც საშუალებას იძლევა ჩავთვალოთ, რომ კაპიტალისტური წყობილება ცუდად და ცუდად იფუნქციონირებს, მაგრამ მან ეკონომიკურად ვერ დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობები მას დაან-გრევენ"[30].

ხაზი უნდა გაესვას, რომ მარქსის მოსაზრებებში კაპიტალიზმის გარდაუვალი კრახის შესახებ, ძირითადია არა საზოგადოების კლასებს შორის შემოსავლების განაწილების საბაზრო პრინციპების დარღვევა, არამედ ის, რომ ეს სისტემა სრულ დასაქმებას ვერ უზრუნველყოფს, კოლონიური ესპლოატაციისა და ომებისკენ იხრება. საზო-გადოებრივ იდეალად იგი თვლიდა *სოციალიზმს და კომუნიზმს, უწოდებდა რა მათ არაანტაგონისტური კომუნისტური საზოგადოების ფაზებს, რომლის დროსაც წარმოების საშუალებები მეტი ალარ იქნება ინდივიდუალური მითვისების ობიექტი და ყოველი ადამიანი თავისუფლებას შეიძენს*[31].

კლასების თეორია

სხვათა შორის, მარქსის დარწმუნებულობა უკლასო საზოგადოების იდეალების გამარჯვებაში, უნინარეს ყოვლისა, ეფუძნება კლასების თეორიას, რომელიც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კუთვნილებას შეადგენს ჯერ კიდევ ფიზიოკრატების და ა. სმითის დროიდან. თვლიდა რა საკუთარ თავს „კლასიკოსების" მიმდევრად, იგი მართლაც მუშაობდა „ძირითადად ეკონომიკური ზრდის პრობლემაზე, სახელდობრ კი კეთილდღეობისა და შემოსავლების ზრდაზე, და ასევე ამ მზარდი შემოსავლის შრომას, კაპიტალსა და მიწათმოქმედებს შორის, ე.ი. კლასებს შორის განაწილების პრობლემაზე"[32]. მაგრამ კლასების მისეული თეო-რიის ცენტრალური იდეაა *კლასობრივი ბრძოლა საზოგადოებრივი ჯგუფების გამარტივე-ბისა და პოლარიზაციის ტენდენციასთან საზოგადოების ძირითადი კლასების გარშემო.*

ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" კ. მარქსი წერდა: „ყველა, დღემდე არსებული საზოგადოებების ისტორია, იყო კლასების ბრძოლის ისტორია. თავისუფალი და მონა, პატრიცია და პლებეი, მემამულე და გლეხი, ოსტატი და ქვეოსტატი, მოკლედ, დამთრგუნველი და დათრგუნული მუდმივ ანტაგონიზმში იმყოფებოდნენ ერთმანეთისადმი, ახორციელებდნენ განუწყვეტელ ან ფარულ ბრძოლას, რომელიც ყოველთვის მთელი საზოგადოებრივი შენობის რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლი კლასების საერთო დაღუპვით მთავრდებოდა"[33]. კ. მარქსის მიხედვით, გამონაკლისი არ იქნება კაპიტალისტური საზოგადოებაც, მისი მზარდი წინააღმდეგობებით: ბურჟუაზია, როგორც გაბატონებული კლასი ქმნის უფრო მწარმოებლურ წარმოების საშუალებებს, ხოლო უმრავლესობის შემადგენელი პროლეტარიატი სიღარიბეში

რჩება. აქედან, მისი მოსაზრებით, გარდაუვალია რევოლუციური კრიზისი, რამდენადაც მწარმოებლური ძალების განვითარებით გამოწვეული გაღარიბება (*პაუპერიზაცია*) ბოლოს და ბოლოს იმდენად ყოვლისმომცველი გახდება, რომ საზოგადოების სხვა ფენების ხარჯზე გაზრდილი პროლეტარიატის რაოდენობა (პროლეტარიზაცია) საშუალებას მისცემს მას კონსტიტუირება მოახდინოს მოსახლეობის უმეტესობის კლასში და განახორციელოს პროლეტარული რევოლუცია ხელისუფლების ხელში ასაღებად არა უმცირესობისთვის, რაც დამახასიათებელი იყო წარსულის რევოლუციებისთვის, არამედ ყველას სასარგებლოდ, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შედეგად. ამრიგად, არ იქნება არც კაპიტალიზმი, არც კლასები, რამდენადაც, კ. მარქსის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილზე მისი კლასებით და კლასობრივი წინააღმდეგობებით მოდის ასოციაცია, რომელშიც თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას განვითარების პირობა იქნება“[34].

კ. მარქსის კლასების თეორიაში რატომ არის საუბარი ორ კლასზე, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ კაპიტალიზმის ისტორიულ დრამაში? მარქსის მიხედვით, კაპიტალის III ტომის უკანასკნელი თავის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომელსაც კლასები ეწოდება, თუმცა „დაქირავებული მუშები, კაპიტალისტები და მიწის მესაკუთრეები ქმნიან თანამედროვე საზოგადოების სამ დიდ კლასს, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესს ემყარება“[35] და მათი შემოსავლები - ხელფასი, მოგება და რენტა - წარმოადგენს „სამერთიან ფორმულას, რომელიც მოიცავს წარმოების საზოგადოებრივი პროცესების ყველა საიდუმლოს“[36], მიუხედავად ამისა, ძირითადი კლასების ნიშნის ქვეშ მაინც ხვდება ორი და არა სამი კლასი. საქმე ისაა, რომ კაპიტალიზმის განვითარებით, ვარაუდობს „კაპიტალის“ ავტორი, რენტის, როგორც შემოსავლის წყაროს მნიშვნელობა მთელი ეკონომიკის მზარდი ინდუსტრიალიზაციით შემცირდება, ამიტომ დარჩება შემოსავლის ორი დიდი წყარო-მოგება და ხელფასი, და ორი დიდი კლასი -სამუშაო ძალის მფლობელი პროლეტარიატი და ზედმეტი ღირებულების მიმთვისებელი კაპიტალისტები. ამასთან, უკანასკნელები კ. მარქსისთვის, ისე როგორც ა. სმითისთვის და დ. რიკარდოსთვის იმავდროულად შრომის ორგანიზატორებს, ტექნიკური პროგრესის ხელმძღვანელებს და წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებს წარმოადგენენ, ე.ი. საკუთარ თავში კაპიტალისტის ფუნქციებსაც და მეწარმის ფუნქციებსაც აერთიანებენ. დაბოლოს, სიტყვის მკაცრი გაგებით, კ. მარქსის პოზიციებიდან ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი როდი შეიძლება ხასიათდებოდეს, როგორც კლასი, ვინაიდან, თუკი ადამიანთა რომელიმე ჯგუფის ნარმომადგენლებს, ისე როგორც „წვრილ გლე-

ხებს", რომელთა შესახებ იგი ჯერ კიდევ 1852 წელს წერდა ნაშრომში „ლუი ბონაპარტის თვრამეტი ბრიუმერი", „არსებობს მხოლოდ ადგილობრივი კავშირი, რამდენადაც მათი ინტერესების იგივეობრივობა მათ შორის, არანაირ ერთობას, არანაირ ეროვნულ კავშირს, არანაირ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ ქმნის-ისინი კლასს არ ქმნიან "[37].

იმავე 1852 წელს 5 მარტის წერილში ი. ვეიდემეიერისადმი, კ. მარქსი წერდა: „ის რაც მე ახალი გავაკეთე, შემდეგის დამტკიცებაში მდგომარეობდა: 1) რომ კლასების არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთან; 2) რომ კლასობრივ ბრძოლას აუცილებლად პროლეტარიატის დიქტატურამდე მივყავართ; 3) რომ ეს დიქტატურა თვითონ შეადგენს მხოლოდ ყოველგვარი კლასების განადგურებაზე და უკლასო საზოგადოებაზე გადასვლას"[38]. როგორც ვხედავთ, ყველაფერი იმისგან, რაც კ. მარქსმა *„ახალი გააკეთა" კლასების თეორიაში, მისივე აღიარებით მთავარი „მდგომარეობდა" პროლეტარიატის აღმასვლაში, თავის დროზე ბურჟუაზიის აღმასვლის მსგავსად"*.

კაპიტალის თეორია

კაპიტალიზმის წინააღმდეგობებში და ზუსტად ასევე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების წინააღმდეგობებშიც, კ. მარქსი ყურადღების აქცენტირებას ახდენს *კაპიტალის თეორიაზეც*. უკვე კატეგორია „კაპიტალის" განმარტებაში მისი არსი მის მიერ *შედარებულია მუშის „ექსპლოატაციის საშუალებასთან" და ძალაუფლების დაწესებასთან სამუშაო ძალასთან"*[39].

მაგრამ კ. მარქსს კიდევ, *„კაპიტალის" ორი განმარტება ეკუთვნის*. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ნათელია, როდესაც იგი წერს, რომ „მათთან შეერთებით მკვდარ საგნობრივ ცოცხალ სამუშაო ძალას კაპიტალისტი ღირებულებად გადააქცევს - წარსულ, განივთებულ, მკვდარ შრომად-კაპიტალად, თვითმზარდ ღირებულებად, გასულიერებულ ურჩხულად, რომელიც „მუშაობას" იწყებს თითქოსდა სასიყვარულო გატაცების ზეგავლენით"[41]. მეორე განმარტება ცხადია „კაპიტალის" ავტორის მითითებაში ზედმეტი ღირებულების წარმოშობასა და კაპიტალის თვითზრდის ურთიერთკავშირიდან, და კერძოდ, როდესაც იგი ადასტურებს რომ: „მხოლოდ ის მუშაა მწარმოებლური, რომელიც კაპიტალისტისთვის ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს ან კაპიტალის თვითზრდას ემსახურება"[42].

კ. მარქსის კაპიტალის თეორიაში სიახლის ელემენტად ალბათ შეიძლება დავასახელოთ „კაპიტალის" I ტომის 23 თავის შესავალი, *კაპიტალის ორგანული შედგენილობის* ცნება, როგორც *მუდმივ და ცვალებად კაპიტალებს შორის თანაფარდობა*. სწორედ

ამ ცნების მეშვეობით იგი შემდეგ გადადის კიდევ უფრო მნიშვნელოვან, მისი შეხედულებით, მახასიათებელზე-*ექსპლოატაციის ნორმაზე, რომელიც განისაზღვრება, როგორც შეფარდება ზედმეტ ღირებულებასა და ცვალებად კაპიტალს შორის.* კაპიტალის დაყოფით მუდმივ და ცვალებად კაპიტალებად (და არა, როგორც სმით-რიკარდოს-ძირითად და საბრუნავ კაპიტალად), კ. მარქსს მხედველობაში აქვს, როგორც მის მიერ გამოყოფილი კაპიტალის ნაწილების მოძრაობის სპეციფიკა, ისე ყოველი ამ ნაწილის ზეგავლენის სპეციფიკა ზედმეტი ღირებულების მასაზე პროდუქტის ღირებულებაში. კერძოდ, კაპიტალის მოძრაობის შესახებ დანერილებით საუბარია „კაპიტალის" II ტომის მე-8 თავში, სადაც საქმე ეხება კაპიტალის წრებრუნვას, რომლის შესაბამისად მუდმივ კაპიტალს თავისი ფასეულობა გადააქვს შექმნილ პროდუქტზე ნაწილ-ნაწილ, ხოლო ცვალებადს-მთლიანად, ე.ი. ანაზღაურებას ექვემდებარება ყოველი სანარმოო ციკლის შემდეგ. განსხვავება აქ იმაშია, რომ *ძირითადი კაპიტალი, საბრუნავისგან განსხვავებით, შეილება განსახიერდეს მანქანებში და მოწყობილობებში, ან წარმოებისთვის აუცილებელ ნედლეულში და ზედმეტ ღირებულებას არ ქმნის.*

კაპიტალის სტრუქტურის ზედმეტი ღირებულების შექმნაზე ზეგა-ვლენის კ. მარქსისეული მსჯელობები ერთმნიშვნელოვანი როდია. ასე მაგალითად, „კაპიტალის" I ტომის ჩანაფიქრის მიხედვით, ზედმეტი ღირებულების წილი სანარმოში ან ეკონომიკის დარგში მით მეტია, რაც მეტია ცვალებადი კაპიტალისა და შრომის წილი, მაგრამ მით ნაკლებია, რაც მეტია კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში მუდმივი კაპიტალის წილი, ე.ი. მაღალია მექანიზაციისა და სანარმოს ან დარგის გაჯერების დონე მანქანებით ან მონყობილობით. „კაპიტალის" III ტომის ჩანაფიქრის მიხედვით უნდა დადგეს "მოვენებითი" წინააღმდეგობის დასასრული, როდესაც კ. მარქსი რეკომენდაციას აძლევს *განსხვავებულ იქნეს ცნებები ზედმეტი ღირებულების ნორმა და მოგების ნორმა. პირველი დაიყვანება მაჩვენებლამდე, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც ზედმეტი ღირებულების შეფარდება ცვალებად კაპიტალზე. მეორე კი (რამდენადაც საქმე ეხება ზედმეტი ღირებულების „გარეგნულ ფორმას") განიხილება ზედმეტი ღირებულების შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან, ე.ი. მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ჯამთან.*

ამასთან, როგორც კ. მარქსი ვარაუდობდა, ისტორიული ფენომენის არსის დასასრული იმაში მდგომარეობს, რომ მოგების ნორმას დაცემის ტენდენცია გააჩნია, არა რიკარდო-მილის დებულებებთან დაკავშირებით პირველი მოთხოვნილების პროდუქტებ-

ზე ფასების მატების შესახებ, რომელიც გამოწვეულია დემოგრაფიული ფაქტორებით და მინის კლებადი („კანონის" ძალით) ნაყოფიერების გამო, არამედ *კაპიტალის ორგანული შედგენლობის ტრანსფორმაციის გამო საერთო კაპიტალში ცვალებადი კაპიტალის წილის შემცირების მიმართულებით, რომელიც განპირობებულია კაპიტალის დაგროვებით. თავის მხრივ, კაპიტალის დაგროვება* - ეს, მარქსის მიხედვით, *კონკურენტულ ბრძოლაში ფირმებისა და კომპანიების სიდიდის გადიდების, ე.ი. კაპიტალის „კონცენტრაციის* და ცენტრალიზაციის" *შედეგია*, რომელსაც იმავდროულად თან ახლავს „სამრეწველო სარეზერვო არმიის გადიდება, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, უმუშევრობის აბსოლუტური სიდიდის და „ოფიციალური პაუპერიზმის" ზრდა. კაპიტალის დაგროვების ასეთ ბუნებას კ. მარქსი უწოდებდა *„კაპიტალის დაგროვების აბსოლუტურ, საყოველთაო კანონს".*

ღირებულების თეორია

კ. მარქსის „კაპიტალში" ერთ-ერთი საკვანძოა შრომითი ღირებულების თეორია, რომელზე დაყრდნობითაც იგი შემდგომ აყენებს ზედმეტი ღირებულების თეორიას და მისგან გამომდინარე დასკვნებს კაპიტალიზმის ანტაგონისტური და ექსპლოატატორული არსის შესახებ.

შრომითი ღირებულების შესახებ საუბარი იწყება „კაპიტალის" I ტომის უკვე პირველ თავში, სადაც ყალიბდება თეზისი საქონელთა გაცვლის პრინციპების შესახებ ფასეულობის შესაბამისად, რომელიც მათი წარმოებისთვის საჭირო შრომის პროპორციულია. შრომის ხარისხობრივ განსხვავებათა, ე.ი. შრომის სხვადასხვა ინტენსივობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინების შემდეგ, შემოიტანება დებულება საშუალო საზოგადოებრივი შრომის შესახებ, ხოლო უფრო ზუსტად-*„საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროის შესახებ"*, ანუ შრომის დანახარჯების შესახებ „მოცემულ შემთხვევაში შრომის საშუალო დონის დახელოვნების და ინტენსიურობის დროს". ამრიგად, ღირებულების განმარტება, რომელიც ემყარება შრომით დანახარჯების გაზომვას, მარქსის მიხედვით, ერთადერთი და სწორია, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნისა და მიწოდებისგან დამოკიდებულებით საქონლის ფასი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ღირებულებასთან შედარებით.

კაპიტალის" III ტომის 1-3 თავებში ნაჩვენებია კაუზალური მიდგომის გამოყენება, რომელიც ნიშნავდა კ. მარქსის *„წარმოების ფასის"* კონცეფციის დასაბუთებას, როგორც მეორეულ კატეგორიაზე გადასვლას, „ღირებულების" პირველად კატეგორიასთან შედარებით. წარმოების ფასი აქ ყოველთვის ცხადდება „შესყიდ-

ვის ფასთან" შესადარებლად. ძირითადი არგუმენტი, თუკი „კაპიტალის" III ტომის მე-9 და მე-10 თავებით თუ ვიმსჯელებთ, ამასთან იმაზე დაიყვანება, რომ მხოლოდ *„მარტივი კვლავწარმოების დროს"*, ე.ი. საბაზრომდელ ეკონომიკაში, ასევე „კაპიტალის საშუალო ორგანული შედგენილობის" კაპიტალიზმის დროს სავსებით მართლზომიერი იქნებოდა გვეფარაუდა, რომ *„ფასები მხოლოდ ღირებულების კანონით რეგულირდება"*. განვითარებულ კაპიტალისტურ ეკონომიკაში კი, ამტკიცებს კ. მარქსი, „ფასეულობის (ღირებულების-ი.ი.) წარმოების ფასად გადაქცევაში უშუალო დაკავირვებიდან იმალება ფასეულობის განსაზღვრის თვით საფუძველი"(ტომი III, თავი 9).

ამრიგად, კ. მარქსი სრულებით არ ამბობს უარს შრომითი ღირებულების თეორიაზე. უბრალოდ, აცხადებს იგი, განვითარებულ ეკონომიკაში ღირებულების წარმოების ფასად გადაქცევაში „იმალება უშუალო დაკვირვებიდან" მისი საფუძველი - შრომა, და ამიტომ, „წარმოების ფასი" - ეს ისაა, რასაც ადამ სმითი, ბუნებრივ ფასს უწოდებს, რიკარდო - წარმოების ფასს, ანუ წარმოების ღირებულებას, ხოლო ფიზიოკრატები - აუცილებელ ფასს, რამდენადაც ხანგრძლივ პერსპექტივაში წარმოების ფასი მიწოდების სავალდებულო პირობას წარმოადგენს (თავი 10, ტომი III).

მეცნიერებისა და საბაზრო ეკონომიკის კანონებზე აპელირებით კ. მარქსი დარწმუნებულია, რომ *ნებისმიერ საზოგადოებაში ღირებულების კანონის დაცვის გარეშე გაცვლა განუხორციელებელია*. და აკრიტიკებდა რა ე.წ. XIX ს. 30-40 წწ. სოციალისტ-რიკარდოელებს-მათი დოქტრინისთვის *„შრომის უფლებები შრომის სრულ პროდუქტ ზე"*, იგი მიუთითებდა უწინარეს ყოვლისა, მათ განდგომას იმისგან, რაც 1830 წლისთვის „მეცნიერულმა" ბურჟუაზიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ დატოვა. „პოლიტიკურ ეკონომიას შეუძლია დარჩეს მეცნიერებად მხოლოდ იქამდე, - აღნიშნულია „კაპიტალის" I ტომის გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში, - სანამ კლასობრივი ბრძოლა ფარულ მდგომარეობაშია, იზოლირებულად და სპორადულად ჩნდება".

კ. მარქსის ღირებულების თეორიის შესახებ საუბრის გასაგრძელებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფულის არსისა და ღირებულების თაობაზე („კაპიტალის" I ტომის მე-2 და მე-3 თავები) იგი თითქმის მთლიანად იზიარებს რიკარდო-მილის დებულებებს, ერთის - ფულის რაოდენობრივი თეორიის გამონაკლისით. მისი მთავარი არგუმენტი ამასთან - სავაჭრო ბრუნვების და ფულადი მასის ბრუნვების დროის დადგენილი პერიოდის არამუდმივი ხასიათის დამონმებაა[43].

კ. მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიაზე გადასასვლელად, მართებულია იქვე დავსვათ კითხვა: როგორ წარმოიშობა იგი, თუკი ყველაფერი იყიდება და შეისყიდება თავისი ფასეულობის მიხედვით „ექვივალენტების გაცვლის“ პრინციპით, ე.ი. თუკი საქონლები იცვ-ლებიან წარმოების პროცესში განივთებული შრომის პროპორციულად? პასუხი ამ კითხვაზე უფრო სრული და გასაგები იქნება, თუკი *მივმართავთ მისი ხელფასის თეორიას.*

„კაპიტალის“ ავტორი განმარტავს *დაქირავებული მუშის მიერ ხელფასის მიღებას, როგორც კაპიტალისტთან გაცვლის შედეგს მისთვის მიყიდული „სამუშაო ძალისთვის“, და არა თვით შრომისთვის,* როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლები ვარაუდობდნენ. ამ თეორიის თანახმად, ხელფასი მუშისა და მისი ოჯახის შესანახად საჭირო საქონელთა რაოდენობის ექვივალენტურია. მისი დონე დამოკიდებულია შრომის მწარმოებლურობაზე, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია წარმოების მექანიზაციისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის ხარისხით, რომელიც საბოლოო ანგარიშში დაბრკოლება ხდება ხელფასის ზრდისთვის, რამდენადაც ტექნიკურ-ეკონომიკური პროგრესი წარმოშობს სამუშაო ძალის მუდმივ სიჭარბეს. უკანასკნელი განსაზღვრავს გაცვლის ურთიერთობათა ჯგუფს კაპიტალისტებსა და მუშებს შორის, მუშების საზიანოდ [44].

ამრიგად, მარქსის მიხედვით, რამდენადაც მუშის მიერ იყიდება სამუშაო ძალა, და არა შრომა, არ შეიძლება ეჭვი დარჩეს იმაში, რომ „*აუნაზღაურებელი შრომას*“, რომელიც შეიძლება გამოვავლინოთ და გავზომოთ, ხელფასთან ურთიერთობა არ გააჩნია, ხოლო „*აუნაზ-ღაურებელი სამუშაო ძალა*“ არ შეიძლება დაფიქსირდეს, ვინაიდან „*გარიგება*“ *ხორციელდება მუშის მთლიანი სამუშაო ძალის ფასეულობაზე გასაცვლელად*[45].

კ. მარქსის რწმენით, *რეალური ხელფასი „არასოდეს არ იზრდება შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების პროპორციულად* და პროფკავშირებსაც კი, რომელთა იმედი შეიძლება მუშებს ჰქონოდათ, თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკის პირობებში, არ შეუძ-ლიათ რამდენადმე სერიოზულად შეეცვალათ ასეთი სიტუაცია. უფრო მეტიც, როგორც „კაპიტალის“ ავტორი გვამცნობს, საქონელთა და მომსახურების ფასეულობის შემცირება ფულად გამოხატულებაში, შრომის მწარმოებლურობის ზრდის წყალობით ყოველთვის მუშების მიერ შეძენილ საქონელთა ფასების ადექვატურ შემცირებას გამოიწვევს და რეალური ხელფასი საბოლოო ჯამში არსებითად არ გაიზრდება, ხოლო აქედან შორი როდია მათ მიერ შეპირებულ „*პაუ-პერიზაციამდე*“ და *მუშათა კლასის „გონებრივ დეგრადაციამდე*“[46].

ზედმეტი ღირებულების თეორია

ახლა ლოგიკურია გადავიდეთ კ. მარქსის მოძღვრების საკვანძო თეორიაზე - *ზედმეტი ღირებულების თეორიაზე*, რომლის შესახებაც საუბარი „კაპიტალის" I ტომის მე-4 თავში იწყება. მასში (თეორიაში) დასტურდება, რომ თუმცა სამუშაო ძალა, როგორც საქონელი ღირებულების მიხედვით იყიდება, მაგრამ სწორედ ეს საქონელი არის ის ერთადერთი სპეციფიკური საქონელი, რომლის ფასეულობა (მუშისა და მისი ოჯახისთვის აუცილებელ საქონელში) შეუძლებელია დადგინდეს კაპიტალიზმის დროს ფასეულობათა (ღირებულების) შრომითი თეორიის პრინციპებთან ზუსტ შესაბამისობაში. ამ მოვლენის გამოცნობა კ. მარქსთან საკმაოდ მარტივია, და მისი არსი დაახლოებით ასეთია: *შრომა გაზომვას ექვემდებარება სიზუსტით, ხოლო სამუშაო ძალის შეფასება - ეს დიდწილად პრობლემატიკაა*, რომელიც, როგორც პ. არონმა გამოხატა, განისაზღვრება „ზნე-ჩვეულებების და კოლექტიური ფსიქოლოგიის მდგომარეობით, რასაც თვით მარქსიც აღიარებდა"[47].

ამიტომ „კაპიტალის" ავტორის დასკვნა ერთმნიშვნელოვანია- *ზედმეტი ღირებულების წყაროა მხოლოდ მწარმოებლურ მუშათა „აუნაზღაურებელი შრომა", რომლებიც თავის შრომას ყიდიან*. ამასთან, ზედმეტი ღირებულების ამოღების მექანიზმი კ. მარქსის გაგებით - ეს მოცემულობაა, რომელიც ასევე მარტივი და ცხადია: „აუცილებელი დროის" განმავლობაში, რომელიც ყოველთვის ნაკლებია ფაქტობრივად გამომუშავებულ დროზე, მუშა თავისი *„აუცილებელი შრომით"* გამოიმუშავებს თავისი სამუშაო ძალის ფასეულობას, რათა მიიღოს იგი ხელფასის ფორმით, ხოლო *„ზედმეტი დროის"* განმავლობაში ადგილი აქვს უკვე *„ზედმეტ შრომას"*, რომელიც ქმნის კაპიტალისტების სასურველ *„ზედმეტ ღირებულებას"*. და რამდენადაც, ამრიგად, სახეზეა ექსპლოატაცია, სხვებს შორის შემოთავაზებულია „ფორმულაც", რომლის დახმარებით უნდა გაიზომოს ამ ექსპლოატაციის დონე (ხოლო მარქსის მიხედვით „ნორმა"), და კერძოდ, *„ექსპლოატაციის ნორმა" - ეს, ზედმეტი ღირებულების სიდიდესა და ცვალებადი კაპიტალის ანაზღაურებას დაქვემდებარებულ სამუშაო ძალის სიდიდეს შორის თანაფარდობის შედეგია* (ვინაიდან მუდმივ კაპიტალს, გამოხატულს მანქანებსა და ნედლეულში, შეუძლიათ თავიანთი ფასეულობა მხოლოდ პროდუქტზე გადაიტანონ, მაგრამ არ შექმნან დამატებითი ღირებულება)".

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ კ. მარქსი განასხვავებდა ცნებებს „ზედმეტი ღირებულების ნორმა"(ანუ სხვაგვარად-„ექსპლოატაციის ნორმა") და „მოგების ნორმა", ამასთან უკანასკნელი-ეს პირველის გარდაქმნილი (გარეგნული) ფორმაა. მათი გამოყენებით, იგი გვიჩ-ვენებს *თავისუფალი კონკურენციის პირობებში სა-*

ბაზრო ეკონომიკის სამეურნეო მექანიზმის „საიდუმლოთა" საუკეთესო გაგებას. თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ასე, მაგალითად, ზედმეტი ღირებულების თეორიის „ლოგიკით"-რაც უფრო ხანგრძლივია სამუშაო დღე, მით მეტი შეიძლება იყოს ზედმეტი ღირებულების მასა და ექსპლოატაციის ნორმა. მაგრამ კ. მარქსი თვლის, რომ არ შეიძლება საუკეთესოდ და სწორად ჩაითვალოს ზედმეტი ღირებულების გადიდების ხერხი, „ზედმეტი დროის" გახანგრძლივების მეშვეობით, რომელსაც აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების მოტანით, სხვა თანაბარ პირობებში, შეუძლია გამოიწვიოს დამატებითი ზედნადები ხარჯები, შეამციროს სამუშაო დროის ყოველი საათის უკუგება, რომ არაფერი ვთქვათ თვით მუშათა გარდაუვალ პროტესტზე (თუმცა სწორედ ასე შეიძლება მოგების იმედი გვქონოდა, თუკი ვალიარებთ, რომ მას ქმნის დახარჯული შრომა და არა კაპიტალი). უფრო მეტიც, „კაპიტალის" ავტორმა დამამციერებლად გააკრიტიკა ნ. სენიორის „უკანასკნელი საათის თეორია", მასში მოცემული იდეის და მრავალ სხვათა შესახებ, რომ მუშის სამუშაო დღის მხოლოდ უკანასკნელი საათის განმავლობაში იქმნება კაპიტალისტის წმინდა მოგება. მისი ურყევი რწმენით, მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელი დროის (აუცილებელი შრომის) ხანგრძლივობის შემცირება, შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე, *„შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების"* მოტანით, იმავდროულად გააძლიერებს ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემის ტენდენციას, ყოველი კაპიტალისტი, მიუხედავად ამისა, როგორღაც ინტუიტიურად მიისწრაფის *სწორედ მოგების ნორმის მაქსიმიზებისაკენ, რამდენადაც მასში და არა თვით ზედმეტ ღირებულებაში თავისთავად, არის წარმატების საწინდარი მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში* (გავიხსენოთ, რომ მოგების მარქსისეული ნორმა იანგარიშება ზედმეტი ღირებულების შეფარდებით მთლიან კაპიტალთან, ე.ი. მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ჯამთან).

მწარმოებლური შრომის თეორია

ზედმეტი ღირებულების თეორია კ. მარქსთან ამოსავალი პოზიციაა ჯერ კიდევ ფიზიოკრატების მიერ შემოტანილი ცნების *„მწარმოებლური შრომის"* განმარტებისთვის. აქ არსებითად ჯ. ს. მილის განმარტებასთან სოლიდირობით (I ტომის 22-ე თავში მან შეუძლებლად ჩათვალა მისი მიკუთვნება ვულგარული ეკონომისტაპოლოგეტებისადმი), „კაპიტალის" ავტორი მაინც აზუსტებს (I ტო-მის მე-14 თავის და II ტომის რიგი მაგალითებით), რომ *შრომა მწარმოებლურია,* ჯერ-ერთი, *თუკი აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას,* მზარდს არა „აბსოლუტური" ფორმით, არამედ „შეფარდე-

ბითი ზედმეტი ღირებულების" ფორმით, რომელიც *სასიცოცხლო საშუალებათა ღირებულების (ფასეულობის) გაიაფების საშუალებას იძლევა* და, მეორე, თუკი ვაღიარებთ, რომ *მწარმოებლურ შრომას შეუძლია შექმნას ზედმეტი ღირებულება მხოლოდ წარმოების სფეროში და არა მიმოქცევის სფეროში.*

მოგების ნორმის კონცეფცია

კ. მარქსის მსჯელობები მოგების ნორმის შესახებ ბევრად ემთხვევა დ. რიკარდოს დებულებებს. კერძოდ, მარქსის მიხედვით, ასევე ბუნებრივია კონკურენციით განპირობებული *კაპიტალის გადადინების მექანიზმი* ერთი საქმიანობიდან მეორეზე, რაც *ხელს უწყობს მოგების ნორმის შემცირების ტენდენციას, მოგების საშუალო ნორმის წარმოქმნას.* მათ მსჯელობებში არსებული განსხვავება მდგომარეობს არა მხოლოდ ერთი შეხედვით ფორმალობაში, რომ კ. მარქსი განიხილავს ზედმეტი ღირებულების საერთო მასის ეკონომიკის სექტორებს შორის განაწილებას, ხოლო დ. რიკარდო - მოგებისას, მაგრამ უწინარეს ყოვლისა მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონის არსის განმარტებაში.

ეს დაშორიშორება ასეთია: დ. რიკარდო აღნიშნულ ტენდენციას განმარტავს, როგორც კონკურენტული ბრძოლის შედეგს, რომელიც კაპიტალისტებს აიძულებს თავისი კაპიტალი მიმართოს ეკონომიკის უფრო მოგებიან „ნიშებში", რაც მოგების ნორმის თანდათანობითი შემცირების მულტიპლიკაციურ ეფექტს განაპირობებს, რომელიც ძლიერდება „სულ უფრო და უფრო მეტი შრომის" დანახარჯთა მოთხოვნით, მაგრამ ყოველთვის შეწყვეტადს „სრულყოფილების წყალობით მანქანებში და ასევე აღმოჩენებით აგრონომიულ მეცნიერებაში". *კ. მარქსის მიხედვით კი* (III ტომის მე-13-15 თავები), „საქმე" პრინციპულად სხვაგვარადაა, ვინაიდან მის განმარტებაში *მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია - ეს კაპიტალიზმის თვითდანგრევის მექანიზმის ისტორიული ფენომენია, მოგების მყარი სტაბილური ნორმისადმი გარდაუვალი გამოდევნების მეშვეობით, კაპიტალის ორგანული შედგენილობის შეცვლით მისი გადიდების სასარგებლოდ მუდმივი კაპიტალის წილის მთლიან მოცულობაში, და შესაბამისად, ცვალებადი კაპიტალის წილის შემცირებით, რომელიც ზედმეტი ღირებულების სასურველი წყაროა,* ხოლო უკანასკნელი-„კაპიტალისტური წარმოების სახელმძღვანელო მოტივი, ზღვარი და საბოლოო მიზანია" (ტომი I, თავი 11).

რენტის თეორია

რენტის თეორიის არსი „კაპიტალში" თითქმის დ. რიკარდოს რენტის თეორიის ანალოგიურია. განსხვავება, ალბათ, კ. მარქსის

შევსებაშია, *„დიფერენციალურ" რენტასთან ერთად, „აბსოლუტური" რენტის არსებობის შესახებ.* უკანასკნელის წარმოშობას „კაპიტალის" ავტორი უკავშირებს სოფლის მეურნეობაში კაპიტალის ორგანული შედგენილობის სპეციფიკურად დაბალ დონეს და მინაზე კერძო საკუთრების არსებობას. პირველთან დაკავშირებით, ვარაუდ-ობს იგი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასეულობა ყოველ-თვის უფრო მაღალია მის „წარმოების ფასზე", ხოლო მეორე ფაქტორის ძალით სოფლის მეურნეობაში არ შეიძლება იმუშაოს „კაპიტალის გადადინების" მექანიზმმა, რომელმაც მოგების ნორმა აქ საშუალო მაჩვენებლამდე დაიყვანა. ამის შედეგად მინის მესაკუთრე შესაძლებლობას იღებს ფერმერი-მოიჯარისგან მოითხოვოს საიჯარო ქირა, რომელიც აჭარბებს რენტის ბუნებრივ დონეს, ე.ი. მიიღოს იმისი ანალოგიური ზემოგება, რაც სხვა თანაბარ პირობებში მოაქვს მიწის უკეთეს ხარისხს (ნაყოფიერებას) ან მინის ნაკვეთების არაერთნაირ დაშორებას გასაღების ბაზრებიდან[48].

კვლავწარმოების თეორია

მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონის მრავალფეროვან გამოვლენათა საფუძველზე კ. მარქსი აყენებს *ეკონომიკის ციკლური განვითარების თეორიას კაპიტალიზმის დროს*, ე.ი. მოვლენებს, რომელსაც იგი ახასიათებს, როგორც *„ეკონომიკურ კრიზისებს"*. ამ თეორიის ცენტრალური იდეა, რომელიც მიმართულია თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკის პირობებში კვლავწარმოებითი პროცესის თავისებურებათა გამოვლენაზე, იმაში მდგომარეობს, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევას და თანამიმდევრულ ეკონომიკურ ზრდას ანტაგონისტური კაპიტალისტური საზოგადოებისთვის შინაგანად დამახასიათებელი წინააღმდეგობები აფერხებს. როგორც ვ. ლეონტიევი წერს, „უ. ბ. სეის (ასევე, ა. სმითის-ი.ი.) მსჯელობათა წინააღმდეგ გამოსვლისას საბოლოო ანგარიშში საზოგადოების მთლიანი პროდუქტის შემოსავლებზე დაყვანის შესახებ, მარქსმა შექმნა ფუძემდებლური სქემა, რომელიც აღწერს ურთიერთკავშირს წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების გამომშვებ დარგებს შორის"[49]. მაგრამ მისი სქემის მნიშვნელობა, რომელშიც ეკონომიკა იყოფა ორ ქვედანაყოფად, დაიყვანება არა მხოლოდ კვლავწარმოების მარტივ და გაფართოებულ ტიპებს შორის განსხვავებათა ასახვამდე, არამედ ასევე მკითხველის საბოლოოდ დარწმუნების მცდელობაზე *„კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის" ფატალურ ხასიათში - ანარმოოს არა მოხმარებისთვის, არამედ მოგების მიღებისთვის.*

მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოების კონცეფცია გადმოცემულია „კაპიტალში" შესაბამისად II ტომის მე-20–ე და 21-

ე თავებში. პოზიტიური მომენტებიდან აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს *ეკონომიკური კრიზისების ვულგარული დოქტრინის ბრწყინვალედ არგუმენტირებული კრიტიკა, ე.ი. კრიზისებისა, რომლებიც განპირობებულია ნაკლმოხმარებით და გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობით სასაქონლო მასის შესაძენად, მათი წარმოების დანახარჯებზე არანაკლები ფასით.*

ნაკლმოხმარების ეკონომიკური კრიზისების დოქტრინის ერთ-ერთი ვარიანტის არსი დაიყვანება მტკიცებაზე იმის შესახებ, რომ თავისი დაბალი ხელფასის გამო მუშებს, რომლებიც მომხმარებელთა დიდ ნაწილს შეადგენენ, ჩამოყალიბებული ფასეულობის მიხედვით, მათ მიერვე წარმოებული სასაქონლო პროდუქციის შეძენა არ შეუძლიათ. მაშასადამე, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი კრიზისების დაძლევა, ხოლო კვლავწარმოება უზრუნველყოფილი, როდესაც უკან მოყვება დამატებითი, მაგრამ არსებითად, იმათი არამწარმოებლური ხარჯები, რომელთანაც საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის დროს თავს მოიყრის მთლიანი შემოსავლის სხვა ნაწილები, ე.ი. შესაბამისად, კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელთა მოგება და რენტა. მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შეუძლიათ (და ვალდებულებიც არიან) განახორციელონ დანახარჯები, როგორც ფუფუნების საგნებზე, ისე მრავალფეროვან არამწარმოებლურ მომსახურებებზე. აქედან დადებითი, თ. მალთუსის მსგავსად, დამოკიდებულება დანახარჯებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია ე.წ. „მესამე პირთა" - საზოგადოების არამწარმოებლური ფენების საქმიანობასთან.

ნაკლმოხმარების ეკონომიკური კრიზისის მეორე ვარიანტი, რომელიც ასევე გააკრიტიკა „კაპიტალის" ავტორმა, ემყარება დაშვებას მთლიანი შემოსავლებისა და შრომის, კაპიტალისა და მიწის ჯამური დანახარჯების ტოლობის შესახებ და ვერსიას იმის შესახებ, რომ განსხვავება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას შემოსავლების დონესა და მოხმარებას შორის, შეიძლება მუდმივად აღმოიფხვრას ინვესტიციებით. შემდგომ წამოყენებულია თ. მალთუსის და მის თანამოაზრეთა მთავარი თეზისი კრიზისების შესახებ, სახელდობრ: მოხმარების ზრდის ტემპები ჩამორჩებიან სამძლავრეთა ზრდის ტემპებს, რომლებიც იქმნებიან შემოსავლების იმ ნაწილით, რომელიც ინვესტიციებზე წარიმართება, და ამიტომ წარმოიშობიან ჭარბი სიმძლავრეები, რომლებიც აჭარბებენ რეალურად არსებულ მოთხოვნას, რაც თავის მხრივ, ინვესტიციების შემცირებას მოითხოვს, შემოსავლების შემცირების და ეკონომიკის დაქვეითების გამოწვევით. როგორც ჩანს, კრიზისების დადგომა დაკავშირებულია ნაკლმოხმარებასთან ჭარბი დანაზოგების საფუძველზე, ე.ი. ზედმეტი დანაზოგებით. ამასთან, კ. მარქსი აკრიტიკებს ყველა ეკონომისტს, რომლებიც სეისა და რიკარდოს მსგავ-

სად, აღიარებდნენ მხოლოდ „კაპიტალის პერიოდულ სიჭარბეს“ და არა „საქონელთა საყოველთაო ჭარბწარმოებას“.

მაგრამ *ეკონომიკური ციკლების ანუ ეკონომიკური კრიზისების თეორიაში ნეგატიური მხარე* თვით კ. მარქსთანაც ასევე უდაოა. იგი გვერდს არ უვლიდა დაუდევრობას, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავევით ნაკლწარმოების კრიზისების მომხრეებისგან, კვლავწარმოების მისეული სქემის მეშვეობით დაადასტურა გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობა. საქმე ისაა, რომ „კაპიტალში“ მკაცრად არის მოცემული არა იმდენად კრიზისების თეორია, რამდენადაც კაპიტალის დაგროვების და შემოსავლების განაწილების *კაუზალური (მიზეზ-შედეგობრივი) შეფასება კაპიტალიზმის დროს, რომელიც გარდაუვლად იწვევს „საყოველთაო ჭარბწარმოების“ პერიოდებს.* ციკლური პროცესი, მარქსის მიხედვით, ალმავლობით იწყება, რომელიც გამოწვეული იყო ერთობლივი მოთხოვნის ზრდით დაგროვებისთვის, მოგების მაქსიმიზებისთვის, რომლისკენაც კაპიტალისტები მიისწრაფიან, - *ეს მიზეზია*; ციკლი მთავრდება დაცემით, რამდენადაც ალმავლობის პერიოდში შრომაზე მზარდი მოთხოვნა აჭარბებს მის რეალურ მინოდებას და იწვევს ხელფასის მომატებას და უმუშევრობის აღმოფხვრას, რაც შემდგომში მოგების ნორმის შემცირებაში და კაპიტალის დაგროვების შემცირებაში გადადის - *ეს შედეგია.* და ისევ იწყება მორიგი ეკონომიკური ციკლი, რომლის მიმდინარეობაში ყალიბდება ეკონომიკის ახალი სტრუქტურები, რომელსაც თან ახლავს ინვესტიციები და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სანამ დაგროვების პროცესში არ მოხდება მოგების ნორმის შემცირების ტენდენციის და კაპიტალისტურ ფასეულობათა უსარგებლობის გაძლიერება, შრომის სარეზერვო არმიის ზრდა და ხელფასის დაცემა და დადგება კრიზისული სიტუაცია.

ამიტომ, სინამდვილეში ციკლური პროცესის ანუ კრიზისის *მარქსისეული სურათი „ერთდროულად სასჯელიც არის და განწმენდაც“*, ვინაიდან „ყველაფერი, რაც კ. მარქსს მხედველობაში ჰქონდა, იმ თვალსაზრისზე დაიყვანებოდა, თითქოსდა კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელია წარმოების განუწყვეტელი გაფართოების ტენდენცია ეფექტიანი მოთხოვნის არსებობისგან დამოუკიდებლად, რომელსაც ეს ერთი აძლევს არსს ამ ნარმოებას“[50]. მისი აზრით, წერს მ. ბლაუგი, „ინვესტიციებზე მოთხოვნა შენარჩუნდება, ხოლო კაპიტალი მთელი სიმძლავრით მანამ იქნება გამოყენებული, სანამ დაბანდებული სახსრები მოიტანენ თუნდაც მინიმალურ მოგებას. ეს სავსებით თანხმობაშია ინვესტიციების პერიოდულ შემცირებასთან, როგორც მოგების ნორმის დაცემის შოკური ეფექტის შედეგთან“[51]. ნათქვამის დადასტურება შეიძლება იყოს თვით „კაპიტალის“ ავტორის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ყველა

ნამდვილი კრიზისის საბოლოო მიზეზი ყოველთვის იქნება სიღარიბე და მასების მოხმარების შეზღუდულობა, რომელიც კაპიტალისტური წარმოების მისწრაფების წინააღმდეგ მოქმედებს, განავითაროს მწარმოებლური ძალები ისეთნაირად, როგორც თუკი მათი განვითარების საზღვარი იქნებოდა საზოგადოების აბსოლუტური სამომხმარებლო უნარი (III ტომი, თავი 30).

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1.რაში მდგომარეობს ჯ.ს.მილის შესწავლის საგნისა და მეთოდის თავისებურებები?
2.ჯ. ს. მილი როგორ უპირისპირებს ერთმანეთს „მწარმოებლურ შრომას“ და „განაწილების კანონებს“?
3.ჯ. ს. მილი როგორ განმარტავს კატეგორია „ღირებულებას“, „მწარმოებლურ შრომას“, „ხელფასს“, „რენტას“?
4.რა დასკვნები გამომდინარეობს ჯ. ს. მილის გადმოცემულ ფულის რაოდენო-ბრივი თეორიიდან?
5.რეფორმების რა სცენარს გვთავაზობს ჯ. ს. მილი?
6.რა მიიღო კ. მარქსმა მეცნიერული წყაროების სახით თავისი სოციალ-ეკონომიკური გამოკვლევებისთვის?
7. რა დასკვნებს აკეთებს კ. მარქსი მის მიერ წამოყენებული ბაზისის და ზედნაშენის კონცეფციიდან?
8.რაში მდგომარეობს კლასების თეორიაში კ.მარქსის შეხედულებების თავისე- ბურებები?
9. როგორ განმარტავს კ. მარქსი კატეგორიებს „ღირებულება“, „წარმოების ფასი“, „ზედმეტი ღირებულება“, „მწარმოებლური შრომა“?
10.გააანალიზეთ მარქსისტული ცნებები „კაპიტალის ორგანული სტრუქტურა“, „ექსპლოატაციის ნორმა“, „კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი“.
11.კ. მარქსმა რატომ არ მიიღო ფულის რაოდენობრივი თეორია?
12. გახსენით ზედმეტი ღირებულების წარმოშობის მექანიზმი კ.მარქსის მიხედვით.
13. რა ესმოდა კ. მარქსს აბსოლუტურ რენტაში?
14. როგორია კ. მარქსის კვლავწარმოების თეორიის თავისებურებები?

ნაწილი მეორე

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მოწინააღმდეგეები

სამრეწველო გადატრიალებამ, რომელმაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში მრავალი ევროპული ქვეყანა მოიცვა, სმითისეული მოძღვრების მრავალფეროვანი კრიტიკის ფუძემდებლური პოსტულატების წარმოშობა განსაზღვრა. ეს კრიტიკა მართლზომიერია სამი ალტერნატივით ეკონომიკური აზრის მიმართულებების კლასიკურ სკოლას მივაკუთვნოთ, როგორც: ეკონომიკური რომანტიზმი, უტოპიური სოციალიზმი, გერმანული ისტორიული სკოლა (სოციალურ-ისტორიული მიმართულება). თითოეული დასახელებული მიმართუ-ლების წარმომადგენლები, საზოგადოების იდეალური მოწყობის სოციალ-ეკონომიკურ მოდელების შეთავაზებით, გამოდიოდნენ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მოწინააღმ-დეგეებად. ამის შესახებ საუბარი იქნება შემდგომ, სახელმძღვანელოს მოცემული ნაწილის შესაბამის თავებში.

თავი 11. ეკონომისტ-რომანტიკოსების რეფორმატორული პროგრამების წარმოშობა

ამ თავის შესწავლის შემდეგ, თქვენ გეცოდინებათ:

- როგორია ცნებების „ეკონომიკური რომანტიზმი", „ეკონომისტ-რომანტიკოსები", „ნვრილბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის" წარმოშობის სათავეები;
- კლასიკოსების საწინააღმდეგოდ ს. სისმონდი რატომ ამტკიცებდა, რომ „სიმდიდრის ზრდა არა პოლიტიკური ეკონომიის მიზანს, არამედ საყოველთაო ბედნიერების უზრუნველყოფის მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს";
- რა ჰქონდა მხედველობაში პ. პრუდონს, როცა აცხადებდა, რომ „პოლიტიკური ეკონომია...
- შეუძლებელია , რამდენადაც საცვლელი ღირებულება გაზომვას არ ექვემდებარება";
- რომელი თეორიულ-მეთოდოლოგიური დებულებები აახლოებენ ა. სისმონდისა და პ. პრუდონის შემოქმედებით

მემკვიდრეობას-ეკონომიკური რომანტიზმის იდეოლოგების ამ ერთი შეხედვით მრავალპლანიან შეხედულებს;

- როგორია სოციალური საკითხის გადაჭრის ხედვა ს. სისმონდისა და პ. პრუდონის რეფორმატო- რულ კონცეფციებში.

ტერმინი „ეკონომისტ-რომანტიკოსები" სათავეს იღებს ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი ადრინდელი პუბლიკაციის შემდეგ სათაურით „ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის" (1897). ამ ნაშრომში საქმე ეხება იმას, რომ რუსეთის „ეკონომისტ-ხალხოსნები" სისმონდის მსგავსად, ანვითარებენ „რომანტიზმის ეკონომიკურ თეორიებს" და იზღუდებიან „კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკით წვრილი ბურჟუას თვალსაზრისით" [1].

„რომანტიკოსები", ვ.ი. ლენინის დახასიათებით, „მთელ თავიანთ იმედებს სწორედ კაპიტალიზმის სუსტ განვითარებას აკისრებენ, მოუწოდებენ შეჩერებას", ხოლო მათმა „ორატორმა" ს. სისმონდიმ „მიუთითა" თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონიზმის ერთნაირ საფუძველზე... ძველი სამეურნეო ცხოვრების „ნგრევისა" და ძველი ნახევ-რადპატრიარქალური ურთიერთობების იმავე პროცესზე დასავლეთევროპულ სახელ-მწიფოებში... იმავე საზოგადოებრივ ფაქტზე, რომ ცნობილი პირობების დროს თავისუფალი ვაჭრობა აჩქარებს ამ „ნგრევას" [2].

ამრიგად, ლენინური ტერმინები „ეკონომიკური რომანტიზმი" და „ეკონომისტ-რომანტიკოსები" უნინარეს ყოვლისა ლიბერალური ეკონომიკის პრინციპების, და შესაბამისად, თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკის ან, როგორც კიდევ ამბობენ, კაპიტალიზმის კრიტიკულ აღქმას ნიშნავს. მაგრამ ეს კრიტიკა, ხაზს უსვამდა ვ.ი. ლენინი, „სენტიმენტალური" და „რომანტიკულია" იმიტომ, რომ იგი მუშათა გაჭირვებული მდგომარეობის კონსტანტირებით მოუწოდებს არა „რევოლუციური" გარდაქმნებისკენ „არასამართლიანი" კაპიტალისტური საზოგადოების ლიკვიდაციის მიმართულებით, არამედ რეფორმებისკენ, „ძველი ნახევრადპატრიარქალური ურთიერთობებისადმი" დაბრუნების მიზნით, რომლებიც გამორიცხავდნენ „წვრილი ბურჟუას" (გლეხების, ხელოსნების, შინამრეწველების კაპიტალის დაგროვებას და უზრუნველყოფდნენ კაპიტალიზმის „შეჩერებას" ე.წ. წვრილსაქონლური მეურნეობის-წვრილ მესაკუთრეთა მეურნეობის სტადიაზე.

აი რატომ არის, რომ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ტრადიციულად გამოიყოფა სპეციალური განყოფილება „წვრილბურჟუაზიული

პოლიტიკური ეკონომია“ ან „წვრილბურჟუაზიული ეკონომიკური აზრი“.

მაგრამ, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის არაკლასობრივი გააზრების პრინციპზე გაყოლით, სახელმძღვანელოს მოცემული თემა დასათაურებულია ისე, რომ გამოიყოს არა „ანტირევოლუციური“ მიმართულობა, არამედ „ეკონომიკური რომანტიზმის“ ფუძემდებელთა იდეების რეფორმატორული არსი. ამასთან, ს. სისმონდისთან ერთად, მოცემული თვისების იდეოლოგიის ცნობილი პირველი პროპაგანდისტების რიგებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე პ. პრუდონი, რამდენადაც ორივე მათგანმა, უდაოდ, წონადი წვლილი შეიტანა მსოფლიო ეკონომიკური აზრის საგანძურში, დაასაბუთა რა ეკონომიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის ხელახალი გააზრების მიზანშეწონილობა „კლასიკური სკოლის“ გადმოცემაში და დაადასტურა სოციალური რეფორმების აუცილებლობა.

11.1. ს. სისმონდის ეკონომიკური მოძღვრება

ჟან-შარლ-ლეონარ სისმონდ დე სისმონდი (1773-1842) - შვეიცარული წარმოშობის ფრანგი ეკონომისტი და ისტორიკოსი, დაიბადა 1773 წ. 9 მაისს. მისი გვარი ეკუთვნოდა ძველ ჟენევურ არისტოკრატიას. მისი მამა იყო კალვინისტური (პროტესტანტული რელიგიური მოძღვრება-კ.ღ.) პასტორი (პროტესტანტების მღვდელი-კ.ღ.) და ჟენევასთან ახლოს ფლობდა მამულს, სადაც ს. სისმონდიმ ბავშვობა გაატარა.

სასულიერო კალვინისტური „კოლეგიის“ დამთავრებისას ჟენევაში ს. სისმონდი შევიდა უნივერსიტეტში, რომლის დამთავრება მან მაინც ვერ შეძლო. სწავლის შეწყვეტის საბაბი იყო მამის შერყეული მატერიალური მდგომარეობა, რის გამოც იგი სამუშაოდ გადავიდა ლიონის ბანკირის ერთ-ერთ სახლში. მაგრამ შემდგომში მოხდა ცნობილი ფრანგული რევოლუციური მოვლენები, რომლებთაგანაც სისმონდიმ, მამასთან ერთად, ვერ შეძლო თავის დაცვა ჟენევაშიც კი, და ისინი ციხეში ჩასვეს.

ს. სისმონდი 20 წლამდე ასაკის იყო, როდესაც მისი ოჯახი იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო თითქმის შვიდი წელიწადი; თავდაპირველად წელიწადნახევრით ინგლისში, სადაც იგი სილრმისეულად ჩაიხედავს ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრეში“, ხოლო შემდგომ კიდევ ხუთი წელიწადი იტალიაში, სადაც გარკვეული დრო მას პირადად მოუწია მეურნეობის მართვა თავისი მამის კარმიდამოში ტოსკანას პროვინციაში და იმავდროულად თავისი პირველი მეცნიერული ნაწარმოებების დაწერა.

1800 წელს ჟენევაში დაბრუნებისთანავე, ს. სისმონდი მთლიანად ერთვება მეცნიერულ და ლიტერატურულ საქმიანობაში. უკვე პირველი ეკონომიკური ნაშრომები „ტოსკანის სოფლის მეურნეობის სურათი“(1801) და „კომერციული სიმდიდრის ანუ პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების და მათი გამოყენების შესახებ სავაჭრო კანონმდებლობისადმი“ (1803), რომლებშიც მას ჯერ კიდევ არ უარუყვია laissez faire და ა. სმითის პოზიციებზე იდგა, მას განსაზღვრული ცნობადობა მოუტანა საფრანგეთში.

ამ გარემოებამ დიდწილად განსაზღვრა ს. სისმონდის ნაცნობობა მადამ დე სტალთან, რომელსაც იგი 1804-1808 წწ. თან ახლდა მის მოგზაურობაში იტალიასა და გერმანიაში. ცხადია, სწორედ სინამდვილის უშუალო დაკვირვებებმა და ევროპის ყველაზე უფრო მსხვილი ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და ისტორიული ლიტერატურის შესწავლამ, განაპირობეს ამ მეცნიერის გამოკვლებების მრავალპლანიანი და არაორდინარული ხასიათი მისი შემოქმედებითი აღმავლობის დროს. ხოლო ს. სისმონდის პოპულარულობა იზრდებოდა ყოველი მისი პუბლიკაციის შემდეგ, მათ შორის განსაკუთრებით ორტომეულის გამოცემის შემდეგ „იტალიური რესპუბლიკების ისტორია“ (1807), ლექციები რომაული ხალხების ლიტერატურის შესახებ სახელწოდებით „სამხრეთ ევროპის ლიტერატურა“(1813).

1813 წელს ს. სისმონდი გადადის პარიზში და გამოდის სტატიების სერიებით ნაპოლეონის მხარდასაჭერად. მაგრამ ბურბონების რესტავრაციის შემდეგ იგი გადადის ინგლისში, საიდანაც რამდენიმე წლის შემდეგ ბრუნდება ჟენევაში, რათა დარჩენილი ცხოვრება იქ გაატაროს. ამ პერიოდში იგი წერს თავის ყველაზე ცნობად ეკონომიკურ და ისტორიულ ნაწარმოებებს, რომელთა შორის „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები, ანუ სიმდიდრის შესახებ ხალხთმოსახლეობასთან მის მიმართებაში“ (1819), „ეტიუდები პოლიტიკურ ეკონომიაში“ (31-ე ტომში), „რომის იმპერიის დაცემის ისტორია“ (2 ტომად) და სხვ.

ს. სისმონდი გარდაიცვალა ჟენევაში 1842 წლის 21 ივნისს.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ს. სისმონდის წვლილის გამოსავლენად, აუცილებელია განვიხილოთ მისი საუკეთესო ნაწარმოები, რომელსაც დ. რიკარდოს „ საწყისების...“ საწინააღმდეგოდ „პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები“..., და ასევე თეორიული მსჯელობები მწარმოებლური შრომის და შრომის დანაწილების, ხალხთმოსახლეობისა და შემოსავლების, კვლავწარმოებისა და რეფორმების თაობაზე, რის შესახებ საუბარი ქვემოთ იქნება.

შესწავლის საგანი

პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგნის განმარტებას ს. სისმონდი თავის „ახალ საწყისებში" I ტომის თითქმის მთელ წიგნში მიმართავს. ამასთან, თავისი ნაშრომის უკვე შესავალში, იგი მკითხველს შეახსენებს, რომ ვარაუდობს „ადამ სმითის პრინციპებში" მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას, რომლითაც ს. სისმონდი ხელმძღვანელობს იმის ხაზგასმით, რომ „სიმდიდრის ზრდა ნარმოადგენს პოლიტიკური ეკონომიის არა მიზანს, არამედ მხოლოდ საშუალებას საყოველთაო ბედნიერების უზრუნველსაყოფად", რომ „თავისთავად სიმდიდრისა და მოსახლეობის ზრდა მხოლოდ აბსტრაქციაა..."[3].

ოთხი წიგნიდან, რომლებიც „ახალი საწყისების..." I ტომს შეადგენს, პირველი სპეციალურად ეძღვნება „პოლიტიკური ეკონომიის საგანს და ამ მეცნიერების წარმოშობას". ამ წიგნში ს. სისმონდი გამოყოფს მისი შეხედულებით, სამ ძირითად ეტაპს პოლიტიკური ეკონომიის ევოლუციაში და მისი საგნის შესწავლის განმარტებაში. პირველს იგი უწოდებს მერკანტილისტების სკოლის ეტაპს, მეორეს-ეკონომისტ-ფიზიოკრატების ეტაპს, მესამეს-ადამ სმითის სკოლის ეტაპს.

პირველ და მეორე ეტაპებზე, წერს ს. სისმონდი, ადამიანთა მატერიალური მდგომარეობა, როგორც პოლიტიკური ეკონომიის საგანი, განიხილებოდა ცალმხრივი სისტემის ჩარჩოებში, რამდენადაც მერკანტილისტები სიმდიდრის წყაროს ხედავდნენ მხოლოდ ვაჭრობაში, ხოლო ფიზიოკრატები - მხოლოდ მიწათმოქმედებაში. და მხოლოდ მესამე ეტაპზე, დაასკვნის მეცნიერი, „ადამ სმითი არ ცდილობდა, როგორც მისი წინამორბედები, შეექმნა აპრიორული თეორია, რათა შემდგომ მისთვის ფაქტები მიება"[4].

ა. სმითთან სოლიდარობით, იმაში, რომ სიმდიდრის წყარო უნდა ვეძებოთ საზოგადოებრივ შრომაში, და „პოლიტიკური ეკონომიის საგნის" სწორედ ადამიანთა მატერიალურ კეთილდღეობაში დანახვით, ს. სისმონდი იმავდროულად კატეგორიულ დათქმას აკეთებს, სახელმწიფოს მოვალეობის შესახებ, „ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა მისცეს იხელმძღვანელოს იმ ფიზიკური კმაყოფილებით , რომელსაც სიმდიდრე იძლევა". ამ პოზიციიდან გამომდინარე, „ახალი საწყისების..." ავტორს შემდეგ მოაქვს *პოლიტიკური ეკონომიის საგნის ორი განმარტება.*

პირველი განმარტების თანახმად, პოლიტიკური ეკონომია - ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის „სახალხო სინდიდრის მართვას". მეორის თანახმად, იგი „მორალური მეცნიერებაა" და „მნიშვნელოვნნილად ზნეობრივი". ამასთან, მეცნიერება „მორალურია" იმიტომ, რომ მას „დაბნეულობაში შეყავხარ, როდესაც

ოპერირებ შიშველი ციფრებით" და მიზნებისკენ მიყავხარ მაშინ, როდესაც ყურად ვიღებთ ადამიანთა გრძნობებს, მოთხოვნილებას და ვნებებს " და მეცნიერება „ზნეობრივია" -რამდენადაც, ჯერ ერთი, „მან უნდა განჭვრიტოს ვნებები"(ადამიანთა-ი.ი.) და, მეორე, „არასწორია, თითქოსდა საკმარისია მივუთითოთ მათ (ადამიანთა-ი.ი.) სარგებელზე, რათა მათ იგი მოიპოვონ"[5].

ამრიგად, ს. სისმონდის მიხედვით, შესწავლის საგანი, ისე, როგორც კლასიკოსებში, ძირითადად წარმოების სფეროს პრობლემატიკაზე დაიყვანება, სადაც , როგორც იგი ვარაუდობს, იქმნება და მრავლდება ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობა. მაგრამ, კლასიკოსებისგან განსხვავებით, იგი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოსთვის აუცილებელია მართოს „სახალხო სიმდიდრე" და ამასთან დაეყრდნოს არა „აბსტრაქციას" და „შიშველ ციფრებს, არამედ ადამიანთა „ვნებებს, მოთხოვნილებას და გატაცებებს".

შესწავლის მეთოდი

ს. სისმონდის შემოქმედება მნიშვნელოვანწილად პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლისადმი შედარებადია, შესწავლის მეთოდის ნაწილშიც. აკი „ადამ სმითის დოქტრინა, - წერს იგი, - ჩვენი დოქტრინაა, ჩირაღდანი, რომელიც მისმა გენიამ მეცნიერებაზე აღმართა, სწორი გზა მიუთითა ყველა მის მიმდევარს"[6]. ამით, ალბათ შეიძლება აიხსნას, რომ „ახალი საწყისების..." ავტორის მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტარიუმში, სპეციფიკურებთან ერთად, არის ელემენტები, რომლებიც დამახასიათებელია კლასიკოსების შემოქმედებისთვის (გავიხსენოთ, რომ კ. მარქსი ს. სისმონდის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ დამამთავრებლად მიიჩნევდა) .

მაშასადამე, საეჭვოა მოულოდნელად ვაღიაროთ მეცნიერული ანალიზის ის მეთოდები, რომლებიც მან არსებითად XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის კლასიკური სკოლის საგანძურისგან ისესხა.

ასეთი მეთოდების რიცხვში მართლზომიერია დავასახელოთ:

- ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სფეროების ანალიზის კაუზალური მეთოდი, რამაც, კერძოდ, განაპირობა წარმოებისა და მიმოქცევის სფეროთა ერთმანეთისადმი დაპირისპირება და პირველის საზოგადოებრივი წარმოების განმსაზღვრელ (დომინირებად) სფეროდ აღიარება;
- ანალიზის კლასობრივი მეთოდი, რომლის შესაბამისად განიხილებიან სოციალ- ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოების ე.წ. ძირითად კლასებს შორის;

- ღირებულებისა და შემოსავლების განსაზღვრის ხარჯვითი მეთოდი (ს. სისმონდის მიხედვით , დახარჯული შრომის რაოდენობის გათვალისწინებით);
- ფულის დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი როლის არაღიარება (აღნერილობითი მეთოდის საფუძველზე) საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში.

სხვათა შორის, სწორედ ს. სისმონდის მეთოდოლოგიის სპეციფიკური ელემენტები იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ ამ მეცნიერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სიახლეთა სათავეების და თავისებურებების შესახებ. ამ ელემენტების არსი კი შეიძლება დაყვანილ იქნეს შემდეგ დებულებებზე.

ჯერ-ერთი, ყოველმხრივი მიმართვა (კლასიკოსებისგან განსხვავებით) „ხელისუფლების ჩარევისადმი სიმდიდრის რეგულირების საქმეში", რათა „მთელი პოლიტიკური ეკონომია არ დავიყვანოთ laissez faire-ს მარტივ პრინციპზე" [7]. ამასთან, ს. სისმონდი დარწმუნებულია, რომ „მხოლოდ ხელისუფლებას" შეუძლია არ დაუშვას წარმოების გაფართოება „ცალკეული პირების" ინტერესებისთვის, რომ ყველა ერის მიზანი უნდა იყოს „საყოველთაო სიუხვისა და კმაყოფილების ზრდა" [8].

მეორე, პოლიტიკური ეკონომიისთვის მეცნიერული აბსტრაქციის მეთოდის მიუღებლობა. კერძოდ, ს. სისმონდი საყვედურობს ა. სმითის მიმდევრებს იმაში, რომ ისინი „აბსტრაქციაში გადაეშვნენ, დაივიწყეს რა ადამიანი". ამის შედეგად, მეცნიერებამ მათ დამუშავებებში, დაასკვნის იგი, „სპეკულაციური ხასიათის" ტარება დაიწყო და „მოწყვეტილი ჩანს ყოველგვარი პრაქტიკისგან" [9].

მესამე, „ეკონომიკური ადამიანის" შესახებ სმითისეული დოქტრინის უარყოფა. მას, ს. სისმონდის ხაზგასმით, კლასიკოსები იღებდნენ „ერთ-ერთი აქსიომის სახით", იმ რწმენით, რომ „თითოეულის ინტერესი ქმნის საერთო ინტერესს". მაგრამ ეს, მისი აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება, რამდენადაც „თითოეული, თავისი საკუთარი ინტერესის განხორციელების მცდელობით სხვების ხარჯზე, მოქმედებაში უშვებს ყველა ხელმისანვდომ საშუალებებს და ამასთან, ყოველთვის როდი ფერხდება მისი ძალის ტოლი ძალებით", და აქედან, მაგალითად, „თითოეულის მრენველის კეთილდღეობა შენდება მისი თანამოძმის განადგურებაზე" [10].

მეოთხე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობის არაღიარება მთელი საზოგადოების კეთილდღეობისთვის. მოცემული მეთოდოლოგიური პოზიციის არგუმენტირებისას, ს. სისმონდი წერს: „თუმცა მანქანების გამოგონება, რომელიც ადამიანთა ძალას ადიდებს, და ადამიანისთვის

სიკეთეს წარმოადგენს, მაინც, მათ მიერ მოტანილი მოგების არა-სამართლიანი განაწილება, მანქანას ღარიბებისთვის მათრახად გადააქცევს"[11].

მეხუთე, ეკონომიკურ ანალიზში არა მხოლოდ კაუზალური, არამედ ასევე ფუნქ-ციონალური მეთოდის გამოყენების დასაბუ-თება. მეცნიერის მოცემული პოზიცია ცხადია მტკიცებიდან იმის შესახებ, რომ „პოლიტიკურ ეკონომიაში ყველაფერი დაკავშირებუ-ლია, ყველაფერი შეკრულია წრეში, რამდენადაც შედეგი, თავის მხრივ, მიზეზი ხდება"[12].

დაბოლოს, მეექვსე, ეკონომიკურ ანალიზში ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, ზოგიერთი არაეკონომიკური ბუნების ფაქ-ტორის გათვალისწინება. უკანასკნელთა რიცხვში ს. სისმონდი განსაკუთრებით გამოყოფს რელიგიას, აღზრდას, ღირსების გრძნობას[13] იმ ვარაუდით, რომ „ისინი ან ხელს უწყობენ ადამიანთა მიახლოებას მიზნისადმი, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია ისა-ხავს, ან აშორებენ მათ მისგან"[14].

მწარმოებლური შრომის თეორია

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის არსს ს. სისმონდი ახასიათებს ა. სმითის განმარტებების პირდაპირ შესაბა-მისობაში. აქედან, მისი შეხედულებით, *მწარმოებლური შრომა* ქმნის სიმდიდრეს „გაცვლის ახალი საგნის" სახით, ან „უკვე არსე-ბული საგნის " გაზრდილი ღირებულებით, ხოლო *არამწარმოებ-ლური შრომა* წარმოადგენს „შრომას და სიამოვნებას", რომლებიც „არ შედიან სიმდიდრის ცნებაში, ვინაიდან, ამ სიამოვნების შენახვა არ შეიძლება მომავლისთვის...ამ შრომის ნაყოფი არ შეიძლება დაგროვდეს [15].

მაგრამ ამ თეორიისგან მიღებული დასკვნები, რომლებიც ა. სმითმა და ს. სისმონდიმ გააკეთეს მწარმოებლური შრომის ნაწილ-ში, დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. აკი განსხვავებით ა. სმი-თისგან, „ახალი საწყისების..." ავტორის რწმენით, მწარმოებლური შრომის უსაზღვრო განვითარების წყალობით თითქოსდა ხდება „მხოლოდ უსაქმო მდიდრების ფუფუნების და სიამოვნების გადი-დება" და „რაც უფრო დიდ განვითარებას აღწევს ერი ხელოსნო-ბის, და მრეწველობის სფეროში, მით მეტი უთანაბრობაა მშრომე-ლებს შორის... რაც უფრო მეტს შრომობენ ერთნი, მით მეტ ფუ-ფუნებაში არიან სხვები" [16].

რაც შეეხება საზოგადოებისთვის არამწარმოებლური შრო-მის მნიშვნელობას, აქ ს. სისმონდი არც იმდენად პესიმისტურია თავის მსჯელობებში. ასე, მაგალითად, იგი ხაზს უსვამს, რომ სა-ზოგადოებას სჭირდება საზოგადოების მიერ დაწესებული წესრი-

გის „დამცველები“ და რომელთაგან თითოეული „სახელმწიფოს მეთაურით დანყებული და უკანასკნელი ჯარისკაცით დამთავრებული“, თუმცა კი არც არაფერს ანარმოებენ, მაგრამ მათი შრომის გარეშე „მწარმოებლური მუშების მიერ შექმნილი სიმდიდრე გაიფლანგებოდა...წარმოება შეწყდებოდა“. გარდა ამისა, „თუკი ყოველგვარ სარგებლობას სიმდიდრეს ვუწოდებთ, - წერს მეცნიერი, - მაშინ ამ სახის სიმდიდრე იხარჯება მისი შექმნის მომენტში“, ხოლო მომუშავეთა მიერ მიღწეული „გაწაფულობა“, რომელ კლასსაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი, არის თავისებური ძირითადი კაპიტალი“ [17].

შრომის დანაწილების თეორია

ს. სისმონდის ეს თეორია, ისე როგორც წინა, ყურადღებას იმსახურებს უწინარეს ყოვლისა, თავისი მიმართულობით კლასიკოსების მსჯელობათა წინააღმდეგ. კერძოდ, იგი გვაფრთხილებს, რომ შრომის დანაწილება წარმოადგენს რა „მისი მწარმოებლურობის გადიდების ყველაზე უფრო მძლავრ მიზეზს“, მაინც ცხადყოფს „მუშის მნიშვნელობას არაუმეტეს, ვიდრე მანქანის მნიშვნელობა“, რამდენადაც მანქანას „სინამდვილეში შეუძლია მისი შეცვლა“ [18].

მუშების მანქანებით გამოდევნის საფრთხეს ს. სისმონდი არ თვლის შრომის დანაწილების პროცესის ერთადერთ დამლუპველ შედეგად, იმ ვარაუდით, რომ თვით მანქანათა არსებობა გარდა ამისა, განაპირობებს [19].

- ადამიანის მიერ „გონებრივი და ფიზიკური ძალების“, „ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მოყვარულობის“ დაკარგვას იმის პროპორციულად, „რამდენად იზრდება მისი შრომის მწარმოებლურობა“;
- მუშათა სამუშაოების უკმარისობას შრომითი ოპერაციების იმდენად გამარტივების გამო, რომ მუშების ნაცვლად, მათი „შესრულება შეუძლიათ ბავშვებს ყველაზე ადრეულ ასაკში“;
- საბრუნავი და ძირითადი კაპიტალების მნიშვნელოვან ზრდას და, შესაბამისად, მსხვილ მეწარმეთა სარგებლობასა და კეთილდღეობას, მთელი საზოგადოების სარგებლობისა და კეთილდღეობის საწინააღმდეგოდ.

მართალია, თავისი „ახალი საწყისების...“ ბოლოს, ს. სისმონდი განმარტავს, რომ იგი არ უნდა მივაკუთვნოთ „პროგრესისა და ოსტატობის“ და „ინდუსტრიის სრულყოფის“ მოწინააღმდეგეთა რიცხვს, რამდენადაც სინამდვილეში „სრულყოფილებები სასარგებლოა, მაგრამ გარემოებების მიხედვით მათი გამოყენება, შეიძლება სასარგებლო ან მავნე იყოს“[20].

ხალხთმოსახლეობის თეორია

ს. სისმონდიმ არ გაიზიარა თ. მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიაც, კლასიკოსებთან თავისი უთანხმოების ისევ დემონსტრირებით. უკანასკნელები „მშრომელი მოსახლეობის ყველა ტანჯვის" მიზეზს ეძებდნენ არსებობის საშუალებათა და მისი რაოდენობის ზრდის ტემპების ურთიერთკავშირში, არადა მხედველობაში უნდა მიგველო, წერს ს. სისმონდი, არა რაოდენობა, არამედ შემოსავალი. და მაშინ გამოჩნდებოდა, ამტკიცებს ს. სისმონდი, რომ ეს მიზეზია „შეუსაბამობა მის (მოსახლეობის) რაოდენობასა და მის შემოსავალს შორის", იმიტომ, რომ „მოსახლეობის ბუნებრივ საზღვრებს" გადააბიჯებენ ისინი, რომლებიც „თუნდაც რაღაცას ფლობენ", არამედ ისინი, „ვისაც არაფერი გააჩნია." [21].

„ახალი საწყისების..." ავტორი ფაქტობრივად უბრუნდება ხალხთმოსახლეობის მალთუსამდელ კონცეფციას, შემდეგი, მისთვის ახლობელი დებულებების გამოთქმით [22]:

- მოსახლების მრავალრიცხოვნობა წარმოადგენს საზოგადოების უპირატესობას, თუკი ყოველი ადამიანი დარწმუნებულია, რომ მას თავისი შრომით შეუძლია უზრუნველყოს „საკუთარი თავისთვის რიგიანი ცხოვრება";
- ადამიანთა მატერიალურ (ქონებრივ) მდგომარეობას არეგულირებს ქორწინებისა და შობადობის რაოდენობა;
- მუშის თავისი შრომით არაუზრუნველყოფილობა ინვევს ადრეულ ქორწინებათა და შობადობის ზრდას;
- საამქროებისა და საამქროთა ორგანიზაციების წესდების აღდგენა ყოველ მუშას უზრუნველყოფს „საკუთრებით მისი შრომის პროდუქტებზე" და შესაძლებლობას ჰქონდეს შემოსავლის და ოჯახის შექმნის იმედი;
- მუშის „შრომის უნარი არ წარმოადგენს" მისთვის შემოსავლის გარანტირებულ წყაროს.

ს. სისმონდის საბოლოო დასკვნა იმაზე დაიყვანება, რომ, რამდენადაც „უმცირესი შემოსავალი... ხელს უწყობს მის (მოსახლეობის)" უზომო ზრდას, აუცილებელია შეიცვალოს თვით ის სოციალური ორგანიზაცია, რომელიც წარმოშობს უმნიშვნელო მოთხოვნას" და „ქმნის მუშებს, რომელთაც შემდგომში იმეტებს ტანჯვისა და სიკვდილისთვის" [23].

შემოსავლების თეორია

XIX საუკუნის დასაწყისში, ინგლისში მრეწველობისა და მეცნიერების განვითარებაში მიღწევები, აცხადებს ს. სისმონდი,

მოწმობს იმის შესახებ, რომ მისმა ხალხმა დაკარგა „შეძლება დღეს და რწმენა მომავალში“, ვინაიდან „ქალაქებში თითქმის არ დარჩა ხელოსნები და წვრილ სახელოსნოთა დამოუკიდებელი მეპატრონეები“ - იქ არის მხოლოდ მუშები, რომელთაც ხელფასი არ ყოფნის „მთელი წლის განმავლობაში, ხოლო „სოფელში გლეხი აღარ დარჩა-ისინი გამოდევნეს დაქირავებულმა მუშახელმა“. მისი რწმენით, ყოველი მუშა ყოველდღიურად ანარმოებს „გაცილებით მეტს, ვიდრე მას სჭირდება მოხმარებისთვის“, მაგრამ „სიმდიდრის მფლობელი“, უკავებს მას „იმის ნაწილს, რასაც იგი, (მუშა), აწარმოებს თავისი საკუთარი მოხმარების საჭიროებებზე ზევით“.

ამ მსჯელობათა საფუძველზე „ახალი საწყისების...“ ავტორი თავის პრინციპულ უთანხმოებას გამოხატავს ე.წ. „ეკონომისტებთან“(მხედველობაშია კლასიკოსები) შემოსავლის სამი ძირითადი სახის (მოგების, რენტის და ხელფასის) წარმოშობის თაობაზე და მცდარად თვლიდა მათ ვერსიას სამი სხვადასხვა წყაროს-მიწის, დაგროვებული კაპიტალის და შრომის არსებობის შესახებ“[24]. ამასთან, იგი დაჟინებით მოითხოვს, რომ *მხოლოდ მუშა ქმნის თავის შემოსავალთან (ხელფასთან) ერთად „მდიდრების“ შემოსავლებს, სახელდობრ რენტას მიწათმფლობელებისთვის და მოგებას კაპიტალისტებისთვის.* თავად ხელფასი კი, წერს მეცნიერი, „არის ის ფასი, რომლითაც შეძლებული იძენს უქონლის შრომას“ და „ხშირად სხვა არაფერია, თუ არა მუშის გაძარცვა“, რამდენადაც წარმოადგენს „მხოლოდ არსებობის საშუალებათა რაოდენობას, რომელიც საკმარისია მიმდინარე წელს მომუშავის საარსებოდ“[25]. ამრიგად, *მოგებაც და რენტაც,* ს. სისმონდის მოსაზრებით, *მუშათა შემოსავლიდან პირდაპირი გამონაქვითია.* ამასთან, იგი არ აღიარებს რენტის წარმომქმნელ ფაქტორებს, რომლებიც კლასიკოსებმა მიიღეს დ. რიკარდოს გამოკვლევების წყალობით. უკანასკნელთან დაუთანხმებლობით, ს. სისმონდი მიუთითებს იმაზე, რომ „სასოფლო-სამეურნეო მეწარმეები“ იგივე კაპიტალისტები არიან, და „თავიანთ მუშებთან დამოკიდებულებაში ისინი ისეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც ქალაქის კაპიტალისტები“. ხოლო დ. რიკარდოს დასკვნები რენტის თაობაზე საფუძვლიანი იქნებოდა მაშინ, ხაზს უსვამს იგი, როდესაც „ცარიელი“ ან „ცუდი ხარისხის“ მიწა არ იყო კერძო ან საზოგადოებრივი საკუთრება“, ე.ი. შეიძლება დამუშავებულიყო კერძო მესაკუთრის ნებართვის გარეშე, ვინაიდან ამ „ნებართვის ფასი საიჯარო ქირა იქნებოდა“. ამიტომ მხოლოდ მიწის შემოსავალი, აჯამებს ს. სისმონდი, „ქმნის მიწის რენტის რეალურ საფუძველს“, რომელიც „ადამიანის შრომით“ და „მიწის დამუშავებით“ იქმნება[26].

ს. სისმონდი თავისებურად პოულობს პასუხს კითხვაზეც იმის შესახებ, თუ მუშებს, როგორც „წარმოებაში მონაწილე ყველა-

ზე მრავალრიცხოვან ნაწილს" ყველაზე დაბალი ხელფასი გააჩნიათ და რატომ ქმნიან ისინი სიმდიდრეს და „თვითონ იმით თითქმის არ სარგებლობენ". მისი პასუხი ისევ საკმაოდ მარტივია და ორ დებულებას მოიცავს: პირველი, - „არსებობისთვის იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი იძულებით ანარმოებენ თავიანთ დამსაქმებლებთან, მუშებს მათი თანაბარი არ გააჩნიათ", მეორე, - „მას შემდეგ, რაც შვილები გამოიმუშავებენ თავიანთი არსებობის საშუალებათა ნაწილს, მათ მამებს შეუძლიათ ნაკლები ანაზღაურების მიღება"[27].

კვლავწარმოების თეორია

კლასიკოსების კვლავწარმოების თეორიის თანახმად, გარკვეულ მომენტში მხოლოდ ერთ ან რამდენიმე წარმოებაში შეიძლება ძალზედ ბევრი ან ძალზედ მცირე პროდუქტები აღმოჩნდეს, რის შედეგადაც კრიზისებიც კი შეიძლება მხოლოდ კერძო აღმოჩნდეს, და არა საერთო.

მაგრამ ს. სისმონდისთვის „პოლიტიკური ეკონომიის მთელი ინტერესი", თეორიული თვალსაზრისით, კრიზისების ახსნაზე, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით - მათი გაფრთხილების და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების ძიებაზე დაიყვანებოდა[28] და კრიზისები, მისი შეხედულებით, წარმოადგენენ „არა შემთხვევითობებს... არამედ იმანენტურ წინააღმდეგობათა არსებით გამოვლინებას, რომელიც ქარიშხლივით გაიშალა და ფართო სფერო მოიცვა, და გარკვეულ პერიოდებში მეორდებოდა"[29].

იგი თავისი ოპონენტი-კლასიკოსების ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ მათი მოლოდინის და წინასწარმეტყველების საწინააღმდეგოდ, ინგლისურ „კომერციულ სამყაროში ერთიმეორეზე მიყოლებით განხორციელდა ეკონომიკური კრიზისები", რომ, მთელი მსოფლიო მრეწველობის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, ამ კრიზისების არსი „წარმოადგენს ჩვენი საკუთარი მომავლის ისტორიას, თუკი ჩვენ განვაგრძობთ ისეთივე პრინციპებით მოქმედებას, რომელთაც იგი (ინგლისი-ი.ი.) მოქმედებდა"[30].

მისი მსჯელობების შესაბამისად, კრიზისების შესაძლებლობის გამორიცხვა „კომერციული სამყაროს" პირობებში და საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების წრებრუნვის მთელი ციკლის სტაბილური განახლების უზრუნველყოფა გულისხმობს ეროვნული შემოსავლის და წლიური წარმოების სიდიდეთა ტოლობას. გარდა ამისა, მთელმა წლიურმა შემოსავალმა წლიურ პროდუქტზე გაცვლით, უნდა უზრუნველყოს ახალი წარმოება, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოებული პროდუქციის ნაწილი გაუყიდავი დარჩება და წარმოება გაჩერდება. მაგრამ „ცდებიან ისინი, რომლებიც აგულიანებენ უსაზღვრო ნარმოებისკენ", გვაფრთხილებს

მეცნიერი, იმიტომ, რომ „ბოლოსდაბოლოს", -აზუსტებს იგი, - მოცემული წლის წარმოების ჯამი ყოველთვის მხოლოდ გაიცვლება წარსული წლის წარმოების ჯამზე" [31].

ს. სისმონდის სიტყვებით, „ეკონომისტებს" შეცდომა მოუვიდათ „მცდარი შეხედულების გამო, თითქოსდა წარმოება-ეს იგივეა, რაც შემოსავალი და იგი დარწმუნებულია, რომ „ქონების კონცენტრაციის შედეგად, მესაკუთრეთა მცირე რაოდენობისთვის საშინაო ბაზარი სულ უფრო და უფრო მცირდება და მრეწველობას სულ უფრო და უფრო უხდება გასაღების ძებნა საგარეო ბაზრებზე, სადაც მას დიდი რყევები ემუქრება." და იგი კითხულობს კიდეც, „საით მივდივართ? მხედველობაში ჰქონდა კონკურენტულ ბრძოლაში მსხვილი მეწარმეების მიერ „წვრილი ვაჭრების" და „წვრილი მწარმოებლების" (გლეხები, ხელოსნები და შინამრეწველები-ი.ი.) გამოდევნის პროცესის შეუქცევადობა[32].

ჩამოყალიბებულ პირობებში, ხაზს უსვამს „ახალი საწყისების..." ავტორი, „ყველა ქვეყანა, სადაც წარმოება აჭარბებს მოხმარებას, თავის მზერას მიმართავს საგარეო ბაზარს...", იმისი გაცნობიერების გარეშე, რომ „მსოფლიო ბაზარი ისევე შეზღუდულია, როგორც ყოველი ქვეყნის ბაზარი", რომ იწვევს კიდევაც „ყველგან მოთხოვნის წარმოებაზე გადაჭარბებას" და „მაშინ მოხმარების ნინსწრებით, წარმოება მკაცრ სიღარიბეს წარმოშობს"[33]. ამიტომ იგი გაბედულად აცხადებს იმის შესახებ, რომ 1825 წ. კრიზისი ინგლისში აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, როგორც არსებული სისტემის გარდაუვალი შედეგი, რომელიც იწვევს „ბაზრების გაჭედვას"[34].

რეფორმების თეორია

„ახალი საწყისების..." ერთ-ერთ ბოლო გვერდზე არის ფრაზა: „შესაძლოა, რომ უკეთესად წარმართული კერძო ინტერესები თავად გამოასწორებენ იმ ბოროტებას, რომლებიც მათ მიაყენეს საზოგადოებას" [35]. მოცემული ფრაზა შეიცავს ს. სისმონდის მიერ მოცემულ ნაშრომში გადმოცემული მრავალრიცხოვანი რეფორმატორული იდეების მთავარ აზრს. და ამ იდეის არსი მოკლედ შეიძლება ორ დებულებაზე დავიყვანოთ, რომლებიც კანონმდებლურად უზრუნველყოფენ *„მესამე პირებს" - წვრილ მესაკუთრეებს (გლეხებს, ხელოსნებს, შინამრეწველებს), ე.ი., თუ ისევ ს. სისმონდის სიტყვებით ვიტყვით, „ლარიბს... გარანტიები საყოველთაო კონკურენციის წინააღმდეგ"[36]:*

1) გლეხურ მეურნეობათა პრიორიტეტული როლის აღორძინება პატრიარქალური საკუთრების საფუძველზე (ნაც-

ვლად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფერმერული ორგანიზაციისა);

2) ხელოსნების დამოუკიდებელი საქმიანობის პირობებთან დაბრუნება, რომლებიც დასაქმებულები არიან მრავალ ცალკეულ დამოუკიდებელ სახელოსნოებსა და საამქროებში (ნაცვლად მსხვილ საფაბრიკო-საქარხნო სტრუქტურებისა, რომელთაც ერთი მეპატრონე ხელმძღვანელობს).

დასახელებული რეფორმატორული დებულებების მისაღწევად მათ მიერ რეკომენდებულია სახელმწიფოს (მთავრობის) საქმიანობა წარიმართოს მისი (ს. სისმონდის) შემდგომი საკანონმდებლო მოწოდების რეალიზებისთვის[37]:

- შეიქმნას პირობები „საქალაქო" და „სასოფლო-სამეურნეო" მუშებისთვის, კოალი-ციისა და თავისუფალი კოოპერაციის პრინციპებზე ურთიერთქმედებისთვის;
- არ დაუშვან სარგებლის განაკვეთის განზრახ შემცირება ან ფიქსირება;
- აიკრძალოს საზოგადოებრივი შრომა კვირადღეებში;
- შემოღებულ იქნეს ასაკობრივი ცენზი მცირენლოვანი ბავშვების დაქირავებულ
- შრომაზე და შემცირდეს სამუშაო დღის ხანგრძლივობა მოზრდილი
  მუშებისთვის;
- განთავისუფლდეს გადასახადებისაგან „სასოფლო-სამეურნეო მუშების კლასი" და
  გაიზარდოს მათი განაკვეთები „თვისუფალი მინათმფლობელებისა" და „მსხვილი ფერმერებისთვის";
- დავავალდებულოთ დამქირავებლები სავალდებულოდ შეინახონ მუშები მათი
- ავადმყოფობის, უმუშევრობის და ხანდაზმულობის პერიოდებში;
- ნახალისდეს მემკვიდრეობის დანაწევრება, და არა მათი დაგროვება და სხვ.

ს. სისმონდის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეჯამებისას უნდა ვაღიართ, რომ იგი სინამდვილეში, „სოციალიზმისადმი მიდრეკილების გარეშე... ძლიერ აფართოებს ლიბერალიზმს" და ადასტურებს „დებულებების სიყალბეს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების ბუნებრივი დამთხვევის შესახებ"[38].

11. 2. პ. პრუდონის ეკონომიკური მოძღვრება

პიერ ჟოზეფ პრუდონი (1809–1865) – ფრანგი ეკონომისტი და სოციოლოგი. იგი დაიბადა 1809 წლის 15 იანვარს ქ. ბეზანსონთან ახლოს, რომელიც საფრანგეთის აღმოსავლეთშია. მისი მამა, გლეხური ნარმოშობის და ლუდსახარში ქარხნის მუშა იყო; ქარხნის დახურვის შემდეგ ჩამოაყალიბა საკასრე საწარმო, მაგრამ, სესხების გადაუხდელობის გამო, ჩამოერთვა თავისი მიწის ნაკვეთი და ოჯახი უკიდურეს სიღარიბეში აღმოჩნდა.

ბავშვობიდან პ. პრუდონი აქტიურად ეხმარებოდა მშობლებს მეურნეობაში. 12 წლისა იგი შედის ბეზანსონის კოლეჯში, მაგრამ ამასთან, იგი იძულებული იყო, დამატებითი შემოსავალი სასტუმროში გამოემუშავებინა, მამის დავალებები შეესრულებინა. სასწავლო ლიტერატურის უქონლობის გამო, იგი მუდმივად დადიოდა საქალაქო ბიბლიოთეკაში, რომელიც მისთვის თვითგანათლების წყარო გახდა.

მატერიალურმა სიძნელეებმა აიძულეს იგი 1828 წელს კოლეჯი დამთავრებამდე დაეტოვებინა და მუშად წასულიყო ბეზანსონის გამომცემლობაში. 1831 წლიდან იგი ასოთამწყობის სახელით მოგზაურობს პროვინციულ ქალაქებში. ბენზანსონიდან დაბ-რუნების შემდეგ, ხდება ახალი გამომცემლობის თანადამფუძნებელი, შეისწავლის ბერძნულ და ებრაულ ენებს. 1837 წელს გამოსცემს პირველ თხზულებას „საყოველთაო გრამატიკის გამოცდილება".

1838 წელს, კომპანიონის დაღუპვის შემდეგ, იძულებულია დახუროს გამომცემლობა (პირადი კაპიტალის ნაკლები წილის გამო). მაგრამ იმავე წელს ბეზანსონის აკადემია მას ანიჭებს სიუარის სამწლიან სტიპენდიას (როგორც ნაკლებუზრუნველყოფილ ახალგაზრდა მეცნიერს) და პ. პრუდონი გადადის პარიზში [39], სადაც შეისწავლის ჟ. ბ. სეის, ს. სისმონდის, თ. მალთუსის, კ. სენ-სიმონის, შ. ფურიეს და სხვ. ნაშრომებს. 1840 წელს გამოდის მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „რა არის საკუთრება?", რომელშიც მოცემულია ცნობილი ფრაზა *„საკუთრება ქურდობაა"*.

1843-დან 1847 წლამდე მუშაობს ხე-ტყისა და ქვანახშირის გადაზიდვის ბეზანსონის ფირმის მმართველად და სამსახურის სახეობის გამო, ხშირად იყო მივლინებებში პარიზში, სადაც ისევ ხვდებოდა და დისკუსიებს მართავდა თავის პარიზელ ოპონენტებთან. უკანასკნელებს შორის აღმოჩნდა კ. მარქსიც, რომელთანაც კამათში იგი ხანგრძლივ ღამეებს ატარებდა. და როდესაც 1846 წელს პ. პრუდონმა გამოსცა მორიგი მსხვილი თხზულება „ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემა, ანუ სიღარიბის ფილოსოფია",

უკვე 1847 წლის ივლისში მარქსმა გამოაქვეყნა საპასუხო ნაწარმოები „ ფოლოსოფიის სიღატაკე “[40].

არ მიიღო რა 1848 წლის თებერვლის რევოლუცია, უკვე ერთი თვის შემდეგ პ. პრუდონი აქვეყნებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს „სოციალური საკითხის გადაჭრა“, რომელშიც კიცხავს ყოველი რევოლუციის იძულებით ხასიათს და აყენებს სახალხო ბანკის, უსასყიდლო კრედიტის და ფულის ლიკვიდაციის კონცეფციას. იმავე წელს აფუძნებს საკუთარ გაზეთს, რომლის მეშვეობითაც ხალხს უსწრაფესი სოციალური რეფორმების შესაძლებლობას პირდება.

პოპულისტური დიდების მწვერვალზე, 1848 წლის ივნისში, პარიზელები პ. პრუდონს ირჩევენ ეროვნული კრების დეპუტატად. მაგრამ წლის ბოლოს თავის გაზეთში რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტის, ლუი ნაპოლეონის მისამართით „შეურაცხმყოფელი“ სტატიების დაბეჭდვის გამო, მას სასამართლოს გადასცემენ და სამ წელს და დიდ ჯარიმას მიუსჯიან. ციხეში პ. პრუდონი დაქორწინდება, პრაქტიკულად შეუძლებლად აღიარებს თავისი რეფორმატორული იდეების ცხოვრებაში დანერგვას, ხოლო ახალ ნაწარმოებებში ანარქიზმისკენ გადაიხრება.

ციხის შემდეგ, საკუთარი გაზეთის უქონლობის გამო, პ. პრუდონს არ შეუძლია თავისი შეხედულებების პუბლიკაცია სხვა გამომცემლობებშიც კი, რომლებიც ერიდებოდნენ შერისხულ ავტორთან კავშირებს. ხოლო 1858 წელს წიგნისთვის „რევოლუციასა და ეკლესიაში სამართლიანობის შესახებ“, მას ისევ ასამართლებენ და ისევ სამ წელიწადს და ჯარიმას უსჯიან. მაგრამ ამჯერად იგი ახერხებს ოჯახთან ერთად ბელგიაში ემიგრირებას და ციხეს თავს არიდებს.

გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, ხელისუფლების მიერ ამნისტირებული პ. პრუდონი პარიზში ბრუნდება. თავის უკანასკნელ ნაშრომებში ანარქიულ იდეალებს იგი არარეალურად აცხადებს. იგი გარდაიცვალა 1865 წლის 19 იანვარს.

შესწავლის საგანი

თუკი ს. სისმონდისთვის, მიუხედავად კლასიკოსებთან შეხედულებებში დაშორი-შორებისა, ამოსავალ ბაზად პოლიტიკურ ეკონომიაში მაინც მათი მოძღვრება იყო, პ. პრუდონი ცდილობდა მათგან მაქსიმალურად დისტანცირებას. კერძოდ, თავის ნაშრომში „რა არის საკუთრება?“ იგი ეწინააღმდეგებოდა რა ჟ. ბ. სეის, ამტკიცებს: „პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება ფასეულობების, მათი წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების შესახებ, შეუძლებელია, რამდენადაც საცვლელი ფასეულობა

არ ექვემდებარება გაზომვას...", ხოლო „რაც შეეხება სოციალური პრობლემების გადაჭრას, რასაც ცდილობდნენ ეკონომისტები, (კლასიკოსები), შეიძლება ითქვას, იგი თუკი მიამიტი არ იქნებოდა, მაშინ აბსურდული იქნებოდა"[41].

ამრიგად, *პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგანი*, პ. პრუდონის მოსაზრებით, *არ შეიძლება იყოს წარმოების სფერო*, რამდენადაც ამ შემთხვევაში, იმის გამო, რომ „საცვლელი ფასეულობა გაზომვას არ ექვემდებარება", უყურადღებოდ რჩება სოციალური სფეროს პრობლემები და უწინარეს ყოვლისა *გაცვლისა* და *მოხმარების ორგანი ზაციის* მრავალფეროვანი *ამოცანები*. უკანასკნელები არსებითად წარმოადგენენ კიდევაც ამ მეცნიერების შესწავლის საგანს მის წარმოდგენაში.

შესწავლის მეთოდი

პ. პრუდონისა და ს. სისმონდის შემოქმედებაში პოზიციების დაახლოება, ცხადია, შესწავლის მეთოდების მათი შეფასებებიდან, რომლებიც დამახასიათებელია პოლიტიკუ- რი ეკონომიისთვის. ორივე ავტორისთვის საერთო მეთოდოლოგიური პოზიციებიდან შეი- ძლება გამოვყოთ შემდეგი.

ჯერ-ერთი, ეკონომიკაში შეუზღუდავი თავისუფალი კონკურენციის მიზანშეწონილობის უარყოფა. ამასთან დაკავშირებით პ. პრუდონი წერს: „მაინც რა არის კონკურენცია? დუელი, რომელიც ხორციელდება შეზღუდულ სივრცეში, რომლის დროსაც მებრძოლთა სიმართლე დგინდება იარაღის დახმარებით"[42]. მაგრამ, აზუსტებს იგი, „საქმე ეხება... სრულებით არა კონკურენციის მოსპობას, რაც ასევე შეუძლებელია, ისე თავისუფლების მოსპობას"; მთელი საქმე ისაა, რომ ვიპოვოთ წონასწორობა, და მე სიამოვნებითაც კი ვიტყოდი: რეგულირება (კონკურენციის)"[43].

მეორე, სამეურნეო ცხოვრების ანალიზის პროცესში პირველ ადგილზე არა ეკონომიკური მაჩვენებლების და ფაქტორების, არამედ სიკეთის, ზნეობის, ეთიკის და სოციალური სამართლიანობის ნამოწევაა. ამასთან, უკანასკნელი, პ. პრუდონის აზრით, კაცობრიობის ცხობრების ისეთ უმაღლესი სიკეთის საფუძველია, როგორიცაა თანასწორობა და თავისუფლება[44]. ამის შესახებ განსაკუთრებით მჭერმეტყველურად მოწმობს ტიპის პრუდონისეული განმარტება: „საკუთრება და ქურდობა სინონიმებია", „ჩვენ უნდა მოვსპოთ სწორედ ეს (საკუთრება) ინსტიტუტი": „ცხოვრებაში სამართლიანობის დანართი არის მეცნიერება"[45] და სხვ.

მესამე, პოლიტიკურ ეკონომიაში ანალიზის კაუზალური მეთოდის მთავარი როლის მიუღებლობა. საქმე ისაა, რომ „შედეგებისა და მიზეზების განხილვისას, - წერს პ. პრუდონი, - მან (პოლიტი-

კურმა ეკონომიამ-ი.ი.) არაფერი არ იცის, არაფერს არ ხსნის, არანაირ დასკვნებამდე არ მიდის"[46].

ამასთან ერთად, თვით პ. პრუდონის აღიარებით, დიდი ხნის მანძილზე მის თხზულებებში *განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნებოდა დიალექტიკის ჰეგელისეულ მეთოდს*[47]. მაგალითად, საკუთარი მსჯელობის შეჯამებისას საკუთრების თაობაზე, იგი ასე წერდა: „ყველაფერი ამის ჰეგელიანური პროგრამის სახით წარმოსადგენად, მე ვიტყვი:

ერთობა (ერთიანობა)...არის სოციალური განვითარების პირველი წევრი, თეზისი;

საკუთრება...არის მეორე წევრი, ანტითეზისი; რჩება მესამე წევრის პოვნა, სინთეზი, და ჩვენ ვიპოვით საჭირო გადაწყვეტილებას"[48].

ხალხთმოსახლეობის თეორია

მოცემულ თეორიას პ. პრუდონი მიმართავს რიგ თავის ნაწარმოებებში, თითოეულჯერ საკუთარის ხაზგასმით, რომელიც განსხვავდება ყველა „თანამედროვე ეკონომისტებისგან" ხალხთმოსახლეობისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის პრობლემის გაგებაში. ამასთან, განსაკუთრებულად გააკრიტიკა მათი თითქოსდა იმ „ფაქტის" გაგება, რომ პაუპერიზმი[49] და ჭარბმოსახლეობა, განპირობებულია „საკუთრების უდიდესი, საშინელი" და ყოველთვის ღია იარით, რომ ამიტომ „ხალხთმოსახლეობა, იგი როგორადაც არ უნდა შეამცირონ, ყოველთვის და გარდაუვლად ჭარბია". აქედან, ავჯამებს იგი, მართალნი არ არიან არა მხოლოდ ისინი, ვინც, თ. მალთუსის, ჟ. ბ. სეის, ს. სისმონდის და სხვების მსგავსად ნაადრევი ქორწინების თავიდან ასაცილებლად „მხოლოდ ღარიბს აძლევენ სიფრთხილის რეკომენდაციას", არამედ ასევე „ჟურიერისტებიც" (შ. ფურიეს მიმდევრები), რომლებმაც ოთხი საუკუნე გამონახა მოსახლეობის ზრდის თვითნებური შემცირებისთვის..."[50].

მიუხედავად ამისა, პ. პრუდონის და ს. სისმონდის ხალხთმოსახლეობის თეორიები იდენტურია არანაკლებ ორი პოზიციის მიხედვით. პირველის არსი ჭარბმოსახლეობის ფენომენის მიზეზის განპარტების მსგავსებაში მდგომარეობდა. პ. პრუდონი ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, ვარაუდობს, რომ პაუპერიზმი „აღმოცენდება განანილებაში წონასწორობის დარღვევის შედეგად" და, რომ „ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ოჯახების დიდი ნაწილი მინათმოქმედებით ცხოვრობს, თითქმის ყველაფერის თავისი ხელით წარმოებით და მხოლოდ უმნიშვნელო საგარეო ურთიერთობით, - ეს ბოროტება (პაუპერიზმი) შედარებით ნაკლებმგრძნობიარეა"[51].

მეორე იდენტური პოზიციის არსი მალთუსამდელი ვერსიის მიღებამდე დაიყვანება საზოგადოების ეკონომიკური უპირატესობის შესახებ მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. ეს ცხადია, თავის მხრივ, პ. პრუდონის აზრიდან არის იმის შესახებ, რომ *ადამიანისეული შრომის პროდუქტები იზრდება თითქოსდა, როგორც მომუშავეთა რაოდენობის კვადრატი და აქედან აკეთებს დასკვნას არა მინათმოქმედების, არამედ პერსპექტივაში მწარმოებლურ ძალთა შესაძლო ზრდის შესახებ*[52] *(გავიხსენოთ , რომ თ. მალთუსთან ეს აზრი საწინააღმდეგო სიზუსტით ჟღერს).*

შრომის დანაწილების თეორია

ამ თეორიის ფარგლებში პ. პრუდონი, ს. სისმონდის მსგავსად, დაუფარავ პესიმიზმს გამოხატავს საზოგადოებაში შრომის დანაწილების პერმანენტული ხასიათის თაობაზე. მართალია, მისგან განსხვავებით იგი ცდილობს არგუმენტაცია დაალაგოს კლასიკოსების ამ „ეკონომიკური კანონის" ნინააღმდეგ, ჰეგელიანური ანალიზის დიალექტიკური მეთოდის მეშვეობით.

მაგრამ პ. პრუდონმა არსი გამოაცალა და გააკულგარულა დიალექტიკის მეთოდის იდეა. ამის დასტურია მეცნიერის ამ მეთოდთან დაკავშირებული მსჯელობა მის „ფილოსოფიის სიღატაკეში". სწორედ მათზე გაამახვილა ყურადღება კ. მარქსმაც, და სახელდობრ [53]:

- თავდაპირველად, პ. პრუდონის მიერ აღინიშნება შრომის დანაწილების პოზიტიური არსი (როგორც პირობების თანაბრობის და გონებრივი უნარების განხორციელების ხერხი);
- შემდეგ - ამ პროცესის ნეგატიური მხარე (რამდენადაც იგი „სიღარიბის წყარო" გახდა);
- დაბოლოს, შემდეგ იმის შესახებ, რომ უნდა ვიპოვოთ „ახალი შეხამება, რომელიც აღმოფხვრიდა დანაწილების მავნე მხარეებს, ამასთან, მისი სასარგებლო ქმედებების შენარჩუნებას ".

უფრო მეტიც, პ. პრუდონი საყვედურობს ა. სმითს და მის მიმდევრებს მათი „ოპტიმიზმისთვის" და „რაიმე კანონის მავნე მხარეების" შეუფასებლობისთვის, მათ შორის შრომის დანაწილების კანონისა. აკი უკანასკნელის შესაბამისად, ხაზს უსვამს იგი, საზოგადოებაში „ახალი და ახალი მანქანების განუწყვეტელი შემოტანა" ხდება, მაგრამ „მანქანა, ან ფაბრიკა, მუშის დამცირებით მეპატრონისადმი მისი დაქვემდებარების გზით, ამთავრებს მის დამცირებას, მისი იძულებით ხელოსნის მდგომარეობიდან შავი მუშის მდგომარეობამდე დაქვეითებით "[54].

ამრიგად, შრომის დანაწილების კანონის არსის დაყვანით აბსტრაქტულ კატეგორიაზე, პ. პრუდონმა სინამდვილეში, „ვერაფერი უკეთესი ვერ მოიგონა, ვიდრე დაგვაბრუნოს ჩვენ შუასაუკუნეობრივი ოსტატის მდგომარეობამდე“[55].

კონსტიტუირებული ღირებულების თეორია

პ. პრუდონი აკრიტიკებს კლასიკოსების მოძღვრებას ღირებულების (ფასეულობის) თეორიასთან დაკავშირებითაც, იმ ვარაუდით, რომ იგი საკუთარ თავში ინახავს „გასაღებს სოციალური სისტემისადმი, რომელსაც კაცობრიობა უკვე ექვსი ათასი წლის მანძილზე ეძებს“[56].

მისი მოსაზრებით, „შეფარდებითი ან საცვლელი ღირებულების“ განმარტების პრობლემას პოლიტიკური ეკონომია ყოველთვის სვამდა პირველი შეკითხვის სახით, „რომელიც მას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ იგი (ღირებულება-ი.ი.) არ შეიძლება განსაზღვრული იყოს აბსოლუტური სახით და არსებითად ცვალებადია“. ასეთი მდგომარეობის მიზეზი იმაშია, აზუსტებს იგი, რომ ერთიდაიგივე პროდუქტი სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვაა ადგილებზე შეიძლება მეტი ან ნაკლები დრო, მეტი ან ნაკლები დანახარჯები ღირდეს. მაგრამ კონკრეტულ პერიოდში, აცხადებს მეცნიერი, სავსებით უცვლელია თავის ალგებრულ გამოხატულებაში, თუმცა მისი ფულადი გამოხატულება შეიძლება იცვლებოდეს კიდევაც“. ამ წანამძღვრიდან გამომდინარე, იგი აყენებს პროდუქტის აბსოლუტური ფასეულობის განსაზღვრის პრინციპს, რომელიც დაკავშირებული არ არის „გამყიდველის ან მყიდველის მოსაზრებასთან“, ხოლო თვით პროდუქტი უნდა ანაზღაურდეს „არც მეტი და არც ნაკლები, იმის შესაბამისად, თუ რამდენი დრო და დანახარჯი ნაიღო მან“[57].

კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს რეალიზებული „საგნის აბსო-ლუტური ფასეულობის გამოვლენის“ პრინციპი მის დამზადებაზე დახარჯული დროით და დანახარჯებით და როგორ ავიცილოთ „შეფასების პრინციპის უცოდინარობა“, რომელიც ნარმოადგენს „გაცვლის მიზეზს ვაჭრობაში“ და „უთანაბრობის მდგომარეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს“[58], პ. პრუდონმა უპასუხა თავის „ფილოსოფიის სიღატაკეში“.

პასუხის არსი ასეთია: ეკონომისტებმა უნდა გაიგონ „ღირებულების სინთეზური იდეა“, რომლის შესაბამისად *ფასეულობა უნდა იქნეს „კონსტიტუირებული“, ე.ი. დარეგულირდეს ჯერ კიდევ გაყიდვამდე შრომისა და დროის შესაბამისი დანახარჯების წინასწარ დადგენის მეშვეობით.* ამასთან, „სინთეზური ღირებულების“ იდეა, წერს პ. პრუდონი, არახალია, რამდენადაც იგი თითქოსდა „ბუნდოვან მონახაზში დანახული იყო ა. სმითის მიერ“. რაც შეეხე-

ბა კონსტიტუირებული ღირებულების საქონელთა ისტორიულ ანალოგებს, ისინი, მისი შეხედულებით, უკვე არსებობს, რამდენადაც სახელდობრ ოქრო და ვერცხლი „იყვნენ პირველი საქონლები, რომელთა ღირებულება კონსტიტუირებულ იქნა"[59].

მაშასადამე, სინამდვილეში, საქონელთა ღირებულების განსაზღვრა, როგორც „მათში განივთებული შრომის შედეგი, - პ. პრუდონისთვის... უცხო აზრია", ვინაიდან მისთვის „პროდუქტები (და არა მათი ფასეულობა) მხოლოდ შრომისგან ნარმოიშობიან"[60].

შემოსავლების თეორია

ამ თეორიის გადმოცემა პ. პრუდონმა ააგო ე.წ. სამი ელემენტის - შრომის, კაპიტალის და მინის შინაარსის განხილვით, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის მიერ მიღებულია შემოსავლის ძირითადი წყაროების სახით.

იგი ამტკიცებს, რომ „წარმოება ამ სამი ელემენტის შედეგია, რომლებიც ცალ-ცალკე აღებული ერთნაირად უსარგებლოა", ვინაიდან „კაპიტალიზმი, მინა და შრომა, ცალ-ცალკე და განყენებულად განხილულები, შეიძლება მწარმოებლურებად ჩაითვალონ მხოლოდ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით". მაგრამ, მისი მოსაზრებით, მინის ან კაპიტალის ყოველი მესაკუთრე, „თვითონ არაფრის მწარმოებელი" და თავისი შემოსავალი „რომელსაც არაფრისთვის იღებს, ან პარაზიტია, ან ყალთაბანდი"; ის მესაკუთრეები კი, რომლებმაც „დაიმორცხვეს თავიანთი უსაქმურობით, მუშაობენ", და მაინც მეტს არ იმსახურებენ, ვიდრე „მხოლოდ თავისი ჯამაგირი, მაგრამ არა შემოსავლები"[61].

ამრიგად, პ. პრუდონი არსებითად სოლიდარულია ს. სისმონდისთან იმაში, რომ *მუშებს მათი შრომისთვის უხდიან წარმოების პროცესში წარმოშობილი შემოსავლის ჩამოჭრილ ნაწილს.* და ამ დებულების არგუმენტირებაში იგი არანაკლებ მჭერმეტყველია თავის წინამორბედზე, როდესაც ლაპარაკობს, მაგალითად, „მშრომელთა გაერთიანების", „ყალთაბანდური დამალვის", „ცხოვრების პირობების უთანაბრობის", „ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესახებ" [62] და ა.შ.

კვლავწარმოების თეორია

პ. პრუდონის წარმოდგენაში კვლავწარმოება ხასიათდება იმით, თუ რამდენად დაბალანსებულია საზოგადოებაში წარმოება და მოხმარება. ასე, მაგალითად, მისი სიტყვებით, „გამართულ მეურნეობაში წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებობს წონასწორობა". მაგრამ რეალურ სინამდვილეში, ხაზს უსვამს იგი, „მესაკუთრეებმა მუშაობა მიატოვეს, მათი მოხმარება, ეკონომიკური

პრინციპების თანახმად, არამნარმოებლურია“ და ამიტომ „პოლიტიკური ეკონომიის აფორიზმები მცდარია“[63].

აქედან პ. პრუდონი აკეთებს *დასკვნას მესაკუთრეთა მიერ „ეკონომიკური კანონის“ დარღვევის შესახებ, რომლის შესაბამისად, „შრომა უნდა გაწონასწორდეს პროდუქტთან “* [64]. ამით იგი, ისე, როგორც ს. სისმონდი, *გვიჩვენებს „სეის კანონის“ მიულებლობას.* მაგრამ ცხადია, რომ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ გაიგეს ეკონომიკური კრიზისების ჭეშმარიტი მიზეზები, რომელთაც წარმოადგენს „სამრენველო თავისუფლების ბუნებრივი და აუცილებელი შედეგები, რომლის დროსაც ყოველი მწარმოებელი ემყარება თავის ანგარიშს, სხვა მწარმოებელთა მხედველობაში მიუღებლობით“[65].

რეფორმების თეორია

რეფორმების აუცილებლობაზე სოციალური საკითხის მოსაგვარებლად საუბარია პ. პრუდონის ნაწარმოებთა უმეტესობაში. მათში, მიიჩნევდა რა თავის მოვალეობად სოციალური სამართლიანობის დასაბუთებას, იგი გაბედულად *უარყოფს ყოველგვარ აბრს რევოლუციის შესახებ.* ამასთან, „ფილოსოფიის სიღატაკის“ გამოცემის წინ კ. მარქსისადმი წერილში მის მიერ ჩამოყალიბდა საკუთარი რეფორმების რაღაც საბოლოო მიზანი: „ეკონომიკური კომბინაციის დახმარებით საზოგადოებაში შემოეტანა ის სიმდიდრეები, რომლებიც საზოგადოებიდან გავიდნენ სხვა ეკონომიკური კომბინაციების დახმარებით“[66]. ამ მიზნის რეალიზების შემთხვევაში, ნათქვამია ერთ-ერთ მის უკანასკნელ ნაშრომში, მომავალმა თაობამ სამუდამოდ თავი უნდა დააღწიოს „ჩვენი საერთო ბრალისგან“ იმისთვის, რომ „ზოგიერთი ჩვენგანი მეტს ან ნაკლებს იღებს, ვიდრე წესით ეკუთვნის“[67].

პ. პრუდონის რეფორმატორული იდეები ცოტა საერთოს როდი შეიცავს მის ახლობელ ს. სისმონდისთან. ეს ჩანს პ. პრუდონის ისეთი იდეებისგან, როგორიცაა[68]:

- საზოგადოებაში თანაგრძნობით დამოკიდებულებაზე ე.წ. „მესამე პირებისადმი“, ე.ი. გლეხებისადმი, ხელოსნებისა და კუსტარებისადმი;
- „წვრილი საკუთრებისა და წვრილი წარმოების“ პრიორიტეტული როლის აღიარება ეკონომიკაში, როგორც პირობა, რომელიც მუშებს უქმნის მდგომარეობას, „არსებობის უზრუნველყოფის აზრით, თითქმის ისევე, რიგორც სრული თანასწორობის დროს “;
- სოციალური სამართლიანობის პრინციპისადმი ერთგულება, რომელიც გაგებულია, როგორც შესაძლებლობა

„მისცეს თითოეულს დოვლათის თანაბარი ნაწილი...იმოქმედოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად“;

- კანონმდებლობიდან ანაზღაურების უთანაბრობის პრინციპის ამოღება, „უნარების უთანაბრობის საბაბით“;
- დაუშვებლობა „კაპიტალის ან შემოსავლების ყოველგვარი კონცენტრაციისა ერთი კაცის ხელში, შრომის ექსპლოატაციისა, ძარცვისა“.

სპეციფიკური რეფორმატორული იდეების რიცხვს კი, რომლებიც მხოლოდ პ. პრუდონს ეკუთვნის, აუცილებელია მივაკუთვნოთ შემდეგი:

- ფულის გაუქმება და მის ადგილზე მიმოქცევადი (გაცვლადი) ბონების შემოღება;
- სარგებლის გაუქმება უფასო კრედიტის ორგანიზების მეშვეობით;
- *სახალხო ბანკის* ორგანიზება;
- მთავრობის გაუქმება, როგორც რეფორმების განხორციელების დასასრული.

პ. პრუდონის არგუმენტები, ფულის ნაცვლად *მიმოქცევადი ბონების* შემოღების სასარგებლოდ, შემდეგია: ფულის საიმედოობა გამოიხატება ბანკის ვალდებულებაში აანაზღაურის იგი უნივერსალური ექვივალენტური საქონლის შესაბამისი რაოდენობით, ე.ი. ლითონის ფულით; მიმოქცევადი ბონების საიმედოობა გარანტირებული იქნება სახალხო ბანკით, რომელიც მხოლოდ თავის ნევრებს - ამ ბონების მფლობელებს - შეთავაზებს უსიტყვო უფლებას განსაზღვრულ საქონელზე. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ თითქოსდა ფული, მათ შორის ლითონის, გამოიდევნება გაცვლითი ბონებით, თუმცა, სინამდვილეში, „არანაირი გარანტია არ არსებობს იმაში, რომ მათი რაოდენობა გადააჭარბებს მიმოქცევის ბაზრის მოთხოვნილებას მიმოქცევის იარაღებზე.“[69]

სარგებლის გაუქმებაზე „უპროცენტო კრედიტის“ ორგანიზების მეშვეობით პ. პრუდონი მსჯელობს იმ იმედით, რომ მშრომელები „ფულს მუქთად ისესხებენ“ და „უშუალოდ შეიძენენ ყველა სასარგებლო კაპიტალს“. სინამდვილეში კი, „გაყიდვა ნაღდ ფულზე და კრედიტში ორი სხვადასხვა ოპერაციაა, რომელიც მომავალშიც ასე იქნება და დოვლათის ფლობა მოცემულ მომენტში ყოველთვის ჩაითვლება უფრო ხელსაყრელად, ვიდრე მათი ფლობა მომავალში... ამგვარად, ფულზე სარგებელი ისევ გამოჩნდება, მაგრამ ახალი ფორმით“[70].

პ. პრუდონი რეფორმების საკუთარ კონცეფციაში სახალხო ბანკის ორგანიზებაზე მთავარ იმედებს ამყარებს. მისი ბანკი განსხვავებული უნდა ყოფილიყო სოციალისტ-რიკარდიანელების

გაცვლითი ბანკებისგან სამი პოზიციით[71]. ჯერ-ერთი, იმით, რომ მასში ლითონის ფული მოისპობოდა არა მაშინვე, არამედ ბონების წინასწარი გამოშვების წყალობით, ფულზე და კომერციულ თამასუქებზე გადასაცვლელად. მეორე, იმით, რომ ფულზე სარგებელი (პროცენტი) ივარაუდება მოისპოს არა მთლიანად, არამედ დაყვანილ იქნეს თავდაპირველად დაფიქსირებული 2%-იანი დონიდან, მინიმალურ - 0,25%-ის დონემდე (სესხის გასაცემად ასევე გაუყიდავ საქონელთა გირავნობით). და მესამე, იმით, რომ სახალხო ბანკის შექმნა მოხდება არა კაპიტალის მოზიდვის გარეშე, არამედ, პირიქით, 5 ფრანკად დაყოფილი 5 მლნ კაპიტალის წილობრივი მონაწილეობით.

სხვათა შორის, პ. პრუდონი, როგორც სოციალისტ-რიკარდიანელები, მწარმოებ-ლებისთვის მათი საქონლის მუდმივად და სრულად გასაღებაზე გარანტიის მიცემით, წარმოების სრული თავისუფლების პირობებში, ცხადია, თავს არ იმძიმებდა კითხვით, „როგორ უნდა მოხდეს ისეთ საქონელთა რეალიზაცია, რომელიც რატომღაც არ მოსწონს მყიდველებს ან წარმოებულია ჭარბი რაოდენობით მოთხოვნის წინააღმდეგ", და შეიძლება თუ არა საერთოდ „საკომისიო კანტორებში ვეძებოთ სოციალური საკითხის გადაჭრა"[72].

დაბოლოს, *მთავრობის გაუქმების იდეა* პ. პრუდონთან არსებითად, იმას ემყარება, რომ მისი რეფორმების შედეგად განხორციელდება „კლასების შერწყმა" და დარჩებიან მხოლოდ მშრომელები, რომლებიც საკუთარი შრომის პროდუქტებს გაცვლიან მათი ჭეშმარიტი ფასებით, და ამიტომ „საერთო ჩაგვრის უღლით მათი ურთიერთ- ბრძოლის დამთავრებისთვის" მოწოდებული მთავრობა უსარგებლო გახდება. ამრიგად, მისი აზრით, „რამდენადაც კაპიტალი და შრომა გაიგივდება, საზოგადოებას შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლად და არ საჭიროებდეს მთავრობას"[73].

11.3. ეკონომიკური რომანტიზმის ისტორიული მნიშვნელობა

ეკონომიკური რომანტიზმი, როგორც პოსტმანუფაქტურული პერიოდის ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი დამოუკიდებელი მიმართულება, თვისებრივად ახალ ეტაპს წარმოადგენს თეორიული ეკონომიკის ისტორიაში, და ამის შესახებ მონმობს შემდეგი გარემოებები.

ჯერ-ერთი, ს. სისმონდიმ და პ. პრუდონმა - ეკონომიკური რომანტიზმის ლიდერებმა - თავიანთ ნაშრომებში შეძლეს დაესაბუთებინათ მრავალრიცხოვანი უცილობელი დასაბუთებები სმითისეული იდეების უსაფუძვლობის შესახებ „ეკონომიკური ადამია-

ნის" და „უჩინარი ხელის" თაობაზე, ე.ი. ეკონომიკური ლიბერალიზმის პირობებში ეკონომიკის გარანტირებული, ჰარმონიული და თანამიმდევრული განვითარების და სამეურნეო მექანიზმის ავტომატური თვითრეგულირების შესახებ.

მეორე, მათ მიეკუთვნება არგუმენტირებული მსჯელობები ე.წ. სეის კანონის სენტენციების შესახებ, რომელთა უარყოფით ისინი კრიზისების წარმოშობას განვითარებული ქვეყნების იმ ეპოქის პოსტმანუფაქტურულ ეკონომიკაში ახასიათებენ არა, როგორც შემთხვევით მოვლენას, არამედ, როგორც მეურნეობის იმანენტურ თვისებას, რომელიც ორგანიზებულია leissez faire-ს პრინციპებზე.

დაბოლოს, მესამე, ეკონომისტმა-რომანტიკოსებმა, კლასიკოსთა ეკონომიკურ მოძღვრებასთან მიმართებაში ოპოზიციაში ყოფნისას, „კლასიკურ სკოლას" დაუპირისპირეს სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების კონცეფციები, რომელთა ცალკეულ დებულებებს თავიანთი აქტუალობა დღემდეც კი არ დაუკარგავთ.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საკვანძო დებულებათა არგუმენტირებულმა მიუღებლობამ, საკუთარი შეხედულებების სისტემატურმა ასახვამ ეკონომიკური მეცნიერების დედაარსსა და როლზე ს. სისმონდის და პ. პრუდონს საფუძვლად გამოადგათ დაესაბუთებინათ ალტერნატიული კონცეფციები მისი საგნის, მეთოდის და დანიშნულების შესახებ საზოგადოებრივ, მათ შორის სამეურნეო ცხოვრებაში.

ეს მკვლევარები ეკონომიკური აზრის ახალი მიმართულების ფუძემდებლები გახდნენ, ხოლო მათი შემოქმედება, ეკონომიკის პოსტმანუფაქტურული განვითარების ეტაპზე, პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევა გახდა.

ეკონომიკური აზრის ცნობილი ფრანგი ისტორიკოსები შ. ჟიდი და შ. რისტი, ჯ. მ. კეინზის ეკონომიკური მოძღვრების გამოჩენამდე ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულით ადრე და, შესაბამისად, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების დებულებათა თეორიულ გააზრებამდე, აღნიშნავდნენ, რომ, უდაოდ, „ს. სისმონდი იყო სახელმწიფოს ჩარევის პრინციპის პირველი მქადაგებელი" და რომ, უწინარეს ყოვლისა, მისი წყალობით პოლიტიკურ ეკონომიაში „დროული ხდება სოციალური პოლიტიკა". მაგრამ, ამასთან, წერენ ისინი, ის ყოველთვის ინახავდა „საიდუმლო სიმპათიას კორპორაციებისა და პრივილეგირებული საამქროების ძველი რეჟიმისადმი", მაგრამ ამ დანესებულებათა დაგმობით, როგორც „წარმოების ინტერესებისადმი შეუსაბამოს", მუდმივად სვამდა კითხვას „ხომ არ შეიძლება მათგან გამოცდილების ამოღება კონკურენციის ბოროტქმედებათა ასალაგმად". ისინი ასევე დარწმუნებულები არიან იმაში, რომ სახელმწიფო ჩარევისადმი მოწოდებით და „აბსოლუ-

ტური ლიბერალიზმის წინააღმდეგ რეაქციის“ გახსნით, ეკონომიკური რომანტიზმის ფუ-ძემდებელმა საფუძველი მისცა კ. მარქსს მისგან ამოეღო იდეა „მესაკუთრეთა მცირე რიცხვისგან ქონებათა კონცენტრაციის შესახებ და მუშათა მასების მზარდი პროლე-ტარიზაციის შესახებ“ და, რომ „ზედმეტი ღირებულების“ ცნების წარმოშობასაც კი შეეძლო სწორედ ს. სისმონდის გამოეცნო, რამდენადაც კ. მარქსი, მის მსგავსად, „მოგებას ხსნის იმით, რომ მუშა ყიდის არა თავის შრომას, არამედ თავის სამუშაო ძალას“[74].

ი. შუმპეტერის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942) დიდწილად ადგილი აქვს ს. სისმონდის ანალოგიურ შეფასებებს. ამ ნაშრომში, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ დ. რიკარდო არ უნდა ჩაითვალოს ერთადერთად, „ვინც ზეგავლენა მოახდინა კ. მარქსის ეკონომიკურ თეორიაზე“, რომ ს. სისმონდის და რიგ სხვა ავტორთა ნაწარმოებები მრავალი თვალსაზრისით, მისი საკუთარის (კ. მარქსის-კ.ც.) პარალელურია“. ნათქვამი იმით დასტურდება, წერს ი. შუმპეტერი, რომ კ. მარქსი „უსაზღვროდ ხაზს უსვამს მშრომელი მასების მზარდ სიღარიბეს“. გარდა ამისა, აზუსტებს იგი, „კ. მარქსის მოძღვრების სიახლოვე ს. სისმონდის მოძღვრებასთან“ ცხადია კრიზისების მისეულ ახსნაში, ასევე „ზედმეტი ღირებულების თეორიაში და სხვა ადგილებში“ [75].

გარდა ამისა, ნ. კონდრატიევის კვალდაკვალ შეიძლება სრული განსაზღვრულობით ვაღიაროთ: „ს. სისმონდი ზოგადთეორიულ შეხედულებებში, ე.ი. ფასეულობისა და ფასის, განაწილებისა და შემოსავლის შესახებ მოძღვრებაში, საერთოდ კლასიკოსების დოქტრინის ნიადაგში რჩებოდა. მაგრამ ეკონომიკური კრიზისების და მოსახლეობის მასობრივი გაღარიბების სურათმა გააუქმა კლასიკოსების მსჯელობები, რომლებიც გამოხატავდნენ მათ შეფასებით დამოკიდებულებას თავისუფალი კონკურენციის წყობის ღირსებებისადმი.

ცხადია, მართლზომიერია ასევე ნ. კონდრატიევის კიდევ ერთი დებულება, რომლის შესაბამისად, ს. სისმონდის ბრძოლა „კლასების წინააღმდეგ“ მომდინარეობდა არა იმდენად თეორიულ უთანხმოებათა გამო „საზოგადოებრივი იდეალის შესახებ წარმოდგენებში“, რამდენადაც ინტერესის გაღვიძებაში „საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობის ისტორიული ფარდობითობის ცვალებადობის პრობლემისადმი“ და ამ თვალსაზრისით, მას და ფ. ლისტს „შეუძლიათ კონტისა და მილთან ერთად ითვლებოდნენ სოციალური ეკონომიის ისტორიული სკოლის ფუძემდებლებად“[76]

საკუთარი ეკონომიკური პროგრამის წამოყენებისას პ. პრუდონს იმის იმედიც აქვს, რომ სოციალისტური სამართლიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური სამართლია-

ნობის მეშვეობით. იმაში, რომ ახლა „საჭიროა რეფორმა“, ვარაუდობს იგი, ადგილი აქვს „ჩვენს საერთო ბრალს“, ვინაიდან, „ზოგიერთი ჩვენთაგანი მეტს ან ნაკლებს იღებს, ვიდრე წესით უნდა მივიღოთ“[77].

შ. ჟიდისა და შ. რისტის შეფასებათა თანახმად, „უკეთესად, ვიდრე ვინმემ წინამორბედთაგან, მან (პ. პრუდონმა-კ.ც.)“ გაიგო, რომ ეკონომიკური თავისუფლება არის თანამედროვე საზოგადოებათა საბოლოო მონაპოვარი, რომ ყოველი სიღრმისეული რეფორმა უნდა ეყრდნობოდეს ამ თავისუფლებას. მაგრამ ეს ლიბერალიზმი, - განაგრძობს იგი,- ეკონომიკური რეალობის სიღრმისეულ გრძნობას ემყარება, და ახლა სოციალური პრობლემა იმავე ჩარჩოებში იდება, რომლებშიც იგი პ. პრუდონმა მოათავსა: სამართლიანობა რეალიზებული უნდა იქნეს თავისუფლებაში“.[78]

ამრიგად, ს. სისმონდის და პ. პრუდონის ეკონომიკურ მოძღვრებას წითელ ზოლად გასდევს აზრი მათი ერთგულების შესახებ სოციალური სამართლიანობის პრინცი-პებისადმი. ეკონომიკა და საზოგადება მათ შემოქმედებაში რეფორმატორული ზრუნვის საგანია. ხოლო მათ მიერ შემოთავაზებულ სოციალურად ორიენტირებულ რეფორმატორულ პროექტებში, თუ შ. ჟიდისა და შ. რისტის სიტყვებით ვიტყვით, დომინირებს „საშუალო გზის (არც კაპიტალისტურის და არც სოციალისტურის)“ ძიების მიზანშეწონილობის იდეა, რომელზეც ისინი, თავისუფლების ბოროტად გამოყენების გამოსწორებით, არ შეწირავდნენ თავიანთ პრინციპებს“, „ავტორიტარული სოციალიზმის ყველა ფორმის“ მიუღებლობის შესახებ, „ინდივიდუალური თავისუფლების, როგორც ეკონომიკური საქმიანობის მამოძრავებელის“ უსიტყვო აუცილებლობისთვის. ამის გათვალისწინებით, მართლზომიერია აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიაში ეკონომისტ-რომანტიკოსების რეფორმების კონცეფციები მოასწავებს სრულიად სხვაგვარ, ვიდრე ეკონომისტ-ლიბერალების სამეურნეო სისტემის ხედვას, რომელთათვისაც სოციალური ორიენტირები, როგორც ცხადია, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაბამისი ზომებით და „ზემოდან“, როგორც ს. სისმონდთან და „ქვემოდან“, როგორც პ. პრუდონთან.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რას ნიშნავს ტერმინები „ეკონომიკური რომანტიზმი“ და „ეკონომისტი-რომანტიკოსები“?

2. რაში მდგომარეობს პოლიტიკური ეკონომიის საგნისა და მეთოდის განმარტებათა თავისებურებები ს. სისმონდის შემოქმედებაში?
3. შეადარეთ ს. სისმონდის, კლასიკოსების მოძღვრებისადმი დიამეტრალურად საპირისპირისპირო დასკვნები მწარმოებლური შრომის, შრომის დანაწილების, ხალხთმოსახლეობის, შემოსავლებისა და კვლავწარმოების მისი თეორიებიდან.
4. შეიძლება თუ არა ს. სისმონდის დავეთანხმოთ იმაში, რომ „მოცემული წლის წარმოების ჯამი ყოველთვის მხოლოდ გაიცვლება გასული წლის წარმოების ჯამზე? ჩამოაყალიბეთ საკუთარი არგუმენტები მოცემულის თაობაზე.
5. რა გარანტიებზეა საუბარი „საყოველთაო კონკურენციის წინააღმდეგ“ ს. სისმონდის რეფორმების თეორიებში? გადმოეცით თქვენი დამოკიდებულება საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში ამ მეცნიერის მიერ სახელმწიფოს ჩარევის რეკომენდებული ზომებისადმი.
6. რა თავისებურებები ახასიათებს შესწავლის საგანსა და მეთოდს პ. პრუდონის შემოქმედებაში?
7. გააანალიზეთ ძირითად დებულებათა შინაარსი პ. პრუდონის ხალხთმოსახლეობისა და შრომის დანაწილების თეორიებში. ამ თეორიებში რომელი პოზიციებია ახლოს ს. სისმონდის ანალოგიურ თეორიებთან?
8. რა არის პ. პრუდონის „კონსტიტუირებული ღირებულება“? ამასთან დაკავშირებით, შეადარეთ პ. პრუდონის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ღირებულების თეორიასთან.
9. როგორია „სეის კანონის“ მიულებლობის არგუმენტები პ. პრუდონის კვლავწარმოების თეორიაში? ამ თვალსაზრისით, რამდენად არიან ისინი შესადარისები სისმონდის შეხედულებებთან?
10. განიხილეთ და კომენტარი გაუკეთეთ პ. პრუდონის რეფორმატორულ იდეებს ფულისა და სარგებლის გაუქმების, სახალხო ბანკის ორგანიზების და მთავრობის გაუქმების.

ამ თავიდან თქვენ გაიგებთ:

- რომ სოციალისტ-უტოპისტების ანტისაბაზრო დოქტრინების წარმოშობა დიდწილად განპირობებული იყო მათ მიერ საზოგადოების სოციალური მოწყობის იდეალური მოდელის (ლიბერალური ეკონომიკის პირობებში) დასაბუთებულად არგუმენტირებული მიუღებლობით კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ავტორთა მოძღვრებაში;
- XIX საუკუნის პირველი ნახევრის უტოპიური სოციალიზმის ლიდერებიდან, რომელი იყო „კოლექტივიზმის ჭეშმარიტი წინამორბედი" და რომელ მათგანს სურდა, რომ „ინდივიდი მასაში არ დაკარგულიყო," მას შემდეგ, რაც „გაერთიანება.. მოვა ქვემოდან და არა ზემოდან" (შ. ჟიდი, და შ. რისტი);
- როგორია რ. ოუენის, კ. სენ-სიმონის და შ. ფურიეს რეფორმატორული იდეების თავისებურებები „ექსპლოატატორული" საზოგადოების არაძალადობრივი მსხვრევის და სოციალური სამართლიანობის პრინციპების განმტკიცების შესახებ, რომელიც თითქოსდა ბუნებრივად დამახასიათებელია მხოლოდ სოციალიზმისთვის.

12.1. პოსტმანუფაქტურული პერიოდის უტოპიური სოციალიზმის თავისებურებები

ადრეულ სოციალისტურ უტოპიებში, დაწყებული პლატონის თხზულებებიდან და დამთავრებული თ. მორის, თ. კამპანელას და სხვათა ნაწარმოებებით, საუბარი იყო კერძო საკუთრების კრიტიკაზე, როგორც წესი, მორალის პოზიციებიდან. მათი უტოპიური კონცეფციების არსიდან ცხადი იყო, ლტოლვა საზოგადოების პრიმიტიული იდეალური მოწყობისკენ მოთხოვნილების თანაბრობის და უნარების თანაბრობის პრინციპებზე.

მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელთა ნაშრომების ზეგავლენით, სოციალისტ-უტოპისტთა დოქტრინებმა არსებითი თვისებრივი ცვლილებები განიცადეს. უტოპიური სოციალიზმისთვის მოცემული პერიოდი, რომელიც უკავშირდებოდა სამრეწველო გადატრიალე-

ბის დამთავრებას, აღსანიშნავია ახალი ეკონომიკური რეალიების გააზრებით, რომელთაც თავიანთი ასახვა ჰპოვეს ეკონომიკური აზრის ახალი თაობის ამ სკოლის დამუშავებებში და განსაკუთრებით რ. ოუენისა ინგლისში, და კ. სენ-სიმონისა და შ. ფურიესი საფრანგეთში.

სწორედ ამ ავტორებმა და მათმა მიმდევრებმა დაიწყეს თავიანთი იდეების დაკავშირება XIX საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ პირობებთან და პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის მაშინ გაბატონებულ პრინციპებთან. კერძოდ, ისინი, ისე როგორც კლასიკოსები, იბრძვიან ტექნიკურ გამოგონებათა შემდგომი დაჩქარებისა და მეცნიერული აღმოჩენებისთვისთვის და საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივად განვითარებისთვის, მიიჩნევენ რა ამას ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად. გარდა ამისა, ერთნიც და მეორენიც ბუნებრივი წესრიგის კონცეფციას ემხრობიან, ე.ი. საზოგადოების და ყოველი ადამიანის იდეალური სოციალური მოწყობის მოდელებს ქმნიან. აყენებენ, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ამ მოდელების არსი და მათი აგების გზები, ერთისაც და მეორეებისაც დიამეტრალურად საწინააღმდეგოა.

მოცემულ კონტექსტში საქმე ეხება იმას, რომ კლასიკოსებისგან განსხვავებით, სამრეწველო გადატრიალების ეპოქის სოციალისტ-უტოპისტები არ იღებენ (რ. ოუენი) ან აკრიტიკებენ (კ. სენ-სიმონი და შ. ფურიე) კერძო საკუთრების ინსტიტუტს, ასევე გმობს შეუზღუდავი კონკურენციის ეკონომიკის იდეას და პრაქტიკას, რომელშიც ხედავენ არა მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მიზეზს, არამედ ასევე სამეურნეო ცხოვრების გარდაუვალ მონოპოლიზაციას და, შესაბამისად ეკონომიკური კრიზისების მიზეზებსაც.

აქედან გამომდინარე, ძირითად ამოცანად მათ მიერ წამოყენებულია საყოველთაო აგიტაციისა და პროპაგანდის ჩატარება, რომლებიც მიმართულია მიზნის მიღწევაზე ანტაგონისტური კლასების და კონკურენციის მოსპობაზე თავისუფლებისა და წარმოების მოთხოვნების შენარჩუნების პირობებში, მშრომელთა რეკომენდებული (და პირადად ორგანიზებადი) თავისუფალი ასოციაციური წარმონაქმნების ფარგლებში და რომელშიც თითოეული საკუთარი თავისთვის შეინარჩუნებს თავისი შრომის სრულ პროდუქტს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, *ახალი თაობის სოციალისტ-უტოპისტები, ისე, როგორც მათი წინამორბედები, უარყოფენ, როგორც ევოლუციური სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების უკეთესობისკენ გარდაქმნათა შესაძლებლობას, ასევე რევოლუციების აუცილებლობას, ე. ი. „ექსპლოატატორული" საზოგადოების მსხვრევას*". მაგრამ მეორე მხრივ, მათი დოქტრინები, რომელიც

ისევ სოციალური სამართლიანობის იდეების აგიტაციასა და პროპაგანდას ემყარება, რომელიც სოციალიზმისთვის არის დამახასიათებელი, რომლის ბუნებრივ ხასიათს თითქოსდა საკმაოდ უნდა ვენდოთ, რათა რაც არ უნდა მოხდეს, მაშინვე უარი უნდა ვთქვათ არასამართლიან დღევანდელობაზე,- *უკვე არა უბრალოდ უტოპიურ ხასიათს, არამედ ანტისაბაზრო ხასიათსაც იძენენ.*

დაბოლოს, მნიშვნელოვანია ასევე მივუთითოთ ჩამოყალიბებულ განსხვავებაზე თვით უტოპიური სოციალიზმის XIX საუკუნის პირველი ნახევრის ანტისაბაზრო დოქტრინების შინაარსში. ამასთან, მხედველობაშია მიღებული ის, თუ როგორ წარმოიდგენდნენ ამ სკოლის ავტორები, ჯერ ერთი, ინდივიდიალიზმის კოლექტივიზმით შეცვლის მექანიზმს და, მეორე, მშრომელთა მომავალი გაერთიანების პრინციპს კოლექტიურ ორგანიზაციებში. ამ გარემოებებზე ყურადღების გამახვილებით შ. ჟიდმა და შ. რისტმა, მაგალითად, შემდეგი დასკვნები გააკეთეს[1]:

- კ. სენ-სიმონი და მისი თანამოაზრეები „კოლექტივიზმის ჭეშმარიტი წინამორბედები" არიან, რამდენადაც ისინი ცდილობენ „კოლექტიურ ორგანიზაციაში მოაქციოს ერის ყველა წევრი" და ასეთი გაერთიანების შესაძლებლობა გულისხმობს „ზემოდან", ე.ი. „ეკონომიკური მთავრობის" „ნაციონალიზაციისა" და სხვა ქმედებების მეშვეობით, რომელსაც შეცვლის „პოლიტიკური მთავრობა";
- რ. ოუენი და შ. ფურიე და მათი მიმდევრები-ეს „სოციალისტი-ასოციანისტები" არიან, რამდენადაც განსხვავებით „სენ-სიმონისტებისგან" ისურვებენ, რომ „ინდივიდი მასაში არ დაიკარგოს" და ამჯობინებენ „შეინარჩუნონ იგი მცირე ავტონომიური ჯგუფების ორგანიზების დახმარებით", ე.ი. ვარაუდობენ, რომ „გაერთიანება მოვა ქვემოდან, და არა ზემოდან".

12. 2. რ. ოუენის, კ. სენ-სიმონის და შ. ფურიეს ეკონომიკური შეხედულებები

რობერტ ოუენი (1771-1858) - ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი, რიგი ნაშრომების ავტორი, რომელიც სოციალისტური გარდაქმნების პროექტებს შეიცავს. მათ შორის არის ისეთი თხზულებები, როგორიცაა „ადამიანისეული ხასიათის წარმოშობის შესახებ"(1813-1824), „მოხსენება ნიუ-ლანარკის საგრაფოს" (1820) , „წიგნი ახალი ზნეობრივი სამყაროს შესახებ" (1836-1844) და სხვ.

მისი თეორიული შეხედულებები ღირებულების ნაწილში ახლოს არის კლასიკოსებთან, განსაკუთრებით დ. რიკარდოსთან. კერძოდ, მან უსიტყვოდ მიიღო მათგან *შრომითი ღირებულების თეორია, თუმცა, მათგან განსხვავებით, არ უშვებდა დებულებას იმის შესახებ, რომ საქონლის ფასეულობა კიდევ მოგებასაც მოიცავს.* სწორედ უკანასკნელის აღმოცენების არასამართლიანობა, მისი შეხედულებით, წარმოადგენს მუშათა დაბეჩავების და ეკონომიკური კრიზისების მიზეზს.

რ. ოუენი არ იზიარებდა ხალხთმოსახლეობის მალთუსიანურ თეორიასაც, იმ ვარაუდით, რომ „ფიზიკური შრომის სწორი ხელმძღვანელობის დროს... ქვეყნებს შეუძლიათ არსებობის საშუალებები მისცენ მოსახლეობის უსაზღვროდ მზარდ რაოდენობას, ამასთან ყველა მაცხოვრებლისთვის დიდი სარგებლიანობით“[2].

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რ. ოუენმა, როგორც მსხვილმა ფაბრიკანტმა, კლასიკოსების საწინააღმდეგოდ, ბევრი რამ განჭვრიტა, რომლებიც შემდგომში ჩვეულებრივი გახდა, ღონისძიებები სოციალურ პრობლემათა გადასაჭრელად საზოგადოებრივი ნარმოების ფაბრიკულ-ქარხნული ორგანიზაციის პირობებში. ასე, მაგალითად, თავისი ფაბრიკის მუშებისთვის ნიუ-ლარნაკში, ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში აშენდა სპეციალური კეთილმოწყობილი ბინები, სასადილო, სავაჭრო მაღაზია, შემნახველი სალარო, საბავშვო ბაღი და ბაგები და ა.შ. იქ შრომის დადგენილი წესრიგით, მან ფაქტობრივად ნახევარი საუკუნით განსაზღვრა შესაბამისი საფაბრიკო კანონმდებლობა[3]:

1) სამუშაო დღის შემცირებით მოზრდილებისთვის 17-დან 10 საათამდე;

2) უარი ეთქვას 10 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვთა შრომის გამოყენებას და გაიხსნას მათთვის სკოლები, რომლებიც პირველად იყო აბსოლუტურად საერო;

3) ჯარიმების გაუქმებით, რომლებიც ერთობ ჩვეულებრივი იყო.

თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში რ. ოუენი ცდილობს დაასაბუთოს *„საზოგადოების გონივრული მოწყობის“ კონცეფცია.* მისი ჩანაფიქრის მიხედვით, მთავარი მოთხოვნა ასეთი სახის ახალ საზოგადოებაზე გადასვლისას იქნება „გონივრული კანონების“ მიღებით თვით იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომლებიც იწვევენ „არაფრის მწარმოებელი მომხმარებლების“ საჭიროებას და ამით თავიდან აიცილონ „მთელი სოციალური სისტემის“[4] ძალადობრივი დამხობა. ამასთან, მეცნიერის შეხედულებით, კერძო საკუთრების ბატონობა ძირითადად „უსამართლობათა, დანაშაულობათა და უბედურებათა“ გადამწყვეტი მიზეზია, რომელსაც ადამიანი განიცდის, ხოლო მან-

ქანები, რომლებიც შეიძლება იყოს „უდიდესი მადლი", მისი „უდიდესი ნყევლა გახდება"[5].

რ. ოუენი დარწმუნებულია „ნებისმიერი ძალადობრივი გადატრიალების" მიზანშეუწონლობაში, იმის ხაზგასმით, რომ მოქმედ ძალად ხელმძღვანელობაში „გარდაუვალი გადასვლით სიცრუიდან ჭეშმარიტებაზე", ე.ი. რევოლუციის პროცესში „კაცობრიობის ცნობიერებასა და ჩვეულებში", უნდა გახდეს უწინარეს ყოვლისა „არსებული მთავრობები" და მათი „გარდამავალი წესრიგი"[6]. მისი ვარაუდით, „უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების" შეცვლა განხორციელდება *„თანდათანობით, მშვიდობიანად და ბრძნულად" და „მეცნიერული საწყისების რეალიზაციის პირობებში"*. მაგალითისთვის, შემოთავაზებულია მიწის თანდათანობითი შესყიდვა „მისი საბაზრო ფასით იმათგან, ვისაც მისი გაყიდვა სურს, და ამრიგად მომავალში საზოგადოებრივ საკუთრებად გადააქცევა, რათა იგი ემსახურებოდეს სახელმწიფო შემოსავლების ერთადერთ წყაროდ"[7], და ა.შ.

სახელმწიფოს მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთებზე ოუენისეული *ასოციაციური „დამოუკიდებელი დასახლებების"* დაპროექტების რეალიზაციის ამოცანებზე საუბრისას *500-იდან 3000-კაცამდე* (მათი შექმნის პროცესი განიხილება ფედერალური წარმონაქმნების სტატუსით მთელი დედამიწის მასშტაბისთვის არაუმეტეს 10 წლამდე პერიოდისთვის), უნდა მივუთითოთ, რომ ამისთვის მთელ თავის იმედებს მეცნიერი, ისევ „გონიერი მთავრობის" ძალისხმევებს აკისრებს შესაბამისი „გონივრული პირობების"[8] უზრუნველსაყოფად. ამასთან, ასეთი პირობების რიცხვს (ისინი სისტემატიზებულია რ. ოუენის მიერ ე.წ. რაციონალური კონსტიტუციის 26 კანონში) მათ, კერძოდ, მიაკუთვნებს[9]:

- ასოციაციებში მანქანების ფართოდ გამოყენება ხელის შრომის შესაცვლელად სხვადასხვა სფეროებში, საოჯახო მეურნეობის ჩათვლით;
- შრომის გადაქცევა ფასეულობათა ერთადერთ საზომად;
- ფულის მიერ საკუთარი შინაგანი ღირებულების შეძენა იმდენად, რომ იგი „რკინისა და ფოლადის ფასეულობაზე მნიშვნელოვნად დაბალი" გახდეს;
- სიმდიდრის სიუხვის უზრუნველყოფა, მას შემდეგ რაც კაცობრიობა გააუქმებს
- ლითონის ფულს და შეცვლის მას „ეროვნული ფულით" - შრომითი ბონებით;

- მოსახლეობის განათლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და განსაკუთრებით პერიოდული გამოცემების მეშვეობით;
- „უსარგებლო კერძო საკუთრების“ ლიკვიდაცია და შესაბამისად, მოგებისაც მნარმოებელთა კონტაქტების წყალობით შუამავლების გარეშე და სხვ.

კლოდ ანრი დე რუბრუა სენ-სიმონი (1760-1825) - ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი, თავისი პოლიტიკური მრწამსის ძალით სოციალისტური იდეების სასარგებლოდ უარი თქვა გრაფის ტიტულზე და აზნაურის წოდებაზე - და არის ეკონომიკური აზრის მოცემული მიმართულების ერთ-ერთი ცნობილი ავტორი. მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაწარმოებები, რომელთა შორისაა „ენევის მკვიდრის წერილები თანამედროვეებისადმი“ (1803), „სამრეწველო სისტემის შესახებ“ (1821), „მრეწველთა დარიგება“ (1823-1824) და სხვ.

კ. სენ-სიმონისთვის სოციალური სისტემა თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკით-ეს არა უბრალოდ გარდამავალი ეტაპია ნარმავალ ფეოდალიზმსა და ჯერ კიდევ მიუღწეველ იდეალურ სოციალურ ორგანიზაციას შორის, არამედ ეტაპია, რომელიც ყველაფერ აუცილებელს განკარგავს, რომ *რევოლუციური შერყევების გარეშე მშვიდობიანად და საკმაოდ სწრაფად გადავიდეთ „ინდუსტრიულ თანასწორობაზე“ დამყარებულ სოციალური სამართლიანობის საზოგადოებაზე.*

თავის მსჯელობებში არსებულიდან სამართლიან ინდუსტრიულ საზოგადოებრივ მოწყობაზე მომავალ გადასვლას, იგი ისტორიულად გარდაუვლად აცხადებს ისეთი ფაქტორების დამოწმებით, როგორიცაა: მეცნიერება, გონიერება და მონინავე იდეები. ამასთან, მის მიერ იდეალიზებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ისევე, როგორც სხვა სოციალისტ-უტოპისტებთან, წინასწარმეტყველებენ *ანტაგონისტური კლასების გაუჩინარებას და მთავრობის მიერ, ნაცვლად პოლიტიკურისა, განსაკუთრებული ეკონომიკური ფუნქციის შეძენას.*

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით უტოპიური სოციალიზმის ყველა სხვა წარმომადგენლისაგან, მათ შორის საკუთარი მიმდევრებისაც კი, კ. სენ-სიმონი არ უარყოფს კერძო საკუთრებას სოციალიზმის დროს, იმის ხაზგასმით, რომ „სწორედ ეს ინსტიტუტი წარმოადგენს საზოგადოებრივი შენობის საფუძველს“ და, რომ აუცილებელია „საკუთრების დამდგენი და მისით სარგებლობის მარეგულირებელი კანონი“.[10]

ამ მეცნიერის შეხედულებათა სპეციფიკურობა კერძო საკუთრებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებასთან ერთად, ცხადია, ასე-

ვე ზოგიერთი სხვა მისთვის პირადად დამახასიათებელი მეთოდოლოგიური და თეორიული პოზიციებიდან.

ასე მაგალითად, ისტორიზმი კ. სენ-სიმონის მეთოდოლოგიაში იმდენად თავისებურია, რომ მისი გაგებით, ფეოდალიზმის დაშლა დასრულდება მაშინ, როდესაც საზოგადოების მიერ ნებაყოფლობით ანაზღაურდება „ფეოდალური სისტემიდან სამრეწველო სისტემაზე გადასვლის ყველა ხარჯი სახეშეცვლილ კონსტიტუციურ რეჟიმში...“[11]. ამ გადასვლის არაძალადობრივი ხასიათი კი უზრუნველყოფილი იქნება, წერს იგი, თუკი პირადად საფრანგეთის მეფე ალიარებს საზოგადოებაში ვინმე „მრეწველების“ განსაკუთრებულ როლს, რომელთა წყალობით „ერის უზარმაზარი უმეტესობა“ ცხოვრებას დაიწყებს „უფრო ბედნიერ პირობებში“[12]. აქედან მეცნიერი ასკვნის, რომ „საზოგადოებრივი მოწყობის შეცვლა ისევე მყისიერად უნდა იქნეს ამაღლებული, როგორ მყისიერადაც იგი უნდა განხორციელდეს“[13].

მაგრამ მაინც ვინ არიან სენ-სიმონისეული „მრეწველები“?

თუკი სენ-სიმონის განმარტების მიხედვით ვიმსჯელებთ, „მრეწველი“-ეს მიწათმ-ფლობელი და მეკარეტეა, ზეინკალი და დურგალი, ფაბრიკანტი და ვაჭარი, მეეტლე და მატროსი, ე.ი. ყველანი ისინი, ვინც „სამ მსხვილ კლასს შეადგენს, რომლებიც მიწათმოქმედებად, ფაბრიკანტებად და მოვაჭრეებად იწოდებიან“[14]. „მრეწველების“ თავისებურებებს და ღირსებებს იგი მიაკუთვნებს იმას, რომ ისინი თითქოსდა[15]:

- მთელ სიმდიდრეს აწარმოებენ და ამიტომ ფლობენ ფულად საშუალებებს;
- რაოდენობრივად იგი ერის 24/25-ს აღწევს;
- სხვებს აჭარბებს გონებრივი თვალსაზრისით.

მისი მტკიცების შესაბამისად, „მრეწველთა“ კლასი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ორ სხვა „არასამრეწველო კლასებს“- აზნაურებს და ბურჟუას. მაგრამ „გარდამავალი ეპოქის“ დადგომით (ფეოდალიზმიდან სოციალიზმისკენ) ამტკიცებს მეცნიერი, ერის შემადგენლობაში რჩება მხოლოდ ორი კლასი, სახელდობრ: მრეწველები და თავისი საზღვრების გამფართოებელი „მმართველთა კლასი“, იმიტომ, რომ ბურჟუა „აიძულეს დაეშვათ იგი“ ამ არამრეწველ კლასში და „ახლა მრეწველებმა უნდა შეინახონ აზნაურები და ბურჟუები“[17].

ამრიგად, სენ-სიმონის მიხედვით, „მეცნიერთა და მრეწველთა ბელადების“ მშვიდობიანი ძალისხმევებით, და ასევე „მეფის ნებით“ იქუხებს არამრეწველი „მმართველთა კლასის“ დაცემა, რაც წინასწარ განსაზღვრავს [19]:

- „თანამედროვე წყობილების“ კანონზომიერ შეცვლას „ყველაზე უფრო სრული თანასწორობის სისტემით, რაც კი შესაძლებელია;“
- პატიოსანი ადამიანებისთვის უდიდესი ბოროტების - ანარქიის ლიკვიდაციას;
- მთელ ევროპაში „სამრეწველო სისტემის“ დაარსებას და „ფეოდალური სისტემის მოსპობას“.

დაბოლოს, კ. სენ-სიმონი დარწმუნებულია, „ახლანდელი რევოლუციის“ შედეგების შეუქცევადობაშიც, იმ ვარაუდით, რომ მისი წყალობით მომავალში სახელმწიფოს კეთილდღეობა განვითარებას დაიწყებს უჩვეულო სისწრაფით და, რომ ამიტომ „საზოგადოებას ექნება ყველაფერი ის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ბედნიერება, რომელიც კი მხოლოდ შეიძლება მოითხოვოს ადამიანისეულმა ბუნებამ“[28].

შარლ ფურიე (1772-1832) - ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი, რომელმაც წარმოადგინა არანაკლებ ორიგინალური მოდელი მომავლის „სამართლიანი“ სოციალური მოწყობისა, ვიდრე მისმა თანამედროვეებმა რ. ოუენმა და კ. სენ-სიმონმა. ამ მეცნიერის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პუბლიკაციებია „ოთხი მოძრაობისა და საყოველთაო ბედიღბლის თეორია“ (1808), „ახალი სამეურნეო და სოციეტარული სამყარო, ანუ მომზიდველი და ბუნების შესაბამისი შრომის აღმოჩენა, რომელიც განაწილებულია სერიაში გატაცების მიხედვით“ (1829), „სამი საგარეო ერთიანობის შესახებ“ (გარდაცვალების შემდეგ, 1845) და სხვ.

ვაჭრის ოჯახიდან გამოსული, პროფესიით სავაჭრო აგენტი და თვითნასწავლი მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, შ. ფურიე თავის ნაშრომებში *მრისხანედ აკრიტიკებს კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას და მისი წარმომადგენლების მიერ შექებულ თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკას.* იგი გვთავაზობს დავამთავროთ ე. წ. ცივილიზებული საზოგადოების მანკიერი ეკონომიკური სისტემა და *რეფორმების მეშვეობით* გადავიდეთ *ახალ „სოციალურ სამყაროში“* მის მიერ რეკომენდებული ასოციაციური წარმონაქმნების - „ფალანსტერების“ ღირსებების წინასწარ შეცნობით (აგიტაციის, პროპაგანდისა და პირადი მაგალითის წყალობით). დაბოლოს, მისი ჩანაფიქრის მიხედვით, ადგილი არ ექნება დაქირავებულ შრომას, რამდენადაც საკუთრება საყოველთაო ხასიათს შეიძენს, ხოლო მუშა, აქციონერად გახდომით, შეძლებს მონაწილეობა მიიღოს მოგების განაწილებაში და არჩეული იყოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე შესაბამისი ფალანგის სტრუქტურაში.

თავის თხზულებათა უმეტეს ნაწილში, შ. ფურიე ერთობ მიუკერძოებლად საყვედურობს კლასიკოსებს, იმის გამო, რომ მათ პო-

ლიტიკური ეკონომია გადააქციეს მეცნიერებად, „რომელიც ამზადებს მხოლოდ საფულეს... რომელიც ფუფუნებით დატკბობისა და ავხორცობის რელიგიურ ქმედებად გადაქცევით...ყვავილებით დააოკებდა ეკონომისტების მიერ შეგულიანებულ ოქროს ამ წყურვილს.“[21] კლასიკოსების ბრალით, ხაზს უსვამს იგი, „ყოველგვარი წარმოება სასარგებლოა, მხოლოდ იგი ქმნიდეს შიმშილით ღონემიხდილ ადამიანთა ლეგიონებს, რომლებიც საკუთარ თავს დაბალ ფასში ყიდიან მყიდველებზე და სახელოსნოების გამგეებზე“[22]. და სახელდობრ, თავისუფალი კონკურენციის იდეებისადმი ერთგულების გამო, მისი შეფასებით, „ერთ მხოლოდ საფრანგეთში მილიონობით მაცხოვრებელი მოწყვეტილია სამინათმოქმედო შრომისაგან და სამრეწველო წარმოებისაგან“[23].

მსგავსი მსჯელობებიდან გამომდინარე, შ. ფურიე მიდის დასკვნამდე იმის შესახებ, რომ თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკა გაუმართლებლად აფართოებს „ვაჭრებისა და სავაჭრო აგენტების“ - „პარაზიტული“ და „მეორეხარისხოვანი კლასის“ წარმომადგენელთა არმიას, რომელმაც შეძლო საკუთარი თავისადმი დაექვემდებარებინა „ყველა ძირითადი კლასი... და მთავრობაც კი“ და გადაქცეულიყო „სასწაულ ძალად, ვინადან იგი მთავრობის ჩარევიდან გადაიხრება მთავრობის ჩარევიდან“...[24].

ამასთან ერთად, შ. ფურიე არ ენდობა სამთავრობო რეფორმებს და ოუენის მსგავსად, უპირატესობას ინიციატივას ანიჭებს „ქვემოდან“, თუმცა, მისი შეხედულებით, „ოუენის სექტამ“ შესთავაზა „სისტემა, რომელიც მთლიანად ბუნების საწინაღმდეგო“ და ძალზე „ნაკლებ მოგებიანია.“ [25] რეფორმების საკუთარ პროგრამას იგი გადმოსცემს მთელი რიგი საფუძვლიანი შედარებებით, ერთი მხრივ, „ცივილიზაციის წყობილების“, ხოლო მეორე მხრივ, „შეთანხმებულობის წყობილების“ ღირსებებს, რომლის დროსაც, როგორც მას წარმოუდგენია, დადგინდება „სოციეტარული რეჟიმი“, „სოციეტარული წესრიგი“ და „გარანტიზმი“.

„ცივილიზაციის წყობილების“ ნაკლოვანებებს, მათ მიერ, კერძოდ, მიეკუთვნება[26]:

- სოციალური ქაოსი;
- ღარიბების გაძარცვა და მდიდრების გამდიდრება;
- ხალხთმოსახლეობის გადიდების განუსაზღვრელობა;
- ინდუსტრიალიზმი, რომელიც მხოლოდ აძლიერებს ღარიბების სიღარიბეს;
- ცივილიზაციის წესრიგის შეუსაბამობა ნაწილებში, ისე როგორც მთლიანად და სხვ.

- „შეიარაღებულების წყობილების“ ღირსებები კი, რომელზეც გადასულა „ყარისტი'ზმამდეც“ კი, მისი აზრით, „დაიკარგება დროის 30 წლიან მონაკვეთს,“ გახდება [27]:
- ყოველდღიური პარშოვია;
- პოულ დედამიწაზე ენის, ფულის, ღონისძიებათა, ტიპოგრაფიული (საბეჭდი)
- ნაშრომის და სხვა ურთიერთობის ერთიანობის დადგენა;
- ჟუდმავად უდრო მაღალი მოსავალი ადგილობრივი და საგარეო მოხმარების შესაძლებლობისთვის;
- შავკანიანების და მონების გათავისუფლება, რომელიც ნებაყოფლობით შეთანხმებული იყო მათ მეპატრონეებთან;
- კულტურული ზნე-ჩვეულებების საყოველთაო მიღწევა;
- ყოველგვარი გათანაბრებითობის დაუშვებლობა;
- ოთხი გარანტია ხალხთმოსახლეობის განუსაზღვრელი გადიდების წინააღმდეგ;
- სამრენველო წარმოების გადაქცევა მხოლოდ მინათმოქმედების დანამატად;
- სამეურნეო საქმიანობისგან შემოსავლის მყისიერადვე ოთხჯერ და გონივრული საქმიანობისგან შემოსავლის 20 - ჯერ გადიდების შესაძლებლობა და სხვ.

12.3. უტოპიური სოციალიზმის ისტორიული მნიშვნელობა

მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია მოწმობს იმის შესახებ, რომ XIX და XX საუკუნეების მთელ მანძილზე ლიბერალურ-საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა იდეოლოგია, რომელიც სრული laissez faire-ს პრინციპებს ემყარება, უცვლელად ეჯახება მის საწინააღმდეგოდ მოქმედ ორ ალტერნატიულ პოზიციას - რევოლუციურს და რეფორმატორულს. ერთ-ერთი მათგანი, თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში რევოლუციური სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან ასოცირდება; მეორე, თეორიული ეკონომიკის რიგი სკოლების და მიმართულებების რეფორმების კონცეფციასთან, რომლებშიც სოციალური სამართლიანობის საზოგადოების ფორმირებისთვის აუცილებელ პირობად ითვლება არაძალადობრივი ხასიათის მრავალფეროვან ღონისძიებათა გამოყენება.

პოსტმანუფაქტურული პერიოდის უტოპიური სოციალიზმის ლიდერების რეფორმატორული თავისებურებების ისტორიულ-ეკო-

ნომიკური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სოციალურად მნიშვნელოვანი განხორციელებული წინასწარმეტყველებები, რომლებიც შეიძლება ექსტრაპოლირებულები იყოს თანამედროვე სინამდვილეზე და გათვალისწინებული ყოფილიყო მეცნიერულ გამოკვლევებში, რომლებიც უკავშირდებოდა სოციალური პრიორიტეტების დასაბუთებას, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შემუშავებად კონცეფციებში.

სწორედ სოციალისტ-უტოპისტების და სხვა ლიბერალური იდეების აბსოლუტიზაციის მონინააღმდეგეთა მონაწილეობამ მრავალრიცხოვან სამეცნიერო დისკუსიებში და დავებში არსებითი ზეგავლენა მოახდინა პოსტმანუფაქტურულ ქვეყნებში პირველი საკანონმდებლო აქტების მიღებაზე, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპების გარკვეულ შეზღუდვას, მხედველობაში ჰქონდათ რა სამუშაო დროის ზღვრულად დასაშვები ხანგრძლივობა, მოზარდების შრომითი მოწყობის დროს მინიმალური ასაკი და ა.შ.

მნიშვნელოვანია, მაგალითად, აღინიშნოს, რომ რ. ოუენის „რაციონალურ კონსტიტუციაში" არსებობს ისეთი დებულებებიც, რომელთაც აქტუალობა დაკარგული არა აქვთ დღესაც, როგორც:"

- ყოველი ადამიანის კანონით მინიჭებული უფლება, არა მხოლოდ შრომაზე, არამედ ასევე განათლებაზეც;
- სრული თანასწორობა და ნებისმიერი პრივილეგიების გამომრიცხველი ორივე სქესის ადამიანთა პირადი თავისუფლება;
- ვინმეს მხრიდან ზემოქმედების დაუშვებლობა ვინმეს აზრზე ან რწმენაზე;
- ყველა ადამიანთა გაერთიანება „ერთ საძმო კავშირში ყველასთვის საერთო სიკეთისთვის."

დღეისათვის აქტუალურია სენ-სიმონისეული რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი მიზანიც - საზოგადოებაში ყოველგვარი პრივილეგიების ლიკვიდაცია, ანარქიისა და ქაოსის დაძლევა, რომელიც წარმოიშობა მეურნეობრიობის ლიბერალური მექანიზმით. რეფორმების წარმატება მათ მიერ უკავშირდება ასევე მასში მესამე (სამეფო ხელისუფლების და მრეწველების შემდეგ) ძირითადი ძალის - მეცნიერების სავალდებულო მონაწილეობას.

ამასთან, როგორც ცხადია, მისი თანამედროვე სოციალური სისტემის რეფორმირების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად, მეცნიერი ანარქიის დაძლევას თვლიდა. უკანასკნელი კი, მისი რწმენით, „ეს უდიდესი ბოროტებაა პატიოსანი ადამიანებისთვის, მათი პოლიტიკური რწმენისდა მიუხედავად; ეს მდგომარეობა, რომლისკენაც

ყოველთვის მიისწრაფოდნენ და ყოველთვის მიისწრაფის უზნეო ადამიანები, როგორიც არ უნდა იყოს მათი რელიგია"[28].

თავის მხრივ, შ. ფურიემ განჭვრიტა:

- ადამიანთა ერთად მუდმივი და დროებითი ცხოვრების მასშტაბების აუცილებელი გაფართოება, მათ შორის მრავალბინიანი სახლების კომპლექსებში, სასტუმროებში, პანსიონატებში და ა.შ.;
- საოჯახო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილების ორგანიზაციის სრულყოფა სპეციალიზებული სამსახურების და დანესებულებათა მეშვეობით მომსახურებათა კოლექტიური შესრულების მიხედვით, რაც დაკავშირებულია განათებასთან, გათბობასთან, საზოგადოებრივ კვებასთან, საყოფაცხოვრებო მომსახურების შეთავაზებასთან, ბავშვების აღზრდასთან და ა.შ.

რ. ოუენის, კ. სენ-სიმონის და შ. ფურიეს პოსტმანუფაქტურული პერიოდის სოციალისტ-უტოპისტების რეფორმატული პროექტების არანარმავალი მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერების ბედიღბლისთვის იმაში მდგომარეობს, რომ დიდწილად ისინი ეყრდნობიან ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ მოვლენათა (ანარქია და ქაოსი სამეურნეო ცხოვრებაში, კერძომესაკუთრული და საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ) დასაბუთებულ კრიტიკას, შეიცავენ ისეთი ექსპერიმენტების მიზანშეწონილების დასაბუთებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ამასთან დაკავშირებით საარსებო გარდაქმნებს. ამასთან, იბრძოდნენ რა სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნებისთვის, ისინი თავიანთ რეფორმებში პირველ ადგილზე აყენებენ საზოგადოების მეცნიერულ-სამრეწველო სრულყოფის ამოცანას, ადამიანთა კულტურული, საგანმანათლებლო და ზნეობრივი დონის ამაღლებას.

თავისი რეფორმატორული იდეის მიღწევას „ახალი ტალღის" სოციალისტ-უტოპისტები შესაძლებლად თვლიან მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, ამაში ან მთავრობის (კ. სენ-სიმონი და მისი მიმდევრები), ან თვით მშრომელთა კერძო ინიციატივის (როგორც რ. ოუენი, შ. ფურიე და მათი თანამოაზრეები) აქტიური დახმარების მხედველობაში მიღებით. და თითოეული ეს პოზიცია, როგორც რეფორმების მათეული პროგრამები მოწმობენ, XIX და XX საუკუნეების განმავლობაში იყო რეალიზებული, მათ შორის უკანასკნელ ათწლეულებში საზოგადოების ეკონომიკაზე, სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე და სხვათა სოციალური კონტროლის სხვადასხვა დოქტრინების ფარგლებში.

ამრიგად, სოციალისტ-უტოპისტების მოძღვრებას (რომელიც ტრადიციულად მიღებულია ინოდებოდეს აქცენტით „უტოპიურზე"

ან „სოციალისტურზე", ე.ი. მისი არარეალიზებულობის აზრით), სინამდვილეში, ერთობ ფასეული და მნიშვნელოვანი ელემენტები გააჩნია სოციალური და ეკონომიკური ხასიათის რეალიზებულ წინასწარმეტყველებათა თვალსაზრისით.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რა საერთო თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციებია დამახასიათებელი კლასი-კოსებისთვის XIX საუკუნის პირველი ნახევრის სოციალისტ-უტოპისტების შემოქმედებასთან შედარებით?
2. უტოპიური სოციალიზმის ლიდერები რა არგუმენტებით ახდენენ თავისი იდეის მიულებლობის მოტივირებას შეუზღუდავი კონკურენციის თავისუფლებისას და კერძო საკუთრების ინსტიტუტის კრიტიკას?
3. როგორია სამრეწველო გადატრიალების ეპოქის უტოპიური სოციალიზმის ანტისაბაზრო დოქტრინების საბოლოო მიზნები?
4. რაში მდგომარეობს რ. ოუენის თეორიულ დებულებათა თავისებურებები ღირებულებისა და ხალხთმოსახლეობის შესახებ?
5. გააანალიზეთ „საზოგადოების გონივრული მოწყობის" ოუენისეული კონცეფციის არსი მომავლის ასოციაციურ „დამოუკიდებელ დასახლებებში".
6. როგორ ახასიათებს კ. სენ-სიმონი მის მიერ რეკომენდებულ ინდუსტრიულ საზოგადოებას? გადმოეცით თქვენი დამოკიდებულება მის იდეაზე იმის შესახებ, რომ აუცილებელია „კანონი, რომელიც დაადგენს საკუთრებას და არეგულირებს მისით სარგებლობას".
7. ვინ არიან სენ-სიმონისეული „მრეწველები"? სენ-სიმონი ვის მიაკუთვნებს „სამრეწველო კლასებს" და „მმართველთა კლასს"?
8. რაში მდგომარეობს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის არსი შ. ფურიეს
9. ნაშრომებში? კომენტარი გაუკეთეთ მის მიერ ჩამოყალიბებულ „ცივილიზაციის
10. წყობილების" ნაკლოვანებებს და „შეთანხმებულობის წყობილების" ღირსებებს.

თავი 13. გერმანული ისტორიული სკოლა

ამ თავის მასალის ათვისებით, თქვენ გეცოდინებათ:

- რომ „თვით ისტორიული სკოლის ფორმირება...რომელიც მიმდინარეობდა ოპოზიციის ნიშნით კლასიკოსებისადმი, მოითხოვა...პირველად ეკონომიკური გამოკვლევის მეთოდის თვით ბუნების მკაფიოობა და კრიტიკული შეცნობა " (ნ. კონდრატიევი);
- კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის რომელი იდეები დაექვემდებარა კრიტიკულ გააზრებას გერმანიის ისტორიული სკოლის წინამორბედებისა და ნაროდნიკებისაგან;
- ეკონომიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის სფეროში რომელი „ნიშა" ამოავსო გერმანული ისტორიული სკოლის ავტორთა მეცნიერულმა გამოკვლევებმა და რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება თანამედროვე ეკონომისტებისთვის მათი არაკლასობრივ-ფორმაციული ისტორიზმი.

13.1. გერმანიის-ისტორიული სკოლის წარმოშობის წანამძღვრები მისი წინამორბედებისა და ფუძემდებელთა ნაშრომებში

გერმანული მიწების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების პერიოდში, ე.ი. XIX საუკუნის შუახანებში, აღმოცენდა ეკონომიკური აზრის კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კიდევ ერთი ალტერნატიული მიმართულება, რომელმაც „გერმანიის ისტორიული სკოლის", ანუ რაც ერთიდაიგივეა, „გერმანული ისტორიული სკოლის" სახელწოდება მიიღო.

ეს სკოლა, არსებითად განასახიერებს არა იმდენად ისტორიულ, რამდენადაც სოციალ-ეკონომიკურ მიმართულებას, იმიტომ, რომ მისმა ავტორებმა, კლასიკოსებისაგან განსხავებით, პოლიტიკური ეკონომიის გამოკვლევის სფეროში (*შესწავლის საგანი*) ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად არაეკონომიკური ფაქტორებიც შეიტანეს და ამით, პირველად დაიწყეს ისტორიულ კონტექსტში საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალ-ეკონომიკური პრობლემების ერთდროული განხილვა.

თავიანთ კრიტიკაში გერმანელი ავტორები ერთსულოვნები არიან იმაში, რომ კლასიკოსები მეტისმეტად არიან გატაცებულები

აბსტრაქციებით და განზოგადებებით და სათანადოდ ვერ აფასებენ ფაქტებისა და დაკვირვებების მნიშვნელობას, რომლებიც დაკავშირებულები არიან წარსულთან და დღევანდელობასთან. ისინი კლასიკოსებს ასევე ეკონომიკური ლიბერალიზმის (laissez faire) პრინციპების აბსოლუტიზებაში, რომელიმე უნივერსალური ეკონომიკური მეცნიერებისადმი ერთგულებაში და ინდივიდუალისტური დოქტრინების სივიწროვეში ადანაშაულებენ და დაჟინებით მოითხოვენ კონკრეტული სინამდვილის რეალური და არა მოჩვენებითი გამოსახვის გამოკვლევის მიზანშეწონილებას.

გერმანული ისტორიული სკოლის დამახასიათებელ თავისებურებებზე მოწმობს ის გარემოებაც, რომ მისი ძირითადი იდეები ჩამოყალიბდა ეკონომიკური აზრის მოცემული მიმართულების თეორიული ნინამორბედების - ა. მიულერის და ფ. ლისტის მიერ. ხოლო ამ იდეების არსი, რომლებიც გამომდინარეობენ *ადამ მიულერის* თხზულებებიდან „სახელმწიფოს მართვის ხელოვნების საფუძვლები"(1809) და *ფრიდრიხ ლისტის* ნაშრომიდან „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა"(1841), ისეთ დებულებებზე დაიყვანება, როგორიცაა:

- ეკონომიკური მეცნიერებისთვის ისტორიული მეთოდის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი როლი;
- პოლიტიკური ეკონომიის არა, როგორც უნივერსალური, არამედ, როგორც ეროვნული მეცნიერების დახასიათება;
- ეროვნულ მეურნეობაზე არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ასევე ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეროვნულ-ისტორიული და სხვა არაეკონომიკური წანამძღვრების ზეგავლენის გათვალისწინება;
- ერის საზოგადოებრივი ინტერესის აღიარება ინდივიდის პირად ინტერესებზემაღლა.

ა. მიულერის და ფ. ლისტის ეკონომიკური შეხედულებები ახლოს არიან ერთმანეთთან იმ ასპექტებში, რომლებშიც ორივე მათგანი *აკრიტიკებენ კლასიკოსებს მათი აბსტრაქციისა და ლიბერალიზმის გამო, იბრძვიან პროტექციონიზმის შესანარჩუნებლად სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში და აშკარად აზვიადებენ ანალიზის ისტორიული მეთოდის როლს ეკონომიკურ მეცნიერებაში.* იმავდროულად, მათი შეხედულებები არსებითად შორდებიან ერთმანეთს, როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივი მოწყობის იდეალს და ეკონომიკური მეცნიერების როლს მის მიღწევაში.

ასე მაგალითად, ა. მიულერი იხრება შუასაუკუნეობრივი სამეურნეო ურთიერთობათა იდეალიზაციისკენ, იმიტომ, რომ laissez faire-ს პრინციპები, მისი შეხედულებით, არ შეიძლება შეესაბამებოდეს კონტინენტალური ქვეყნების ეროვნულ, მათ შორის სამეურნეო ტრადიციებს. იგი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ა. სმითის ავტორი-

ტეტის წყალობით ამ მეცნიერის სამშობლოში, ინგლისის კუნძულოვან სახელმწიფოში შეძლეს დამკვიდრებულიყო თავისუფალი ვაჭრობის და შეუზღუდავი კონკურენციის იდეები.

თავის მხრივ, ფ. ლისტი, ა. მიულერისგან განსხვავებით, კლასიკოსების ზოგიერთ დებულებებს იღებს, განსაკუთრებით საზოგადოების თანდათანობითი ზრდისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიზანშეწონილების ნაწილში. მაგრამ კლასიკოსების მიდგომა ეკონომიკური მეცნიერებისადმი, მისი მოსაზრებით, ძალზედ ვიწრო და ზედაპირულ ხასიათს ატარებს, რამდენადაც ისინი არ ითვალისწინებენ სახელმწიფოს მნიშვნელოვან როლს ეროვნულ ეკონომიკაში, და ასევე მეურნეობაზე ერისა და მისი კულტურის ისტორიული საფუძვლების ზეგავლენას. შემდეგ იგი არ გამორიცხავს laissez faire-ს პრინციპების საყოველთაოდ გამოყენებას, ქვეყნების მიერ ეკონომიკური განვითარების ერთნაირად მაღალი სტადიის მიღწევის პირობებში. სხვა სიტყვებით, ფ. ლისტს სინამდვილეში „არ სჯეროდა რაღაც ერთიანი და ყველა ხალხებისთვის კეთილისმყოფელი და ყველა დროისთვის მისაღები საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელიც ინდივიდუალური სამეურნეო ინტერესების თავისუფალ თამაშს ემყარება"[1].

გერმანიის ისტორიული სკოლის ევოლუციის პროცესში, ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ ეტაპს. *პირველი ეტაპი* მოიცავს XIX საუკუნის 40-60-იანი წლების პერიოდს და „ძველი ისტორიული სკოლის" სახელწოდება მიიღო; ამ ეტაპის ძირითადი ავტორებია ვ. როშერი, ბ. ჰილდებრანდი, კ. კნისი. *მეორე ეტაპი* XIX საუკუნის 70-90-იან წლებზე მოდის და „ახალი ისტორიული სკოლა" ენოდება; ძირითადი ავტორებია - ლ. ბრენტანო, გ. შმოლეერი, კ. ბიუხერი. *მესამე ეტაპს* ადგილი ჰქონდა XX საუკუნის პირველი მესამედი სახელწოდებით „უახლესი ისტორიული სკოლა"; ძირითადი ავტორებია - ვ. ზომბარტი, მ.ვებერი, ა.შპითჰოფი.

„*ძველი ისტორიული სკოლის*" მნიშვნელობა, სხვა ეტაპებთან შედარებით, ეკონომიკური აზრის სოციალ-ეკონომიკური მიმართულების განვითარებაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ იმის გამო, რომ ამ ეტაპის ავტორებმა, როგორც გერმანული ისტორიული სკოლის ფუძემდებლებმა, ყველაზე უფრო წონადი წვლილი შეიტანეს მის ძირითად ფასეულობათა ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ვილჰელმ როშერი (1817-1894) - გოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, ისეთ თხზულებათა ავტორი, როგორიცაა „პოლიტიკური ეკონომიის კურსის მოკლე საფუძვლები, ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით"(1843) და „სახალხო მეურნეობის საწყისები" (4-ტომად.; 1854, 1860, 1881, 1886), დაჟინებით მოითხოვდა საზოგადოების მხოლოდ ევოლუციური განვითარების აუცილებლობას, რევოლუციურ ცვლილებაში ყოველგვარი მოთხოვნილების შედარებით „უდიდეს უბედუ-

რებასთან და არაიშვიათად სახალხო სიცოცხლის სასიკვდილო სნეულებით"[2]. სწორედ მას ეკუთვნის კლასიკოსების მოძღვრების დამგმობი ალეგორიული ამონარიდი იმის შესახებ, რომ „ერთი ეკონომიკური იდეალი არ შეიძლება იყოს ხალხებისთვის, ზუსტად ისევე, როგორც კაბა არ იკერება ერთი ზომის მიხედვით"[3].

ძველი ისტორიული სკოლის მეორე ფუძემდებელი, მელბურნის, ციურიხის, ბერნის და იენის უნივერსიტეტების პროფესორი, ბრუნო ჰილდებრანდი (1812-1878), მსხვილი ნაშრომის „ანყმოსა და მომავლის პოლიტიკური ეკონომია"(1848) ავტორი, არანაკლებ აქტიურია, მაგრამ ეკონომიკურ მეცნიერებაში, ზოგჯერ ისტორიულ მეთოდს ემხრობა. მისი უსუსური მომავლის პროგნოზებზე, ერთ-ერთ თავის სტატიაში მიუთითა ნ. კონდრატიევმა, რომელიც, კერძოდ, წერდა: „ბრუნო ჰილდებრანდი...წინასწარმეტყველებდა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის განმავლობაში ინგლისის განვითარებაში გამოჩნდება პროლეტარიატის ნაწილის დაბრუნების ტენდენცია, რომელმაც მიწა მიატოვა, ისევ მიწათმოქმედებაში, რის ძალითაც ინგლისის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ისევ გაუტოლდება ერთმანეთს და სოფლის მეურნეობის როლი გაიზრდება. ჩვენ ვიცით, - დაასკვნის იგი, - რომ ერთიც და მეორე პროგნოზიც მცდარი აღმოჩნდნენ"[4].

სკოლის კიდევ ერთი ფუძემდებელი, ფრაიბურგის (1855-1860) და ჰაიდელბერგის (1865-1896) უნივერსიტეტების პროფესორი კარლ გუსტავ ადოლფ კნისი (1821-1898) დაჟინებით მოითხოვდა ისტორიული მეთოდის პრიორიტეტს ეკონომიკურ მეცნიერებაში, მათ შორის თავისი ნიგნის - „პოლიტიკური ეკონომია, განხილული ისტორიული თვალსაზრისით" (1853; მე-2 გამოცემა 1883 წ.) - ფურცლებიდან. იგი, ამავე დროს, ამერიკელი ნეოკლასიკოსის ჯ. ბ. კლარკის აღიარებით, მისი დამრიგებელი და მასწავლებელია.

სხვათა შორის, *„ძველი ისტორიული სკოლის"* წარმომადგენელთა მთავარი დამსახურება *უწინარეს ყოვლისა კლასიკური სკოლისადმი ალტერნატიული მეთოდოლოგიური დებულებების ფორმირებაში მდგომარეობს*, რომელთაც შემდგომში ემხრობოდნენ სოციალურ-ისტორიული მიმართულების შემდგომი ეტაპების ყველა ავტორები და, რომლებიც შემდგომში ეკონომიკური აზრის სოციალურ-ინსტიტუციონალური მიმართულების - ამერიკული ინსტიტუციონალიზმის მეთოდოლოგიის საფუძველი იყო. ამ დებულებათა თავისებურებებს და ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიას ეძღვნება მოცემული თავის დამამთავრებელი ნაწილი.

13.2. გერმანული ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური თავისებურებები

ეკონომიკური აზრის სოციალ-ისტორიული მიმართულების მეთოდოლოგიის თავისებურებები, როგორც უკვე აღინიშნა, ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ *„ძველი ისტორიული სკოლის“* ეტაპზე. ნ. დ. კონდრატიევის მოსაზრებით, ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ „თვით ისტორიული სკოლის ფორმირება კლასიკურის საწინააღმდეგოდ, უზარმაზარი მნიშვნელობის ფაქტი იყო სოციალური ეკონომიის მეთოდოლოგიის განვითარებისთვის. ის ფორმირება, - განაგრძობს იგი, - რომელიც განხორციელდა კლასიკოსებისადმი ოპოზიციის ნიშნით, მოითხოვდა არსებითად...პირველად ეკონომიკური გამოკვლევის მეთოდის თვით პრობლემის მკაფიო და კრიტიკულ შემეცნებას“[5].

სინამდვილეში, გერმანელმა ავტორებმა ეკონომიკური გამოკვლევის მეთოდების პრობლემის ანალიზის ცენტრში დაყენებით, არსებითად მოიგეს მეცნიერული დავა კლასიკოსებთან და პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიაში ახალი პოზიტიური ელემენტები შეიტანეს, რომლებიც საფუძვლად დაედო მეთოდოლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც მათი წყალობით წარმოიშვა ეკონომიკური აზრის სოციალ-ისტორიულ მიმართულებაში. მეთოდოლოგიის ამ თავისებურებათა არსი კი შეიძლება დაყვანილ იქნეს შემდეგ სამ დებულებაზე:

1. ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე სოციალური გარემოს, მათ შორის „ადამიანისეული ფაქტორის“ ზეგავლენის გათვალისწინება;
2. ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების და კატეგორიების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის გამოვლენა;
3. საზოგადოების განვითარების ფაზებისა და ეტაპების გამოკვლევაში არაკლასობრივი კრიტერიუმის ადგილისა და როლის განსაზღვრა.

გერმანიის ისტორიული სკოლის *პირველი მეთოდოლოგიური თავისებურება* საშუალებას იძლევა გაიხსნას კლასიკოსების ერთ-ერთი ცენტრალური მეთოდოლოგიური პოზიციების უსაფუძვლობა, რომლის თანახმად, ეკონომიკურ მეცნიერებაში ძირითადად, პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ კანონებს, ფაქტორებსა და კატეგორიებს და მათი მოქმედება ცხადდება უნივერსალურად და შეუქცევადად ყველა დროში და ყველა ხალხებისთვის (სახელმწიფოებისთვის). აკი გერმანელი ავტორები, ნ. კონდრატიევის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ემყარება ისტორიული ცხოვრების მრავალფეროვნების და დინამიურობის ფაქტს და აქედან უარყო-

ფენ პოლიტიკური ეკონომიის აბსტრაქტული კანონების საერთოდ და კერძოდ, ეკონომიკური განვითარების კანონების შესაძლებლობებს" და მათი დამსახურება, მისი შეხედულებით, „სამეურნეო ცხოვრების კანონების შედარებითობის სასარგებლოდ" დასაბუთებული არგუმენტაცია და „მეურნეობის განვითარების კონკრეტული ემპირიული კანონების" მოცემის მცდელობაა[6].

ამრიგად, ისტორიული სკოლის წარმომადგენლები იქედან გამოდიან, რომ ეკონომიკური კანონები არ უნდა გავაიგივოთ ბუნების კანონებთან (მაგალითად, ქიმიური, ფიზიკური და ა.შ. კანონები), რომლებიც უცვლელად ავლენენ საკუთარ თავს სტაბილური ხასიათის წყალობით, რომლებიც ინვევენ მათ მოქმედებას. ამიტომ, კლასიკოსების საწინააღმდეგოდ, ისინი მიუთითებენ პოლიტიკური ეკონომიის არაუნივერსალურ ხასიათზე და ეკონომიკური პროცესების შედეგიანობის დამოკიდებულებაზე არა მხოლოდ ეკონომიკური (საბაზისო), არამედ ასევე არაეკონომიკური (ზედნაშენური) თვისების მრავალფეროვან ფაქტორებზე „ადამიანისეული ფაქტორის" ჩათვლით, ე.ი. როგორც იტყვიან, სოციალური გარემოს ფაქტორებზე. ამასთან, უკანასკნელებს შორის მათ მიერ უფრო ხშირად ნახსენებია:

- ეროვნული თავისებურებები და ტრადიციები;
- ერის ისტორიული განვითარების თავისებურება, მისი მენტალიტეტი;
- ისტორიული შემთხვევითობა;
- ქვეყნის გეოგრაფიული პირობები;
- ეროვნული კულტურის, ფსიქოლოგიის, რელიგიის და სხვ. თავისებურებები.

ისტორიული სკოლის *მეორე მეთოდოლოგიურ თავისუფლებასთან* დაკავშირებით, აუცილებელია გავიხსენოთ, რომ კლასიკოსებთან არაეკონომიკური ფაქტორები განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, რომლისგანაც, მაგალითად, გამომდინარეობს, რომ რაც უფრო მაღალია საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა დონე, მით უფრო განვითარებული იქნება სოციალური გარემო (სფერო), მათ შორის კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების და ა.შ. დონე, და პირიქით.

კლასიკოსების ამ კაუზალურ პარადიგმას გერმანელმა ავტორებმა ფუნქციონალური დაუპირისპირეს, და მათ ნაშრომებში სამეურნეო ცხოვრების ევოლუციის პროცესში ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორთა მნიშვნელობა, როგორც წესი, განიხილება ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში.

მართლაც, მათ მიერ არც თუ იშვიათად კეთდება ამდენად მნიშვნელოვანი აქცენტი ეკონომიკურ განვითარებაში არაეკონო-

მიკურ ფაქტორთა „განსაკუთრებულ როლზე, რომ მათივე პოზიცია XIX საუკუნის დასასრულისა XX საუკუნის დასაწყისის გერმანულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და იდეებში პრაქტიკული დანერგვით დაგვირგვინდა, თითქოსდა უნიკალური „გერმანული ეროვნული სულის, „არიული რასის“ განსაკუთრებული ისტორიული მისიის შესახებ და ა. შ. მაგალითისთვის მ. ვებერის წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის თანახმად, მის წიგნში „პროტესტანტური ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“, საქმე ეხება განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლსაც კი ცივილიზებული საზოგადოების შექმნაში პროტესტანტული რელიგიის ერთ-ერთ მიმდინარეობაში-კალვინიზმში.

დაბოლოს, ისტორიული სკოლის *მესამე მეთოდოლოგიური თავისებურება* ასახავს მისი დაპირისპირების შედეგს კლასიკური სკოლისადმი ეკონომიკურ მეცნიერებაში ისტორიული მეთოდის ადგილისა და როლის შესახებ. როგორც ცნობილია, კლასიკოსებში ისტორიზმი ვლინდება უწინარეს ყოვლისა ხალხებისა და სახელმწიფოთა ევოლუციის სხვადასხვა ეტაპებზე საზოგადოების ე.წ. მაღალი და დაბალი, მთავარი და არამთავარი კლასების გამოვლენის კრიტერიუმების მეშვეობით. გერმანელმა ავტორებმა კი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ფაზების, ეტაპების და სქემების დასაბუთებით ერის ისტორიული გზის მთელ მანძილზე კლასობრივს, წმინდა სამეურნეო კრიტერიუმი დაუპირისპირეს.

ამასთან დაკავშირებით ნ. კონდრატიევი, მაგალითად, წერს, რომ სწორედ კლასიკური სკოლის წინამორბედს ფ. ლისტს ეკუთვნის „დროის მიხედვით პირველი მცდელობა, თუკი არ ჩავთვლით კიდევ უფრო ადრინდელ ჩანასახებს, მოეცა ხალხების სამეურნეო საფეხურების ევოლუციის სქემა“, რომლის შესაბამისად „კაცობრიობა თანმიმდევრულად გაივლის ხუთ საფეხურს: ა) ველურობის პერიოდს, ბ) მესაქონლეობას, გ) სამიწათმოქმედოს, ე) სამიწათმოქმედო-სამრეწველოს და ვ) სამიწათმოქმედო-სამრეწველო-სავაჭრო პერიოდს“[7]. და ამ სქემის კიდევ ერთთან შედარებით, იგი აზუსტებს: „საკუთრივ ისტორიული სკოლის წარმომადგენელმა ბ. ჰილდებრანდმა მოგვცა სხვა სქემა, რომლის საფუძვლად დაიდო განსხვავება გაცვლის მდგომარეობაში. იგი განასხვავებდა: ნატურალურ, ფულად და საკრედიტო მეურნეობას“[8].

უკლასო-ფორმაციული ისტორიზმის წყალობით, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტ-რუმენტისა მეცნიერული კვლევებისათვის და ეკონომიკური მეცნიერების განახლე-ბისათვის, გერმანულმა ისტორიულმა სკოლამ უდაოდ პოზიტივურ შედეგებს მიაღწია. ამის დასტურია - არა უბრალოდ მისი ავტორის მიერ რიგი მსხვილი ფუნდამენტური ისტორიულ- ეკონომიკური მონოგრაფიების გამოცემის თვით ფაქტი, არამედ მეტადრე ის, რომ ამ გამოკვლევის შე-

დეგებმა შემდგომში ერთობ სასარგებლო დისკუსიები გამოინვიეს მრავალი სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მიხედვით.

იმავდროულად ხაზი უნდა გავუსვათ, რომ გერმანელ ავტორთა ისტორიული მეთოდის სიახლემ იმ პერიოდში ეკონომიკური თეორიის მეცნიერული საფუძვლების უკვე მიღწეული დონიდან მოწყვეტილობის გამო, საშუალება არ მისცა გერმანიის ისტორიულ სკოლას ლიდერის ადგილი დაეკავებინა მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში და უკუეგდო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური დაუდევრობები. უკანასკნელი შესაძლებელი გახდა მხოლოდ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც გამოჩნდნენ თავდაპირველად სუბიექტივისტების და ნეოკლასიკოსთა მარჟინალისტური კონცეფციები, ხოლო შემდეგ ამერიკულ ინსტიტუციონალისტთა სოციალურად ორიენტირებული კონცეფციები, რომლებზედაც საუბარი იქნება სახელმძღვანელოს შემდგომ თავებში.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რა წანამძღვრებმა განაპირობეს გერმანიის ისტორიული სკოლის წარმოშობა? რამ განსაზღვრა წინასწარ ეკონომიკური აზრის ამ მიმართულების მსგავსი სახელწოდება?
2. დაასახელეთ საერთო და განმასხვავებელი დებულებები გერმანიის ისტორიული სკოლის წინამორბედთა - ა. მიულერის და ფ. ლისტის ნაშრომებში.
3. რამდენად მართლზომიერია ვ. როშერის პოზიცია იმის შესახებ, რომ „ერთი ეკონომიკური იდეალი არ შეიძლება არსებობდეს ხალხებისთვის"?
4. ჩამოაყალიბეთ გერმანიის ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიურ თავისებურებათა არსი.
5. შეადარეთ შეხედულებათა არგუმენტაცია ეკონომიკური მეცნიერების საგნისა და მეთოდის თაობაზე ეკონომიკური აზრის კლასიკური და ისტორიული სკოლების შემოქმედებით მემკვიდრეობაში.

მარჟინალიზმი: ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების ჩამოყალიბება

თავი 14. „მარჟინალური რევოლუცია“ და მისი თავისებურებები

ამ თავის შესწავლა შესაძლებლობას მოგცემთ აითვისოთ:

- რა არის მარჟინალიზმი და „მარჟინალური რევოლუცია“;
- რაში მდგომარეობს მარჟინალიზმის წინამორბედთა ეკონომიკური შეხედულებების მნიშვნელობა;
- „მარჟინალიზმმა, რატომ მიანიჭა მათემატიკას გამორჩეული როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში 1870 წლის შემდეგ“ (მ. ბლაუგი);
- რას „უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური თეორია რაღაცით მეტს, ვიდრე უბრალოდ ტავტოლოგიების სისტემას, თუკი მას უნდა ინინასწარმეტყველოს, არამედ ...არ სურს იყოს მხოლოდ შენიღბული მათემატიკა (მ. ფრიდმანი)“.

14. 1. რა არის მარჟინალიზმი და „მარჟინალური რევოლუცია“

XIX საუკუნის უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, *კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მარჟინალურმა ეკონომიკურმა თეორიამ შეცვალა.* დიდწილად ეს ცვლილება მეცნიერებაში უზარმაზარი პროგრესის შედეგი გახდა, განსაკუთრებით მის საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ დარგებსა და ეკონომიკაში, რომელიც სულ უფრო მეტად იძენდა მეურნეობრიობის მონოპოლისტური ტიპის ნიშნებს.

მარჟინალიზმის ძირითადი იდეაა - *ზღვრული ეკონომიკური სიდიდეების გამოკვლევა, როგორც ეკონომიკური სისტემის ურთიერთდაკავშირებული მოვლენებისა და ფირმის, დარგის (მიკროეკონომიკა), და ასევე მთელი სახალხო მეურნეობის (მაკროეკონომიკა) მასშტაბით.* მოცემულ კონტექსტში მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, თანამედროვე მარჟინალიზმი ნეოკლასიკურ და კეინზურ ეკონომიკურ კონცეფციებსაც მოიცავს. *„ეკონომიკა“ პირველად გაბდა მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ურთიერთკავშირს ახლა მოცემულ მიზნებსა და მოცემულ შეზღუდულ საშუალებებს შორის, და გამოყენების ალტერნატიული შესაძლებლობები გააჩნია“.* ამასთან,

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ალტერნატიული შესაძლებლობა გულისხმობს რესურსებისა და დროის დანახარჯების გამოყენებას რაღაც ერთი მიზნით.

ამ იდეიდან გამომდინარე, რომელიც მარჟინალიზმის საფუძველია, ლ. რობინსი ამტკიცებს შემდეგს: „თუკი ჩვენ რაღაცას ვირჩევთ, მაშინ ჩვენ იძულებულები ვართ უარი ვთქვათ სხვა ნივთებზე, რომელთაგან სხვა გარემოებებში ჩვენ უარს არ ვიტყოდით. საშუალებათა იშვიათობა, რომლებიც გამიზნულია სხვადასხვა მნიშვნელობის მიზნების დასაკმაყოფილებლად, - ეს გარემოს უნივერსალური თვისებაა, რომელშიც ადანიანის საქმიანობა ხორციელდება...მზარეულის მომსახურებაც და ბალეტის მოცკვავის მომსახურებაც შეზღუდულია მათზე მოთხოვნასთან შედარებით და შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვანაირად... ეკონომიკური მეცნიერება - ესაა მეცნიერება, რომელიც ადამიანის ქცევას შეისწავლის მიზანსა და შეზღუდულ საშუალებებს შორის თანაფარდობის თვალსაზრისით, რომელიც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გამოყენებას“ [2].

მომხდარი მეთოდოლოგიური „რევოლუციის“ არსის ახსნა-განმარტებით აღვნიშნავთ, რომ *მარჟინალიზმი* (სიტყვიდან-„marginale“, რომელიც ინგლისურ-ფრანგულ თარგმანში ნიშნავს- *ზღვარს*) *ემყარება ეკონომიკური ანალიზის მართლაც პრინციპულად ახალ მეთოდებს, რომელიც საშუალებას იძლევა ზღვრული სიდიდეები განისაზღვროს მოვლენებში მიმდინარე ცვლილებების დასახასიათებლად.* ამაშია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისგან, როცა ავტორები, როგორც წესი კმაყოფილდებოდნენ ეკონომიკური მოვლენის (კატეგორიის) მხოლოდ დახასიათებით, რომელიც გამოსახულია საშუალო ან ჯამური სიდიდით. ასე მაგალითად, კლასიკური კონცეფციის მიხედვით, ფასის განსაზღვრას საფუძვლად უდევს ხარჯვითი პრინციპი, რომლის სიდიდეც დაკავშირებულია შრომის დანახარჯებთან (სხვა განმარტებით - ნარმოების ხარჯებთან). *მარჟინალისტების კონცეფციის მიხედვით, ფასის ფორმირება (ზღვრული სარგებლიანობის თეორიის მიხედვით) უკავშირდება პროდუქტის მოხმარებას, ე.ი. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შეიცვლება მოხმარება შეფასებად პროდუქტში ამ პროდუქტის (დოვლათის) ერთეულის დამატების დროს.* როგორც ლ. მიზესი წერს, „ზღვრული სარგებლიანობის თანამედროვე თეორიის განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რეალური ადამიანის არასრულყოფილებას. ამ თეორიას ... საქმე აქვს გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მონაწილეები იღებენ, რომლებიც შრომის დანაწილების საფუძველზე ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებენ “ [3].

მარჟინალიზმის მეთოდოლოგიური საშუალებების კიდევ ერთი „რევოლუციური“ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, თუკი კლასიკოსები ეკონომიკურ მოვლენებს ტენ-დენციურად ყოფდნენ, კერძოდ, თვლიდნენ რა წარმოების სფეროს პირველადად მიმოქცევის სფეროსთან შედარებით, ხოლო ღირებულებასაც - მთელი ეკონომიკური ანალიზის ამოსავალ კატეგორიად, მაშინ მარჟინალისტების მიერ *ეკონომიკა განიხილება, როგორც ურთიერთდამოკიდებული მეურნე სუბიექტების სისტემა, რომლებიც განკარგავენ სამეურნეო დოვლათს, ე.ი. მატერიალურ, ფინანსურ და შრომით რესურსებს.* ამიტომ სწორედ მარჟინალური თეორიის წყალობით *ეკონომიკის წონასწორობის და სტაბილური მდგომარეობის პრობლემები* გახდა გარემობუნებასთან ურთიერთზემოქმედების შედეგების ანალიზის საგანი, როგორც საწარმოთა და ფირმების, ისე სახალხო მეურნეობისა მთლიანად.

შემდეგ, კლასიკურთან შედარებით, *მარჟინალური თეორია ფართოდ იყენებს მათემატიკურ მეთოდებს, მათ შორის დიფერენციალურ განტოლებებს (გამოთვლებს).* ამიტომ, მათემატიკა მარჟინალისტებისთვის, მდგომარეობისა და ჰიპოთეზების შესაძლო მაჩვენებლებიდან საუკეთესო ვარიანტის შერჩევისას, აუცილებელია არა მხოლოდ ზღვრული ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისთვის, არამედ ასევე *ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღების დასაბუთებისთვის* მდგომარებებისა და ჰიპოტეზების შესაძლო რიცხვიდან საუკეთესო ვარიანტის არჩევისას. კერძოდ, უკანასკნელების შესახებ, ე.ი. ჰიპოთეზების შესახებ, მ. ფრიდმენი წერდა, რომ მათმა შინაარსიანობამ ფაქტობრივი მაჩვენებლების მეშვეობით შეიძლება „აგვიხსნას“ და „გვაჩვენოს კიდევაც არის თუ არა იგი „მართალი“ ან „მცდარი“, ან უმჯობესია აღვნიშნოთ, იქნება თუ არა იგი „მიღებული“, როგორც დასაბუთებული, თუ იქნება „უარყოფილი“, ვინაიდან „ერთადერთი კონკრეტული ტესტი, რომელიც ჰიპოთეზის დასაბუთების შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა, შეიძლება იყოს მის წინასწარმეტყველებათა შედარება რეალურობასთან“[4]. მარჟინალური თეორიის ამ სპეციფიკის შესახებ, მ. ბლაუგი შემდეგს ამტკიცებს: „მათემატიკური აპარატი, რომელიც იმ დროის ეკონომისტების მიერ გამოიყენებოდა, დიფერენციალური გამოთვლების იქით არ მიდიოდა. ეკონომიკური ფუნქციები ივარაუდებოდა უცვლელად, დიფერენცირებულად და უწყვეტად. მაგრამ მაქსიმიზაციის ფუძემდებლური პრინციპი თანაბარი ზომით გამოყენებადია წყვეტილი ფუნქციებისადმიც... მაგრამ წყვეტილობა ანალიზში მხოლოდ ფორმალურ და არა შინაარსობრივ სირთულეს ნარმოადგენს. ამ აზრით, ზღვრული ანალიზი, როგორც ასეთი გადადის მეორე ადგილზე, ხოლო ის, რაც პირველ ადგილზე“ წამოიწევა, - ეს ის პრინციპია, რომ ეკონომიკური ქცევა არის მაქსიმიზებელი ქცევა შეზღუდვების არსებობის დროს“[5].

რევოლუციურმა მოძრაობებმა განაპირობა მარჟინალიზმი *ფულის რაოდენობრივი თეორიის სფეროშიც*. აკი კლასიკოსები თავიანთ წინამორბედთა, მერკანტილისტთა პრიმიტიული ინფლაციონიზმის საპირისპიროდ, ჯერ კიდევ დ. იუმის დროიდან, ე.ი. 100 ნელზე მეტი ხნის წინათ *„ამტკიცებდნენ" ფულის ნეიტრალურობის ბარისხს, თუმცა კი მოკლევადიან პერიოდში*. და დ. იუმისადმი შეკამათებით (განსაკუთრებით დ. რიკარდო და ჯ. ს. მილი), ისინი არ უშვებდნენ მცოცავი ინფლაციის პოზიტიური ზემოქმედების შესაძლებლობას წარმოებასა და დასაქმებაზე. ფულის რაოდენობრივი თეორიის მათეული ინტერპრეტაციით, საქმე ეხება „პროპორციულობის მარტივ და ნათელ თეორემას"[6]. აი მაგალითად, „მარჟინალურმა რევოლუციამ" „ახალი მტკიცებულებები" მოგვცა რიკარდო-მილის ფულის რაოდენობრივი თეორიის ორთოდოქსული ვერსიიდან თანდათანობითი დაშორებისთვის. შედეგად, „დადგა დრო" ფულის მთავარი ფუნქციების არაფორმალური აღიარებისა, როგორც: მიმოქცევის საშუალებისა; ღირებულების საზომისა ან აღრიცხვის ერთეულისა; დანაზოგების, დაგროვების საშუალებისა ან ღირებულების შენახვის საშუალებისა [7]. მაგრამ ძირითადია - მოიხსნა ფულის მრავალფეროვან ფუნქციებს შორის წამყვანი ან ძირითადი ფუნქციის ძიების აუცილებლობა, რასაც ყოველთვის თან ახლავს ზოგიერთი ფუნქციის მნიშვნელობის გაზვიადება სხვების საზიანოდ და შესაძლებელი გახდა ელიარებინათ: „ფული - ეს ისაა, რასაც ფული აკეთებს", ყველაფერი რაც ფულის ფუნქციას ასრულებს, არის თავად ფული"[8].

აღნიშნულ „მოძრაობათა" პირველი ავტორები არიან ი. ფიშერი და ა. პიგუ. ასე, მაგალითად, ავითარებდა რა „მარჟინალიზმის ამერიკული სკოლის" *ტრადიციებს, ი. ფიშერმა* (1867-1987) გამოიყვანა ე.წ. გაცვლის განტოლება: MV=PT, სადაც M ფულის რაოდენობაა; V- მისი მიმოქცევის სიჩქარე; P- ფასების საშუალოშეწონილი დონე; T-ყველა საქონელთა რაოდენობა. ამ განტოლებით თუ ვიმსჯელებთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ფულის ღირებულებას არ დავაკავშირებთ ფულადი მასალის ღირებულებასთან, ხოლო მისი მომოქცევის სიჩქარეს (V) და საქონლთა მასის რაოდენობას (T) მოკლევადიან პერიოდში მუდმივ დონეზე მივიღებთ (რესურსების გამოყენება კონკრეტულ პერიოდში მივიღოთ როგორც სრული), შეიძლება შესაძლებელი ყოფილიყო ფულის რაოდენობრივი თეორიის ორთოდოქსული ვარიანტი: საქონელთა და ფულის შეჯახების შედეგად, საქონელთა ფასის ცვლილება დამოკიდებული იქნებოდა მხოლოდ ფულის რაოდენობაზე.

თავის მხრივ, *ა. პიგუმ* (1877-1959) არსებითად კორექტივი შეიტანა ფულის ფიშე-რისეული გამოკვლევის მეთოდოლოგიაში, შესთავაზა რა მეურნე სუბიექტების მოტივები გათვალისწინებულ იქნეს

მიკროდონეზე (ფირმები, კომპანიები, კერძო პირები), რომლებიც განაპირობებენ მათ *„მიდრეკილებას ლიკვიდაციისკენ“* - მისწრაფებას ფულის ნაწილი გადაიტანონ მარაგში საბანკო ანაბრების ან ფასიანი ქაღალდების და ა. შ. სახით. აქედან, ა. პიგუს მიხედვით, *იმ ზომით, რა ზომითაც ადგილი ექნება ფულის ლიკვიდობას, მოხდება ფასების ადექვატური კორექტირებაც.*

დაბოლოს, ალბათ „რევოლუციურად“ შეიძლება ვაღიაროთ ის გარემოება, რომ *მარჟინალიზმის მეთოდოლოგიურმა ინსტრუმენტებმა შესაძლებლობა მოგვცა, ბოლოს-დაბოლოს მოიხსნას საკითხი ეკონომიკურ კატეგორიათა პირველადობის და მეორეულობის შესახებ,* რომელიც ასე მნიშვნელოვანია „კლასიკოსებში“. ეს მოხდა, უწინარეს ყოვლისა, *კაუზალურ* (მიზეზ-შედეგობრივ) *მიდგომაზე ფუნქციონალურის მჯობინების წყალობით,* რომელიც ეკონომიკური თეორიის ზუსტ მეცნიერებად გადასაქცევად, ანალიზის უმნიშვნელოვანესი საშუალება გახდა.

14.2. მარჟინალიზმის წინამორბედები. „გოსენის კანონები“

კლასიკური სკოლის თითქმის 200-წლიანი ისტორიის ფასეულობათა გადაფასებას, რომელიც XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში მოხდა, ეკონომიკურ მეცნიერებაში არც თუ იშვიათად ახასიათებენ, როგორც, რაღაც *„მარჟინალურ რევოლუციას“*. მაგრამ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ *„მარჟინალური რევოლუციის“* დაწყების ფაქტი საეჭვოა ვინმეს მიერ შემჩნეული ყოფილიყო. ხოლო იმის შესახებ, რომ იგი უკვე განხორციელდა, 1886 წ., პირველად გამოაცხადა ლ. ვალრასმა. იგი გამოდიოდა მის მიერ წამოყენებულ ზღვრულ ეკონომიკურ სიდიდეთა იდეების ანალიზიდან და *„ამ რევოლუციაში“ პირველობის პრეტენზიები გააჩნდა.* მაგრამ, რამდენადაც სამი წლის ფარგლებში, ე.ი. 1871-1874 წლებში, მსგავსი მიმართულების ნაშრომები ასევე დაიბეჭდა *უ. ჯევონსისა და კ. მენგერის მიერ, ამ სამ ეკონომისტს შორის დაიწყო, თითქოსდა, გადაუჭრელი დავა მეცნიერული პრიორიტეტების შესახებ.* მაგრამ 1878 წელს იგი მოულოდნელად შეწყვიტა ინგლისელმა პროფესორმა ადამსონმა, რომელმაც ბრიტანულ მუზეუმში შემთხვევით აღმოაჩინა, მაშინ ყველასთვის უცნობი გერმანელი ავტორის ჰ. გოსენის წიგნი, რომელიც გაცილებით ადრე გამოიცა (1854) და მარჟინალური ანალიზის პრინციპების გადმოცემას შეიცავდა.

სხვათა შორის გაირკვა, რომ მარჟინალიზმის წინამორბედებს-პირველაღმომჩენებს შორისაც - კატეგორია „ზღვრული სარგებლიანობა“, გამოიყენებოდა მომხმარებელთა ქცევის ანალიზისთვის, და ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა მათემატიკური ანალიზის „პი-

ონერებისთვის“ სამეურნეო სისტემაში წონასწორობის გამოსავლენად ერთბაშად რამდენიმე ავტორი იყო. ჰ. გოსენთან ერთად, იგი აღმოჩნდა კიდევ ერთი გერმანელი მეცნიერი და პრაქტიკოსი ი. ჰ. ფონ თიუნენი, ორი ფრანგი მკვლევარი ჟ. დიუპიუი და ო. კურნო. როგორც მ. ბლაუგმა გამოხატა „ისინი ნამოეგნენ კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონს ერთიდაიგივე დროს, მაგრამ სრულიად განსხვავებული ინტელექტუალური ზემოქმედების რეაქციის სახით და ახლო ეკონომიკური იდეების მემკვიდრეობით მიღებული კრებულის უპირატესობათა ფობის გარეშე“[9].

ჰ. სამუელსონმა 1970 წლის 11 დეკემბერს, სტოკჰოლმში მისთვის ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე, მაღალი შეფასება მისცა მარჟინალიზმის წინამორბედების წვლილს თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში. მან, კერძოდ, აღნიშნა: „მაგრამ მარშალამდე დიდი ხნით ადრე, 1838 წელს ო. კურნომ თავის კლასიკურ ნაშრომში „მათემატიკური პრინციპების გამოკვლევა სიმდიდრის თეორიაში“, გამოიყენა დიფერენციალური გაანგარიშების აპარატი, რომელიც მოგების მაქსიმუმს უზრუნველყოფს. დანახარჯთა მინიმიზების საკითხი ასევე დაისვა ასი წლის წინათ. მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, ამით დაკავებული იყო ფონ თიუნენი ზღვრული მწარმოებლურობის ცნების განხილვისას“[10].

ჰერმან ჰაინრიხ გოსენი (1810-1858) არ იყო პროფესიონალი მეცნიერ-ეკონომისტი. ბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა სახელმწიფო სამსახურში მსაჯულის თანამდებობაზე, შემდეგ გადადგა და სადაზღვევო საქმიანობით დაკავდა. 1850 წელს თავი დაანება ყველა თავის საქმეს და წიგნის წერას მიჰყო ხელი, რაც 1854 წელს დაამთავრა სახელწოდებით *„საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების და აქედან გამომდინარე ადამიანისეული საქმიანობის წესების განვითარება“*. მასში აისახა პრინციპები, რომლებიც ნახსენებია თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც *გოსენის პირველი და მეორე კანონები*. პირველი „კანონი“ გვიჩვენებს, რომ მოცემული დოვლათის გადიდებით, დოვლათის ზღვრული სარგებლიანობა მცირდება, ხოლო მეორე „კანონის“ შესაბამისად, მოხმარების (მოთხოვნის) ოპტიმალური სტრუქტურა მიიღწევა ყველა მოხმარებადი დოვლათის ზღვრულ სარგებლიანობათა ტოლობის დროს.

ჰ. გოსენის მიზანდასახულობაში შედიოდა თავისი ნაშრომით ეკონომიკური მეცნიერებისთვის გაეკეთებინა იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩენა, როგორც ეს ნ. კოპერნიკმა გააკეთა ასტრონომიის სფეროში. ვერ დაელოდა რა შესრულებული ნაშრომის შედეგების აღიარებას და ღრმად გაწბილებული ჰ. გოსენი შეეცადა გამოეთხოვა ტრაპეზის გაუყიდავი ნაწილი და დაწვა ყველაფერი, რისი მიღებაც

შეძლო. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, თითქმის მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, ნიგნის გადარჩენილი ეგზემპლიარები მაინც გახდა ეკონომისტების შემდეგი თაობის საკუთრება.

ჟიულ დიუპიუ (1804-1866) - ინჟინერი, პარიზში 1747 წელს დაარსებული სამოქალაქო ობიექტების დაპროექტების სკოლის კურსდამთავრებული, ტექნიკური პროექტების სოციალ-ეკონომიკური ეფექტიანობის რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. ერთ-ერთი ძირითადი იდეა მის პუბლიკაციებში (1844-1861 წწ. პერიოდში) დაკავშირებულია მომხმარებლისთვის ე.წ. სარგებლიანობის სიჭარბის - *„საფასო ნამეტის“* ფულად გაზომვასთან. უკანასკნელი, მისი შეხედულებით, მაქსიმალურად შესაძლო შემოსავლის ფულადი საზომია, რომელიც წარმოიშობა მომხმარებლის შესაძლებლობით შეიძინოს საქონლის ყოველი ერთეული უცვლელი ფასის დროს. ხოლო ეს ნიშნავს, რომ ზღვრული ანალიზის კანონის „აღმოჩენა“ შეიძლება გადაიწიოს 1854-იდან 1844 წლამდე, ე.ი. ჟ. დიუპიუს მიერ სტატიის „საზოგადოებრივ სამუშაოთა სარგებლიანობის გაზომვის შესახებ“ - გამოცემის წლამდე.

ანტუან აუგუსტინ კურნო (1801-1877) სამართლიანად ითვლება, როგორც მარჟინალიზმის ერთ-ერთ წინამორბედად, ისე ეკონომიკურ თეორიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების ფუძემდებლად. მისი წიგნი „სიმდიდრის თეორიის მათემატიკური პრინციპების გამოკვლევა“ გამოიცა 1838 წელს, ე.ი. ჰ. გოსენის ნაშრომზე 16 წლით ადრე. 33 წლის ასაკში იგი იყო ანალიზისა და მექანიკის კათედრაზე ლიონში, 35 წლისა გრენობლის აკადემიის რექტორი, ხოლო 37 წლისა საფრანგეთის უნივერსიტეტების გენერალური ინსპექტორი (შეცვალა რა ამ პოსტზე ცნობილი ფიზიკოსი ამპერი). ო. კურნომ თავის ნიგნში ფუნქციონალურ დამოკიდებულებებზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბა *ეკონომიკური წონასწორობის ცნება*, მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა *ცნებები მოთხოვნის ფუნქცია*, და სხვ., იმ ვარაუდით, რომ „ეკონომიკური სისტემის კერძო პრობლემათა სრული და ზუსტი გადაწყვეტისთვის გარდაუვალია, რომ სისტემა განიხილებოდეს როგორც მთლიანი“. მაგრამ ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის პრობლემის გამოკვლევა, მისი მოსაზრებით, არის მათემატიკური ანალიზის შესაძლებლობათა მიღმა, რაც 36 წლის შემდეგ, გენიალურად უარყო ლ. ვალრასმა, ამ პრობლემის გადაჭრის მთავარი პრინციპების ჩვენებით.

იოჰან ჰენრიხ ფონ თიუნენი (1783-1850) - მარჟინალიზმის ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელია, რამდენადაც მისი ნიგნი სახელნოდებით „იზოლირებული სახელმწიფო“ გამოიცა 1826 წელს, ო. კურნოს ნაშრომზე 12 წლით ადრე. ეს ნაშრომი, ისევე, როგორც „მარჟინალური რევოლუციის“ სხვა წინამორბედთა ნაშრომები, დროუ-

ლად არ იქნა შემჩნეული პირველ მარჟინალისტთა მიერ. ი. ჰ. ტიუნენის სიცოცხლეში, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე მისი წიგნი აღიქმებოდა, უნინარეს ყოვლისა, *როგორც სახელმძღვანელო სოფლის მეურნეობის რაციონალური გაძღოლისთვის.* იგი მეკლენბურგელი მემამულის შთამომავალი იყო, რომელმაც შეძლო არა უბრალოდ უმაღლესი განათლების მიღება, არამედ მათემატიკასა და ეკონომიკურ თეორიაში შეძენილი ცოდნა გამოეყენებინა საკუთარი სამეურნეო გამოცდილების განზოგადებისთვის 10 წლის მანძილზე წარმოების ხარჯების კალკულირების გაკეთებულ ჩანაწერთა საფუძველზე. არსებითად მის მიერ გამოყვანილ იქნა ზღვრული ანალიზის კანონები, „ეკონომიკურ სისტემაში", როგორც იგი აღნიშნავდა, „მაქსიმუმის მიღწევის მიზნით მრავალცვლადიანი ფუნქციის მნიშვნელობებში".

თავის გაანგარიშებებში, წარმოების ძირითად ფაქტორთა მაჩვენებლების ვარირებით და ამასთან, ხან კაპიტალისა და მიწის, ხან კაპიტალის, ხან შრომისა და მიწის მუდმივად შენარჩუნებით, და ასევე წარმოების ფაქტორთა ფასების ზემოქმედების ჩვენებით გამოყენებული რესურსების ოპტიმალურ შერწყმაზე, ი.ჰ. ტიუნენმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ, *ყველაზე მეტი წმინდა შემოსავალი შეიძლება მიღწეულ იქნეს, თუკი ზღვრული ხარჯების ერთობლიობა წარმოების ფაქტორებზე პროდუქტის ზღვრული ფასეულობის ტოლი იქნება.* მისმა გამოკვლევებმა ბრწყინვალედ უჩვენეს რენტის დონის ფორმირების მექანიზმი ფერმერებს შორის კონკურენციის შედეგად, მიწის უკეთესი ნაკვეთის შესაძენად, უკანასკნელის გასაღების (ქალაქის) ბაზრისაგან დაშორების გათვალისწინებით (მიწის თანაბარი ნაყოფიერების პირობებში). კერძოდ, ტიუნენის მიხედვით, მიწის მაქსიმალურ რენტას ადგილი ექნება პირველ კონცენტრირებულ წრეში, ხოლო უკანასკნელ წრეში, რომელიც „იზოლირებული სახელმწიფოს"[11] საზღვრის სიმბოლიზებას ახდენს, იგი ნულის ტოლი იქნება. ამით საფუძველი ჩაეყარა განაწილების ახალ (ნეოკლასიკურ) თეორიას, რომელიც ემყარება ზღვრული მწარმოებლურობის თეორიას, რომელიც მოგვიანებით შეიმუშავა ჯ. ბ. კლარკმა, რომელიც „იზოლირებული სახელმწიფოს" მეორე ტომზე დაყრდნობით, მისი ავტორის გარდაცვალების წელს (1850) გამოიცა.

14.3. „მარჟინალური რევოლუციის" ეტაპების თავისებურებები

ეკონომიკურ ლიტერატურაში „მარჟინალური რევოლუციის" განხორციელებაში ჩვეულებრივ ორ ეტაპს გამოყოფენ.

პირველი ეტაპი მოიცავს XIX საუკუნის 70-80-იან წლებს, როდესაც აღმოცენდა მარჟინალური ეკონომიკური ანალიზის განზოგადებები ავსტრიელი კ. მენგერის და მისი მოწაფეების ნაშრომებში,

ასევე ზემოთ აღნიშნული ინგლისელი უ. ჯევონსის და ფრანგი ლ. ვალრასის მიერ. ამ ეტაპზე მარჟინალური თეორიის წარმომადგენლებს შორის უფრო მეტი აღიარება მოიპოვა კ. მენგერმა, რომელიც მარჟინალიზმის ავსტრიული სკოლის მეთაური გახდა. მისი სკოლა, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდა ასევე ფ. ვიზერი, ო. ბემ-ბავერკი და სხვა მეცნიერები, ეკონომიკურ თეორიაში ისტორიული და სოციოლოგიური მიდგომების წინააღმდეგ გამოსვლისას იბრძოდა ისევე, როგორც „კლასიკური სკოლა", „წმინდა ეკონომიკური მეცნიერებისთვის". ამასთან, მოცემულ ეტაპზე, როგორც ცენტრალური, საქონლის ზღვრული სარგებლიანობის თეორია ცხადდებოდა სკოლად მისი ფასეულობის განსაზღვრის ძირითად პირობად, ხოლო თვით საქონლის სარგებლიანობის შეფასება მიჩნეული იყო ფსიქოლოგიურ დახასიათებად კონკრეტული ადამიანის პოზიციებიდან. ამიტომ *მარჟინალიზმის პირველ ეტაპს პოლიტიკური ეკონომიის „სუბიექტურ მიმართულებას" უწოდებენ.*

ამ ეტაპის დახასიათებისას, მ. ბლაუგი მიუთითებს რიგ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ვერ აიცილეს „ზღვრული სარგებლიანობის სამივე (კ. მენგერი, უ. ჯევონსი, ლ. ვალრასი-ი.ი.) დამფუძნებელმა", მათ რიცხვში:

1) საქონლის სარგებლიანობა განიხილება, როგორც ამ საქონლის რაოდენობის ფუნქცია, რომელიც დამოკიდებული არაა სხვა მოხმარებულ საქონელთა რაოდენობაზე;

2) მომხმარებლის ქცევის „ახსნა" სარგებლიანობით ორმაგ ოპოზიციას ანყდება (ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ სარგებლიანობის თეორია გამოდის საეჭვო და არასწორი ფსიქოლოგიიდანაც კი, ხოლო მეორე - რომ სამომხმარებლო ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტებს დამოკიდებულება არა აქვთ ეკონომიკური პროცესის ობიექტურ განვითარებასთან, რომელიც ინდივიდუალურ გრძნობებზე დამოკიდებული არ არის);

3) „კეთილდღეობა" სარგებლიანობათა გაზომვას დაქვემდებარებულ რაოდენობათა ჯამზე დაიყვანება საზოგადოების ყველა ინდივიდისთვის (საოჯახო მეურნეობისთვის) და ოპტიმალურად ითვლება რესურსების ისეთი განაწილება, რომელიც მაქსიმალურს გახდიდა კეთილდღეობას სწორედ ამ გაგებით[12] და სხვ.

მარჟინალური რევოლუციის მეორე ეტაპი მოდის XIX საუკუნის 90-იან წლებზე. ამ დროიდან მარჟინალიზმი პოპულარული და პრიორიტეტული ხდება მრავალ ქვეყანაში. მარჟინალისტების ძირითადი მიღწევა ამ ეტაპზე - ესაა უარისთქმა 70-იანი წლების სუბიექტივიზმსა და ფსიქოლოგიზმზე, რათა დავასაბუთოთ, თუკი ი. შუმპეტერის სიტყვებით ვიტყვით, რომ „წმინდა ეკონომიკის მიზნად...ყო-

ველთვის რჩებოდა ეკონომიკური ცხოვრების რეგულარული მსვლელობის ახსნა მოცემული პირობების საფუძველზე"[13].

შედეგად, „ახალი" მარჟინალური იდეების წარმომადგენლების შეფასება დაიწყეს *კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მემკვიდრეთა სახით და ნეოკლასიკოსებად ინოდებოდნენ, ხოლო მათმა თეორიამ, შესაბამისად „ნეოკლასიკურის" სახელწოდება მიიღო. მარჟინალური რევოლუციის* მეორე ეტაპზე - ნეოკლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფორმირების ეტაპზე - ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ა. მარშალმა, ამერიკელმა ჯ. ბ. კლარკმა და იტალიელმა ვ. პარეტომ.

რაც შეეხება, საბაბს, თითქოსდა ზღვრული სარგებლიანობის თეორია ნარმოადგენს „ბურჟუაზიულ პასუხს მარქსიზმზე", აქ უნდა მივუთითოთ მ. ბლაუგის მიერ მოტანილ ორ კონტრარგუმენტზე. ეს, ჯერ-ერთი, კ. მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომის ინგლისურ ენაზე საკმაოდ გვიანდელი თარგმანია, ვინაიდან ამ დროისთვის -1887 წ. - უ. ჯევონსის პირველი ნაშრომები უკვე გამოიცა, ხოლო, მეორე, ა. მარშალი თავის მთავარ ნაშრომზე - „ეკონომიკსის პრინციპები" 1867წ. („კაპიტალის" პირველი ტომის გერმანული გამოცემის წელი) მუშაობის დაწყებისას, სრულად ფლობდა ზღვრული მნარმოებლურობის თეორიას, რაც, გარდა ამისა, დასტურდება მის მიერ 1872 წელს დაწერილ რეცენზიაში უ. ჯევონსის წიგნზე. იგივე ეხება კ. მენგერს და ლ. ვალრასს, რომელთაც ჩაიფიქრეს თავიანთი ნაშრომები, როდესაც არაფერი იცოდნენ რა კ. მარქსის მიერ ინგლისში დამუშავების პროცესში მყოფი ნანარმოების შესახებ. ამიტომ, გაცილებით მოგვიანებით, ე. ი. XIX 80-იანი წლების შემდეგ, ევროპულ კონტინენტზე კ. მარქსის „რევოლუციური" იდების გავრცელების პასუხად, მარჟინალიზმის ფუძემდებლების და ბურჯუების ნაშრომებში „შეტევები დაიწყო მარქსისტულ ეკონომიკურ მეცნიერებაზე" მარჟინალური თეორიის გამოყენებით და ესენი იყვნენ ო. ბემ-ბავერკი, ფ. ვიზერი, ვ. პარეტო, პ. უიკსტიდი და მრავალი სხვ. მაგრამ, რამდენადაც „ახალმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო ნამონევა არანაკლებ ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე..., - წერს მ. ბლაუგი, - ისტორიული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ახსნას დროის არა ის მომენტი, როდესაც ზღვრული კონცეფცია გამოიყენეს სარგებლიანობისადმი, არამედ მეტადრე ეკონომიკური თეორიის დავივიანებული გამარჯვება ზღვრული სარგებლიანობის საფუძველზე"[14].

მარჟინალური იდეების ევოლუცია, ზემოთ აღნიშნულ „მარჟინალური რევოლუციის" ორ ეტაპზე შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს.

პირველი. თავდაპირველად მარჟინალიზმი თავის სუბიექტურ მიმდინარეობაში ყურადღებას ამახვილებდა ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობაზე, იმ პრობლემატიკის ნანილში, რომელიც დაკავშირე-

ბული იყო მოხმარებასთან (მოთხოვნასთან), ხოლო კლასიკოსები, როგორც ცნობილია, წარმოების (მიწოდების) პრობლემათა პრიორიტეტიდან გამოდიოდნენ. მაგრამ შემდეგ ნეოკლასიკოსებმა („მარჟინალური რევოლუციის" მეორე ეტაპი) დაასაბუთეს ორივე სფეროს ერთდროული (სისტემური) შესწავლის აუცილებლობა, თითოეული მათგანის გამოყოფისა და ერთმანეთისადმი დაპირისპირების გარეშე.

მეორე. პირველი ტალღის მარჟინალისტები (ეკონომიკური აზრის სუბიექტური მიმართულება), კლასიკოსების მსგავსად, მიზეზშედეგობრივი ანალიზის გამოყენებით, თითქოსდა იმეორებდნენ თავიანთ წინამორბედებს. საქმე ეხება იმას, რომ კაუზალური მიდგომისადმი ერთგულებამ გამოიწვია საქონელთა დოვლათის ღირებულების (ფასეულობის) ორივე ვერსიის აღიარება ეკონომიკური გამოკვლევის ამოსავალი კატეგორის სახით. თუმცა, ერთი არსებითი განსხვავებით: კლასიკური სკოლა პირველადად ეკონომიკაში თვლიდა წარმოების სფეროს და ღირებულების შექმნის წყაროდ წარმოების ხარჯებს, ხოლო „სუბიექტური სკოლა" პირველადად მიჩნევდა მოხმარების სფეროს და ფასების განპირობებულობას საქონელთა და მომსახურების სარგებლიანობით.

თავის მხრივ, მეორე ტალღის მარჟინალისტებმა, რომლებიც ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკური მიმართულების ფუძემდებლები გახდნენ, კაუზალური მიდგომის ფუნქციონალურით შეცვლის წყალობით, ეკონომიკური მეცნიერების „თვალსაწიერიდან" გამორიცხეს თითქმის 200 წელს არსებული დილემა წარმოებისა და მოხმარების სფეროთა პირველადობისა და მეორეულობის შესახებ, და მასშასადამე, კამათიც იმის შესახებ, თუ რა უდევს საფუძვლად ღირებულებას (ფასებს). ნეოკლასიკოსებმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, *„გააერთიანეს" წარმოების სფერო და მიმოქცევის სფერო მთლიანი სისტემური ანალიზის ობიექტში, ზღვრული ეკონომიკური სიდიდეების კიდევ განაწილებისა და გაცვლის სფეროებზე გავრცელებით.* შედეგად მოხდა, თითქოსდა ღირებულების ორივე თეორიის („კლასიკოსების" დანახარჯების თეორიისა და ზღვრული სარგებლიანობის თეორის) **ერთ ორკრიტერიუმიან თეორიაში** ბუნებრივი გაერთიანება, რომელიც ემყარებოდა ზღვრული დანახარჯებისა და ზღვრული სარგებლიანობის ერთდროულად თანაზომადობას. ამან შესაძლებლობა მისცა „ახალი ეკონომიკის" წარმომადგენლებს - ნეოკლასიკოსებს გამოერიცხათ წარმოების თითოეული ფაქტორის ღირებულების (ფასეულობის) სპეციალური ანალიზი, ამიტომ, „ის, რაც კლასიკური თეორის ავტორებმა ნამოაყენეს განანილების (შემოსავლების) სპეციალურ თეორიად", სწორედ კრიტიკის საგანია თანამედროვე ავტორების მიერ"[15].

და მესამე. „მარჟინალური რევოლუციის" პირველი ეტაპისგან განსხვავებით, მის მეორე ეტაპზე, *ეკონომიკური ანალიზის ფუნქცი-*

ონალურ მეთოდთან ერთად, საყოველთაოდ განმტკიცდა ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების მეთოდებიც, როგორც მიკროეკონომიკის, ე.ი. ცალკეული სამეურნეო სუბიექტების დონეზე ეკონომიკური წონასწორობის შესახებ კონცეფციის რეალიზაციის საშუალება, რის გამოც ნეოკლასიკოსებთან ეკონომიკური მეცნიერების საგნიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე *ამოვარდა ეკონომიკის ზრდისა და მაკროეკონომიკური ანალიზის პრობლემატიკა.* მაგრამ, ამასთან, XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის მარჟინალისტები, ხოლო შემდგომ მათი მიმდევრები XX საუკუნის პირველ მესამედში, ისევ ვარაუდობდნენ, რომ ეკონომიკური ზრდა, „თავისუფალი" კონკურენციის წყალობით ავტომატურად შენარჩუნდება და *განაგრძობენ რეალურ ცხოვრებაში ჟ. სეის „ბაზრების კანონის" უსაფუძვლობის გაზიარებას, მისი ძირითადი იდეით ეკონომიკის თვითრეგულირებისა და წონასწორობის შესახებ.*

თუმცა, მარჟინალური ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიურ საშუალებათა მათემატიზებული სპეციფიკურობის აღიარებით, ზედმეტი არ იქნება მკითხველს შევახსენოთ ამ თვალსაზრისით, თანამედროვეობის ფართოდ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ გამოთქმული გაფრთხილებების შესახებ. ასე, მაგალითად, ვ. ლეონტიევი წერს: „არა, როგორც თავდაპირველად მონაცემთა სისტემატური შეგროვების მკაცრ დისციპლინასთან დაქვემდებარებულს, განსხვავებით თავისი კოლეგებისგან, რომლებიც საბუნებისმეტყველო და ისტორიულ მეცნიერებებში მუშაობენ, ეკონომისტებმა თითქმის დაუძლეველი მიდრეკილება შეიძინეს დედუქციური ანალიზისადმი ან დედუქციური არგუმენტაციისადმი". მრავალი ეკონომისტი „წმინდა" ან გამოყენებითი მათემატიკიდან მოვიდა. ეკონომიკური ჟურნალების ყოველი გვერდი აჭრელებულია მათემატიკური ფორმულებით, რომელთაც მკითხველი უფრო ნაკლებად ან მეტად დამაჯერებელ ან აბსოლუტურად თავისუფალ ვარაუდებამდე მიჰყავთ, რომელიც ზუსტად ფორმულირებულია, მაგრამ თეორიული დასკვნების საქმეს არ მიეკუთვნება.

არაფერი ისე მჭერმეტყველურად არ მეტყველებს თანამედროვე ეკონომისტ-თეორე-ტიკოსების მიერ სისტემურ შესწავლაზე, როგორც ის მეთოდოლოგიური საშუალებები, რომლებსაც ისინი იყენებენ იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ ან მინიმუმამდე შეამცირონ ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყენება[16].

ხოლო მ. ალეს მოსაზრებით, „არ შეიძლება იყო კარგი ფიზიკოსი, ან ეკონომისტი იმ ერთადერთი მიზეზით, რომ ფლობ რაღაც ცოდნას და ჩვევებს მათემატიკის სფეროში" და ამიტომ „არასდროს ზედმეტი არ იქნება გაიმეორო შემდეგი: ეკონომისტისთვის, ისე როგორც ფიზიკოსისთვის, ძირითადი ამოცანა - ეს მათემატიკის გამოყე-

ნება როდია თვით მისთვის, არამედ მისი გამოყენებაა კონკრეტული რეალობის ანალიზის გამოკვლევის საშუალების სახით; ამოცანა, მაშასადამე, იმაში მდგომარეობს, რომ არასდროს არ მოვწყვიტოთ თეორია მისი გამოყენებისგან"[17]. და გაფრთხილებათა ეს ჩამონათვალი საკმაოდ დიდია.

ამიტომ მოცემული თვისების დიდი რაოდენობის მაგალითებიდან მხოლოდ შემდეგზე მივუთითებთ. თუმცა, საზოგადოდ მიღებულია, რომ „არა სარგებლიანობის თეორიამ, არამედ მეტადრე მარჟინალიზმმა, როგორც ასეთმა მიანიჭა მათემატიკას გამორჩეული როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში 1870 წლის შემდეგ"[18], მ. ფრიდმანის რწმენით, ეკონომიკური თეორია რალაც უფრო მეტს უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე უბრალოდ ტავტოლოგიათა სისტემას, თუკი მას უნდა განჭვრიტოს, და არა უბრალოდ აღწეროს მოქმედებათა შედეგები, - სხვა სიტყვებით, თუკი მას უბრალოდ არ სურს იყოს შენიღბული მათემატიკა"[19].

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რაში მდგომარეობს მარჟინალიზმის ძირითადი იდეა?
2. ჩამოაყალიბეთ მარჟინალიზმის წინამორბედთა ძირითადი თეორიული პრინციპები -„გოსენის კანონები".
3. დაასახელეთ ძირითადი წანამძღვრები, რომლებმაც განაპირობეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შეცვლა მარჟინალური ეკონომიკური თეორიით.
4. ეკონომიკური ანალიზის რომელი მეთოდები ასახავენ „მარჟინალური რევოლუციის" არსს?
5. „მარჟინალური რევოლუციის" პირველ ეტაპს რატომ უწოდებენ პოლიტიკური ეკონომიის სუბიექტური მიმართულების ეტაპს.
6. როგორ წარმოიშვა ტერმინი „ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია"?
7. გადმოეცით „მარჟინალური რევოლუციის" პირველი და მეორე ეტაპების თეორიულ-მეთოდოლოგიური იდეების არსი.

თავი 15. ეკონომიკური აზრის სუბიექტური მიმართულების წარმოშობა, როგორც „მარჟინალური რევოლუციის" პირველი ეტაპი

ამ თავის შესწავლა აუცილებელია, რომ გაიგოთ:

- მარჟინალიზმის თითოეული ფუძემდებელი როგორ მივიდა „გოსენის კანონის" განმეორებით აღმოჩენამდე;
- ავსტრიული სკოლის ავტორები უფრო პოპულარულები რატომ იყვნენ ეკონომიკური აზრის სუბიექტური მიმართულების წარმომადგენლებს შორის;
- ეკონომიკის რომელ თეორიულ პრობლემებს განიხილავდნენ „პირველი ტალღის" მარჟინალისტები მათემატიკის საშუალებათა გამოყენებით.
- ვის წინაშე არის ვალში ეკონომიკური მეცნიერება მაკროეკონომიკური წონასწორობის პირველი მათემატიკური მოდელის შექმისთვის.

15.1. კ. მენგერის ეკონომიკური მოძღვრება

კარლ მენგერს (1840-1921), როგორც მსოფლიო სახელის მქონე სწავლულ ეკონომისტს, და მარჟინალიზმის „ავსტრიული სკოლის" მეთაურს ღირსეული ადგილი უჭირავს ეკონომიკური მეცნიერების XIX საუკუნის მეორე ნახევრის საუკეთესო წარმომადგენელთა რიგებში. მიუხედავად თავადური წარმოშობისა, იგი ლიბერალურ შეხედულებებს ემხრობოდა საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე, რომლებიც ცხადია ჩამოუყალიბდა ვენისა და პრაღის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე სწავლის დროს. კრაკოვში, 27 წლის ასაკში დისერტაციის დაცვის შემდეგ, გარკვეულ პერიოდში მუშაობდა ჟურნალისტად, შემდეგ, ეკონომიკურ მიმომხილველად ავსტრიის მთავრობასთან ვენაში.

ჟურნალისტურ და სახელმწიფო სამსახურში პრაქტიკული საქმიანობის ერთი შეხედვით უმნიშვნელო გამოცდილებამ, შესაძლებლობა მისცა უაღრესად ნიჭიერ ახალგაზრდა მკვლევარს კ. მენგერს მოემზადებინა და 1871 წელს გამოეცა ფუნდამენტური, როგორც შემდგომში გაირკვა, ნაშრომი სახელწოდებით „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები"[1]. იმავე წელს, ამ წიგნის ვენის უნივერსიტეტში წარდგენა საკმარისი რეკომენდაცია აღმოჩნდა, რომ მისი ავტორი აქ, პედაგოგიურ სამუშაოზე მიეღოთ პრივატ-დოცენტად „პოლიტიკურ ეკონომიაში".

8 წლის შემდეგ, 1879 წელს კ. მენგერი პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პროფესორად ინიშნება და ამ თანამდებობაზე 1903 წლამდე დარჩა. თავისი კოლეგებისა და თანამოაზრეების გარემოცვაში, რომლებიც საკუთარ თავს კ. მენგერის სკოლის მონაფეებს უწოდებდნენ, მან შეძლო სერიოზული „ოპოზიციის“ შექმნა, ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებულ, ნარმოების სფეროს უდაო პრიორიტეტისა და საქონლის ღირებულების (ფასეულობის) ხარჯვითი ბუნების შესახებ, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პარადიგმებთან საბრძოლველად.

კ. მენგერის სერიოზული ნაშრომების რიცხვს სამართლიანად შეიძლება ასევე მივაკუთვნოთ „გამოკვლევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის მეთოდის შესახებ“ (1883). მაგრამ სწორედ „საფუძვლები...“ გახდა მისთვის მთელი ცხოვრების წიგნი; მის სრულყოფაზე იგი მუშაობდა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის დიდ ნაწილში, მათ შორის, ამასთან დაკავშირებით 1903 წლიდან, კათედრის ხელმძღვანელობა დაუთმო თავის მოწაფეს ფ. ვიზერს. ამ მიზეზით, „საფუძვლების...“ მეორე გამოცემა დღის სინათლეზე გამოვიდა მისი ავტორის გარდაცვალებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1923 წელს.

კურიოზულად, ცხადია, შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კ. მენგერი, რომელიც თავის დამუშავებებში ძირითადად გერმანელ ავტორთა ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობოდა (ძირითადად, ე.წ. გერმანიის ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები), სრულებით არ იცნობდა მარჟინალიზმის გერმანელი წინამორბედების ი. ტიუნენის და ჰ. გოსენის ნაწარმოებებს. უფრო მეტიც, მენგერისეული ანალიზის გარკვეულმა ღირსებებმა ინდივიდისა და მიკროდონეზე, რომელთაც უდაოდ ჰქონდა ადგილი „საფუძვლებში...“ ჯეროვანი აღიარება ვერ ჰპოვეს არა მხოლოდ კ. მენგერის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალებიდან საუკუნის მესამედის განმავლობაში. ყოველ შემთხვევაში, ინგლისურ ენაზე, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებაში საერთაშორისოდ ითვლება, სახელგანთქმული „საფუძვლები...“ მისი დაწერიდან მხოლოდ 80 წლის შემდეგ გადაითარგმნა[2].

მეთოდოლოგიის თავისებურებები

კ. მენგერის „საფუძვლები...“, რომელმაც შთააგონა მისი მიმდევრები ვენის უნივერსიტეტში შემდგომი მეცნიერული კვლევებისთვის, „მასწავლებლის“ „ახალი“ მეთოდოლოგიური პრინციპების შესაბამისად, საბოლოო ჯამში ხელს უწყობდა იმას, რომ „მარჟინალური რევოლუციის“ პირველი ეტაპის მთელ მანძილზე, მარჟინალური ეკონომიკური თეორიის სამი საზოგადოდ ცნობილი ფუძემდებლიდან ყველაზე მეტი აღიარება სწორედ მას - ავსტრიუ-

ლი სკოლის ფუძემდებელს ჰქონდა. აქედან გამომდინარე უ. ჯევონსის და ლ. ვალრასის მეთოდოლოგიისგან განსხვავებით, *გამოკვლევების მენგერისეულმა მეთოდოლოგიამ შეინარჩუნა „კლასიკოსების“ მეთოდოლოგიის ცალკეული საკვანძო პოზიციები. პირველ რიგში, ეს ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკის და გეომეტრიული ილუსტრაციების არარსებობითაა გამოხატული.* მეორე, ღირებულება კაზუალურობის პრინციპით და არა ნარმოების ხარჯებით (ან შრომის დანახარჯებით) უნდა განისაზღვროს. მენგერის მიხედვით მთავარი(საბაზო) კატეგორიის პრინციპის გამოყენებაა, რომლის თანახმადაც ღირებულება(ფასეულობა) უნდა აღირიცხებოდეს *სუბიექტურ მახასიათებელთან-ზღვრულ სარგებლიანობასთან დაკავშირებით.* და მესამე, ისევ „კლასიკოსებისგან“ განსხვავებით, კ. მენგერი *პირველადად თვლის არა წარმოების სფეროს, არამედ მიმოქცევის სფეროს , ე.ი. მოხმარებას, მოთხოვნას.*

კ. მენგერის მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტარიუმში მთავარი ელემენტია მიკრო- ონომიკური ანალიზი ანუ ინდივიდუალიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, საშუალებას იძლევა „კლასიკოსების“ მოძღვრებას საზოგადოების კლასებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, დაუპირისპიროს ეკონომიკურ ურთიერთობათა და მაჩვენებლების ანალიზი *ცალკეული მეურნე სუბიექტის დონეზე* (მენგერის ტერმინოლოგიით - *რობინზონის მეურნეობა*), მაგრამ, მეორე მხრივ, - მოიხიბლოს წინასწარაკვიატებული აზრით იმის შესახებ, რომ თითქოსდა ეკონომიკური პრობლემების გამოვლენა და გადაწყვეტა შესაძლებელია, *მათი მხოლოდ ინდივიდის დონეზე, მიკროდონეზე* განხილვით საკუთრების ფენომენის გათვალისწინებით და განპირობებული ადამიანისეული ეგოიზმის სიკეთის შედარებითი იშვიათობით.

მეთოდოლოგიური პრობლემები მსჭვალავს, თუკი ასე შეიძლება გამოვხატოთ, „საფუძვლების მთელ შინაარსობით ნაწილს, თუმცა მათზე კ. მენგერი ყურადღებას ამახვილებს წიგნის მხოლოდ პირველ ორ თავში. ხოლო შემდეგ, დაწყებული ნაშრომის მესამედან, უკანასკნელ მე-8 თავამდე, იგი უშუალოდ გადადის პოლიტიკური ეკონომიის თეორიულ დებულებებზე, მათ შორის ისეთებზე, როგორიცაა „ფასეულობა“, „გაცვლა“, „საქონელი“, „ფული“ და სხვ. ამასთან, მესამე თავის მეორე განყოფილებაში კ. მენგერი მკითხველს განაწყობს მისი საკმაოდ მოცულობითი თხზულების მოსათმენ და დაფიქრებულ გააზრებაზე, ასე განცხადებით: „ადამ სმითის მაგალითის მიხედვით მე მაინც გავბედავ რანდენამდე მოწყენილად ვიყო, თუკი ამით მოიგებს გადმოცემის სიცხადე“[3].

ეკონომიკური დოვლათი: კონცეფცია და მათი კომპლემენტარულობები

კ. მენგერის „საფუძვლებში" „ახალ" მეთოდოლოგიურ და თეორიულ მსჯელობებზე საუბრის გაგრძელებისას უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მის მიერ „შემოიტანება" კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თითქმის წამყვან წარმომადგენელთა სახით. კერძოდ, იგი საუბრობს იმის შესახებ, რომ „ისე, როგორც ყველა სხვა მეცნიერებებში, ისე ჩვენსაშიც" აუცილებელია „ჩვენი სამეცნიერო დაკვირვების ობიექტების" გამოკვლევა *„მათი მიზეზობრივი კავშირის და კანონების* მეშვეობით, *რომლებითაც ისინი იმართებიან* "[4]. მაგრამ მენგერისეული ტერმინოლოგიის „კლასიკურთან" გარეგნულმა მსგავსებამ, *„მიზეზობრივი კავშირების და კანონების"* განხილვისადმი მიდრეკილებამ, კ. მენგერის მეცნიერული ძიებები სრულიად გაუკვალავი გზით წარმართეს, რაც ჩანს თვით „საფუძვლების..." პირველი თავის პრობლემატიკიდან, სადაც საქმე ეხება *ეკონომიკური დოვლათის რიგებად დაყოფას* და საბუთდება სანარმოო დოვლათის კომპლემენტარულობის (შევსებადობის) პრინციპი.

მაინც რაც ნიშნავს მენგერისეული „პირველი რიგის დოვლათი" და „განაპირა რიგის დოვლათი"? რაში მდგომარეობს „უმაღლესი რიგის დოვლათის" „დაბალი რიგის დოვლათად" გადაქცევის შინაარსი? ამ კითხვებზე სრულიად ამომწურავი პასუხი ცხადია, თვით „საფუძვლების..." ავტორის შემდეგი გამონათქვამიდან: „თუკი ჩვენ განვკარგავთ *რომელიღაც უმაღლესი რიგის დოვლათს*, მაშინ პირველად ეს დოვლათი უნდა გარდავქმნათ *უახლოესი დაბალი და ასე შემდეგ რიგის დოვლათად, სანამ ჩვენ არ მივიღებთ პირველი რიგის დოვლათს*, რომლებიც შეიძლება უკვე უშუალოდ გამოვიყენოთ ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. *დროის მონაკვეთები*, რომლებიც ამ პროცესის დაშორებულ ფაზებს შორის ძევს...*მაინც არ შეიძლება მთლიანად გაქრეს*"[5]. ამრიგად, მენგერის მიხედვით, *ადამიანის მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილება უზრუნველყოფს პირველი რიგის დოვლათის განკარგვას, ხოლო მეორე, მესამე და უფრო განაპირა რიგების დოვლათის ფლობა მოითხოვს, რომ „გაშუალებული სახით" მათი „გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად"*. ამასთან, ფასეულია მეცნიერის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ შეგვიძლია გამოვიყენოთ უმაღლესი რიგის ერთეული (ცალკეული) დოვლათი ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, თუკი იმავდროულად არ განვკარგავთ სხვა უმაღლესი რიგის დანარჩენ (კომპლემენტარულ) დოვლათს", რამდენადაც მაგალითად, „საკუთარ განკარგულებაში...პურის საწარმოებლად... მეორე რიგის დოვლათის (სანვავის,

წყლის გარეშე-ი.ი.) უქონლად... პური არ შეიძლება დამზადდეს... ამისათვის ყველა დანარჩენი აუცილებელი დოვლათის... არსებობის დროსაც კი"[6].

არსებითია ის განსხვავებაც, რომელსაც კ. მენგერი აღნიშნავს სუბიექტის მიერ მაღალი და დაბალი რიგის დოვლათების ფლობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით „საფუძვლების..." ავტორი დებულების არგუმენტირებას ახდენს იმის შესახებ, რომ მაღალი რიგის დოვლათი გამოყენებადი ხდება „მიზეზობრიობის კანონების" შესაბამისად და „მხოლოდ დროის მონაკვეთის ამოწურვისას", წარმოქმნის „ცვლილებებს", გადაიქცევიან პირველი რიგების დოვლათებად, ე.ი. ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც შეიძლება უწოდო ადამიანისეული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. *მაღალი რიგის დოვლათი*, განაგრძობს კ. მენგერი, *გამოდის „წარმოებისთვის საშუალებათა" სახით*, და აქედან „გამომდინარეობს კანონი, რომლის მიხედვითაც, მაღალი რიგის ცალკეული დოვლათის საჭიროება, დროის განსაზღვრულ შუალედებთან დამოკიდებულებით, განპირობებულია ჩვენს განკარგულებაში მაღალი რიგის შესაბამისი დოვლათის კომპლემენტარული რაოდენობების არსებობით"[7].

დაბოლოს, მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, უინტერესო როდია კ. მენგერის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა არის „დოვლათის ეკონომიკური ხასიათის კრიტერიუმი". ამ კრიტერიუმად, წერს იგი, არ შეიძლება იყოს „დოვლათზე დახარჯული შრომა", რამდენადაც „იგი უნდა ვეძებოთ მხოლოდ დოვლათის საჭიროებასა და განსაკარგავად ხელმისაწვდომი დოვლათის რაოდენობას შორის"[8]. ამ პოზიციის განსავითარებლად მეცნიერი აზუსტებს, რომ თუკი ადამიანის განკარგულებაში არსებული ბუნების ნაბოძები დოვლათი აჭარბებს მასზე მოთხოვნილებას, მაშინ მას შეეძლო შეენარჩუნებინა „მომხმარებლებისთვის ეკონომიკური ხასიათი, როდესაც ძალაუფლების მფლობელი იცილებს დანარჩენ მეურნე სუბიექტებს მისი თავისუფალი განკარგვისაგან"[9].

ღირებულების თეორია („დაკისრებები")

„საფუძვლების..." მესამე თავში, *ღირებულების (ფასეულობის) თეორიის შემუშავებით, რომელიც ზღვრული სარგებლიანობით განისაზღვრება, კ. მენგერმა თითქოსდა ხელახლა აღმოაჩინა „გოსენის კანონი"*. იგი დარწმუნებულია, რომ ეკონომიკური დოვლათის ფასეულობა ადამიანის მიერ ვლინდება მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში, ე.ი. მაშინ, როდესაც იგი გააცნობიერებს დამოკიდებულებას მათი არსებობისგან თავის განკარგულებაში; შესაბამისად ადამიანისთვის არანაირი, მათ შორის სამომხმარებლო, ფასეულობა არ გააჩნია მხოლოდ არაეკონომიკურ სიკეთეებს. გარდა ამისა, განმარტავს, რომ „ფასეულობა არ არის რა-

ღაც დოვლათისადმი დამოკიდებული, არა მათი თვისება, პირიქით, მხოლოდ ის მნიშვნელობაა, რომელსაც ჩვენ უწინარეს ყოვლისა ვანიჭებთ ჩვენი მოთხ-ოვნილების დაკმაყოფილებას..."[10]. ასეთი სახის მსჯელობის დასადასტურებლად კ. მენგერს მოაქვს ოაზისის მაგალითი, სადაც წყაროს წყალს, რომელიც ფარავს მასზე ადამიანთა ყველა მოთხოვნილებას, ფასეულობა არ გააჩნია და, პირიქით, - ნყალი ოაზისის მაცხოვრებლებისთვის ფასეულობას იძენს, მაშინ, როდესაც წყაროს წყლის ნაკადი-უცაბედად იმდენად შეწყდება, რომ წყლის განსაზღვრული რაოდენობის განკარგვა აუცილებელი პირობა გახდება ოაზისის მაცხოვრებლის კონკრეტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

საბოლოო ჯამში წარმოიშობა ფასეულობის მენგერისეული სუბიექტივისტური განმარტება, რომელიც შემდგომში ავსტრიული სკოლის ზოგადი ამოსავალი პოზიცია გახდა, და სახელდობრ: „*ფასეულობა - ესაა აზრი, რომელიც შეურნე ადამიანებს გააჩნიათ მათ განკარგულებაში არსებული დოვლათის მნიშვნელობის შესახებ მათი სიცოცხლისა და მათი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და ამიტომ მათი ცნობიერების გარეშე არ არსებობს*"[11]. მაგრამ როგორია ფასეულობის საზომი, თუკი იგი არ არსებობს ცნობიერების გარეშე? კ. მენგერის პასუხი ლაკონურია: „ფასეულობა სუბიექტურია არა მხოლოდ თავისი არსებით, არამედ ასევე თავისი ზომითაც"[12].

ამრიგად, „საფუძვლების..." ავტორმა ხელყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის უწმინდესი რამ - შრომითი ღირებულების (ფასეულობის) თეორია. მისი მოსაზრებით, „შრომისა და მისი რაოდენობის დანახარჯები ან სხვა დოვლათის წარმოების დანახარჯები, რომლის ფასეულობაზეც არის საუბარი, არ იმყოფება აუცილებელ და უშუალო კავშირში ფასეულობის სიდიდესთან"[13]. ამასთან, აქაც კ. მენგერი იყენებს „მტკიცებულებას", ბრილიანტის ფასეულობის შესახებ მაგალითის მოტანით და კომენტარის გაკეთებით, რომლის არსი ასეთია: ამ მინერალის ფასეულობის სიდიდე დამოკიდებული არ არის იმაზე, იპოვეს თუ არა იგი „შემთხვევით" ან „იგი მოპოვებულია საბადოდან ათასობით სამუშაო დღის დახარჯვით", რამდენადაც „მისი ფასეულობის განხილვისას" განსაზღვრულ მომენტად ითვლება „მომსახურების" ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება დაკარგო, თუკი იგი ჩვენს განკარგულებაში არ იქნება. მაგრამ ამასთან ერთად, „უსაფუძვლოა ის მოსაზრებაც, - დაასკვნის მეცნიერი, - რომ დოვლათის კვლავწარმოებისთვის საჭირო შრომის ან ნარმოების სხვა საგნების რაოდენობა, ის მომენტია, რომელიც განსაზღვრავს დოვლათის ფასეულობის საზომს"[14].

სხვათა შორის კ. მენგერის შემოთავაზებული და მისი მოწაფეების მიერ მხარდაჭერილი ღირებულების (ფასეულობის) თეორია ისევე, როგორც, „კლასიკოსების" ანალოგიური თეორია წარ-

მოადგენს საქონელთა (დოვლათის) ჭეშმარიტი ფასის განსაზღვრის ჩიხურ ვარიანტს. აკი ფაქტობრივად ავსტრიული სკოლის მოცემული თეორიის მიხედვით, რომელმაც *„დაკისრების თეორიის“* სახელწოდება მიიღო, ივარაუდება, რომ დოვლათის *ღირებულების (ფასეულობის) წილი ეკისრება „შემდგომი რიგების“ დოვლათებს, რომლებიც გამოიყენეს მისი დამზადების დროს.* ამ ვერსიის საფუძველია „საფუძვლების...“ ავტორის თეზისი, რომლის შესაბამისად „ყველა პირობებში მაღალი რიგის დოვლათის ფასეულობა განისაზღვრება დაბალი რიგის დოვლათის სავარაუდო ფასეულობით, რომელთა წარმოებაზე ისინი გამიზნულები არიან ან ადამიანთა მიერ სავარაუდოდ გამიზნულები იქნებიან“[15]. სხვა სიტყვებით, მენგერისეული „პროდუქტის სავარაუდო ფასეულობა“ წარმოადგენს „უმაღლესი რიგის დოვლათის“ ფასეულობის სიდიდის განსაზღვრის „პრინციპს“.

კ. მენგერის მიერ *მაღალი რიგის დოვლათები* განიხილება წარმოების გარდაუვალ წანამძღვრებად. ამასთან, *იგი გვთავაზობს, რომ მათ რიცხვს მივაკუთვნოთ არა მხოლოდ ნედლი მასალების ერთობლიობა, შრომა, გამოყენებული მიწის ნაკვეთები, მანქანები, ინსტრუმენტები და სხვ., არამედ ავრეთვე, კაპიტალით სარგებლობაც და მეწარმის საქმიანობაც“.* შემდეგ გამოითქვა მეცნიერის სერიოზული შენიშვნა იმის შესახებ, რომ „მაღალი რიგის ცალკეული დოვლათის არა მკაცრად განსაზღვრული რაოდენობები შედიან გაერთიანებაში ერთმანეთთან წარმოების პროცესში, როგორც ეს ხდება ქიმიური რეაქციების დროს...“ პირიქით, ყველაზე ელემენტარული გამოცდილება ჩვენთან, - დაასკვნის იგი, - არის ის, რომ მაღალი რიგის დოვლათებს შეუძლიათ აწარმოონ რომელიმე დაბალი რიგის დოვლათის განსაზღვრული რაოდენობა, ერთმანეთთან ყველაზე მრავალფეროვან რაოდენობრივ ურთიერთობებში ყოფნისას...“[16]. *მაშასადამე, დაბალი რიგის დოვლათის განკარგვა, რომელიც მაღალი რიგის დოვლათის კომპლემენტარულ რაოდენობებს მოითხოვს, რეალურ სინამდვილეში მკაცრ რეგლამენტაციასთან დაკავშირებული არ არის.*

შრომის ანაზღაურების და გაცვლის კონცეფცია

კ. მენგერი მცდარად მიიჩნევს „სოციალური სისტემის“ დადანაშაულებას, რომელმაც თითქოსდა წარმოშვა *„შესაძლებლობა... მუშებს წაართვას შრომის პროდუქტის ნაწილი“.* იგი წერს, რომ შრომა წარმოებრივი პროცესის მხოლოდ ერთი ელემენტია, რომელიც „წარმოადგენს არა დიდწილად ეკონომიკურ დოვლათს, ვიდრე წარმოების ელემენტს“. ამიტომ, მისი მოსაზრებით, კაპიტალის და მიწის მფლობელები ცხოვრობენ არა მუშათა ხარჯზე, არამედ მიწითა და კაპიტალით სარგებლობის ხარჯზე, რომელსაც ინ-

დივიდისა და საზოგადოებისთვის ზუსტად ისეთივე ფასეულობა გააჩნია, როგორც შრომას"[17].

„საფუძვლების..." ავტორი სერიოზულად აკრიტიკებს კლასიკოსების ხელფასის თეორიასაც, რომლის მიხედვითაც მარტივი შრომის ფასი მინიმუმისკენ მიისწრაფის, მაგრამ მან უნდა „გამოკვებოს" მუშა და მისი ოჯახი, „სხვაგვარად, - აღნიშნავს კ. მენგერი", - მისი წარდგენა (მუშის-ი.ი.) საზოგადოების განკარგულებაში ხანგრძლივი არ იქნება"[18]. ავსტრიული სკოლის ლიდერის მოსაზრებით, ასეთი მიდგომა არამართლზომიერია, რამდენადაც *იდეა ხელფასის, როგორც „სიცოცხლის შენარჩუნების" წყაროს შესახებ, ყოველთვის გამოიწვევს მომუშავეთა რაოდენობის ზრდას და შრომის ფასის შემცირებას ადრინდელ (მინიმალურ) დონემდე.* ამიტომ, არსებობის საშუალებათა მინიმუმის პრინციპით მარტივი შრომის ფასის რეგულირების თავიდან ასაცილებლად, მათთვის *რეკომენდებულია შრომის დანარჩენი სახეების უფრო მაღალი ფასის დაყვანა კაპიტალის დანახარჯზე, რენტაზე განსაკუთრებული ნიჭისთვის* და ა. შ.[19].

გაცვლის პრობლემატიკას კ. მენგერმა მიუძღვნა „საფუძვლების..." მეოთხე თავი, მისადმი, შემდგომ უკანასკნელ თავებში დაბრუნებით. *ამ კატეგორიის არსი* მეცნიერის წიგნში უპირატესად *დაყვანილია პარტნიორთა ინდივიდუალურ აქტზე, რომლის შედეგი თითქოსდა ურთიერთხელსაყრელია, მაგრამ არაექვივალენტურია.* მისი სიტყვებით, დოვლათის ყოველგვარი ეკონომიკური გაცვლა გამცვლელი ინდივიდებისთვის ნიშნავს მათი ქონებისთვის ახალი ქონებრივი ობიექტის დამატებას, და ამიტომ *გაცვლა მეურნეობრივი თვალსაზრისით, შეიძლება შევადაროთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პროდუქტიულობას*[20]. ამასთან ერთად, გაცვლა მენგერის მიხედვით, - *ეს არა მხოლოდ სარგებლობაა, არამედ ასევე ეკონომიკური მსხვერპლიც, გამოწვეული საცვლელი ოპერაციით, რომელიც გართმევს „ეკონომიკური სარგებლის ნაწილს და შეიძლება ამოიღო არსებული საცვლელი ურთიერთობიდან"*, რაც არაიშვიათად შეუძლებელს ხდის *რეალიზაციას იქ, სადაც მას ჯერ კიდევ შეიძლება აზრი ჰქონოდა*[21].

გაცვლის ადგილისა და როლის მაღალი შეფასებით ეკონომიკურ ცხოვრებაში, ავსტრიული სკოლის მეთაურმა დაგმო ნეგატიური დამოკიდებულება ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებზე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მხრიდან, განსაკუთრებით ამერიკელი ჰ. ჩ. კერისა. „თუკი კერი ვაჭრობით დასაქმებულ ადამიანებს გამოხატავს სამეურნეო პარაზიტებად, - წერს კ. მენგერი, - იმიტომ, რომ ისინი თვითონ იღებენ სარგებლის გარკვეულ ნაწილს, რომელიც ეკონომიკური გაცვლის სახეზე არსებული შემთხვევის რეალიზაციის შედეგია, მაშინ ეს ემყარება მის მცდარ

წარმოდგენებს გაცვლის პროდუქტიულობის შესახებ"[22]. *ყველანი, ვინც ხელს უწყობს გაცვლას, ე. ი. ეკონომიკურ გაცვლით ოპერაციებს, განაგრძობს „საფუძვლების... ავტორი, ისეთივე მწარმოებლები არიან, როგორც მიწათმფლობელები და ფაბრიკანტები, ვინაიდან ყოველი მეურნეობის მიზანი მდგომარეობს არა დოვლათის რაოდენობის ფიზიკურ გადიდებაში, არამედ ადამიანთა მოთხოვნილებების შესაძლო უფრო სრულ დაკმაყოფილებაში"[23].*

იმის შესახებ წარმოდგენისგან გაფრთხილების მცდელობაში, რომ საქონელთა ფასები „არის გაცვლის არსებითი მომენტი" და, რომ დოვლათის რაოდენობა გაცვლის აქტში „ექვივალენტურია", კ. მენგერი ამტკიცებს: „...მკვლევარებმა ფასის მოვლენათა სფეროში დაძაბეს თავიანთი ძალისხმევები დოვლათის ორ რაოდენობას შორის სავარაუდო ტოლობის მის მიზეზებზე დაყვანის პრობლემის გადასაწყვეტად და ერთნი ამ მიზეზებს მოცემულ დოვლათში ერთნაირი რაოდენობის შრომის დახარჯვაში ეძებდნენ, სხვები - წარმოების თანაბარ დანახარჯებში, იმის შესახებაც კი წარმოიშობოდა დავა, რომ გაიცემოდა კი დოვლათები ერთი-მეორეზე გასაცვლელად, იმიტომ, რომ ისინი-ექვივალენტურები არიან, ან დოვლათები იმიტომ არიან ექვივალენტურები, რომ ერთის მეორეზე გაცვლის აქტში ისინი ერთი მეორისათვის ეძლევა, მაშინ როდესაც *სინამდვილეში არსად არ არის ტოლობა დოვლათების ორივე რაოდენობის ფასეულობაში (ტოლობა ობიექტური თვალსაზრისით)"*[24].

15.2. ო. ბემ-ბავერკის და ფ. ვიზერის ეკონომიკური შეხედულებები

ვიდრე ავსტრიული სკოლის ლიდერის კ. მენგერის მოძღვრების გამგრძელებელთა - ო. ბემ-ბავერკის და ფ. ვიზერის მეცნიერული წვლილის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ ვთვლით მოვიტანოთ არა უდავო, თუმცა ამ სკოლის მეთაურისთვის მ. ბლაუგის მიუკერძოებელი გამოთქმა, რომელშიც ნათქვამია: „შეიძლება მნიშვნელოვნად მეტი საფუძველი ვიპოვოთ ჯევონსისა და ვალრასის მეტადრე გოსენთან დასაკავშირებლად, ვიდრე მენგერთან, და ერთადერთი საბაბი სტანდარტული ვერსიის სასარგებლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მენგერის სახელისკენ განუწყვეტლივ მოუწოდებდნენ მისი მოწაფეები - ბემ-ბავერკი და ვიზერი, რომელთა შორის თითოეული აღსავსეა გამბედაობით დაარწმუნოს კოლეგები იმაში, რომ ავსტრიული სკოლის ეკონომიკური თეორია არის განსაკუთრებული ხარისხის ხილი"[25].

ოიგენ ფონ ბემ-ბავერკი (1851-1914). თავადური გვარეულობისადმი კუთვნილება, ბავშვობიდან ფ. ვიზერთან მეგობრობა და მასთან ერთად სწავლა გერმანიის უნივერსიტეტებსა და ვენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ კ. მენგერის ეკონომიკური შეხედულებებით გატაცება (თუმცა მისი ლექციების მოსმენამ მათ არ მოუწიათ) - აი ო. ბემ-ბავერკის ბიოგრაფიული პორტრეტის ზოგიერთი საწყისი შტრიხები.

ამასთან, კ. მენგერის და ფ. ვიზერისგან განსხვავებით, ო. ბემ-ბავერკის პედაგოგიური საქმიანობა არ გამოირჩეოდა ხანგრძლივობით, თუმცა საკმაოდ პროდუქტიული იყო. სულ რაღაც ერთი ათწლეულის მანძილზე (1880-იდან-1889 წლამდე), როდესაც ვენის უნუვერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის პრივატ-დოცენტად (1880) და ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორად (1881-1889) მუშაობდა, ო. ბემ-ბავერკმა მოამზადა დისერტაცია თემაზე „უფლებები და დამოკიდებულებები სახალხომეურნეობრივი დოვლათის მოძღვრების თვალსაზრისით"(1881) და გამოსცა ხუთი წლის ინტერვალით წიგნის პირველი (1844) და მეორე (1889) ნაწილები შესაბამისად სახელწოდებებით „კაპიტალი და მოგება" და „კაპიტალის პოზიტიური თეორია", ხოლო მისი ნაწილების პუბლიკაციებს შორის მონაკვეთში - კიდევ ერთი ნაშრომი „ეკონომიკური დოვლათის ფასეულობის თეორიის საფუძვლები" (1886)[26]. და მისი მხოლოდ ერთ-ერთი მსხვილი ნაშრომი „მარქსისტული სისტემის დასრულებისთვის" დღის სინათლეზე გამოვიდა 1890 წელს. 1905 წლიდან იგი ვენის უნივერსიტეტის პროფესორია.

ბემ-ბავერკის სიცოცხლის მნიშვნელოვანი პერიოდი მოცულია ავსტრიის უმაღლესი სახელმწიფო ინსტანციებში სამსახურით: იგი ინიშნება ფინანსთა მინისტრად, უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად; იღებს პარლამენტის ზედა პალატის სამისდღეშიო წევრის სტატუსს.

ამ მეცნიერის, პრაქტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის სახელი ფართოდ არის ცნობილი მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი ავსტრიული სკოლის ცნობილი სამეულის შემადგენლობაში განაგრძობდა *„წარმოების ფაქტორებზე ფასწარმოქმნის პრობლემის გადაჭრის"* არც თუ უშედეგო „ძიებას" *„მათემატიკის გარეშე"* - ყურადღების კონცენტრირებით თავისი მასწავლებლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ იდეაზე - *განაპირა რიგის დოვლათის პირველი რიგის დოვლათად გადაქცევის დროის ფაქტორზე.* კ. მენგერისგან განსხვავებით, გამოკვლევის სფეროში მას არა მხოლოდ ინდივიდუალური გაცვლის კატეგორიები შეჰქონდა, არამედ ასევე მთლიანი ბაზრის კატეგორიაც, მათ შორის ისეთი რგოლებიც, როგორიცაა წარმოება და განაწილება.

ამასთან არ შეიძლება, ცხადია, უარვყოთ, რომ თავის გახმაურებულ „მოლოდინის თეორიაში", ო. ბემ-ბავერკი მთლიანად ეყრდნობა სუბიექტივიზმის ავსტრიული სკოლისთვის დამახასიათებელ პრინციპებს, *წამოაყენა რა ამ თეორიის ფარგლებში დებულება კაპიტალის სარგებლის* წარმომავლობის შესახებ, როგორც მოლოდინის პროცესზე, ე. ი. როდესაც „მომავალი დოვლათი" „ახლანდელ დოვლათად" გადაიქცევა.

ღირებულების თეორია

ხსენებულ „საფუძვლებში... ო. ბემ-ბავერკის მიერ „დაისვა ერთი მთავარი ამოცანა-დასაბუთდეს *„ნივთის ფასეულობის სიდიდის კანონი"*, და მის გადასაჭრელად აღნიშნულია არამათემატიკური „უმარტივესი ფორმულა" ავტორის შემდეგი განმარტებით: „ნივთის ფასეულობა იზომება ამ ნივთის ზღვრული სარგებლიანობის სიდიდით"[27]. აღნიშნული „უმარტივესი ფორმულის" შესაბამისად, მეცნიერის მოსაზრებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ *მატერიალური დოვლათის ფასეულობის სიდიდე განისაზღვრება კონკრეტული (ან ნაწილობრივი) მოთხოვნილების მნიშვნელობით, რომელსაც უკანასკნელი ადგილი უკავია მოთხოვნილების რიგში, რომელიც კმაყოფილდება მოცემული რიგის მატერიალური დოვლათის არსებული მარაგებით.* ამიტომ, *ფასეულობის საფუძველი,* დაასკვნის ო. ბემ-ბავერკი, *არის არა უდიდესი ან საშუალო, არამედ უმცირესი სარგებლიანობა,* რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტულ სამეურნეო პირობებში ეს ნივთი რაციონალურად იქნეს მოხმარებული და „ჩვენ ფასეულობის საზომად ვიღებთ უმცირეს სარგებლიანობას, რომლის მისაღებად, სამეურნეო თვალსაზრისით, კიდევ უფრო ხელსაყრელად წარმოგვიდგენია მოვიხმაროთ მოცემული საგანი"[28].

შემდეგ მოტანილია მაგალითი, რომელიც სიტყვასიტყვით ქრესტომათიური გახდა. მასში საუბარია მარტოხელა ახალმოსახლეზე, რომლის ქოხი იზოლირებულია დანარჩენი სამყაროსაგან ტყით, და იმის შესახებ, *თუ ეს ახალმოსახლე როგორ ანგარიშობს მთელი მინდვრიდან აღებული ხუთი ტომარა პურის მარაგს.* ახალმოსახლის ანგარიში ასეთია: პირველი ტომარა მისთვის აუცილებელია „შიმშილით რომ არ მოკვდეს შემდეგ მკამდე"; მეორე - რომ „იმდენად გაიუმჯობესოს თავისი კვება, რომ შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და ძალები"; მესამე - რომ „პურის საკვებს დაუმატოს რამდენიმე ხორციანი საკვები... იგი გამიზნულია ფრინველის გამოკვებაზე"; მეოთხე -„უნდა წავიდეს...პურის არყის დამზადებაზე"; მეხუთე - რომ „იგი მოხმარდეს რამდენიმე ფრთა თუთიყუშის კვებას, რომელთა ტარტარის მოსმენა მას მოსწონს"[29].

ო. ბემ-ბავერკის რეზიუმე ამ მაგალითის მიხედვით ისეთივეა, როგორიც მისი მასწავლებლის კ. მენგერისა, - რაც უფრო მეტი ერთგვაროვანი მატერიალური დოვლათი არსებობს, მით ნაკლებია „სხვა თანაბარ პირობებში" მათი ცალკეული ერთეულის ფასეულობა, და პირიქით. მაგრამ ამასთან მნიშვნელოვანია „საფუძვლების..." ავტორის დაზუსტება იმის შესახებ, რომ ხუთი ტომრის ფლობა არ ნიშნავს თანაბარმნიშვნელოვანი მთლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რამდენადაც „თუთიყუშის ყოლის სიამოვნება + პურის არყის მოხმარება + ხორციანი საკვების გამოყენება + ჯანმრთელობის შენარჩუნება + სიცოცხლის შენარჩუნება - თანხა, რომელიც არა ხუთჯერ, არამედ უსასრულოდ მეტია, თუთიყუშის ყოლის სიამოვნებაზე"[30]. გარდა ამისა, აქ, ალბათ, დროულია მეცნიერის კიდევ ერთი განმაზოგადებელი ფრაზა: „უბრალო ადამიანი მოძღვრებას ზღვრული სარგებლობის შესახებ პრაქტიკაში გაცილებით ადრე იყენებდა, ვიდრე ამ მოძღვრებას პოლიტიკური ეკონომია აყალიბებდა"[31].

კ. მენგერის მსგავსად, ო. ბემ-ბავერკი საქონლის ფასს ახასიათებს, როგორც მატერიალური დოვლათის გაცვლის მონანილეთა სუბიექტური შეფასებების შედეგს, ე.ი. იგი დარწმუნებულია, რომ ფასეულობა და ფასები წარმოიშობიან მზა პროდუქტების სუბიექტურ შეფასებათა მეშვეობით მათი მომხმარებლების მიერ. ამასთან, მოთხოვნა ამ პროდუქტებზე, მისი მოსაზრებით, განპირობებულია ასევე ამ პროდუქტების სუბიექტური შეფასებებით. იმავდროულად, საკუთარი პოზიციის უკომპრომისობის ხაზგასმით, „საფუძვლების..." ავტორი აცხადებს: „ფასეულობისა და ფასის დუალისტური ახსნა ორი განსხვავებული „სარგებლის" და „წარმოების ხარჯების" პრინციპით წარმოდგენილია უსარგებლოდაც და არადამაკმაყოფი-ლებლადაც"[32].

მოლოდინის თეორია

„*მოლოდინის თეორიის*" ცენტრალური იდეა - კაპიტალზე მოგების (პროცენტის) წარმოშობა - მოკლედ გადმოცემულ იქნა ო. ბემ-ბავერკის მიერ ჯერ კიდევ „საფუძვლებში...". იქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომლის განმავლობაშიც წარმოების საშუალებები, ე. ი. უფრო შორეული რიგის მატერიალური დოვლათი, მის პროდუქტად გადაიქცევა, *წარმოიშობა განსხვავება ამ საშუალებათა და პროდუქტის ფასეულობებში და რომ „ამ განსხვავების სიდიდე ფასეულობებში ხან მეტია, ხან ნაკლები დროის პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით...".* აქედან მეცნიერის მიერ კეთდება მთავარი დასკვნა: „ეს ის გან-

სხვავებაა და წარმოადგენს იმ ნაკეცს, რომელშიც კაპიტალზე მოგება იმალება"[33].

მაგრამ ო. ბემ-ბავერკის მთლიანი „მოლოდინის თეორია", რომელიც შემუ-შავებულია წიგნში „კაპიტალის პოზიტიური თეორია", მიუხედავად თავისი სუბიექტური საფუძვლისა, ცოტა „მკვეთრ" დებულებებს როდი მოიცავს. მათი ზეგავლენით, როგორც ჯ. ჰიკსმა თავის წიგნში - „ღირებულება და კაპიტალი" გამოხატა, ყველა, „ვინც კი მუშაობს კაპიტალის შესწავლაზე, ბემ-ბავერკის თეორიის მსხვერპლი ხდება", მაგრამ შემდგომ „მკვლევართა უმეტესობა ბოლოს და ბოლოს უარს ამბობს ამ თეორიაზე, მაშინაც კი თუ მას ვერაფრით ცვლის". ეს თეორია იზიდავს მკითხველს კაპიტალზე სარგებლის წარმოშობის ფორმალურ იდეაზე უარისთქმით, უკანასკნელის მწარმოებლურობის წყალობით. მისი ავტორის ვერსიით, *მუშები, კაპიტალისტებისგან განსხვავებით, სრულად ვერ აფასებენ თავიანთ მომავალს* და არ ცდილობენ დაელოდონ თავიანთი შრომის ნაყოფს. კაპიტალისტები კი, პირიქით, უპირატესობას ანიჭებენ *წარმოების* „შემოსავლელ", და არა „პირდაპირ მეთოდებს", რომელიც შედარებით დიდ დროს მოითხოვს, რომლის დროსაც მთლიანი პროდუქტის მატება წარმოების „პირველადი" ფაქტორების ზეგავლენით მცირდება. ამიტომ, ბემ-ბავერკის მიხედვით, რაც მეტად „კაპიტალიზებულია" ეკონომიკა, ე.ი. რაც უფრო მაღალია „შემოსავლელობის" ხარისხი, მით დაბალია პროდუქციის მატების ნორმა და შესაბამისად სარგებლის ნორმა, რამდენადაც მისი განმარტება მის მიერ განიხილება, როგორც მოხმარების საგნებზე შრომის გაცვლის შედეგი.

ამრიგად, ო. ბემ-ბავერკი, ნ. სენიორის „თავშეკავების თეორიის" უარყოფით, კ. მარქსის მსგავსად, თითქოსდა აღიარებს კაპიტალის (როგორც წარმოებული წარმოების საშუალებების) მიერ თავისი ფასეულობის პროდუქტზე გადატანის პროცესში „ზედმეტი ფასეულობის" წარმოშობას, მაგრამ მისგან განსხვავებით მიმართავს მეორეს, თუმცა ასევე „ღირებულების თვითზრდის" მოჩვენებითი მიზეზით, ხოლო სახელდობრ დროში, რომლის განმავლობაში კაპიტალი მიმოიქცევა. უფრო მეტიც, კ. მარქსისგან განსხვავებით, ო. ბემ-ბავერკი ამტკიცებს, რომ კაპიტალზე სარგებელი ზოგადეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც წარმოიშობა არა მხოლოდ კაპიტალიზმის დროს, მაგრამ იქ და მაშინ, სადაც და, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე და მომავალი მოხმარების საქონელთა გაცვლას.

ამრიგად, ბემ-ბავერკის მიხედვით, განსხვავებით კ. მარქსისგან, არა „სამუშაო ძალის ღირებულების" ფულადი განუსაზღვრელობა ქმნის „ზედმეტ ღირებულებას", ამასთან კაპიტალის მონანილოებით, არამედ, პირიქით, სპეციფიკური რესურსი „კაპიტალი",

რომელიც მონანილეობს წარმოების პროცესში დროში, ზუსტ ფულად გაზომვას არ ექვემდებარება, და *ამიტომ კაპიტალის სიდიდისგან და წარმოების პროცესების ხანგრძლივობისგან დამოკიდებულებით ყალიბდება კაპიტალზე მეტი ან ნაკლები სარგებელი, როგორც იმისი დამსახურება, ვინც საკუთარ თავს მსგავსი „მოლოდინის" სააშუალებას აძლევს.*

თავისი „ვერსიის" დასამტკიცებლად, ო. ბემ-ბავერკი განიხილავს პროდუქციის გამოშვების სიტუაციას შრომისა და საბრუნავი კაპიტალის (მხედველობაში ჰქონდა მუშების კვების, ტანსაცმლის და მოხმარების სხვა საგნები) ფიქსირებული პარამეტრების დროს და „წარმოების პერიოდის" (რამდენადაც წარმოების ფონდების რეალური სტრუქტურა არაერთნაირია) საშუალო ხანგრძლივობის დროს. მაგრამ ამასთან, ცხადია არა მხოლოდ *კვლევის სტატიკური მიდგომა,* არამედ ასევე *წარმოების საშუალო პერიოდის გაგრძელების გარდუვალობის მცდარი დაშვება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პერმანენტული დანერგვის შედეგად, აქედან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგებით.*

მიუხედავად ამისა, ო. ბემ-ბავერკს სჯერა სუბიექტივიზმის, აცხადებს რა სამი დამოუკიდებელი „მიზეზის" ან „საფუძვლის" არსებობის შესახებ, რომლებიც ადამიანებს შთაუნერგავს მზადყოფნა გამოხატონ დოვლათის შეძენაზე სწორედ დღეს, და არა ხვალ, რის გამოც საბოლოოდ იქმნება კიდევაც კაპიტალის სარგებელი. პირველს იგი აკავშირებს საზოგადოებაში ყოველთვის ნაკლებუზრუნველყოფილ ადამიანებთან, რომელთა შორის ერთნი იმედოვნებენ გამდიდრებას, ხოლო სხვები არა, მაგრამ მთლიანად ერთნიც და მეორენიც, მომავალ დოვლათთან შედარებით, დღევანდელ დოვლათს ამჯობინებენ. მეორე მიზეზი ვრცელდება საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც, მისი შეხედულებით, არასაკმარისი ნებისყოფა, წარმოსახვა და რწმენა გააჩნია, რომ ახლანდელ დოვლათს, მომავალი დოვლათი ამჯობინოს. და მესამე მიზეზის თანახმად, ადამიანებისთვის დამახასიათებელია ლტოლვა „შემოვლითი" წარმოებისკენ დღეს, ვიდრე „უშუალო" წარმოებისკენ მომავალში, იმ იმედით რომ მეტი პროდუქტი მიიღოს (შესაბამისად სარგებელიც) ახლა, მით უმეტეს რომ, მისი აზრით, უკუგება წარმოების შემდგომ პერიოდებში თითქოსდა შემცირდება.

ო. ბემ-ბავერკის მოლოდინის თეორიის ერთ-ერთ კრიტიკულ გააზრებას დამსახურებულად უკავშირებენ ფ. ჰაიეკის სახელს, რომელმაც თავისი თანამემამულისგან განსხვავებით დაამტკიცა, რომ ეკონომიკური ციკლის მიმდინარეობაში, აღმავლობის ფაზაში წარმოების პერიოდს შემცირების ტენდენცია გააჩნია, ხოლო დაცემის ფაზაში - გადიდების ტენდენცია. ეკონომიკურ ლიტერატურაში მსგავსი სახის ეფექტს ჩვეულებრივ „გარმონის ეფექტს"

უწოდებენ, როგორც სახელწოდება ნ. კალდორმა შემოგვთავაზა, თუმცა თვით ჰაიეკი მას „რიკარდოს ეფექტს“ უწოდებდა, მიუთითებდა რა უკანასკნელის დამოწმებაზე ფულადი გადასახელის საერთო ზრდაზე, როგორც შრომის მანქანებით შეცვლის შედეგს.

ფრიდრიხ ფონ ვიზერი (1851-1926). ავსტრიული სკოლის არანაკლებ სახელოვანი წარმომადგენელი, კ. მენგერის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ბარონი ფ. ვიზერი, საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ, თითქმის მთლიანად დაკავდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით. სახელმწიფო სამსახურმა მის ბიოგრაფიაში დროის უმნიშვნელო მონაკვეთი დაიკავა, როდესაც 1917-1918 წლებში მას მოუწია ავსტრია-უნგრეთის ვაჭრობის (კომერციის) მინისტრად ყოფნა. ისე, როგორც ო. ბემ-ბავერკს, მასაც ნილად ხვდა პატივი სამიდღემშიოდ ყოფილიყო პარლამენტის ზედა პალატის წევრი.

ფ. ვიზერი სრულყოფდა და პოპულარიზაციას უწევდა ავსტრიული სკოლის მოძღვრებას ყველა თავის პუბლიკაციებში, შემდეგის ჩათვლით: „ეკონომიკური ფასეულობის წარმოშობისა და ძირითადი ეკონომიკური კანონების შესახებ“ (1884), „ბუნებრივი ფასეულობა“ (1899) და „საზოგადოებრივი მეურნეობის თეორია“(1914). მეცნიერის შესამჩნევ დამსახურებებს ეკონომიკური მეცნიერების ზღურბლზე (დასაწყისში) უნდა მივაკუთვნოთ მეცნიერულ ბრუნვაში და შესაბამისად სკოლის საგანძურში დამკვიდრება ტერმინების: *„გოსენის კანონები“*, *„ზღვრული სარგებლიანობა“*, *„დაკისრება“*. ყურადსაღებია ასევე, რომ *ფასეულობის, ფასის, წარმოების ხარჯების და მოგების სუბიექტურ აღქმას, პრიორიტეტულ დამოკიდებულებას მიკროეკონომიკური ანალიზისადმი, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მათემატიკური მეთოდების მიუღებლობას და მენგერისეული მოძღვრების* სხვა თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემებს ფ. ვიზერი ცხოვრებაში ნერგავდა საპროფესორო კათედრიდან 42 წლის მანძილზე (1884-1926): თავდაპირველად (1884-1902) პრაღაში, ხოლო შემდგომში (1903-1926) მისთვის კ. მენგერის მიერ მემკვიდრეობით დატოვებულ კათედრაზე ვენაში.

თეორიული პოზიციების თავისებურებები

ფ. ვიზერის შემოქმედებით მიღწევებთან გაცნობისას, ზოგადი დებულებების, პოზიციების და მსჯელობების გამეორებათა თავიდან ასაცილებლად მის კოლეგებთან - თანამოაზრეებთან ავსტრიულ სკოლაში, აქ ყურადღება მივაქციოთ იმათზე, რომლებიც შეიცავენ არათანმხვედრ იდეებს ან მხოლოდ მასთან გვხვდებიან.

მსგავსი მომენტების რიგში მართლზომიერია გამოვყოთ ფ. ვიზერის მიერ შემოთავაზებული *ჯამური სარგებლიანობის განსაზღვრის წესი*. როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, ო. ბემ-ბავერკი ხუთი ტომარა პურის მაგალითში, მათი ჯამური სარგებლიანობის შესახებ ამბობს, რომ იგი „არა ხუთჯერ, არამედ უსასრულოდ მეტი სიამოვნებაა თუთიყუშის ყოლა". ამით ეს მეცნიერი გვამცნობს, რომ ხუთიდან თითოეული ტომარა სხვადასხვა ზღვრული სარგებლიანობისაა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ო. ბემ-ბავერკი ჯამურ სარგებლიანობას ახასიათებს ე.წ. *ადიტივური ხერხის* მეშვეობით.

ფ. ვიზერის მოსაზრებით, ეს ხერხი მიუღებელია. იგი გვთავაზობს დოვლათის ზღვრული სარგებლიანობის უბრალოდ გამრავლებას ერთგვაროვანი დოვლათის რაოდენობაზე, რასაც *ჯამური სარგებლიანობის განსაზღვრის მულტიპლიკაციურ ხერხს* უწოდებენ. მისი არგუმენტაცია დასახელებული ხერხის სასარგებლოდ ასეთია: „...სარგებლის გაანგარიშების წესი ამბობს, რომ მარაგის ყველა ერთეული (ნაწილი, ცალი) ფასდება ზღვრული სარგებლიანობის თანაზომადად. ამ კანონს *ჩვენ ზღვრული სარგებლიანობის კანონს*, ანუ, კიდევ უფრო მოკლედ, *ზღვრულ კანონს ვუწოდებთ*. ზღვრული კანონიდან გამომდინარეობს შედეგი, რომ ყოველი დაყოფადი მარაგი ეკონომიკურად ფასდება ზღვრული სარგებლიანობის, მარაგის ერთეულზე (ნაწილის, ცალის) გამრავლების გზით... ეს არა ახალი კანონი, არამედ მხოლოდ ზღვრული კანონის სხვა ფორმულირებაა" [34].

ფ. ვიზერის შემოქმედებაში კიდევ ერთი არაორდინარული მომენტია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემატიკის გამოკვლევა მისივე „შემოსავლის დაკისრების თეორიის" ფარგლებში. ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით მის მიერ მთავარი ყურადღება ექცევა კატეგორიების - „კერძო საკუთრება" და „მეურნეობის კერძო ორგანიზაცია" - დახასიათებას. ფ. ვიზერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ *კერძო საკუთრების არსი განისაზღვრება მეურნეობრიობის ლოგიკით*. ამასთან, ასეთი მსჯელობის სასარგებლოდ ასახელებენ: სამეურნეო დოვლათის ხარჯვისადმი ყაირათიან დამოკიდებულებას, რათა შეინარჩუნონ თავიანთი საკუთრება სხვა პრეტენდენტებისგან; „ჩემისა" და „შენის" შესახებ საკითხის მნიშვნელობას; სამართლებრივ გარანტიებს საკუთრების მეურნეობრივი გამოყენებისთვის.

ფ. ვიზერი აღნიშნავს, რომ *დაკისრების ამოცანა ყოველთვის მხოლოდ იმაზე დაიყვანება, რომ მრავალი მიზეზიდან გამოიყოს გადამწყვეტი, დასახული მიზნის თვალსაზრისით და ამიტომ პრაქტიკულად მნიშვნელოვნები*. კერძოდ, ნარმოებისადმი დამოკიდებულებით, აღნიშნავს იგი, დაკისრების გამოყენება მისი მიზნების

მიღწევის გარანტიას იძლევა. და შემდგომ მოდის დასკვნა: „*როგორც შემოსავლის ფაქტორების მიხედვით განაწილების აქტი, დაკისრება სხვა არაფერია, თუ არა სარგებლიანობის გაანგარიშების აქტი.* აქამდე ჩვენ ვიკვლევდით სარგებლიანობის გაანგარიშებას...გამარტივებული დაშვების დროს...*დაკისრების თეორიაში ჩვენ ვიკვლევთ სარგებლიანობის გაანგარიშების კანონებს, უფრო რთული შემთხვევისთვის, როდესაც წარმოების საშუალებები თავის ფუნქციებს ასრულებენ ურთიერთზემოქმედებაში*“[35].

კერძო საკუთრებას ფ. ვიზერი იხილავს *მეურნეობის კერძო ორგანიზაციის* პრობლემასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. მისი აზრით, *კერძო სამეურნეო წესრიგი- მსხვილი საზოგადოებრივი ეკონომიკური კავშირის ერთადერთი ისტორიულად გამართლებული ფორმაა, რომელმაც საუკუნეობრივი გამოცდილებით დაადასტურა მისი წყალობით უფრო წარმატებული საზოგადოებრივი ურთიერთზემოქმედება, ვიდრე ბრძანების მიხედვით საყოველთაო დაქვემდებარებამ.*

მხოლოდ კერძო ეკონომიკის მართლზომიერების აღიარებით, იგი ვარაუდობს, რომ საზოგადოებამ არ უნდა უარყოს კერძო მფლობელობის უფლებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში „ძალიან მალე სახელმწიფო წარმოების ყველა საშუალებათა ერთადერთი მფლობელი გახდებოდა, თუმცა, რაც არანაირ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს, რამდენადაც მას არ შეუძლია მართოს წარმოების ეს საშუალებები ისევე ეფექტიანად, როგორც ამას კერძო პირები აკეთებენ“[36]. ამასთან, მეცნიერი აკრიტიკებს კერძო საკუთრების მოწინააღმდეგეებს.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ ფ. ვიზერის კრიტიკული გამონათქვამები, რომლებიც ცხადია, გამოითქვა არა იმდენად კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მისამართით, რამდენადაც იმათი მისამართით, ვისთვისაც მიუღებელია მეურნეობის კერძო ორგანიზაცია. ერთ-ერთი მათგანი ასე ჟღერს: კ. მარქსს არასწორად ესმოდა მეურნეობრიობის აზრი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურდა მისი გამოყვანა ერთი, მხოლოდ შრომისაგან, არამედ ასევე, იმიტომაც, რომ იგი ვერ ხედავდა ურთიერთკავშირს, რომელიც არსებობდა მეურნეობრიობის აზრსა და კაპიტალის ძალაუფლებას შორის, უკანასკნელის წარმომავლობის გამო[37].

მეორე - ეს არსებითად რეაქციაა ფ. ენგელსის მიერ „ბუნებრივი კანონის“ შესახებ განმარტებისა, რომელიც (კანონი) ემყარება „იმაზე, რომ მონაწილეები აქ შეუგნებლად მოქმედებენ“. იგი შემდეგნაირად ჟღერს: „და არსებული წესრიგის მტრებმაც კი უნდა იცოდნენ, რომ ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელიც ეკონომიკაში აღმოცენდება, შეუძლია გაიზარდოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ეკონომიკას ეხმარება მისი ლოგიკის რეალიზებაში“[38].

რაც შეეხება „სოციალისტურ ლოზუნგებს" იმის შესახებ, რომ მიწამ და კაპიტალმა შრომის დამხმარე საშუალებათა სახით შეწყვიტეს კერძო საკუთრებაში ყოფნა და ეკუთვნიან „საზოგადოებრივი მასშტაბით ორგანიზებულ მუშებს", და რომ ამ ფაქტორების მიერ მოტანილი შემოსავლის წილი, ხელში არ ჩაუვარდეს „არამუშებს პირადი შემოსავლის სახით", მაინც საჭირო იქნება, ამტკიცებს ვიზერი, რომ ეს წილები ზუსტად გაანგარიშდეს სოციალისტურ ეკონომიკაშიც, თუკი ეს ეკონომიკა გეგმაზომიერად იქნება რეგულირებული". იგი ასევე დარწმუნებულია, რომ კერძო საკუთრების თეორიულ დაცვას „საეჭვოა ნარმატების რაიმე შანსი ჰქონოდა", თუკი დადასტურდებოდა დებულება იმის შესახებ, რომ მთელი შემოსავალი იქმნება შრომით, ხოლო „ის, რომ ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერება მაინც არ უთმობდა ამ პრობლემას საკმარის ყურადღებას, იმით აიხსნება, რომ ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების უდიდესი თეორეტიკოსები, კლასიკოსები შრომითი თეორიისკენ იხრებოდნენ"[3].

15.3. უ. ჯევონსისა და ლ. ვალრასის მარჟინალური კონცეფციები

უილიამ სტენლი ჯევონსი (1835-1882) ლონდონის უნივერსიტეტში ქიმიას და მათემატიკას სწავლობდა, მაგრამ მათი დასრულების შემდეგ, პოლიტიკურმა ეკონომიამ გაიტაცა. 1863 წელს მიიღეს მანჩესტერის კოლეჯში პოლიტიკური ეკონომიის წასაკითხად, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოსცა თავისი მთავარი ნაშრომები, მათ შორის „პოლიტიკური ეკონომიის თეორია"(1871) და „მეცნიერების პრინციპები" (1874). თავისი ხანმოკლე ცხოვრების უკანასკნელი წლები (1876-იდან 1880 წლამდე) მუშაობდა პოლიტიკური ეკონომიის პროფესორის თანამდებობაზე ლონდონის უნივერსიტეტში.

მეთოდოლოგიური და თეორიული პოზიციების თავისებურებები

მარჟინალური იდეების სუბიექტივიზმი უ. ჯევონსის ნაშრომებში ცხადია შემდეგიდან.

ჯერ-ერთი, მინიმალური ძალისხმევით *მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება*, მისი შეხედულებით, განსაკუთრებული ეკონომიკური ამოცანაა, რომელიც დაკავშირებული არაა პოლიტიკურ, ზნეობრივ და სხვა ფაქტორებთან. ამით პრიორიტეტული მნიშვნელობა ეძლეოდა სარგებლიანობის პრობლემატიკას, ე.ი.

მოხმარებას და მოთხოვნას, რის შესახებაც მოწმობს, კერძოდ, *ეკონომიკური მეცნიერების მთავარი ამოცანის* მისეული განმარტება: „მოცემულია მოსახლეობის განსაზღვრული დონე სხვადასხვა მოთხოვნილებით და სანარმოო შესაძლებლობებით, რომელსაც მიწის და სხვა მინერალური რესურსის განსაზღვრული რაოდენობა გააჩნია; საჭიროა მოვძებნოთ მისი შრომის გამოყენების საშუალება, რომელიც წარმოებულის სარგებლიანობის მაქსიმიზებას მოახდენს“ [40].

მეორე, ფუნქციონალური დამოკიდებულების მიხედვით, სარგებლიანობისა და ფასეულობის განხილვისას, უ. ჯევონსი თვლიდა, რომ საქონლის ფასი ფუნქციონალურად დამოკიდებულია ზღვრული სარგებლიანობისაგან, ხოლო უკანასკნელი, თავის მხრივ, დამოკიდებულია საქონელთა ფასებზე, რომლებიც განპირობებულია წარმოების დანახარჯებით. ეს ნიშნავს, რომ *მას არ მიულია დანახარჯების და ზღვრული სარგებლიანობის დამოუკიდებელი მნიშვნელობა*, როგორც ეს შემდგომ აღმოაჩინეს ა. მარშალმა და ვ. პარეტომ.

და მესამე, უ. ჯევონსი იზიარებდა „კლასიკოსების“ დებულებას სრულყოფილი კონკურენციის შესახებ, რომელიც გამყიდველებს და მყიდველებს შესაძლობას აძლევდა ხელმისანვდომობა ჰქონოდათ ერთმანეთისადმი და ფლობდნენ სრულ ურთიერთინფორმაციას. აქედან იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბაზრის სუბიექტები უზრუნველყოფენ *ადამიანის მიერ საქონელთა ისეთი კომბინაციის მიღებას, რომელიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას*. ამის დასტურია მის მიერ ზღვრული ანალიზის („გოსენის კანონების“) პრინციპების გაგება და საფუძველი იგი მარჟინალიზმის ერთ-ერთ ფუძემდელად ჩავთვალოთ.

XIX საუკუნის ბოლომდე უ. ჯევონსის ნაკლები პოპულარობა (ისე როგორც ლ. ვალრასისა) ძირითადად გამოწვეული იყო, *თვითგამოხატვის მათემატიკური ფორმით*, რომელიც ჯერ კიდევ არ აღქმულა მკითხველთა მიერ, რომელთაც არ სურთ თითქოსდა ინერციით იპოვონ პასუხები სოციალური პრობლემატიკის მიხედვით მათემატიკურ განტოლებებში და მათემატიკის სხვა საშუალებებში. ამასთან, არც ერთი და არც მეორე (ცხადია კ. მენგერი) არ „შეჭრილან“ წარმოების სფეროში მარჟინალიზმის მათემატიკური საშუალებების დახმარებით, ამასთან არც ერთ მათგანს არ აუგია მოთხოვნის მრუდები, არც მიწოდების მრუდები, უ. ჯევონსი ამასთან სხვებზე ახლოს იყო, შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომელსაც მას წარმოების ხარჯების მრუდის აგება აძლევდა.

უ. ჯევონსი იმ მეცნიერთა რიცხვში აღმოჩნდა, რომლებიც ინგლისელი ფილოსოფოსის იერემია ბენთამის უტილიტარისტული

იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რომლებისადმი ინტერესიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებშიც აღორძინდა. იგი ვარაუდობდა, რომ მისი (ბენთამის) რწმენა დიდი სიამოვნებისა და ტანჯვის გაანგარიშებების შესახებ, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ადამიანისეული ქცევისადმი ეკონომიკური მიდგომის გასააზრებლად. ამიტომ წარმოსადგენია, რომ უ. ჯევონსის გამონათქვამები იმის შესახებ, რომ დ. რიკარდომ „ეკონომიკური მეცნიერების მატარებელი მცდარ გზაზე გადაიყვანა", ბენთამისეული რეაქცია აღმოჩნდა თავისი თანამემამულის კლასობრივი პოზიციისადმი. გარდა ამისა, მისი მტკიცება - „ყველა საქონელი გაცვლის შედეგად ისეთნაირად ნაწილდება, რომ სარგებლობის მაქსიმუმი მოიტანოს" - თითქმის ეხმიანება ი. ბენთამის ძირითად პოსტულატს: „ბუნებამ კაცობრიობა ორი უმაღლესი მბრძანებლის, ტანჯვისა და *სიამოვნების* მართვის ქვეშ დააყენა. მათ, ერთ-ერთს მიცემული აქვს რწმუნება განსაზღვროს, რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ, და მივუთითოთ, თუ რა უნდა გავცეთ ჩვენ...ისინი გვმართავენ ჩვენ ყველაფერში, რასაც კი ჩვენ ვაკეთებთ, რასაც ჩვენ ვამბობთ, რას ვქრობთ ჩვენ"[4].

მარი ესპრიტ ლეონ ვალრასმა (1834-1910) ინტერესი ეკონომიკური თეორიისადმი მამის წყალობით გამოავლინა, რომელმაც მისი ყურადღება ო. კურნოს ნაშრომებს მიაპყრო. ამაშია ასევე, მისთვის საინტერესო პოლიტიკურ ეკონომიაში მათემატიკური „ენის" საშუალებათა ასახვის მიზეზი (ლ. ვალრასის საბაზო განათლება მათემატიკა იყო).

1870 წელს მან მიიღო წინადადება შვეიცარიიდან ახლადგახსნილ ლოზანის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე სამუშაოდ. რამდენიმე წლის შემდეგ, 1874 წელს გამოვიდა ლ. ვალრასის მთავარი ნაშრომი „წმინდა პოლიტიკური ეკონომიის ელემენტები", რომელიც საშუალებას მისცემს ისიც მიაკუთვნონ პირველი ტალღის მარჟინალისტებს.

ამასთან ერთად, ლ. ვალრასი არ შეიზღუდა ზღვრული სარგებლიანობის დახასიათებით (თვლიდა რა მას საქონლის ფასეულობის საფუძვლად), ცნებით „მოთხოვნის ფუნქცია" და სხვა ცნებების ფორმულირებით. მან პირველმა სცადა მათემატიკური მოდელის გამოყენება ეკონომიკური სისტემის წონასწორობის არსებობის პრობლემათა გამოსავლენად და ამ სისტემისთვის სტაბილურობის მისაცემად. მაგრამ ო. კურნოს, უ. ჯევონსის, ა. მარშალის და სხვათა საბაზრო წონასწორობის მოდელებისგან განსხვავებით, ლ. ვალრასის მოდელი ახასიათებს სიმეტრიული ბაზრების არა კერძო, არამედ ზოგად ეკონომიკურ წონასწორობას. ამიტომ ლ. ვალრასი სამართლიანად ითვლება *თანამედროვე მაკროეკონო-*

მიკური ანალიზის მოდელირების ფუძემდებლად. გარდა ამისა, თანამოაზრეთა და მისი მოძღვრების გამგრძელებელთა არსებობამ, ლ. ვალრასის სახელი მარჟინალიზმის ლოზანის სკოლის ფუძემდებლად წარმოაჩინა.

მ. ბლაუგმა - ეკონომიკური აზრის ინგლისელმა მკვლევარმა - *ყურადღება იმას მიაქცია, რომ „პოლიტიკური ეკონომია უპირატესად ინგლისურენოვანი რჩებოდა 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში“. მაგრამ ვალრასის „წმინდა ეკონომიკური თეორიის ელემენტები, - წერს იგი, - პირველად გადაითარგმნა ინგლისურ ენაზე* 1954 წელს, რამაც ხელი ვერ შეუშალა ლ. ვალრასს სალაპარაკოდ გამხდარიყო ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურაში აქამდე დიდი ხნის განმავლობაში“[42].

მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი

ლ. ვალრასის მიერ შემუშავებული *ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის მოდელი* ასახავს მზა პროდუქციის ბაზრებისა და ნარმოების ფაქტორთა ბაზრების ურთიერთ-კავშირს მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის პირობებში სრულყოფილი კონკურენციით, რომელიც ინვევს მრავალი ბაზრის ერთადერთ წონასწორობას. იგი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომ ფასების განსაზღვრა ბაზრისთვის წარმოებული პროდუქტებისთვის და წარმოების ფაქტორებისთვის შეიძლება მხოლოდ ერთდროული იყოს და არა რიგითობითი ამ ან სხვა ნესით, რომ ნაწილობრივი *წონასწორობა ბაზრების განსაზღვრულ რაოდენობაში ზოგადი წონასწორობის გარანტიას არ იძლევა მთელი ეკონომიკისთვის ბაზრების მოცემულ რაოდენობასთან ერთად.*

ლ. ვალრასის მოდელის განტოლებებში დაშვებულ გამარტივებათი რიცხვში ადგილი ჰქონდა: ზღვრული სარგებლიანობის მოცემულ ფუნქციებს, რაც ნიშნავდა საქონელისა და მომსახურების მოცემულ თავდაპირველ რაოდენობას, რომლებიც ბაზარზე რეალიზდებიან; ზღვრული მწარმოებლურობის მოცემულ ფუნქციებს, რაც ნიშნავდა იდენტური დანახარჯების დაშვებას, ე. ი. მათ მუდმივ უკუგებას; ფასის ცვლილებები პირდაპირ დამოკიდებულია მიწოდებასთან შედარებით მოთხოვნის სიჭარბეზე და სხვ.

შესაძლოა, ვალრასისეული მოდელირების მხოლოდ ამ სპეციფიკურობის და, ასევე სხვა ავტორების სხვა მოდელების გათვალისწინებით, საკმაოდ ცნობილმა მ. ფრიდმანმა განაცხადა: „მოდელი ემსახურება ნახევარსიმართლის ლოგიკურ განსახიერებას: „არაფერი ახალი არ არის ამ ცის ქვეშ“; მისი განხორციელების წესებს არ შეუძლიათ ამდენადვე მნიშვნელოვანი ნახევარსიმართლის უგულებელყოფა: „ისტორია არასოდეს არ მეორდება“[43]. უკეთესად

როდი შეაფასა ლ. ვალრასის „სისტემის სურათი“ ჯ. ჰიკსმაც, შემდეგის აღნიშვნით: „ცხადია, რომ *მრავალმა ეკონომისტმა (შესაძლოა მათმა უმეტესობამაც, რომლებიც სერიოზულად მუშაობდნენ ლ. ვალრასის ნაშრომების შესწავლაზე) ბოლოს და ბოლოს იგრძნეს მისი მიდგომის გარკვეული უნაყოფობა.* მართლაც, შეიძლება ეთქვათ მათ, „ვალრასმა ნარმოგვიდგინა ჩვენ სისტემის სურათი მთლიანად; მაგრამ ეს ერთობ ზოგადი სისტემაა, და საეჭვოა იგი რაიმეს მოგვცემს, გარდა იმაში რწმენისა, რომ ყველაფერი როგორღაც თვითონ შეიქმნება. მე ვვარაუდობ, - განაგრძობს იგი, - ვალრასისეული სისტემის ამ უნაყოფობის მიზეზი დიდწილად იმაში იმალება, რომ ის ვერ მივიდა ზოგადი წონასწორობის მისი სისტემის კანონების ცვლილების ფორმირებამდე. მას შეეძლო პირობების ჩამოყალიბება, რომლებიც შეეხება ფასებს, რომლებიც დანესებულია მოცემული რესურსების და მოცემულ მჯობინებათა გათვალისწინებით; მაგრამ მან არ ახსნა, თუ რა მოხდებოდა, თუკი გემოვნებები და რესურსები შეიცვლება“[44].

სხვათა შორის ლ. ვალრასის წვლილი ეკონომიკური აზრის ისტორიაში არამართლ-ზომიერია დაკნინდეს ეკონომიკური მეცნიერების დღევანდელ მიღწევათა სიმაღლეებიდან. როგორც ოდესღაც ი. შუმპეტერი ამბობდა, „არც ერთ ეკონომისტს არ შეუძლია თავისი განათლება დასრულებულად ჩათვალოს, სანამ იგი მის წიგნს (ლ. ვალრასის წიგნი-ი.ი.) ბოლომდე არ წაიკითხავს“[45]. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ „ვალრასისადმი ჩვენ დავალებულები ვართ ეკონომიკური სისტემის კონცეფციებით და თეორიული აპარატით, რომლითაც, ჩვენი ეკონომიკის ისტორიაში პირველად ეფექტიანად არის მოცული რაოდენობრივი ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდებულებათა წმინდა ლოგიკა“[46]. ლ. ვალრასის და მისი მიმდევრის, ვ. პარეტოს შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა ასევე ვ. ლეონტიევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ: „შეხედულებათა სისტემის ცენტრალური იდეამ, რომელიც დღეს კლასიკურ ეკონომიკურ მეცნიერებად ინოდება, ორ მათემატიკოს-ინჟინერთა, ლეონ ვალრასისა და ვილფრედ პარეტოს ყურადღება მიიპყრო, რომლებმაც მნიშვნელოვანი სრულყოფის და დაზუსტების შემდეგ იგი მკაცრ მათემატიკურ ენაზე გადაიყვანეს და „ზოგადი წონასწორობის თეორია“ უწოდეს“. ნეოკლასიკური თეორიის შემადგენლობაში შესვლით ზოგადი წონასწორობის თეორია ახლა ეკონომიკური განათლების ღერძია აშშ-ში [47].

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რაში მდგომარეობს საგნისა და მეთოდოლოგიური თავისებურებები კ. მენგერის მოძღვრებაში?
2. გახსენით დოვლათის მენგერისეული დაყოფის არსი დაბალი და მაღალი რანგის დოვლათად, კომპლემენტარულობის პრინციპის მიხედვით.
3. როგორ ახასიათებს კ. მენგერი ეკონომიკური დოვლათის ღირებულების (ფასეულობის) წარმოშობის ბუნებას? რა უდევს საფუძვლად მის „დაკისრების თეორიას"?
4. გვიჩვენეთ მენგერისეული კონცეფციების „რობინზონის მეურნეობის" და ეკონომიკური გაცვლის ურთიერთკავშირის შესახებ?
5. როგორ განმარტავს ო. ბემ-ბავერკი კატეგორია ღირებულებას (ფასეულობას) და კლებადი სარგებლიანობის პრინციპს გამომდინარე თავისი მაგალითიდან ახალმოსახლის) შესახებ?
6. როგორია ო. ბემ-ბავერკის „მოლოდინის თეორიის" შინაარსი? რას მიაკუთვნებს იგი წარმოების „შემოვლით" და „პირდაპირ მეთოდებს"?
7. შეადარეთ კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორია" და ო. ბემ-ბავერკის „მოლოდინის თეორია".
8. ფ. ვიზერი რატომ შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური აზრის სუბიექტურ მიმართულებას?
9. როგორია ფ. ვიზერის შეხედულებები კერძო საკუთრებაზე და კერძო მეწარმეობაზე?
10. რაში მდგომარეობს ფ. ვიზერის ჯამური სარგებლიანობის განსაზღვრის ხერხი ო. ბემ-ბავერკის ხერხისგან?
11. უ. ჯევონსის რომელი დებულებები იძლევა საშუალებას, რომ იგი ვაღიაროთ მარჟინალიზმის ფუძემდებლად?
12. როგორია ლ. ვალრასის დამსახურება ეკონომიკურ მეცნიერებაში?
13. გახსენით ლ. ვალრასის მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელის თავისებურებები.

თავი 16. ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების ჩამოყალიბება, როგორც „მარჟინალური რევოლუციის“ მეორე ეტაპი

ამ თავის შესწავლით, თქვენ გაიგებთ:

- როგორია ნეოკლასიკური თეორიის ფორმირებაში „მარჟინალური რევლუციის“ „მეორე ტალღის“ ლიდერების როლი;
- რომ ნეოკლასიკოსები, ერთი მხრივ, ერთგულნი დარჩნენ „ეკონომიკური მეცნიერების პირველი მასწავლებლების მიერ ანდერძად დატოვებული პრინციპების“, მაგრამ მეორე მხრივ - ვერ უკუაგდეს ფინალური ხასიათის ზრუნვა და საერთოდ ზრუნვა მიზნის შესახებ, რომელიც მიღწევას ექვემდებარება პოლიტიკური ეკონომიის სფეროში, რათა ხელში გეჭიროს წმინდა ცოდნა“(შ. ჟიდი და შ. რისტი);
- ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებლებმა როგორ „შეზღუდეს ეკონომიკური მეცნიერების საგანი“... თავის დისციპლინიდან გამორიცხეს..რამდენიმე მნიშვნელოვანი იდეა“, რის შედეგადაც „ეკონომიკური თეორია დარჩა ზრდის ან განვითარების კონცეფციის გარეშე (მ.ბლაუგი);
- ნეოკლასიკოსებიდან ეკონომიკური მეცნიერება ვის წინაშეა ვალში მეთოდურ დებულებათა წარმოშობით, წარმოებათა (ფირმების) სიდიდეების ოპტიმიზაციის მიხედვით, მომუშავეთა რაოდენობა კონკრეტულ სამეურნეო სტრუქტურაში ფაქტორთა მთლიანი სტრუქტურის სისტემურ შეფასებაში, მაკროეკონომიკურ წონასწორობაში.

16.1. ა. მარშალის ეკონომიკური მოძღვრება

ალფრედ მარშალი (1842-1924) - ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი წამყვანი ლიდერი, მარჟინალიზმის კემბრიჯის სკოლის ლიდერი.

ბავშვობაში მამის ზეგავლენით მას ამზადებდნენ სასულიერო კარიერისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ ბაბუა მღვდელი იყო. შესასწავლი საგნებიდან სხვებზე მეტად უყვარდა მათემატიკა, ხოლო გატაცებებიდან, სწავლისაგან თავისუფალ დროს - ჭადრაკი.

არ გაინაწილა რა მამის შეხედულებები და ისესხა ფული ბიძისგან, დამოუკიდებლად გაემგზავრა მათემატიკის შესასწავლად კემბრიჯის უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და იქვე დატოვეს პედაგოგიურ სამუშაოზე. უკანასკნელი მისი ცხოვრების მთავარი საქმიანობა გახდა.

პოლიტიკურ ეკონომიას ა. მარშალი ასწავლიდა 1868 წლიდან 1908 წლამდე, მათ შორის 1877-იდან 1885 წლამდე იძულებული იყო (ოჯახური გარემოებების გამო) დაეტოვებინა კემბრიჯი და მუშაობდა ბრისტოლის და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. 1902 წლიდან მისი ინიციატივით შემოიღეს ამ სპეციალობის ახალი გადმოცემა სახელწოდებით „ეკონომიკისˮ და ამით საბოლოოდ გამოიდევნა კურსის აგება ჯ. ს. მილის კლასიკური პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოების მიხედვით.

ა. მარშალის ძირითადი ნაშრომი იყი - ექვსტომეული „ეკონომიკის პრინციპებიˮ- რომელიც გამოიცა 1890 წელს და იგი შემდგომში მუდმივად ივსებოდა და გადამუშავდებოდა, მის სიცოცხლეში რვაჯერ გამოსულ გამოცემებში.

მეთოდოლოგიის თავისებურებები

„კლასიკოსთაˮ იდეების მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით, ა. მარშალი იკვლევდა ადამიანთა ეკონომიკურ საქმიანობას *„წმინდა" ეკონომიკური თეორიის და მეურნეობრიობის იდეალური მოდელის პოზიციებიდან, რომელიც შესაძლებელია „სრულყოფილი კონკურენციის" წყალობით.* მაგრამ ახალი მარჟინალური პრინციპებით *ეკონომიკის წონასწორობაში მოყვანით, იგი ახასიათებდა მხოლოდ „კერძო" სიტუაციას,* ე.ი. ფირმის, დარგის დონეზე (მიკროეკონომიკა). მსგავსი მიდგომა განმსაზღვრელი გახდა, როგორც მის მიერ შექმნილი კემბრიჯის სკოლის, ისე XIX საუკუნის დასასრულისა და XX დასაწყისის ნეოკლასიკოსების უმეტესობისთვის.

ტერმინი „ეკონომიკისˮ ა. მარშალმა შემოიღო წიგნის - „ეკონომიკის პრინციპებიˮ- პირველსავე თავში, რომელიც იწყება შემდეგი განმარტებიდან: „პოლიტიკური ეკონომია, ანუ ეკონომიკური მეცნიერება (economics) ადამიანთა საზოგადოების ნორმალური საქმიანობის გამოკვლევას იწყებს; იგი შეისწავლის ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მოქმედებათა იმ სფეროს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული კეთილდღეობის მატერიალური საფუძვლების შექმნასთან"[2]. შევნიშნავთ, რომ მსოფლიოში ცნობილი სახელმძღვანელოს „ეკონომიკისˮ ავტორი პ. სამუელსონი, საუბრობდა რა იმის შესახებ, რომ „თვით ჩემი მეცნიერების დასახელებაც კი -„ეკონომიკისˮ გულისხმობს ეკონომიას და მაქსიმიზაციას, იმოწმებს სწორედ ა. მარშალის სახელმძღვანელოს „პრინცი-

პებს...", იმ ვარაუდით, რომ მათში „მეტი ყურადღება დაეთმო წარმოების ოპტიმალური მოცულობის პრობლემას, რომლის დროს წმინდა მოგება მაქსიმუმს აღწევს" [3].

თავისი ორთოდოქსი წინამორბედებისგან განსხვავებით, „კლასიკოსებს", მარშალი *მიზანშეუწონილად თვლის ეკონომიკური კატეგორიების განმარტებას მიმართონ კაუზალურ საფუძველზე*, რომელიც ამა თუ იმ არსობრივი გამიჯვნის „დადასტურებას" მოითხოვს. მისი შეხედულებით, „პრინციპების..." პირველი გამოცემის ნინასიტყვაობით თუ ვიმსჯელებთ..., „რეალურ ცხოვრებაში არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა ნივთებს შორის, რომლებიც კაპიტალს წარმოადგენენ და არ წარმოადგენენ იმათ, რომლებიც სასიცოცხლოდ საარსებო საშუალებებს მიეკუთვნებიან და არ მიეკუთვნებიან მათ, ისევე, როგორც მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას" [4]. კერძოდ, შემდეგ III ტომის E დანართში, რომელსაც „კაპიტალის განმარტება" ეწოდება, ა. მარშალი კიდევ ერთხელ უბრუნდება კაპიტალის დახასიათებას. აქ იგი წერს, რომ „კარლ მარქსი და მისი მიმდევრები..." ღიად ქმნიდნენ კაპიტალის საკუთარ განმარტებას... იმის მტკიცებით, რომ მხოლოდ ის არის კაპიტალი, რომელიც წარმოების საშუალებათა სახით ეკუთვნის ერთ პირს (ან პირთა ჯგუფს) და გამოიყენება ნივთების საწარმოებლად სხვების საკეთილდღეოდ მთლიანად დაქირავებული შრომის მეშვეობით ისეთნაირად, რომ პირველად ჰქონდეთ შესაძლებლობა ძარცვონ ან ექსპლოატაცია გაუწიონ სხვებს" [5].

ა. მარშალი აღიარებს, რომ მის თანამედროვე ეკონომიკაში *„ეროვნული დივიდენდის განაწილება ცუდია". მაგრამ თუკი დავუშვებთ „ეროვნული შემოსავლის თანაბარ განაწილებას..., წერს იგი, - ხალხთა მასების შემოსავლები - თუმცა ისინი, ცხადია, მნიშვნელოვნად, ჯერადად გაიზრდებიან ყველა უთანაბრობათა აღმოფხვრის შედეგად - და ახლოსაც კი ვერ მივლენ და დროებითაც კი, ოქროს საუკუნის ნაწინასწარმეტყველებ სოციალისტური მოლოდინის დონემდე. მაგრამ ეს ფრთხილი მოსაზრება, - დაასკვნის მეცნიერი,- არ ნიშნავს არსებული უთანაბრობის უსიტყვო მონონებას... სიმდიდრის უთანაბრობას... სერიოზულ დეფექტს ჩვენს ეკონომიკურ მოწყობაში. მისი ნებისმიერი შემცირება, რომელიც მიიღწევა იმ საშუალებებით, რომლებიც ძირს არ უთხრიან თავისუფალი ინიციატივის მოტივებს... როგორც ჩანს, აშკარა საზოგადოებრივი მიღწევა იქნებოდა "* [6].

ღირებულების თეორია

ა. მარშალის გამოკვლევებში ცენტრალური ადგილი უკავია *თავისუფალი ფასწარმოქმნის პრობლემას ბაზარზე*, რომელიც

მისგან ხასიათდება, როგორც წონასწორობითი ეკონომიკის ერთიანი ორგანიზმი, რომელიც მობილური და ერთმანეთისადმი ინფორმირებული სამეურნეო სუბიექტებისგან შედგება. *საბაზრო ფასს იგი განიხილავს, როგორც მოთხოვნის ფასის, რომელიც განისაზღვრება ზღვრული სარგებლიანობით, და მიწოდების ფასისა, რომელიც განისაზღვრება ზღვრული დანახარჯებით, გადაკვეთის შედეგს. ამასთან დაკავშირებით მოიხსენიება მისი განთქმული „მაკრატლის დანები“, როგორც საქონლის ღირებულების ორკრიტერიუმიანი არსების დახასიათება, რომელიც ავტორის მიერ გამოხატულია „პრინციპებში...“ ასე:* „ჩვენ შევეძლო თანაბარი საფუძვლით გვეკამათა იმის შესახებ, რეგულირდება თუ არა ღირებულება სარგებლიანობით თუ წარმოების ხარჯებით, ისე, როგორც იმის შესახებ, გაჭრის თუ არა ქაღალდის ნაჭერს მაკრატელის ზევითა თუ ქვევითა დანა“.

აქ ერთობ მნიშვნელოვანი გვეჩვენება მოვიტანოთ ორი ტერმინოლოგიური შენიშვნა, რომლებიც შესაბამისად მ. ბლაუგს და ა. მარშალს ეკუთვნის: 1) „თანამედროვე სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ ზოგჯერ ყვებიან ზღვრული სარგებლიანობის, როგორც უკანასკნელი ერთეულის სარგებლიანობის შესახებ. ეს განსაკუთრებით არასწორ გაგებას წარმოშობს; უკანასკნელი ერთეულის ზღვრული სარგებლიანობა წარმოადგენს ნებისმიერი ერთეულის სარგებლიანობას, რამდენადაც ნებისმიერი ერთეული შეიძლება უკანასკნელი იყოს; ვამტკიცოთ, რომ ზღვრული სარგებლიანობა არის ზღვრული ერთეულის სარგებლიანობა, ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ერთობლივი სარგებლიანობა ზღვრული სარგებლიანობის გამრავლების გზით მოხმარებული ერთეულების რაოდენობაზე, რაც არასწორია. ზღვრული სარგებლიანობა არის უკანასკნელი ერთეულის სარგებლიანობას მინუს წინა ერთეულის სარგებლიანობის ცვლილება და ა.შ. თითოეული ერთეულისთვის, როდესაც ემატება უკანასკნელი ერთეული. ამრიგად, ზღვრული სარგებლიანობა = (du/dx)dx

და ერთობლივი სარგებლიანობა - ეს ინტეგრალია“[8];

2) „ ...კანონი არ გამორიცხავს იმას, რომ რაც უფრო მეტს უსმენს ადამიანი კარგ მუსიკას, მით უფრო უნდა გაუჩნდეს მას მოსმენის სურვილი, ან რომ სიხარბე და პატივმოყვარეობა ხშირად გაუმაძღრები არიან, ან ზნეობრიობა და სიფაქიზე და სიმთვრალის ნაკლი ერთ გარემოში იზრდებიან, რომელიც მათ კვებავს... თუკი ჩვენ ადამიანს ვიღებთ ისეთს, როგორიც ის მოცემულ მომენტში არის, დროის ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე, რომელიც მის ხასიათს ცვლის, ნივთის ზღვრული სარგებლიანობა მისთვის განუხრელად იზრდება მის განკარგულებაში ამ ნივთის რაოდენობის გადიდების კვალობაზე“[9].

სამომხმარებლო „სიჭარბის“ კონცეფცია

ა. მარშალმა ფაქტობრივად შეინარჩუნა კლასიკოსებისგან ნასესხები ამოსავალი პოზიცია სრულყოფილი კონკურენციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მდგომარეობას იმის შესახებ, რომ ფასი ნაკარნახევია ბაზრის მიერ და არა საწარმოს მიერ. აქედან, იმ ვარაუდით, რომ ყოველი ადამიანი ნივთის შეძენისას გამოდის „მისთვის შეთავაზებული შესაძლებლობებიდან, ან ჩამოყალიბებული სიტუაციიდან, ან კონიუნქტურიდან“, მას შემოაქვს ცნება „სამომხმარებლო სიჭარბე“. უკანასკნელი, მისი შეხედულებით, - ეს „განსხვავებაა ფასსა, რომლის გადახდისთვის მზად არის მყიდველი, ოღონდ იოლად არ გავიდეს მოცემული ნივთის და იმ ფასის გარეშე, რომელიც მან ამ ნივთისთვის გადაიხადა“, ე.ი. „მისი დამატებითი დაკმაყოფილება ეკონომიკური საზომია“[10].

წონასწორობითი ფასის კონცეფცია

ა. მარშალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა ადრინდელი მარჟინალისტების განზოგადება *ისეთი ფაქტორების ფუნქციონალური დამოკიდებულების შესახებ, როგორიცაა ფასი, მოთხოვნა და მიწოდება*. კერძოდ, მან უჩვენა, რომ ფასის დაწევით მოთხოვნა იზრდება, ხოლო ფასის გადიდებით - მცირდება და, რომ თავის მხრივ, ფასის შემცირებით მიწოდება ეცემა, ხოლო ფასის გადიდებით - იზრდება. *სტაბილურ ანუ წონასწორობითად ა. მარშალი თვლიდა ისეთ ფასს, რომელიც მყარდება მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის წერტილში* (გრაფიკზე მოთხოვნისა და მიწოდების გადაკვეთის წერტილებს მიღებულია ვუწოდოთ *„მარშალის ჯვარი“*). აქედან, როგორც ა. მარშალი ვარაუდობს, თუკი ბაზარზე ფასი წონასწორობით ფასზე მაღალია, მაშინ მიწოდება გადააჭარბებს მოთხოვნას და ფასი დაიწყებს კლებას და, პირიქით, თუკი ბაზარზე ფასი წონასწორობითზე დაბალია, მაშინ მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას და ფასი იწყებს ზრდას. რაღაც მსგავსი მოსაზრება მოგვიანებით გამოთქვა ი. შუმპეტერმა, რომელიც ამტიცებდა, რომ „სახალხო მეურნეობაში, სადაც ბატონობს თავისუფალი კონკურენცია, დოვლათის ფასმა არ შეიძლება დიდიხნის განმავლობაში გადააჭარბოს მის დანახარჯებს, რამდენადაც ამისგან მიღებული მოგება აიძულებს სამეურნეო სუბიექტებს თავიანთი საქმიანობა გადაიტანონ სწორედ ამ სფეროში, რის შედეგადაც მიწოდება გაიზრდება და ფასი ისევ დაიკლებს დანახარჯების დონემდე“[11].

მოთხოვნის ელასტიურობის კონცეფცია

„მოთხოვნის ფასის“ თეორიის განვითარებისთვის ა. მარშალმა წამოაყენა „მოთხოვნის ელასიკურობის“ კონცეფცია. უკანას-

კნელი მის მიერ ხასიათდება, *როგორც მოთხოვნის მოცულობის ფასის ცვლილებისაგან დამოკიდებულების მაჩვენებელი.* მან გამოავლინა საქონელთა ელასტიკურობის სხვადასხვა ხარისხი მოხმარების სტრუქტურის, შემოსავლების დონის და სხვა ფაქტორებისაგან დამოკიდებულებაში, უჩვენა, რომ მოთხოვნის უმცირესი ელასტიურობა დამახასიათებელია პირველადი მოთხოვნილების საგნებზე, მაგრამ რატომღაც მსგავსი რამ არ აღიარა ფუფუნების საგნებთან მიმართებაში. მაგრამ, მარშალის მიხედვით, არსებობს მოთხოვნის და მიწოდების ზეგავლენის განსაკუთრებული დამოკიდებულება საბაზრო ფასის დონეზე საანალიზო პერიოდიდან. განიხილავდა რა ამ ურთიერთკავშირს „როგორც ზოგად წესს", მის არსს იგი შემდეგნაირად ხსნიდა: „რაც უფრო მოკლეა განსახილველი პერიოდი, მით უფრო მეტად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს ანალიზში მოთხოვნის ღირებულებაზე (ფასზე) გავლენა, ხოლო რაც უფრო ხანგრძლივია ეს პერიოდი, მით მეტ მნიშვნელობას იძენს წარმოების ხარჯების (მიწოდების-ი.ი.) გავლენა ღირებულებაზე"[12].

წარმოების ზღვრული ხარჯების კონცეფცია

„წარმოების ზღვრული ხარჯების" თეორიის ჩარჩოებში გამოკვლევებმა საშუალება მისცეს ა. მარშალს გამოევლინა წარმოების ხვედრ დანახარჯებში ცვლილებების კანონზომიერებები საწარმოში წარმოების მოცულობათა გადიდებისას. ეს, ცხადია „პრინციპების..." პირველი ტომის 13-ე თავიდან არის, რომელშიც კემბრიჯის სკოლის ლიდერი მიმართავს უკუგების გადიდებას და შემცირებას წარმოებისგან მისი მასშტაბების გაფართოებისას. იგი, კერძოდ, აღიშნავს, რომ, როგორც წესი, წარმოების მსხვილი მასშტაბი კონკურენტულ ეკონომიკაში საწარმოსთვის (ფირმისთვის) უზრუნველყოფს სასაქონლო პროდუქციის ფასის შემცირებას და შესაბამისად, კონკურენტების წინაშე უპირატესობას (მუდმივადმზარდი ეკონომიის ხარჯზე მუშაობის უნარისა და სპეციალიზებული მანქანების და ყოველგვარი სახის მონყობილობის გამოყენების შედეგად) და რაც მთავარია, ასეთი ეკონომიისაგან მოგებას იღებს მთელი საზოგადოება.

შემდეგ, მსგავსი ფენომენის მიზეზების გამოსავლენად, კვლევებში შემოიტანება ცნება *„რეპრეზენტატიული ფირმა"*, როგორც საშუალო ფირმის სახესხვაობა. უკანასკნელის სიდიდე, მისი შეხედულებით, ჩვეულებრივ იზრდება რომელიმე საქონლის წარმოების მთლიანი მოცულობის გადიდებით, მის მიერ საშინაო და საგარეო მოგების მიღებით, რომელიც განპირობებულია უფრო ნაკლები, ვიდრე წინათ შრომის და სხვა დანახარჯებთან წარმოების პროცესში.

აქედან მეცნიერი მიდის დასკვნამდე *ორი ეკონომიკური კანონის მოქმედების შესახებ: მზარდი და მუდმივი უკუგებისა.* პირველის შესაბამისად, „შრომის და კაპიტალის დანახარჯთა მოცულობის გადიდება ჩვეულებრივ იწვევს წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, რაც ამაღლებს შრომისა და კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას... პროპორციულად უფრო მაღალ პროპორციულ უკუგებას...". მეორე კანონის მიხედვით, „შრომის და სხვა დანახარჯთა მოცულობის გადიდება იწვევს პროდუქციის მოცულობის პროპორციულ გადიდებას. ამასთან, მკვლევარის რწმენით, „რეალურ სინამდვილეში უკუგების ეს ორი ზრდისა და შემცირების ტენდენცია მუდმივად ენინააღმდეგებიან ერთმანეთს"[13].

როგორც ვხედავთ, ა. მარშალის მოსაზრებით, კონკურენციის პირობებში ნილობრივი *დანახარჯები წარმოების გამსხვილებით* ან მცირდებიან, ან პარალელურად ვითარდებიან, მაგრამ მხოლოდ არ უსწრებენ პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპს. შემდგომში ამ მსჯელობათა საფუძველზე მიკროეკონომიკურმა თეორიამ წამოაყენა წარმოების ოპტიმიზაციის და საწარმოთა სიდიდის პრობლემის უფრო უტყუარი მეთოდური გადაწყვეტები. მეორე მხრივ, წარმოების ხარჯების *მუდმივ და ცვალებადად* დაყოფით ა. მარშალმა დამაჯერებლად უჩვენა, რომ *ხანგრძლივ პერიოდში მუდმივი ხარჯები ცვალებადად გადაიქცევა.* მისი შეხედულებით, ძირითადი მოტივი, რომელმაც ფირმა აიძულა დაეტოვებინა ბაზარი, - ესაა მისი ხარჯების გადაჭარბება საბაზრო ფასის დონეზე.

კაპიტალის სარგებლის და სარგებლის განაკვეთის კონცეფცია

კაპიტალის სარგებელი, მარშალის მიხედვით, საკუთარ თავს ავლენს, როგორც იმისი „ჯილდო", ვინც მატერიალური რესურსების ფლობით ელოდება „მომავალ დაკმაყოფილებას" იმათგან, ისე როგორც *ხელფასი,* მისი შეხედულებით, უნდა ჩავთვალოთ „შრომის ანაზღაურებად"[14]. იგი გაბედულად არ ეთანხმება იმას, რომ „საგნის ღირებულება დამოკიდებულია უბრალოდ მის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობაზე. ყოველგვარი მცდელობა აღნიშნული გზავნილის დასაცავად, - განაგრძობს მეცნიერი, - აუცილებლობით უსიტყვოდ გულისხმობს, რომ კაპიტალის მიერ განეული მომსახურება „ნაჩუქარი" დოვლათია, რომელიც ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე ეძლევა და ამიტომ ჯილდო არ სჭირდება შემდეგი ფუნქციონირებისთვის; ეს სწორედ ის დასკვნაა, რომლის დადასტურებასაც გზავნილი ცდილობს"[15].

დაბოლოს, ერთობ მნიშვნელოვანია „პრინციპების..." ავტორის აზრი *სარგებლის განაკვეთის დონის შესახებ.* მისი შეხედულებით, „თუმცა ადამიანის ბუნებრივი რესურსების განკარგვის მასშტაბების გადიდებით მას შეუძლია განაგრძოს მეტის დაგროვება,

სარგებლის დაბალი განაკვეთის დროსაც კი, მაგრამ მაინც ადამიანისეული ნატურა ინარჩუნებს თავის ოდინდელ თვისებებს, სარგებლის განაკვეთის ყოველ შემცირებას შეუძლია მრავალი ადამიანი შეაგულიანოს ნაკლები დაზოგოს, და არა მეტი, ვიდრე წინააღმდეგ შემთხვევაში"[16]. აკი ეს მდგომარეობა ერთ-ერთი მცირეთაგანია, რომელიც შემდგომში მისმა მოწაფემ ჯ. მ. კეინზმა ეკონომიკის მაკროგამოკვლევისა და სახელმწიფო რეგულირების საკუთარი კონცეფციის „შეიარაღებაში" აიღო.

16.2. ჯ. ბ. კლარკის ეკონომიკური მოძღვრება

ჯონ ბეითს კლარკი (1847-1938) - მარჟინალიზმის ამერიკული სკოლის ფუძემდებელი, რომელმაც მნიშვნელობანი ნვლილი შეიტანა XIX საუკუნის ბოლოს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ფორმირებაში. იგი დაიბადა ქ. პროვიდენსში, როდ-აილენდის შტატში (აშშ). ამხერტის (აშშ) კოლეჯის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა ჰაიდელბერგის (გერმანია), და ციურიხის (შვეიცარია) ევროპულ უნივერსიტეტებში, თუმცა ამასთან ორჯერ მოუწია შეწყვიტა სწავლა, რათა ოჯახის კუთვნილ საწარმოში დახმარებოდა ახლობლებს საქმის მოგვარებაში. თავის მასწავლებლად და დამრიგებლად პოლიტიკურ ეკონომიაში იგი მიიჩნევდა ჰაიდელბერგში იმ პერიოდში მომუშავე პროფესორს კარლ კნისს - გერმანიის „ისტორიული სკოლის" ერთ-ერთ ფუძემდებელს.

აშშ-ში დაბრუნების შემდეგ, ჯ.ბ. კლარკი ძირითადად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, თავდაპირველად (1872-1895) ეკონომიკის პროფესორად რიგ ამერიკულ კოლეჯებში, მათ შორის კარლტონის კოლეჯში (მინესოტა), სადაც მის სტუდენტებს შორის იყო შემდგომში მსხვილი სწავლული ეკონომისტი ტ. ვებლენი, შემდეგ (1895-1923) - იმავე სახით კოლუმბიის უნივერსიტეტში. წარმოადგენდა რა ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის შექმნის ერთ-ერთ ინიციატორს, იგი მისი მესამე პრეზიდენტი გახდა და ეს პოსტი 1893-1895 წლებში ეკავა.

ამ მეცნიერის თხზულებები, მათ შორის ფუნდამენტური, გამოქვეყნდა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნიგნები „სიმდიდრის ფილოსოფია" (1886) და „სიმდიდრის განაწილება"(1899)[17], რომელშიც, განსაკუთრებით მეორეში, მას მოუწია იმ დროისთვის ყველაზე უფრო პოპულარულ მარჟინალურ იდეამდე ჩაღრმავება და აღენიშნა არაორდინარული დებულებები და, როგორც მან უწოდა ეკონომიკური მეცნიერების „კანონებიც" კი.

თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციების თავისებურებები

მისი საუკეთესო მეცნიერული მიღწევები უნდა განვიხილოთ ორ ასპექტში: *მეთოდოლოგიურ და თეორიულში*. პირველ შემთხვევაში მხედველობაშია მეთოდოლოგიის სიახლე წამოყენებული *ეკონომიკური მეცნიერების სამი ბუნებრივი განყოფილების შესახებ*. მეორეში საქმე ეხება მიკროეკონომიკაში დასაბუთებულ ანალიზს ე. წ. *წარმოების ფაქტორთა ზღვრული მწარმოებლურობის კანონს*. ამ მიზნით შემდგომ გადმოცემაში მივმართავთ ჯ.ბ. კლარკის უკვე ნახსენებ „სიმდიდრის განაწილებას".

მოცემული ნაშრომის სტრუქტურა ერთობ სპეციფიკურია. ოცდაექვსიდან პირველ ორ თავში მოკლედ ჩამოყალიბებულია თითქმის ყველა საკვანძო იდეა და განმარტებები. ძირითადებიდან, რამდენადმე გამარტივებული რედაქციით, მაგრამ შინაარსისადმი ზიანის გარეშე, მოვიტანოთ შემდეგი.

1) *„საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილება"* რეგულირდება საზოგადოებრივი კანონით, რომელმაც „სრულიად თავისუფალი კონკურენციის დროს" შეიძლება ნარმოების ყოველი ფაქტორისთვის უზრუნველყოს მის მიერ შექმნილი სიმდიდრის ჯამი.

2) *„სიმდიდრე"* - ეს მატერიალური ადამიანისეული კეთილდღეობის რაოდენობრივად შეზღუდული წყაროებია.

3) *„წარმოების ყოველ ფაქტორს" საზოგადოებრივ პროდუქტში სიმდიდრის ის წილი გააჩნია, რომელსაც სწორედ ის აწარმოებს.*

4) მთელი საზოგადოების შემოსავლის დაყოფა შემოსავლის სხვადასხვა სახეებად (ხელფასი, სარგებელი და მოგება) უშუალოდ და მთლიანად *„ეკონომიკური მეცნიერების საგანია"*.

5) შემოსავლის ნახსენები სახეები შესაბამისად მიიღებიან *„სამუშაოს შესრულებისთვის", „კაპიტალის შეთავაზებისთვის"* და *„ხელფასისა და სარგებლის კოორდინირებისთვის"*.

6) შემოსავლების განსაზღვრისას „საღი აზრის მიხედვით" ადამიანთა *„არც ერთ კლასს"*, *რომლებიც დასაქმებულები არიან წარმოებაში, არ ექნებათ „პრეტენზიები ერთმანეთისადმი"*.

7) ეკონომიკური თვალსაზრისით, პროდუქტის წარმოება მანამ არ არის დასრულებული, სანამ ვაჭრობის წარმომადგენლებმა არ მიიტანეს იგი მყიდველამდე და არ შედგა გაყიდვა, *„რაც წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების დამამთავრებელ აქტს"*[8].

მოძღვრება სტატიკისა და დინამიკის შესახებ

ახლა განვიხილოთ ჯ. ბ. კლარკის *სპეციფიკური* მოძღვრება ეკონომიკური მეცნიერების დაყოფის შესახებ, რომელიც მოიცავს დებულებებს *სტატიკისა და დინამიკის* შესახებ და შესაბამისად *წარმოების სტატიკური და დინამიური ტიპების შესახებ*. მასში წამოყენებულია იდეა იმის შესახებ, რომ თეორიამ, რომელიც ძველს ემყარება და რომელიც გზიდან ააცდენს მთელი მეცნიერების *ოთხწევრიან დაყოფას წარმოებად, განაწილებად, გაცვლად და მოხმარებად*, ვერ შეძლო, „ისე როგორც მექანიკის შემთხვევაში", პროგრესის მიერ შემოთავაზებული სტატიკური კანონების ყოველმხრივი შემეცნების პრობლემის გადაჭრა, სანამ „მოძრაობის კანონები არ იქნა გაგებული"[19]. ძირითადი არგუმენტი ამ იდეის სასარგებლოდ - არის თეორიული გამოკვლევის მიზნით წარმოსახვაში შეიქმნას სტატიკური საზოგადოება, რამდენადაც *„ყველა ბუნებრივი საზოგადოება დინამიურია"*[20].

როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით თეორიულად, კვლევითი მიზნებით ჯ. ბ. კლარკი მიზანშეწონილად თვლის სხვა, ვიდრე მანამდე თავაზობდნენ, „საზღვარს ეკონომიკური მეცნიერების ბუნებრივ განყოფილებებს შორის". შედეგად გამოჩნდა ახალი ვერსია მისი საზღვრების შესახებ, რომელიც მეცნიერის მიერ გადმოცემულია ასეთნაირად: „ახლა ჩვენს წინაშეა ეკონომიკური მეცნიერების სამი ბუნებრივი განყოფილების საზღვარი. პირველი მოიცავს სიმდიდრის უნივერსალურ მოვლენებს, მეორე მოიცავს სოციალ-ეკონომიკურ სტატიკას და იმაზე საუბრობს, თუ რა მოსდის სიმდიდრეს და საზოგადოების კეთილდღეობას... მესამე განყოფილება მოიცავს სოციალ-ეკონომიკურ დინამიკას და მეტყველებს იმის შესახებ, თუ რა მოსდის სიმდიდრეს და საზოგადოების კეთილდღეობას იმ პირობით, თუკი საზოგადოება იცვლის საქმიანობის ფორმასა და ხერხებს"[21].

ამერიკული სკოლის ლიდერის ილუსტრაციის მიხედვით, რომელიც წარმოესახება სტატიკურ საზოგადოებრივ წარმოებას, დამახასიათებელია ოპერაციათა უცვლელი ხასიათი, რომელიც დაკავშირებულია ერთიდაიგივე სახეობის დოვლათის წარმოებასთან, ადრინდელი ტექნოლოგიური პროცესების, იარაღებისა და მასალების პირობებში, რომელიც წარმოებული სიმდიდრის არც გადიდების და არც შემცირების საშუალებას არ იძლევა. გარდა ამისა, უმატებს იგი, *სოციალურ-სტატიკური წარმოების მდგომარეობაში* მინაზე ერთი და იგივე იარაღებით მოყავთ და მიიღება მოსავლის ერთიდაიგივე სახეობა, ხოლო ფაბრიკებში მუშაობენ იგივე მანქანებით და მასალებით, ე. ი. არაფერი არ იცვლება სიმდიდრის წარმოების წესში, ანუ, სხვა სიტყვებით, *წარმოებრივი ორგანიზმი ფორმას უცვლელად ინარჩუნებს*[22].

ამრიგად, *სტატიკის მდგომარეობაში* შეიძლება ვამტკიცოთ მოძრაობა თითქოსდა ჩაკეტილ სისტემაში, რაც განსაზღვრავს ეკონომიკის წონასწორობას და სტაბილურობას. მაგრამ რა არის რეალური დინამიური ძალები და მათ მიერ ეკონომიკაში წარმოშობილი გადახრები და ცვლილებები? რა ჰქონდა მხედველობაში მკვლევარს, როდესაც აცხადებდა, რომ ეკონომიკური დინამიკის უდიდესი ძალების მოქმედების წყალობით „მსოფლიოს ნორმალური სიმდიდრე მეტი იქნება და ხელფასის ბუნებრივი დონე მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იქნება 2000 წელს, ვიდრე ახლა“?

ჯ. ბ. კლარკის დაწვრილებით მსჯელობებს დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ ვპოულობთ „სიმდიდრის განაწილების“ მეექვსე თავში. უნინარეს ყოვლისა, ყურადღება მივაქციოთ მის მიერ აქ დასახელებულ ცვლილებათა *ზოგად სახეობებს, რომლებიც ეკონომიკის დესტაბილიზების გამომწვევ დინამიურ პირობებს ქმნიან. ისინი ხუთია: 1) მოსახლეობის ზრდა; 2) კაპიტალის ზრდა; 3) წარმოების მეთოდების გაუმჯობესება; 4) სამრეწველო საწარმოთა ფორმის შეცვლა; 5) უფრო მწარმოებლურ საწარმოთა გადარჩენა ალმოფხვრადი ნაკლებმწარმოებლურის ნაცვლად.* ამასთან, თითოეული სახეობა რეკომენდებულია ფაქტორის სახით გამოეყოს საზოგადოების დინამიურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად და, რომელიც იტყობინება სოციალურ სტრუქტურაზე თავისი ზემოქმედების არსებობით[23].

ამ თავის ბოლოში, დ. რიკარდოს და მისი მიმდევრების გამოკვლევების შეფასებით, როგორც სტატიკური სამყაროს შექმნის გაუცნობიერებელ მცდელობას, რომელიც საშუალებას არ იძლევა მივცეთ საკუთარ სისტემას დასრულებული და რეალისტური მეცნიერული აგებულება, ამერიკელი პროფესორი გადმოსცემს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ადამიანებს ჯერ კიდევ XX საუკუნის დასასრულამდე ეცოდინებათ იმ შედეგების შესახებ, რომლებამდისაც მიგვიყვანს საზოგადოების დინამიური მდგომარეობის ფაქტორები, და ეს მოხდება *„ეკონომიკური დინამიკის ნმინდა თეორიის“*[24] *წყალობით*, რომელიც მოვლენათა ცვალებადობის თვისებრივი ანალიზის და თეორიის სხვა სიბრტყეზე გადატანის საშუალებას იძლევა, პოლიტიკური ეკონომიის საგნის ბევრჯერ გაფართოებით.

ჯ. ბ. კლარკის მეთოდოლოგიური იდეები, XX საუკუნის ეკონომიკურ მეცნიერებაში, სხვა ავტორებთან ერთად, როგორც ცნობილია, „გაამდიდრა“ ნ. კონდრატიევმაც, რომელმაც ერთ-ერთ თავის საუკეთესო ნაშრომად დაასახელა „ეკონომიკური სტატიკისა და დინამიკის ძირითადი პრობლემები“. ჯერ კიდევ როგორც სტუდენტმა, მან დაწერა სტატია „ძირითადი მოძღვრებები საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების განვითარების შესახებ“ (1914), რო-

მელშიც აღიარებდა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების დაყოფას, „სტატიკურად" და „დინამიურად". იმ ვარაუდით, რომ უკანასკნელებს შორის „არ შეიძლება დავინახოთ პრინციპული განსხვავება", მისი დასკვნით: „*სტატიკა ესაა - გაყინული დინამიკა*"[25].

ცნობილია ასევე, რომ 1939 წელს ი. შუმპეტერმა ნახევარსაუკუნოვან ციკლებს უწოდა რა „კონდრატიევის ციკლები", მაღალი შეფასება მისცა არა მხოლოდ მის, არამედ ამერიკელი ჯ. ბ. კლარკის შემოქმედებასაც. სხვათა შორის, თავის უკანასკნელ „ეკონომიკური განვითარების თეორიაში" ი. შუმპეტერმა ასე გამოთქვა: „ამ ავტორმა ზუსტი განმარტება მისცა სტატიკურ მდგომარეობას და გამოიკვლია მისი დადგომის პირობები, ასე, რომ სტატიკისა და დინამიკის შეგნებული განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, მის სახელთან უნდა დავაკავშიროთ. ისინი არანაკლებ ენერგიულად იცავდნენ განსაკუთრებული დინამიკის პოსტულატებს"[26].

წარმოების ფაქტორთა ზღვრული მწარმოებლურობის კანონი („კლარკის კანონი")

„სიმდიდრის განაწილებაში" ჯონ ბეითს კლარკი, როგორც მარჟინალიზმის ფუძემდებლური პრინციპის მიმდევარი, ოპერირებს ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა „ზღვრული მუშა", „სამუშაოს ზღვრული ხასიათი", „ზღვრული სარგებლიანობა", „საბოლოო სარგებლიანობა", „ზღვრული მწარმოებლურობა და სხვ. იგი მთლიანად იღებს მიკროეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტულობის პრინციპსაც, კერძოდ, იმის მტკიცებით, რომ „რობინზონის სიცოცხლე ეკონომიკურ გამოკვლევაში შემოტანილ იქნა სრულებით არა იმიტომ, რომ იგი მნიშვნელოვანია თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ იზოლირებული ინდივიდის მეურნეობის მმართველი პრინციპები განაგრძობენ თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკის ხელმძღვანელობას"[27]. მაგრამ ამერიკული სკოლის მეთაურის და „მარჟინალური რევოლუციის" ერთ-ერთი დამამთავრებლის მთავარი დამსახურება, რომელმაც გამოიწვია ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ჩამოყალიბება, უწინარეს ყოვლისა, წარმოების ფაქტორთა ფასების ზღვრული ანალიზის პრინციპების საფუძველზე, შემოსავლების განაწილების კონცეფციის შემუშავებაში მდგომარეობს, რომელსაც ეკონომიკურ ლიტერატურაში *ჯ. ბ. კლარკის ზღვრული მწარმოებლურობის კანონს უწოდებენ.*

მეცნიერის მოსაზრებით, ამ კანონს ადგილი აქვს თავისუფალი (სრულყოფილი) კონკურენციის პირობებში, როდესაც ყველა მეურნე სუბიექტის მობილურობა ხელს უწყობს ეკონომიკის წონასწორობის პარამეტრების მიღწევას. მის მიერ აღიარებულიც კი ხდება, რომ კანონის ძირითადი იდეა, რომელიც წარმოების ყოველი ძირითადი ფაქტორის ზღვრული უკუგების შესახებ საუბრის საშუა-

ლებას გვაძლევს, ყველაზე ეფექტიანი (ოპტიმალური) საწარმოო პროცესის მისაღწევად, ი. ფ. ტიუნენის მსჯელობებს ეხმიანება.

ი. ფ. ტიუნენის შესახებ ჯ. ბ. კლარკი წერს, რომ მან, როგორც „ადრინდელი გერმანული ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელმა", ნამოაყენა „თეორია, რომელიც გამოიყენა, როგორც საბოლოო მწარმოებლურობის კანონი, როგორც შრომის, ისე კაპიტალის მიმართ და ხელფასი და სარგებელი განსაზღვრა, როგორც ამ გამოყენების შედეგი...მაგრამ საიმედო რომ გახდეს, იგი უნდა გახდეს იმაზე მეტი, სპეციფიკური მწარმოებლურობის თეორია, რომლის თანახმად, შრომის თითოეული ერთეულის ანაზღაურება ემთხვევა მის საკუთარ სპეციფიკურ პროდუქტს"[28].

ცხადია, გამომდინარე მოცემული მოსაზრებებიდან, ჯ. ბ. კლარკმა გადაწყვიტა ყურადღება გადაეტანა ერთგვაროვანი, კლებადი ზღვრული უკუგების, ე.ი. წარმოების ერთნაირი ეფექტიანობის მქონე ფაქტორებზე. ეს ნიშნავს, *რომ უცვლელი კაპიტალშეიარაღების დროს შრომის ზღვრული მწარმოებლურობა შემცირებას დაიწყებს ყოველ ახლადმოზიდულ მომუშავესთან და, პირიქით, მომუშავეთა უცვლელი რაოდენობის დროს შრომის ზღვრული მწარმოებლურობა შეიძლება უფრო მაღალი იყოს მხოლოდ გაზრდილი კაპიტალშეიარაღების წყალობით.* ეს ასევე ნიშნავს, რომ, თუ მისი სიტყვებით ვისაუბრებთ, „წილები განაწილებაში (ფასეულობის-ი.ი.) დამოკიდებულია საბოლოო მწარმოებლურობაზე", ე.ი. *„სარგებელი განისაზღვრება კაპიტალის საბოლოო ნამატის პროდუქტით, ხოლო ხელფასი განისაზღვრება შრომის საბოლოო ნამატის პროდუქტით"*[29].

ააგო რა ზღვრული სარგებლიანობის თავისი თეორიის დამუშავება მიკროდონეზე თავისუფლად ფუნქციონირებადი კონკურენტული საწარმოს მაგალითზე, „სიმდიდრის განაწილების" მერვე თავში ჯ. ბ. კლარკი ამტკიცებს, რაღაც *„განურჩევლობის ზონის"* ანუ *„ზღვრული სფეროს"* არსებობის შესახებ, რომელიც ყოველი საწარმოს მუშაობის სფეროში კონტროლირებადად ითვლება. „ამ ზონის ფარგლებში, - წერს ჯ. ბ. კლარკი, - ადამიანებს შეუძლიათ მოვიდნენ და წავიდნენ, მენარმეთა შემოსავალზე ზეგავლენის მოხდენის გარეშე...თუკი კონკურენცია მოქმედებს იდეალური სრულყოფილებით, მაშინ ყველგან, სადაც კი წავლენ ეს ზღვრული მუშები, ისინი ანაზღაურების სახით მთლიანად მიიღებენ თავისი შრომის პროდუქტს; თუმცა ფაქტობრივად, იმის გამო, რომ კონკურენცია მოქმედებს არასრულყოფილად, ის, რასაც ეს ადამიანები იღებენ, მხოლოდ მიახლოებით ემთხვევა მათ პროდუქტს". ამიტომ ერთ-ერთი მომუშავის წასვლით, მიიჩნევს მეცნიერი, შეუსრულებელი რჩება ზღვრული სამუშაო, ე.ი. ყველაზე ნაკლებად საჭირო

სამუშაო, ხოლო მეწარმეს თავის მხრივ „განურჩევლობის ზონის“ ფარგლებში სამუშაოდ შეუძლია თავისთვის არასაზიანოდ მიიღოს „რამდენიმე ზედმეტი ადამიანიც კი“, რამდენადაც „ამ ზღვრულ სფეროში“ ხელფასი არის „ის, რასაც ისინი აწარმოებენ“ და იგი „მისგან არანაირ მოგებას არ ამოიღებს“[30].

აქედან, საკუთარ კითხვაზე: „თუკი მე თქვენთან სამსახურში ვიმყოფები, გამათავისუფლებთ თუ არა თქვენ მე?“ - ჯ. ბ. კლარკი ასე პასუხობს: „შესაძლოა არა მანამ, სანამ პროდუქტი, რომელსაც ჩემი შრომა უმატებს საწარმოს სხვა შემოსავლებს, ჩემი ხელფასის ტოლია“[31]. ნათქვამის დასადასტურებლად, ამ წიგნის 21-ე თავის ბოლოს ჩვენ მაინც ვპოულობთ აზრს იმის შესახებ, რომ „განურჩევლობის ზონაში“ მეწარმე იზიდავს „ძალზედ მცირე დამატებით მუშებს ძველი ანაზღაურებით, ზარალის გარისკვის გარეშე“, ვინაიდან „ამ ადამიანის (ზღვრულის-ი.ი.) პროდუქტი... გამოხატავდა ხელფასის დონეს“[32].

ზღვრული მწარმოებლურობის შინაარსობრივი ნაწილის გადმოცემისას ჯ. ბ. კლარკისთვის აღსანიშნავია ის გარემოება, რაც საკუთარი პოზიციის დამტკიცებით კაპიტალის სარგებლის წარმომავლობის ბუნების შესახებ, მას არ დაავიწყდა შეეხსენებინა და არსებითად მხარი დაეჭირა ბემ-ბავერკის დიდად მსგავს მსჯელობას „მოლოდინის თეორიაში“. კერძოდ, „სიმდიდრის განაწილების“ ავტორი ვარაუდობს, რომ ავსტრიელი პროფესორის დოვლათის წარმოების „შემოვლითი გზა“ გვიჩვენებს კაპიტალის გამოყენების უდაო უპირატესობებს, რამდენადაც უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ მუშაობის შედეგები, იმავე მუშაობასთან შედარებით „მიშველი ხელებით“, თუმცა ამისთვის აუცილებელია ნინასწარ დაიხარჯოს „გარკვეული დრო“, რომლის განმავლობაშიც იქმნება კაპიტალში განსახიერებული „იარაღები“. ამ მიზეზით, თანხმდება ამერიკული სკოლის ლიდერი „პროდუქტის გადიდება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ირიბად ამას აკეთებს მის წარმოებაზე დახარჯული დროც“, ე.ი. „შემოვლითი ანუ შრომის გამოყენების დროის მომთხოვნი ხერხი უზრუნველყოფს ეფექტიან კაპიტალურ დოვლათს“ და... ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დრო მწარმოებლურია“, რომ ცვალებადი კაპიტალური დოვლათის პერმანენტული შემადგენლობა - კაპიტალი სიტყვის ნამდვილი გაგებით-ათავისუფლებს ადამიანებს მოლოდინისგან“[33].

მაგრამ პრინციპში *ჯ. ბ. კლარკის ზღვრული მწარმოებლურობის „კანონიდან“ შესაძლოა წარმატებული დასკვნა იმის შესახებ, რომ წარმოების ფაქტორის ფასი განპირობებულია მისი შედარებითი დეფიციტურობით.* ეს კერძოდ, გვიბიძგებს აზრისკენ, რომ „სამართლიანი ხელფასი“ ყოველთვის შეესაბამება შრომის ზღვრულ მწარმოებლურობას, ხოლო უკანასკნელი შესაძლოა შე-

დარებით ნაკლები იყოს მეორე უფრო მწარმოებლურ ფაქტორზე, ე.ი. კაპიტალზე. თვით ჯ. ბ. კლარკი, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ აცნობიერებდა მისი თეორიიდან გამომდინარე დასკვნას, დარწმუნებული რჩებოდა რომ „თუკი ისინი (მშრომელი მასები-ი.ი.) ქმნიან მცირე სიმდიდრის თანხას და მას მთლიანად იღებენ, მათთვის აზრი არა აქვს სოციალურ რევოლუციას...“[34]. მაგრამ ჭეშმარიტება, რა თქმა უნდა, სხვაშია. როგორც მ. ბლაუგი წერს, „სინამდვილეში არ არსებობს არანაირი ცალკე აღებული წარმოებრივი ფაქტორი: წარმოების ფაქტორები არსებითად კონგლომერატულებია, და ნებისმიერი მათგანის ზღვრული პროდუქტი ყველა დანარჩენ ფაქტორთა ზღვრული პროდუქტების შედეგს წარმოადგენს“[35]. ამ თეორიის მიუღებლობას ჩვენ ასევე ვხედავთ ბ. სელიგმენთან, როგორღაც: „არ არსებობს იმისი არანაირი გარანტია, რომ ხალხი ანაზღაურებას მიიღებს ზღვრული მწარმოებლურობის დროით გაშუქებული თეორიის შესაბამისად“[36].

სინამდვილეში, თუკი დავუშვებთ რომ კაპიტალის სიდიდე მუდმივია, ხოლო შრომის რაოდენობა იცვლება (ხოლო ასეთი დასმის დროს ზღვრული მწარმოებლურობის თეორია გამოყენებადია ხელფასის დონის გამოვლენისადმი), მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შრომა ანაზღაურდება მისი ზღვრული პროდუქტის შესაბამისად? მეტადრე, არა, იმიტომ, რომ რეალურ სინამდვილეში შრომის დიდი რაოდენობა განაპირობებს, როგორც წესი, არა უბრალოდ კაპიტალის მოცულობის რაოდენობრივ გადიდებას, არამედ მის თვისებრივ ცვლილებას და მეტ მრავალფეროვნებას. გარდა ამისა, კაპიტალის გადიდებას საწარმოში თან ახლავს, როგორც ისევ ერთგვაროვანი წარმოების კონცენტრაცია, ისე თითქმის ყოველთვის ერთდროულად წარმოების სპეციალიზაცია (საგნობრივი, დეტალური, და ტექნოლო-გიური), რომელიც მოითხოვს შრომის განსაზღვრულ მატებას.

ამრიგად, ჯ. ბ. კლარკის „კანონის“ არსი შემდეგზე დაიყვანება: წარმოების ფაქტორი- შრომა ან კაპიტალი - მანამ შეიძლება გაიზარდოს, სანამ ამ ფაქტორით წარმოებული პროდუქტის ღირებულება არ გაუტოლდება მისსავე ფასს (მაგალითად, მომუშავეთა რაოდენობა საწარმოში შეიძლება გავზარდოთ მხოლოდ განსაზღვრულ ზღვრამდე, ე.ი. სანამ მოცემული ფაქტორი არ შევიდა „გაწურჩევლობის ზონაში“). ამ „კანონის“ მოქმედება მეურნეობრიობის პრაქტიკაში გულისხმობს, რომ წარმოების ფაქტორის გადიდების სტიმული ამონურავს საკუთარ თავს, როდესაც ამ ფაქტორის ფასი იწყებს გადამეტებას მეწარმის შესაძლო შემოსავლებზე. მაშასადამე, ჯ. ბ. კლარკი იმავდროულად წარმოადგენს თანამედროვე თეორიების წინამორბედსაც, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციის პრობლემატიკით.

16.3. ვ. პარეტოს ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის კონცეფცია

ვილფრედო პარეტო (1848-1923) - ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის დიდი იტალიელი წარმომადგენელი, მარჟინალიზმის ლოზანის სკოლის ტრადიციების გამგრძელებელი. ამ მეცნიერს, ეკონომიკასთან ერთად აინტერესებდა ასევე, პოლიტიკა და სოციოლოგია, რაც მისი პუბლიკაციების მრავალფეროვანებაშიც აისახა. ვ. პარეტოს მთავარ ნაშრომებს მიეკუთვნება „პოლიტიკური ეკონომიის კურსი (ორტომეული)" (1898), „პოლიტეკონომიის სწავლება (1906)" და „ზოგადი სოციოლოგიის ტრაქტატი"(1916).

იგი დაიბადა 1848 წლის 15 ივლისს პარიზში. მისი ბაბუას თავადის ტიტულის მფლობელი, 1811 წელს იმპერატორი ნაპოლეონის დროს ბარონად იქნა წოდებული. მამა რესპუბლიკური შეხედულებებისთვის გააძევეს იტალიიდან, დაქორწინდა პარიზში მარი მეტენიეზე, რომელიც ვილფრედოს დედა გახდა.

1850 წელს ვ. პარეტოს ოჯახს ნება დართეს იტალიაში დაბრუნებაზე, სადაც მან საშუალოს შემდეგ, უმაღლესი საინჟინრო განათლება მიიღო, დაამთავრა ტურინში პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (1869) სადიპლომო ნაშრომით თემაზე „მყარი სხეულების წონასწორობის ძირითადი პრინციპები".

ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი ვ. პარეტო (1874-1892) დაკავშირებულია აქტიურ პრაქტიკულ საქმიანობასთან ფლორენციაში. *მან გაიარა კარიერა გზების ინჟინრიდან, იტალიის მეტალურგიული ქარხნების მთავარ მმართველამდე*, არაიშვიათად სამსახურებრივ საქმეებზე დადიოდა საზღვარგარეთ, მათ შორის ინგლისში, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მისი, როგორც დემოკრატის და *ეკონომიკური ლიბერალიზმის მომხრის* პოზიციების გამყარებაზე.

ვ. პარეტოს მეცნიერული ინტერესების წრე მკვეთრად გაფართოვდა 1891 წელს, როდესაც მის მიერ მოწონებული ნაშრომის - „წმინდა ეკონომიკის პრინციპების"- ავტორმა მაფეო პანტელეონიმ გააცნო მას ლ. ვალრასის, ო. კურნოს, და ფ. ეჯუორთის ნაშრომები. იმავე წელს იგი გაეცნო ლ. ვალრასს. შედეგად 1892-1894 წწ. ნერს რიგ სტატიებს ეკონომიკურ თეორიაში.

ვ. პარეტოს მეცნიერული მომავალი წინასწარ გადაწყვიტა ლ. ვალრასმა, რომელმაც მას 1892 წელს პოლიტიკური ეკონომიის კათედრა შესთავაზა ლოზანის უნივერსიტეტში. ხოლო 1893 წელს უკვე შედგა მისი დანიშვნა ამ კათედრის პროფესორის თანამდებობაზე, შემდეგ ამას მოჰყვა აღნიშნული მსხვილი მეცნიერული პუბლიკაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ 1898 წელს ვ. პარეტომ ბიძისგან მემკვიდრეობით მიიღო დიდი ქონება, რომელიც არსებითი დამხმარე გახდა მისი გატაცებისთვის მეცნიერული კვლევების სფეროში. 1901 წელს იგი ყიდულობს ვილას ჟენევის ტბის სანაპიროზე და გადაწყვეტს იქ დასახლებას.

ჯანმრთელობის გარკვეული გაუარესების შემდეგ, 1907-1908 წლებში პარეტო პოლიტიკური ეკონომიის კურსის წასაკითხად იწვევს პასკალ ბონენზენის, ხოლო 1912 წელს მას გადასცემს ამ კურსს მთლიანად და თვითონ მხოლოდ სოციოლოგიის შემცირებულ კურსს ინარჩუნებს. თავისი უკანასკნელი ლექცია სოციოლოგიაში მან 1916 წელს წაიკითხა.

1918 წელს ლოზანის უნივერსიტეტში აღნიშნეს ვ. პარეტოს 70-წლის იუბილე.[37].

1923 წ. ვ. პარეტო ინიშნება იტალიის სამეფოს სენატორად. ორ სტატიაში იგი მთლიანად პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავს ფაშიზმისადმი, მისგან ლიბერალიზაციის მოთხოვნით.

ვ. პარეტო გარდაიცვალა 1923 წლის 19 აგვისტოს სელინიში, სადაც დაკრძალეს კიდევაც.

მეთოდოლოგიური პოზიციების თავისებურებები

ვ. პარეტო, ისევე, როგორც ლ. ვალრასი, სულ უფრო მეტად კონცენტრირებული იყო *ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის პრობლემათა გამოკვლევაზე*, გამომდინარე, ისე, როგორც იგი, ეკონომიკური ანალიზის მარჟინალური იდეიდან. ამასთან ერთად, წონასწორობითობის ფაქტორების წანამძღვრების შესწავლის თვისებრივად ახალი პრინციპები საშუალებას გვაძლევენ ვ. პარეტო (განსხვავებით ლ. ვალრასისგან) ჩავთვალოთ „მეორე ტალღის" მარჟინალისტად და, შესაბამისად, ნეოკლასიკური ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

არა კაუზალურ, არამედ ფუნქციონალურ მიდგომაზე დაყრდნობით, *პარეტომ დაძლია ლ. ვალრასისადმი დამახასიათებელი სუბიექტივიზმი*, რამაც საშუალება მისცა მას უარი ეთქვა სარგებლიანობაზე (მოთხოვნილებაზე), როგორც გაცვლის ერთადერთ მიზეზზე და გადასულიყო ეკონომიკური სისტემის დახასიათებაზე მთლიანად, სადაც *მოთხოვნაც (მოხმარება) და მიწოდებაც (წარმოება) განიხილებიან, როგორც წონასწორობის ელემენტები ეკონომიკაში*. ამასთან, მხარს უჭერდა რა „წმინდა" ეკონომიკურ თეორიას, ვ. პარეტო *უარყოფს კლასებს შორის შემოსავლების უთანაბრობის განპირობებულობას მათი განაწილების პრობლემით*. ასე მაგალითად, ნაშრომში „სოციალისტური სისტემები" (1902) იგი წერდა: „ღარიბი კლასების კეთილდღეობის ზრდის პრობლემა მეტადრე სიმდიდრის ნარმოებისა და შენარჩუნების პრობლემაა,

ვიდრე განანილებისა"[38]. გარდა ამისა, მისი რწმენით, თუმცა *„მეცნიერების ისტორია კომპეტენტური ადამიანების შეცდომათა ისტორიაზე დაიყვანება"*, მაგრამ მიუხედავად ამისა, „სწორედ კონკრეტული მოვლენა გადაწყვეტს მიიღონ თუ უარყონ თეორია. არ არსებობს და არც შეიძლება იყოს თეორიის ჭეშმარიტების სხვა კრიტერიუმი, გარდა მისი მეტი ან ნაკლებად სრული თანხმობისა კონკრეტულ მოვლენებთან"[39].

წონასწორობის მიღწევის კრიტერიუმი

თუკი ლ. ვალრასის ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის მოდელში მისი მიღწევის კრიტერიუმად სარგებლიანობის მაქსიმიზება ითვლებოდა, რომელიც გაზომვას არ ექვემდებარება, ვ. პარეტოს მოდელში ეს კრიტერიუმი შეცვლილია, სახელდობრ *კონკრეტული ინდივიდის მჯობინებათა თანაფარდობის გაზომვის შეფასებით, ე.ი. როგორც მათემატიკაში ამბობენ, რიგით (ორდინარულ) სიდიდეთა გამოყენით, რომელიც ახასიათებს მათ რიგითობას.* მისი მისაზრებით, რომელიც გადმოცემულია „ზოგადი სოციოლოგიის განმარტებაში", „თუკი სარგებელი, რომელიც ამოიღება თითოეული ინდივიდის მიერ, ერთგვაროვანი სიდიდე იქნებოდა და, მაშასადამე, შედარებას, შეკრებას დაექვემდებარებოდა, ჩვენი გამოკვლევა ძნელი იქნებოდა, უკიდურეს შემთხვევაში თეორიულად. შევკრებდით სხვადასხვა ინდივიდების სარგებელს და მივიღებდით კოლექტივის მათგან შემდგარ სარგებელს... მაგრამ საქმე არც იმდენად მარტივად არის. *ყოველი ინდივიდის სარგებელი- სპეციფიკური სიდიდეა; არანაირი აზრი არა აქვს საუბარს ჯამური სარგებლიანობის შესახებ, იგი უბრალოდ არ არსებობს და მისი განხილვა არ შეიძლება*"[40].

ორმოცზე მეტი წლის შემდეგ (1959), ვ. ვ. ლეონტიევი აღნიშნავდა სამ არსებით პოზიციას ამ არაშემცირებადი აქტუალობის მქონე პრობლემასთან დაკავშირებით, სახელდობრ: „ზოგიერთი თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ სარგებლიანობა არსებობს და მართლაც შეიძლება გაიზომოს, როგორც ფოლადი ან პური, თუმცა სხვადასხვა ადამიანებისადმი გამოყენებული საზომები არ შეიძლება შედარდეს ერთმანეთთან. სხვა მეცნიერები უარყოფენ ნებისმიერ მსგავს რაოდენობრივ (კარდინალურ) გაზომვას თუნდაც ერთი ადამიანისაც კი. ისინი ამტკიცებენ, რომ ინდივიდს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს ან შეადაროს სარგებლიანობათა მნიშვნელობები მხოლოდ რიგით შკალაში (ორდინალური მიდგომა), როგორც მაგალითად შეუძლებელია ტკივილის გაზომვა, არამედ შეიძლება მისი გაძლიერება, ან შესუსტება. დაბოლოს, არიან მკვლევარები, რომელთაც საერთოდ არ აწუხებს კითხვა იმის შესახებ, არსებობს თუ არა საერთოდ სარგებლიანობა და შეიძლება თუ არა მისი გაზომვა. ისინი ვარაუდობენ, რომ მომხმარებლის ქცევა (მა-

გალითად სხვადასხვა საქონელთა შესყიდვების და სამუშაოთა მოცულობის გაზომვა უნდა შესრულდეს შემოსავლის მისაღებად, რომლითაც ხორციელდება შესყიდვები) შეიძლება აიხსნას ისეთი ცნებისადმი მიმართვის გარეშე, როგორიცაა „სარგებლიანობა“. მართალია, საკუთარი პოზიცია ამასთან დაკავშირებით ვ. ვ. ლეონტიევმა ასახა რამდენიმე წლით ადრე (1954) სტატიაში „მათემატიკის გამოყენება ეკონომიკაში“, რომელშიც ნათქვამია, „რამდენადაც საქონელთა შერჩევის დროს მომხმარებელთა ქცევისადმი დაკვირვება ინფორმაციის ერთადერთ ობიექტურ წყაროდ რჩება სარგებლიანობის ფუნქციის სახეობის შესახებ, მის სხვადასხვა დონეთა რიგობითი შედარება ერთადერთი რეალური პროცედურაა, რომელიც საჭირო არ არის გამოკვლევის მიზნებისთვის“[41].

ვ. ვ. ლეონტიევის ანალოგიურ დასკვნას აკეთებს მ. ბლაუგიც, რომელიც ამტკიცებს: „ნათელია, რომ თუკი ჩვენ არ შეგვიძლია სარგებლიანობის გაზომვა რაოდენობრივად და ამიტომ, ვგრძნობთ აუცილებლობას უარი ვთქვათ ზღვრული სარგებლიანობის ძველ თეორიაზე, მაშინ არ არსებობს განსაკუთრებული საწინააღმდეგო აზრი გადავიდეთ სრული ბიჰევიორიზმის პოზიციაზე, ე.ი. გამოვლენილ მჯობინებათა მეთოდზე“[42].

„განურჩევლობის მრუდები“ და მოთხოვნილებათა რანჟირება

გამოკვლევის მიზნებისთვის ვ. პარეტო იხილავს მომხმარებლის არჩევანს, როგორც მოცემული დოვლათის რაოდენობისგან, ისე ყველა სხვა რესურსის რაოდენობისგან დამოკიდებულებით, „განურჩევლობის მრუდების“ გამოყენებით, რომლებიც ასახავენ საქონელთა ჯამური სარგებლიანობების შენარჩუნებას მათი შეხამების სხვადასხვა კომბინაციებში და ერთ კომბინაციათა უპირატესობას სხვათა მიმართ. შედეგად გამოჩნდა პარეტოსეული სამგანზომილებიანი დიაგრამები, რომელთა ღერძებზე განთავსდება მომხმარებელთა ხელთ არსებული ერთი და მეორე დოვლათის არაერთნაირი რაოდენობა. მათი გამოყენებით შეიძლება თვალყური მივადევნოთ ინდივიდის მიერ საკუთარ მჯობინებათა რანჟირების წესს (თანმიმდევრულობას), გამოვავლინოთ მისი განურჩევლობა დროის კონკრეტულ მომენტში ორ ალტერნატიულ დოვლათს შორის (ე.ი. მათი ისეთი კომბინაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო დაკმაყოფილების ერთნაირ დონეს), ვინაიდან ცხადია, რომ ცნება „განურჩევლობის“ მეშვეობით რაიმეს პირდაპირ გაზომვა შეუძლებელია. როგორც ვ. ვ. ლეონტიევმა აღნიშნა, წონასწორობის კლასიკური ცნება გულისხმობს დიდი რაოდენობის ამოსავალი მონაცემების არსებობას, *განურჩევლობის მრუდების* ჩათვლით, „რომლებიც ერთდროულად აღწერენ წარმოების მოცულობებს, ფასებს და სისტემის ყველა სხვა ცვლადებს“[43].

„პარეტოს ოპტიმუმი“

თავის „პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებაში“ ვ. პარეტომ უარი თქვა სარგებლიანობის დახასიათების ტრადიციულ რაოდენობრივ მიდგომებზე, სარგებლიანობის პიროვნებათშორის შედარებათა საფუძველზე, ჩამოაყალიბა რა საზოგადოებრივი მაქსიმალური სარგებლიანობის ცნება, ე.ი. ის ცნება, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ახლა „პარეტოს ოპტიმუმად“ იწოდება. ეს ცნება გამიზნულია *ისეთ ცვლილებათა შესაფასებლად, რომლებიც ან აუმჯობესებენ ყველას კეთილდღეობას, ან არ აუარესებენ ყველას კეთილდღეობას, უკიდურეს შემთხვევაში ერთი ადამიანისას.*

„პარეტოს ოპტიმუმის“ კონცეფცია, ამრიგად, საშუალებას იძლევა *ოპტიმალური გადაწყვეტილება მივიღოთ მოგების მაქსიმიზებისთვის* (შესაბამისად სარგებლიანობისაც), თუკი მოხმარების ოპტიმალური კომბინაციის თეორიული არგუმენტაცია ემყარება ისეთ წანამძღვრებს, როგორიცაა: საკუთარი კეთილდღეობის მხოლოდ პირადი შეფასება; საზოგადოებრივი კეთილდღეობის განსაზღვრა ცალკეულ ადამიანთა კეთილდღეობის მეშვეობით; ცალკეულ ადამიანთა კეთილდღეობის შეუთავსებლობა.

მ. ბლაუგის სიტყვებით თუ ვისაუბრებთ, „პარეტოს ოპტიმუმი განისაზღვრება როგორც მდგომარეობა, რომელშიც შეუძლებელია ვინმეს კეთილდღეობის გაუმჯობესება საქონელთა და მომსახურების ტრანსფორმაციის გზით წარმოების ან გაცვლის პროცესში, რომელიმე ინდივიდის კეთილდღეობის დაზიანების გარეშე. მისი აზრით, „პარეტოს ოპტიმუმი“ შეიძლება დაფიქსირდეს ისეთ სიტუაციაშიც, რომელიც მოითხოვს „სამომხმარებლო ნამეტის გაზომვას ფულში“. იგი წერს: „ცვლილება, რომელიც სარგებლიანია ზოგიერთი ადამიანებისთვის, მაგრამ აზიანებს სხვებს, ახლა შეიძლება საერთო კეთილდღეობის მატებად ჩაითვალოს, თუკი მოგებულებს შეუძლიათ ზარალის კომპენსირება წაგებულებისთვის ისე, რომ უკანასკნელები ნებაყოფლობით მიიღებენ ამ ცვლილებას; მას შემდეგ რაც საკომპენსაციო გადასახდელები გახორციელებულია, მოგებულებისთვის მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო წაგებულთათვის უარესდება“[44].

3. პარეტოს წონასწორობის მოდელი და თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება

ლ. ვალრასის მოდელისაგან განსხვავებით, ვ. პარეტო აანალიზებს არა მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკას, არამედ ასევე, მონოპოლიური ბაზრების სხვადასხვა ტიპებს, რაც ეკონომისტების გამოკვლევის დამოუკიდებელი ობიექტი გახდა მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, ე.ი. XX საუკუნის შუახა-

ნებში. გარდა ამისა, შემდგომში, ვ. ლეონტიევის სიტყვებით, ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელიც „სრულყოფილი და გაფართოებული იყო ვილფრედო პარეტოს და მის თანამედროვეთა და მიმდევრების მიერ, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი თეორია თანდათანობით უერთდებოდა (და ეს გვპირდება გახდეს უნიფიცირებული სტრუქტურა) ანალიზის ორ სხვა მიმართულებას: საბაზრო მექანიზმის თეორიას და ფირმის და საოჯახო მეურნეობის ქცევის ანალიზს“ [45].

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რაში მდგომარეობს საბაზრო ფასის დახასიათების სიახლე ა. მარშალის განმარტებაში?
2. როგორია ა. მარშალის მსჯელობები ფაქტორების „ფასი“, „მოთხოვნა“ და „მიწოდება“ ფუნქციონალური ურთიერთკავშირის შესახებ?
3. რა გამოავლინა ა. მარშალმა ფასების ცვლილებისგან მოთხოვნის მოცულობის დამოკიდებულებასთან კავშირში?
4. როგორი ფაქტორებით არის განპირობებული მოთხოვნის ელასტიურობის ხარისხი?
5. გახსენით ა. მარშალის მიერ დადგენილი კანონზომიერებების არსი წარმოების წილობრივი დანახარჯების დამოკიდებულებასთან დაკავშირებით წარმოების მოცულობათა გადიდებისგან.
6. რა კრიტერიუმს აყენებს ა. მარშალი დანახარჯების მუდმივ და ცვალებადად დაყოფით?
7. როგორ ახასიათებს ჯ. ბ. კლარკი წარმოების სტატიკურ ტიპს?
8. კლარკის მიხედვით, რომელი ფაქტორები განაპირობებენ დინამიურ პირობებს?
9. რაში მდგომარეობს ჯ. ბ. კლარკის „ზღვრული მწარმოებლურობის კანონის არსი“?
10. ვ. პარეტომ როგორ დაძლია სუბიექტივიზმი ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის პრობლემის გამოკვლევაში?
11. რა კრიტერიუმი მიიღო ვ. პარეტომ თავის მოდელში სარგებლიანობის მაქსიმიზების მისაღწევად?
12. რას ახასიათებენ ვ. პარეტოს „განურჩევლობის მრუდები?“
13. გადმოეცით ვ. პარეტოს კონცეფციის არსი და დანიშნულება საზოგადოებრივი სარგებლიანობის შესახებ („პარეტოს ოპტიმუმი“).

განყოფილება მეოთხე
რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების ეპოქის ეკონომიკური მოძღვრება

ნაწილი პირველი. ეკონომიკასა და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე საზოგადოების სოციალური კონტროლის თეორიების ჩასახვა

თავი 17. ეკონომიკური აზრის სოციალურ-ინსტიტუციონალური მიმართულების წარმოშობა

ამ თავის შესწავლით თქვენ გეცოდინებათ:

- რა არის ინსტიტუციონალიზმი და რაში მდგომარეობს მისი განსხვავება ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულებებისგან;
- რაში მდგომარეობს ინსტიტუციონალიზმის შიგა მიმდინარეობათა თავისებურებები;
- როგორ არის შესაძლებელი საზოგადოების სოციალური კონტროლი ეკონომიკაზე;
- ინსტიტუციონალიზმი რატომ არის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიის ერთ-ერთი წინამორბედი.

17.1. ინსტიტუციონალიზმის წარმოშობის წანამძღვრები და ზოგადი ნიშნები

XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ის სწავლულმა ეკონომისტებმა, ეკონომიკაში გაძლიერებული მონოპოლისტური ტენდენციების ანალიზით და საკუთარი ქვეყნის „ანტიტრესტულ" პოლიტიკაზე ზემოქმედების გააქტიურებით, ეკონომიკაზე სოციალური კონტროლის კონცეფციის ლიდერის სტატუსი შეიძინეს, რომელიც მრავალფეროვანი მეთოდებით ხორციელდება. მათმა თეორიებმა სათავე დაუდეს ეკონომიკური აზრის ახალ მიმართულებას, რომელსაც ახლა *სოციალურ-ინსტიტუციონალურ ანუ მარტივად ინსტიტუციონალიზმს უწოდებენ.*

შესწავლის საგანი

ინსტუციონალიზმი - ეს განსაზღვრული აზრით, *ეკონომიკური თეორიის ნეოკლასიკური მიმართულების ალტერნატივაა.* თუკი ნეოკლასიკოსები სმითისეული თეზისიდან გამოდიან საბაზ-

რო სამეურნეო მექანიზმის სრულყოფილების და ეკონომიკის თვითრეგულირების შესახებ და „წმინდა ეკონომიკურ მეცნიერებას" ემხრობიან, მაშინ *ინსტიტუციონალისტები ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად მატერიალურ ფაქტორებთან ერთად, ასევე სულიერ, ზნეობრივ, სამართლებრივ და სხვ. ფაქტორებს თვლიან, რომლებიც ისტორიულ კონტექსტში განიხილებიან.* სხვა სიტყვებით, ინსტიტუციონალიზმი თავისი ანალიზის საგნის სახით აყენებენ სოციალ-ეკონომიკური განვითარების, როგორც ეკონომიკურ, ისე არაეკონომიკურ პრობლემებს. ამასთან, *გამოკვლევის ობიექტები - ინსტიტუტები, პირველადად და მეორეულად არ იყოფიან და ერთმანეთს არ უპირისპირდებიან.*

ამერიკელმა ეკონომისტმა და ეკონომიკური აზრის ისტორიკოსმა რ. ჰეილბრონერმა, მსჯელობდა რა იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორია „გადაიქცა სოციალურ მეცნიერებათა დედოფლად" და „სოციალურ გამოკვლევათა ერთადერთი დარგი გახდა, რომლითაც ნობელის პრემია ენიჭებათ" და თუ ვიტყვით, რომ „ეკონომიკური მეცნიერება ბოლოსდაბოლოს გამოვიდა ადრინდელი მეფობის საზღვრებიდან - წარმოებისა და განაწილების მეფობიდან - და ახლა შეუძლია განაცხადოს თავისი უფლებები და ფართო ტერიტორია, რომელიც ოჯახური ურთიერთობებიდან სპორტამდე, ანტროპოლოგიიდან სახელმწიფო სამართლამდე არის განფენილი", ცხადია მხედველობაში აქვს სწორედ ინსტიტუციონალიზმის „დამსახურებები"[1].

რაღაც მსგავსს ჩვენ ვხედავთ მ. ბლაუგთან, რომელიც წერს ასე: „სამომხმარებლო ქცევის ტრადიციული თეორია...უარყოფილ უნდა იქნეს მოხმარების ფართო სოციალ-ეკონომიკური თეორიის სასარგებლოდ. კრიტიკის ეს სახეობა ისევ და ისევ ჟღერს გატაცების სხვადასხვა ხარისხით ამერიკული ინსტიტუციონალური სკოლის მომხრეთა მხრიდან, რომ არაფერი ვთქვათ მარქსისტებზე". გარდა ამისა, მისი შეხედულებით, ინსტიტუციონალისტების მცდელობამ „ეკონომიკური მეცნიერების გამოკვლევის სფეროს გაფართოების შესახებ" განაპირობა „ამასწინათ აღმოცენებული ინტერესი კიბერნეტიკისადმი, ოპერაციების გამოკვლევისადმი, მართვის თეორიისადმი, ორგანიზაციის თეორიისადმი და სისტემების ზოგადი თეორიისადმი"[2].

მეთოდოლოგიის თავისებურებები

მეთოდოლოგიის სფეროში ინსტიტუციონალიზმს, მრავალ მკვლევართა აზრით, მრავალი საერთო აქვს გერმანიის ისტორიულ სკოლასთან. მაგალითად, ვ. ლეონტიევი წერს, რომ ამერიკული ეკონომიკური აზრის გამოჩენილმა ნარმომადგენლებმა ტ. ვებლენისა და უ. მიტჩელის მხედველობაში მიღებით, „ეკონომიკურ მეც-

ნიერებაში რაოდენობრივი ანალიტიკური მეთოდების თავიანთ კრიტიკაში გააგრძელეს გერმანული ისტორიული სკოლის საერთო ხაზი. ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საუკუნეთა გზაგასაყარზე გერმანული სკოლის ზეგავლენა აშშ-ში იმდენად დიდი იყო, და შესაძლოდ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ინგლისურის ზეგავლენა".

მაგრამ, ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიზმი და სოციალური გარემოს ფაქტორთა გათვალისწინება ეკონომიკური ზრდის გზების დასაბუთებისთვის თუმცა კი *ინსტიტუციონალიზმის და გერმანიის ისტორიული სკოლის სიმპოლიზებას ახდენს, მაგრამ უკანასკნელის ტრადიციების სრულ და უსიტყვო მემკვიდრეობითობას სრულებითაც არ ნიშნავს.* და მიზეზები აქ რამდენიმეა. ჯერ-ერთი, იმყოფებოდა რა ა. სმითის თეორიული ზეგავლენის ქვეშ, XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანელი ავტორები მთლიანად მხარს უჭერდნენ პრუსიის იუნკრულ წრეებს, მათ ბრძოლაში თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ლიბერალიზმის სხვა პრინციპების განსამტკიცებლად გერმანიაში, მეწარმეთა შეუზღუდავი თავისუფალი კონკურენციის აუცილებლობის ჩათვლით. მეორე, ისტორიზმი გერმანული სკოლის გამოკვლევებში უპირატესად საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა ბუნებრივი ხასიათის განმტკიცებასა და ეკონომიკაში ავტომატური წონასწორობის დამყარების შესახებ დებულების მხარდაჭერის გამოვლენაში მდგომარეობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე. და მესამე, გერმანიის ისტორიული სკოლის ნაშრომებში არ დაიშვებოდა ასევე გადაკრული სიტყვით ეკონომიკის რეფორმირების შესაძლებლობები საზოგადოების ცხოვრებაში, „თავისუფალი მეწარმეობის" შემზღუდველ პრინციპებზე.

ინსტიტუციონალიზმი, ამრიგად წარმოადგენს, ეკონომიკური აზრის პრინციპულად ახალ მიმართულებას. მან *საკუთარ თავში განასახიერა ეკონომიკური თეორიის წინამორბედი სკოლების საუკეთესო თეორიულ-მეთოდიკური მიღწევები* და, უწინარეს ყოვლისა მათემატიკისა და მათემატიკურ აპარატზე დამყარებული ნეოკლასიკოსების ეკონომიკური ანალიზის მარჟინალური პრინციპები (ეკონომიკის განვითარების გამოვლენის და ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებების ნაწილში), და ასევე გერმანიის ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები (საზოგადოების „სოციალური ფსიქოლოგიის" პრობლემათა გამოკვლევისთვის).

დიდწილად მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს მ. ბლაუგი, რომლის მოსაზრებით, „ცდილობდა რა ინსტიტუციონალიზმის არსის განსაზღვრას", ჩვენ აღმოვაჩენთ სამ ნიშანს, რომელიც მეთოდოლოგიის სფეროს მიეკუთვნება:

1) აბსტრაქციის მაღალი დონით დაუკმაყოფილებლობა, რომელიც ნეოლკლასიციზმ-მისთვის და განსაკუთრებით, ფასების ორთოდოქსული თეორიის სტატიკური თავისებურებისთვის არის დამახასიათებელი;

2) ეკონომიკური თეორიის ინტეგრაციისაკენ მცდელობა სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებასთან, ან „დისციპლინარული მიდგომის უპირატესობის ცნება“;

3) კლასიკური და ნეოკლასიკური თეორიების არასაკმარისი უკმაყოფილების ემპირიულობა, დანვრილებითი რაოდენობრივი გამოკვლევებისადმი მოწოდება“[4].

ზოგიერთი შეფასებით, ეკონომიკური აზრის ინსტიტუციონალური მიმართულების დროის აღრიცხვა უნდა დავიწყოთ თ. ვებლენის მონოგრაფიის „თავისუფალი კლასის თეორიის“ გამოქვეყნებიდან[5], ე.ი. 1899 წლიდან. მაგრამ, მოგვიანებით ჯ. კომონსის, უ. მიტჩელის არანაკლები მნიშვნელობის მქონე პუბლიკაციების გამოჩენის გათვალისწინებით, რომელთაც ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში რაღაც ახალი მიმდინარეობის წარმოშობა გამოხატეს, ეკონომიკური თეორიის ამ მიმართულების მკაფიო იდეებისა და კონცეფციების ერთ მთლიანობაში ჩამოყალიბების პერიოდი მაინც XX საუკუნის 20-30-იან წლებზე მოდის.

დასახელებულ ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომები და მათი მიმდევრები აერთიანებს *ანტიმონოპოლიურ მიმართულობას, ეკონომიკურ ზრდაზე მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას.* ამასთან, ბოლო ნაწილში შეიძლება გავიხსენოთ *„ბიზნესზე საზოგადოების კონტროლის“* გაძლიერების მოთხოვნილება, რომელიც ჯ. ბ. კლარკმა 1926 წელს გამოცემული ერთსახელიანი წიგნის სათაურშიც კი გამოიტანა. როგორც ფ. ჰაიეკი წერდა, „თუკი მონოპოლიები რომელიღაც სფეროში გარდაუვალია, მაშინ საუკეთესოა გადაწყვეტილება, რომელთაც უკანასკნელ პერიოდამდე უპირატესობას ანიჭებდნენ ამერიკელები, - ძლიერი მთავრობის კონტროლი კერძო მონოპოლიებზე. ამ კონცეფციის ცხოვრებაში თანამიმდევრული გატარება გაცილებით უფრო პოზიტიურ შედეგებს გვპირდება, ვიდრე უშუალო სახელმწიფო მმართველობა“[6].

ტერმინის „ინსტიტუციონალიზმი“ საფუძველია ცნება *„ინსტიტუტის“* ერთ-ერთი განმარტება. უკანასკნელი, ინსტიტუციონალისტების მიერ *პირველადი ელემენტების სახით განიხილება, როგორც საზოგადოების მამოძრავებელი ძალა ეკონომიკაში და მის გარეთ.* ინსტიტუციონალიზმის იდეოლოგიის ინსტიტუტებს მიეკუთვნება ასევე სრულიად მრავალფეროვანი კატეგორიები და

მოვლენები (მაგალითად, სახელმწიფო, მეწარმეობა, მონოპოლიები, კერძო საკუთრება, პროფკავშირები, რელიგია, ვნებები და ა.შ.), რომელიც განსაზღვრავს წეს-ჩვეულებებს, ჩვევებს, ეთიკას, სამართლებრივ გადაწყვეტილებებს, საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას და რაც მთავარია - ეკონომიკის ევოლუციას.

17.2. ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებელთა რეფორმების კონცეფცია

ინსტიტუციონალიზმის სამ აღნიშნილ მიმდინარეობაში თ. ვებლენი მეთაურობს ინსტიტუციონალური გამოკვლევების *სოციალურ-ფსიქოლოგიურ* (ტექნოკრატიულ) ვარიანტს, ჯ. კომონსი - *სოციალურ-სამართლებრივ* (იურიდიულ) ვარიანტს, უ. მიტჩელი - *კონიუნქტურულ-სტატისტიკურ* (ემპირიულ-საპნოგნოზო) ვარიანტს.

თორსტეინ ვებლენი (1857-1929) - მნიშვნელოვანი რაოდენობის დიდი ნაშრომების ავტორი ეკონომიკისა და სოციოლოგიის სფეროებში, რომლებშიც იგი გამოდის ჩ. დარვინის ბუნების ევოლუციის თეორიიდან, *ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობიდან, მათ შორის ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიურიდან*[7]. მისმა თეორიულმა მემკვიდრეობამ ყველაზე მეტი პოპულარობა და გამოყენება მოიპოვა ეკონომიკური აზრის შემდგომი რიგი სოციალურ-ინსტიტუციონალური მიმართულების შემოქმედებითი ძიების კალაპოტში მის სამივე მიმდინარეობაში.

შესწავლის საგანი და მეთოდი

თ. ვებლენის განმარტების თანახმად, „ინსტიტუტები - ესაა წარსულში მომხდარი პროცესების შედეგები, ისინი შეგუებულები არიან წარსულის გარემოებებისადმი და მაშასადამე, სრულ შეთანხმებაში არ იმყოფებიან ახლანდელი დროის მოთხოვნილებასთან"[8]. მისი აზრით, აქედან გამომდინარეობს მათი განახლების აუცილებლობა ევოლუციის კანონებისა და „ახლანდელი დროის მოთხოვნების" შესაბამისად, ე.ი. აზროვნების ჩვეული ხერხებით და ქცევის საზოგადოდ მიღებული წესებით.

თავისი აზროვნებით, იმ დროის ბევრი იდეოლოგის მიერ იგი აღიქმებოდა, როგორც *ამერიკელი მარქსი*. და ამის მიზეზი იყო არა მხოლოდ და არა იმდენად ის, რომ თ. ვებლენი - წარსულში თვით ჯ. კლარკის სტუდენტი - თავისი მასწავლებლის ეკონომიკური თეორიის მოწინააღმდეგე გახდა, რომელიც „წმინდა ეკონომიკურ მეც-

ნიერებას" უჭერდა მხარს, რამდენადაც იმისი შედეგების მწვავე კრიტიკული შეფასება, სანამდეც მიგვიყვანა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულმა ეკონომიკებმა, ეკონომიკური ლიბერალიზმის სმითისეული იდეების, სახალხო მეურნეობის თვითრეგულირებისა და უკრიზისობის აბსოლუტიზების მქადაგებლებმა, თავისუფალი მეწარმეობის პირობებში „ეკონომიკური ადამიანის" პირადი ინტერესების საზოგადოებრივთან „ბუნებრივმა" დამთხვევამ. აი რატომ არის, რომ თავის მსჯელობებში *„თეოლოგიის" და „აპოლოგიის" შესახებ იგი გაბედულად თავს იკავებდა კეთილდღეობის ნეოკლასიკური თეორიის ცენტრალური თეზისის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც სრულყოფილი კონკურენცია, გარკვეული შეზღუდვების დროს ინვევს ოპტიმალურ შედეგებს, და მეცნიერების ევოლუცია მისთვის რატომ არის - „ეკონომიკური ინსტიტუტების წარმომავლობისა და განვითარების და ეკონომიკურ სისტემაზე შეხედულების გამოკვლევა, როგორც „კუმულიატიური პროცესი" და არა თვითგანონასნორებადი მექანიზმი"*[9].

საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების განსაკუთრებულ ხედვას თ. ვებლენი ხაზს უსვამდა მოცემულ, მის მიერ დასახელებულ ნაშრომებშიც კი, მათ შორის ზემოთ აღნიშნულშიც „თავისუფალი კლასის თეორია" (1899), „ოსტატობის ინსტინქტი" (1914), „ინჟინრები და ფასების სისტემა" (1921) და სხვ.

საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის საკუთარ რწმენას თ. ვებლენი ამყარებდა ჩ. დარვინის ბუნების გარდატეხის თავისებურ ევოლუციასთან. მისი პოსტულატებიდან ჩამოშორებით, იგი, კერძოდ, ცდილობდა ადამიანთა საზოგადოებაში მდგომარეობის არგუმენტირება მოეხდინა „არსებობისთვის ბრძოლის" აქტუალურობის შესახებ"[10]. ამასთან, მის მიერ გამოიყენება *საზოგადოების „ინსტიტუტების" განვითარების ისტორიული შეფასება*, რომელშიც უარყოფილია მარქსისტული დებულება „კლასობრივი ექსპლუატაციის" და მუშათა კლასის „ისტორიული მისიის" შესახებ. მისი შეხედულებით, *ადამიანთა ეკონომიკურ მოტივებს ამოძრავებს უნინარეს ყოვლისა მშობლიური გრძნობა, ცოდნისა და შესრულებადი სამუშაოსადმი ინტენსიური ლტოლვა.*

„ვებლენის ეფექტი"

„თავისუფალი კლასის" თეორიაში, თ. ვებლენის წიგნის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ „შეძლებული არამწარმოებლური" კლასის დამოკიდებულება ეკონომიკური პროცესისადმი ხასიათდება, როგორც „მომხვეჭელობითი, და არა წარმოებითი, ექსპლოატაციისა, და არა სარგებლიანობის" დამოკიდებულება. ეს კლასი, თ. ვებლენის მიხედვით, ამჯობინებს *„ბიზნესის სამყაროს*

ზნე-ჩვეულებებს", რომელიც ჩამოყალიბდა „პარაზიტული ან მტაცებლური კანონების მიმმართველი და შერჩევითი მოქმედებით"[41]. კერძოდ, სწორედ ამ კლასის წარმომადგენლებისთვის შეიძლება არსებობდეს, ცხადია, განსაკუთრებული ფასები საქონელზე, რომლებიც მათი „პრესტიჟულობის" მაჩვენებლის სიმვოლიზებას ახდენენ, და არა მოთხოვნის კანონის ჭეშმარიტ გამოვლენას, რასაც ახლა „ვებლენის ეფექტს" უწოდებენ. უკანასკნელი ახასიათებს სიტუაციას, რომლის დროსაც *საქონლის ფასის შემცირება მყიდველის მიერ ალიქმება, როგორც ხარისხის გაუარესება ან, როგორც მისი „აქტუალურობის" ან „პრესტიჟულობის" დაკარგვა მოსახლეობაში და მაშინ ეს საქონელი აღარ სარგებლობს სამომხმარებლო მოთხოვნით, ხოლო შებრუნებულ სიტუაციაში, პირიქით, შესყიდვების მოცულობა ფასის გადიდებით შეიძლება გაიზარდოს.* ამიტომ „ფინანსურ ფენებს, თ. ვებლენის დასკვნით, - ცნობილი დაინტერესება გააჩნია ფინანსური ინსტიტუტების შეგუებისადმი...აქედან თავისუფალი კლასის მეტი ან ნაკლები თანამიმდევრული ლტოლვა ინსტიტუტების განვითარება ნარმართონ იმ გზით, რომელიც ფულად მიზნებს უპასუხებდა, რომელიც აყალიბებს თავისუფალი კლასის ეკონომიკურ ცხოვრებას"[42].

ამრიგად, *საზოგადოებრივი სტრუქტურის ევოლუცია* - ეს, თ. ვებლენის სიტყვებით, *„ინსტიტუტების შერჩევის ბუნებრივი პროცესია", „არსებობისთვის ბრძოლაში"*[43].

რეფორმების კონცეფცია

თ. ვებლენის არამარქსისტული პოზიცია ყველაზე უფრო ცხადია მის რეფორმების კონცეფციაში. ასე, მაგალითად, *რანტიეთა „პარაზიტული" ცხოვრების წესის გაკრიტიკებით, რომლებიც მხოლოდ ფინანსურ სფეროში არიან დასაქმებულები-კერძო საკუთრების განსაკუთრებული (აბსენტეისტური) ფორმის მფლობელები, და ასევე „ინდუსტრიის" სფეროს „ბიზნესის" სამყაროსადმი დაქვემდებარების* დაგმობით, ფინანსისტების და მსხვილ მენარმეთა სახით მხოლოდ „შესაძლო დიდი მოგებისკენ" ლტოლვით, იგი (თ. ვებლენი) იბრძოდა „კლასობრივი ანტაგონიზმის" არა რევოლუციური აღმოფხვრის და „პროლეტარიატის დიქტატურის" გამარჯვებისთვის, არამედ საზოგადოების შემდგომი ევოლუციისთვის, *რომელსაც თან ახლდა რეფორმირება.* როგორც მ. ბლაუგი აზუსტებს, „საქმე ეხება კლასობრივ ბრძოლას, რომელიც კაპიტალიზმის პირობებში მიმდინარეობს, ვებლენის თანახმად, არა კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის, არამედ ბიზნესმენებსა და ინჟინრებს შორის. აზროვნების ფულადი წესი აერთიანებს ბანკირებს, ბროკერებს, იურისტებს და მენეჯერებს, - რომლებიც იცა-

ვენ ბიზნეს საწარმოს ცენტრალურ პრინციპს - კერძო მითვისების პრინციპს"[14].

თ. ვებლენის რეფორმების სცენარი *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განუხრელ ზრდასა და საინჟინრო-ტექნიკური ინტელიგენციის როლის გადიდებაში მდგომარეობს.* მისი რწმენით, ინტილიგენცია, მუშები, ტექნიკოსები და წარმოების სხვა მონაწილეები წარმოადგენენ „ინდუსტრიის" სფეროს და წარმოების ოპტიმიზაციის და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზანს მისდევენ. ისინი განსაზღვრევენ „ბიზნესის" მზარდ დამოკიდებულებას „ინდუსტრიული სისტემისაგან", *„ძველი წესრიგის დამბლის" შეუქცევადობას და ძალაუფლების გადასვლას საინჟინრო- ტექნიკური ინტილიგენციის წარმომადგენლებისადმი.*

რეფორმების შედეგად თ. ვებლენმა ინინასწარმეტყველა „ახალი წესრიგის" დამკვიდრება, რომლის დროსაც ქვეყნის სამრეწველო წარმოების ხელმძღვანელობა გადაეცემა სპეციალურ „ტექნიკოსთა საბჭოს", და „ინდუსტრიული სისტემა" შეწყვეტს „აბსენტეისტურ მესაკუთრეთა" (მონოპოლისტთა) მომსახურებას, რამდენადაც ტექნოკრატიის და ინდუსტრიალების მოტივი იქნება არა „ფულადი მოგება ", არამედ მთლიანად საზოგადოების ინტერესებისადმი მსახურება.

ჯონ რ. კომონსი (1862-1945) - ისეთი *კოლექტიური ინსტიტუტების გამოკვლევით, როგორიცაა* ოჯახი, პროფკავშირები, სავაჭრო გაერთიანებები, საწარმოო კორპორაციები, სახელმწიფო, სამართლებრივი დამოკიდებულებები და სხვა, პრიორიტეტულ ყურადღებას უთმობდა იურიდიულ-სამართლებრივ ინსტრუმენტებს და ინსტიტუციონალისტური მიმდინარეობის ლიდერი გახდა[15]. ამასთან იგი გამოდიოდა კლასობრივი ბრძოლის შესახებ იდეის მიუღებლობის შესახებ, და ასევე, მისი სიტყვებით თუ ვიტყვით, „გადავაქციოთ *ბიზნესის სისტემა იმდენად ეფექტიანად, რომ იგი შენარჩუნებას იმსახურებდეს".*

ღირებულების თეორია

სამართლებლივ ასპექტს ჯ. კომონსი იყენებდა მის მიერ წამოყენებული *ღირებულების კონცეფციის სახით, რომლის შესაბამისად სასაქონლო პროდუქციის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა „კოლექტიური ინსტიტუტების" იურიდიული შეთანხმების, როგორც შედეგი.* ხოლო უკანასკნელს იგი მიაკუთვნებდა კორპორაციათა კავშირებს, პროფკავშირებს, პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც გამოხატავენ სოციალური ჯგუფების და მოსახლეობის ფენების პროფესიულ ინტერესებს.

კლასობრივი ბრძოლის შესახებ მარქსისტულ მოძღვრებას ჯ. კომონსმა დაუპირისპირა *დებულება სახელმწიფო რეფორმების გატარების შესახებ კანონმდებლობის სფეროში და მთავრობის შექმნაში, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა „კოლექტიური ინსტიტუტების“ ლიდერებით. იგი დარწმუნებული იყო ისეთი მთავრობის შექმნის აუცილებლობაში, რომელიც დაექვემდებარებოდა საზოგადოებრივი აზრის კონტროლს და განახორციელებდა ეკონომიკის დემონოპოლიზაციას.*

თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის ფინანსურ სტადიაში ევოლუცია - ცენტრალური იდეაა მისი მთავარი ნაშრომების „კაპიტალიზმის სამართლებრივი საფუძვლები“ (1924), „ინსტიტუციონალური ეკონომიკა. მისი ადგილი პოლიტიკურ ეკონომიაში“ (1934) და სხვ. მათში განიხილება პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია „სოციალური კონფლექტის“ გაძლიერებით მეწარმეთა „არაკეთილსინდისიერი“ კონკურენციით (მონოპოლისტური). სახელმწიფოს სამართლებრივი გადაწყვეტილებები *ეკონომიკური რეფორმების ფარგლებში*, როგორც ამას ავტორი განსაზღვრავს, აღმოფხვრის წინააღმდეგობებს და კონფლიქტებს საზოგადოებაში, მოასწავებენ ადმინისტრაციული კაპიტალიზმის სტადიაზე გადასვლას.

როგორც ეკონომიკის ისტორიიდან არის ცნობილი, ჯ. კომონსის „კოლექტიურ ქმედებათა“ იურიდიულმა (სამართლებრივმა) ასპექტებმა, ზუსტად ისევე, როგორც ანტიმონოპოლიურმა რეფორმატორულმა იდეებმა, რეალური პრაქტიკული გამოყენება პოვეს უკვე 30-იან წლებში თ. ვებლენის ნაშრომებში აშშ-ის პრეზიდენტის ფ. რუზველტის ე.წ. „ახალი კურსის“ პერიოდში.

უესლი კლერ მიტჩელი (1874-1948) - თ. ვებლენის მოწაფე და მიმდევარი[16].

თავისი მასწავლებლების დამსახურებისა და ხსოვნის გამო, უ. მიტჩელმა მოამზადა გარდაცვალებისშემდგომი კრებული „ვებლენის მოძღვრება“, მასში ვებლენის რჩეული ამონარიდების და სტატიების ჩართვით.

უ. მიტჩელი თავის მთავარ პუბლიკაციაში „ლექციები ეკონომიკური თეორიის ტიპების შესახებ“ (1935), უწინარეს ყოვლისა გამოდიოდა თ. ვებლენის იდეიდან. ამის გათვალისწინებით, იგი მოითხოვდა ეკონომიკური პრობლემების არაეკონომიკურთან, კერძოდ, სოციოლოგიის, კულტურის და სხვა პრობლემებთან ურთიერთდაკავშირებას, რომლებიც განაპირობებენ ადამიანთა საქმიანობის ფსიქოლოგიას, ქცევას და ქცევის მოტივებს საზოგადოებაში.

მიუხედავად ამისა, ამ მეცნიერს ეკონომიკურ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად აღიქვამენ, როგორც *„თეორიის გარეშე გაზომვის“ კონცეფციის* წარმომადგენელს (ტ. კუპმანსის სტატიის

გამოჩენის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა უ. მიტჩელის მეცნიერულ გამოკვლევებსა და მის მიმდევართა კრიტიკას, ანუ, როგორც ვ. ლეონტიევმა გამოხატა, *„ამერიკული ეკონომიკური აზრის ძირითად ანტითეორიულ მიმართულებას“*. ეს, მ. ბლაუგის მოსაზრებით, დაკავშირებულია იმასთან, რომ უ. მიტჩელი „არ იყო მორგებული მეთოდოლოგიური შეტევებისადმი ორთოდოქსული ეკონომიკური თეორიის წანამძღვრებზე და თავიდან იცილებდა საერთაშორისო მიდგომას. მისი „ინსტიტუციონალიზმი“ მდგომარეობდა სტატისტიკურ მონაცემთა მოგროვებაში, რომელთაც შემდგომში ნიადაგი უნდა მოეცათ ამხსნელი ჰიპოთეზებისთვის“[17]. გარდა ამისა, როგორც ვ. ლეონტიევი ვარაუდობს, „რთული ეკონომიკური პრობლემების აგების პროცესების გაკრიტიკებისას, იგი ეყრდნობოდა პირდაპირ დაკვირვებებს, რომლებიც ემყარებოდა არა რაიმე წინასწარ ვარაუდებს, არამედ ფაქტების დაკვირვებათა ყოველმხრივ ორიენტირებულ გაზომვას. მიტჩელის, მისი მონაფეებისადმი და მიმდევრებისადმი აშშ-ში ვალში არიან აღწერილობითი ეკონომიკური სტატისტიკის მსხვილმასშტაბიანი გაშლით, ურომლისოდაც არა მხოლოდ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება, არამედ ასევე მრავალი თანამედროვე ეკონომიკური დანესებულება, როგორც ჩანს ვერ შეძლებს არსებობას“[18].

რეფორმების კონცეფცია

უ. მიტჩელის პირადი წვლილი ინსტიტუციონალურ თეორიაში მდგომარეობს შემდეგში, ჯერ-ერთი, ეკონომიკურ ფაქტორებზე (ფულის მიმოქცევის, კრედიტის, ფინანსების და სხვ., კატეგორიებში), ე.წ. არაეკონომიკური ფაქტორების (მათ შორის ნმინდა ფსიქოლოგიური, ქცევითი და სხვ. ფაქტორების) ზეგავლენის გამოვლენაში კონკურენტული შესავლის მეშვეობით *ციფრობრივი მაჩვენებლების და ამ მაჩვენებელთა მერყეობებში (კონიუნქტურაში) კანონზომიერებათა დადგენით ფაქტობრივი უხვი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით და მისი მათემატიკური დამუშავებით.* და, მეორე, *ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის სხვადასხვა ვარიანტის შეშვეობით, უკრიზისო ციკლის კონცეფციის დასაბუთების* მცდელობაში.

უ. მიტჩელს აშშ-ში განსაკუთრებული ცნობადობა მოუტანა ეკონომიკურ გამოკვლევათა ბიუროს ერთ-ერთ დამფუძნებლად და ეკონომიკაში ციკლურ მოვლენათა ერთ-ერთ პირველ მკვლევარად მისმა აღიარებამ. იგი შესაძლებლად და აუცილებლად თვლიდა *სახელმწიფო ზემოქმედებას ეკონომიკაზე* ფულად, ფინანსურ და კრედიტის ფაქტორებში, სოციალ-კულტურულ პრობლემათა ურთიერთკავშირში და ფსიქოლოგიური ანალიზის გათვალისწინებით.

ინსტიტუციონალიზმის ემპირიულ - პროგნოზული მიმდინარეობის წარმომადგენლები ჯერ კიდევ 20-იან წლებში თავიანთ „კონიუნქტურულ ბარომეტრში", ჰარვარდში აქვეყნებდნენ „დინამიკური მნკრივების ანალიზის" შედეგების მიხედვით, ეკონომიკური ზრდის პირველ პროგნოზებს მრუდების აგების გზით, რომლებიც ეროვნული მეურნეობის რიგი მაჩვენებლების საშუალო ინდექსებს წარმოადგენდნენ. ეკონომიკური მეცნიერების ახალი დარგის საფუძველში მყოფმა-*ეკონომეტრიკამ* - მათემატიკამ და სტატისტიკამ უ. მიტჩელს და მის კოლეგებს საშუალება მისცეს *გაეანგარიშებინათ „მცირე" და „დიდი" ციკლების ხანგრძლივობა*, უმიზნებდნენ მათ უკრიზისო (არაციკლური) განვითარების მოდელის აგების მცდელობაზე, ენინასწარმეტყველათ გადახრები მაჩვენებელთა დინამიკაში, თავიდან აეცილებინათ მათი დაცემა. ციკლურ მერყეობათა შერბილების და ხელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურის მიღწევის საშუალებად, უ. მიტჩელის აზრით, უნდა გახდეს *სპეციალური სახელმწიფო საგეგმო ორგანოს შექმნა*. დაგეგმვა ამასთან იგულისხმებოდა *არა დირექტიული, არამედ სარეკომენდაციო, რომელიც ემყარება რეალური და მიღწევადი საბოლოოს მიზნების მეცნიერულ პროგნოზირებას.*

1929-1933 წწ. ეკონომიკური კრიზისის წინა პერიოდში, „ჰარვარდის ბარომეტრის" არაკვალიფიციურმა პროგნოზმა, რომელიც ეკონომიკის აყვავებას იუწყებოდა, იმ წლების გამოკვლევათა მეთოდოლოგიური ბაზის არასრულყოფილების დემონსტრირება მოახდინა, მაგრამ დამაჯერებლად აჩვენა 20-30 წწ. ინსტიტუციონალისტების მთავარი დებულების სისწორე ეკონომიკაზე სოციალური კონტროლის აუცილებლობის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ინსტიტუციონალიზმი არის XX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების კეინზური და ნეოლიბერალური კონცეფციების ერთ-ერთი თეორიული წინამორბედი, რომლის ძირითადი იდეა არის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა.

ამასთან ერთად, უ. მიტჩელის და მისი სკოლის მიერ შექმნილი მეცნიერება ეკონომეტრიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა, როგორც მ. ბლაუგი წერს „ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე უფრო დინამიური დარგი, ხოლო კეინზურ და ნეოკეინზურ მაკროეკონომიკურ მოდელებს ძალზე მნიშვნელოვანი და ამასთან მზარდი მნიშვნელობა აქვს ეკონომეტრიკოსთა ნაშრომებისთვის"[19]. ხოლო უკანასკნელები, ამტკიცებს ვ. ლეონტიევი, ამ წლითიწლობით ეკონომისტ-თეორეტიკოსებისთვის „ათეულობით მათემატიკური მოდელების" შექმნის ჰასუხად განაგრძობს სხვადასხვა ალგებრული ფუნქციების და ფორმების სტატისტიკური მონაცემების ანაკრებისთვის მორგებას, რომელსაც არ შეუძლია წინ

წაწევა სტრუქტურის სისტემატიურ გაგებაში და რეალური ეკონომიკური სისტემის პრინციპების ფუნქციონირებაში [20].

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. რომელმა ისტორიულ-ეკონომიკურმა წანამძღვრებმა განაპირობეს ინსტიტუციონალიზმის წარმოშობა?
2. ინსტიტუციონალიზმს რატომ თვლიან ალტერნატიულ ეკონომიკურ თეორიად?
3. ჩამოაყალიბეთ ინსტიტუციონალიზმის მეთოდოლოგიური თავისებურებები;
4. დაასახელეთ ინსტიტუციონალიზმის მთავარი მიმართულებები და მიუთითეთ მათი თავისებურებები;
5. რა არის „ინსტიტუტები" ამერიკელი ავტორების, მათ შორის თ. ვებლენის განმარტებებში?
6. რისგან ჩანს, რომ ჩ. დარვინის ბუნების ევოლუციის თეორია, თ. ვებლენმა გადაიტანა საზოგადოების ევოლუციურ გარდაქმნაზე?
7. გადმოეცით ტ. ვებლენის ნაშრომის „თავისუფალი კლასის თეორია" ძირითადი იდეები.
8. გახსენით „ვებლენის ეფექტის" არსის ცნება.
9. როგორია თ. ვებლენის რეფორმების სცენარის წანამძღვრები?
10. რაში მდგომარეობს კატეგორია „ღირებულების" განმარტების „სიახლე" ჯ. კომონსთან?
11. გადმოეცით ჯ. კომონსის იდეის თავისებურებები მთავრობის მიერ ეკონომიკის რეფორმირების თაობაზე.
12. რა ეტაპები აღნიშნა „კაპიტალიზმის" ევოლუციაში ჯ. კომონსმა?
13. რატომ არის მიღებული, რომ უ. მიტჩელს უწოდონ ავტორი კონცეფციისა „გაზომვები თეორიის გარეშე"?
14. რაში მდგომარეობს უ. მიტჩელის პირადი წვლილი ეკონომიკური აზრის ინსტიტუციონალურ მიმართულებაში?

თავი 18. არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის თეორიები

ამ თავის შესწავლით თქვენ გაიგებთ:

- რა არის „მონოპოლისტური“ და „არასრულყოფილი“ კონკურენცია და რომელმა ავტორებმა გახსნეს მათი თეორიული არსი;
- პროდუქტის დიფერენციაციას როგორ შეუძლია განაპირობოს მონოპოლია , ე.ი. ბაზრის დაუფლება;
- როგორი ურთიერთკავშირი არსებობს საწარმოს მასშტაბებს და გამყიდველებისა და მყიდველების მონოპოლიებს შორის;
- XX საუკუნის 30-იანი წლების მონოპოლიების თეორიები რატომ გვევლინებიან ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კონცეფციების წარმოშობის წანამძღვრებად.

XX საუკუნის დასაწყისში თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკის მონოპოლ-ისტურში მოდიფიკაციის პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა ევროპულ კონტ-ინენტზეც, სადაც ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები, რომელმაც ნამოაყენა ვაჭრობის და ბაზრების სრული თავისუფლება (ფრიტრედერობა) და სხვა დებულებები ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის შესახებ, ისევე როგორც აშშ-ში, აღარ შეესაბამებოდნენ რეალურ სინამდვილეს.

სამეურნეო ცხოვრებაში ბიზნესის გაძლიერებული მონოპოლისტური ორგანიზაციის შედეგი გახდა 1929-1933 წლებში გაგრძელებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

ამ პირობებში ჟ. ბ. სეის ყოვლადძლიერმა „ბაზრების კანონმა“, რომელსაც ას წელზე მეტი ხნის მანძილზე ემყარებოდნენ „წმინდა ეკონომიკური თეორიის“ წარმომადგენლები - თავდაპირველად კლასიკოსები, ხოლო შემდეგ მარჟინალისტები, დაკარგა თავისი ურყევი მნიშვნელობა. არასრულყოფილი კონკურენცია, ინსტიტუციონალისტების კვალდაკვალ, გამოკვლევის საგანი გახდა ნეოკლასიკოსებშიც. ამასთან, როგორც შემდგომში გამოჩნდა, არასრულყოფილი ბაზრის პრობლემები, რომლებიც წარმოდგენილი იყო მონოპოლიზებული მეურნე სუბიექტების სტრუქტურების მიერ, ნეოკლასიკური ეკონომიკური აზრის წარმომადგენელთა მხრიდან ერთდროულად განიხილეს თავის ნაშრომებში ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ჩემბერლინმა და კემბრიჯის უნივე-რსიტეტის პროფესორმა ჯ. რობინ-

სონმა. მათი თეორიები უდაოდ, XX საუკუნის სწავლულ ეკონომისტთა მნიშვნელოვანი წარმატება გახდა.

ამრიგად, 1933 წელს ატლანტიკის საპირისპირო ნაპირებზე ამერიკელმა ე. ჩემბერ-ლინმა და ინგლისელმა ჯ. რობინსონმა ერთდროულად გამოსცეს თავიანთი წიგნები და უწოდეს მათ, შესაბამისად, *„მონოპოლისტური კონკურენციის თეორია"* და *„არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია"*.

მიუხედავად არამსგავსებისა, მოცემულ ნაწარმოებებს აერთიანებს საკმაოდ სიღრმისეული ანალიზი და საბაზრო მექანიზმის მოქმედების გააზრება იმ გარემოებებში, როდესაც ირღვევა (გამოირიცხება) თავისუფალი კონკურენციის პირობები. კერძოდ, ორივე ავტორი იქედან გამოდის, რომ საბაზრო ფასი ყალიბდება არა ბაზრის მონაწილეთა კოლექტიური მოქმედებების დროს, რამდენადაც სასაქონლო პროდუქციის არაერთგვაროვნება (დიფერენცირება) მყიდველებს სრული ინფორმირებულობის შესაძლებლობას ართმევს მისი ფასების შესახებ, ხოლო ფირმა-მწარმოებლებს, კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს უფრო ეფექტიანი საქმიანობის არჩევანის არარსებობის გამო.

სხვა სიტყვებით, ნეოკლასიკოსები ე. ჩემბერლინის და ჯ. რობინსონის *სახით ეკონომიკაში წონასწორობის დარღვევის მთავარ მიზეზს უწინდებურად ეკონომიკური გარემოს „კატეგორიებსა" და „კანონებში" განიხილავენ*, მაშინ, როდესაც ინსტიტუციონალისტებისთვის არასრულყოფილი კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკურ ზრდაზე უწინარეს ყოვლისა „ადამიანისეული ფაქტორის" ზეგავლენის შედეგს, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სხვა პრობლემებს წარმოშობს, მათ შორის ეკონომიკის სფეროშიც[1].

18.1. ე. ჩემბერლინის მონოპოლისტური კონკურენციის თეორია

ედვარდ ჰასტინგს ჩემბერლინი (1899-1967) დაბადებული ვაშინგტონის შტატში (აშშ) პროტესტანტული პასტორის ოჯახში. 1921 წელს დაამთავრა აიოვას უნივერსიტეტი. ერთ წელიწადში მიჩიგანის უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხი მიიღო, ხოლო კიდევ ხუთ წელიწადში, როგორც დოქტორანტმა, ჰარვარდის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია მონოპოლისტური კონკურენციის პრობლემატიკაზე. მისი მთელი შემდგომი საქმიანობა, 1927 ლიდან 1967 წელს გარდაცვალებამდე, დაკავშირებულია პედაგოგობასთან ჰარვარდის უნივერსიტეტში, თუ არ ჩავთვლით ერთწლიან მუშაობას აშშ-ის სტრატეგიული სამსახურის ბიუროში და 1951

ნლიდან სპეციალურ ტურნეს დასავლეთევროპულ ქვეყნებში თავის თეორიულ სიახლეთა მდგომარეობის ახსნა-განმარტებისთვის.

ე. ჩემბერლინის შემოქმედებით და მეცნიერულ ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგედ (1939-1943) არჩევა, რომელიც მაშინ თავის შემადგენლობაში აერთიანებდა ისეთ სახელოვან მეცნიერებს, როგორებიცაა ვ. ლეონტიევი, ე. ჰანსენი, ი. შუმპეტერი და სხვები, და ასევე დაინიშნება ჰარვარდის ყოველკვარტალური ჟურნალის („The Quarterly Journal of Economics") რედაქტორის პოსტზე (1948-1958). 1965 წელს აირჩიეს ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის დამსახურებულ წევრად. 1967 წელს მის სამახსოვროდ გამოსცეს ეკონომისტების შრომების კრებული სახელწოდებით „მონოპოლისტური კონკურენციის თეორია: ურთიერთზემოქმედების გამოკვლევა".

1933-1962 წლებში მისი ნაწარმოებები აშშ-ში 8-ჯერ გამოიცა და დღესაც პოპულა- რულ სასწავლო სახელმძღვანელოს წარმოადგენს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური თეო- რიის კურსის სწავლებაში. იგი შეიცავს მონოპოლიის არსის მრავალმხრივ დახასიათე-ბას, მონოპოლიური ფასის წარმოქმნის და მონოპოლიური მოგების დამაჯერებელ ანალიზს[2].

მონოპოლიის და მონოპოლისტური კონკურენციის არსი

წიგნის ერთ-ერთი თეორიული დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ბაზრის დაუფლების მთავარი პირობა ანუ, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის სიტყვებით თუ ვიტყვით, - *მონოპოლიის არსია მიწოდებაზე კონტროლი*', და, მაშასადამე, ფასის კონტროლიც, რომელიც მიიღწევა კონკურენტულ საქონელთა ურთიერთშეცვლებადობის გაძლიერებით, ე.ი. „პროდუქტის დიფერენცირებით". ე. ჩემბერლინი ამის თაობაზე წერს: „დიფერენცირებასთან ერთად ჩნდება მონოპოლია და დიფერენცირების გაძლიერების კვალობაზე მონოპოლიის ელემენტები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება". ყველგან, სადაც რაღაც ზომით არსებობს დიფერენცირება, ყოველ გამყიდველს აბსოლუტური მონოპოლია გააჩნია თავის საკუთარ პროდუქტზე, მაგრამ ამასთან, კონკურენციას განიცდის მეტად ან ნაკლებად არასრულყოფილი შემცვლებისგან"[4]. აქედან გამომდინარე იგი ვარაუდობს, რომ ყველა გამყიდველთა მდგომარეობის შესახებ მართლზომიერია ვისაუბროთ, როგორც კონკურირებად მონოპოლისტებზე „მონოპოლისტური კონკურენციის" ძალთა მოქმედების პირობებში.

არასრულყოფილი (გაუწონასწორებელი) ბაზრის არსი

ბაზრები, ე. ჩემბერლინის შეხედულებით, ურთიერთდაკავშირებულია, რამდენადაც თითოეულ მათგანზე ერთმანეთზე დამოუკიდებელი გამყიდველები თავისი დანიშნულებით იძულებულები არიან ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედება მოახდინონ თავისი დანიშნულებით ერთმანეთთან ახლოს მყოფი პროდუქტების რეალიზაციაში. ამასთან, მეცნიერი დარწმუნებულია, რომ *„ბაზრები რეალურ სინამდვილეში, მეტად ან ნაკლებად არასრულყოფილები არიან“, ხოლო გულუბრყვილო დასკვნას, რომელიც ამბობს, რომ ფაქტობრივი შედეგებისთვის დამახასიათებელია მისწრაფება წონასწორობისკენ, საფუძველი არ გააჩნია“*[6].

შედეგად, ყოველი გამყიდველი მათ მიერ განიხილება მონოპოლისტის სახით, რომელიც საკუთარი „უნიკალური“ საქონლის ფლობის ხარჯზე, მყიდველთა საკუთარ წრეს, ე.ი. საკუთარ სუბბაზარს და „პროდუქტის დიფერენცირების დონეს“ აყალიბებს, რომელიც ასახავს გამყიდველი რა ზომით არეგულირებს ფასს და ბაზარზე გამოდის მონოპოლისტის სახით. ეს ასევე ნიშნავს, რომ საქონელთა და მომსახურების მოწოდების რეალური მოცულობა ნაკლები აღმოჩნდება, ხოლო მათი ფასები უფრო მაღალი იქნება, ვიდრე „წმინდა“ კონკურენციის პირობებში. გამყიდველის მონოპოლია თავის პროდუქტზე და მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში ერთმანეთს შორის კონკურირებადი მონოპოლისტები, შეუძლებელია, ე. ჩემბერლინის აზრით, მთავარი პირობის - პროდუქციის დიფერენცირების გარეშე.

„პროდუქტის დიფერენცირების“ კონცეფცია

მე-4 თავში, რომელსაც „პროდუქტის დიფერენცირაცია“ ეწოდება, ე. ჩემბერლინი ამ კატეგორიის გახსნისას აღნიშნავს, რომ *დიფერენცირებული პროდუქტის ძირითადი ნიშანია საქონლისთვის (ან მომსახურებისთვის) ერთი-ერთი რომელიმე გამყიდველის არსებობა მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნით.* მყიდველისთვის ეს ნიშანი შესაძლოა იყოს, როგორც რეალური, ისე ნარმოსახვითიც, *მხოლოდ მან ის გამოიწვიოს, რომ უპირატესობა მიეცეს სახელდობრ მოცემული პროდუქტის ნაირსახეობას.* „იქ, სადაც არსებობს ასეთი სახის დიფერენცირება, - აზუსტებს იგი, - მყიდველები წყვილ-წყვილად დაჯგუფდებიან გამყიდველებთან არა შემთხვევის ნებით, და არა უწესრიგოდ (როგორც ეს ხდება წმინდა კონკურენციის დროს), არამედ არჩევანის შესაბამისად, რომელიც მჯობინებას ემყარება“[6].

მაშასადამე, გამყიდველ-მონოპოლისტს, ე. ჩემბერლინის ლოგიკით, შეუძლია კიდეც გაზარდოს გასაყიდი პროდუქციის მოცულობა, დამატებითი დანახარჯების გამოყენებით მისი ფასის

შემცირებით იმ ვარაუდით, რომ საქონელთა ერთსახელიანი ჯგუფის დანარჩენი გამყიდველები მყისიერად ვერ შეძლებენ ისევე მოქცევას, ე.ი. გაზარდონ წარმოების ხარჯების დონე. ამაშია, მისი შეხედულებით, იმისი მთავარი მიზეზი, რომ მოცემული მარკის საქონლის ფირმა - კონკურენტი, მისი ფასის შემცირებით ან ახალი კონკურირებადი საქონლის გამოშვებით, არსებითად შეწუხებული არ არის იმით, რომ ანალოგიური ზომები მიიღება სხვა კონკურენტების მიერ[7].

კონკურენციის არასაფასო ფაქტორების კონცეფცია

„პროდუქტის დიფერენცირების" თავისი იდეის განვითარებაში, როგორც კონკურენტების ბუნებრივი რეაქციის შესახებ თვით კონკურენციის შედარებით ნაკლებ ბუნებრივ გამოვლენაზე, ე. ჩემბერლინი ასაბუთებს ამ პროცესზე კონკურენციის არასაფასო ფაქტორების მზარდ ზეგავლენას, საქონელთა ხარისხისა და რეკლამის განსაკუთრებული თვისებებითა და ინდივიდუალური თავისებურებებით განპირობებული საქონლის ხარისხისა და რეკლამის მხედველობაში მიღებით. ამასთან, იგი წერს: „დიფერენცირება შეიძლება დაეყრდნოს თვით პროდუქტის განსაზღვრულ თავისებურებებს, თითქოსდა ისეთებს, *როგორიცაა განსაკუთრებული თვისებები* - საფაბრიკო მარკები, საფირმო სახელწოდებები, საფუთავის ან ტარის (თუკი ასეთი არსებობს) თავისებურება, ან ისეთები, როგორებიცაა *ინდივიდუალური თავისებურებები*, რომლებიც ხარისხს, ფორმას, ფერს ან სტილს შეეხება"[8].

ხოლო რეკლამის შესახებ „მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის" ავტორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დებულებები გამოთქვა, რომელთა აქტუალურობა დიდწილად შენარჩუნდა ჩვენს დროშიც კი. ასე მაგალითად, მე-5 თავში აღნიშნულია რეკლამის მოთხოვნაზე ზეგავლენის ორადი ფორმის შესახებ, მოთხოვნილების, როგორც ფორმირებაზე, ისე მათ ცვლილებაზე ზეგავლენის მხედველობაში მიღებით. მე-7 თავში რეკლამის ზეგავლენა პროდუქტზე მოთხოვნის გადიდებაზე უკავშირდება გამყიდველის შესაძლებლობას, გაასაღოს თავისი პროდუქტის დიდი რაოდენობა დამოუკიდებლად დანესებული ფასისა, „ვიდრე რეკლამის დახმარების გარეშე". ამ თვალსაზრისით, აღნიშნავს ჰარვარდის პროფესორი, „რეკლამისტის ხელოვნება ენათესავება ჰიპნოზიორისას", ვინაიდან „საჭიროა კონტროლის მოპოვება მყიდველის ქონებაზე, და, როდესაც ასეთი კონტროლი მოპოვებულია, დამატებითი დანახარჯები (რეკლამაზე-ი.ი.) შემოსავალს გაადიდებს."[9] მაგრამ იმავდროულად გამოითქმება შეხსენებაც იმის შესახებ, რომ შემოსავალი რეკლამის გამეორებიდან უსასრულოდ არ იზრდება, რამდენადაც „წინააღმდეგობა, რომელიც იწვევს შემოსავლის შემ-

ცირებას, სულ უფრო ძლიერდება იმის კვალობაზე, თუ როგორ ფართოვდება გასაღების დანახარჯები"[10].

ნათქვამის საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებით, არასაფასო კონკურენციის აღნიშნულ ფაქტორებთან დიფერენცირების ბაზაზე მათ დაემატა ასევე ისეთებიც, როგორიცაა „გამყიდველის ადგილმდებარეობის მოხერხებულობა, ზოგადი ატმოსფერო ან ზოგადი სტილი, რომელიც დამახასიათებელია მისი დაწესებულებისთვის, მის მიერ საქმის გაძღოლის მანერაზე, მის, როგორც პატიოსანი საქმოსნის რეპუტაციაზე, თავაზიანობაზე, საქმიან განაფულობაზე და ყველა პირად კავშირებზე, რომლებიც მას აკავშირებენ კლიენტებთან ან იმათთან, ვინც მასთან მუშაობს"[11].

ღირებულების თეორია და ჭარბი სიმძლავრის ფენომენი

დასახელებული არასაფასო ფაქტორების ერთობლიობა, ე. ჩემბერლინის მოსაზრებით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს *ღირებულების ჭეშმარიტი თეორიის* ფარგლებში. ამიტომ არასწორია, ვარაუდობს იგი, რომ მონოპოლია და კონკურენცია განიხილებოდნენ, როგორც ანტითეზები და ურთიერთგამომრიცხავი საწყისები, იმ ვარაუდით, რომ „უმეტეს შემთხვევებში ორივეს გათვალისწინება ფასების რაციონალური ახსნის აუცილებელი პირობაა"[12]. და მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული სტერეოტიპის მიხედვით, „თვით გამოხატულება „მონოპოლისტური კონკურენციაც კი" მრავალს პარადოქსი, სიტყვების ჟონგლიორობად ეჩვენება", აუცილებელია, წერს იგი, გავიგოთ შემდეგი: *„წმინდა კონკურენციის დროს ყოველი გამყიდველის ბაზარი ერწყმის მისი მეტოქეების ბაზარს; იმ პირობებში კი რომელთანაც ჩვენ ახლა გვაქვს საქმე (მონოპოლისტური კონკურენციის პირობები-ი.ი.) ანგარიშის გაწევა გიხდება იმასთან, რომ ეს ბაზარი გარკვეული ზომით გამოცალკევებულია სხვებისაგან, ასე, რომ ყველაფერი მთლიანობაში წარმოადგენს არა მრავალ გამყიდველთა ერთიან ბაზარს, არამედ ურთიერთდაკავშირებული ბაზრების ქსელს, თითოთითოდ განანილებულს გამყიდველებს შორის"*[13].

თუკი პირველ პირობას მივიღებთ, თანხმდება ე. ჩემბერლინი, მაშინ წმინდა კონკურენციის თეორიის შესაბამისად, ცალკეული გამყიდველის ბაზარი შეერწყმება საერთო ბაზარს და ნებისმიერი გამყიდველი შეძლებს იმდენი საქონლის გასაღებას, რამდენიც მას მოუნდება, მაგრამ მხოლოდ მოქმედი ფასით. მეორე პირობის მიხედვით, როდესაც მრავალრიცხოვანი კონკურენციის ძალით ცალკეული გამყიდველის ბაზარი გარკვეული ზომით გამოცალკევებულია მისი მეტოქეების ბაზრებისგან, საქონელთა გასაღების მოცულობა „ლიმიტირებულია და განისაზღვრება სამი ახალი ფაქ-

ტორით: 1) ფასით, 2) პროდუქტის თავისებურებებით და 3) რეკლამის დანახარჯებით"[14].

ჰარვარდელი პროფესორი დარწმუნებულია, რომ მონოპოლისტური კონკურენციის ფაქტორთა წარმოდგენილ კლასიფიკაციაში პროდუქტის დიფერენცირების ბაზაზე ადგილი აქვს ისეთ ფაქტორებს, რომელთა ინიცირება ხდება გამყიდველთა მიერ, მყიდველთა სამომხმარებლო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენისთვის. მათ რიცხვში იგი განსაკუთრებით გამოყოფს ფაქტორებს, რომლებიც აბრკოლებენ ფასის შემცირებას, და, როგორც მაგალითი, ასახელებს, კერძოდ, *დამახასიათებელ სამომხმარებლო მიდრეკილებას, განიხილოს უფრო დაბალი ფასი, როგორც პროდუქტის უფრო დაბალი ხარისხის მაჩვენებელი.*

მაგრამ ასეთ შემთხვევებში, ამტკიცებს „მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის" ავტორი, გამყიდველ-მონოპოლისტთა კონკურენტული ბრძოლა არ ამოწურავს საკუთარ თავს, ამასთან ჩვეულებრივი ცხოვრებისეული დაკვირვებით[15].

სწორედ მონოპოლისტური კონკურენციის სპეციფიკურ თავისებურებებს მიაკუთვნებს ე. ჩემბერლინი იმ გარემოებას, რომ იგი აღმოფვრის საფასო კონკურენციას, რის შედეგადაც მუდმივი და ჩვეულებრივი მოვლენა ხდება ჭარბი სიმძლავრის ფენომენი, რომელიც (სიჭარბე) „დაუსჯელად" იზრდება ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე ფასებით დაფარვის წყალობით, რომლებიც ყოველთვის აჭარბებენ დანახარჯებს. მისი შეხედულებით, მოცემული ფენომენი, რომელიც მოწმობს საერთო ბაზრის გარკვეული ნაწილების დაუფლების ხარისხს, მხარდაჭერილია არა მხოლოდ ცალკეული პატენტებით და საფაბრიკო მარკებით, არამედ ასევე ისეთი მოვლენებით, როგორიცაა რეპუტაცია, ოსტატობა, განსაკუთრებული ნიჭი. ეს მოვლენები - თავისუფალ პროფესიათა პირების საქმიანობის სფეროს ნაწილია, და ისინი ასევე „მონოპოლიური შემოსავლების თეორიების საგანია, - დაასკვნის მეცნიერი"[16].

მიღწეული თეორიულ-მეთოდოლოგიური მსჯელობის შეჯამებით, ჰარვარდელი პროფესორი თავისი წიგნის მე-5 თავის ბოლოს, კიდევ ერთ სერიოზულ დასკვნამდე მიდის: *„დიფერენცირებული პროდუქტის ფასის პრობლემა არ შეიძლება ჩატეული იქნეს მოთხოვნისა და დანახარჯების კონკურენტული მრუდების ჩარჩოებში, ვინაიდან ეს იწვევს აშკარა შეცდომას დასკვნებში; ფასი მიიღება ძალზე დაბალი, წარმოების მასშტაბები - ძალზედ მსხვილი, ხოლო სანარმოთა რაოდენობა - ძალზედ მცირე. ამის გარდა, კონკურენციის ორი დამატებითი ასპექტი - დიფერენცირება და გასაღების ხარჯები - სრულად ამოვარდებიან "*[17]. აი რატომ, ხსნის აქვე ე. ჩემბერლინი, მოთხოვნის ელასტიკურობას პროდუქტებზე ფასების არასრული ცოდნა იმის მსგავსად ამცირებს, როგორც რეკლა-

მა, ამ ფაქტორის პარალიზებით, მოთხოვნას უფრო ელასტიკურს ხდის, ხოლო საფასო კონკურენციას - უფრო ვრცელს, საჭირო დამატებითი ხარჯების ფასით დაფარვით[18].

როგორც ვხედავთ, მეცნიერის აზრით, კონკურენტული ბრძოლის ევოლუცია ამაღ-ლებს საქონელთა ხარისხს (რის შესახებაც შეიძლება მონმობდეს პატენტები, საავტორო უფლებები, დამცავი საფირმო ნიშნები და საფირმო საფუთავი და ფირმის ხელსაყრელი ადგილსამყოფელისკენ ლტოლვაც კი პროდუქციის ხარისხოვანი გაუმჯობესების მიზნით), ხოლო რეკლამა, თავისუფალი კონკურენციის პირობებისგან განსხვავებით, არ დაუშვებს ბაზრების შერწყმას. ცხადია, რომ არასაფასო კონკურენციის ფაქტორები შეაგულიანებენ ფირმებს ეძებონ მყიდველთა მოთხოვნილების ახალი „ნიშები", მათთვის თითქოსდა „გემოვნების ფულადი კანონების აცრით"[19].

წარმოების ხარჯების და გასაღების კონცეფცია

ღირებულების საკუთარი თეორიის, ღირებულების კლასიკურ და ნეოკლასიკურ ვერსიებთან მოჩვენებითი წინააღმდეგობის უფრო საფუძვლიანად გაფანტვას ე. ჩემბერლინი ცდილობს წიგნის მე-6 თავში, სადაც მოტანილია არგუმენტაცია დებულ-ებისა არაიგივეობრივობის შესახებ, ჯერ-ერთი, წარმოების ხარჯებსა და მწარმოებლის გამოსაშვებ ფასს და მეორე, გასაღების ხარჯებსა და საბოლოო საცალო ფასსა და მწარმოებლის ფასს შორის. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ დანახარჯები არ ამოინურება საქონლის საფაბრიკო წარმოების დანახარჯებით, რაც არსებითად შეიძლება წარმოების ხარჯებს მივაკუთვნოთ და გადაზიდვის, დახარისხების, შენახვის, სახლში მიტანის ხარჯებს, რამდენადაც „ისინი ადიდებენ საქონლის სარგებლიანობას, ე.ი. მას უფრო გამოსაყენებელს ხდიან მოთხოვნილების-დასაკმაყოფილებლად". აქედან, „მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის" ავტორი მიდის დასკვნამდე: *„ღირებულების თეორიისთვის ზღვარის გავლებას დანახარჯების ორ სახეობას შორის* (გასაღების ხარჯები და წარმოების ხარჯები-ი.ი.) *ღირებულების თეორიისთვის ისეთივე ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია, როგორც მიწოდებასა და მოთხოვნას შორის განსხვავების გავლებას;* და თუ არსებითად ვიტყვით, პირველი განსხვავება აუცილებლად გამომდინარეობს უკანასკნელიდან. *გასაღების ხარჯები ადიდებენ მოთხოვნას შეს'აბამის პროდუქტზე; წარმოების ხარჯები ადიდებენ მის მიწოდებას".*[20]

მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის ისტორიული მნიშვნელობა

ჯერ-ერთი, ე. ჩემბერლინის თეორიის თანახმად, არარეალური ნაცვლად, რომელიც ხელოვნური აბსტრაქციაა, კატეგორიამ „წმინდა კონკურენცია“ მართლზომიერია ისაუბროს მონოპოლისტურ კონკურენციაზე, როდესაც გამყიდველები ამასთან ყოველთვის ინარჩუნებენ ერთმანეთთან კონკურენციის შესაძლებლობას, ფასის მანიპულირებით და მისი დონის გაკონტროლებით, და იყოს „თავისი ბაზრის“ ბატონ-პატრონი.

მეორე, მათ მიერ შემოღებული ცნება *„მონოპოლისტური კონკურენცია“*[1], *„წმინდა კონკურენციის“* ალტერნატიული ცნება გახდა. მონოპოლისტური კონკურენციისას ხომ: საბაზრო სტრუქტურა წარმოდგენილია საკმაოდ დიდი რაოდენობის გამყიდველებით და ერთი ფირმის საქმიანობაზე ზეგავლენას არ ახდენს მისი მეტოქე სხვა ფირმის საქმიანობის ეფექტიანობა; მყიდველები ამჯობინებენ იმ პროდუქციას, რომლის სხვადასხვაგვაროვნება განპირობებულია სავაჭრო მარკით და კონკრეტული გამყიდველის სხვა თვისებრივი მახასიათებლებით; „დიფერენცირებულმა პროდუქტმა“, ე.ი. პროდუქტის ესა თუ ის მარკა, რომელიც ახლო სუბსტიტუტია, შესაძლებელია აწარმოოს ნებისმიერმა „ახალმა“ გამყიდველმა ანუ, როგორც ამბობენ, დარგში ან საქონელთა ჯგუფის ბაზარზე „შესვლა“ შეუზღუდავია.

მესამე, თუკი წინათ „კლასიკოსები“ და „ნეოკლასიკოსები“ ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტ პირობად თვლიდნენ წმინდა კონკურენციას და კონკრეტული ბრძოლა მხოლოდ ერთმანეთთან შერწყმულ ბაზარზე დაიშვებოდა, მაშინ, ე. ჩემბერლინის თეორიის თანახმად, კონკურენციას *ადგილი აქვს მონოპოლიის პირობებშიც „პროდუქტის დიფერენცირების“ ბაზაზე,* როდესაც ერთიდაიგივე სახეობის საქონელს განსაკუთრებული თვისებები უჩნდება და მყიდველს შესაძლებლობა ეძლევა თავისი უპირატესობა გამოხატოს ამ სახეობის ერთ-ერთი საქონლისადმი.

მეოთხე, თუკი „კლასიკოსები“ და „ნეოკლასიკოსები“ წმინდა კონკურენციის მონოპოლიით გამოდევნას საფასო ომის ჩაქრობაში ხედავდნენ, მაშინ, ე. ჩემბერლინის შეხედულებით, *კონკურენტულ ბრძოლას ყოველთვის ჰქონდა ადგილი კონკურენტ-მონოპოლისტებს შორის,* რომელიც, როგორც საფასო, ისე არასაფასო კონკურენციის მეშვეობით ვლინდება და განპირობებულია პროდუქტისა და რეკლამის სრულყოფით.

მეხუთე, ჩემბერლენის შეხედულებებმა პირველად მიიყვანა ეკონომიკური ლიბერა-ლიზმის იდეები მკვლევართა იმ აზრამდე, რომ არ არსებობს არც წმინდა კონკურენცია და არც წმინდა მონოპოლია, რომ თავისი არსით მონოპოლისტურ კონკურენ-

ციას შეიძლება ადგილი ჰქონდეს გამყიდველთა საკმაოდ დიდი რაოდენობის დროსაც კი, მეტოქე საქონელთა ურთიერთშეცვლადობის ამაღლების გამწვავებით. აქედან დროული ხდება დასკვნები მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში მყიდველმა ერთი კონკურირებადი საქონელი ამჯობინოს მეორეს და ერთი აბსოლუტურად არაექვივალენტური ერთსახელიანი საქონლის გამყიდველი ამჯობინოს მეორე გამყიდველს. ეს ჩემბერლინის ლოგიკით, ასევე ნიშნავს, რომ შეჯიბრების მოგება მსხვილ მეურნე სუბიექტთან, და იყოს მონოპოლისტი, შეუძლია წვრილ ან საშუალო გამყიდველსაც და მწარმოებელსაც, ე.ი. მონოპოლია, მარქსისტული კრიტიკის საპირისპიროდ, აუცილებლად როდი წარმოადგენს ფინანსური კონტროლის, წარმოების კონცენტრაციისა და კაპიტალის ცენტრალიზაციის შედეგს, ვინაიდან საბაზრო სისტემისთვის დამახასიათებელია კონცენტრაციის გაძლიერებული ტენდენციებიც[22].

ე. ჩემბერლინის კომენტარები მისი თეორიის მნიშვნელობის შესახებ

მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ მე-9 თავს „მონოპოლისტური კონკურენციის თეორიები", რომელიც ე. ჩემბერლინის მიერ შეტანილია წიგნში 1937წ. მის მიერ გასწორებული და შევსებული სტატიის ბაზაზე. იგი შეიცავს რიგ არსებით კომენტარებს. მაგალითისთვის, მეცნიერის ხაზგასმით, *პროდუქტის დიფერენცირება არ უნდა განვიხილოთ „ყველაზე ფართო გაგებით"*, რამდენადაც იგი (დიფერენცირება) შეუძლებელია თუნდაც ყველაზე ნაკლები მნიშვნელობის გარეშე „უკიდურეს შემთხვევაში მყიდველთა გარკვეული რაოდენობისთვის". კიდევ ერთი კომენტარი დაკავშირებულია ცნებასთან „მონოპოლისტური კონკურენცია", რომელსაც ჰარვარდელი პროფესორი ახასიათებს, როგორც „გამომძახილს ეკონომიკური მეცნიერების ტრადიციულ თვალსაზრისზე", იმ გაგებით, რომ მისი არსიდან არ გამომდინარეობს ისეთ მოვლენათა ბუნება, როგორიცაა კონკურენცია და მონოპოლია და, რომ ცალკეული ფასები (ამ ცნების წყალობით) „უნდა აიხსნას ან კონკურენციის ან მონოპოლიის კატეგორიებში". გარდა ამისა, „არასრულყოფილი კონკურენციის" და „მონოპოლისტური კონკურენციის" კატეგორიების შესახებ საუბრისას, მეცნიერი განმარტავს იმათ მსჯელობათა ტენდენციურობას, ვინც მათ აკავშირებს „როგორც ერთიდაიგივე მოვლენის ორ სხვადასხვა სახელწოდებას", და მიუთითებს იმაზე, რომ ამ კატეგორიათა მსგავსების ელემენტები „საკმაოდ შეფასებულია, მაგრამ მათი მსგავსება ძლივს თუ არის გაცნობიერებული". ამასთან, იგი წერს: „...მე სავსებით ვაცნობიე-

რებ, რომ მრავალნი აქ ვერ „იჭერენ" ამ განსხვავების მნიშვნელობას და აქ მხოლოდ ტერმინოლოგიის საკითხს ხედავენ."[23]

თავისი გამოკვლევის შეჯამებით, ე. ჩემბერლინი ურყევ რწმენას გამოხატავს მონოპოლიის ბუნებრივ არსში კონკურენტულ გარემოში, ე.ი. იმაში, რომ მეწარმეობა თავის მნიშვნელოვან ნაწილში „წარმოადგენს ყოველი მეწარმის მცდელობას აღმართოს საკუთარი მონოპოლია, გაავრცელოს იგი სანამდეც შეიძლება და დაიცვას იგი სხვა მეწარმეთა მცდელობის წინააღმდეგ, გააფართოვოს თავისი მონოპოლიები[24]". მაგრამ, მისი აზრით, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური მეცნიერების მეშვეობით მოხდეს იმ გარემოების „სრული გაცნობიერება, რომ პროდუქტი ყოველთვის დიფერენცირებულია", „რომ კეთილდღეობის ეკონომიკისთვის წმინდა კონკურენცია ამიერიდან ყველა ურთიერთობაში „იდეალად" არ შეიძლება ჩაითვალოს."[25]

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ შემდგომში ე. ჩემბერლინმა და მონოპოლისტური კონკურენციის მისეული თეორიის მომხრეებმა ნამოაყენეს დებულება *კონკურენციის შენარჩუნების შესახებ „ჯგუფური მონოპოლიის" დროსაც კი,* რომლის შესაბამისად ბაზარზე საქმე ეხება ზეგაველნის სფეროების გაყოფას პარტნიორ-კონკურენტებს შორის, არაორდინარული (დიფერენცირებული) სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის მიზნით ფასის შემცირების გარეშე ზღვრული ხარჯების დონემდე. ე. ჩემბერლინის თეორიულ დებულებათა თანამედროვე რედაქციის მეორე დამახასიათებელ თავისებურებას, „პროდუქტის დიფერენცირების" შესახებ იდეის წამოყენებასთან, ე.ი. მისი განსაკუთრებული ხარისხის და კიდევ დამატებითი არასაფასო პირობების შესახებ მონოპოლისტური კონკურენციის გაძლიერებას, როგორლაც ცალკეული საქონელმწარმოებლის მიერ მიღწეული ტექნიკური სრულყოფა წარმოადგენს; მყიდველთა განსაკუთრებულ მომსახურებას, რომელიც ფირმისთვის რესპექტაბელურ რეპუტაციას უზრუნველყოფს და ა.შ.

18. 2. ჯ. რობინსონის არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია

ჯოან ვაიოლეტ რობინსონმა (1903-1983) დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტი და გახდა ა. მარშალის სკოლის მოძღვრების ერთ-ერთი სახელგანთქმული წარმომადგენელი და გამგრძელებელი. პროფესორის თანამდებობა ამ უნივერსიტეტში ეკავა 1965-იდან 1971 წლამდე. იგი მიეკუთვნება იმ ავტორთა რიცხვს ეკონომიკურ მეცნიერებაში, ვისაც მსოფლიო ცნობადობა მოუტანა ნაშ-

რომმა, რომელიც დაწერილია შემოქმედებითი გზის დასაწყისში, თუკი გავითვალისწინებთ, რომ „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორია“ მისი კალმიდან გამოვიდა 30 წლის ასაკში.

არასრულყოფილი კონკურენციის არსი

წიგნის მთავარი იდეა *მონოპოლიების საბაზრო ასპექტების გამოვლენაში მდგომა-რეობს*, კონკურენცია, რომლის არსებობის პირობებში და რომელთა შორის წონასწ-ორობის დარღვევასთან დაკავშირებით ეკონომიკაში, მისი შეხედულებით, არასრ-ულყოფილია (ხოლო ე. ჩემბერლინის ტერმინოლოგიით-მონოპოლისტური). ისე როგორც ე. ჩემბერლინი, ჯ. რობინსონიც თავის წინაშე სვამს ამოსავალ ამოცანას - ახსნას ფასების დადგენის მექანიზმი სიტუაციაში, როდესაც მწარმოებელი გამოდის საკუთარი პროდუქციის მონოპოლიურ მფლობელად, ე.ი. ფასს სახელდობრ რატომ გააჩნია ეს სიდიდე და მყიდველი რატომ თანხმდება იყიდოს საქონელი გამყიდველის მიერ დაწესებული ფასით, რომელსაც მისთვის მონოპოლიური მოგება მოაქვს. მაგრამ ავტორის შემდგომი მსჯელობა დიდად სცილდება ე. ჩემბერლინის ლოგიკურ აზრთწყობებს. კერძოდ, თუკი უკანასკნელი მონოპოლისტურ კონკურენციას უკავშირებდა ბაზრის ბუნებრივი მდგომარეობის ერთ-ერთ მახასიათებელს წონასწორობაში, მაშინ ჯ. *რობინსონი არასრულყოფილი კონკურენციის შესახებ საუბრისას, მასში უწინარეს ყოვლისა ხედავდა კონკურენტული სამეურნეო სისტემის რღვევას და ნორმალური წონასწორობითი მდგომარეობის დარღვევას და დაქირავებულო შრომის „ექსპლოატაციასაც“ კი.*

ძირითადი თეორიული დებულებები

როგორც „არასრულყოფილი კონკურენციის თეორიის“ შინაარსობრივი ნაწილიდან ჩანს, მონოპოლიის არსი მასში ნეგატიურად განიხილება, როგორც ფაქტორი, რომელიც საბაზრო გარემოს სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების დესტაბილიზებას ახდენს. ამიტომ ამ ნაშრომში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ძირითადი დებულებები.

ჯერ-ერთი, ჯ. რობინსონის რწმენით, *სრულყოფილი კონკურენციის* პირობებში მეწარმეები ნაკლებად არიან დაინტერესებული ნარმოების მონოპოლიზებით, *ვიდრე არასრულყოფილი ბაზრის პირობებში*, რომელშიც ცალკეულ ფირმებს არ შეუძლიათ ოპტიმალური მასშტაბების მიღწევა, ფუნქციონირებენ არაეფექტიანად, და „ამიტომ მონოპოლისტს შესაძლებლობა გააჩნია არა მხოლოდ გაზარდოს ფასები თავის პროდუქციაზე, გამოშვების შეზღუდვით,

არამედ ასევე შეამციროს წარმოების დანახარჯები დარგში წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის გზით[26].

მეორე, ჯ. რობინსონის შეხედულებაზე, გარდა იმისა, რომ მონოპოლია მოითხოვს პროდუქციის შესამჩნევ გამოცალკევებას „საქონელ-სუბსტიტუტებისგან“ ან, თუ სხვა-ნაირად ვიტყვით, დიფერენცირებისგან, აუცილებელია დამატებითი პირობა, რომლის შესაბამისად *ფირმა-მონოპოლისტი ოპტიმალურზე მეტი სიდიდით უნდა ხასიათდებოდეს* [27].

მესამე, მონოპოლიზებულ ბაზარზე მისი არასრულყოფილი კონკურენციით, როგ-ორც ჯ. რობინსონმა აჩვენა, შესაძლებელია სიტუაცია, რომელიც მოითხოვს ახსნა-განმარტებას, „როგორი იქნება შესასყიდი პროდუქციის რაოდენობა, თუკი ბაზარს განვიხილავთ არა, როგორც შემდგარს არა უსაზღვროდ დიდი რაოდენობის ერთმანეთის კონკურირებადი მყიდველებისგან, არამედ მყიდველთა ერთეული გაერთიანებისგან“[28]. მოთხოვნის კონცენტრაციის ამ სიტუაციას, როდესაც ბაზარზე მოქმედებს ნვრილ გამყიდველთა დიდი მასა, ერთადერთ მყიდველს მან *მონოპსონია, ე.ი. მყიდველთა მონოპოლია უწოდა.*

მეოთხე, საკუთარი „თეორიული გამოკვლევის“ დასრულებით ჯ. რობინსონი „იმ... დასკვნამდე მიდის, რომ ნამდვილ სამყაროში არასრულყოფილი კონკურენციის პირო-ბების სიჭარბე ხელს უწყობს წარმოების ფაქტორთა ექსპლოატაციის წარმოშობას და ძლიერდება მსხვილ გაერთიანებათა შექმნის წყალობით, რომლებიც შთანთქავენ მრავალ ადრე ერთმა-ნეთს შორის კონკურირებად ფირმებს“[29], „რომ მართვის ერთეულის სიდიდის გადიდება აუცილებლად ხელს უწყობს კიდევ მეტ უსამართლობას სიმდიდრის განაწილებაში“.[30]

ეფექტიანობის და სამართლიანობის დილემა

წარმოების მონოპოლიზაციასთან დაკავშირებით ამ და სხვა მსჯელობებიდან გამომდინარე, ჯ. რობინსონი მიუთითებს *დილემის: ეფექტიანობა თუ სამართლიანობა* გადაჭრის აუცილებლობაზე. მისი მოსაზრებით, „მონოპოლიზაციის უპირატესობის ასახსნელად, არასაკმარისია ვაჩვენოთ, რომ იგი ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას“[31]. მაგრამ, როგორც მ. ბლაუგმა შენიშნა, იმისი რწმენა, რომ „ეფექტიანობა“ და „სამართლიანობა“ შეიძლება რაღაცნაირად დაიყოს, წარმოადგენენ ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ილუზიას“[32].

თავისი გამოკვლევის შედეგად, ჯ. რობინსონს სავსებით შეეძლო სხვა ლოგიკური დასკვნების გაკეთებაც, მათ შორის ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის კონკრეტული ზომების შესახებაც, მის მიერ გამოვლენილ არასრულყოფილი კონკურენციის წინააღმდე-

გობათა აღმოხვრის მიზნით. ასეთი ზომების საფუძვლიანი დასაბუთება, ჯ. რობინსონის ნიგნის გამოცემიდან სამი წლის შემდეგ, შემოგვთავაზა სხვა მეცნიერმა (ასევე კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელმა, ა. მარშალის ერთ-ერთმა მოწაფემ) ჯ. მ. კეინზმა[33].

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. როგორია ისტორიულ-ეკონომიკური წანამძღვრები არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრების თეორიების წარმოშობის შესახებ?
2. როგორ ახასიათებს ე. ჩემბერლინი მონოპოლიის არსს?
3. რა არის პროდუქტის დიფერენცირება? მოიტანეთ მაგალითები.
4. კონკურენციის რომელი არასაფასო ფაქტორები განაპირობებენ „პროდუქტის დიფე-რენცირებას"?
5. რით დასტურდება „ჭარბი სიმძლავრის ფენომენი" მონოპოლიური კონკურენციის პირობებში?
6. როგორ განასხვავებს ჯ. რობინსონი სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის პირობებს?
7. ჯ. რობინსონის მოსაზრებით, რომელი ნეგატიური ნიშნებია დამახასიათებელი ფირმა-მონოპოლისტისთვის?
8. რას უწოდებს ჯ. რობინსონი მონოპსონიას?
9. მოიტანეთ ჯ. რობინსონის მიერ წამოყენებული დილემის: ეფექტიანობის ან სამართლიანობის „მომხრე" და „მოწინააღმდეგე" არგუმენტები.

ნაწილი მეორე

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორია

თავი 19. კეინზელობა

ამ თავის შესწავლის შემდეგ, თქვენ შეძლებთ უპასუხოთ კითხვებს:

- რა არის კეინზელობა;
- ჯ. მ. კეინზის „ზოგადი თეორია" - „გენიოსის საშინლად დაწერილი წიგნი"... (პ. სამუელსონი) - რატომ გახდა შემობრუნების პუნქტი XX საუკუნის ეკონომიკურ მეცნიერებაში;
- როგორია მაკროგამოკვლევის როლი ჯ. მ. კეინზის „მარტივად დაუვარცხნელ წიგნში თანამედროვე ეკონომიკის „მოდელების" ფუნქციონირების გამოვლენაში (მ. ბლაუგი)
- რა სიახლე შეიტანა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიაში ჯ. მ. კეინზის მოძღვრების მიმდევრებმა.

1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისი, კოლოსალური ძალით თავს დაატყდა მრეწველობის თვალსაზრისით, როგორც განვითარებულ, ისე განუვითარებულ ქვეყნებს[1]. ამიტომ, სავსებით ცხადია, რომ, რამდენადაც XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ნეოკლასიკური თეორიის „ძალა" ძირითადად მიკროეკონომიკურ ანალიზზე ვრცელდებოდა, შეიძლება ითქვას, არატიპური კრიზისის პირობებში, რომელსაც თან ახლდა საყოველთაო უმუშევრობა, აუცილებელი გახდა კიდევ განსხვავებული მაკროეკონომიკური ანალიზიც, რომელსაც კერძოდ, მიმართა XX საუკ-უნის ერთ-ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა, ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. მ. კეინზმა[2].

იმავდროულად, დაწყებული 30-იანი წლებიდან, როგორც ნ. კონდრატიევმა აღნიშნა, „სოციალური ეკონომიის" სფეროში ჩვენ ვაკვირდებით „ეკონომისტების მწვავე ბრძოლას სახელმწიფო ჩარევისა და სამეურნეო საქმიანობის თავისუფლების, ტესტირების, სინდიცირების, პროტექციონიზმისა და ფრიტრედერობის საკითხების გარშემო"[3]. ამასთან დაკავშირებით წარმოშობილ მეცნიე-

რულ გამოკვლევათა პრობლემები კი დღემდე არ კარგავენ თავიანთ აქტუალურობას, ვინაიდან მათი ძირითადი შინაარსი - *ესაა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება საბაზრო მეურნეობაში.* აქედან იღებს თავის სათავეს ამ პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული თეორიები, რომლებიც დღევანდელი მეცნიერების სიმაღლეებიდან მართლზომიერია დაიყოს *ორ მიმართულებად.* ერთერთი ეს მიმართულება ემყარება ჯ. მ. კეინზის და მისი მიმდევრების მოძღვრებას და ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოებრივი ჩარევის მის მიერ რეკომენდებულ ზომებს და, როგორც წესი, *კეინზელობას* უწოდებენ. მეორე მიმართულება ასაბუთებს კეინზელობისთვის ალტერნატიულ კონცეფციებს, რომელთა ავტორებს *ნეოლიბერალებს* უწოდებენ.

19.1. ჯ. მ. კეინზის ეკონომიკური მოძღვრება

ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) - თანამედროვეობის გამოჩენილი სწავლული ეკონომისტია. იგი არანაკლებ ცნობილ მეცნიერთან, კემბრიჯის სკოლის დამაარსებელთან, ა. მარშალთან სწავლობდა. მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მისი მემკვიდრე არ გამხდარა და თითქმის არ დაუჩრდილია მისი მასწავლებლის დიდება.

ყველაზე ხანგრძლივი და მძიმე 1929-1933 წწ. ეკონომიკური კრიზისის შედეგების თავისებური გააზრება, რომელმაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა, აისახა იმ პერიოდში ჯ. მ. კეინზის მიერ ლონდონში გამოცემული ნიგნის სრულიად არაორ-დინარულ დებულებებში სახელნოდებით „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია"(1936)[4].

განსაკუთრებულმა უნარი, რომელიც მას ჯერ კიდევ სკოლაში აღმოაჩნდა, მნიშვ-ნელოვანი საფუძველი გახდა იტონში და კემბრიჯის სამეფო კოლეჯში სწავლის დროს, სადაც იგი სწავლობდა 1902-იდან 1906 წლამდე. ამასთან, მას მოუწია „განსაკუთრებული" ლექციების მოსმენა თვით კემბრიჯის უნივერსიტეტში ა. მარშალისგან, რომლის ინიცია-ტივით, როგორც უკვე აღინიშნა, 1902 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში შეიტანეს „ეკო-ნომიკისს" კურსი, ნაცვლად „პოლიტიკური ეკონომიისა".

1906-1908 წლებში იგი მუშაობდა სამინისტროში, პირველ წელს სამხედრო განყო-ფილებაში მუშაობის შემდეგ იგი მუშაობდა შემოსავლების, სტატისტიკის და ვაჭრობის განყოფილებაში.

1908 წელს, ა. მარშალის მინვევით, მას სამეფო კოლეჯში ეკონომიკურ პრობლე-მატიკაზე ლექციების კურსის წაიკითხვის შესაძლებლობა ეძლევა, რის შემდეგაც 1909 წლიდან 1915 წლამდე

აქვე ენევა პედაგოგიურ მუშაობას მუდმივ საფუძველზე, ერთდროულად, როგორც ეკონომისტი და მათემატიკოსი.

უკვე პირველმა მისმა ეკონომიკურმა სტატიამ სახელწოდებით „ინდექსური მეთოდი" (1909) გაცხოველებული ინტერესი გამოინვია; მას აღნიშნავენ ადამ სმითის პრიზითაც კი.

ჯ. მ. კეინზი საკმაოდ სწრაფად საზოგადოებრივ აღიარებასაც მოიპოვებს. მაგალითად, იგი „ეკონომიკური ჟურნალის" რედაქტორი ხდება და ეს თანამდებობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. 1913-1914 წწ. არის ინდოეთის ფინანსებისა და ფულადი მიმოქცევის სამეფო კომისიის წევრი. ამ პერიოდის კიდევ ერთი დანიშვნა იყო მისი დამტკიცება სამეფო ეკონომიკური საზოგადოების მდივნად. დაბოლოს, მას დიდი პოპულარობა მოუტანა 1913 წელს პირველად გამოცემულმა წიგნმა „ინდოეთის ფულის მიმოქცევა და ფინანსები."

შემდგომში, თავის ქვეყანაში პოპულარული სწავლული-ეკონომისტი ჯ. მ. კეინზი დაეთანხმა ბრიტანეთის ხაზინის სამსახურში გადასვლას, სადაც 1915-იდან 1919 წლამდე მუშაობდა საერთაშორისო ფინანსების პრობლემებზე, არც თუ იშვიათად გამოდის დიდი ბრიტანეთის ექსპერტად ფინანსურ მოლაპარაკებებში, რომელიც პრემიერ მინისტრისა და ხაზინის კანცლერის დონეზე ტარდებოდა. კერძოდ, 1919 წელს იგი იყო ხაზინის მთავარი წარმომადგენელი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე და იმავდროულად ბრიტანთის ფინანსთა მინისტრის მთავარი წარმომადგენელი ანტანტის უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში. ამავე წელს, მის მიერ გამოცემულ ნიგნს „ვერსალის სამშვიდობო ხელშეკ-რულების ეკონომიკური შედეგები" მისთვის მსოფლიო სახელი მოაქვს და მას მრავალ ენაზე თარგმნიან.

შემდგომში ჯ.მ. კეინზი მნიშვნელოვანი დროით ტოვებს სამსახურს სახელმწიფო დაწესებულებებში და თავის ძალისხმევას მიმართავს პედაგოგიურ მუშაობაზე კემბრიჯის უნივერსიტეტში და სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებაზე. მათ შორის ჩნდება „ტრაქტატი ალბათობის შესახებ" (1921), „ტრაქტატი ფულადი რეფორმების შესახებ" (1923), „ბატონი ჩერჩილის ეკონომიკური შედეგები" (1925), „თავისუფალი მეწარმეობის დასასრული" (1926), „ტრაქტატი ფულის შესახებ" (1930), და ზოგიერთი სხვები, რომლებმაც დიდი მეცნიერი მიაახლოვეს ყველაზე მთავარ ნაშრომს, რომელიც 1936 წელს გამოიცა-„ზოგად თეორიას..."[5]

აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას ჯ. მ. კეინზი უბრუნდება 1929 წელს, როდესაც იმავე წლის ნოემბრიდან მას ნიშნავენ ფინანსების და მრეწველობის სამთავრობო კომიტეტის წევრად. მეორე მსოფლიო ომის წლებში (1940 წ.) იგი ინიშნება ბრიტანეთის ხაზინის მრჩევლად. 1941 წელს მას რთავენ ინგლისის

სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში ლენდ-ლიზის ხელშეკრულების მასალების და აშშ-ის მთავრობასთან სხვა ფინანსური დოკუმენტების მოსამზადებლად. შემდგომი - 1942 წელი გახდა ინგლისური ბანკის ერთ-ერთ დირექტორად დანიშვნის წელი. 1944 წელს მას ამტკიცებენ თავისი ქვეყნის მთავარ წარმომადგენლად ბრეტონ-ვუდსის სავალუტო კონფერენციაზე, რომელმაც შეიმუშავა საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნის გეგმები და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შექმნის გეგმა, ხოლო შემდგომში ინიშნება ამ სართაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მმართველობის ერთ-ერთ წევრად. დაბოლოს, 1945 წელს, ჯ. მ. კეინზი ისევ მეთაურობს ინგლისურ ფინანსურ მისიას, - ამჯერად აშშ-ში, - მოლაპარაკებათა ჩასატარებლად ლენდ-ლიზის დახმარებათა დამთავრებასთან დაკავ-შირებით აშშ-სგან მსხვილი სესხის მიღების პირობების შესათანხმებლად[7].

„ზოგადი თეორიის" მთავარი იდეის სიახლე

ბევრი ეკონომისტის შეფასებით, ჯ. მ. კეინზის „ზოგადი თეორია" შემობრუნების პუნქტი გახდა XX საუკუნის ეკონომიკურ მეცნიერებაში და დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას დღევანდელ პერიოდშიც[8].

მისი მთავარი და ახალი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა სრულებით არ არის სრულყოფილი და თვითრეგულირებადი და, რომ მაქსიმალურად შესაძლო დასაქმება და ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია უზრუნველყოს მხოლოდ სახელმწიფოს აქტიურმა ჩარევამ ეკონომიკაში. ამ იდეის აღქმა პროგრესული საზოგადოებრიობის მიერ, როგორც ჯეროვანი და სწორი, თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტის ჯ. კ. გელბრეითის სიტყვებით განპირობებულია, იმით, რომ XX საუკუნის „30-იანი წლებისთვის თეზისი ფირმებს შორის კონკურენციის არსებობის შესახებ, რომლებიც აუცილებლად ნვრილები არიან და ყოველ ბაზარზე გამოდიან, უსაფუძვლონი გახდნენ[9], რამდენადაც „უთანაბრობა, რომელიც მონოპოლიის ან ოლიგოპოლიის არსებობის შედეგად წარმოიშობა, ვრცელდება ადამიანთა შედარებით ვიწრო ნრეზე" და ამის ძალით პრინციპში შეიძლება გამოსწორდეს სახელმწიფოს ჩარევით შეიძლება გამოსწორდეს"[10].

მნიშვნელოვანწილად ანალოგიურად აფასებენ ჯ. მ. კეინზის მთავარი ნაშრომის ძირითად იდეას სხვა მეცნიერებიც, მათ შორის მ. ბლაუგი[11] და სხვ.

შესწავლის მეთოდი და საგანი

ჯ. მ. კეინზის ეკონომიკური მოძღვრების ნოვატორობა საგნის შესწავლის ნაწილში და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გამოვლინდა, ჯერ-ერთი, მაკროეკონომიკური ანალიზის მჯობინებაში მიკროეკონომიკურ მიდგომისადმი, რომელმაც იგი *მაკროეკონომიკის, როგორც ეკონომიკური თეორიის დამოუკიდებელი განყოფილების ფუძემდებელი გახადა*, და, მეორე, ე.წ. „ეფექტიანი მოთხოვნის" (გამომდინარე რაღაც ფსიქოლოგიური კანონიდან) კონცეფციის, ე.ი. პოტენციურად შესაძლო და სახელმწიფოს მიერ სტიმულირებული მოთხოვნის დასაბუთებიდან[12]. საკუთარ, იმ დროისთვის გამოკვლევის რევოლუციურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ჯ. მ. კეინზი, თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით და გაბატონებული ეკონომიკური შეხედულებების საწინააღმდეგოდ, *ამტკიცებდა სახელმწიფოს დახმარებით ხელფასის ჩამოჭრის დაუშვებლობის აუცილებლობას, როგორც უმუშევრობის ლიკვიდაციის ძირითად პირობას და ასევე იმის შესახებ, რომ მოხმარება ადამიანის დანაზოგებისადმი ფსიქოლოგიურად განპირობებული მიდრეკილების გამო, შემოსავლებზე გაცილებით ნელა იზრდება.*

ადამიანის ფსიქოლოგიური მიდრეკილებები

კეინზის მიხედვით, *ადამიანის ფსიქოლოგიური მიდრეკილება დააგროვოს შემო-სავლის განსაზღვრული ნაწილი*, აფერხებს შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს კაპიტ-ალდაბანდებათა შემცირების გამო, რომელზეც დამოკიდებულია შემოსავლების პერმანენტული გადიდება[13]. ხოლო რაც შეეხება *ადამიანის ზღვრულ მიდრეკილებას მოხმარებისადმი*, იგი „ზოგადი თეორიის" ავტორის მოსაზრებით, თითქოსდა მუდმივია და ამიტომ შეუძლია განაპირობოს სტაბილური თანაფარდობა ინვესტიციების გადიდებასა და შემოსავლის დონეს შორის[14].

აღნიშნული, მოწმობს იმის შესახებ, რომ ჯ. მ. კეინზის კვლევის მეთოდოლოგიაში გაითვალისწინება ეკონომიკურ ზრდაზე არაეკონომიკური ფაქტორების არანაკლებ მნიშვნელოვანი ზეგავლენაც, როგორიცაა: სახელმწიფო (რომელიც ასტიმულირებს სამომხმარებლო მოთხოვნას ნარმოების საშუალებებზე და ახალ ინვესტიციებზე) და ადამიანთა ფსიქოლოგია (რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მეურნე სუბიექტების გაცნობიერებული ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს). ამასთან ერთად, კეინზური მოძღვრება უპირატესად წარმოადგენს ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების ფუძემდებლური პრინციპების გაგრძელებას და რამდენადაც თვით ჯ. მ. კეინზი და მისი მიმდევრები (სხვათა შორის ისე, როგორც ნეოლიბერალები), „წმინდა ეკონომიკური

თეორიის" იდეისადმი გაყოლით, საზოგადოების სამეურნეო პოლიტიკაში გამოდიან უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური ფაქტორებიდან, განსაზღვრავენ მათ რაოდენობრივ მაჩვენებლებს და კავშირებს მათ შორის, როგორც წესი, ზღვრული და ფუნქციონალური ანალიზის და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდების ბაზაზე.

მეთოდოლოგიური კავშირი მერკანტილიზმის კონცეფციასთან

ჯ. მ. კეინზი არ უარყოფდა მერკანტილისტების ზეგავლენას ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების მათ მიერ შექმნილ კონცეფციაზე. მისი ზოგადი მსჯელობები ამასთან, ცხადია, მდგომარეობს:

- ქვეყანაში ფულის მასის გადიდების მცდელობაში (როგორც მათი გაიაფების საშუალება და შესაბამისად სასესხო სარგებლის განაკვეთის შემცირებისა და წარმოებაში ინვესტიციების ნახალისების საშუალება);
- ფასების ზრდის მოწონებაში (როგორც ვაჭრობისა და წარმოების გაფართოების ხერხი);
- იმის აღიარებაში, რომ ფულის უკმარისობა უმუშევრობის მიზეზია;
- ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნული (სახელმწიფოებრივი) ხასიათის გაგებაში.

მეთოდოლოგიური განსხვავებები კლასიკოსებსა და ნეოკლასიკოსებს შორის

ჯ. მ. კეინზის „ზოგად თეორიას" მკაფიოდ გასდევს აზრი მეტისმეტი მომჭირნეობის მიზანშეუწონლობისა და დაგროვებადობის შესახებ და პირიქით, სახსრების ყოველი ზომით შესაძლო ხარჯვის შესახებ, რამდენადაც, როგორც მეცნიერი ვარაუდობდა, პირველ შემთხვევაში სახსრები, არაეფექტიან ლიკვიდურ (ფულად) ფორმას შეიძენენ, ხოლო მეორე შემთხვევაში - შეიძლება მიმართონ მოთხოვნისა და დასაქმების გადიდებაზე[15]. იგი ასევე მკვეთრად და არგუმენტირებულად აკრიტიკებს იმ ეკონომისტებს, რომლებიც ჟ. ბ. სეის „ბაზრების კანონის" დოგმატურ პოსტულატებს და სხვა განსაკუთრებულ „ეკონომიკურ" კანონებს ემხრობიან, უწოდებენ რა მათ კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს.

მოცემულთან კავშირში ჯ. მ. კეინზი, კერძოდ წერდა: „სეისა და რიკარდოს დროიდან ეკონომისტი-კლასიკოსები გვასწავლიდნენ: მიწოდება თვითონ წარმოშობს მოთხოვნას...რომ პროდუქციის მთელი ღირებულება პირდაპირ ან ირიბად უნდა დაიხარჯოს პროდუქტების შეძენაზე"[16]. მოცემული თეზისის დამადასტურებელი ამონარიდიდან

ჯ. ს. მილის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებიდან“ და ა. მარშალის „ეროვნულ ღირებულებათა წმინდა თეორიიდან“ გამომდინარე ჯ. მ. კეინზი აკეთებს დასკვნას, რომ კლასიკოსებისა და მათი მიმდევრებისთვის „წარმოებისა და დასაქმების თეორია შეიძლება აიგოს (ისე, როგორც მილთან) ნატურალური გაცვლის საფუძველზე; ფული კი არანაირ დამოუკიდებელ როლს არ თამაშობს ეკონომიკურ ცხოვრებაში“[17], ამიტომ „სეის კანონი...იმ ვარაუდის ტოლფასია, რომ არ არსებობს დაბრკოლება სრული დასაქმების მისაღწევად“[18].

„ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი“

ჯ. მ. კეინზის ამ კანონის არსი ასეთია: *„საზოგადოების ფსიქოლოგია ისეთია, რომ მთლიანი რეალური შემოსავლის ზრდით იზრდება მთლიანი მოხმარებაც, მაგრამ არა იმ ზომით, როგორითაც შემოსავალი იზრდება“*[19]. და ამ განმარტებაშია მისი არაორაზროვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიცია, რომლის შესაბამისად არასრული დასაქმების და არასრული რეალიზაციის, ეკონომიკის უთანაბრობის მიზეზების გამოსავლენად და ასევე მისი საგარეო (სახელმწიფო) რეგულირების მეთოდების დასასაბუთებლად „საზოგადოების ფსიქოლოგიას“ ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე „ეკონომიკის კანონებს“.

კერძოდ, ამიტომ ჯ. მ. კეინზი ამტკიცებს, რომ „სახელმწიფო მოღვაწეთა აღზრდა ... კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებზე“ საშუალებას არ მისცემს მათ „აირჩიონ რომელიმე უკეთესი გზა“, რომელიც ნაახალისებს სიმდიდრის გადიდებას, გარდა, როგორც იმედი „პირამიდის აგებისა, მიწისძვრისა და ომისაც კი“[20]. აქედან, მისი მოსაზრებით, „თუკი ეკონომიკური პროცესის მონაწილეთა მხოლოდ ფსიქოლოგიური მიდრეკილებები მართლაც დაახლოებით ასეთი აღმოჩნდებიან, როგორსაც ჩვენ მათ აქ ვვარაუდობდით, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ არსებობს კანონი, რომლის თანახმად დასაქმების გაფართოებამ, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ინვესტიციებთან, აუცილებლად წამახალისებელი ზეგავლენა უნდა მოახდინოს სამომხმარებლო დოვლათს მწარმოებელ დარგებზე, და ამრიგად, გაადიდოს ერთობლივი დასაქმება, ამასთან ასეთი გადიდება აჭარბებს პირველადი დასაქმების ნამატს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია დამატებით ინვესტიციებთან“[21].

ინვესტიციების მულტიპლიკატორის კონცეფცია

სხვათა შორის ინვესტიციების ზრდა და ამით განპირობებული ეროვნული შემოსავ- ლისა და მოსახლეობის დასაქმების ზრდა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მიზანშეწონილი ეკონომიკური ეფექტი. უკანასკნელი, რომელმაც ეკონომიკურ ლიტერატურაში მულტიპლიკატორის ეფექტის სახელწოდება მიიღო, ნიშნავს, რომ

„ინვესტიციების გადიდება ინვევს საზოგადოების ეროვნული შემოსავლის გადიდებას, ამასთან უფრო მეტი სიდიდით, ვიდრე ინვესტიციების თავდაპირველი ზრდა"[22]. ამ „ეფექტის" მექანიზმის სპეციფიკურ ამოხსნაში მდგომარეობს პასუხი კითხვაზე თუ ჯ. მ. კეინზის მეცნიერულ ძიებებში ასე დიდი ყურადღება რატომ ეთმობა მულტიპლიკატორის კონცეფციას, რომელიც მისი სიტყვებით, ეკონომიკურ თეორიაში ჯერ კიდევ 1931 წელს რ. ფ. კანმა შემოიტანა.

მაგრამ რ. ფ. კანის „*დასაქმების მულტიპლიკატორის*" დახასიათებისას, როგორც მაჩვენებლისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავზომოთ „უშუალოდ ინვესტიციებთან დაკავშირებულ დარგებში ერთობლივი დასაქმების გადიდების თანაფარდობები", რეკომენდებულ საკუთარ კოეფიციენტს ჯ. მ. კეინზმა „*ინვესტიციების მულტიპლიკა-ტორი*" უწოდა, რომელიც განსხვავებით რ. ფ. კანის მულტიპლიკატორისგან, ახასიათებს დებულებას იმის შესახებ, რომ, „*როდესაც, ინვესტიციების მთლიანი თანხა იზრდება, მაშინ შემოსავალი იზრდება თანხით, რომელიც K-ჯერ აჭარბებს ინვესტიციების ნამატს*"[23]. ასეთი მდგომარეობის მიზეზი, ხაზს უსვამს ჯ.მ. კეინზი, მის მიერვე მუდმივად ნახსენებ „ფსიქოლოგიურ კანონში" მდგომარეობს, რომლის ძალითაც „*იმის კვალობაზე თუ როგორ იზრდება რეალური შემოსავალი, საზოგადოებას სურს მოიხმაროს მისი მუდმივად კლებადი ნაწილი*"[24]."

შემდგომში იგი მიდის დასკვნამდე იმის შესახებ, რომ „მულტიპლიკატორის პრინ-ციპი საშუალებას იძლევა საერთო პასუხი გავცეთ კითხვას იმის შესახებ, თუ ინვეს-ტიციების მერყეობებს, რომლებიც ეროვნული შემოსავლის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს, როგორ შეუძლიათ გამოინვიონ ერთობლივი დასაქმების და შემოსავლის მერყეობები, რომლებიც გაცილებით დიდი ამპლიტუდით ხასიათდებიან"[25]. მაგრამ, მისი რწმენით, „თუმცა ღარიბ საზოგადოებაში მულტიპლიკატორის სიდიდეები შედარებითი სიდიდეებია, მაგრამ მერყეობათა ზეგავლენა ინვესტიციათა მოცულობებში დასაქმებაზე ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდება მდიდარ საზოგადოებაში, რამდენადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ უკანასკნელში მიმდინარე ინვესტიციები შეადგენენ მიმდინარე პროდუქციის გაცილებით დიდ წილს"[26].

ამრიგად, მულტიფიკატორის ეფექტის თეორიული არსი მართლაც საკმაოდ მარტივია.[27].

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებები

თავისი გამოკვლების შედეგებად ჯ. მ. კეინზი თვისებრივად ახალი ეკონომიკური თეორიის შექმნას მიიჩნევდა[28]. უკანასკნელი, მისი შეხედულებით, „მიუთითებს ცენტრალიზებული კონტროლის შექ-

მნის სასიცოცხლო აუცილებლობაზე ისეთ საკითხებში, რომლებიც ძირითადში წარმოდგენილია კერძო ინიციატივით...სახელმწიფომ თავისი ხელმძღვანელი ზეგავლენა უნდა მოახდინოს მოხმარებისადმი მიდრეკილებაზე ნაწილობრივ გადასახადების შესაბამისი სისტემის გზით, ნაწილობრივ სარგებლის განაკვეთის ფიქსირებით და შესაძლოა, სხვა ხერხებითაც"[29], ვინაიდან „სწორედ დასაქმების მოცულობის განსაზღვრით, და არა იმათი შრომის დანაწილებით, ვინც უკვე მუშაობს, არსებული სისტემა უკვე გამოუსადეგარი აღმოჩნდა"[30]. აი რატომ, ჯ. მ. კეინზის რწმენით, „ცენტრალიზებული კონტროლის დაწესება, რომელიც აუცილებელია სრული დასაქმების უზრუნველ-საყოფად, მოითხოვს, ცხადია, მთავრობის ტრადიციული ფუნქციების მნიშვნელოვან გაფართოებას...და მაინც ფართო შესაძლებლობები რჩება კერძო ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის"[31].

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების რეგულირების ეფექტიანობა, ჯ. მ. კეინზის შეხედულებით, დამოკიდებულია *სახსრების მოძიებაზე სახელმწიფო ინვესტიციებისათვის, მოსახლეობის სრული დასაქმების მიღწევისთვის, სარგებლის ნორმის შემცირებისა და ფიქსირებისთვის.* იგი წერდა: „რიკარდომ და მისმა მიმდევრებმა შეხედეს იმ ფაქტს, რომ გრძელვადიან პერიოდშიც კი დასაქმება აუცილებლად როდი მიისწრაფის სრული დასაქმების დონისკენ, რომ დასაქმების დონე შეიძლება შეიცვალოს და, რომ ყოველ ცალკეულ საბანკო პოლიტიკას სხვებისგან განსხვავებული დასაქმების დონე შეესაბამება. ამრიგად, არსებობს გრძელვადიანი წონასწორობის მრავალი მდგომარეობა, რომელიც შეესაბამება ფულადი სისტემის მარეგულირებელი ორგანოს სარგებლის პოლიტიკის სხვადასხვა წარმოსადგენ ვარიანტებს"[32].

როგორც ჯ. მ. კეინზი ვარაუდობდა, *სახელმწიფო ინვესტიციები, მათი უკმარისობის შემთხვევაში, გარანტირებული უნდა იყოს დამატებითი ფულის გამოშვებით, ხოლო პიუჯეტის შესაძლო დეფიციტი აღმოიფხვრება დასაქმების გადიდებით და სარგებლის ნორმის დაცემით.* სხვანაირად რომ ვთქვათ, ჯ. მ. კეინზის კონცეფციით, რაც უფრო დაბალია სასესხო სარგებლის განაკვეთი, მით მაღალია ინვესტიციებისადმი, საინვესტიციო მოთხოვნის დონის ზრდისადმი სტიმულები, რაც, თავის მხრივ, აფართოებს დასაქმების საზღვრებს, იწვევს უმუშევრობის დაძლევას. ამასთან, თავის ამოსავლად იგი თვლიდა ფულის რაოდენობრივი თეორიის შესახებ ისეთ მდგომარეობას, რომლის შესაბამისად რეალურ სინამდვილეში „ნაცვლად მუდმივი ფასებისა, გამოუყენებელი რესურსებისა და ფასების არსებობისას, რომლებიც ფულის რაოდენობის პროპორციულად იზრდებიან რესურსების სრული გამოყენების პირობებში, ჩვენ პრაქტიკულად

გვაძლევს ფასების, რომლებიც თანდათანობით იწრიდებიან დასაქმების ფაქტორია გადადების ზომით"[31].

ამასთან დაკავშირებით მ. ბლაუგი წერს: „კეინსისთვის სრული დასაქმება დამოკიდებულია სარგებლის განაკვეთისა და ხელფასის სწორი თანაფარდობისაგან და შესაძლოა მიღწეულ იქნეს მეტადრე პირველის შეცვლების გზით, ვიდრე მეორის შეცვლებით. უმუშევრობის ფუნდამენტური მიზეზი ჯ. მ. კეინსთან იმაში მდგომარეობს, რომ სარგებლის განაკვეთი გრძელვადიან პერსპექტივაში ძალზედ მაღალი რჩება ..."[32]. ამასთან, მ. ბლაუგის მიხედვით, „კეინზური თეორიის თანახმად ფულადი მასის გაორმაგება არ იწვევს ფასების დონის გაორმაგებას, მაგრამ ამასთან ერთად ხელმოქმედებს სარგებლის განაკვეთზე...იმიტომ, რომ ფულზე მოთხოვნის კეინზური ფუნქცია, კერძოდ სპეკულაციური, ითვალისწინებს „ფულად ილუზიას" ანუ ინდივიდების რეაქციას, ნაღდი ფულის მარაგების ნებისმიერ, თუნდაც ნომინალურ, ცვლილებაზეც კი."[33].

და საკუთარი პოზიციის შეჯამებით, ჯ. მ. კეინზის მოძღვრებასთან მიმართებაში, მ. ბლაუგი შესძახებს: *„კეინზურ რევოლუციას მართლაც ჰქონდა ადგილი!"*[34].

19.2. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ნეოკეინზური დოქტრინები

თანამედროვე კეინზელებში დომინირებს ორი ტენდენცია: ამერიკული, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ის რიგი ეკონომისტების სახელებთან, და ევროპული, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ფრანგი ეკონომისტების გამოკვლევებთან.

ნეოკეინზელობის თავისებურებები აშშ-ში

ჯ. მ. კეინზის ამერიკელ მიმდევრებს შორის ყველაზე უფრო მეტად მოიხსენიება ე. ჰანსენი, ს. ჰარისი, ჯ. მ. კლარკი და სხვ. ისინი, ჯ. მ. კეინზის მოძღვრებაზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად თვლიდნენ გადასახადების გადიდებას მოსახლეობის შემოსავლებიდან (25%-მდე და მეტად), სახელმწიფო სესხების ზრდას და ფულის გამოშვებას სახელმწიფო ხარჯების დასაფარად (მაშინაც კი თუ ეს გაზრდის ინფლაციას და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს).

კეინზელობაში კიდევ ერთ „დამატებას" წარმოადგენს კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების მიმართულებათა და პერმანენტული რეგულირების მეთოდის „შეცვლა" სახელმწიფო ხარჯების მანევრირების მეთოდით ეკონომიკური კონიუნქტურისგან დამოკიდებულებაში. ასე მაგალითად, ეკონომიკის აღმავლობის პერიოდებში ინვეს-

ტიციები იზლუდება, ხოლო შენელების ან დაქვეითების პერიოდებში იზრდება (მიუხედავად შესაძლო ბიუჯეტური დეფიციტისა).

დაბოლოს, თუკი ჯ. მ. კეინზი თავის თეორიაში მულტიპლიკატორის პრინციპს ემყარებოდა, რომელიც ნიშნავს, რომ შემოსავლების ზრდას თან ახლავს ინვესტიციების ზრდის შემცირება, აშშ-ში კი (ე. ჰანსენის თეორიით) წამოაყენეს *დამატებული პრინციპი-აქსელერატორის პრინციპი*, რომელიც ნიშნავს, რომ შემოსავლების ზრდამ, კონკრეტულ შემთხვევებში, შეიძლება გაზარდოს კიდეც ინვესტიციები. დამატების აზრი შემდეგშია: მოწყობილობის, მანქანების და მექანიზმების ზოგიერთ სახეობებს წარმოების შედარებით ხანგრძლივი ვადა გააჩნიათ და ამ ვადის მოლოდინი ფსიქო-ლოგიურ ზეგავლენას ახდენს საჭირო მანქანის ან მოწყობილობის მოცულობებზე, რომელიც აჭარბებს რეალურ მოთხოვნას, და მაშასადამე, იზრდება მოთხოვნაც და ინვესტიციებიც.

ნეოკეინზელების თავისებურებები საფრანგეთში

საფრანგეთის ეკონომისტებმა (ფ. პერუმ და სხვ.) აუცილებლად როდი ჩათვალეს ჯ. მ. კეინზის დებულება სარგებლის განაკვეთის რეგულირების, როგორც ახალი ინვეს-ტიციების სტიმულირების საშუალების შესახებ. იმ ვარაუდით, რომ სწორედ კორპო-რაციები სახელმწიფო საკუთრების წილის სიჭარბით, საზოგადოების დომინირებადი და მაკოორდინირებელი ძალაა, ისინი *ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკის ინდიკატორული დაგეგმვის მეთოდის გამოყენებაზე, როგორც საინვესტიციო პროცესის შენელების განმსაზღვრელ საშუალებაზე*. ამასთან, ინდიკატორული დაგეგმვა რეკომენდებულია სავალდებულო ამოცანების დასმის მიზნით საზოგადოებრივი მეურნეობის მხოლოდ სახელმწიფო სექტორისთვის და გრძელვადიანი მიღწევადი პროგნოზებისთვის ეკონომიკისთვის მთლიანად; ინდიკატორულისადმი ალტერნატიული იმპერატიული დაგეგმვა განიხილება, როგორც დირექტიული, სოციალისტური და ამიტომ დაუშვებლად ითვლება.

ეკონომიკური ზრდის თეორიები

50-იან წლებში ჯ. მ. კეინზის ეკონომიკური მოძღვრების ძირითადი იდეების ზოგიერთმა მომხრეებმა და მისმა მიმდევრებმა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობის და შესაძლებლობების დასაბუთების ნაწილში (სტიქიური ბაზრის პირობებში, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის არარსებობის გამო) ეს იდეები აღიქვეს ამოსავალი პოზიციის სახით ახალი თეორიების შესამუშავებლად, რომელთა არსი ეკონომიკური ზრდის მუდმივი ტემპების ახსნასა და დასაბუთებამდე დაიყვანებოდა. შედეგად,

წარმოიშვა ე.წ. ზრდის ნეოკეინზური თეორიები, რომელიც „მულტიპლიკატორი-აქსელერატორის[37]“ სისტემის აღრიცხვას და ეკონომიკური დინამიკის მოდელირებას ემყარება დაგროვებასა და მოხმარებას შორის ურთიერთკავშირის მახასიათებლის გამოყენებით.

ხსენებული თეორიების მთავარი წარმომადგენლები გახდნენ მასაჩუსეტსის ტექნო-ლოგიური ინსტიტუტის პროფესორი, *ევსეი დომარი* (დაბ. 1914 წ.) და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი *რობერტ ჰაროდი* (1890-1978). მათი თეორიები (მოდელები) აერთიანებს საერთო დასკვნას მუდმივი (მყარი) ეკონომიკური ზრდის, როგორც დინამიური წონასწორობის (წინსვლითი მოძრაობის) გადამწყვეტი პირობის მიზანშეწონილების შესახებ, რომლის დროსაც მიღწევადია *წარმოებრივ სიმძლავრეთა და შრომითი რესურსების სრული გამოყენება*. ჰაროდი-დომარის სხვა დებულებაა წანამძღვრების აღიარება ისეთი პარამეტრების მუდვივობისა და ხანგრძლივი პერიოდის შესახებ, როგორიცაა დანაზოგების წილი შემოსავლებში და კაპიტალურ დაბანდებათა საშუალო ეფექტიანობა. და მესამე მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ავტორი დინამიური წონასწორობის მიღწევას და მუდმივ ზრდას შესაძლებლად თვლიდნენ არა ავტომატურად, არამედ შესაბამისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგად, ე.ი. *ეკონომიკაში აქტიური სახელმწიფო ჩარევით.*

ე. დომარისა და რ. ჰაროდის მოდელებში განმასხვავებელი ნიშნები განპირობებულია მხოლოდ გარკვეული განსხვავებებით მოდელის აგების ამოსავალ პოზიციებში. ასე მაგალითად, რ. ჰაროდის მოდელის საფუძველია იდეა ინვესტიციებისა და დანაზოგების ტოლობის შესახებ, ხოლო ე. დომარის მოდელში ამოსავლად ითვლება ფულადი შემოსავლისა (მოთხოვნა) და წარმოებრივ სიმძლავრეთა (მინოდება) ტოლობა[38].

ამასთან, ე. დომარი და რ. ჰაროდი ერთიანნი არიან თავიანთ რწმენებში ინვესტი-ციების ქმედითი როლის შესახებ შემოსავლის ზრდის უზრუნველყოფაში, წარმოებრივ სიმძლავრეთა გადიდებაში, იმ ვარაუდით, რომ შემოსავლების ზრდა ხელს უწყობს დასაქმების გადიდებას, რომელიც, თავის მხრივ, აღმოფხვრის საწარმოთა დაუტვირთაობას და უმუშევრობას. ეს რწმენა წარმოადგენს ამ ავტორთა მიერ *კეინზური კონცეფციის უპირობო აღიარებას ეკონომიკური პროცესების ხასიათისა და დინამიკის დამოკიდებულების შესახებ ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის, სახელდობრ: პირველთა წინმსწრები ზრდა - ფასების დონის გადიდების მიზეზია, ხოლო მეორეთა - საწარმოთა დაუტვირთაობის, არასრული დასაქმების მიზეზი*[39].

ნეოკეინზელთა იდეების თანამედროვე შეფასებები

არაორდინარულ, მაგრამ დიდწილად დასაბუთებული დასკვნებიდან თანამედროვე კეინზელებში აღსანიშნავია კ. ჰოვარდის და

გ. ჟურავლიოვას დასკვნები, რომლებიც წერენ ასე: „ჯ. მ. კეინზის ზოგადი თეორიის რეალიზაციამ პრაქტიკაში დასავლეთის ქვეყნები სოციალურ ორიენტაციამდე მიიყვანა. სამწუხაროდ, თითოულმა ქვეყანამ ეს გააკეთა თავისი საერთო სახელმწიფო ბიუჯეტური დეფიციტის ხარჯზე. დასავლეთის ქვეყნების დეფიციტები ახლა უზარმაზარია. ამ პოლიტიკის სხვა უბედურება გახდა გაუთავებელი ინფლაცია. ცენტრალური საბანკო სისტემა იძულებული იყო მუდმივად გაეზარდა ფულადი მასა, რათა დაეკმაყოფილებინა მთავრობის მოთხმარებები, რომლებიც დეფიციტს და საბოლოო ჯამში ინფლაციას იწვევდნენ"[40]. სხვათა შორის, ბლაუგის მიხედვით, ეს პრობლემები იმისი ბუნებრივი შედეგია, რომ „კეინზური ეკონომიკური თეორიის მიზანი იყო განწყობის გაძლიერება საზოგადოებრივ სამუშაოთა სასარგებლოდ, თეორიულ დასაბუთებათა ტვირთის იმათთვის დატოვებით, ვინც ცდილობდა უმუშევრობის აღმოფხვრას ხელფასის შემცირების გზით"[41].

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. დაახასიათეთ ჯ. მ. კეინზის შესწავლის საგნისა და მეთოდის თავისებურებები.
2. რომელ ეკონომისტებს მიაკუთვნებს ჯ. მ. კეინზი კლასიკურ სკოლას?
3. რაში მდგომარეობს ჯ. მ. კეინზის „ფსიქოლოგიური კანონის არსი"?
4. რა აზრს დებს ჯ. მ. კეინზი „ინვესტიციების მულტიპლიკატორში"?
5. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების რა ღონისძიებებს მოითხოვს ჯ. მ. კეინზი?
6. რაში მდგომარეობს თანამედროვე კეინზელობის ამერიკული და ევროპული ტენდენციების თავისებურებები?
7. რაში მდგომარეობს ე. დომარისა და რ. ჰაროდის ზრდის ნეოკეინზური თეორიის არსი?
8. როგორია ნეოკეინზელობის იდეების თანამედროვე შეფასებები?

თავი 20. ნეოლიბერალიზმი

მოცემული თემის შესწავლა აუცილებელია, რომ გაიგოთ:

- რომ ნეოლიბერალიზმი კეინზელობასთან ერთად წარმოადგენს შეხედულებათა დამოუკიდებელ სისტემას ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემებზე;
- „ჩვენმა თაობამ", როგორ გაიგო საკუთარ გამოცდილებაზე, რას უდრის „მგეგმავი საზოგადოების ფასი და ადამიანურ ძალთა ავტორიტარული ორგანიზაციის" ფასი (ა. უოლტერ ლიპმანი).
- გერმანული „ორდოლიბერალიზმის" კონცეფციის წყალობით გაიგოთ სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციის შესახებ;
- ფილიპსის მრუდის მნიშვნელობის კრიტიკული ხელახალი გააზრების შესახებ ნეოლიბერალიზმის ჩიკაგოს სკოლის მონეტარული კონცეფციის ჩამოყალიბებაში.

ნეოლიბერალიზმი აღმოცენდა თითქმის კეინზელობის ერთდროულად XX საუკუნის 30-იან წლებში, როგორც შეხედულებათა დამოუკიდებელი სისტემა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემაზე. ნეოლიბერალური კონცეფცია თეორიულ დამუშავებებშიც და პრაქტიკულ *გამოყენებაშიც პირობების პრიორიტეტის იდეას ემყარება კონკურენციის შეუზღუდავი თავისუფლებისთვის არა ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის სანინააღმდეგოდ, არამედ მისი გარკვეული ჩარევის წყალობით.*

თუკი კეინზელობა თავდაპირველად უპირატესობას აძლევს სახელმწიფოს აქტიური ჩარევის ღონისძიებათა განხორციელებას ეკონომიკაში, ლიბერალიზმი -შედარებით პასიურ სახელმწიფო რეგულირებას. კეინზური მოდელების მიხედვით, უპირატესობა ეძლევა სახელმწიფო ღონისძიებათა ერთობლიობას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში ინვესტირებას, სამთავრობო დაკვეთების, შესყიდვების მოცულობათა გაფართოებას, საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრებას. მათი უკიდურესი გამოვლინება, როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს და ინფლაციას.

ნეოლიბერალები გამოდიან ეკონომიკის ლიბერალიზებისთვის, თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპების გამოყენებისთვის, ეკონომიკაში კერძო საკუთრების და არასახელმწიფოებრივი სამეურნეო სტრუქტურების წამყვანი როლისთვის, ხედავენ რა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების როლში „ღამის დარაჯის" ან „სპორტული მსაჯის" ფუნქციებს[1] ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნეო-

ლიბერალური კონცეფციის წარმომადგენლებმა, ლ. ერჰარდის გზის დალოცვის დამახსოვრებით დაასაბუთეს, რომ *„კონკურენცია ყველგან, სადაც შესაძლებელია, რეგულირება - იქ, სადაც აუცილებელია“*, - დაამტკიცეს სახელმწიფოს შეზღუდული მონაწილეობის მართლზომიერება ეკონომიკურ პროცესებში და მისი მეტი ზემოქმედება მეწარმეთა თავისუფალ და სტაბილურ ფუნქციონირებაზე, როგორც უწონასწორობის აღმოფხვრის პირობა ეკონომიკაში.

უკვე 30-იან წლებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზური იდეების საწინააღმდეგოდ მოქმედებისთვის, რომელიც ზღუდავს თავისუფალი კონკურენციის სისტემას, რიგ ქვეყნებში შეიქმნა ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ალტერნატიულ ღონისძიებათა შემუშავების ნეოლიბერალური ცენტრები, რომლებიც (ღონისძიებები) ხელს შეუწყობდნენ ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეების აღორძინებას და ეკონომიკური ლიბერალიზმის პრაქტიკულ განხორციელებას. ლიბერალიზმის ყველაზე უფრო მსხვილმა ცენტრებმა გერმანიაში, აშშ-სა და ინგლისში შესაბამისად მიიღეს *ფრაიბურგის სკოლის* (მისი ლიდერები - ვ. ოიკენი, ვ. რიოპკე, ა. რიუსტოვი, ლ. ერჰარდი და სხვ.), *ჩიკაგოს სკოლის*, რომელსაც ასევე მონეტარულ სკოლასაც უწოდებენ (მისი ლიდერები - ლ. მიზესი, მ. ფრიდმანი, ა. შვარცი და სხვ.) და ლონდონის სკოლის სახელწოდებები (მისი ლიდერები - ფ. ჰაიეკი, ლ. რობინსი და სხვ.). ნეოლიბერალური იდეების გამოჩენილი წარმომადგენელი საფრანგეთში იყვნენ ეკონომისტები ჟ. რიუეფი, მ. ალე და სხვ.

სხვადასხვა ქვეყნების ნეოლიბერალური სკოლების თავისებურებათა მოკლე დახასიათებისას უნდა აღინიშნოს, რომ ნეოლიბერალური მოძრაობის წარმომადგენლები ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში ცდილობდნენ შეერჩიათ ერთიანი სამეცნიერო-პრაქტიკული პლატფორმა. მოცემულთან დაკავშირებით ნეოლიბერალიზმის ზოგადი პრინციპები საერთაშორისო მასშტაბით დეკლარირებულ იქნა 1938 წელს პარიზის კონფერენციაზე. ნეოლიბერალიზმის ამ ფორუმს ამჟამად ასევე *„ლიპმანის კოლოკვიუმს“* უწოდებენ ნეოლიბერალიზმის კონფერენციაზე მოწონებული პრინციპების დებულებებთან თანახმიანობის გამო, რომელიც იმავე წელს წიგნად გამოიცა ამერიკელი ეკონომისტის, ა. უოლტერ ლიპმანის მიერ სახელწოდებით „თავისუფალი ქალაქი“. პარიზში მოწონებული ნეოლიბერალური მოძრაობის ზოგადი პრინციპების არსი სახელმწიფო ზემოქმედების აუცილებლობის გამოცხადებაზე, დაიყვანებოდა თავისუფალი კონკურენციის წესების დაბრუნებაში და ყველა მეურნე სუბიექტის მიერ მათი შესრულების უზრუნველყოფაში. კერძო საკუთრების პრიორიტეტის პირობა, გარიგების თავისუფლება და თავისუფალი ბაზრები შეიძლება გადაეხედათ სახელმწიფოს ქმედებებით მხოლოდ ექსტრე-

მალურ სიტუაციებში (ომები, სტიქიური უბედურება, კატასტროფა და ა.შ.)[2].

20.1. სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფცია
რა არის ორდოლიბერალიზმი?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიამ წარმატებული პრაქტიკული გამოყენება თავდაპირველად დასავლეთ გერმანიაში (გფრ) ჰპოვა. აქ 1948 წლიდან დაწყებული ამ იდეებმა ადენაუერ-ერჰარდის მთავრობის სახელმწიფო დოქტრინის სტატუსი შეიძინა. ნეოლიბერალიზმის სახელოვანი გერმანელი თეორეტიკოსები ვ. რიოპკე, ა. რიუსტოვი და სხვ. სათავეში ჩაუდგნენ მონოპოლიზმის ნებისმიერი გამოვლენის კრიტიკას თავისუფლებისა და ჰუმანიზმისათვის. ვ. ოიკენმა და მისმა მიმდევრებმა ფრაიბურგის უნივერსიტეტში იმავე 1948 წლიდან დაიწყეს წელიწდეული „ორდოს" გამოშვება, რომელმაც ყველა ქვეყნის ნეოლიბერალიზმის თეორიული ტრიბუნის როლი ითამაშა. თვით სიტყვა „ორდო", რომელიც შერჩეულია ვ. ოიკენის მიერ, კრებსით ცნებად გადაიქცა, რომელიც „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის ბუნებრივი წყობილების... სიმვოლიზებას ახდენს". ნეოლიბერალიზმის დასავლეთ-გერმანული დოქტრინა, *„ოიკენის სკოლის"* ზეგავლენით, „ორდოლიბერალიზმადაც" კი იწოდება.

სოციალური საბაზრო მეურნეობის არსი

გფრ-ის ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებს მიეკუთვნება „ბაზრის თავისუფლების პრინციპისა და სოციალური გამოთანაბრების პრინციპით სამართლიანი განაწილების იდეა". პირველად იგი კონცეფტუალურად გადმოსცა ა. მიულერ-არმაკმა თავის წიგნში „სამეურნეო მართვა და საბაზრო მეურნეობა (1947), რომელშიც ასევე პირველად გამოიყენა ტერმინი *„სოციალური საბაზრო მეურნეობა"*. დამუშავებები ამ მიმართულებით გააგრძელა ვ. რიოპკემ, ლ. ერჰარდმა, ვ. ოიკენმა და სხვ. ამასთან, „სოციალური საბაზრო მეურნეობის" მოდელის შექმნაში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანის სახით გაცხადდა თვით გფრ-ს კანცლერის კ. ადენაუერის მიერ ვ. რეპკეს წიგნის წინასიტყვაობაში „სწორია თუ არა გერმანული ეკონომიკური პოლიტიკა?"(1950).

ვ. რიოპკეს დახასიათებით, „სოციალური საბაზრო მეურნეობა" - ესაა გზა „ეკონომიკური ჰუმანიზმისკენ". თავის წიგნში „ჰუმანური საზოგადოება" იგი წერდა, რომ მეურნეობის ეს ტიპი კოლექტივიზმს უპირისპირებს პერსონალიზმს, ხელისუფლების კონ-

ცენტრაციას - თავისუფლებას, ცენტრალიზმს - დეცენტრალიზმს, ორგანიზაციას - თვითნებობას და ა.შ. ვ. რიოპკეს მოსაზრებებზე სოლიდირებით, ლ. ერჰარდი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის (ქდკ) ყრილობაზე 1957 წელს ამტკიცებდა გფრ-ში „სოციალური საბაზრო მეურნეობის" ჩამოყალიბების მეორე ეტაპის დასაწყისის შესახებ. ცოტა მოგვიანებით, 60-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში ლ. ერჰარდი ხაზს უსვამდა, რომ „სწორედ თავისუფალი შეჯიბრი წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა სოციალური საბაზრო მეურნეობის ძირითად ელემენტს". ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მორიგ ყრილობაზე 1965 წელს ლ. ერჰარდმა გფრ-ში განაცხადა „სოციალური საბაზრო მეურნეობის" შექმნის პროგრამის დასრულების შესახებ, რომელმაც ეს ქვეყანა „ფორმირებულ საზოგადოებად" გადააქცია.

„ფორმირებული საზოგადოების" დოქტრინა, ლ. ერჰარდის და მის თანამოაზრეთა მოსაზრებით, - ეს უკეთესი „ბუნებრივი ეკონომიკური წესრიგის" მოძიებაა, რომლის მიღწევა შეიძლება „სოციალური საბაზრო მეურნეობის" შექმნით. მასში კატეგო-რიულად უარყოფილია მარქსისტული იდეები საზოგადოებრივი წყობილების ხუთი ფორმის (ტიპის) და წარმოებრივ ურთიერთობათა და კლასების ანტაგონიზმის შესახებ. იგი ემყარება ვ. ოიკენის დებულებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა საზოგადოებას ახასიათებს მხოლოდ ორი ტიპის ეკონომიკა: *„ცენტრალიზებულად მართვადი" (ტოტალიტარიზმი)* და *„გაცვლითი ეკონომიკა"* (სხვა ტერმინოლოგიით - „თავისუფალი, ღია მეურნეობა"), და ასევე ეკონომიკის ამ ტიპების შეხამების იდეაზე, ერთ-ერთი მათგანის მოჭარბებული ნიშნით კონკრეტულ ისტორიულ პირობებში.

ვ. ოიკენი „ეკონომიკური სისტემების" ტიპების შესახებ

ვალტერ ოიკენმა (1891-1950) თავის 9 გამოცემა გამოვლილ წიგნში „ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები" (1947), ეკონომიკის საბაზრო ორგანიზაციის ძირითადი ფორ-მების ტიპოლოგიის პრობლემატიკის ფუნდამენტური დამუშავება განახორციელა. ამ წიგნის ერთ-ერთ თავში „ეკონომიკური სისტემები" მის მიერ დასტურდება ერთიდაიგივე საზოგადოებაში ორი იდეალური , როგორც იგი ვარაუდობს, ტიპის ეკონომიკა: გაცვლითი და ცენტრალიზებულად მართვადი. იგი წერს: „ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის" სისტემა იმით ხასიათდება, რომ მთელი საზოგადოების ყოველდღიური ეკონომიკური ცხოვრება რეგულირდება ერთიანი ცენტრიდან გამომავალი გეგმებით. თუკი საზოგადოების ეკონომიკა ორი ან მეტი ცალკეული მეურნეობისგან შედგება, რომელთა შორის თითოეული ადგენს და ცხოვრებაში ატარებს თავის გეგმებს, მაშინ ეს - „გაცვლითი ეკონომიკის" სისტემაა[3].

შემდგომში, ვ. ოიკენი აზუსტებს, რომ „ისტორიულ რეალობაში" ორივე ამ სისტემის ელემენტები „უმეტეს შემთხვევებში გადაიხლართებიან" და, რომ „არაგაცვლითი ეკო-ნომიკის სისტემა არსებობდა და არსებობს ორი ფორმით: როგორც „მარტივი ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა" (განცალკავებული მეურნეობა) ან, როგორც „ცენტრალიზებულად-ადმინისტრირებული ეკონომიკა"[4]. ამასთან, არაგაცვლითი (ცენტრალიზებულად მართვადი) ეკონომიკის ორივე ფორმის ელემენტებს, წერს იგი, „ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნებში და ცალკეულ დროს, მაგალითად, პარაგვაის იეზუიტურ თემში, ან ინკების სახელმწიფოში, ან ჩვენი საუკუნის 40-იანი წლების რუსეთში. ისინი ყველგან და ყველა დროში გვხვდებოდნენ. ზოგჯერ ისინი დომინირებდნენ, ზოგჯერ უბრალოდ ავსებდნენ საერთო სურათს, მაგრამ ყოველთვის გამოდიოდნენ გაცვლითი ეკონომიკის ელემენტებთან შეერთებით".[5]

ამასთან, ოიკენის მიხედვით, *„ორი ხსენებული ფორმა რეალიზდება სამ ფორმაში"*, რომელთა შორის თითოეულს იგი ასე ახასიათებს: ა) *„ტოტალური ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა"* (გაცვლა საერთოდ არ დაიშვება; პროდუქტების წარმოება, განაწილება, და მოხმარება უკანასკნელ ნვრილმანამდე ხორციელდება ცენტრალური ხელმძღვანელობის მითითებებით და ბრძანებებით); *ბ) „ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა მოხმარების საგნების თავისუფალი გაცვლით"* (გაცვლა ასევე ხორციელდება ცენტრალური ინსტანციის არსებობის დროს, რომელიც განსაზღვრავს მწარმოებლურ ძალთა გამოყენების ხერხს, წარმოებრივი პროცესის დროით სტრუქტურას, პროდუქტების განაწილების წესს... მაგრამ განსხვავებით პირველი ვარიანტისგან, მომხმარებლებს აქ შეუძლიათ კორექტივები შეიტანონ გამოყოფილი მოხმარების საგნების განაწილებაში გაცვლის გზით); გ) „ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა თავისუფალი სამომხ-მარებლო არჩევანით" (დოვლათის სამომხმარებლო არჩევანი თავისუფალია, მაგრამ, როგორც წესი, იმათგან, რომელთაც საწარმოებლად ითვალისწინებს „ცენტრალური ინსტანცია")[6].

სახელმწიფოს როლი „სოციალურ საბაზრო მეურნეობაში"

„თავისუფალი საბაზრო მეურნეობის" ავტომატური ფუნქციონირების შეუძლებლობის გაცნობიერებით, ვ. რიოპკე და ლ. ერჰარდი აუცილებლად აღიარებდნენ წარმოების ანარქიის ნებისმიერი გამოვლინებისთვის სახელმწიფოებრივი ჩარევის შესაბამისი ღონისძიებების დაპირისპირების აუცილებლობას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ *„სინთეზს თავისუფალ და სოციალურად სავალ-*

დებულო საზოგადოებრივ წყობილებას" შორის. სახელმწიფოს როლი, რიოპკე-ერჰარდის ხატოვანი ილუსტრაციის თანახმად, შედარებულია ფეხბურთის მინდორზე მსაჯის (არბიტრის) მდგომარეობასთან, რომელიც მკაცრად აკვირდება ფეხბურთის გუნდების მოქმედებას განსაზღვრული წესების შესაბამისად, მაგრამ უფლება არა აქვს უშუალოდ ჩაერთოს თამაშში. სხვა სიტყვებით, *სახელმწიფომ* „სოციალური საბაზრო მეურნეობის" არსებობის პირობების მხარდასაჭერად, როგორც „იდეალური ტიპის" თავისუფალმა საბაზრო მეურნეობამ, *თვალი უნდა მიადევნოს თავისუფალი კონკურენციის „წესების" (პატიოსანი თამაშის) დაცვას, გააკონტროლოს ფასწარმოქმნის პირობები და აღკვეთოს მონოპოლიური ფასების დაწესების მცდელობები, უზრუნველყოს კერძო საკუთრების დაცვა და პრიორიტეტული მნიშვნელობა საქონლურ-ფულად მეურნეობაში მონოპოლიების გარეშე.*

60-70-იან წლებში ნეოლიბერალების კონცეფცია „სოციალური საბაზრო მეურნეობის" მოდელის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ, დიდწილად ეხმიანებოდა იმ პერიოდში წარმოშობილ ინსტიტუციონალისტების მოდელსაც „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების" შესახებ, რამდენადაც ერთშიც და მეორეშიც უარყოფილია მდგომარეობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის და კლასობრივი ანტაგონიზმის შესახებ. ორთავე მოდელი, გარდა ამისა, ემყარება სახელმწიფოს აქტიურ სოციალურ ფუნქციას, ყველა მოქალაქისთვის თანაბარი უფლებების და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად სოციალურ მომსახურებათა მიღებაში და მათი კეთილდღეობის ამაღლებაში. ამასთან, „საყოველთაო კეთილდღეობის" გარეგნულ გამოვლენაში, ცხადია, იგულისხმებოდა არა მხოლოდ აქციონერთა რაოდენობის ზრდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში, არამედ, ასევე ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტების გაზრდილი სტაბილურობა, მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის რწმენა ხვალინდელი დღისადმი და ა.შ.

20.2. მონეტარიზმის ჩიკაგოს სკოლა
რა არის ჩიკაგოს სკოლა?

აშშ-ში, როგორც ზემოთ აღინიშნა, კეინზელობის ალტერნატივა გახდა ე.წ. ნეოლიბერალიზმის *ჩიკაგოს სკოლა*, რომლის მონეტარული იდეები ჩიკაგოს უნივერ-სიტეტის კედლებში ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში წარმოიშვა. მაგრამ დამოუკიდებელი და, მით უმეტეს, ლიდერის მნიშვნელობა ნეოლიბერალურ მოძრაობაში *ამერიკულმა მონეტარიზმმა* 50-იანი წლების დასას-

რულსა და 60-იანი წლების დასაწყისში შეიძინა მ. ფრიდმენის (დაბ.1912 წ.) რიგი პუბლიკაციების გამოჩენის შემდეგ, რომელიც 1976 წელს ნობელის პრემიის ერთ-ერთი ლაურეატი გახდა ეკონომიკაში. უკანასკნელმა და მისმა თანამოღვაწეებმაც *კეინზურ არაფულად ფაქტორებს (მაგალითად, ინვესტიციებს) სწორედ ფულადი ფაქტორები ამჯობინეს.*

ფილიპსის მრუდის წარმოშობა

პირველი საკმაოდ სერიოზული ეჭვები და საჭიროებები, როგორც მ. ბლაუგმა გამოხატა, „პოლიტიკოსებისადმი გამარტივებული ეკონომიკური რეკომენდაციების აუცილებლობაში, რომელიც ტიპური იყო კეინზური რევოლუციის პერიოდისთვის"[7], ეკონომიკურ მეცნიერებაში 1958 წელს შეიპარნენ ა. უ. ფილიპსის მიერ *გამოყვანილი ემპირიული მრუდით, რომელიც ახასიათებდა ფულად გამოხატულებაში ხელფასის ყოველწლიურ პროცენტულ ცვლილებასა და უმუშევრობის დონეს (წილს) შორის კავშირს* ინგლისში 1861-1913 წლებში. ამასთან, დისკუსიებმა მოცემული დამოკიდებულების შესახებ კიდევ უფრო ფართო გაქანება შეიძინა მას შემდეგ, რაც 1964 წელს პ. სამუელსონმა ამ მრუდთან დაკავშირებული ფაქტობრივად ახალი კონცეფცია შეიტანა თავისი სახელმძღვანელოს „ეკონომიკსი" მე-6 გამოცემაში[7] და თვით გრაფიკს მისი ავტორის - *ფილიპსის მრუდი* უწოდა.

უკანასკნელის შესახებ ბლაუგი წერს, რომ იგი იმ ალმოჩენად ალმოჩნდა, რომელმაც „ინფლაციის გარეშე სრული დასაქმების ადრინდელ კეინზურ იდეალს სული გააფრთხობინა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნის სახით. ფასების სტაბილურობა და უმუშევრობა შეუთავსებლები, მოკონფლიქტე მიზნები გახდნენ: უმუშევრობის შემცირება მიღწევადია მხოლოდ დაჩქარებული ინფლაციის ფასად, ხოლო ინფლაციის შემცირება, ჩვეულებრივ, გულისხმობს უმუშევართა ზრდას. ამრიგად, ადრინდელმა იმედმა სტაბილური ფასების და სრული დასაქმების მიღწევაზე ადგილი დაუთმო ფასების სტაბილურობასა და სრულ დასაქმებას შორის არჩევანის ცნებას"[9].

მ. ფრიდმანის მონეტარული კონცეფცია

მ. ფრიდმანი და მისი კოლეგები ფილიპსის და მისი მრუდის გარშემო გამოკვლევათა საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს მრუდი შორს სტაბილური როდია, განსაკუთრებით 60-იანი წლების ბოლოს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკების იმ სიტუაციის გათვალისწინებით, როდესაც ინფლაციის ზრდას, ამ მრუდის „ლოგიკის" საწინააღმდეგოდ, თან ახლდა, არა უმუშევრობის შემცირება, არამედ უმუშევრობის ზრდა, და შემდგომში - 70-

იანი წლების დასაწყისში შეინიშნებოდა ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული ზრდაც კი.

მ. ფრიდმანმა სცადა ეკონომიკურ პროცესებში ფულის, ფულის მასისა და ფულადი მიმოქცევის პრიორიტეტული მნიშვნელობის აღორძინება[10].

სხვათა შორის, თავისი არსით ნეოლიბერალური მონეტარული კონცეფცია, აპრობირებულ იქნა აშშ-ის რესპუბლიკური მთავრობის მიერ პრეზიდენტ რ. ნიქსონის დროს 1969-1970 წწ. (მაშინ მ. ფრიდმანი ამ ქვეყნის პრეზიდენტის მრჩეველი იყო). მაგრამ მონეტარულ ეკონომიკურ შეხედულებებს ყველაზე მეტი წარმატება ჰქონდა აშშ-ის შემდგომი რესპუბლიკური მთავრობის დროს ე.წ. *რეიგანომიკის დროს, რომელმაც შესაძლებელი გახადა ინფლაციის შესუსტება დოლარის რეალური განმტკიცების პირობებში.*

„უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის" ფრიდმანისეული კონცეფცია

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის კონცეფციის ფრიდმანისეული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი, კეინზური კონცეფციისგან განსხვავებით, მკაცრი ფულადი პოლიტიკით შემოიფარგლება. უკანასკნელი მჭიდროდაა დაკავშირებული ფრიდმანისეულ *„უმუშევრობის ბუნებრივ ნორმასთან"*, რომელიც *ფულის რაოდენობის* მუდმივი და *სტაბილური ზრდის მეშვეობით მიიღწევა წელიწადში 3-4%-ით დამოუკიდებლად კონიუნქტურის მდგომარეობისა* (აშშ-ის მშპ-ის ზრდის საშუალო წლიური ტემპების გათვალისწინებით რიგი წლებისთვის, რომლის მიხედვით დგინდება ეროვნული ეკონომიკის მაქსიმალური შესაძლო დონე.)

მ. ფრიდმანისეული *„უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის"* (უბნ) კონცეფცია ემყარება, როგორც ინსტიტუციონალურ, ისე საკანონმდებლო დეტერმინანტებს (მხედველობაში აქვს პირველში, მაგალითად, პროფკავშირები, ხოლო მეორეში - მინიმალური ხელფასის დონის შესახებ კანონის მიღების შესაძლებლობა). იგი უმუშევრობის მინიმალური დონის დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა, რომლის დროსაც, განსაზღვრული პერიოდში ინფლაცია შეუძლებელი იქნება. მ. ბლაუგის მოსაზრებით, „უბნ, რომელსაც მუდმივად უბრუნდება ეკონომიკა, - ეს ძველი პროპორციული დამოკიდებულების კლასიკური დოქტრინის თანამედროვე მონეტარული ვერსიაა ფულის რაოდენობასა და ფასებს შორის გრძელვადიან პერიოდში; ღუზა, რომელსაც სარგებლის განაკვეთი უჭირავს სტაბილურ მდგომარეობაში..."[11].

მთლიანად ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნეოლიბერალური იდეები კეინზელებისას ჭარბობდა დაახლოებით დაწ-

ყებული 70-იანი წლებიდან, როდესაც მრავალი ქვეყნისთვის მუდმივი გახდა მზარდი ინფლაციური პროცესები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, უმუშევრობა. ნეოლიბერალები ადანაშაულებდნენ კეინზელებს (და ნეოკეინზელებს) ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის გაზრდილი მასშტაბების, თავისუფალი კონკურენციის პირობების შეზღუდვის, ინვესტიციების შემცირებისთვის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში „დაპირებების" სანინააღმდეგოდ, რომ „მათი (ინვესტიციების-ი.ი.) ეფექტი მულტიპლიკაციური ძალით ვრცელდება და კიდევ უფრო ძლიერდება აქსელერატორით"[12]. ნეოლიბერალიზმის კეინზელობაზე პრიორიტეტის გამოვლენის თვალსათელი მაგალითი 70-80-იან წლებში იყო მეურნეობის მრავალი დარგის დენაციონალიზაცია მრავალწლიანი პროგრამების შესაბამისად, რომლებიც ადრე სახელმწიფო ეკონომიკის სფეროში იმყოფებოდნენ. უკანასკნელ წლებში ამის წყალობით არსებითად გაჯანსაღდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იაპონიის, აღმოსავლეთი გერმანიის (ყოფილი გდრ), ჩილეს, ესპანეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკა, რომელთაც მინიმუმამდე დაიყვანეს სახელმწიფო ეკონომიკური ზეგავლენის სფერო.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. როგორია ნეოლიბერალიზმის წანამძღვრები და რაში მდგომარეობს მისი განსხვავებები კეინზელობისგან?
2. თანამედროვე სახელმწიფოს რომელი ფუნქცია განიხილება ნეოლიბერალების მიერ, როგორც „ღამის დარაჯის" ან „სპორტული მსაჯის" ფუნქცია? მოიტანეთ მაგალითები.
3. რას ნიშნავს ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი „ლიპმანის კოლოკვიუმი?"
4. დაახასიათეთ გერმანელი „ორდოლიბერალების" კონცეფციის არსი სოციალური საბაზრო მეურნეობის და „ეკონომიკური სისტემების" ტიპების შესახებ. ამ კონცეფციებში რა როლი ეკისრება სახელმწიფოს?
5. გახსენით ნეოლიბერალიზმის ჩიკაგოს სკოლის მონეტარული კონცეფციის არსი. როგორ უკავშირდება იგი მ. ფრიდმანის და მისი კოლეგების მიერ ამოღებულ დასკვნებს ფილიპსის მრუდის „კონსტრუქციის" ანალიზიდან?
6. რა არის ფრიდმანისეული „უმუშევრობის ბუნებრივი ნორმა?" მოიტანეთ საკუთარი მსჯელობები მოცემული კონცეფციის თაობაზე.

ნაწილი მესამე
ეკონომიკური აზრის თანამედროვე დოქტრინების ევოლუცია

თავი 21. ნეოკლასიკური სინთეზის კონცეფცია

ამ თავის შესწავლით თქვენ გეცოდინებათ:

- რომელი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრა „მიგვიყვანს ჩვენ ნეოკლასიკურ სინთეზამდე“ (პ. სამუელსონი);
- უკანასკნელი ათწლეულების ეკონომიკურ ლიტერატურაში რატომ აქვს ადგილი განმარტებათა და მსჯელობების მრავალფეროვნებას „ნეოკლასიკური სინთეზის“ არსის შესახებ;
- რომ „ნეოკლასიკური სინთეზი“, როგორც თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ახალი უნივერსალური დოქტრინა, ჯერ კიდევ თავისი ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება,

21.1. „ნეოკლასიკური სინთეზის“ კონცეფციის ჩასახვა

აი უკვე ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ბრძოლა ისეთი უბედურებების წინააღმდეგ, როგორიცაა მასობრივი უმუშევრობა და ინფლაცია, იყო და რჩება საბაზრო ორგანიზაციის მქონე სახელმწიფოთა სოციალ-ეკონომიკური განვითარების და, ცხადია, ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე აქტუალურ პრობლემად. როგორ მივაღწიოთ სტაბილურ და სრულ დასაქმებას და მოსახლეობის რეალური შემოსავლების განუხრელ ზრდას? რაში მდგომარეობს უკრიზისო ეკონომიკური ციკლის „საიდუმლოებები?“

პასუხების მიღების მცდელობა ყველა ამ კითხვაზე, მასთან დაკავშირებული პრობლემების აუცილებლობა, როგორც თავის საყოველთაოდ ცნობილი სახელმძღვანელოს, „ეკონომიკისის“ პირველ ტომში წერს პ. სამუელსონი, შეაგულიანებს „თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებს“, რომელთაც, „როგორც ფისკალური და საკრედიტო-ფულადი ინსტრუმენტები, ისე მათი გამოყენების პოლიტიკური შესაძლებლობებიც გააჩნიათ, გამოიყენონ ისინი, რათა დაძლიონ ქრონიკული მკვეთრი დაქვეითებები და „გალოპირებადი“ ინფლაციები. ამას ჩვენ მივყავართ, -დაასკვნის იგი, - ნეოკლასიკურ სინთეზამდე - ფასწარმოქმნის კლასიკური პრინციპები, რომლებიც შემდგომ თავებშია გადმოცემული, დასტურდება იმ ინ-

სტრუმენტების წარმატებული გამოყენებით, რომლებიც წინა თავებშია გაანალიზებული"[1].

ამ თეზისს პ. სამუელსონი შემდგომში ავითარებს იმავე სახელმძღვანელოს მეორე ტომში, ნათქვამისადმი შემდეგის დამატებით: „იმ ვარაუდით, რომ უფრო მეტი ან ნაკლები სტაბილური დასაქმების მიღწევა სრულიად განხორციელებადი ამოცანაა, თანამედროვე ეკონომისტებს შეუძლიათ გამოიყენონ „ნეოკლასიკური სინთეზის" კონცეფცია, რომელიც ემყარება თანამედროვე პრინციპების გამოყენებას, რომლებიც ხსნიან შემოსავლების შექმნის პროცესს და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დებულებებს"[2]. მაგრამ „ეკონომიკის" მეხუთე გამოცემაში (1961) მას მოაქვს დამაზუსტებელი შენიშვნა: *„ტერმინი ნეოკლასიკური სინთეზი გამოიყენება... უფრო ფართო გაგებით,* ვიდრე იგი ჩვეულებრივ გამოიყენებოდა წინა პერიოდში... თანამედროვე პერიოდში ჩვენ აღნიშნულ ტერმინს ვიყენებთ იდეების უფრო ფართო წრის აღსანიშნავად - *იმ ჭეშმარიტებათა სინთეზისა, რომლებიც დაადგინა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ და იმ დებულებებისა, რომლებიც დაასაბუთეს შემოსავლების ფორმირების თანამედროვე თეორიებით"*[3].

მაშასადამე, სამუელსონის მიხედვით, „ნეოკლასიკური სინთეზი" - ეს, არსებითად, თანამედროვე, ნეოკეინზურ და ნეოლიბერალურ დებულებათა და „ჭეშმარიტებების" შეხამებაა, მათ წინამორბედ ადრინდელ ნეოკლასიკოსებთან, და ასევე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთ პოსტულატებთან, უპირველეს ყოვლისა, „შემოსავლების ფორმირების თანამედროვე თეორიებთან" დაკავშირებით.

21. 2. „ნეოკლასიკური სინთეზის" კონცეფციის ახალი ვერსიები

უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ ლიტერატურაში გახშირებულმა - განსაკუთრებით სასწავლო მიზნებისათვის - ცნება „ნეოკლასიკური სინთეზის" გახსენებამ აზრობრივი დატვირთვის საკმაოდ ფართო სპექტრი მიიღო. მაგალითად, ს. ნოსოვა თვლის, რომ „ნეოკლასიკური სინთეზის გამოჩენასთან დაკავშირებით, ეკონომიკის რეგულირების სხვადასხვა ზომებმა შერეული ფორმის ტარება დაიწყეს"[4]. იგი ამტკიცებს: „ამრიგად, ახლანდელ პერიოდში მაკროეკონომიკური რეგულირების საფუძველია სამი ძირითადი თეორიის სიმბიოზი: კეინზელობა, მისი სხვადასხვანაირი მოდიფიკაციებით, მიწოდების ეკონომიკის თეორია და მონეტარიზმი. კეინზური დოქტრინა გამოდის მისთვის დამახასიათებელი აქტივიზმის

ფილოსოფიიდან, სახელმწიფოს ენერგიული ჩარევიდან სამეურნეო პროცესებში კონიუნქტურის ციკლური მერყეობის შესარბილებლად და წარმოებისა და დასაქმების მაღალი დონის მიღწევისთვის. ამასთან, განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ ბიუჯეტურ მეთოდებზე როგორც გადახდისუნარიანი მოთხოვნის პირდაპირი რეგულირების ინსტრუმენტზე. მონეტარისტები კი იცავენ ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობის პრინციპს"[3].

„ნეოკლასიკური სინთეზის" ცნების განმარტების სხვადასხვა ვერსიების შესაბამისად, რომელიც ს. ბრაგინსკისა და ი. პევზნერის ერთობლივ პუბლიკაციაში „პოლიტიკური ეკონომია: სადისკუსიო პრობლემები, განახლების გზები" (1991) არის აღნიშნული, ცხადია, რომ მათ ფორმულირებაში ხვდება არა მხოლოდ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების, არამედ ასევე ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის მოდელირებაც. თავის მხრივ, ა.ვ. ანიკინის თანახმად, თუკი მისი წიგნით „მეცნიერების ადამიანები, შეხვედრები გამოჩენილ ეკონომისტებთან (1995)" ვიმსჯელებთ, სამუელსონისეული ნეოკლასიკური სინთეზი - ეს უპირველეს ყოვლისა „კლასიკური მიკროეკონომიკის" შეერთებაა რაღაც „ახალ მაკროეკონომიკასთან".

ამრიგად, შეიძლება ვაღიაროთ, რომ პ. სამუელსონის „ნეოკლასიკური სინთეზის" ცნების თვით ავტორის „მოწოდებიდან", რომელმაც განაცხადა ამ ტერმინის „უფრო ფართო გაგების" შესახებ, ამჟამად გრძელდება კიდევ ერთი ეკონომიკური კონცეფციის - „ნეოკლასიკური სინთეზის კონცეფციის", როგორც თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მრავალი პრობლემების მიხედვით, ახალი უნივერსალური დოქტრინის დამკვიდრების პროცესი.

ზემოთ დასახელებულ ავტორთა ვერსიების სისტემატიზაციიდან და საკუთარი კონცეფტუალური მსჯელობიდან გამომდინარე, მოცემული კონცეფციის არსის გადმოცემა აუცილებელია, როგორც ნარმოგვიდგენია, არანაკლებ შემდეგ *სამ ვერსიამდე* დაყვანით.

მათგან *ერთ-ერთის არსი* იდეის დასაბუთებაში მდგომარეობს იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორია სრული დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის შესაძლებლობას განიხილავს, როგორც მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის ელემენტების ერთდროულ გამოყენებას, ეკონომიკური ლიბერალიზმის მის პრინციპებთან და კეინზური კონცეფციის ელემენტებთან ერთად, რომელიც ზღუდავს თავისუფალი ბაზრის სტიქიას. აქ მხედველობაშია პ. სამუელსონის მიერ ნახსენები ფისკალური და ფულად-საკრედიტო სისტემის ინსტრუმენტები სახელმწიფოს პოლიტიკაში და მ. ფრიდმანის „უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის" კონცეფციის ანტიინფლაციური შესაძლებლობები

და თავისუფალი ბაზრის იდეის სინთეზი ერჰარდი-რიოპკეს „სოციალურად სავალდებულო საზოგადოებრივ წყობილებასთან“ და ა.შ.

მეორე ვერსიის მიხედვით, რომელიც, როგორც ცხადია, წამოყენებულია ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ნეოკლასიკოსების მიერ, ღირებულების (ფასეულობის) მეცნიერული თეორიის საფუძველია ღირებულების „ძველი“ და „ახალი“ თეორიების ინტეგრაცია, ე.ი. ხარჯვითი თეორიის (შრომითი ღირებულების თეორია ანუ სხვა განმარტებით, წარმოების ხარჯების თეორია) და ზღვრული სარგებლიანობის თეორიები. აქ საქმე ეხება მეორე ტალღის მარჟინალისტების სისტემურ მიდგომას ა. მარშალის, ვ. პარეტოს და სხვათა სახით, რომელთაც ზღვრული ანალიზის საფუძველზე დაასაბუთეს ნებისმიერ საქონელთა ფასეულობის ორკრიტერიუმიანი არსის თეზისი და გააქტიურეს იდეები კატეგორიების „ფასი“, „მოთხოვნა“, და „მიწოდება“ და სხვ. ფუნქციონალური კავშირების და კერძო და ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის შესახებ.

და *მესამე ვერსიის მიხედვით,* „ნეოკლასიკური სინთეზი“ მდგომარეობს დებულებაში იმის შესახებ, რომ ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის თანამედროვე მოდელი ერთდროულად ემყარება მაკრო- და მიკროეკონომიკურ გამოკვლევას, რამდენადაც მისი აგებისთვის იყენებს მეცნიერულ ინსტრუმენტარიუმს, რომელიც მაკრო- და მიკრო-ეკონომიკური ანალიზის ადექვატურია. ამასთან, სინთეზირებადი იდეების ჩამოყალიბების გზაზე აქაც მიღწეულ იქნა, როგორც ნეოკლასიკოსების უარი (ინსტიტუციონალისტების კვალდაკვალ) „წმინდა“ ეკონომიკური თეორიის და „სრულყოფილი კონკურენციის“ სმითისეულ პოსტულატებზე და ასევე, წარმოებისა და მოხმარების ერთმანეთისადმი დაპირისპირებაზე, ისე ეკონომიკის რეფორმირების კონცეფციებზე გადასვლაზეც, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობის გათვალისწინებით, ჯ. მ. კეინზის არცთუ უსაფუძვლო „ფსიქოლოგიური კანონის“ ჩათვლით, შემოსავლების ყოველთვის წინმსწრები ზრდის შესახებ, მოხმარების ზრდასთან შედარებით და ე.წ. „ვებლენის ეფექტი“, რომელიც არ გამორიცხავს „ანომალიებს“ ფასწარმოქმნის მექანიზმში და სხვა ეკონომიკურ ფაქტორებს.

კითხვები და დავალებები კონტროლისთვის

1. პ. სამუელსონის სახელმძღვანელოში „ეკონომიკსი“ როგორ არის ჩამოყალიბებული „ნეოკლასიკური სინთეზის“ ცნების არსი?

2. აზრობრივი დატვირთვის რა ვარიანტები წარმოიშვა თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნება „ეკონომიკური სინთეზის“ შესახებ ამ კონცეფციის ავტორის შემოთავაზების შედეგად, რომ მოცემული ცნება გამოიყენოს უფრო ფართო გაგებით? გააანალიზეთ ისინი.
3. ეკონომიკური აზრის ევოლუციის რომელ ეტაპებზე და მის რომელ მიმართულებათა და სკოლების ჩარჩოებშია მართლზომიერი იდეებისა და ჭეშმარიტებათა სინთეზის განხორ-ციელება საგნის, მეთოდის და თეორიულ დებულებათა სფეროში?
4. შესაძლებელია თუ არა პ. სამუელსონის ლოგიკის გაყოლით ვამტკიცოთ სინთეზი არა „ნეოკლასიკური“, არამედ „ინსტიტუციონალური“ ან „ნეოინსტიტუციონალური“? გადმოეცით საკითხის ასეთი დასმის საკუთარი „მომხრე“ და „მოწინააღმდეგე“არგუმენტები.

თავი 22. თანამედროვე ეკონომიკური აზრის ოლიმპი

ამ თავის შესწავლა თქვენ საშუალებას მოგცემთ აითვისოთ:

- რომ თავისებური მეცნიერული ოლიმპის დღევანდელ დამპყრობთაგან ყველაზე უფრო გამოჩენილს ეკონომიკური მეცნიერების სფეროდან 1969 წლიდან დაწყებული, ზეიმს უწყობენ ნობელის პრემიის მინიჭებით;
- რა „ცვლილებების სიო" (პ.სამუელსონი) განაპირობებს ეკონომიკური დოქტრინების ევოლუციას თანა მედროვე ეტაპზე;
- რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატთა მიღწევების შესახებ.

22.1. ნობელის პრემიის ლაურეატების შესახებ ეკონომიკაში

მეცნიერების მრავალ დარგში, მათ შორის ეკონომიკურშიც ჩამოყალიბდა მსოფლიო ტრადიცია საუკეთესო მკვლევართა მიღწევები შეფასდეს, როგორც რაღაც ოლიმპი, ე.ი. დღევანდელ მეცნიერულ შემეცნებათა და მიღწევების მწვერვალი. ამ ტრადიციებს, როგორც ცნობილია, სათავე დაუდო, შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ, რომლისთვისაც შვედეთის ეროვნულმა ბანკმა, ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, დააწესა ალფრედ ნობელის სახელობის სპეციალური სამახსოვრო პრემია. და თუკი თავდაპირველად ნობელის პრემიები ლაურეატებს ენიჭებოდათ, უწინარეს ყოვლისა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში, შემდგომში ეს საზღვრები არსებითად გაფართოვდნენ. კერძოდ, 1968 წელს, შვედეთის ეროვნულმა ბანკმა, არსებობის 300 წლისთავზე, უკანასკნელად *ნობელის პრემია დააწესა ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში,* ხოლო 1969 წელს დაიწყო მისი უშუალო მინიჭება.

ნობელის პრემიის პირველი ლაურეატები ეკონომიკაში 1969 წელს გახდნენ ორი ეკონომისტ-მათემატიკოსი - ჰოლანდიელი *იან ტინბერგენი* და ნორვეგიელი *რაგნარ ფრიში,* რომელთა დამსახურებად აღიარებულია ეკონომიკური პროცესების ანალიზის მათემატიკური მეთოდების შემუშავება. აქედან მოყოლებული მსგავსი მსოფლიო აღიარება მიიღო 40-ზე მეტმა მეცნიერმა მსოფლიოში. ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების შემოქმედებითი ზრდისა და მეცნიერული ნაშრომების მოკლე გაცნობა საშუალებას გვაძლევს გარკვეულწილად ნარმოვიდგინოთ *ეკონომიკური მეცნიერების ევოლუციის თანამედროვე ეტაპის თავისებურებები, რომელსაც, რო-*

გორც პ. სამუელსონმა აღნიშნა, განიცდის „ნეოკლასიკური სინთეზის" პერიოდი. ამის გათვალისწინებით, ქვემოთ საუბარი იქნება ოთხ მეცნიერზე, რომლებმაც დაიპყრეს ეკონომიკური მეცნიერების ოლიმპი და მათ სახელებთან ბევრ ახალ და ფასეულს აკავშირებენ, რომლებიც მათ შეიტანეს ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში, და შესაბამისად, ეკონომიკური აზრის თანამედროვე ისტორიაში.

პოლ ანტონი სამუელსონი (დაბ. 1915 წ.) - ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ერთ-ერთი პირველი ლაურეატი ეკონომიკის სფეროში, რომელიც მას 1970 წელს გადაეცა, მისი სახელმძღვანელოსთვის „ეკონომიკსი", ოფიციალური ფორმულირებით „ეკონომიკურ მეცნიერებში, მეცნიერული ანალიზის დონის ამაღლებაში შეტანილი წვლილისთვის".

ჩიკაგოს უნივერსიტეტში 1932-1935 წწ. სწავლის შემდეგ, თავის შემოქმედებითი თვალსაზრისით ხანგრძლივ ცხოვრებას იგი უხამებს, როგორც მეცნიერულ-პედაგოგიურ, ისე საზოგადოებრივ პოლიტიკურ საქმიანობასაც. ამასთან, მისი სამეცნიერო დამრიგებლები ჰარვარდის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის კედლებში მეცნიერ-ეკონომისტის კარიერის დასაწყისში გახდნენ არანაკლებ სახელოვანი ეკონომისტები ი. შუმპეტერი, ე. ჰანსენი, ვ. ლეონტიევი.

1941 წლიდან პ. სამუელსონი პროფესორის ასპირანტიდან მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორამდე გზის გავლით, დაკავშირებულია ამ უმაღლეს სასწავლებელთან. ამ შუალედში იგი აირჩიეს ეკონომიკური საზოგადოების (1951), ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის (1961), საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაციის (1965-1968) პრეზიდენტად, იყო თეთრი სახლის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში (1961-1969). გარდა ამისა, იგი აირჩიეს ხელოვნებისა და მეცნიერების და რიგ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრად, სვეტი მიყავდა ჟურნალ „ნიუ სუიკში", მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სხვა სამეცნიერო ფორუმებში.

პ. სამუელსონის ცნობილი სახელმძღვანელოს „ეკონომიკსი" პირველი გამოცემა გამოჩნდა ჯერ კიდევ 1948 წელს და იქედან მოყოლებული 15 გამოცემა გამოიარა (მე-12- გამოცემიდან წიგნი უ. ნორდჰაუსის შემადგენლობითაც გამოდის), არსებითად იგი სახელმძღვანელო მილიონობით ადამიანისთვის გახდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ამ წიგნის ფასეულობა და უნიკალურობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მან თავი მოუყარა თანამედროვეობის ეკონომიკური აზრის, როგორც სოციალ-ინსტიტუციონალური, ისე ნეოკლასიკური მიმართულებების საუკეთესო მიღწევებს. მისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ თანამიმდევრულობა და გადმოცემის ანალიტიკურობა, ეკონომიკურ საკვანძო მდგომარეობათა საუკეთე-

სო ილუსტრაცია მათემატიკური ენის საშუალებებით, არამედ ისტორიულ-ეკონომიკური მიდგომის გამოყენებაც (იხ. მოცემული თავის 22.2 და 22. 3).

ვასილი ვასილის ძე ლეონტიევი (1906-1999) რუსული წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, დაიბადა სანკტ-პეტერბურგში. 1924 წელს ლენინგრადის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ერთი წელი იქვე, ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე მუშაობდა, შემდეგ სამი წელი (1926-1928) სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში, იმავდროულად მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი 1928 წელს მიიღო, რის შემდეგაც ხუთი წლის მანძილზე 1928-1931 წწ. იყო გერმანიაში კილის უნივერსიტეტთან არსებული მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის თანაშრომელი, ხოლო შუალედში (1928-1929) მუშაობდა ეკონომიკურ მრჩეველად ნანკინში (ჩინეთი). 1931 წ. შედგა მისი უკანასკნელი გადასვლა სხვა ქვეყანაში - აშშ-ში ეკონომიკურ გამოკვლევათა ეროვნული ბიუროს დირექტორის თანამდებობაზე, უ. კ. მიტჩელის მინვევით ამ ბიუროში სამუშაოდ. იმავდროულად ვ. ლეონტიევი იწყებს პედაგოგიურ მუშაობას პროფესორის თანამდებობაზე ჰარვარდის უნივერსიტეტში, რომელმაც მისი სიცოცხლის 44 წელიწადი მოიცვა, ხოლო 1975 წლიდან ხდება ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი.

ვ. ლეონტიევის ამერიკული ცხოვრების პერიოდის ორ მოტანილ თარიღს შორის, მეცნიერული და შემოქმედებითი თვალსაზრისით, ადგილი ჰქონდა მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს: ესაა პირადი ინიციატივით და პირადი მონანილეობით ჰარვარდის ეკონომიკური კვლევითი ინსტიტუტის შექმნა (1946), რომელსაც იგი მეთაურობდა 1972 წლამდე; დანიშვნა ეკონომიკური კვლევების ხსენებული ეროვნული ბიუროს დირექტორად (1948); ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად არჩევა (1970); *ეკონომიკაში ნობელის პრემიის მინიჭება (1973) „დანახარჯები-გამოშვება“ მეთოდის შემუშავებისთვის.*

მის სხვა რეგალიებს უნდა მივაკუთვნოთ მის მიერ არა მხოლოდ 1978 წელს ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის დაარსება, რომელსაც იგი 1986 წლამდე ხელმძღვანელობდა, არამედ ასევე ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად არჩევა 1988 წელს, ხოლო 1989 წელს მას მიენიჭა გაეროს კონსულტანტის სტატუსი, რომლის შესაბამისად იგი მეთაურობდა მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ტენდენციების მოსალოდნელი ცვლილებების გამოკვლევას 2000 წლამდე პერიოდში.

საპროგნოზო ეკონომიკური ანალიზი „დანახარჯები-გამოშვება“, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა ვ. ლეონტიევს, დაინყო ჯერ კიდევ 30-იან წლებში. ეს მეთოდი მეცნიერმა საფუძვლად დაუდო აშშ-ის დარგთშორისი ბალანსის ცხრილების აგებას, რამაც შესაძ-

ლებლობა მისცა მას გაეუმჯობესებინა საზოგადოებრივი პროდუქტის ერთი ნაწილების სხვებით შეცვლა, ზემოქმედება მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურისა და დინამიკის გამოკვლევაზე, მისი განვითარების გრძელვადიანი ტენდენციების გამოვლენაზე, წარმოებაში მიმდინარე ტექნოლოგიური, სტრუქტურული და მასშტაბური ცვლილებების პირდაპირი და ირიბი შედეგების გათვალისწინებით, და ასევე ცვლილებებზე სამომხმარებლო მოთხოვნაში, ფასებისა და შემოსავლების თანაფარდობებზე, საინვესტიციო სფეროში და საგარეო ვაჭრობაში.

სხვათა შორის ვ. ლეონტიევი, მუშაობდა რა ეკონომიკის პრობლემათა ფართო წრეზე, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ეკონომიკურ ანალიზში მათემატიკური მეთოდების, მოდელების და ფორმულების ადგილსა და როლს, და ასევე კლასიკოსი, ნეოკლასიკოსი და ეკონომიკური აზრის სხვა მიმართულების და სკოლების მრავალ მეცნიერ-ეკონომისტთა შემოქმედებას, რაშიც გვარწმუნებს მისი გამოთქმების რიგი დამოწმებები და შეფასებები ამ წიგნში. მათი გამეორების გარეშე, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ მსჯელობას, რომლის მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერებისთვის, როგორც წარმოგვიდგენია, შეუძლებელია გადავაფასოთ.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთ თავის სტატიაში 1937 წელს, რომელიც ეძღვნებოდა ე.წ. ნეოკემბრიჯული სკოლის მეთოდოლოგიურ კრიტიკას, მომავალი ნობელის ლაურეატი წერდა, რომ მეთოდოლოგიური საკითხები ეკონომიკურ დისკუსიებში ნლითიწლობით ან შეწყდა ან საეჭვოდ გაჭიანურდა. ეს განსაკუთრებით ცხადია, წერს იგი, „ახალი კემბრიჯის სკოლის გამოჩენის დროიდან“, რომელიც ენინააღმდეგება აზრთა ოფიციალურ გაცვლას, რომელსაც ადგილი აქვს მეთოდოლოგიურ დონეზე, „ორთოდოქსულ თეორეტიკოსთა სკოლასთან“. განსხვავება „მეცნიერული აზრის ამ ორ მიმართულებას შორის“, განაგრძობს ვ. ლეონტიევი, ძევს არა იმდენად გამოკვლევათა საბოლოო შედეგებში, და ზოგადი გამოცდილების ეკონომიკური რეალიების დაკვირვების ხერხებში, რამდენადაც შუალედურ ეტაპზე, სადაც ხდება შეუპოვარი, მაგრამ კერძო ხასიათის ჭიდილი ფუნდამენტური ჭეშმარიტების ისეთი სფეროდან, როგორიცაა „დანაზოგების და ინვესტიციების ტოლობა, ე.წ. მულტიპლიკატორის არსი“ და ა.შ.

ამის გათვალისწინებით მეცნიერი შეგვახსენებს, რომ ლოგიკური არგუმენტაციის სიმარტივის ზოგადად მიღებული კრიტერიუმი არ არსებობს. ამიტომ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ *სხვადასხვა ადამიანებს აზროვნების პროცესის ბუნება სხვადასხვანაირი აქვთ, რომლის მსვლელობაში განისაზღვრება, თუ რამდენად „რთულია“ ესა თუ ის თეორიული დებულება, ერთობ განსხვავებულია. ვ. ლეონტიევის დასკვნა კი ასეთია: „ერთი ეკონომისტისთვის უფრო ად-*

ვილი გასაგებია ხუთი სტროფი ალგებრული ფორმულის გაგება, ვიდრე სიტყვიერ დასაბუთებათა 5 გვერდის წაკითხვა, მაშინ როდესაც სხვა ამჯობინებს 10 გვერდი ტექსტის წაკითხვას, ვიდრე ერთ განტოლებაში გარკვევას" [1]. *სხვა სიტყვებით, მისი აზრით, სწორედ „... კომბრიჯული სკოლის ლოგიკური ხერხები მნიშვნელოვნად ადიდებენ თეორიული შეცდომებისა და არასწორი დასკვნების ალბათობას"*[2].

ლეონიდ ვიტალის ძე კანტოროვიჩი (1912-1986) - რუსი (საბჭოთა) ეკონომისტი და მათემატიკოსი, დაიბადა სანკტ-პეტერბურგში, ექიმის ოჯახში. 1930 წელს 18 წლისამ დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტი. პროფესორის წოდება მიიღო უკვე 22 წლის ასაკში (1934), ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ (1935), დისერტაციის დაცვის გარეშე, მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1960 წლამდე მისი, როგორც მეცნიერის მოღვაწეობა გრძელდებოდა ლენინგრადში, ძირითადად ლსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში. ამ ქალაქში უკვე 30-იანი წლების ბოლოდან იგი უშუალოდ დაკავებულია ეკონომიკური გამოკვლევებით და ზოგიერთ სახალხომეურნეობრივ პრობლემათა გადაწყვეტის ძიებით, ეკონომიკურ და მათემატიკურ მეცნიერებებში შემოაქვს (1939) *წრფივი პროგრამირების ცნება და მოდელი ოპტიმალური მიდგომის მიზნით რესურსების გამოყენების პროცესში;* ამთავრებს (1942) თავის მთავარ ნაშრომს „რესურსების საუკეთესოდ გამოყენების ეკონომიკური გაანგარიშება". 40-იან წლებში წრფივი პროგრამირების სფეროს გამოყენების გაფართოებით ლ. ვ. კანტოროვიჩს „შემოაქვს" მათემატიკური აპარატი ე.წ. *სატრანსპორტო ამოცანის* ამოსახსნელადაც, სამრეწველო მასალების რაციონალური გამოჭრის მეთოდების დასაბუთებისთვის, და ასევე გაანგარიშებებისთვის თავდაცვითი თემატიკის მიხედვით, რომლებიც (გაანგარიშებები) საფუძველი გახდა მისთვის 1949 წელს სტალინური და სამთავრობო პრემიის ლაურეატის წოდების მინიჭებისთვის.

1958 წელს მას ირჩევენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების წევრ-კორესპონდენტად ეკონომიკის განყოფილებაში და სამუშაოდ ისევ იწვევენ ნოვოსიბირსკში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ახლადშესაქმნელ განყოფილებაში, ხოლო შემდგომში 1960-1971 წლებში იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს ნოვოსიბირსკში. ამ პერიოდში ირჩევენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად სპეციალობით მათემატიკა და ეკონომიკა (1964), მას ენიჭება ლენინური პრემია დამუშავებისთვის „ოპტიმიზაციური მიდგომა ეკონომიკის გეგმური მართვისადმი (1965).

1971 წლიდან გარდაცვალებამდე (1986) აკადემიკოსს ბედი მოსკოვთან აკავშირებს, სადაც მას ლაბორატორიების ხელმძღვანე-

ლობამ მოუწია სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში და სრულიად საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მოსკოვში კი მას 1975 წელს მიუვიდა შეტყობინება ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის მინიჭების შესახებ რესურსების ოპტიმალური გამოყენების თეორიის შემუშავებისთვის.

ლ. ვ. კანტოროვიჩის მეცნიერული მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ მან *შეძლო პირველმა რესურსების გამოყენების მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის სტატიკური და დინამიური მოდელების აგება ახალი მათემატიკური მიდგომების ბაზაზე ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემური აგების სფეროში, რომლებიც გამოყენებადია ფასწარმოქმნის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის და სხვა პრობლემათა ანალიზის დროს.*

ლ. ვ. კანტოროვიჩის მეცნიერულ სიახლეთა მსოფლიო აღიარებამდე დიდი ხნით ადრე, მათ შესახებ არაერთხელ გამოთქვა საკუთარი აზრი ვ. ლეონტიევმა. მაგალითად, თავის სტატიაში „ხარისხისა და რაოდენობის პრობლემა ეკონომიკაში" (1959) იგი ამერიკელთა ყურადღებას მიაპყრობდა იმას, რაც ჯერ კიდევ *„ოცი წლის წინათ დაწერა გამოჩენილმა საბჭოთა მათემატიკოსმა, პროფესორმა ლ. ვ. კანტოროვიჩმა, რომელმაც „ახალი მიდგომა შეიმუშავა საწარმოო დაგეგმვისადმი".* ვ. ლეონტიევი ამასთან ხაზს უსვამდა: *„პრობლემა, რომელსაც იგი წყვეტდა, მდგომარეობდა მოცემული საქონლის წარმოების რამდენიმე ტექნოლოგიურად შესაძლო მეთოდებს შორის არჩევანში, ისეთისა, რომელიც პროდუქციის გამოშვების მაქსიმიზების საშუალებას მოგვცემდა...მან აღმოაჩინა, რომ სწორი პასუხის მოძიება - თუკი დანახარჯთა ყოველად შესაძლო კომბინაციების და წარმოებრივ ფაქტორთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, - მნიშვნელოვნად მსუბუქდება რამდენიმე დამატებითი ცვლადების შემოღებისას..."*[1]

მაგრამ ლ. ვ. კანტოროვიჩის სტატიამ, განაგრძობს ვ. ლეონტიევი, რომელიც დაიბეჭდა 1939 წელს, *ჯეროვანი რეაქცია ვერ ჰპოვა „საბჭოთა ეკონომისტებს შორის და პრაქტიკულად ყურადღების გარეშე დარჩა მგეგმავი-პრაქტიკოსების მიერ",* და, *უფრო მეტიც, „ნაშრომი იმ პერიოდში არ მოხვდა დასავლეთში".* მხოლოდ *ბევრად უფრო გვიან, დაასკვნის იგი, დასავლეთელმა ეკონომისტებმა, განცვიფრებულებმა დაინახეს ლ. ვ. კანტოროვიჩის „ნებადამრთველი მამრავლები",* რომლებიც *არსებითად საქონელთა და მომსახურების ფასებს წარმოადგენენ, რომელთა დანახარჯებიც მის წარმოებრივ ფუნქციებში ფაქტორების სახით განიხილებიან;* ამიტომ ეს თეორია, მის თანამედროვე ვარიანტში, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას მთლიანობაში განიხილავს, როგორც თავისებური სახის გიგანტურ კომპიუტერს და წარმოადგენს „ნრფივი პროგრამირების იმ დასავლურ თეო-

რიას, რომელიც ნაწილობრივ განჭვრიტა კანტოროვიჩის გამოკვლევებმა...“[4].

მეორე სტატიაში „საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების დაქვეითება და აღმავლობა“ (1960) ვ. ლეონტიევი ისევ გვახსენებს *ახალგაზრდა ლენინგრადელი მათემატიკოსის, ლ. კანტოროვიჩის ორი ნაშრომის შესახებ, რომლებშიც ჩამოყალიბებულია წარმოების დაგეგმვისა და ტრანსპორტირების ზოგიერთ პრობლემათა ზოგადი მათემატიკური დასმა, რომელმაც განჭვრიტა წრფივი პროგრამირების თეორიის კონცეფტუალური ჩარჩოები, რომელიც ჩამოყალიბებდა რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში*[5].

მილტონ ფრიდმანი (დაბ. 1912 წ.) - ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში 1976 წ., რომელიც მიენიჭა *„გამოკვლევისთვის ფულის მოხმარების, ისტორიისა და თეორიის სფეროებში“*. ნიუ-იორკში დაბადებულმა, დაამთავრა (1932) რუტერის და ჩიკაგოს (1934) უნივერსიტეტები. 1935 წლამდე არის ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასისტენტ-მკვლევარი, შემდგომში ხდება რესურსების ეროვნული კომიტეტის, ხოლო 1937 წლიდან ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს თანამშრომელი. 1940 წ. ასწავლის ვისკონსინის უნივერსიტეტში, 1941-1943 წწ. ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელია გადასახადების სფეროში მკვლევართა ჯგუფის შემადგენლობაში. 1943-1946 წწ. სამხედრო სფეროს სტრატეგიულ გამოკვლევათა ჯგუფის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზეა კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო კიდევაც (1946) დოქტორის ხარისხი.

1946 წ. ბრუნდება ჩიკაგოს უნივერსიტეტში ეკონომიკის პროფესორად. მსოფლიო სახელი მას მოუტანა უპირველეს ყოვლისა ნაშრომებმა მონეტარისტული თემატიკით. მათ რიცხვშია მისი რედაქციით გამოსული სტატიების კრებული „გამოკვლევები ფულის რაოდენობრივი თეორიის სფეროში“ (1956) და წიგნი გამოცემული ა. შვარცთან თანაავტორობით „აშშ-ის ფულადი სისტემის ისტორია, 1867-1960“ (1963). ფრიდმანისეულმა მონეტარულმა კონცეფციამ, ამერიკელი ეკონომისტის გ. ელისის სიტყვებით, *„ფულის ბელახალი აღმოჩენა“* გამოიწვია, თითქმის საყოველთაოდ მზარდი ინფლაციის გამო, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში.

მ. ფრიდმანის - ნობელის პრემიის ლაურეატის სახელი თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში, როგორც წესი, ასოცირდება ჩიკაგოს მონეტარული სკოლის ლიდერთან და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინზური კონცეფციის მთავარ ოპონენტთან. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა იმ წლებში (1966-1984), როდესაც მას მოუწია ჟურნალ „ნიუ სვიკში“ ყოველკვირეული სვეტის წაყვანა, რომელიც თითქოსდა მისი მონეტარისტული თეორიის პროპაგანდისტული რუპორი გახდა.

სხვათა შორის მ. ფრიდმანი თავის შემოქმედებაში მრავალწახნაგოვანი და ერთობ მნიშვნელოვანია, მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის სფეროსაც. აკი თავიანთ დისკუსიებში მოცემულ პრობლემაზე მრავალი წლის განმავლობაში ეკონომისტები გვერდს ვერ უვლიან ფრიდმანისეული ესსე-ს „პოზიტიური ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია" (1953), ისევე, როგორც მსგავს თემაზე ლ. რობინსის (1932), რ. ჰეილბრონერის (1991) და მ. ალეს (1990) მიერ დაწერილ ესსე-ებს ან პ. სამუელსონის მიერ, მისთვის ეკონომიკაში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე წაკითხულ ცნობილ ლექციას (1970) და სხვ.

მაგრამ სწორედ მ. ფრიდმანის პოზიტიური მეთოდოლოგიური ესსე-დან შეიძლება ამოკრიბო არაორდინარული მსჯელობა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური თეორია, როგორც შინაარსობრივი ჰიპოთეზების ერთობლიობა, მიიღება მაშინ, როდესაც შეუძლია *„აბსნას"* ფაქტობრივი მონაცემები, რომელთაგან მხოლოდ გამომდინარეობს, არის თუ არა იგი *„მართალი"* ან *„მცდარი"* და იქნება თუ არა იგი *„მიღებული"* ან *„უარყოფილი"*; რომ თავის მხრივ, ფაქტებს არასდროს არ შეუძლია *„დაადასტუროს ჰიპოთეზა"*, რამდენადაც მათ შეუძლიათ მხოლოდ მისი მცდარობის დადგენა. იმავდროულად ცხადია მისი სოლიდარობა იმ მეცნიერებთან, ვინც დაუშვებლად მიიჩნევს ეკონომიკური თეორიის წარმოდგენას აღმწერილობითად და არა განმჭვრეტლად, მისი გადაქცევით *უმრალო, შენილბულ მათემატიკად*[8]. მ. ფრიდმანის აზრით, *ვამტკიცოთ ეკონომიკურ მოვლენათა მრავალფეროვნებისა და სირთულეების შესახებ - ნიშნავს, რომ უარვყოთ ცოდნის გარდამავალი ხასიათი, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს მეცნიერული საქმიანობის არსს და ამიტომ „ნებისმიერ თეორიას აუცილებლად გააჩნია გარდამავალი ხასიათი და ამიტომ ექვემდებარება ცვლილებას მეცნიერების პროგრესთან ერთად."* ამასთან, რაიმე ახლის აღმოჩენა ნაცნობ მასალაში, დაასკვნის ნობელის ლაურეატი, უნდა განვიხილოთ ფსიქოლოგიურ და არა ლოგიკურ კატეგორიებში და ავტობიოგრაფიებისა და ბიოგრაფიების შესწავლით, სტიმული მივცეთ მას აფორიზმებისა და მაგალითების დახმარებით[7].

22.2. ეკონომიკური დოქტრინების ისტორიის მოკლე ნარკვევი პ. სამუელსონის სახელმძღვანელოში „ეკონომიკსი"

„ეკონომიკსის" სახელმძღვანელოს პირველი ტომის მეორე თავში მისი ავტორი ამთავრებს ისტორიულ-ეკონომიკურ ექსკურსს XVIII საუკუნის დასასრულის პერიოდში, მალთუსისეული *ხალხთმოსახლეობის კანონისადმი* მიმართვით[8].

წიგნის ამავე ტომის შემდეგ მე-3 თავში, პ. სამუელსონი ისევ უბრუნდება XVIII საუკუნეს, მაგრამ ამჯერად ა. სმითის „უჩინარ ხელთან" დაკავშირებით[3].

მაგრამ, მოცულობის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ-ეკონომიკურ „უკანსკნელის" ნაწილს პ. სამუელსონმა თავი მოუყარა „ეკონომიკის" 36-ე, და მე-40 თავებში (ტომი II).

ასე, მაგალითად, 36-ე თავის ბოლოს გამოყოფილია დანართი, რომელიც ეძღვნება ეკონომიკური აზრის ევოლუციას, სახელწოდებით „ეკონომიკური დოქტრინების ისტორიის მოკლე ნარკვევი". აქედან შეიძლება ამოიღო ეკონომიკური აზრის ყველაზე მთავარი მომენტების არსი. ჯერ-ერთი, რომ ეკონომიკური ანალიზი სათავეს იღებს „ძველი ფილოსოფოსების და პრაქტიკოსებისგან, რომლებიც დაინტერესებულები არიან თავიანთი დროის პოლიტიკური პრობლემებით" და მათ შორის არისტოტელეს ნაწარმოებებიდან, ბიბლიიდან „... და ფაქტობრივად ყოველი ხალხის კულტურაში დაუწერელზე". მეორე, რომ ადრეული ეკონომიკური დოქტრინების გაგრძელება თავმოყრილი იყო „ისეთი შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკოსების ნაწარმოებებში, როგორებიცაა თომა აქვინელი" და „სამართლიანი ფასის კოდიფიკაციაში". მესამე, რომ „მერკანტილისტებმა" სრულყვეს პოლიტიკური ეკონომიის მეთოდები და გზა გაუკვალეს მათ მოწინააღმდე ადამ სმითს. შემდგომში, მეოთხე, აღინიშნება ფრანგი ფიზიოკრატების წინასწარშექმნილი დებულებები, „ეკონომისტ-კლასიკოსების დოგმატიზმისადმი მიდრეკილება", უტოპიური სოციალიზმის იდეები და კ. მარქსის სიძულვილი მსგავსი უტოპისტებისადმი და ვულგარული კაპიტალიზმის აპოლოგეტებისადმი, რომელიც, თავის მხრივ, თვლიდა, რომ კლასობრივ ბრძოლას „გარდაუვლად პროლეტარიატის დიქტატურამდე მივყავართ, რომლის შემდეგაც უნდა მოხდეს „სახელმწიფოს კვდომა" და უკლასო საზოგადოების დამყარება, მუდმივი წონასწორობის მდგომარეობაში". და შემდგომში, მეხუთე, *„XX საუკუნის პოლიტიკური ეკონომია"*, რომელიც ემყარებოდა თავდაპირველად *„მიკროეკონომიკური მასალის ტიპს"* (განსაკუთრებით ა. მარშალის, ლ. ვალრასის, ვ. პარეტოს, ჯ. ბ. კლარკის, კ. მენგერის, ო. ბემ-ბავერკის და სხვ. ნაშრომებში), ხოლო შემდეგ - ე. ჩემბერლინის, და ჯ. რობინსონის *„მონოპოლისტური, ანუ არასრულყოფილი კონკურენციის ანალიზზე"* და *ჯ. მ. კეინზის „ზოგად თეორიაში" „შემოსავლის დონის განსაზღვრის თეორიის საფუძვლებზე"*.

განსახილველი დანართი მთავრდება დასკვნით იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში ეკონომისტთა უმეტესობა დასავლეთში *„ნეოკლასიკური სინთეზის"* მისაღწევად „ცდილობენ ეფექტიანი საკრედიტო-ფულადი და ეფექტიანი პოლიტიკის გზით სმითის და მარშალის კლასიკური მიკროეკონომიკა შეაერთონ შემოსავლის დონის განსაზ-

ღვრის თანამედროვე მაკროეკონომიკასთან, ორივე მიდგომაში ყველაფერი ჯანსაღის შეხამებით[10].

22. 3. პ. სამუელსონის „ცვლილებების სიო“

„ეკონომიკის“ მე-40-ე თავს ეწოდება „ცვლილებების სიო: ეკონომიკური დოქტრინების ევოლუცია“ და შეიცავს ნობელის ლაურეატის შეხედულებათა დაწვრილებით გადმოცემას ეკონომიკური აზრის მიმართულებებისა და განვითარების ეტაპებზე ანუ, პ. სამუელსონის სიტყვებით, პოლიტიკურ ეკონომიაზე, დაწყებული ადამ სმითიდან ჩვენს დრომდე.

ასეთი დროითი ჩარჩოები მის მიერ მოცულია იმიტომ, რომ, მისი შეხედულებით, პოლიტიკურ ეკონომია „უკიდურეს შემთხვევაში დაბადებიდან 200 წლისაა“ და, რომ მის დაბადების დღედ შეიძლება ჩავთვალოთ 1776 წელს ადამ სმითის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ გამოჩენა. სხვა სიტყვებით, ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრე“ - ეს, პ. სამუელსონის მიხედვით, „პოლიტიკური ეკონომიის დაბადების დღეა“, ხოლო ის, რაც მანამდე იყო - „ეკონომიკის პრეისტორიაა“, ე.ი. უხსოვარი დროიდან, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოებში იკრძალებოდა მევახშეობა და სასესხო სარგებელი, როდესაც მერკანტილისტები, როგორც „პრინცის მრჩევლები“ პროტექციონისტულ ტარიფებს იცავდნენ „ერების ასაყვავებლად“ და როდესაც ფიზიოკრატები, რომელთაც „სჯეროდათ ეკონომიკური ცხოვრების წრებრუნვისა“, იმედოვნებდნენ „რევოლუციამდელი საფრანგეთის ძველი რეჟიმის რეფორმირებას“[11].

ამ თავის მნიშვნელოვან ნაწილს „ეკონომიკის“ ავტორი უძღვნის ე.წ. *„კლასიკურ ეკონომიკას“*, რომელშიც თვით ა. სმითი მის მიერ გამოცხადებულია *„თავისუფალი კონკურენციის განმჭვრეტლად“* და „ჩამოყალიბებადი ბურჟუაზიული კლასის“ მქადაგებლად, ხოლო მისი ნიგნი - უჩვეულოდ ავტორიტეტულად დაწერილ „შედევრად“, რომელმაც „უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა შემდგომ საუკუნეზე“. შემდეგ სამუელსონისეულ „კლასიკურ ეკონომიკაში“ საუბარი შეეხება „მის ღირსებას“ თ. რ. მალთუსთან და „ამ საუკუნის საკვანძო ფიგურას“ დ. რიკარდოს. ამ ეკონომისტების „შემოდგომა“ ნობელის პრემიის ლაურეატის მოსაზრებით, დაკავშირებულია პირველი მათგანის აღმოჩენასთან და მეორედ *„მოგების შემცირების კანონის“* მხარდაჭერასთან, რამდენადაც სწორედ თ. მალთუსმა მუშათა ხელფასის შემცირების თეორიის წამოყენებით, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის დროს, ზეგავლენა მოახდინა იმაზე, რომ მასთან ერთად დ. რიკარდოც „დასვა არა იმ ცხენზე“. ხოლო შედეგად, „1820-იდან 1870

წლამდე, ე.ი. მთელი ნახევარი საუკუნე, ეკონომისტები და პოლიტიკოსები დაინტრიგებულები იყვნენ", ვერ გაიგეს „სამრეწველო რევოლუციის" შედეგები, რომელმაც დიდების შარავანდი მოხადა ამ კანონს" [12].

ამ თავის შემდეგი ქვესათაურის ტექსტში ხასიათდება *„ნეოკლასიკური ეკონომიკა"*, რომლის ნარმოშობას პ. სამუელსონი XIX ს. 70-იან წლებში მომხდარი „ეკონომიკის ხის" გაორების შედეგს უწოდებს. ამასთან, ერთ-ერთ მიმართულებას იგი უწოდებს *„თანამედროვე პოსტკეინზურ მაგისტრალურ ეკონომიკას"*, *რომელიც „ნეოკლასიკური ეკონომიკიდან და კეინზელობიდან" გაიზარდა, „მეორეს - მიმართულებას, რომელიც „მარქსის „კაპიტალიდან" (1867, 1885, 1894) და მისი ეკონომიკაში ხელახლახლა აღმოჩენილი უფრო ადრინდელი ნაშრომებიდან გამოვიდა"*. ისინი ჯეროვნად ფასდება ე.წ. ნეოკლასიკური რევოლუციით, რომელმაც მოთხოვნის, სარგებლიანობის, საყოველთაო ეკონომიკური წონასწორობის ანალიზის მათემატიკური საშუალებები აღმოაჩინა და პოლიტიკური ეკონომია უფრო „მეცნიერული" გახადა. ამასთან, მისი აზრით, ერთობ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ინგლისელი ა. მარშალი და ამერიკელი ჯ. ბ. კლარკი, რომელთაც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ნეოკლასიკურ რევოლუციაში, წლითი წლობით სულ უფრო მეტად უფრთხილდებოდნენ მიღწეულ დიდებას და მაღალ მდგომარეობას საზოგადოებაში და, რომ ამით იხსნება მათი „სოციალისტური მგზნებარება". რაც შეეხება უ. ჯევონსის, ლ. ვალრასის, და ვ. პარეტოს, მათ, პ. სამუელსონის შეფასებით, არა უბრალოდ მათემატიკის ელემენტები შემოიტანეს ეკონომიკურ მეცნიერებაში, არამედ ასევე გადააქციეს ისინი „ეკონომიკური ანალიზის ფაქიზ მეთოდებად".

მოკლედ და ლაკონურად გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ნობელიანტი ამ თავის შემდგომ ნაწილშიც, ქვესათაური - *„კეინზური რევოლუცია"*. კერძოდ, იგი იმაზე მიუთითებს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, პოლიტიკურმა ეკონომიამ, ერთი მხრივ, შორს ნაიწია ეკონომიკური სიტუაციის და საქმიანი აქტიურობის ციკლების ახსნაში, ხოლო მეორე მხრივ - იმ დროის ნეოკლასიკურმა ეკონომიკამ „ვერ შეიმუშავა განვითარებული მაკროეკონომიკური მოდელები, რომელიც მისი მეტისმეტად განვითარებული მიკროეკონომიკის შესაბამისი იქნებოდა". და მხოლოდ ეპოქალური *ჯ. მ. კეინზის „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადმა თეორიამ", რომელიც 1936 წელს გამოვიდა, ეკონომიკურ მეცნიერებას „ძველებურად დარჩენის" საშუალება არ მისცა, და „სეის კანონისადმი გულუბრყვილო რწმენა გაქრა"*.[13]

ეკონომიკური აზრის ისტორიკოსებისთვის ამ უდაოდ მნიშვნელოვანი მე-40-ე თავის დამამთავრებელი ნაწილი მოიცავს პ. სამუელსონის მსჯელობებს *„თანამედროვე პოსტკეინზური პოლიტიკური*

ეკონომიის პერიოდში" ეკონომიკის მაგისტრალური გზისა და ამ გზის *„კონსერვატიული შეტევების" შესახებ.* უპირველეს ყოვლისა მეცნიერი აქ აღიარებს, რომ პოსტკეინზელების ზეიში გახდა შერეული ეკონომიკის უკეთესი ფუნქციონირება, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეული იქნა ისტორიაში ნარმოებისა და ცხოვრების დონის უპრეცედენტო ზრდა. მაგრამ მთავარი, მისი სიტყვებით, მდგომარეობს იმაში, რომ „შერეულმა ეკონომიკამ სრულებით არ მოაახლოვა ოქროს საუკუნე", რომ *ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი ეკონომიკური პოლიტიკის ერთადერთი სრულყოფილი მოდელი, „რომელიც გაგვათავისუფლებს ჩვენ სრულ დასაქმებასა და ფასების სტაბილურობას შორის არჩევანის აუცილებლობიდან".* შესაძლებელია, ამიტომ „ეკონომიკისს" ავტორმა აუცილებლად ჩათვალა განეცხადებინა ინსტიტუციონალიზმის, როგორც 40-წლიან სერიოზულ ეკონომიკური მიმდინარეობის შესახებ და ამ თავის ნაწილის მიძღვნის შესახებ იმ სკოლების კრიტიკისადმი, რომლებიც „ გაბედულად აკრიტიკებდნენ პოსტკეინზური ერის ეკონომიკური მეცნიერების მაგისტრალურ მიმართულებას".

ასეთი სკოლების რიცხვში ნობელის ლაურეატი პირველ რიგში ასახელებს ჩიკაგოს სკოლას, რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა, როგორც პ. სამუელსონი გამოხატავს, „თავისუფალი კონკურენციის მოციქულები", მათ შორის მ. ფრიდმანი, და ნამდვილად „საბაზრო ფასების" ღირსებებისთვის მებრძოლები. შემდეგ გამოიყოფა ე.წ. გელბრეითისეული კრიტიკა და აღინიშნება, რომ ჯ. კ. გელბრეითი, „ვისი წიგნებიც ასე ადვილად იყიდება", თავის გამოკვლევებში ასაბუთებს საკმაოდ ბევრ „ძალზედ საჭიროს და სასარგებლოს", ეკონომიკაში გაბატონებული ორთოდოქსიის გაკრიტიკებით. დაბოლოს, ეკონომიკური მეცნიერების მაგისტრალური მიმართულების კრიტიკოსი მესამე სკოლა - ესაა ე.წ. ახალი მემარცხენეები ანუ ის ამერიკელი ეკონომისტები, რომლებიც საკუთარ თავს *„რადიკალურ ეკონომისტებს"* უწოდებენ, თუმცა სინამდვილეში ისინი შეფიქრიანებულები არიან „ნვრილ-ნვრილი" და თავისი მნიშვნელობადაკარგული საკითხებით..."[14].

კითხვები და საკონტროლო დავალებები

1. ეკონომიკური ევოლუციის რა ძირითად მიმართულებებს და ეტაპებს გამოყოფს პ. სამუელსონი თავის სახელმძღვანელო „ეკონომიკსში"? კომენტარი გაუკეთეთ მათ წინამდებარე სახელმძღვანელოს სტრუქტურის ლოგიკასთან და თემატიკასთან შედარებით.

2. პ. სამუელსონის აზრით, რომელი ეპოქა წარმოადგენს „ეკონომიკის პრეისტორიას"? თუკი მის ვერსიას მივიღებთ, რა დროიდან იწყება „ეკონომიკის ჭეშმარიტი ისტორია"?
3. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებიდან სამუელსონისეულ „კლასიკურ ეკონომიკაში" ვინ არის წარმოდგენილი საკვანძო ფიგურად XIX საუკუნეში?
4. პ. სამუელსონის აზრით, თ. მალთუსისა და დ. რიკარდოს რომელ თეორიებთან დაკავშირებით დადგა ამ ეკონომისტების „შემოდგომა", ხოლო მათი მიმდევრები მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე იყვნენ ჰიპნოზში?
5. შევადაროთ მოსაზრებები სამუელსონისეული „ნეოკლასიკური ეკონომიკის" წარმოშობის შესახებ, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმოშობის არგუმენტაციასთან მოცემულ სახელმძღვანელოში.
6. როგორ ახასიათებს პ. სამუელსონი პერიოდს, რომელსაც მან „თანამედროვე პოსტკეინზური პოლიტიკური ეკონომია უწოდა? რამდენად შეესაბამება მისი დებულებები არჩევანის ახლანდელ „მეცნიერულ" კრიტერიუმებს სრულ დასაქმებასა და ფასის სტაბილურობას შორის?
7. რაში მდგომარეობს ვ. ლეონტიევის მიერ „დანახარჯები-გამოშვების" საპროგნოზო ეკონომიკური ანალიზის მეთოდის არსი?
8. მოიტანეთ მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ ვ. ვ. ლეონტიევის, როგორც მეცნიერის მეთოდოლოგიურ და თეორიულ პოზიციებს.
9. როგორია ლ. კანტოროვიჩის შემოქმედების მთავარი დამსახურება ეკონომიკური თეორიის სფეროში?
10. უჩვენეთ რაზე დაიყვანება ლ. ვ. კანტოროვიჩის პირადი წვლილი მიკროეკონომიკურ გამოკვლევათა განვითარებაში.
11. სინამდვილეში, მ. ფრიდმანს ეკუთვნის „ფულის გამეორებითი აღმოჩენა"?
12. მოიტანეთ თქვენი „მომხრე" და „მოწინააღმდეგე" არგუმენტები ფრიდმანის ესსე-ს თვალსაზრისით „პოზიტიური ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგიდან."

თავი 1. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კურსის ძირითადი ამოცანები და სტრუქტურა

[1] Фридмен М. Методология позитивной экономической науки// THESIS. 1994. Т.2. Вып. 4. გვ. 51.

[2] Аникин А.В. Путь исканий: социально-экономические идеи в Росии до марскизма. М.: Политиздат, 1990. გვ. 7.

[3] Хайек Ф.А. фон. Дорога к рабству. М. : Экономика, 1992. გვ.123.

[4] იქვე, გვ.124.

[5] იქვე, გვ.122.

[6] Алле М. Современная экономическая наука к факты//THESIS. 1994. Т.2.Вып. 4. გვ. 12.

[7] იქვე, გვ. 18-19.

[8] იქვე, გვ. 19.

[9] Хайек Ф.А. фон.Указ.соч. გვ. 37

[10] Шумпетер Й. Теория экономического развития. М.: Прогресс, 1982. გვ.59-60.

[11] Поланьи К. Саморегулирующийся рынок и фиктивные товары: труд, земля и деньги//THESIS. Весна 1993. Т.1. Вып. 2. გვ.10.

[12] Вебер М. Избранные произведения. М.: Прогресс, 1990. გვ.118.

[13] Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. М.: Дело Лтд, 1994. გვ.XXIV.

[14] იქვე, გვ. 5.

[15] Гэлбрейт Дж.К. Экономические теории и цели общества. М.: Прогресс, 1979. გვ. 36.

[16] თანამედროვეობის დიდი ისტორიკოს-ეკონომისტის კარლ პოლანის წიგნში „დიდი ტრანსფორმაცია"(1944), რომელიც ეძღვნება საბაზრო ეკონომიკას და საბაზრო თეორიულ კონცეფციას, მერკანტილიზმის შესახებ ნათქვამია შემდეგნაირად: „იქ სადაც მიიღწეოდა ბაზრების ყველაზე ინტენსიური განვითარება, მაგალითად, მერკანტილისტურ სისტემაში, მათი აყვავება უზრუნველყოფილი იყო ცენტრალური ადმინისტრაციის კონტროლის წყალობით, რომელიც საკუთარ

ნებას თავს ახვევდა, როგორც რიგით გლეხურ მეურნეობებს, ისე ერს მთლიანად. რეგულირება და ბაზრები პრაქტიკაში ერთდროულად იზრდებოდა. თვითრეგულირებადი ბაზარი თავიდანვე არ არსებობდა, და თვითრეგულირების იდეის წარმოშობაც კი ძირშივე ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების განვითარების ძირითად ტენდენციებს" (THESIS. Весна 1993.Т.I. Вып. 2. გვ.10).

[17] იმის შესახებ, თუ როგორი იყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის იმ წარმომადგენელთა ამოსავალი პრინციპები, რომლებიც ყველაზე მეტი თანამონაწილეენი არიან თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების შექმნისა, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ვ. ვ. ლეონტიევი გამოთქვამს შემდეგნაირად: „ორი საუკუნის წინათ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების შემქმნელებმა, ადამ სმითმა, დეივიდ რიკარდომ და ჯონ სტიუარტ მილმა ააგეს შთამბეჭდავი თეორიული შენობა, რომლის საფუძველი იყო ეროვნული ეკონომიკის, როგორც თვითრეგულირებადი სისტემის ცნება, რომელიც შედგება საქმიანობის დიდი რაოდენობის ერთობ განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული სახეობებისგან (შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სისტემები), იმდენად ნაყოფიერი ცნებისაგან, რომ იგი ასტიმულირედა ჩარლზ დარვინს მისი ნოვატორული ევოლუციური თეორიის შექმნაში"(Леонеьев В. В. Экономическое эссе М.:Политиздат, 1990. გვ. 21) .

თავი 2. მეთოდოლოგიის პრობლემები ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კურსში

[1] Негиши Т. История экономической теории. М: АО „Аспект Пресс", 1995. გვ.:17,18.

[2] Хайлбронер Р. Экономическая теория как универсальная наука//THESIS. Зима 1993. Т.1.Вып. 1. გვ. 41.

[3] Тутов Л.А., Шаститко А.Е. Предмет и метод экономечской теории. М.: ТЕИС, 1997. გვ. 6.

[4] Маршалл А. Принципы экономической науки.В 3-х т. Т. III. М.: Прогресс, 1993. გვ. 223.

[5] იქვე.

[6] Брагинский С.В., Певзнер Я.А. Политическая экономия: дискуссионные проблемы, пути обновления. М.: Мысль, 1991. გვ. 7.
[7] Коуз Р. Фирма, рынок и право. М.: Дело, 1993. გვ. 4.
[8] Тутов Л.А., Шаститко А.Е. Указ. соч. გვ. 15, 19.
[9] Фридмен М. Указ. соч. გვ. 20.
[10] Маршалл А. Указ. соч. Т.3. გვ. 212, 213.
[11] იქვე, გვ. 213, 214.
[12] იქვე, გვ. 221.
[13] Тутов Л.А., Шаститко А.Е. Указ. соч. გვ. 26.
[14] Маршалл А. Указ. соч. Т.3. გვ. 210.
[15] იქვე, გვ. 215.
[16] Алле М. Указ. соч. გვ.13-14.
[17] Коуз Р. Указ. соч. გვ. 168.
[18] Маршалл А. Указ. соч. Т.3. გვ. 225-226.
[19] Тутов Л.А., Шаститко А.Е. Указ. соч. გვ. 4.

თავი 3. უძველესი სამყაროს და შუასაუკუნეების ნატურალურ-სამეურნეო ეკონომიკური აზრი

[1] მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერ-ეკონომისტი,-კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ალფრედ მარშალი წერდა, რომ „არისტოტელე მონობას განიხილავდა, როგორც ბუნების მოვლენას და ასეთადვე ალბათ, მას თვლიდნენ უძველეს დროში თვით მონები"(Маршалл А. Указ. соч. Т.1. გვ. 58).

[2] არისტოტელის მოსაზრებით, მევახშეობა „საფუძვლიანად იწვევს ზიზღს" და „არსებითად ბუნების საწინააღმდეგოა" იმიტომ, რომ თვით ფულის ნიშნებს საკუთრების საგანად აქცევს, რომელიც ამრიგად, კარგავს იმ თავის დანიშნულებას, რომლისთვისაც იგი შეიქმნა: აკი იგი წარმოიშვა გასაცვლელი ვაჭრობისთვის, სარგებლის ყურადღება კი იწვევს სწორედ ფულის ზრდას (Аристотель. Соc. В 4-х т. М.:Мысль,1975-1983, Т.4. გვ. 395). მეცნიერის ეს თეზისი სავსებით ეთანხმება მის აზრს იმის შესახებ, რომ მონეტა „არსებობს არა ბუნებით, არამედ დადგენილებით და ჩვენს

ხელშია მისი შეცვლა ან მოხმარებიდან ამოღება (იქვე, გვ.156).

[3] ადრინდელი შუასაუკუნეების პერიოდში ადრინდელი კანონისტების გაბატონებული ეკონომიკური აზრი კატეგორიულად გმობდა სავაჭრო მოგებას და სავახშო სარგებელს, ახასიათებდა რა მათ, როგორც არასწორი გაცვლის და სხვისი შრომის მითვისების შედეგს, ე.ი. როგორც ცოდვას. ეკვივალენტურად და პროპორციულად გაცვლა შესაძლებლად ითვლებოდა „სამართლიანი ფასის" დაწესების პირობებში. საეკლესიო კანონების ავტორები გამოდიოდნენ ასევე ანტიკური სამყაროს იდეოლოგებისთვის დამახასიათებელი აგდებული დამოკიდებულების წინააღმდეგ ფიზიკური შრომისადმი, ცალკეულ პირთა სიმდიდრეზე განსაკუთრებული უფლების წინააღმდეგ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საზიანოდ. მსხვილი ვაჭრობა, სასესხო ოპერაციები, როგორც ცოდვილიანი მოვლენები, საერთოდ იკრძალებოდა.

[4] Вебер М. Указ. соч. გვ.129.

[5] მოცემულთან დაკავშირებით საყოველთაოდ ცნობილ სახელმძღვანელოში, „ეკონომიკსში", ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატ პ. სამუელსონს აქვს შემდეგი სტროფები: „როგორც ძველ, ისე ახალ აღქმაში არის მევახშეობის და სასესხო სარგებლის დაგმობა. არისტოტელე და წმინდა აქვინელი მხარს უჭერდნენ ანალოგიურ შეხედულებებს "(Самуэльсон П. Экономика. 2-х т. МПО «Алгон», 1992.Т 2. გვ. 394.).

თავი 4. მერკანტილიზმი-საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების წარმოშობის პერიოდის პირველი თეორიული სკოლა

[1] კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების კანონი, კ.მარქსის მოსაზრებით, მჭიდრო კავშირშია გეოგრაფიულ აღმოჩენებთან, რომლებიც ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენს, რომელიც ზეგავლენას ახდენდა წარმოების ფეოდალური წესის გადასვლაზე კაპიტალისტურში (К. Маркс., Ф.Енгельс. Соч. 2-е изд. Т 25.Ч.I. გვ.12).

[2] კ. პოლანი ამის თაობაზე წერდა ასე: „მერკანტილიზმს, როგორი დაჟინებითაც არ უნდა აეყვანა მას საყოველთაო კო-

მერციალიზაცია ეროვნული პოლიტიკის რანგში, ზრუნავდა საბაზრო სისტემის განვითარების შესახებ სრულიად არასაბაზრო ხერხებით... მერკანტილისტური სამეურნეო წყობის დროს დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა უბრალოდ არ არსებობდა" (Поланьи К. აღნ. ნაშრომი. გვ. 12).

[3] ნ. კონდრატიევის შეფასებით, მერკანტილისტების სისტემა თანაბარი ზომით არსებითად პრაქტიკული პოლიტიკის სისტემა იყო, სისტემა, რომელიც ძირითადად პასუხობდა კითხვაზე, როგორი უნდა იყოს სახალხო მეურნეობა და როგორ უნდა იქცეოდეს მის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლება (N.Кондратьев Н.Д. Избр соч. М.: Экономика, 1993. გვ.292).

[4] Блауг М. Указ. соч. გვ. 9.

[5] როგორც ი. შუმპეტერი წერს, მერკანტილიზმის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ „წარმოადგებს რა არა იმდენად მეცნიერულ მიმართულებას, რამდენადაც პრაქტიკულ პოლიტიკას, და მის მიერ ნარმოშობილ ლიტერატურას, როგორც მეორეული მოვლენა, საერთოდ და მთლიანად შეიცავს მხოლოდ მეცნიერების ჩანასახს". მისი შეფასებით, მერკანტილიზმის პერიოდში ჯერ კიდევ არ არსებობდა ეკონომიკის ერთიანი პრობლემა, და ამიტომ „ჩვენ არ შეგვიძლია იმდროინდელ ლიტერატურაში გამოვძებნოთ სიღრმისეული განზოგადებებიც" (Шумпетер Й. Указ. соч. გვ.134). რაღაც მსგავსს გამოთქვამს მოცემულის თაობაზე მ. ბლაუგიც, იმის ხაზგასმით, რომ „საზოგადოებრივი აზრის ნაკადის მიერ ჩათრეულმა გაუნათლებელმა ავტორებმა იპოვეს გასაოცარი და ხანდახან დამაჯერებელი საფუძვლები მერკანტილისტური ეკონომიკური მეცნიერების ობივატელისგან დასაცავად და ეკონომიკური თეორია სიყმანვილეში თავისი პრეზუმპციების ლოგიკურ შედეგებთან შეხლა-შემოხლის მიზეზი გახდა"(Блауг М. Указ. соч. გვ.15).

თავი 5. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზოგადი ნიშნები და ევოლუციის ეტაპები

[1] იხ.: THESIS. 1994. T. II. Вып. 4. გვ. 206.

[2] Блауг М. Указ. соч. გვ.648.

[3] ნ. კონდრატიევი კერძოდ, წერდა: „კლასიკოსები აანალიზებდნენ, არსებითად, მხოლოდ კაპიტალისტურ წყობილებას და არსად არ ამბობენ მის გარდამავალ მნიშვნელობაზე... კლასიკოსები ასე იქცეოდნენ... იმიტომ, რომ ისინი მას სამეურნეო საქმიანობის პირობებში ყველაზე სრულყოფილ წყობილებად მიიჩნევდნენ"(Кондратьев Н.Д. Указ. соч. გვ. 295).

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 227.

[6] იქვე, გვ. 298.

[7] Мизес Л. фон. О некоторых распространенных заблуждениях по поводу предмета и метода экономической науки//THESIS. 1994. Т. II. Вып. 4. გვ. 206.

[8] Кондратьев Н. Д. Указ. соч. გვ. 228.

[9] Блауг М. Указ. соч. გვ. 652.

[10] იქვე.

[11] Жид Ш., Рист Ш. История экономических учений. М.: Экономика, 1995. გვ.75.

[12] Шумпетер Й. Указ. соч. გვ. 265.

[13] Блауг М. Указ. соч. გვ.19.

[14] Вебер М. Указ. соч. გვ.72.

[15] მოცემულ გარემოებაზე ყურადღების მიქცევით ვ. ლეონტიევი წერდა: „კაპიტალის" პირველი ტომის პირველივე გვერდებზე კ. მარქსმა დაადანაშაულა „ვულგარული" ეკონომისტები „ფეტიშიზმში". ნაცვლად იმისა, რომ გამოეკვლიათ ფასწარმოქმნის ძირითადი, სიღრმისეული ფაქტორები, ისინი, კ. მარქსის მოსაზრებით ოპერირებენ მოთხოვნისა და მიწოდების, ფულადი დანახარჯების და ა.შ. ზედაპირული ცნებებით, ე.ი. კატეგორიებით, რომლებიც მიეკუთვნებიან გამოგონილ ურთიერთობათა სფეროს"(Леонтьев В.В. Указ. соч. გვ.100).

[16] Гэлбрейт Дж. К. Указ. соч. გვ. 36.

[17] Селигмен Бен Б. Основные течения современной экономической мысли. М., 1968. გვ.: 20,23.

[18] Самуельсон П. Указ. Соч. ტ. Т. 2. გვ. 342.

[19] Блауг М. Указ. соч. გვ.143.

[20] იქვე.

[21] როგორც ამასთან დაკავშირებით ნ. კონდრატიევი წერდა, კლასიკოსებს „მთელ მათ მოძღვრებაში უდევთ... სამეურნეო

წყობილების ქადაგება, რომელიც ეყრდნობა ინდივიდუალური სამეურნეო საქმიანობის, როგორც იდეალის თავისუფლების პრინციპს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ა. სმითის შეხედულებებში" (Кондратьев Н.Д. Указ. соч. გვ. 294).

თავი 6. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობა

[1] Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-ое изд. Т. 20. გვ. 243.

[2] ამის შესახებ მოწმობს უ. პეტის ერთ-ერთი გამონათქვამი, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ „ჩვენ უნდა გვეთქვა: ხომალის, სერთუკის ღირებულება ამ და ამ რაოდენობის მინის რაოდენობის, ამ და ამ რაოდენობის შრომის ღირებულების ტოლია, იმიტომ, რომ ორივე, ხომალდიც და სერთუკიც ნაწარმოებია მინის და ადამიანისეული შრომით" (Петти У. Трактат о налогах и сборах/Антология экономической классики.М.,1993. გვ.13).

[3] Петти У. Экономические и статистические работы. М.: Соцэкгиз, 1940. გვ.70-71

[4] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ.123.

[5] Антология экономической классики. Т. I. გვ. 34.

[6] Шумпетер Й. Указ. соч. Соч. გვ. 372.

[7] Майбурд Е.М. Введение в историю экономической мысли. От пророков до профессоров. М.: Дело, Вита-Пресс, 1996. გვ.16.

[8] იქვე, გვ. 118.

თავი 7. ფიზიოკრატია-კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სპეციფიკური მიმდინარეობა

[1] Блаут М. Указ. соч. გვ. 23.

[2] იქვე.

[3] ეკონომიკური მეცნიერებისთვის ფ. კენეს სტატიის „ეკონომიკური ცხრილების" მნიშვნელობის მაღალი შეფასებით ი. შუმპეტერი იმაზე მიუთითებს, რომ ფიზიოკრატები „პირდაპირ და უშუალოდ შეუდგნენ მოვლენის შესწავლას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია..." და ამასთან „თითქმის გროტესკული მკაფიოობით ვლინდება მათში წრებრუნვის

იდეა, მათი განზრახვა წარმოადგინონ მისი ანატომია და ფიზიოლოგია"(Шумпетер Й. Избранные экономические произведения. М.: Соцэкгиз. 1961. გვ.: 96, 98.)

[4] Тюрго А.Р. Избранные экономические произведения. М.: Соцэкгиз, 1961. გვ.: 96, 98.

[5] იქვე, გვ. 69.

[6] იქვე, გვ. 30.

[7] იქვე, გვ. 118.

[8] იქვე, გვ. 120.

[9] იქვე, გვ. 145.

[10] იქვე.

[11] იქვე, გვ.164.

[12] იქვე, გვ.175.

[13] იქვე, გვ.116, 117.

[14] იქვე, გვ.102, 104.

[15] Тюрго А.Р. Указ. соч. გვ.: 97-98.

[16] იქვე, გვ. 115.

[17] იქვე, გვ. 140.

[18] იქვე, გვ. 150.

თავი 8. ადამ სმითი-კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ცენტრალური ფიგურა

[1] Контдратьев Н.Д. Указ. соч. გვ. 294.

[2] Антология экономической классики. Т. I. გვ. 300.

[3] იქვე, გვ. 91.

[4] Мизес Л. Фон. Указ. соч. გვ. 207.

[5] Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. М.: Соцэкгиз, 1962. გვ. 331, 332.

[6] Антология экономической классики. Т. I. გვ. 393.

[7] იქვე, გვ. 393-394.

[8] Блауг М. Указ. соч. გვ. 36.

[9] Антология экономической классики. Т. I. გვ.: 118, 121.

[10] იქვე, გვ.133-134.

[11] იქვე, გვ. 356-357.

[12] Носова С.С. Пути выхода из экономического кризиса: модели мултипликатора-акселератора. М.: 1993. გვ. 13.

[13] Роббинс Л. Предмет экономической науки // THESIS. Зима 1993. Т. I. Вып. 1. გვ.: 13, 14.

[14] Блауг М. Указ. соч. გვ. 48.

[15] Анталогия экономической классики. Т. I. გვ.: 104, 105, 244, 290.

[16] იქვე, გვ.: 320, 355.

[17] იქვე, გვ.:148, 135.

[18] იქვე, გვ. 119.

[19] იქვე, გვ.: 221, 224.

[20] იქვე, გვ.: 308, 311.

[21] იქვე, გვ. 122.

თავი 9. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია პოსტმანუფაქტურული პერიოდის სმითიანელების ნაშრომებში

[1] Жид Ш., Рист Ш. Указ. соч. გვ. 499.

[2] Мизес Л. Фон. Указ. соч. გვ. 208.

[3] Самуэльсон П. Указ. соч. Т. 2. გვ. 396.

[4] ამ გარემოებაზე მიუთითებს ა. მარშალიც, რომელიც აღნიშნავდა, რომ „რიკარდომ და მისმა მიმდევრებმა შეიმუშავეს თავისუფალი მენარმეობის ფუნქციონირების თეორია (ანუ მათი ტერმინოლოგიით, თავისუფალი კონკურენციის), რომელიც ბევრ ჭეშმარიტებას შეიცავს, რომლებიც ცხადია, შეინარუნებენ თავიანთ მნიშვნელობას, სანამ ეს სამყარო არსებობს"(Маршалл А. Указ. соч. გვ. 67).

[5] მაგრამ მ. ბლაუგის მტკიცებით, „პურის კანონებმა არ გამოინვიეს რიკარდოს მიერ ნანინარმეტყველები დამღუპველი შედეგები, იმიტომ, რომ იგი არ იხილავდა ტექნიკურ სრულყოფილებათა პრობლემას სოფლის მეურნეობაში, იმაში დარწმუნებით, რომ ინგლისურ ლენდლორდებს არ შეუძლიათ სრულყოფა, თუმცა ეს თვალსაზრისი უარყოფილ იქნა გამოცდილებით ისტორიის მიერ "(Блауг М. Указ. соч. გვ. 645).

[6] Контдратьев К. Д. Указ. соч. გვ. 294-295.

[7] Анталогия экономической классики. Т. I. გვ. 402.

[8] იქვე, გვ. 403.
[9] იქვე, გვ. 409.
[10] იქვე, გვ. 446.
[11] იქვე, გვ.: 410, 420.
[12] Блауг М. Указ. соч. გვ. 279.
[13] Антология экономической классики. Т. I. გვ. 428-429.
[14] იქვე, გვ. 422.
[15] იქვე, გვ. 450.
[16] იქვე, გვ. 467
[17] Блауг М. Указ. соч. გვ. 125.
[18] Антология экономической классики. Т. I. გვ.: 437, 439.
[19] იქვე, გვ. 438.
[20] Блауг М. Указ. соч. გვ.: 75-76, 77.
[21] Антология экономической классики. Т. I. გვ. 454.
[22] იქვე, გვ.: 455, 458.
[23] იქვე, გვ.: 467, 468.
[24] იქვე, გვ. 427.
[25] Рикардо Д. Сочинения. Т.I. М.: Гостполитиздат, 1955. გვ. 240.
[26] Блауг М. Указ. соч. გვ.141.
[27] იქვე, გვ. 123, 124.
[28] მისი თანამემამულეები შ. ჟიდი და შ. რისტი ასე წერენ ჟ. ბ. სეის შემოქმედების შესახებ: „სრული ბედნიერებისთვის სმითს არ ეყო (უკიდურეს შემთხვევაში კონტინენტზე) განმმარტებელი. ის ვინც მოახერხებდა მისი იდეების „დოქტრინის კოდექსში გაერთიანებას, რომელიც გადმოცემული იყო განსაზღვრული პრინციპის მიხედვით," და უკუეგდო უსარგებლო გადახვევები, სასარგებლო საქმეს გააკეთებდნენ. ჟ. სეიმ საკუთარ თავზე აიღო ეს საქმე (Жид Ш. Рист Ш. Указ. соч. გვ. 94).
[29] აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის პირველ და მეორე გამოცემებს შორის, მიუხედავად დიდი წარმატებისა, პირველის შემდეგ, დაშორიშორებამ 10 წელზე მეტი შეადგინა. მიზეზი აქ ისაა, რომ ტრაქტატის ცენტრალური იდეა ეკონომიკური ლიბერალიზმის შესახებ , აღნიშნული იყო მის მიერ იმდენად გამობერილად და არაორაზროვნად, რომ მისი რეალიზაცია განსაკუთრებით ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის ნანილში და სამეურნეო ცხოვრების გარდაქმნაში იმ დროის საფრანგეთის მთავრობაში სამხედრო-სამრეწველო ხელ-

მძღვანელობას ჩამოართმევდა ძალაუფლების რეალურ სისრულეს. აკი ჟ. ბ. სეი ახალი რეჟიმის არააღიარების ნიშნად შეგნებულად წავიდა კონფლიქტზე თავის ხელმძღვანელობასთან, არ მოინონა რა ტრიბუნატის პირველი კონსულის ფინანსური პროექტები, რის გამოც მომზადებული „ტრაქტატის“ მეორე გამოცემაზე უარის თქმა მოუწია. უკანასკნელი, რომელიც აშკარად შეწუხებული იყო ჟ. ბ. სეის სულისკვეთების თავისუფლებით, არა მხოლოდ აკრძალა „ტრაქტატის“.... გამოშვება, არამედ ასევე მისი ავტორი გაანთავისუფლა ტრიბუნატიდან, ამ სახელმწიფო სტრუქტურაში დაბალი დანიშვნის შეთავაზებით. ჟ. ბ. სეი ასე მოხვდა მრავალწლიან რისხვაში, მაგრამ მან გადაწყვიტა გაეხსნა საკუთარი ფაბრიკა და 1813 წ. მისი გაყიდვის შემდეგ, დაბრუნდა პარიზში, რათა ამოგებული სახსრებით გამოექვეყნებინა თავისი „ტრაქტატის“.... მეორე გამოცემა. იგი გამოჩნდა 1814 წ., რასაც მოკლე ვადებში მოყვა კიდევ სამი სხვა გამოცემა, შესაბამისად 1817, 1819 და 1821 წლებში. ეს ნაშრომი მალე ითარგმნება მრავალ ენაზე.

[30] ასე, თავის წერილში მალთუსისადმი სწავლული ეკონომისტის როლის შესახებ საუბრისას ჟ. ბ. სეი წერდა: „ჩვენ საზოგადოებას მხოლოდ უნდა ვუთხრათ, ასეთი ფაქტი როგორ და რატომ არის რაღაც სხვისი შედეგი. დათანხმდება, თუ არა ის ამ შედეგს ან უარყოფს მას, ეს საკმარისი იქნება მისთვის, მან იცის, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ არანაირი დარიგება(Жид Ш., Рист Ш. Указ. соч. გვ. 96).

[31] Блауг М. Указ. Соч. გვ.136.

[32] Сей Ж.Б. Трактат политической экономии., М., 1896. გვ.: 14, 15.

[33] Блауг М. Указ. соч. გვ. 26.

[34] Сей Ж.Б. Указ. Соч. გვ.: 27-29, 36, 39-42, 58.

[35] Жид Ш., Рист Ш. Указ. соч. გვ.102

[36] Блауг М. Указ. соч. გვ.143.

[37] Антология экономической классики. Т. II, 1993. გვ. 7.

[38] Маршалл А. Указ. соч. Т.1. გვ. 253.

[39] Блауг М. Указ. соч. გვ. 62.

[40] Маршалл А. Указ. соч. Т.1. გვ. 251-252.

[41] იქვე, გვ. 252-253.

[42] Блауг М. Указ. соч. გვ. 66.

[43] Антология экономической классики. Т. I. გვ.134.

[44] Блауг М. Указ. соч. გვ. 648, 653.
[45] იქვე, გვ.69.
[46] Антология экономической классики. Т. I. გვ. 428.
[47] Блауг М. Указ. соч. გვ.159.
[48] იქვე, გვ.157.
[49] იქვე, გვ. 158.

თავი 10. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის დასრულება

[1] Самуэльсон П. Указ. соч. Т. 2. გვ. 397.

[2] ჯ. ს. მილი საკუთარ საფუძვლებზე ძალიან მოკრძალებულად საუბრობდა და ერთ-ერთ წერილში წერდა: მე ევი მეპარება, რომ წიგნში არსებობს ერთი აზრი მაინც, რომელიც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მისი (დ. რიკარდოს-ი.ი.) სწავლების ლოგიკური დასკვნა (Блауг М. Указ. соч. გვ.199).

[3] Миль Дж.С. Основы политической экономии и некоторые аспекты их приложения к социальной философии. В 3-х т. М.: Прогресс, 1980. Т. 1. გვ.: 337, 338.

[4] მაგრამ, როგორც ბლაუგი წერს, „მილთან, ამასთან „დინამიკა" ნიშნავს ისტორიული ცვლილებების ანალიზს, მაშინ, როდესაც „სტატიკით", როგორც ჩანს, ნიშნავს იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სტატიკურ ანალიზს". ეს ნიშნავს, რომ „საფუძვლების" ავტორის „დინამიკა" არ არის დაკავშირებული იმ ცვლადების ანალიზთან და გამოვლენასთან ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლებიც გათვალისწინებულ იქნება დროით ასპექტში, რისი გაკეთებაც ამჟამად შესაძლებელია მათემატიკური მოდელების წყალობით დიფერენციალური გამოთვლების გამოყენებით.

[5] Миль Дж. С. Указ. соч. Т. 1. გვ.148.

[6] იქვე, Т. II. გვ.150.

[7] მაგრამ უფრო მჭევრმეტყველურად ჯ. მილმა ხალხთმოსახლეობის მალთუსის თეორიისადმი საკუთარი ერთგულება გამოხატა, საკუთარი ავტობიოგრაფიის შემდეგ სტრიქონებში: მალთუსის ხალხთმოსახლეობის პრინციპი ჩვენთვის ისეთივე გამაერთიანებელი დროშაა, როგორიც ბენთამის ნებისმიერი შეხედულება. ეს უდიდესი დოქტრინა, თავიდან წამოყენებული, როგორც კაცობრიობის შეუზღუდავი პროგრესის თეორიის საპირისპირო, ჩვენ მონდომებით და მხურვალედ ავიტა-

ცეთ, მივანიჭეთ რა მას საპირისპირო აზრი, როგორც ამ პროგრესის რეალიზაციის ერთადერთი საშუალების მანიშნებელი მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმების და მაღალი ხელფასის უზრუნველსაყოფად ამ მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ნებაყოფლობითი შეზღუდვის ხარჯზე (Блауг М. Указ. соч. გვ. 200).

[8]ამასთან დაკავშირებით მ. ფრიდმანი ჯ.ს. მილის მისამართით გამოთქვამს შემდეგს: „ნებისმიერი მტკიცება, რომ ეკონომიკური მოვლენები მრავალფეროვანი და რთულია, უარყოფს ცოდნის წარმავალ ხასიათს, რაც მხოლოდ აზრს მატებს სამეცნიერო საქმიანობას; ის ჯონ სტიუარტ მილის მიერ სამართლიანად დამცინავი მტკიცების რიგში დგას: „საბედნიეროდ, ღირებულების კანონებში არაფერი არ არის ისეთი, რაც დარჩა გასარკვევი თანამედროვე თუ ნებისმიერ მომავალ ავტორს; ამ საგნის თეორია დასრულებულად ითვლება." (Фридмен М. Методология позитивной экономической науки//THESIS. 1994. Т. II. Вып. 4. გვ.44).

[9]Миль Дж. С. Указ. соч. Т. 1. გვ. 240-241.

[10] იქვე, გვ. 234.

[11] Блауг М. Указ. соч. გვ. 200.

[12] Миль Дж. С. Указ. соч. Т. 1. გვ.: 344-345, 360-361.

[13] იქვე, Т. III. გვ. 79.

[14] მ. ბლაუგის შეფასებით, ჯ. ს. მილთან მთავარი, რომელიც „თავისი ცხოვრების მანძილზე ორ თაობას ასწავლიდა....საკუთარ მეცნიერებას ინგლისს...გამოაშკარავდება ეკონომიკური რეფორმის მის ვარაუდებში, მისთვის დამახასიათებელ ზნეობრივ ინტონაციებში, ერთდროულად სენტიმენტალურ და მკაცრში, როდესაც აბსტრაქტული თეორიის ფერადოვნების მოთოკვა სოციალური სრულყოფილების გაგების სურვილით ხდებოდა." (Блауг М. Указ. соч. გვ. 199).

[15] Жид Ш., Рист Ш. Указ. соч. გვ. 288.

[16] იქვე.

[17] ამას ადასტურებს მრავალი ცნობილი თანამედროვე ეკონომისტი. მაგალითად, რ. არონის აზრით, „ცოტამ თუ იცოდა მასზე უკეთესად თავისი დროის ეკონომიკური აზრი" (Арон Р. Этапы развития социологической мысли. М., 1992. გვ. 150). ხოლო შუმპეტერის მტკიცებით, „კ. მარქსს მისი თანამედროვე და წინამორბედი ეკონომისტებისგან, სწორედ ეკონომიკური ევოლუციის, როგორც განსაკუთრებული, თვით ეკონომიკური

სისტემით განპირობებული პროცესის გაგება განასხვავებდა" (Шумпетер Й. Указ. соч. გვ. 53).

[18] უფრო მეტიც, ოდესღაც არსებული „საბჭოთა პოლიტეკონომია, ანუ საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერება, რჩებოდა.... უძრავი და თავისი არსით მარქსის უზარმაზარ, უგრძნობ და ურყევ ძეგლად "....რადგან „მარქსიზმი, როგორც ეკონომიკური თეორია წარმოადგენს კერძო მეწარმეობის, და არა ცენტრალიზებული ეკონომიკის სწრაფადმზარდ თეორიას " (Леонтьев В. В. Указ. соч. გვ.: 216, 217).

[19] ვ. ლეონტიევის შეფასებით, „თუ ეკონომიკური განვითარების რაიმენაირი ახსნის მცდელობამდე, ვინმე მოინდომებს იმის გაგებას, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში მოგება, ხელფასი, კაპიტალისტური საწარმო, მას შეუძლია „კაპიტალის" სამ ტომეულში მიიღოს უფრო რეალისტური და ხარისხიანი ინფორმაცია პირველწყაროდან, ვიდრე ის, რომლის მოძებნა შესაძლებელია „აშშ-ის ცენზების" ათ შემდგომ გამოშვებაში, თანამედროვე ეკონომიკის ათეულობით ნიგნსა და გავბედავ და ვიტყვი, თორსტეინ ვებლენის თხზულებათა ნაკრებში" (Леонтьев В. В. Указ. соч. გვ. 111).

[20] 1858 წ. კ. მარქსი ფ. ლასალს წერდა: „ჩემთვის მე მრჩება მხოლოდ ღამე და ღამის მუშაობაშიც ხელს მიშლის ღვიძლის საკმაოდ ხშირად განმეორებადი შემოტევები და რეციდივები" (Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд. Т. 29. გვ. 448).

[21] ფ. ენგელსი, რომელმაც მარქსის გარდაცვალების შემდეგ განაცხადა, რომ „მისი სახელი და საქმე საუკუნეებს გაუძლებს", მარქსის „კაპიტალის" მიმართ გარკვეულ შენიშვნებსაც გამოთქვამდა. მისი აზრით, როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო მარქსი ალგებრაში, ციფრების გაანგარიშების ტექნიკას, განსაკუთრებით კი ვაჭრობის სფეროში ის არ ფლობდა საკმაოდ თავისუფლად.... მარქსი გაიხლართა ბრუნვების დეტალურ გამოთვლებში, ასე, რომ დაუსრულებლობასთან ერთად მის ანგარიშებში გარკვეული შეცდომები და ნინააღმდეგობები გაიპარა (Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд. Т. 24. გვ. 318).

[22] Жид Ш., Рист Ш. Указ.соч. გვ. 520.

[23] Арон Р. Указ. соч. გვ.164.

[24] მ. ბლაუგის აზრით, კ. მარქსის მიდრეკილება „საკუთარი თეორიების ფაქტებთან შეუთავსებლობა მიეწერა კაპიტალიზმის დიალექტიკურ „შიდა ნინააღმდეგობებთან" მას უარყოფების

ასპროცენტიან გარანტიებს აძლევდა" (Блауг М. Указ. соч. გვ. 649).

[25] Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд. Т. 13. გვ. 6-7.

[26] იქვე, გვ. 8.

[27] ამასთან დაკავშირებით ი. შუმპეტერი წერდა შემდეგს: ყველა სხვა დამოკიდებულებებში მან გადმოიღო და გამოიყენა რიკარდოსეული ეკონომიკური თეორიის პირნციპები და დებულებები, მაგრამ ეკონომიკური ევოლუციის შესახებ წარმოდგენა, რომელიც მან შემოსა ჰეგელისეულ სამოსში, რაც არ არის არსებითი, მხოლოდ მას ეკუთვნის. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ეკონომისტთა ყოველი თაობა ისევ და ისევ უბრუნდება მის ნამუშევრებს, თუმცა ისინი მასში პოულობენ ისეთს, რაც იმსახურებს კრიტიკას (Шумпетер Й. Указ. соч. გვ. 53).

[28] Арон Р. Указ. соч. გვ. 192.

[29] Беккер Г.С. Экономический анализ и человеческое поведение/ /THESIS. Зима.1993. Т. I. Вып. 1. გვ.30.

[30] Арон Р. Указ. Соч. გვ. 200. ამასთან, როგორც რ. არონი თვლის, თვისუფალი კონკურენციის ეკონომიკის კვლევა, რომელიც ასახულია „კაპიტალში", ნარმოადგენს კ. მარქსის შედევრს, მისი აზრების შუაგულს, რადგან ამ თხზულებაში „მარქსის მთავარი ამოცანა გარდაუვალის მტკიცებაში მდგომარეობდა, მისი აზრით, კაპიტალისტური წყობის ევოლუციაში." (Арон Р. Указ. соч. გვ.: 150, 151).

[31] აქ დროულია გავიხსენოთ ფ. ჰაიეკი, რომელიც წერდა: *თავისუფლების პირობა*, უეჭველად, სოციალისტური პროპაგანდის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი გახდა, რომელიც ადამიანებში თავდაჯერებულობას თესავს იმის შესახებ, რომ სოციალიზმი მოიტანს თავისუფლებას. ამასთან, უდიდესი ტრაგედია იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ *ჩვენს მიერ თავისუფლებისკენ დაპირებული გზა სინამდვილეში ... გზაა მონობისკენ.* სწორედ თავისუფლების *პირობა* არ გვაძლევს შეურიგებელი ნინააღმდეგობის დანახვის საშუალებას სოციალიზმის ფუნდამენტალურ პრინციპსა და ლიბერალიზმს შორის. შედეგად *ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა მიიღო სოციალიზმი, რადგან დაინახა მასში ლიბერალური ტრადიციის გაგრძელება.* თვით აზრი, რომ სოციალიზმს არ მივყავართ თავისუფლებისკენ, მათ ამიტომ ეჩვენებათ აბსურდულად (Хайек Ф. А. Фон. Указ. соч. გვ. 221). ამასთან, ფ. ჰაიეკი გვაფრთხილებს: წარსულში ცნო-

ბილი რეჟიმები, რომელიც თეორიული თვალსაზრისით შეიძლება შენარჩუნებულიყო, გაქრა. ნუ გავაკეთებთ ნაჩქარევ ფაქტებს იმისგან, რომ მარქსმა არ დაამტკიცა კაპიტალიზმის განწირულობა. რეჟიმები შეიძლება განადგურდნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თეორიული თვალსაზრისით არ არის განწირული (Хайек Ф. А. Фон. Указ. соч. გვ. 176).

[32] Леонтьев В. В. Указ. соч. გვ. 221.

[33] Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд. Т. 4. გვ. 424.

[34] იქვე, გვ. 447.

[35] იქვე, Т. 25. Ч.II . გვ. 457.

[36] იქვე, გვ. 380.

[37] იქვე, Т.8. გვ. 208.

[38] იქვე, Т. 28. გვ. 427.

[39] რ. არონი ამასთან დაკავშირებით აცხადებს შემდეგს: პროლეტარიატის აღზევება არ შეიძლება გაუთანაბროთ ბურჟუაზიის აღზევებას და აქ ისტორიის მარქსისტული ხედვის მთავარი, თვალშისაცემი შეცდომა შედეგებია, რომელთა გაზომვა შეუძლებელია (Арон Р. Указ. соч. გვ. 199).

[40] არ ეთანხმებოდა რა ამ მოსაზრებას, ი. შუმპეტერი ამავდროულად აღნიშნავდა, რომ კ. მარქსის „მთავარი იდეა იმის შესახებ, რომ კაპიტალი, თავისი არსით წარმოებაზე გაბატონების საშუალებაა, სრულიად ემთხვევა ჩვენს დასკვნებს" კრიტიკას (Шумпетер Й. Указ. соч. გვ. 263).

[41] Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд. Т. 23. გვ. 206.

[42] იქვე, გვ. 517.

[43] კ. მარქსის ღირებულების თეორიასთან დაკავშირებით თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შეხედულებათა ორი უკიდურესი პოლუსი ჩამოყალიბდა ან ე.წ რეზიუმე. ერთ-ერთი მათგანი - მარქსისტული, - ნ. კონდრატიევის აზრით, - დაიყვანება შემდეგზე: „თუ გამოვრიცხავთ ცალკეულ შუალედურ მოძღვრებებს ღირებულებების შესახებ, მაშინ... მარქსის თეორია...შრომითი თეორიის უმაღლესი ფორმაა" (Кондратьев Н. Указ. соч. გვ. 228). სხვანაირად რეზუმე: „...ყველაფერი, რაზეც საუბრობენ მარქსისტები, დაიყვანება წარმოდგენამდე იმის შესახებ, რომ თუ ჩვენ არ დავინყებთ შრომითი ღირებულების თეორიიდან, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, რომ კაპიტალისტები ითვისებენ ერთობლივი პროდუქტის ნაწილს, შრომით პროცესში მონაწილეობის მიღების გარეშე". (Блауг М. Указ. соч. გვ. 220).

[44] აი კ. მარქსის მიერ წამოყენებული თეორიის სასარგებლოდ მოყვანილი ზოგიერთი გამონათქვამები: „კაპიტალისტური ეპოქის დამახასიათებელ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალა თვით მომუშავისთვის მისი კუთვნილი საქონლის ფორმას იღებს". „ყველა სხვა საქონლის მსგავსად, მას გააჩნია ღირებულება. რით განისაზღვრება უკანასკნელი? სამუშაო ძალის ღირებულება...განისაზღვრება სამუშაო დროით, რომელიც საჭიროა წარმოებისთვის, შესაბამისად ამ სპეციფიკური საქონლით ვაჭრობის კვლავწარმოებისთვის. და მარქსის კიდევ ერთი გამონათქვამი. მასში „სამუშაო ძალის მფლობელი" ხასიათდება, როგორც „ადამიანი, რომელმაც გაყიდა საკუთარი ტყავი და ამიტომ ვერ ხედავს მომავალში ვერანაირ პერსპექტივას, გარდა ერთისა: ეს ტყავი უნდა თრიმლოს" (Маркс К., Энгельс Ф. Соч. 2-е изд. Т. 23. გვ.: 181, 187).

[45] მაგრამ, როგორც მ. ბლაუგი აღნიშნავს, ამასთან დაკავშირებით, შრომითი ღირებულების თეორია, როგორც ასეთი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ სამუშაო ძალა იყიდება საკუთარი (შრომითი-ი.ი.) ღირებულებით (Блауг М. Указ. соч. გვ. 250).

[46] დღევანდელი დღის რეალიების სიმაღლიდან მ. ბლაუგი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მარქსის შეცდომა - იმის არაღიარებაა, რომ შრომა შეიძლება აღმოჩნდეს შედარებით დეფიციტური ფაქტორი. სწორედ ამ მიზეზის და არა რაიმე სერიოზული შეცდომის გამო, მან ვერ შეძლო სწორად აღეწერა კაპიტალიზმის ისტორიული ევოლუცია". „მარქსმა სათანადოდ ვერ შეაფასა პროფკავშირების გამოჩენის და მშრომელთა არჩევითი უფლებების შედეგები" (Блауг М. Указ. соч. გვ. 238-239).

[47] Арон Р. Указ. соч. გვ.167.

[48] ისღა დაგვრჩა, რომ დავამატოთ „აბსოლუტური რენტის მარქსისეულ თეორიას არანაირი ძალა არ აქვს მისი ზედმეტი ფასეულობის (ღირებულების - ი.ი.) თეორიის და აქედან გამომდინარე ღირებულების გარდაქმნის აუცილებლობის ფარგლებს გარეთ" (Блауг М. Указ. соч. გვ. 264).

[49] Леонтьев В. В. Указ. соч. გვ.105.

[50] Блауг М. Указ. соч. გვ. 234.

[51] იქვე, გვ. 235.

თავი 11. ეკონომისტ-რომანტიკოსების რეფორმატორული პროგრამების წარმოქმნა

[1]Ленин В.И. Полн. Собр. Соч. ტ.2. გვ.192.

[2]Ленин В.И. К характеристике экономического романтизма. В кн.: Сисмонди Ж.С. Новые начала политической экономии в его отношении к народонаселению.Т.1.М.: Гос.социально-эконом. Изд-во, 1937. გვ. 27, 124.

[3]Сисмонди Ж.С. Новые начала политической экономии в его отношении к народонаселению. Т.1. გვ. 134, 143.

[4]იქვე.გვ.164-165.

[5]იქვე.გვ.148, 150, 291, 360.

[6]იქვე.გვ.167.

[7]იქვე.გვ.133.

[8]იქვე.გვ.168.

[9]იქვე.გვ.169.

[10] იქვე.გვ.335-336, 357.

[11] იქვე.გვ.139.

[12] იქვე.გვ.139.

[13] როგორც აღნიშნავენ შ.ჟიდი და შ.რისტი, პოლიტიკური ეკონომიის ავტორთა შორის პირველი, ვინც „საკუთარ სისტემაში დიდ ადგილს უთმობს გრძნობებს" არის სისმონდი, მაგრამ სწორედ ამის წყალობით, მათი აზრით...„ის ამავდროულად გამოიწვევს ღრმა ენთუზიაზმს და მკვეთრ პროტესტს" Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.

[14] Сисмонди С. Указ. Соч. ტ. II. გვ.338.

[15] იქვე.გვ.166, 174.

[16] იქვე.გვ. 181.

[17] იქვე.გვ. 209, 211, 212.

[18] იქვე.გვ. 330.

[19] იქვე.გვ. 330, 332.

[20] იქვე.გვ. 179.

[21] იქვე.გვ. 138-139.

[22] იქვე. ტ. I. გვ. 149, 347-349, ტ. II. გვ. 127.

[23] იქვე.ტ. II.გვ.129, 139.

[24] იქვე.ტ. I. გვ. 135-136, 183-184.

[25] იქვე.გვ.186-187, 193.

[26] იქვე.გვ.192, 286, 289, 297.

[27] იქვე.გვ.32-322, 324.

[28] ციტ. Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.145.

[29] Маркс К., Энгельс Ф. 2 გამ. ტ.23. გვ.527.

[30] Сисмонди С. Указ. Соч. ტ. I. გვ.134,140.

[31] იქვე.გვ.193, 200.

[32] იქვე.ტ. I. გვ. 314, 316, ტ. II. გვ. 158.

[33] იქვე.ტ. I. გვ. 314, 317.

[34] იქვე.გვ.319.

[35] იქვე.ტ. II. გვ. 176.

[36] იქვე.ტ. I. გვ. 181,219, 222-224, 249-251, 266. ტ. II. გვ. 164.

[37] იქვე.ტ. I. გვ. 181,304-309, 324, 325, 328-329; ტ. II. გვ. 165-166, 168-173, 175.

[38] Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.154.

[39] პარიზში, არ ჰქონდა რა სხვა შემოსავალი, გარდა აკადემიური სტიპენდიისა, პ.პრუდონი მის დიდ ნაწილს უგზავნის საკუთარ მშობლებს, მაშინ როდესაც თვითონ ისევ განიცდის მატერიალურ სიძნელებს.

[40] კ.მარქსი ამის შესახებ მოგვიანებით წერდა: „პრუდონმა თვითონ შემატყობინა....საკმაოდ დეტალურ წერილში, რომელშიც სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია: „ველოდები თქვენს მკაცრ კრიტიკას". სინამდვილეში, ეს კრიტიკა მალე მას დაატყდა თავს ისეთი ფორმით, რომ სამუდამოდ მოუღო ბოლო მათ მეგობრობას"(Маркс К. Нищета философии. Ответ на „Философию нищеты" П.Прудона. М.: Госполитиздат, 1941. გვ.169).

[41] Прудон П. Что такое собственность? Или Исследование по принципе права и власти. М: Книгоиздательство анархистов-коммунистов „Светлая Звезда", 1919 გვ. 197.

[42] იქვე.გვ. 154.

[43] Прудон П. Система экономических противоречий, и Философия нищеты. Цит. по Маркс К. Нищета философии. გვ.123.

[44] იხ.: Туган-Барановский М.П.Ж. Прудон. Его жизнь и общественная деятельность. Биографический очерк. СПБ., 1891. გვ.31.

[45] Прудон П. Что такое собственность? გვ. 16, 30, 177.

[46] იქვე.გვ.97.

[47] ერთ-ერთ თავის წერილში კ.მარქსი ამასთან დაკავშირებით იხსენებს შემდეგს: „ჩემი პარიზში ყოფნის დროს 1844წ. მე დავუახლოვდი პრუდონს...ხანგრძლივი კამათის განმავლობაში, რომელიც ხშირად დილამდე გრძელდებოდა, მე დავაავადე ის, მისდა საზიანოდ, ჰეგელიანიზმით, რომელიც მან გერმანული ენის არცოდნის გამო ვერ შეძლო მისი სათანადოდ შეესწავლა(Маркс К. Нищета философии. გვ.169.)".

[48] Прудон П. Что такое собственность? გვ.180.

[49] პრუდონის განსაზღვრებით, „პაუპერიზმი არანორმალური სიღარიბეა, რომელიც დამანგრეველად მოქმედებს", პაუპერებს მიეკუთვნება „მომუშავე, რომელმაც თავისი შრომის სანაცვლოდ არ მიიღო უმცირესი საერთო შემოსავალი" და „არ შეუძლია არასაკმარისი ანაზღაურების მეშვეობით აღიდგინოს საკუთარი ძალები, შეინარჩუნოს მეურნეობა, აღზარდოს საკუთარი შვილები, ყველაზე ნაკლებად კი-განავითაროს საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები(Прудон П. Бедность как экономический принцип. გვ.22,23.)".

[50] Прудон П. Что такое собственность? გვ.140-142.

[51] Прудон П. Бедность как экономический принцип. გვ.26,27.

[52] იხ.: Туган-Барановский М. Указ. Соч. გვ.38.

[53] Прудон П. Система экономических противоречий, и Философия нищеты. Цит. по Маркс К. Нищета философии. გვ.109.

[54] Маркс К. Нищета философии. 110, 114.

[55] იქვე.გვ.123.

[56] Прудон П. Что такое собственность? გვ.97.

[57] იქვე.გვ.96, 98, 104.

[58] იქვე.გვ.98.

[59] Прудон П. Система экономических противоречий, и Философия нищеты. Цит. по Маркс К. Нищета философии. გვ.37,70.

[60] Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.246, 510.

[61] Прудон П. Что такое собственность? გვ.116-118, 147.

[62] იქვე.გვ.84.

[63] იქვე.გვ.118, 119.

[64] იქვე.გვ.155.

[65] Туган-Барановский М. Указ. Соч. გვ.54.

[66] ციტ. Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.511.
[67] Прудон П. Бедность как экономичекий принцип. გვ.29.
[68] Прудон П. Что такое собственность? გვ.136, 163, 169, 170.
[69] Туган-Барановский М. Указ. Соч. გვ.56.
[70] Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.240, 243.
[71] იქვე-გვ. Туган-Барановский М. Указ. Соч. გვ.55.
[72] Туган-Барановский М. Указ. Соч. გვ.54,59.
[73] ციტ. Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.241.
[74] Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.159, 160, 163, 164.
[75] Шумпетер Й.А. Капитализм, социализм и демократия. М.: Экономика, 1995. გვ.56, 57,77.
[76] Контдратьев К.Д. Указ. Соч. გვ.296, 297.
[77] Сурин А.И. История экономики и экономических учений. М.:Финансы и статистика, 1998. გვ.55, 57.
[78] Майбурд Е.М. Указ. Соч. გვ.196, 197.
[79] Левита Р.Я. История экономических учений. М.: при участии ЗАО КноРус, 1998. გვ. 40, 41.
[80] Общая экономическая теория(политэкономия): Учебник Под. Общ.ред.акад. В.И. Видяпина, акад. Г.П.Журавлевой. М.: ПРОМО-Медиа, 1995. გვ.12.
[81] Прудон П. Бедность как экономичекий принцип. М.: Посредник, 1908. გვ.29.
[82] Жид Ш., Рист Ш. Указ. Соч. გვ.245.
[83] იქვე-გვ.145, 245.

თავი 12. უტოპიური სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმატორული პროექტები

[1]Жид Ш., Рист Ш. Указ. соч. გვ.: 170, 185, 186.
[2]Оуен Р. Избр. Соч. Т. I. М.-Л., 1950, გვ. 179
[3]Жид Ш., Рист Ш. Указ. соч. გვ. 189.
[4]Оуэн Р. Указ. соч. Т. I. გვ. 131; Т. II. გვ.: 33, 55-56.
[5]იქვე, გვ. Т. I. გვ. 161; Т. II. გვ. 22.
[6]იქვე, გვ. Т. II. გვ.: 183, 185.
[7]იქვე, გვ.: 187, 188.
[8]იქვე, გვ.: 189-191, 200, 207, 210, 248.

[9]იქვე, გვ. Т. I. გვ. 251; Т. II. გვ.: 204, 207, 240, 241; Жид Ш., Рист Ш. Указ. соч. გვ.: 192, 193.
[10] Сен-Симон К. Избр. соч. Т. II. М-Л.: 1948. გვ.: 88, 354-355.
[11] იქვე, გვ. 170.
[12] იქვე, გვ. 171.
[13] იქვე, გვ. 350.
[14] იქვე, გვ. 121-122.
[15] იქვე, გვ. 129.
[16] იქვე, გვ. 152.
[17] იქვე, გვ. 125-126.
[18] იქვე, გვ. 128-129.
[19] იქვე, გვ.: 95, 114, 119, 161.
[20] იქვე, გვ. 153.
[21] Фурье Ш. Избр. соч. Т.II. М.-Л., 1951, გვ. 97.
[22] Фурье Ш. Избр. соч. Т. III. М.-Л., 1954, გვ. 307.
[23] იქვე, Т. II. გვ. 347.
[24] იქვე, Т. I. გვ.: 229, 231.
[25] იქვე, Т. III. გვ. 16.
[26] იქვე, Т. I. გვ.: 86, 375, 397; Т. 3. გვ.: 43, 78.
[27] იქვე, Т. I. გვ.: 86, 116, 349; Т. 2. გვ.: 268; Т. 3. გვ.: 8, 44, 307.
[28] Сен-Симон К. Избр. соч. Т. 2. გვ. 119.
[29] Фурье Ш. Избр. соч. Т. 3. გვ. 307.

თავი 13. გერმანული ისტორიული სკოლა

[1]Контдратьев К. Д. Указ. Соч. გვ.297.
[2]Рошер В. Начала народного хозяйства. Т.I. М., 1860. გვ. 51.
[3]იქვე, გვ.53.
[4]Контдратьев К. Д. Указ. Соч. გვ.162-162.
[5]იქვე, გვ. 297.
[6]იქვე, გვ. 97.
[7]იქვე.
[8]იქვე.

[1]Блауг М. Указ. соч. გვ. 276.
[2]Роббинс Л. Указ. соч. გვ.17-18.
[3]Мизес Л. Фон. Указ. соч. გვ. 207.
[4]Фридмен М. Указ. соч. გვ. 24.
[5]Блауг М. Указ. соч. გვ. 277.
[6]იქვე, გვ. 588.
[7] Долан Э. Д., Кэмпбелл К. Д., Кэмпбелл Р. Д. Деньги, банковское дело и кредитно-денежная политика. Л., 1991, გვ. 26-33; Макконелл К. Р., Брю С. Л. Экономикс. М.: Республика, 1992. Т. I. გვ. 264-265; Харрис Л. Денежная теория. М.: Прогресс, 1990. გვ. 26-33;
[8]Макконелл К. Р., Брю С. Л. Указ. соч. გვ. 264;
[9]Блауг М. Указ. соч. გვ. 284.
[10] Самуэльсон П.Принцип максимизации в экономическом анализе//THESIS. 1993. Т. I. Вып. 1. გვ. 185.
[11] ი. ჰ. ფონ ტიუნენის „იზოლირებული სახელმწიფო“ - ეს თავისებური, სამეცნიერო მიზნებისთვის ბევრად გამარტივებული „იდეალური სახელმწიფოს“ მოდელია. ამ მიზნით, ავტორი უშვებს რიგ გამარტივებებს, რომელთა რიცხვშია: ერთნაირად ნაყოფიერი ნიადაგი, გზების ან სანაოსნო მდინარეების არქონა, როგორც მოსახლეობის გადაყვანის და ტვირთების ტრანსპორტით გადაზიდვის მეთოდის პირობა. სამრეწველო პროდუქციას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სანაცვლოდ, ანარმოებს ერთადერთი ქალაქი ცენტრში „სახელმწიფო“, დახურული გარე სამყაროსგან აუცილებელი ტევრებით. აღნიშნული პირობებისთვის ფასნარმოქმნის და შემოსავლის განაწილების ნამოყენებული პრინციპები იმის საშუალებას იძლევა, რომ ი. ჰ. ფონ ტიუნენი ვაღიაროთ „სივრცის გამოყენების ეკონომიკური თეორიის მამად“.
[12] Блауг М. Указ. соч. გვ.: 306, 329, 540.
[13] Шумпетер Й. Указ. соч. გვ. 135.
[14] Блауг М. Указ. соч. გვ.: 282, 286-287.
[15] იქვე, გვ. 278.
[16] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ. 22-23.
[17] Алле М. Указ. соч. გვ. 13-14.

[18] Блауг М. Указ. соч. გვ. 277.

[19] Фридмен М. Указ. соч. გვ. 27.

თავი 15. ეკონომიკური აზრის სუბიექტური მიმართულების წარმოშობა, როგორც „მარჟინალური რევოლუციის" პირველი ეტაპი

[1]ეს კ. მენგერის წიგნის სათაურის თარგმანის გავრცელებული ვარიანტია, თუმცა, სიტყვასიტყვით თარგმანი შემდეგნაირი უნდა იყოს: „სახალხო მეურნეობის შესახებ სწავლების საფუძვლები".

[2]კ. მენგერის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები" პირველად რუსულ ენაზე გამოიცა 1903 წ. ქ. ოდესაში. მეორე რუსული გამოცემა განხორციელდა „პოლიტიკური ეკონომიის ავსტრიული სკოლა: კ. მენგერი, ე. ბემ-ბავერკი, ფ. ვიზერი" კრებულის შემადგენლობაში.

[3]Менгер К. Указ. соч. გვ.111.

[4]იქვე, გვ.42-43.

[5]იქვე, გვ.53.

[6]იქვე, გვ.45-46.

[7]იქვე, გვ.67-68.

[8]იქვე, გვ. 83.

[9]იქვე, გვ. 85.

[10] იქვე, გვ. 97.

[11] იქვე, გვ. 101.

[12] იქვე, გვ. 125.

[13] იქვე.

[14] იქვე, გვ. 126.

[15] იქვე, გვ. 128.

[16] იქვე, გვ. 139-140.

[17] იქვე, გვ. 145.

[18] იქვე, გვ.147.

[19] იქვე.

[20] იქვე, გვ. 157.

[21] იქვე, გვ. 161.

[22] იქვე, გვ.

[23] იქვე, გვ. 162.

[24] იქვე, გვ. 163.
[25] Блауг М. Указ. соч. გვ. 285-286.
[26] ო. ბემ-ბავერკის წიგნის „სამეურნეო დოვლათის ფასეულობის თეორიის საფუძვლები" რუსული თარგმანი პირველად გამოიცა 1929 წ.(Л.: Прибой), 1992 წ. შეტანილ იქნა კრებულში „ავსტრიული სკოლა..." (М.: Экономика); შემდგომში ამ გამოცემის გვერდები იქნება მითითებული.
[27] Бём-Баверк О. Указ. соч. გვ. 279.
[28] იქვე.
[29] იქვე, გვ. 280.
[30] იქვე, გვ. 286.
[31] იქვე, გვ. 341.
[32] იქვე, გვ.: 417, 422, 426.
[33] იქვე, გვ. 328.
[34] Визер Ф. Теория общественного хозяйства/Австрийская школа политической экономии... გვ. 435-436.
[35] იქვე, გვ. 462.
[36] იქვე, გვ. 481.
[37] იქვე, გვ. 487.
[38] იქვე.
[39] იქვე, გვ.: 458, 459.
[40] Блауг М. Указ. соч. გვ. 276.
[41] Бентам И. Введение в основания нравственности и законодательства/Бентам И. Избр. соч. Т. I. СПб., 1867. გვ. 1.
[42] Блауг М. Указ. соч. გვ. 583-584.
[43] Фридмен М. Указ. соч. გვ. 37.
[44] Хикс Дж. Стоимость и капитал. М.: Прогресс, 1988. გვ. 155-156.
[45] Блауг М. Указ. соч. გვ. 505.
[46] Шумпетер Й. Указ. соч. გვ. 52.
[47] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ. 21-22.

თავი 16. ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების ჩამოყალიბება, როგორც „მარჟინალური რევოლუციის“ მეორე ეტაპი

[1]ამ წიგნის თარგმანები რუსულად 1982 და 1993 წწ. (გამომცემლობა „პროგრესი“) გამოვიდა სათაურის არაზუსტი ვარიანტებით - შესაბამისად „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“ და „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები“.

[2] Маршалл А. Указ. соч. Т. I. გვ. 56.

[3]Самуэльсон П. Принцип максимизации в экономическом анализе //THESIS. Зима 1993. Т. I. Вып. 1. გვ.: 184, 185.

[4]Маршалл А. Указ. соч. Т. I. გვ. 48.

[5]იქვე, Т. III. გვ. 231.

[6]იქვე, გვ.132-133.

[7]იქვე, Т. II. გვ. 31-32.

[8]Блаут М. Указ. соч. გვ. 289.

[9]Маршалл А. Указ. соч. Т. I. გვ. 157.

[10] იქვე, Т. I. გვ. 191.

[11] Шумпетер Й. Указ. соч. გვ. 135.

[12] Маршалл А. Указ. соч. ტ. II. გვ. 33.

[13] იქვე, Т. I. გვ.: 401, 404-405.

[14] იქვე, Т. I. გვ.311.

[15] იქვე. Т. I. გვ. 314. იქვე, Т. I. გვ. 314.

[16] ჯ. ბ. კლარკის წიგნი „სიმდიდრის განაწილება“ რუსული თარგმანით გამოიცა 1934 წ. (М.-Л.: ОГИЗ) და 1992 წ. (М.: Экономика).

[17] Кларк Дж.Б. Распределение богатства. М.: Экономика, 1992. გვ.: 17, 19, 24-26, 28, 31, 34.

[18] იქვე, გვ. 53.

[19] იქვე, გვ. 48.

[20] იქვე, გვ. 51.

[21] იქვე, გვ.: 46, 75.

[22] იქვე, გვ.: 72, 76.

[23] იქვე, გვ.: 84, 88, 90.

[24] Контдратьев К. Д. Указ. соч. გვ. 91.

[25] Шумпетер Й. Указ. соч. გვ.141.

[26] Кларк Дж.Б. Указ. соч. გვ. 68.

[27] იქვე, გვ. 315-316.
[28] იქვე, გვ. 213.
[29] იქვე, გვ.:115, 117.
[30] იქვე, გვ.118.
[31] იქვე, გვ. 324.
[32] იქვე, გვ.: 305, 312.
[33] იქვე, გვ. 24.
[34] Блауг М. Указ. соч. გვ. 397.
[35] Селигмен Б. Указ. соч. გვ. 497.
[36] ვ. პარეტოს პირველი მეუღლე (1889-1901 წწ.) ალექსანდრა ბაკუნინა იყო რუსეთიდან, რომელმაც თორმეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მიატოვა იგი და დაბრუნდა სამშობლოში. ბაკუნინასთან განქორწინების შემდეგ, მან ცხოვრების მეგზურად 1902 წ. აირჩია ჟანი რეჟე, რომელზეც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ოფიციალურად იქორწინა(ის 31 წლით ახალგაზრდა იყო მასზე) და მიუძღვნა მას თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი-„ტრაქტატი ზოგადი სოციოლოგიის შესახებ".
[37] Арон Р. Указ. соч. გვ. 455.
[38] ციტ. Алле М. Указ. соч. გვ.: 16, 19.
[39] ციტ. Арон Р. Указ. соч. გვ. 448.
[40] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ.: 77, 51.
[41] Блауг М. Указ. соч. გვ. 326.
[42] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ. 98.
[43] Блауг М. Указ. соч. გვ. 543.
[44] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ. 48.

თავი 17. ეკონომიკური აზრის სოციალურ-ინსტიტუციონალური მიმართულების წარმოშობა

[1] THESIS. Зима 1993. Т. I. Вып. 1. გვ. 41.
[2] Блауг М. Указ. соч. გვ.: 330, 659.
[3] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ.71.
[4] იხ.: Блауг М. Указ. соч. გვ. 657.
[5] თ. ვებლენის მრავალრიცხოვანი ყველაზე მნიშვნელოვანი შრომებიდან 1984 წ. რუსეთში გამომცემლობა „პროგრესმა"

გამოსცა მისი მხოლოდ მითითებული (ყველაზე ადრინდელი) ნიგნი.

[6]Хайек Ф. А. фон. Указ. соч. გვ. 147.

[7]ის ასწავლიდა ჩიკაგოს (1891-1906), სტენფორდის (1906-1909) უნივერსიტეტებში, 1910-1917 წწ. მისურის შტატის უნივერსიტეტში (ქ.კოლუმბია). 1919 წლიდან კითხულობდა ლექციებს „სოციალურ კვლევათა ახალ სკოლაში".

[8]Веблен Т. Указ. соч. გვ. 202.

[9] Блауг М. Указ. соч. გვ. 657.

[10] თ. ვებლენი წერს: „ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში ისეთივეა, როგორც ნებისმიერი სხვა სახეობის - ეს არსებობისთვის ბრძოლაა, შესაბამისად, ეს შერჩევის და შეგუების პროცესია. საზოგადოებრივი წყობილების ევოლუცია სოციალური ინსტიტუტების ბუნებრივი შერჩევის პროცესი აღმოჩნდა" (Веблен Т. Указ. соч. გვ. 200.)

[11] Веблен Т. Указ. соч. გვ. 216.

[12] იქვე.

[13] იმაზე, თუ რა გაგებით არის ეს დებულება უსაფუძვლო, პ. სამუელსონი წერს ასე: ჩემმა პედაგოგმა იოზეფ შუმპეტერმა როგორღაც შენიშნა, რომ ადამიანის შესაძლებლობა იმოქმედოს, როგორც ლოგიკურმა ცხოველმა, რომელიც სისტემატურად იყენებს ემპირიულ-ინდუქციურ მეთოდს, თავისთავად წარმოადგენს არსებობისთვის ბრძოლის პირდაპირ შედეგს (Самуэльсон П. Принцип максимизации в экономическом анализе. გვ. 184).

[14] Блауг М. Указ. соч. გვ. 658.

[15] ჯ. რ. კომონსი 1904 წლიდან ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

[16] უ. კ. მიჩელი სწავლობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში. იყო კალიფორნიის (1909-1912) და კოლუმბიის (1914-1919, 1922-1924) უნივერსიტეტების პროფესორი. 1929-1945 წწ. ხელმძღვანელობდა ეკონომიკურ კვლევათა ეროვნულ ბიუროს.

[17] Блауг М. Указ. цоч. გვ. 658.

[18] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ. 81.

[19] Блауг М. Указ. соч. გვ. 628-629.

[20] Леонтьев В.В. Указ. соч. გვ. 25.

[1]ამაზე, კერძოდ, ამახვილებს ყურადღებას მ. ფრიდმენი. მისი აზრით, „ჩემბერლინის და რობინსონის მიერ განვითარებული არასრულყოფილი ან მონოპოლისტური კონკურენციის თეორია, წარმოადგენს მცდელობას ააშენოს....უფრო ზოგადი თეორია.... სამწუხაროდ, - აგრძელებს იგი, - ის არ ფლობს არც ერთ ნიშანს, რომელიც სინამდვილეში მას სასარგებლო ზოგად თეორიად გადააქცევდა. მისი წვლილი მნიშვნელოვანნილად შეზღუდული იყო ინდივიდუალური ფირმის ეკონომიკური თეორიის დებულების გაუმჯობესებით და, შესაბამისად, მარშალიანური მოდელის შედეგის დასკვნით, მონოპოლიის მარშალისეულის ანალიზის სრულყოფით და ლექსიკონის გამდიდრებით, რომელიც გამოსადეგია სამრეწველო პრაქტიკის აღსანერად(Фридмен М. Указ. соч. გვ. 47).

[2]ე. ჩემბერლენის ზემოაღნიშნული მთავარი ნაშრომის სრული სახელწოდება შედგება ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არა ერთი, არამედ ორიოდე ფრაზისგან, კერძოდ: „მონოპოლისტური კონკურენციის თეორია". მოცემული ნაშრომის სახელწოდების მეორე ნაწილის პრობლემათა შემდგომი დამუშავების შედეგად ჰარვარდის პროფესორმა 1957 წ. კიდევ ერთი ნიგნი გამოსცა „ღირებულების უფრო ზოგადი თეორიის გზებზე", რომელიც ავტორის 16 სტატიის და ნარკვევის კრებულის სახით გამოიცა. სახასიათოა, რომ რჩება რა საკუთარი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრინციპების ერთგული, კრებულის შესავალ სტატიაში ე. ჩემბერლენი ამტკიცებს, რომ: „წმინდა კონკურენცია, მონოპოლისტური კონკურენცია, წმინდა მონოპოლია-ასეთია კლასიფიკაცია, რომელიც მე საქმიდან გამომდინარე ამომწურავად მიმაჩნია"(Чемберлин Э. Теория Монополистической конкуренции. М., 1959. გვ. 393).

[3]Чемберлин Э. Указ. соч. გვ. 114.

[4]იქვე, გვ. 41.

[5]იქვე, გვ. 64.

[6]იქვე, გვ. 103.

[7]ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, როგორც ჯ. ფრიდმანი აღნიშნავს, „იქამდე, სანამ დასტურდება, რომ პროდუქტის დიფერენცირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს - ეს კი მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის ძი-

რითადი განმასხვავებელი თეზისია - არ შეიძლება გამოიყენებოდეს დარგის განსაზღვრება, როგორც ფირმათა ჯგუფის, რომლებიც იდენტურ პროდუქტს უშვებენ" (Фридмен М. Указ. соч. გვ.47). ამასთან ცნობილია, რომ ეკონომიკურ თეორიაში სრულყოფილი კონკურენციის ადგილის მეთოდოლოგიური წინაპირობის თაობაზე მ. ფრიდმანის და ჩიკაგოს უნივერსიტეტის სხვა ოპონენტების კრიტიკულ შემოტევებზე ე. ჩემბერლინის საპასუხო რეაქციასთან დაკავშირებით, ეკონომიკური ლიტერატურის ლექსიკონი კიდევ ერთი ფრთოსანი ტერმინით გაფართოვდა - ჩიკაგოს სკოლა.

[8] Чемберлин Э. Указ. соч. გვ.103.

[9] იქვე, გვ.182, 196, 200.

[10] იქვე, გვ. 202-203.

[11] იქვე, გვ.103-104.

[12] იქვე, გვ.105.

[13] იქვე, გვ. 105, 120.

[14] იქვე, გვ. 123.

[15] მაგალითისთვის გამოიყენება ავტოფარეხის საქმიანობა, რომელშიც ღამის სადგომზე საკუთარი მომსახურებისთვის ფასების ბუნდოვან (ფარულ) შემცირებას მიმართავენ, როდესაც, მომსახუ-რების კულტურის გაუარესების გარეშე, თითოეულ კლიენტს დამატებით სთავაზობენ მანქანის შევსებას ერთი გალონი ბენზინით. შედეგად, ამ გამყიდველის ბრუნვა, რომელმაც საკუთარ მომსახურებაზე ფასების დაფარვა გადაწყვიტა, გარკვეულწილად მცირდება, მაგრამ იმის ალბა-თობაც მცირდება, რომ სხვა გამყიდველებიც მსგავს ქმედებებს მიმართავენ. შესაბამისად, „ფარული ფაქტორები ხელს უწყობს ფასების შენარჩუნებას ხელოვნურად მაღალ დონეზე" იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფასები დადგენილია გარკვეული ჩვეულების ან ტრადიციის შესაბამისად (Чемберлин Э. Указ. соч. გვ. 167-168).

[16] მაგალითის სახით განიხილება „გამოცდილი ექიმი", რომლის მომსახურება „რიგით ექიმთან" შედარებით, როგორც ჩანს, სინამდვილეში არ არის „ურთიერთშემცვლელი და არ იყიდება ერთი და იგივე ფასად (როგორც ეს ხდება საუკეთესო და უარესი მიწების პროდუქტებთან მიმართებაში, რომელზეც მოყავთ ხორბალი" (Чемберлин Э. Указ. соч. გვ.: 169, 172, 172).

[17] Чемберлин Э. Указ. соч. გვ.178.

[18] იქვე, გვ.181.

[19] კერძოდ, საქონლის ხარისხის თაობაზე მისი ფასის მიხედვით მსჯელობის ჩვევა ყოველთვის შეიტანს კორექტივებს მომხმარებელთა გემოვნებებში, თუ მოხდება მისი ცვლილება. ეს ყველაფერი, უეჭველად, ნათლად ეწინააღმდეგება სრულყოფილი კონკურენციის მოდელის პოსტულატებს და მის პირობებში ფასწარმოქმნის კონცეფციებს, რადგან ე. ჩემბერლინის დასკვნები მათი საპირისპიროა. მაგალითად, სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის თეორია არანაირად „არ აკავშირებს" ფასების დონის ფორმირებას და მოგების მაქსიმიზაციის პრობლემის გადაჭრას რეკლამის სტიმულირებასთან, რადგან არაერთგვაროვანი პროდუქტის რეალიზაცია, უშუალოდ ამ ფაქტორზე არ არის დამოკიდებული და არ მოითხოვს შესაბამის დამატებით ხარჯებს. ამასთან დაკავშირებით ბლაუგი წერს: აზრის ისტორიის ერთ-ერთ პარადოქსს წარმოადგენს ის, რომ შემთხვევა, რომელსაც ჩაეჭიდა ჩემბერლინი - ფირმათა დიდი რაოდენობა დარგში თავისუფალი შესვლით და პროდუქციის დიფერენცირებით, მაგრამ გაუცნობიერებელი ურთიერთდამოკიდებულებით - დღეს განიხილება, როგორც სრულყოფილი კონკურენციის მოდელის ტრივიალური მოდიფიკაცია. მონოპოლისტური კონკურენციის თეორიით გამოწვეული რევოლუცია ფასების თეორიაში მდგომარეობდა იმაში, რომ გაიზარდა საბაზრო სტრუქტურების რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურმა თეორიამ უნდა გაანალიზოს ბაზრის დამაკმაყოფილებელი ფუნქციონირების საჩვენებლად - არა მართივად ავტომატური შედეგი კონკურენციის ტიპიდან. მონოპოლისტური კონკურენციის და ოლიგოპოლიის სამყაროში კეთილდღეობის შესახებ მსჯელობა და პოლიტიკური რეკომენდაციები არ შეიძლება დაეფუძნოს კონკრეტული საბაზრო სტრუქტურის გადახრის ხარისხზე სრულყოფილი კონკურენციის ნორმებიდან. ფასების თეორია მას შემდეგ უფრო რთული და ნაკლებად დამაკმაყოფილებელი გახდა. ჩვენ ვერასდროს დავუბრუნდებით მარშალის ფასების თეორიის თამამ განზოგადებას. სწორედ ამ მიზეზის გამო, ჩვენ გვაქვს უფლება ვისაუბროთ თანამედროვე მიკროეკონომიკურ თეორიაში ჩემბერლენისეულ თეორიაზე ისევე, როგორც ვსაუბრობთ კეინზიანურ რევოლუციაზე მაკროეკონომიკაში (Блауг М. Указ. соч. გვ. 368).

[20] Чемберлин Э. Указ. соч. გვ.:187, 190.

[21] იქვე, გვ. 38-41.

[22] უკანასკნელი, როგორც ცნობილია, განპირობებულია იმავე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რომელიც საშუალებას იძლევა გართულებული ტექნიკის, ტექნოლოგიების უფრო

ხშირი შეცვლის მიზნით და ნედლეულის, მასალების და მზა პროდუქციის ნომენკლატურის დიდი მრავალ-ფეროვნების გამო, განახორციელოს წარმოების და ფინანსური კაპიტალის დეკონცენტრაცია და დივერსიფიკაცია.

[23] Чемберлин Э. Указ. соч. გვ.: 281, 282, 284, 285.

[24] იქვე, გვ. 292.

[25] იქვე, გვ. 293.

[26] Робинсон Дж. Экономическая теория несовершенной конкуренции. М.: Прогресс, 1986. გვ. 243.

[27] იქვე, გვ. 244.

[28] იქვე, გვ. 300.

[29] იქვე, გვ. 408.

[30] იქვე, გვ. 421.

[31] იქვე, გვ. 422.

[32] Блауг М. Указ. соч. გვ. 544.

[33] ე. ჩემბერლინის მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის და ჯ. რობინსონის არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკური თეორიის განხილვის დასრულების შემდეგ, რეზონულია დავსვათ კითხვა იმის შესახებ, რომ მათ თეორიებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მკაფიოდ განსაზღვრული კონცეფციის არარსებობა ნიშნავს თუ არა ამის აუცილებლობის არაღიარებას. დადებითი პასუხი ნიშნავდა, რომ ორთავე მკვლევარმა არ გადაუხვია ეკონომიკური ლიბერა-ლიზმის ორთოდოქსულ სმითისეულ პოსტულატებს, რომლის თანახმად თითქოს ეკონომიკა მოქმედებს, როგორც თვითგანწყობადი მექანიზმი, რომელიც არ საჭიროებს გარედან, ანუ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას. ამასთან, ყველა ამ დამუშავებების გამოჩენა 1933 წ. , ანუ 1929-1933 წწ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, შემთხვევითი არ არის და პირველ რიგში იმიტომ, რომ ე. ჩემბერლენმა და ჯ. რობინსონმა შეძლეს მათში მთავარის ჩვენება: ფლობს რა უდიდეს სიცოცხლისეულ ძალას, კონკურენცია იქნება ეს მონოპოლისტური თუ არასრულყოფილი - უეჭველად საჭიროებს ისეთი მექანიზმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა მის შენარჩუნებას. ის, რომ ამ მექანიზმის ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური საფუძვლების შესახებ იდეის თეორიული ფუძემდებელი ჯ. მ. კეინზი გახდა, როგორც ჩანს ჰარვარდის და კემბრიჯის ზემოთაღნიშნული პროფესორების ქმნილებათა წვლილის გაცნობიერების ლოგიკური საფუძველია ეკონომიკურ მეცნიერებაში.

[1]როგორც ფრანგი ისტორიკოს-ეკონომისტი პიერ შონუ წერს, უკანასკნელ დაცულ, განსაკუთრებით განსახელმნიფოებრივ ეკონომიკაში ეკონომიკური სივრცის ჩაკეტილობისას ზრდა ხორცი-ელდებოდა იმ პირობებში, როდესაც მრეწველობა პრაქტიკულად არ არსებობდა, ხოლო საექსპორტო სოფლის მეურნეობა ისეთივე კრიზისში იყო, როგორც ფოლადის წარმოება აშშ-ში. მისი აზრით, მოიცვა რა „ერთდროულად ყველა სფერო" სინამდვილეში 30-იან წწ. მსოფლიო კრიზისი წარმოიქმნა ერთმანეთისთვის განსხვავებული მიზეზების დაბრალებით, რომელმაც გამოიწვია რეზონანსი. პ.შონიუს დასკვნა ასეთია: 1929-1933წწ. დასრულდა ეკონომიკის ფარული განვითარების პერიოდი. ეს იყო მთელი რიგი ძველის დასასრულის და ახალი ტექნოლოგიური ჰორიზონტების აღმოჩენის პერიოდი, ახალი ცივილიზაციური სისტემის გამონათების. სხვა სიტყვებით, 1930 წელმა ზღვარი დააწესა ისეთი ტიპის ზრდაზე, რომელიც დამახასიათებელი იყო მე-19 ს., და ტყუილად ცდილობდა შეეხამებინა სივრცის და მატერიის გამოყენების ძველი, ტრადიციული მეთოდები ინოვაციურ მექამიზმებთან (Шоню П. Экономическая история: эволюция и перспективы//THESIS. Зима 1993. T.I. Вып.I. გვ.:140, 141).

[2]შედეგად ეკონომიკურ მეცნიერებაში, ბლაუგის სიტყვებით, 30-იან წწ. ქანქარა გადაიხარა საპირისპირო მიმართულებით: ერთობლივი ეფექტური მოთხოვნის პრობლემით შეშფოთებამ მრავალი ეკონომისტი აიძულა დათანხმებოდნენ კეინზს იმაში, რომ „რიკარდოსეული მოდელის სრული დომინირება 100 წლის განმავლობაში კატასტროფის ტოლფასი იყო ეკონომიკური მეცნიერების პროგრესისთვის" (Блауг М. Указ. соч. გვ. 124).

[3]Контдратьев Н. Д. Указ. соч. გვ. 298.

[4]ამ ქმნილებამ ფართო პოპულარობა და აღიარება მოუტანა მას, რადგან უკვე 30-იან წწ. ეკონომიკის რეალიზაციის პროგრამების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი გახდა სამთავრობო დონეზე აშშ-სა და ევროპის რიგ ქვეყნებში. ნიგნის ავტორს კი ერგო პატივი ყოფილიყო მრჩეველი დიდი ბრიტანეთის მთავრობის შემადგენლობაში ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მრავალი პრაქტიკული რეკომენდაციის შესამუშავებლად, რამაც მის სამეცნიერო ნარმატებას მნიშვნელოვანი ქონება და მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობაც შემა-

ტა. დიდი ბრიტანეთის მთელი საპარლამენტო ისტორიის მანძილზე ჯ. მ. კეინზი გახდა პირველი მეცნიერ-ეკონომისტი, ვისაც ინგლისის დედოფალმა ლორდის ტიტული მიანიჭა, რამაც მას უფლება მისცა მონანილეობა მიეღო პერის სახით პარლამენტის ზედა პალატის სხდომებში ლონდონში.

[5]ამ წიგნში ჯ.მ. კეინზი აშკარად გამოხატავს უკმაყოფილებას გამარჯვებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკით, რომლებმაც ვერსალის ხელშეკრულების თანახმად წამოაყენეს არარეალური, როგორც ის თვლიდა, რეპარაციული მოთხოვნები გერმანიის მიმართ, ასევე მათ სურდათ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ბლოკადის მიღწევა, არ ესმოდათ, მისი სიტყვებით, რომ ამით „ისინი არა იმდენად რუსეთის ბლოკირებას ახდენდნენ, არამედ საკუთარი თავის". ცნობილია, რომ მოახდინა რა რეაგირება ამ წიგნზე, ვ.ი. ლენინმა დაწერა: „კეინზი გადადგა, მან მთავრობას სახეში საკუთარი წიგნი ესროლა და თქვა: თქვენ სიგიჟეს სჩადიხართ"(Ленин В.И. Полн. собр. соч. Т. 41. გვ. 219.).

[6]1925 წ. სექტემბერში ჯ.მ კეინზი ჩადის მოსკოვში მოხსენებებით გამოსასვლელად, მათ შორის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქმიან კლუბში. ერთ-ერთი მისი ანგარიშის საოქმო ჩანაწერში საინტერესო ფრაგმენტია, კერძოდ: პროფ. კეინზმა აღნიშნა, რომ ის არ წარმოადგენს კაპიტალისტური სისტემის დამცველს მისი თანამედროვე ფორმით და თვლის, რომ შესაძლებელია რიგი ღონისძიებები მის გასაუმჯობესებლად; არსებული წყობა უნდა გარდაიქმნას უფრო მისაღები საწყისებით.

[7]თუ კეინზის ბიოგრაფიას დაუბრუნდებით, სრული დარწმუნებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მას ეხლა საკუთარი მისამართითაც შეეძლო გამოეყენებინა „ზოგადი თეორიის" ბოლოში მის მიერ დაწერილი სიტყვები იმის თაობაზე, რომ „ეკონომისტების და პოლიტიკური მოაზროვნეების იდეებს - როცა ისინი მართლები არიან ან როცა ცდებიან, გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ითვლება. სინამდვილეში ისინი მართავენ სამყაროს". (Кейнс Дж.М. Общая теория занятости, процента и денег/Антология экономической классики. Т.2. გვ. 432).

[8]ამასთან, როგორც სამუელსონი ამტკიცებს, „ზოგადი თეორია... საშინლად დაწერილი წიგნია, ცუდად ორგანიზებულია, ილუზიებით აღსავსეა... მაგრამ როცა მას ბოლოს და ბოლოს დაძლევ, აღმოჩნდება, რომ ანალიზი მასში ნაცნობი და ამავ-

დროულად ახალია. მოკლედ რომ ვთქვათ, დაასკვნის ის - ეს გენიოსის ნამუშევარია" (Блаут М. Указ. соч. გვ. 608).

[9]Гэлбрейт Дж.К. Указ. соч. გვ.40.

[10] იქვე.გვ. 43.

[11] მ. ბლაუგი წერს: თუ კეინზის თეორიაში არის კიდეც ნამდვილად რაიმე ახალი, ეს ამ რწმენის მოფიქრებული კრიტიკაა საბაზრო მექანიზმის შიდა აღდგენით ძალებში. კეინზის წაკითხვის შემდეგ, შესაძლებელია უარყოთ მისი არგუმენტაციის თითოეული ელემენტი, შესაძლებელია ეჭვის ქვეშ დააყენოთ მთელი კეინზური სქემის ლოგიკური მდგომარეობა, მაგრამ შეუძლებელია შეინარჩუნოთ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შესაძლებლობებში რწმენა ავტომატურად შეინარჩუნოს სრული დასაქმება. ნებისმიერ შემთხვევაში კეინზურმა რევოლუციამ აღნიშნა „laisser faire" დოქტრინის ნამდვილი დასასრული. აქედან, ბლაუგის მიხედვით, გამომდინარეობს კეინზური თეორიის მთავარი გაკვეთილი, რომლის თანახმად, „ხელფასის მოუქნელობა - ეს არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ფენომენია". ამასთან ის დარწმუნებულია, რომ „ზოგადი თეორია" - უბრალოდ დაუვარცხნელი წიგნია, რიკარდოს „დასაწყისის" ან მარქსის „კაპიტალის" მსგავსად, ან ბემ-ბავერკის „პოზიტიური თეორიის", რომელიც მოიცავს თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირების არა ერთ და ორ, არამედ სამ ან ოთხ „მოდელს"(Блаут М. Указ. соч. გვ.: 607, 619, 622). ამასთან, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება მის შემდეგ შენიშვნაზე: რევოლუცია მოხდა არა უბრალოდ ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში....არამედ თეორიაში, ეს არ ნიშნავს, რომ ამ თეორიის ყველა კონკრეტული ელემენტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღიარებული. პირიქით, „ზოგადი თეორიის" პირველი გამოცემა ჯერ კიდევ არ იყო გაყიდული, როცა კეინზის სწავლების ცალკეული დეტალების კრიტიკა დაიწყო, რაც მას შემდეგ არც შემწყდარა. მალე კეინზს ზუსტად იგივე დაემართა რაც რიკარდოს, მარქსს, ვალრასს და მარშალს: მის ინტერპრეტაციას, სტანდარტიზაციას, შეკვეცას ახდენდნენ, დაყავდათ გრაფიკებამდე და ალტერნატიულ მათემატიკურ მოდელებამდე „კეინზი I", „კეინზი II", და ა.შ., ასე რომ ამ პროცესში ის გახდა ავტორი, რომლის ციტირებას ყველა ახდენს, მაგრამ არავინ კითხულობს" (Блаут М. Указ. соч. გვ. 607-608).

[12] უკანასკნელზე ბ. სელიგმენი ასე წერდა: „კეინზი იმ აზრამდე მივიდა, რომ წონასწორობის მიღწევაში პირველადს წარმოადგენს ეფექტური მოთხოვნა" (Селигмен Б. Указ. соч. გვ. 495).

[13] რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, იზიარებდა რა ჯ. მ. კეინზის იდეებს „ადამიანების მიდრე-კილებაზე დანაზოგებისადმი", ჯ. კ. გელბრეითი წერდა, რომ „ეს შემოსავლები უნდა იყოს ინვესტირებული და ასეთნაირად, დახარჯული (ან კომპენსირებული ვინმეს დანახარჯების მიერ). წინააღმდეგ შემთხვევაში, ყიდვითუნარიანობა მცირდება. საქონელი რჩება თაროებზე, დაკვე-თების მოცულობა მცირდება, წარმოების მოცულობა ეცემა, უმუშევრობა იზრდება. შედეგად მოხდება დაცემა"(Гэлбрейт Дж.К. Указ.соч. გვ. 230). ჯ. მ. კეინზის მოძღვრების ერთ-ერთ ამასწინანდელ შეფასებაში, რომელიც ს. ვ. ბრაგინსკიმ და ა. ა. პევზნერმა გააკეთეს, ნათქვამია, რომ „კეინზამდე ეკონომისტები" არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას.... იმას, რომ დანაზოგს ახორციელებენ მომხმარებლები, ხოლო ინვესტიციებს მწარმოებლები, და თითოეული მათგანის გადაწყვეტილება ყოველთვის არ არის შეთანხმებული (Брагинский С.В.., Певзнер Я.А. Политическая экономия: дискуссионные проблемы, пути обновления. М., Мысль, 1991. გვ. 158). ამიტომ ლოგიკურია მ. კ. ბუნკინას დასკვნა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს, ეფექტიანი მოთხოვნა და პირველ რიგში ინვესტიციები, სახელმწიფო რეგულირების ობიექტი უნდა გახდეს (Букина М.К. Экономика. М., 1992. გვ.40).

[14] მაგრამ „შემდეგი პერიოდის ეკონომისტები,- წერს ნოსოვა, - აბათილებენ კეინზის დებულებას, ამტკიცებენ რა, რომ მოხმარებისკენ ზღვრული მიდრეკილება და მულტიპლიკატორი ატარებენ არასტაბილურ და არათანაბარ ხასიათს" (Носова С.С. Пути выхода из экономического кризиса: модели мультипликатора-акселератора. М., 1993. გვ.22).

[15] ამ მეთოდოლოგიური თავისებურების გამო, ვ.ლეონტიევი წერს შემდეგს: თუ გადავხედავთ კეინზურ რევოლუციას მისი იდეის პარადოქსალური პროპაგანდული იდეით დახარჯო იმისთვის, რომ იყოს რაიმე დასახარჯი და მისგან გამომდინარე შრომის მწარმოებლურობის სწრაფი ზრდის შიშით, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს უფრო მეტად იყო გაჭიანურებული გადახრაა წესებიდან, ვიდრე დასავლეთის ეკონომიკის საერთო ორიენტაციის ძირფესვიანი ცვლილება" (Леонтьев В. В. Указ. соч. გვ. 221).

[16] Кейнс Дж.М. Антология экономической классики. Т. II. გვ.149.

[17] იქვე,გვ.150.

[18] იქვე,გვ.155.

[19] იქვე.

[20] იქვე.გვ.239.

[21] იქვე,გვ.229.

[22] Ховард К., Журавлева Г. Принципы экономики свободной рыночной системы (экономикс). М., 1995. გვ.276.

[23] Кейнс Дж.М. Антология экономической классики. Т. II. გვ.226-227.

[24] იქვე,გვ.231.

[25] იქვე,გვ.233.

[26] იქვე,გვ.236.

[27] აი როგორ ახდენს ამის ილუსტრირებას, კერძოდ, ს.ნოსოვა: „სახელმწიფო რეგულირების შედეგად (პირდაპირი-ინვესტიციების, ან ირიბი-ფისკალური პოლიტიკის გზით) იზრდება სამომხმარებლო მოთხოვნა, რომელიც ახდენს მულტიპლიცირებას (ამრავლებს) ახალი მოთხოვნის საქონელსა და მომსახურებაზე, რაც საბოლოო ჯამში ინვევს ეროვნული შემოსავლის ზრდას. თავის მხრივ, ეროვნული შემოსავლის მატება ინვევს სტიმულირებული ინვესტიციების ზრდას, რაც გამოაცოცხლებს სამეწარმეო საქმიანობას და ხელს უწყობს წარმოების აქსელერატორულ ზრდას. მისი აზრით, 1929-1933 წწ. ეკონომისტებმა „ეკონომიკის უძრავი მდგომარეობიდან გამოსაყვანად ყურადღების კონცენტრირება მოახდინეს სახელმწიფო მოთხოვნიდან ეფექტის პრობლემაზე. ამასთან დაკავშირებით, - ამტკიცებს ის, - ნარმოიქმნა მულტიპლიკატორის მოდელი“ (Носова С.С. Указ. соч. გვ.^ 6,15). ამასთან, აქ არ არის ზედმეტი მოვიყვანოთ ბლაუგის გამონათქვამი მულტიპლიკატორის ეფექტის მნიშვნელობის შესახებ. ის, კერძოდ, წერს: კეინზი გვასწავლიდა, რომ კაპიტალისტებს შეუძლიათ საკუთარი თავის რთული მდგომარეობიდან გამოყვანა საკუთარ ფეხსაცმელზე თასმების მეშვეობით, კერძოდ, კი მულტიპლიკატორის მეშვეობით. გადამწყვეტ მომენტი ამ შემთხვევაში ინვესტირების სტიმულირებაა (Блауг М. Указ. соч. გვ. 235).

[28] უეჭველად მოცემული თეორიული დებულების გათვალისწინებით, დ. პატინკინი აცხადებს: „მთავარი დასკვნა კეინზური თეორიიდან იმაში მდგომარეობს, რომ საბაზრო მოწყობილობის ავტომატური მექანიზმი... საკმაოდ არასაიმედოა, რაც სრული დასაქმების პოლიტიკის პრაქტი-კულ საფუძველს ემსახურება (Блауг М. Указ. соч. გვ. 619). აქედან გასაგებია კ. ხო-

ვარდის და გ. ჟურავლიოვას თეზისი, რომლის თანახმად მთავარი დასკვნა ჯ. კეინზის ზოგადი თეორიიდან იმაში, მდგომარეობს, რომ მთავრობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკურ დაგეგმვასა და ეკონომიკის მართვაში (Ховард К., Журавлева Г. Указ. соч. გვ. 278).

[29] Кейнс Дж.М. Антология экономической классики. Т. 2. გვ.149.

[30] იქვე,გვ.429.

[31] იქვე,გვ.430.

[32] იქვე,გვ.285.

[33] იქვე,გვ.368.

[34] Блауг М. Указ. соч. გვ. 621.

[35] იქვე,გვ.148-149.

[36] იქვე,გვ. 628.

[37] როგორც ცნობილია, მულტიპლიკატორი ახასიათებს კავშირს ინვესტიციების ნამატსა და ეროვნული შემოსავლის შემდგომ ნამატს შორის, ხოლო აქსელერატორი - კავშირს ეროვნული შემოსავლის ნამატსა და ინვესტიციების შემდგომ ნამატს შორის.

[38] გარდა ამისა, როგორც მ. ბლაუგი წერს, „ხაროდ-დომარის მოდელის უმრავლეს ფორმულირებაში Z (კაპიტალუკუგების ნამატი ნორმა-ი.ი..) განისაზღვრება, როგორც „აქსელერატორი", მაგრამ დომარის ორიგინალურ დადგმაში Z განსაზღვრულია, როგორც მწარმოებლურობის კოეფიციენტი. მისი აზრით, „აქსელერატორი აღარ წარმოადგენს უბრალოდ სიდიდეს, მწარმოებლურობის კოეფიციენტის საპირისპიროს: თუ პირველი ამ წლის შემოსავალს მიეკუთვნება. (Блауг М. Указ. соч. გვ.: 153-154,155).

[39] ამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას მ. ბლაუგიც. ის წერს: ინვესტიციები სინამდვილეში ამრავლებს სანარმოო სიმძლავრეებს, მაგრამ ეს მომავალში კრიზისს აუცილებლად არ იწვევს. ყოველთვის არსებობს ინვესტიციების გარკვეული ნორმა, საკმაოდ მაღალი მოთხოვნის შესაქ-მნელად დამატებით წარმოებული - წინა პერიოდის კაპიტალდაბანდების ნყალობით -პროდ-უქციის. ეს შეიძლება დემონსტრირებული იყოს ხაროდ-დომარის უკვე ცნობილი განტოლების დახმარებით...Y გაყოფით, მივიღებთ S/Y=I/S=K/Y, სადაც S-დაგეგმილი დანაზოგია, I-დაგეგმილი ინვესტიციები, K-დამოკიდებული ცვლადი, რომელიც გვიჩვენებს ინვესტიციების წილს, გამონ-

ვეულს იმავე წლის შემოსავლის ცვლილებით(Блаут М. Указ. соч. გვ. 153).

[40] Ховард К., Журавлева Г. Указ. соч. გვ. 278.

[41] Блаут М. Указ. соч. გვ.623.

თავი 20. ნეოლიბერალიზმი

[1]ეს, კერძოდ, თანაჟღერადია კ. პოლანის შეხედულებებთან, რომელიც წერს: არც ფასი, არც მიწოდება, არც მოთხოვნა არ უნდა ფიქსირდებოდეს. აღიარებულია პოლიტიკური ჩარევის მხოლოდ ისეთი ზომები, რომლებიც ხელს უწყობს ბაზრის თვითრეგულაციის უზრუნველყოფას ისეთი პირობების შექმნის გზით, რომელიც ბაზარს ერთადერთ ორგანიზებულ ძალად ქმნის ეკონომიკის სფეროში (Поланьи К. Указ. соч. გვ. 11).

[2]ამ პრინციპების უსაფუძვლობას „თავისუფალი ქალაქის" ავტორი ა.უ. ლიპმანიც იზიარებს: ის ჯერ კიდევ 30-იან წწ. გახდა იმის თვითმხილველი, რასაც „მისი თაობა საკუთარი გამოცდილებით იგებს, სადამდე მიყავს თავისუფლებიდან გადახვევას იძულებითი ორგანიზაციის გამო" და „როგორია დაგეგმილი საზოგადოების ფასი და ადამიანურ საქმეთა ავტორიტარული ორგანიზაციის" (Хайек Ф. А. Указ. соч. გვ. 29).

[3]Ойкен В. Экономические системы//THESIS. Весна 1993. Т. I. Вып. 2. გვ.19.

[4]იქვე,გვ.20-21.

[5]იქვე,გვ.21.

[6]იქვე,გვ.21-25.

[7]Блаут М. Указ. соч. გვ.631.

[8]Первое издание этого учебника под названием „Экономикс: вводный курс" появилось в 1948г. (ქართულად!)ამ წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა 1948 წ. შემდეგი სახელწოდებით: „ეკონომიკსი: შესავალი კურსი".

[9]Блаут М. Указ. соч. გვ.630.

[10] ამასთან დაკავშირებით მ.ფრიდმანის შეხედულებების ოპონენტი ჯ.ტობინი, არ ეთანხმებოდა რა მონეტარისტების იდეებს იმაში, რომ „ფულს აქვს მნიშვნელობა", შეეწინააღმდეგა მას სიტყვებით „მხოლოდ ფულს აქვს მნიშვნელობა". არ დატოვა რა აღნიშნული შენიშვნა უყურადღებოდ, მ.ფრიდმანმა

ნაშრომში „ფულადი ანალიზის თეორიული საფუძვლები“(1970) დაწერა: მე განვიხილავ გამოთქმას, რომელიც ჩვენს პოზიციას ახასიათებს: „ფული - ერთადერთი რამაა, რასაც მნიშვნელობა აქვს ეროვნული შემოსავლის შესაცვლელად და რეალური შემოსავლის მოკლევადიანი ცვლილებისთვის“- ერთგვარი გაზვიადება, რაც სწორად ახასიათებს ჩვენი დასკვნების მიმართულებას. რაც შეეხება მტკიცებას: „ფული - ერთადერთი რამაა, რასაც მნიშვნელობა აქვს“ მე ვთვლი ჩვენი დასკვნების დამახინჯებად“(Блауг М. Указ. соч. გვ. 639).

[11] Блауг М. Указ. соч. გვ. 640.

[12] Носова С.С. Указ. соч. გვ. 30.

თავი 21. ნეოკლასიკური სინთეზის კონცეფცია

[1]Самуэльсон П. Указ. соч. გვ. 308.

[2]იქვე, Т. II. გვ. 211.

[3]იქვე.

[4]Носова С.С. Указ. соч. გვ. 31.

[5]იქვე, გვ. 46.

თავი 22. თანამედროვე ეკონომიკური აზრის ოლიმპი

[1]Леонтьев В.В. Указ. соч. გვ. 86.

[2]იქვე,გვ.87.

[3]იქვე,გვ.79.

[4]იქვე,გვ.80-81.

[5]იქვე,გვ.226.

[6]ФридменМ.Методология позитивной экономической науки. გვ.:24,25,27.

[7]იქვე,გვ.:44,49-50, 51.

[8]აქ მეცნიერი მკითხველს შეახსენებს, რომ „თომას რობერტ მალთუსს, ახალგაზრდა ინგლისელ მღვდელს, ჩვევად ჰქონდა შეკამათებოდა შეხედულებას სრულყოფილების საკითხებზე, რომელსაც გამოთქვამდა მამამისი საუზმის დროს, ამტკიცებდა რა, რომ ადამიანთა მოდგმა სულ უფრო და უფრო უკეთესად ცხოვრობს.“ ამასთან, „უნდა შევნიშნოთ, - აგრძელებს სამუელსონი, - რომ მალთუსი არ ამტკიცებდა, რომ მოსახლეობა იმავე პროპორციით გაიზრდება. ასეთია მხოლოდ ტენდენცია,

თუ მისი მოთოკვა ვერანაირად ვერ ხერხდება (Самуэльсон П. Указ. соч. Т. I. გვ.: 23, 24).

[9]ის ხაზს უსვამს, რომ სმითის „ხალხთა სიმდიდრე" წარმოადგენს „თანამედროვე ეკონომიკური თეორიის, ანუ პოლიტიკური ეკონომიის დასაწყისს" და, რომ მის მიერ გამოცხადებული პრინციპის თანახმად, „თითოეული ინდივიდი, მისდევს რა მხოლოდ საკუთარ ეგოისტურ მიზნებს, თითქოს იმართება ვიღაცის უჩინარი ხელით ყველასთვის ყველაზე მეტი დოვლათის მიღწევის ინტერესებში" და ამიტომ „სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევა თავისუფალი კონკურენციის სფეროში თითქმის აუცილებლად მავნე შედეგები დასრულდება"(Самуэльсон П. Указ. соч. Т. I. გვ. 342-343).

[10]Самуэльсон П. Т.II. Указ. соч. გვ. 34.

[11]იქვე, Т.II. გვ. 394.

[12]იქვე, გვ.: 395, 396.

[13]იქვე, გვ.:398, 399.

[14]იქვე, გვ. 400-403.

2. ტესტური კითხვები დისციპლინის მიხედვით

1. ეკონომიკური აზრის გამომხატველები საბაზრომდელ ეკონომიკაში იდეალიზებას ახდენდნენ:
1) საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების;
2) ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობების;
3) მსხვილი ვაჭრობისა და მევახშეობითი ოპერაციების.

2. ჰამურაბის კანონები სავალო მონობის რეგლამენტირებას ახდენენ:
1) საბაზრო ეკონომიკაზე უსწრაფესი გადასვლის მიზნით;
2) ხაზინაში საგადასახადო შემოსულობათა ზრდის უზრუნველსაყოფად;
3) ნატურალური მეურნეობის დანგრევის არ დაშვების მიზნით.

3. არისტოტელე ქრემატისტიკის სფეროს მიაკუთვნებს:
1) მინათმოქმედებას და ხელოსნობას;
2) მევახშეობას და სავაჭრო-საშუამავლო ოპერაციებს;
3) ნვრილ ვაჭრობას.

4. არისტოტელესა და თომას აქვინელის ეკონომიკურ შეხედულებათა შესაბამისად ფული-ესაა:
1) სრულიად უსარგებლო საქონელი;
2) ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგი;
3) სტიქიურად წარმოშობილი საქონელი.

5. თომას აქვინელის „სამართლიანი ფასის" კონცეფციის თანახმად , საქონლის ღირებულების (ფასეულობის) საფუძველია:
1) ხარჯვითი პრინციპი;
2) მორალურ-ეთიკური პრინციპი;
3) ხარჯვითი და მორალურ-ეთიკური პრინციპი ერთდროულად.

6. ტერმინი პოლიტიკური ეკონომიის ავტორია:
1) არისტოტელე;
2) თ. აქვინელი;
3) ა. მონკრეტიენი;
4) ა. სმითი;
5) კ. მარქსი.

7. კოლბერტიზმი-ეკონომიკაში პროტექციონისტული პოლიტიკის დახასიათებაა, რომლის შედეგადაც, შიგა ბაზრის ტევადობა:
1) არ იცვლება;
2) ვიწროვდება;
3) ფართოვდება.

8. მერკანტილისტური კონცეფციის თანახმად ფულადი სიმდიდრის წყაროა:
1) უცხოური ინვესტიციების ზრდა;
2) იმპორტის გადამეტება ექსპორტზე;
3) ექსპორტის გადამეტება იმპორტზე.

9. მერკანტილიზმის შესწავლის საგანია:
1) მიმოქცევის (მოხმარების) სფერო;
2) წარმოების (მიწოდების) სფერო;
3) მიმოქცევისა და წარმოების სფერო ერთდროულად.

10. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგანია:
1) მიმოქცევის სფერო;
2) წარმოების სფერო;
3) მიმოქცევისა და წარმოების სფერო ერთდროულად.

11. მერკანტილიზმის ეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტული მეთოდია:
1) ემპირიული მეთოდი;
2) კაუზალური მეთოდი;
3) ფუნქციონალური მეთოდი;

12.კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში ეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტული მეთოდია:
1) ემპირიული მეთოდი;
2) კაუზალური მეთოდი;
3) ფუნქციონალური მეთოდი;

13. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თანახმად, ხელფასი, როგორც მუშის შემოსავალი მიისწრაფის:

1) ფიზიოლოგიური მინიმუმისკენ;
2) სასიცოცხლო მინიმუმისკენ;
3) მაქსიმალურად შესაძლო დონისკენ.

14. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შესაბამისად , ფული ესაა:
1) ადამიანთა ხელოვნური გამოგონება;
2) ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი;
3) ტექნიკური იარაღი, ნივთი, რომელიც აადვილებს გაცვლას.

15. კატეგორია „ფულს" უ. პეტი განიხილავს, როგორც:
1) ფულის ნომინალური თეორიის მომხრე;
2) ფულის მეტალისტური თეორიის მომხრე;
3) ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრე.

16. უ. პეტი და ბუაგილბერი-ღირებულების თეორიის მამამთავრებია, რომელიც განისაზღვრება:
1) შრომის დანახარჯებით (შრომითი თეორია);
2) წარმოებრივი დანახარჯებით(დანახარჯების თეორია);
3) ზღვრული სარგებლიანობით.

17. ფ. კენეს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით ფერმერები წარმოადგენენ:
1) მწარმოებლურ კლასს;
2) მიწის მესაკუთრეთა კლასს;
3) უნაყოფო კლასს.

18. „წმინდა პროდუქტის" შესახებ ფ. კენეს მოძღვრების თანახმად, უკანასკნელი იქმნება:
1) ვაჭრობაში;
2) მიწათმოქმედებაში;
3) მრეწველობაში.

19. კვლავწარმოების პირველი ავტორი და პირველი, ვინც კაპიტალს ყოფდა ძირითად და საბრუნავ კაპიტალად , ხოლო შრომას, მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომად, იყო:
1) უ. პეტი;
2) ფ. კენე;

3) ა. სმითი;
4) კ. მარქსი;
5) ა. ტიურგო.

20. ა. ტიურგო ყოველი სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევს შრომას:
1) მოვაჭრისა;
2) მიწათმოქმედისა;
3) ხელოსნისა;
4) მევახშისა;
5) სოვდაგრისა.

21. ა. სმითის აზრით, ნამდვილ სიმდიდრეს და შემოსავალს უმატებს კაპიტალი, რომელიც დაბანდებულია:
1) ვაჭრობაში;
2) მიწათმოქმედებაში;
3) მრეწველობაში.

22. ა. სმითის მეთოდოლოგიური პოზიციის თანახმად, კერძო ინტერესი:
1) განუყოფელია საზოგადოებრივი ინტერესისაგან;
2) საზოგადოებრივზე მაღლა დგას;
3) მეორეულია საზოგადოებრივთან მიმართებაში.

23. ა. სმითის „უჩინარი ხელი" ეს არის:
1) ეკონომიკის სახელმწიფო მართვის მექანიზმი მთელი საზოგადოების ინტერესებისთვის;
2) მეწარმის თავისუფალი კონკურენციის პირობებში მოქმედება, რომელიც დამოკიდებული არ არის ინდივიდის ნებისა და მიზანდასახულობებისგან, ობიექტური ეკონომიკური კანონებისგან;
3) მეურნეობრიობის მექანიზმი, რომელიც განპირობებულია ღვთიური წინასწარმეტყველებით.

24. ვაჭრობის სტრუქტურაში პირველ ადგილზე ა.სმითის მიერ დაყენებულია:
1) საშინაო ვაჭრობა;
2) საგარეო ვაჭრობა;
3) სატრანზიტო ვაჭრობა.

25. ა. სმითის თანახმად, ყოველ განვითარებულ საზოგადოებაში საქონელთა ღირებულება განპირობებულია:
1) შრომითი დანახარჯებით;
2) შრომისა და კაპიტალის დანახარჯებით;
3) შემოსავლების ჯამით.

26. ა. სმითი შრომას მწარმოებლურად მიიჩნევს, თუკი იგი გამოყენებულია:
1) სასოფლო სამეურნეო წარმოებაში;
2) მატერიალური წარმოების ნებისმიერ დარგში;
3) მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგებში.

27. კაპიტალის სტრუქტურაში ა. სმითი გამოყოფს შემდეგ ნაწილებს:
1) პირველდანყებით და ყოველწლიურ ავანსებს;
2) ძირითად და საბრუნავ კაკიტალს;
3) მუდმივ და ცვალებად კაპიტალს.

28. სმითის „ზღაპრული დოგმა“ წარმოიშვა კ. მარქსთან იმასთან დაკავშირებით,რომ ა. სმითი:
1) შეუძლებლად თვლის ავტომატურ წონასწორობას ეკონომიკაში;
2) უშვებს კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ კაპიტალად;
3) აიგივებს „შრომის წლიური პროდუქტის“და „ყოველი საქონლის ფასის“ფასეულობის გამოვლენის პრინციპს.

29. ღირებულების განსაზღვრისას დ.რიკარდო მხარს უჭერს:
1) შრომით თეორიას;
2) დანახარჯების თეორიას;
3) სარგებლიანობის თეორიას.

30. „რენტის“კატეგორიას დ.რიკარდო განმარტავს შემდეგ ვარიანტებში:
1, 2, 3,
1, 4, 5;
1) როგორც მიწის შემოსავალს;
2) ისევე, როგორც ფერმერის შემოსავალს;
3) ისევე, როგორც, მოგებას მრეწველობის სფეროში;

4) როგორც ფერმერის დამატებითი შემოსავალი საშუალო დონეზე ზევით იყო მისი
საქმიანობის სფეროში;
5) როგორც „მიწის თავისუფალი ძღვენი".

31. დ. რიკარდოს მოსაზრებით, ხელფასს შემცირების ტენდენცია გააჩნია იმიტომ, რომ:
1) მეწარმეები ამცირებენ მუშათა შრომის ფასს;
2) შობადობის მაღალი ტემპები წარმოშობენ შრომის ჭარბ მიწოდებას;
3) მანქანები და მექანიზმები გამოდევნიან მუშათა შრომას.

32. მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონი, დ. რიკარდოს თანახმად ,წარმოშობს შემდეგ მიზეზებს:
1, 2, 4, 6;
1, 3, 5;
1) კაპიტალის გადადინებას ერთი საქმიანობიდან მეორეში;
2) „შრომის საბაზრო ფასის" შეფარდებითი დონის შემცირებას;
3) „შრომის საბაზრო ფასის" შეფარდებითი დონის ზრდას;
4) მიწის პროდუქტების სიძვირის ზრდას, მისი ნაყოფიერების მუდმივი შემცირების გამო;
5) ხალხთმოსახლეობის ტემპების შემცირებას;
6) ხალხთმოსახლეობის ტემპების გადიდებას.

33. ჟ. ბ. სეის „ბაზრების კანონის" ძირითადი პოსტულატებია:
1, 3, 4, 7;
2, 4, 5, 7;
1) მოთხოვნა ქმნის მიწოდების მის შესაბამის დონეს;
2) მიწოდება ქმნის მოთხოვნის მის შესაბამის დონეს;
3) ფული, როგორც კვლავწარმოებითი პროცესის უმნიშვნელოვანესი დამოუკიდებელი
ფაქტორი;
4) ფული ნეიტრალურია;
5) ფასები, ხელფასი და სარგებლის განაკვეთი სრულიად მოქნილი და მოძრავია;
6) დასაშვებია სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში;
7) ეკონომიკური კრიზისები შეუძლებელია ან მათ გამოჩენას (წარმოშობას) ყოველთვის დროებითი ან გარდამავალი ხასიათი გააჩნია.

34. „სეის კანონმა“ ამოწურა თავისი აქტუალურობა ეკონომიკური მოძღვრების წარმოშობით:
1) კ. მენგერის;
2) ა. მარშალის;
3) ჯ. ბ. კლარკის;
4) ჯ. მ. კეინზის;
5) მ. ფრიდმანის.

35. თ. მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიის თანახმად, სიღარიბის მთავარი მიზეზია:
1, 3, 4;
2, 3, 5;
1) სოციალური კანონმდებლობის არასრულყოფილება;
2) მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მუდმივად მაღალი ტემპები;
3) ხელფასის უცვლელად დაბალი დონე;
4) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეტისმეტად მაღალი ტემპები;
5) „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“.

36. თ. მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიას ქვემოთ ჩამოთვლილი ავტორებიდან კატეგორიულად უარყოფდნენ:
1, 2, 6, 7;
2, 3, 4, 6.
1) დ. რიკარდო;
2) ს. სისმონდი;
3) პ. პრუდონი;
4) რ. ოუენი;
5) ჯ.ს. მილი
6) კ. მარქსი;
7) ა. მარშალი.

37. თ. მალთუსის აზრით, მესამე პირები კვლავწარმოებით პროცესებში-ესაა:
1, 3, 4;
2, 3, 5;
1) საზოგადოების მწარმოებლური ნაწილი;

2) საზოგადოების არამწარმოებლური ნაწილი;
3) ფაქტორი, რომელიც აერთებს საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნას და რეალიზციას;
4) ფაქტორი,რომელიც აფერხებს კაპიტალის სრულ გამოყენებას;
5) ფაქტორი, რომელიც თავიდან გვაცილებს საერთო ჭარბწარმოებას.

38. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ავტორებიდან ერთერთმა პირველმა მიმართა სოციალიზმის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების განხილვას:
1, 2, 5;
3, 4;
1) ა. სმითმა;
2) დ. რიკარდომ;
3) ჯ. ს. მილმა;
4) კ. მარქსმა;
5) თ. მალთუსმა.

39. ჯ. ს. მილის რეფორმების კონცეფციაში რეკომენდებულია:
1, 3, 5, 7;
2, 3, 4, 6, 7;
1) შეიცვალოს წარმოების კანონები;
2) შეიცვალოს განაწილების კანონები;
3) შეიზღუდოს მემკვიდრეობის უფლებები;
4) მოისპოს დაქირავებული შრომა კოოპერაციული წარმოებითი კოოპერაციის
დახმარებით;
5) აღმოიფხვრას კერძო საკუთრების სისტემა;
6) მოხდეს მიწის რენტის სოციალიზაცია მიწის გადასახადის მეშვეობით;
7) გაუმჯობესდეს კერძო საკუთრების სისტემა საზოგადოების ყოველი წევრის
მოტანილ შემოსავლში მონაწილეობის მიღებისთვის.

40. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთადერთი წარმომადგენელი, კატეგორია „კაპიტალს“ ახასიათებს, როგორც მუშის ექსპლოატაციის საშუალებას და როგორც თვითმზარდ ღირებულებას:

1) ა. სმითი;
2) დ. რიკარდო;
3) ჟ. ბ. სეი;
4) კ. მარქსი;
5) ფ. კენე.

41. ქვემოთ დასახელებული მიზეზებიდან რომელი წარმოშობს კ. მარქსის მოსაზრებით მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას:

1, 4, 5;
2, 3, 5;

1) კაპიტალის გადადინება ერთი საქმიანობიდან მეორეში.
2) მინის პროდუქტების სიძვირის ზრდა, მისი ნაყოფიერების შემცირების გამო;
3) მუშათა ხელფასის შეფარდებითი დონის ზრდა;
4) კაპიტალის სტრუქტურაში ცვალებადი კაპიტალის ხვედრი წილის ზრდა;
5) კაპიტალის დაგროვება, რომელსაც თან ახლავს კაპიტალის სტრუქტურაში
მუდმივი კაპიტალის ხვედრი წილის ზრდა.

42. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან რომელი დებულებით ხელმძღვანელობს კ.მარქსი, თუკი დავუშვებთ, რომ ზედმეტი ღირებულება იქმნება:

1, 3, 4;
2, 4;

1) შრომით, კაპიტალით და მიწით;
2) მწარმოებლურ მუშათა აუნაზღაურებელი შრომით;
3) მუდმივი კაპიტალით;
4) ცვალებადი კაპიტალით.

43. კ. მარქსის კვლავწარმოების თეორიაში დასაბუთებულია ისეთი დებულებები როგორებიცაა:

2,3;
2,4;

1) თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკა;
2) წვრილ მესაკუთრეთა ეკონომიკა;
3) ნაკლმოხმარების ეკონომიკური კრიზისების დოქტრინების უსუსურობა;
4) ეკონომიკური კრიზისების შემთხვევითი ხასიათი კაპიტალიზმის დროს.

44. ეკონომისტმა-რომანტიკოსებმა წამოაყენეს რეფორმატორული კონცეფციები, რომელთა შესაბამისად ბუნებრივად ცხადდება:
1) თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკა;
2) წვრილ მესაკუთრეთა ეკონომიკა;
3) სოციალისტური ეკონომიკა.

45. მუშათა ხელფასის მინიმიზების მიზეზად ს. სისმონდი თვლის:
1) შრომის ფასის შემცირებას მეწარმეთა მიერ;
2) შრომის ჭარბ მინოდებას შობადობის მაღალი ტემპების გამო;
3) მუშათა შრომის გამოდევნით მანქანებით და მექანიზმებით.

46. ქვემოთ დასახელებულთაგან უშუალოდ პ. პრუდონს მიეკუთვნება იდეები მიზანშეწონილების შესახებ:
1, 3, 4, 6;
2, 3, 5, 6;
1) ეკონომიკაში საერთო-სახალხო საკუთრების წამყვანი როლი;
2) სახალხო ბანკების ორგანიზება;
3) ფულის გაუქმება და კონსტრუირებული ღირებულების შექმნა;
4) ანალიზის ფუნქციონალური მეთოდის მჯობინება კაუზაურზე;
5) უპრეცედენტო კრედიტის შემოღება;
6) სახელმწიფო საკუთრების ლიკვიდაცია.

47. სოციალისტ-უტოპისტების თანახმად, პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს საკუთრებას:
1) კერძოს;
2) წვრილს;
3) საერთო-სახალხოს.

48. გერმანიის ისტორიული სკოლა ეკონომიკური ანალიზის საგნის სახით იხილავს:
1) წარმოების სფეროს;
2) წარმოების სფეროს და მიმოქცევის სფეროს;
3) ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებს.

49. მარჟინალიზმი (მარჟინალური ეკონომიკური თეორია) ემყარება გამოკვლევებს:
1) ჯამური ეკონომიკური სიდიდეების;
2) საშუალო ეკონომიკური სიდიდეების;
3) ზღვრული ეკონომიკური სიდიდეების;

50. ეკონომიკური აზრის სუბიექტური მიმართულების შესწავლის საგანს წარმოადგენს პრობლემატიკა:
1) მიმოქცევის სფეროები(მოთხოვნა);
2) წარმოების სფეროები(მიწოდება);
3) მიმოქცევის და წარმოების სფეროები(მოთხოვნა);

51. ეკონომიკური აზრის სუბიექტური მიმართულე:ბის ეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტულ მეთოდს წარმოადგენს:
1) ემპირიული;
2) კაუზალური;
3) ფუნქციონალური.

52. ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების შესწავლის საგანს წარმოადგენს:
1) მიმოქცევის სფერო (მოთხოვნა);
2) წარმოების სფერო (მიწოდება);
3) მიმოქცევის და წარმოების სფეროები (მოთხოვნა).

53. ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულე:ბის ეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტულ მეთოდს წარმოადგენს:
1) ემპირიული;
2) კაუზალური.
3) ფუნქციონალური.

54. „მარჟინალური რევოლუციის“ პირველი ეტაპის ავტორები ღირებულებას(ფასეულობას) განსაზღვრავენ შემდეგ საფუძველზე:
1) შრომითი თეორიის;
2) დანახარჯების თეორიის;
3) ზღვრული სარგებლიანობის თეორიის;
4) წონასწორობის ფასის გამოვლენა,რომელიც განისაზღვრება ზღვრული სარგებლიანობით
და ზღვრული დანახარჯებით.

55. „მარჟინალური რევოლუციის“ პერიოდის ავტორთა შორის თანამედროვე მაკროეკონომიკური მოდელირების ფუძემდებლად ითვლება:
1) უ. ჯევონსი;
2) ლ. ვალრასი;
3) ა. მარშალი;
4) ჯ. ბ. კლარკი;
5) ვ. პარეტო.

56. ა. მარშალის ტერმინი „რეპრეზენტატიული ფირმა“ახასიათებს ფირმის ნაირსახეობას:
1) მცირე;
2) საშუალო;
3) მსხვილი.

57. ა. მარშალის მიერ საქონლის ღირებულება ხასიათდება შემდეგ საფუძველზე:
1) შრომითი თეორიის;
2) დანახარჯების თეორიის;
3) ზღვრული სარგებლიანობის თეორიის;
4) წონასწორობის ფასის გამოვლენა, რომელიც განისაზღვრება ზღვრული სარგებლიანობით
და ზღვრული დანახარჯებით.

58. სტატიკის, დინამიკის და ზღვრული მწარმოებლურობის თეორიის სწავლების ავტორია:
1) უ. ჯევონსი;
2) ა. მარშალი
3) ჯ. ბ. კლარკი;

4) ვ. პარეტო;
5) ლ. ვალრასი.

59. ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის მიღწევის კრიტერიუმად პარეტოს აზრით, შეიძლება ჩავთვალოთ:
1) სარგებლიანობის მაქსიმიზება;
2) ჯამური სარგებლიანობის გამოვლენა;
3) კონკრეტული ინდივიდების უპირატესობათა თანაფარდობის გაზომვა;
4) ზღვრული სარგებლიანობის გამოვლენა.

60. ეკონომიკური ანალიზის საგნის სახით ინსტიტუციონალიზმი აყენებს:
1) წარმოების სფეროს;
2) წარმოების სფეროს და მიმოქცევის სფეროს;
3) ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებს.

61. ინსტიტუციონალური თეორიის კვლევის პრიორიტეტული მეთოდებია:
1, 3, 5, 6;
2, 3, 4, 6;
1) კაუზალური;
2) ისტორიულ-ეკონომიკური;
3) ფუნქციონალური;
4) ემპირიული;
5) ლოგიკური აბსტრაქციის;
6) სოციალური ფსიქოლოგიის.

62. ცნება „ვებლენის ეფექტი“ახასიათებს სამომხმარებლო ქცევის ზეგავლენის სიტუაციას მოთხოვნის ზრდაზე დაკავშირებულ :
1) უცვლელ ფასებთან;
2) ფასების შემცირებულ დონესთან;
3) ფასების გაზრდილ დონესთან.

63. რეკომენდებული რეფორმების შედეგად, თ. ვებლენი წინასწარმეტყველებს:
1) „ბიზნესის" ფინანსური თემების პრიორიტეტული როლის შენარჩუნებას;
2) „ინდუსტრიულ სისტემაზე" გადასვლას;
3) სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლას.

64. ჯ. კომონსის თანახმად, ღირებულების ფორმირება ხდება:
1) შრომის დანახარჯებით;
2) მოთხოვნის და მიწოდების თანაფარდობით;
3) „კოლექტიური ინსტიტუტების" იურიდიული შეთანხმებით.

65. „კაპიტალიზმის" ევოლუციაში ქვემოთ ჩამოთვლილი ეტაპებიდან ჯ. კომონსი გამოყოფს შემდეგს:
1, 2, 4;
1, 3, 5;
1) თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი;
2) ფულადი მეურნეობა;
3) ფინანსური კაპიტალიზმი;
4) საკრედიტო მეურნეობა;
5) ადმინისტრაციული კაპიტალიზმი.

66. თ. ვებლენის და ჯ. კომონსის ანტიმონოპოლიური კონცეფციები პირველად აპრობირებულ იქნა:
1) 1929-33 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრისისამდე;
2) ფ. რუზველტის „ახალი კურსის" პერიოდში;
3) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

67. უ. კ. მიტჩელი-ინსტიტუციონალიზმის მიმართულების ერთერთი ფუძემდებელი, რომელმაც მიიღო სახელწოდება:
1) სოციალ-ფსიქოლოგიური;
2) სოციალურ-სამართლებრივი;
3) კონიუნქტურულ-სტატისტიკური.

68. უ. კ. მიტჩელის ეკონომიკური მოძღვრება საფეძველი გახდა:
1) ზღვრული სარგებლიანობის თეორიის;
2) უკრიზისო ციკლის კონცეფციის;
3) ჩ. დარვინის ბუნების ევოლუციის თეორიის.

69. არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის თეორიები წარმოიქმნა:
1) მე-19 საუკუნის შუახანებში;
2) მე-19 საუკუნის ბოლოს;
3) 1929-33 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ.

70. ე. ჩემბერლინის მონოპოლისტური კონკურენციის თეორიაში „პროდუქტის დიფერენცირების“ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ერთ-ერთი გამყიდველის საქონელში (მომსახურებაში) რაიმე არსებითი განმასხვავებელი ნიშნის არსებობა,რომელიც შეიძლება იყოს:
1) რეალური;
2) წარმოსახვითი;
3) როგორც რეალური, ასევე წარმოსახვითი.

71. ე. ჩემბერლინის თანახმად, მონოპოლისტური კონკურენცია წარმოშობს სიმძლავრის სიჭარბის ფენომენს, რომელიც განპირობებულია ფასების ფორმირებით:
1) დანახარჯების დონეზე ქვევით;
2) დანახარჯების დონეზე;
3) დანახარჯებზე გადამეტებული.

72. ჯ. რობინსონის თანახმად, არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმის მოცულობა (სიმძლავრე):
1) აჭარბებს ოპტიმალურ დონეს;
2) ოპტიმალურია;
3) ვერ აღწევს ოპტიმალურ დონეს.

73. ქვემოთ მოტანილი დებულებებიდან ჯ. მ. კეინზის კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს შეადგენს:
1, 3, 4, 6;
2, 3, 5, 6;
1) მიკროეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტი;
2) მაკროეკონომიკური ანალიზის პრიორიტეტი;
3) „ეფექტიანი მოთხოვნის“ კონცეფცია;
4) უ. ბ. სეის „ბაზრის კანონებისადმი“ ერთგულება;
5) ინვესტიციების მულტიპლიკატორი.

74. ჯ. მ. კეინზის „მთავარი (ძირითადი) ფსიქოლოგიური კანონის" თანახამად , შემოსავლების ზრდასთან ერთად მოხმარების ზრდის ტემპები:
1) უსწრებს შემოსავლების ზრდის ტემპებს;
2) იზრდება მაგრამ არა იმ ზომით, როგორც შემოსავლები;
3) რჩება იმავე დონეზე.

75. ინვესტიციებზე საინვესტიციო მოთხოვნის სტიმულირებისთვის სახელმწიფომ ჯ.მ. კეინზის აზრით, აქტიურად ხელი უნდა შეუწყოს სასესხო სარგებლის ნორმის რეგულირებას:
1) ზრდის მიმართულებით;
2) შემცირების მიმართულებით;
3) კონკრეტულ დონემდე.

76. ნეოლიბერალიზმი, კეინზელებისგან განსხვავებით, გულისხმობს:
1, 3, 5;
2, 4, 5;
1)სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ზომებს ეკონომიკის წაგებიანი და
დაბალრენტაბელური დარგების ინვესტირებისთვის;
2) ეკონომიკის ლიბერალიზაციას;
3) სამთავრობო დაკვეთების შესყიდვებისა და სესხების მოცულობის ზრდას;
4) თავისუფალ ფასწარმოქმნას;
5) კერძო საკუთრების პრიორიტეტულობას.

77. ტერმინი „სოციალური საბაზრო მეურნეობა" პირველმა გამოიყენა:
1) ჯ. მ. კეინზმა;
2) ა. მიულერ-არმაკმა,
3) მ. ფრიდმანმა;
4) პ. სამუელსონმა;
5) კ. მენგერმა.

78. ნეოლიბერალიზმის ფრაიბურგის სკოლა სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციაში ემხრობა შემდეგ პრინციპებს:
1, 3, 5;

2, 4, 5;
1)კონკურენცია ყველგან, სადაც კი იგი შესაძლებელია, რეგულირება იქ, სადაც
აუცილებელია;
2) „თავისუფალი საბაზრო მეურნეობის“ ავტომატური ფუნქციონირება;
3) სინთეზი თავისუფალ და „სოციალურად სავალდებულო საზოგადოებრივ წყობილებას
შორის“;
4) ძალაუფლების კონცენტრაცია და კოლექტივიზმი;
5) სამართლიანი განაწილების მეშვეობით სოციალური გამოთანაბრება.

79. ნეოლიბერალიზმის ჩიკაგოს სკოლის ლიდერმა, მ. ფრიდმანმა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკუთარ კონცეფციაში ფუძემდებლურად თვლის შემდეგ პრინციპებს:
1, 3, 5;
2, 4, 5;
1) არასაიმედო ფაქტორთა პრიორიტეტულობას;
2) ფულადი ფაქტორების პრიორიტეტულობას;
3) „ფილიპსის მრუდის“ სტაბილურობას;
4) „ფილიპსის მრუდის“ არასტაბილურობას;
5) ფულის რაოდენობის ზრდის ტემპების სტაბილურობას, „უმუშევრობის ბუნებრივი
ნორმის“ გათვალისწინებით.

80. დასახელებული ავტორებიდან ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატებს წარმოადგენენ:
1, 3, 5;
2, 4;
1) ჯ. მ. კეინზი;
2) ვ. ვ. ლეონტიევი;
3) ე. ჩემბერლინი;
4) პ. სამუელსონი;
5) მ. ფრიდმანი.

შეჯამების სახით რეკომენდირებულია სატესტო კითხვები:
N1, 6, 7, 9-14, 18, 19, 22, 23, 26, 27, 30, 32, 33, 35, 37, 39, 41, 42, 44, 46, 48, 50-53, 55, 57, 58, 61, 62, 66, 68, 71, 73, 75, 76, 79.

კითხვის N	1	2	3	4	5	6	7
პასუხის N	2	3	2	2	3	3	2
კითხვის N	8	9	10	11	12	13	14
პასუხის N	3	1	2	1	2	2	3
კითხვის N	15	16	17	18	19	20	21
პასუხის N	3	1	1	2	2	2	2
კითხვის N	22	23	24	25	26	27	28
პასუხის N	2	2	1	3	2	2	3
კითხვის N	29	30	31	32	33	34	35
პასუხის N	1	1,4,5	2	1,3,4,6	2,4,5,7	4	2,3,5
კითხვის N	36	37	38	39	40	41	42
პასუხის N	2,3,4,6	2,3,5	3,4	2,3,4,6,7	4	1,4,5	2,4
კითხვის N	43	44	45	46	47	48	49
პასუხის N	2,3	2	3	2,3,5,6	3	3	3
კითხვის N	50	51	52	53	54	55	56
პასუხის N	1	2	3	3	3	2	2
კითხვის N	57	58	59	60	61	62	63
პასუხის N	4	3	3	3	2,3,4,6	3	2
კითხვის N	64	65	66	67	68	69	70
პასუხის N	3	1,3,5	2	3	2	3	3
კითხვის N	71	72	73	74	75	76	77
პასუხის N	3	1	2,3,5,6	2	2	2,4,5	2
კითხვის N	78	79	80				
პასუხის N	1,3,5	2,4,5	2,4,5				

აბსტრაქცია - მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომელიც ანალიზიდან გამორიცხავს ყველაფერ შემთხვევითს (კერძოს, მეორეხარისხოვანს), და გამოსაკვლევ ობიექტში პოულობს არსებითს, მუდმივს.

აქსელერატორი - მულტიპლილატორის საპირისპირო კოეფიციენტი; ახასიათებს ეროვნული შემოსავლის მატების ზეგავლენას ინვესტიციების მატებაზე *(იხ. მულტიპლიკატორი)*.

ბიუჯეტური დეფიციტი - სახელმწიფოს ხარჯების გადამეტება მის შემოსავლებზე.

„განურჩევლობის მრუდები" - ემპირიული მრუდები, რომლებიც ასახავენ მოხმარებულ საქონელთა ჯგუფურ სარგებლიანობებს მათი შეხამების სხვადასხვა კომბინაციებში და ერთი კომბინაციის მჯობინებას სხვების წინაშე.

გოსენის კანონები - მარჟინალიზმის მთავარი თეორიული პრინციპები, რომლის ერთ-ერთი წინამორბედია ჰ. გოსენი; განასხვავებენ „გოსენის ორ კანონს", რომელთაგან ერთში ნათქვამია, რომ ხელმისაწვდომი მოცემული დოვლათის გადიდებით, მისი ზღვრული სარგებლიანობა მცირდება, ხოლო მეორის შესაბამისად, მოხმარების (მოთხოვნის) ოპტიმალური სტრუქტურა მიიღწევა ყველა მოხმარებული დოვლათის ზღვრული სარგებლიანობების ტოლობის დროს.

დაკისრების თეორია - ავსტრიული სკოლის ფასწარმოქმნის თეორია, რომლის არსი დაიყვანება „პირველი რიგის" დოვლათის ღირებულების (ფასეულობის) ნაწილის (წილის) თანაშემდევრულ დაკისრებაზე „შემდგომი რიგის" დოვლათებზე, რომლებიც მის წარმოებაში გამოიყენებიან.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება - სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში ზემოქმედების საბაზრო მექანიზმებზე ადმინისტრაციული (საკანონმდებლო), ეკონომიკური (სავალუტო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო, ბიუჯეტურ-სადაგასახადო და სხვ.) მეთოდების და ბერკეტების მეშვეობით.

ეკონომიკური ლიბერალიზმი (leissez faire-ის პოლიტიკა) - ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკა; ეკონომიკურ თავისუფლებათა ერთობლიობა: თავისუფალი კონკურენცია, თავისუფალი მეწარმეობა, თავისუფალი ბაზრები, თავისუფალი ვაჭრობა და ა.შ.

ეკონომიკსი - ტერმინი, რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში ა. მარშალმა შემოიტანა ნაშ-რომში „ეკონომიკის პრინციპები" (1890); ეკონომიკური მეცნიერების სახელწოდება, რომელიც, ჰ.

სამუელსონის სიტყვებით, „გულისხმობს ეკონომიას ანუ მაქსიმიზებას“ და ეძღვნება „ოპტიმალური მოცულობის პრობლემას, რომლის დროსაც მოგება მაქსიმუმს აღწევს“.

„ეფექტიანი მოთხოვნა“ - ტერმინი ჯ. მ. კეინზის კონცეფციიდან ინვესტიციებსა და წარმოების საშუალებებზე პოტენციურად შესაძლო და მასტიმულირებული სახელმწიფო მოთხოვნის შესახებ.

„ვებლენის ეფექტი“ - სიტუაციის დახასიათება, როდესაც საქონლის ფასის შემცირება მყიდველის მიერ აღიქმება, როგორც მისი ხარისხის გაუარესება ან მისი „აქტუა-ლურობის“ ან „პრესტიჟულობის“ დაკარგვა მოსახლეობაში, და მაშინ საქონელი აღარ სარგებლობს სამომხმარებლო მოთხოვნით, ხოლო საპირისპირო სიტუაციაში, პირიქით, შესყიდვების მოცულობა ფასების ზრდით შეიძლება გაიზარდოს.

ზღვრული სარგებლიანობა - ყველაზე უფრო ნაკლებ ინტენსიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი; დამატებითი სარგებლიანობა, რომელსაც მომხმარებელი იღებს საქონლის ან მომსახურების დამატებითი ერთეულისგან.

ინდუქცია - მეცნიერული გამოკვლევის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ზოგადი დებულებები და პრინციპები კერძო და ცალკეული ფაქტების საფუძველზე.

ინსტიტუციონალიზმი - ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულება, რომელიც ჩამოყალიბდა XX ს. 20-30-იან წლებში ეკონომიკური აზრის ნეოკლასიკური მიმართულების სახით; მისი მთავარი თავისებურებაა სოციალ-ეკონომიკური ფაქტორ-ების (ინსტიტუტების) მთელი ერთობლიობის გამოკვლევა, რომლებიც განიხილებიან ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში და ისტორიულ კონტექსტში, და ასევე ეკონომიკაზე საზოგადოების სოციალური კონტროლის იდეა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია - ეკონომიკური აზრის მიმართულება (XVII საუ-კუნის ბოლოდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე პერიოდი), რომლის წარმომად-გენლებმა დიდების შარავანდი მოხადეს მერკანტილიზმის პროტექციონისტულ იდეებს და საფუძველი ჩაუყარეს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების გამოკვლევათა მეცნიერულ მეთოდოლოგიურ და თეორიულ ბაზას; მიმართულების მთავარი თავისებურებაა თვითრეგულირებადი ეკონომიკის საქმიან ცხოვრებასა და მექანიზმში

„წმინდა" ეკონომიკური თეორიის იდეების და „სრული leissez faire"-ის, ე.ი. სახელმწიფოს აბსოლუტური ჩაურევლობის პროპაგანდა.

კონკურენცია სრულყოფილი (თავისუფალი, წმინდა ანუ სრული) - საბაზრო სიტუაცია ერთგვაროვანი პროდუქციის მრავალი გამყიდველით და მყიდველით, რომელთაც ბაზარზე ფასების დონეზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

კონკურენციის პოლიტიკა - კანონებისა და სახელმწიფო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია პრაქტიკაში სრული (თავისუფალი, წმინდა) კონკურენციის მაქსიმალურად შესაძლო რეალიზაციაზე.

ლიკვიდურობა - მატერიალური საშუალებებისა და სხვა რესურსების უნარი სწრაფად გადაიქცნენ ფულად; საწარმოს უნარი დროულად გადაიხადოს თავისი ვალდებულებები, აქტივის მუხლები გადააქციოს ფულად.

ლიკვიდურობისადმი მიდრეკილება - ფულის ნაწილის მარაგში გადადების მისწრაფება საბანკო ან ფასიანი ქაღალდების სახით.

მაკროეკონომიკა - ეკონომიკა, როგორც მთლიანი ანუ მისი მთავარი შემადგენელები; ეკონომიკური თეორიის განყოფილება, რომელიც შეისწავლის ეკონომიკას მთლიანად ან მის ძირითად შემადგენლებს.

მარჟინალიზმი (მარჟინალური ეკონომიკური თეორია) - იდეებისა და კონცეფციების განზოგადება, რომლის საფუძველია ზღვრულ ეკონომიკურ სიდიდეთა გამოკვლევა, როგორც ეკონომიკური სისტემის ურთიერთდაკავშირებული მოვლენები მიკრო- და მაკროდონეზე.

„მარჟინალური რევოლუცია" - XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში განხორციელებული „კლასიკური სკოლის" ფასეულობებიდან მარჟინალიზმის ფასეულობებზე (თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებზე) გადასვლა.

„მარშალის ჯვარი" - მოთხოვნის მრუდის და მიწოდების მრუდის გადაკვეთის გრაფიკული გამოსახულება, რომელთა გადაკვეთის ნერტილში მყარდება მათ შორის წონასწორობა, და ასევე წონასწორობითი, ე.ი. სტაბილური ფასი.

მერკანტილიზმი - ეკონომიკური აზრის მიმართულება (XVI-XVIII სს. პერიოდი), რომლის წარმომადგენლები ქვეყნის სიმდიდრეს ფულთან აიგივებდნენ და მას იხილავდნენ, როგორც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, ხოლო სიმდიდრის წყაროს საგარეო ვაჭრობაში, აქტიური სავაჭრო ბალანსის უზრუნველყოფაში ხედავდნენ; მიმართულების მთავა-

რი თავისებურებაა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის იდეების პროპაგანდა, ე.ი. მისი მონაწილეობა სამეურნეო სისტემის მართვაში.

„მესამე პირები"- ცნება, რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში შემოტანილია XIX ს. დასაწყისის ეკონომისტების მიერ იმ დროისათვის დამკვიდრებული სამეურნეო ცხოვრების პროცესის კლასობრივი ანალიზის მეთოდით.

მიწოდების ელასტიურობა-მიწოდების რეაქცია ფასის შეცვლაზე.

მოთხოვნის ელასტიურობა- მოთხოვნის რეაქცია ფასის შეცვლაზე.

„მოლოდინის თეორია" - ო. ბემ-ბავერკის თეორია კაპიტალზე სარგებლის წარმოშო-შობის მექანიზმის შესახებ დროის ფაქტორის მწარმოებლური არსის წყალობით; სპეცი-ფიკური რესურსი „კაპიტალი", მისი სიდიდისგან და ფუნქციონირების დროისგან დამოკიდებულებით, ე.ი. „მოლოდინები", რომლებიც კაპიტალზე მეტ ან ნაკლებ სარგებელს უზრუნველყოფენ.

მონეტარიზმი - ეკონომიკური თეორია, რომელიც ემყარება მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის განმსაზღვრელ როლს, ეკონომიკის სტაბილიზების, მისი ფუნქციო-ნირების და განვითარების პოლიტიკის განხორციელებაში.

მონეტის გაფუჭება - მთავრობის მიერ ეროვნული ვალუტის ფასეულობისა და წონის შემცირება იმის მცდარ კონსტატაციასთან დაკავშირებით, რომ ოქრო და ვერცხლი ფულს წარმოადგენენ თავისი ბუნებრივი თვისებების წყალობით.

მონოპოლია - საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი, რომელსაც დომინირებადი მდგომარეობა უკავია ბაზარზე, რაც მათ საშუალებას აძლევს გააკონტროლონ და განსაზღვრონ ფასები; ბაზრის ფორმა, რომელსაც ერთი ან რამდენიმე საწარმო აკონტროლებს.

მონოპოლისტური კონკურენცია - საბაზრო სიტუაცია, რომლის დროსაც კონკურენტ საქონელთა ურთიერთშეცვლადობის გაძლიერების ხარისხი, ე.ი. „პროდუქტის დიფერ-ენცირება" შესაძლებლობას აძლევს გამყიდველს გააკონტროლოს მიწოდების დონე და ფასები და აბსოლუტურ მონოპოლიას მიაღწიოს საკუთარ პროდუქტზე, მაგრამ ამასთან იგი (გამყიდველი) გაგანაგრძობს სხვა გამყიდველების კონკურენციას, რომელთაც მეტად თუ ნაკლებად არასრულყოფილი შემცვლელები გააჩნიათ.

მონოპოლისტური ფასი - ფასის სახეობა, რომელსაც მონოპოლია აწესებს. მიზნებისგან დამოკიდებულებით მონოპოლიას შეუძლია დააწესოს მონოპოლიურად მაღალი და მონოპოლიურად დაბალი ფასები.

მონოპსონია - სიტუაცია, როდესაც ბაზარზე მოქმედებს დიდი რაოდენობის ნვრილი მწარმოებლები და ერთი - ერთადერთი მყიდველი.

მულტიპლიკატორი - მამრავლი; კატეგორია, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ თეო-რიაში სხვადასხვა ურთიერთკავშირის დახასიათებისა და განსაზღვრისთვის, სადაც ადგილი აქვს მულტიპლიკაციურ ეფექტს. კერძოდ, კეინზელებთან მულტიპლიკატორში გაგებულია კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს შემოსავლის ცვლილებების დამოკიდებულებას ინვესტიციების ცვლილებებზე.

ნეოკლასიკური თეორია - ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი თანამედროვე მიმართუ-ლება, რომელიც XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის და „წმინდა თეორიის", ისე მარჟინალური (ზღვრული) მაჩვენებლების და მიკროეკონომიკური გამოკვლევის სისტემური ანალიზის პრინციპების საფუძველზე, რომელიც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ალტერნატივა იყო; XX საუკუნის 30-იანი წლებიდან „ნეოკლასიკოსების" თეორიულ-მეთოდოლოგიური ამოცანები შეივსო მაკროეკონომიკური გამოკვლევებით და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სოციალური მიმართულების პრობლემატიკით.

„ნეოკლასიკური სინთეზი" - პ. სამუელსონის ტერმინი, რომელიც გამოიყენება „იმ ჭეშმარიტებათა სინთეზის აღსანიშნავად, რომლებიც დაწესდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიერ და იმ დებულებათა აღსანიშნავად, რომლებიც დაასაბუთა შემოსავლების ფორმირების თანამედროვე თეორიებმა"; ამ ტერმინის უფრო ფართო არსობრივი დატვირთვა ეკონომიკურ ლიტერატურაში მოწმობს ეკონომიკური მეცნიერების ახალი უნივერსალური დოქტრინის ჩამოყალიბებაზე. **ნეოლიბერალიზმი** - სამეურნეო პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების ეკო-ნომიკური კონცეფცია, მეწარმეთა თავისუფალი („წმინდა") კონკურენციის, ბაზრების თავისუფლების და ეკონომიკური ლიბერალიზმის სხვა ელემენტების მიღწევების პრინციპებზე; კეინზური ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ალტერნატიული კონცეფცია.

ოლიგოპოლია - რამდენიმე მსხვილი ფირმის ბატონობა ბაზარზე.

„პარეტოს ოპტიმუმი" (საზოგადოებრივი მაქსიმალური სარგებლიანობა) - ცნება, რომე-ლიც გამიზნულია ისეთ ცვლილებათა შესაფასებლად, რომლებიც ან აუმჯობესებენ ყველას კეთილდღეობას ან არ აუარესებენ ყველას კეთილდღეობას უკი-

დურეს შემთხვევაში ერთი ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებით; კონცეფცია, რომელიც მოგების მაქსიმიზებაში ოპტიმალური გადანყვეტილების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

პოლიტიკური ეკონომია - ტერმინი, რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში ა. მონკრეტიენმა შემოიტანა 1615 წელს გამოცემულ „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატში"; ეკონომიკური მეცნიერების სახელწოდება, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს პრობლემები: ა) სახელმწიფო მეურნეობის (მერკანტილისტური ვერსია); ბ) თავისუფალი კერძო მენარმეობის (კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ვერსია).

პროტექციონიზმი - ეროვნული ეკონომიკის უცხოური კონკურენციისგან დაცვაზე მი-მართული პოლიტიკა საქონელთა იმპორტის პირდაპირი ან ირიბი შეზღუდვის გზით. **„რობინზონის მეურნეობა"** - ტერმინი, რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში კ. მენგერმა შემოიტანა და გამოიყენება ეკონომიკურ ურთიერთობათა და მაჩვენებლების ანალიზისთვის ცალკეული სამეურნეო სუბიექტის (ინდივიდის) დონეზე, ე.ი. მიკრო-დონეზე, საკუთრების ფენომენის გათვალისწინებით და განპირობებულია ადამიანისეული ეგოიზმის სიკეთის შედარებითი იშვითობით.

ზოგადი წონასწორობა - კონკურენტული ეკონომიკის სტაბილური მდგომარეობა, რომლის დროსაც მომხმარებელი სარგებლიანობის ფუნქციის მნიშვნელობის მაქსიმიზებას ახდენს, ხოლო კონკურირებადი მწარმოებლები მიღებული მოგების მაქსიმიზებას ახდენენ ფასებში, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობას უზრუნველყოფს.

„სამართლიანი ფასი" - კანონისტების ეკონომიკური მოძღვრების კატეგორია, „რომელიც ხსნის" ადმინისტრაციული (არასაბაზრო) ფასწარმოქმნის მართლზომიერებას და შესაძ-ლებლობებს „გავყიდოთ ნივთი უფრო ძვირად" ზარალის თავიდან ასაცილებლად, როგორც მისი „მფლობელისთვის", ისე მთელი „საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის".

სამეურნეო (ეკონომიკური) სისტემა - ვ. ოიკენის კონცეფცია ეკონომიკური სისტემების ორი იდეალური ტიპის: ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის (ეკონომიკური ცხოვრება რეგულირდება გეგმებით, გამომდინარე ერთი ცენტრიდან) და გაცვლითი ეკონომიკის (მეურნეობის ყოველი სუბიექტი ხელმძღვანელობს თავისი გეგმებით) შესახებ.

„სეის კანონი"- ჟ. ბ. სეის კონცეფცია საზოგადოებრივი პროდუქტის შეუფერხებელი და სრული რეალიზაციის, ე.ი. უკრიზისო ეკონომიკური ზრდის შესახებ; ამ „კანონის" შესაბამისად, საზოგადოების მიერ laissez faire-ის პრინციპების მიღწევისა და

შენარჩუნების დროს წარმოება (მიწოდება) ადექვატურ მოხმარებას (მოთხოვნას) წარმოშობს, ე.ი. საქონლისა და მომსახურების წარმოება აუცილებლად წარმოშობს შემოსავლებს, რომლებითაც ეს საქონელი და მომსახურება თავისუფლად რეალიზდება ბაზარზე, მოქნილი და თავისუფალი ფასწარმოქმნის წყალობით.

„სიმძლავრის სიჭარბის ფენომენი" - დებულება, რომელიც წამოყენებულია ე. ჩემბერ-ლინის მიერ მონოპოლისტური კონკურენციის თეორიაში; წარმოიშობა გამყიდველი-მონოპოლისტის საქმიანობის პროცესში, რომელიც ცდილობს „საერთო ბაზრის ცნობილი ნაწილების" დაუფლებას, და მხარდაჭერილია მისი პატენტებით, საფაბრიკო მარკებით, რეპუტაციით, ოსტატობით, განსაკუთრებული ნიჭით.

„უჩინარი ხელი" - ცნება, რომელიც მეცნიერულ ბრუნვაში ა. სმითმა შემოიტანა, რომლის შესაბამისად იგულისხმება ისეთი თანაფართობა მეურნე სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის, როდესაც უკანასკნელი ეწინააღმდეგება რა ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს, არ ერევა „ბუნებრივ" პროცესებში, ე.ი. საბაზრო მექანიზმის თავისუფალ ფუნქციონირებაში.

ფიზიოკრატია - ბერძნულიდან თარგმნით „ბუნების ბატონობა", კლასიკური პოლიტ-იკური ეკონომიის მიმდინარეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი) საფრანგეთში, რომლის წარმომადგენლები ეკონომიკაში და მიწის ეროვნული სიმდიდრის წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განმსაზღვრელი როლიდან გამოდიოდნენ.

„ფილიპსის მრუდი" - ემპირიული მრუდი, რომელიც ახასიათებს ხელფასის ყოველწლიურ პროცენტულ ცვლილებას ფულადი ფორმით და უმუშევრობის დონეს (წილს) შორის კავშირს.

ფულის ნეიტრალურობა -„კლასიკოსების" თეორიული დებულება, რომელიც ამარ-ტივებს ფულადი საქონლის არსს რაღაც ტექნიკურ საშუალებამდე, რომელიც მოხერ-ხებულია გაცვლისთვის და რომელსაც ფულის რაოდენობრივი თეორიის ორთოდოქსულ ვერსიამდე მივყევართ.

ფულის ნომინალისტური თეორია - თეორია, რომელიც განმარტავს მოსაჭრელად განკუთვნილი ფულის განპირობებულებას მონეტის შეფასების იმ ნომინალად, რომელიც სახელმწიფოს მიერ წესდება.

ფულის რაოდენობრივი თეორია - თეორია, რომელიც ამტკიცებს: ა) „კლასიკოსების" ორთოდოქსული ვერსიით - საქონლის ფასების ცვლილების დამოკიდებულებას მხოლოდ მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობაზე; ბ) „ნეოკლასიკოსების" ვერსიით - საქონელთა ფასების კორექტირების შესაძლებლობას

ფულადი მასალის ღირებულებასთან, ფულის ბრუნვის სისწრაფის და სასაქონლო მასის რაოდენობის დონესთან კავშირში და ასევე ფულის ლიკვიდურობის ხარისხის გათვალისწინებით.

ქრემატისტიკა - ტერმინი, რომელსაც არისტოტელე იყენებდა ადამიანთა საქმიანობის არაბუნებრივი სფეროების აღნიშვნისას; მსხვილ სავაჭრო გარიგებათა და სავახშო ოპერაციების მეშვეობით დიდი ქონების მოხვეჭის უზრუნველმყოფი ხელოვნება.

შრომითი ღირებულების თეორია - ღირებულების თეორიის ერთ-ერთი ხარჯვითი ვარიანტი, რომლის თანახმად საქონლის ფასეულობა იქმნება დახარჯული შრომის განსაზღვრული რაოდენობით.

„ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი" - კეინზის დებულება, რომლის შესაბამისად, „იმის კვალობაზე, რეალური შემოსავალი თუ როგორ იზრდება, საზოგადოებას სურს მოიხმაროს მისი მუდმივად შემცირებადი ნაწილი".

ხელფასის რკინის კანონი - გამომდინარეობს თ. რ. მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიიდან და ნიშნავს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივი ზრდის (შესაბამისად სამუშაო ძალის მიწოდების წინმსწრები მატების) და მიწის კლებადი ნაყოფიერების გამო, ხელფასის დონეს საზოგადოებაში თითქოსდა არ შეუძლია ზრდა უცვლელად დაბალ დონეზე დარჩენით.

ჯამური სარგებლიანობის განსაზღვრის წესი - მოხმარებული დოვლათის სარგებლ-იანობის შეფასების ხერხი; წესს ეწოდება ადაპტივური, თუკი ერთგვაროვანი დოვლათის ზღვრული სარგებლიანობა ყოველ შემდგომ ერთეულთან კლებადი ტენდენციით ხასიათდება და მულტიპლიკაციური, თუკი ერთგვაროვანი დოვლათის ზღვრული სარგებლიანობა მრავლდება მათ რაოდენობაზე.

ISBN 978-9941-22-403-4